

780 /  
1988/2

1988/6

ISSN 0134 - 9848

# საშენატი

ნოემბერი-დეკემბერი

თბილისი  
ბიბლიოთეკა





იანსი ლუჯოვი კიჩნერი. ბაღრაინები

# საშუაშე

1988/ 6

ნომერი  
ფაქსი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



## შინადაცხი

|  |     |
|--|-----|
| ერსტ თომორო ამაღვი კოფმანი, კალგატონი სკოლარი, გერმანულიდან თარგმნა<br>ნონა კალანდარიშვილი     | 3   |
| ესაიას ტიზნარი, ფრიტიოფის საბა ნაწვეტი, შვედურიდან თარგმნა<br>ელდარ კერძევაძე                  | 46  |
| პარუირ სევაკი, ლიქსი სომხურიდან თარგმნა გივი შაქნაზარმა  | 51  |
| ტომას კარდი, ორი კატივმოცვარე კაცის ტრაგედია, მოთხრობა, ინგლისურიდან<br>თარგმნა შერი ამაშუკელი | 58  |
| ფრანგული კოეფიიდან, ლიქსი ფრანგულიდან თარგმნა სულხან ჭორჭანელი                                 | 79  |
| რუმინული ხალხური კოეფიიდან, რუმინულიდან თარგმნა ოთარ შალამბერიძე                               | 89  |
| ანტონ ჩახოვი, საკატარალო, მოთხრობა, თარგმნა თამაზ კიკიანმა                                     | 89  |
| გერმანული კოეფიიდან, ლიქსი გერმანულიდან თარგმნა ბადრი გუბუშვილი                                | 100 |
| პინრია პინე, ლირიკა, გერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილი                                    | 104 |
| ანტონ ჩახოვი, ნაგში მოთხრობა თარგმნა გურამ გოგიაშვილი  | 105 |
| იაკობ კოლასი, ლიქსი ბელორუსულიდან თარგმნა თეიმურაზ აბულაძე                                     | 138 |
| მარსელ პანიოლი, ტოკაზი, პიესა, თარგმნეს აკაკი და შაია გეჭაძეებმა                               | 142 |
| სერგეი ესენინი, ლიქსი თარგმნა თამაზ ბარჭაძე  | 202 |
| კანინო მარია რიკე, ლიქსი გერმანულიდან თარგმნა ლია ქაყელი                                       | 207 |
| <b>წიკილეგი</b>  |     |
| მუხრან მავაპარიანი, კამდენიში სიტყვა   | 219 |
| ლია თაქვაკელია, დ. გ. გომთმ და მ. ა. კოფმანი   | 220 |
| ბელა ახმაღულინა, კართულ სიტყვას ათას სიტყვაში გამოვიცნო, თარგმნა<br>ირაკლი ჯავახიძე            | 246 |
| მაია ფანჯიკიძე, კუგო ფონ კოფმანსტალის „ლოკდ ჩანდოსის წიკილი<br>ფრანსის გამონისაფი“             | 257 |
| რუსული თურნა, ვიოკგი გვაჯავა და ფრანგი ტრაბიკოსების „კართული“<br>ტრაბიკიგი                     | 269 |
| კორნი კუკოვსკი ოსკარ შაილი, თარგმნა შედეა შავლიაშვილი  | 278 |
| მირსა ელიაფე, ასამიტეგი, ფრანგულიდან თარგმნეს შაია ბაქრაძე და ბელა წვერაძე                     | 302 |
| რუგო შარალაშვილი, უნივერსიტი სათაურის კოეტიკისათვის  | 310 |

საქართველოს მწერალთა კავშირი  
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური აღმანახი



მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა  
მთავარი სარედაქციო კოლეჯია **ეროვნული  
ბიბლიოთეკა**

მთავარი რედაქტორი:  
**მუხრან მჭავარიანი**

სარედაქციო კოლეჯია:

**ელზა ახვლედიანი**

**ჯემალ აჯიაშვილი**

**გიორგი ბაძანიძე**

**მზია ბაძრაძე**

**ბარანა ბრეგვაძე**

**გურამ გოგიაშვილი**

**ნანა დარჩია (პ.გ. მდივანი)**

**მაგალი თოღუა**

**ნოდარ ქაქაბაძე**

**ზურაბ კიქნაძე**

**ვანუშტი კობახიშვილი**

**როვან მიმინოშვილი**

**გიორგი ნიშნიანიძე**

**ოთარ ნოდია**

**დალი შანჯიკიძე**

**რუსუდან ქვიციანი**

**იორაბ ქვიციანი**

**ნიკო ყიასაშვილი**

**გივი შავნაზარი**

**გივი ქნელიძე (მთ. რედ. მოადგილე)**

**დავით წარუდიანი**

**ნუგზარ წარუთელი**

**თამაზ წიფიშაძე**

**რაფო ჭიჭიანი**

ბაკაძანში: ოთო მიუღარი, ავტოკორექტი უიშვალ ნატურასთან.

მხატვარი ა. თოდია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნოლოგიური რ. იმნაიშვილი  
გამომშვები ნანა ბარათია


ჩვენი მისამართი: თბილისი, 360007, დადიანის ქ. № 2  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31, პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22  
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გაღ. წარმ. 8. 09. 88 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 12. 12. 88 წ., ქაღალდის ზომა 70x108<sup>1/16</sup>  
საღრ. თ. 22,55. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7 ტირ. 10 000. შეკვ. № 2272.

ფასი 1 მან. 80 კაპ.

ხაქ. კა. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის  
ორდენოხანი ხტამბა, თბილისი, ლენინის 14.

# ერნსტ თეოდორ ამაღლი კოფმანი ქალბატონი სკიუდერი



მოთხრობა. გერმანულიდან

თარგმნა ნონა კალანდარიანი

გადალინა სკიუდერი, მეტად მშვენიერი ლექსების ავტორი, სენტ-თნორეს ქუჩაზე, ლუდოვიკო XIV-ისა და მენტენონის მიერ ნაბოძებ პატარა სახლში ცხოვრობდა.

1680 წლის შემოდგომაზე, ერთხელ, შუალამისას, მისი სახლის კარზე ისეთი ბრახუნი გაისმა, წინკარიც კი ჩანჩარებდა.

ბატისტი, სკიუდერის სახლში მზარეულის, ლაქისა და მეკარის მოვალეობას რომ ასრულებდა, თავის ქალბატონს დასთხოვნოდა და სოფელში, დის ქორწილში წასულიყო. ქალბატონის სირისფარეში მარტინიერს ეღვიძა, კარზე ბრახუნი არ წყდებოდა, ქალმა ყური მიუგდო და ახლავა მოავონდა, რომ ბატისტი შინ არ იყო და მის ქალბატონსა და მას, შინ მარტო დარჩენილებს, შემწე არავენ ჰყავდათ. მოავონდა ყველა ბოროტმოქმედება, ძარცვა, მკვლელობა, რაც კი ოდესმე პარიზში მომხდარა და ახლა ეჭვშიაც კი არ იყო. ამ განმარტოებულ სახლს შეტყმულნი შემოხვეოდნენ და შინ შემოუშვებდა თუ არა, თავიანთ ბოროტ განზრახვას შეისრულებდნენ. ოთახიდან ფებს ვერ იცვლიდა, მთლად ცახცახებდა და სწყევლიდა ბატისტსა და მისი დის ქორწილსაც. კარზე ბრახუნი არ წყდებოდა. ამ ბრახუნში კაცის ვედრება ესმოდა: „გამიღეთ კარი, ღვთის გულისათვის გამიღეთ კარი!“

ბოლოს მარტინიერმა ცახცახით წამოაგლო ხელი ანთებულ სანთელს და წინკარში გავიდა. აქ უფრო გამოკვეთილად გაიგონა: „ღვთის გულისათვის, გამიღეთ კარი!“ „ყაჩაღები ეგრე როდი იხვეწებიან! — გაიფიქრა ქალმა. — იქნებ ვინმეს ყაჩაღები მოსდევენ და ჩემს ქალბატონს თავშესაფარს სთხოვს. იციან მისი კეთილი გულის ამბავი. ოღონდ სიფრთხილე საჭირო.“ გამოაღო ფანჯარა, ხმა განგებ დაიბოხა და მამაკაცივით ჰკითხა: ამ შუალამისას ვინ გვიმტვრევს კარს და ძილს ვინ გვიფრთხობსო. შავი ღრუბლებიდან მოკიაფე მთვარის შუქზე დაინახა მაღალ-მაღალი კაცი. ტანთ ღია ხაცრისფერი ლაბადა წამოესხა. ფართოფარფლებიანი შლაპა თვალებზე ჩამოეფხატებინა. ქალმა ისე ხმამაღლა დაიძახა, რომ ქვემოთ მდგომს გაეგონა:

— ბატისტ, ელოდ პიერ. წამოდექით და შეხედეთ, ეს უსაქმო, ესა, როგორ გვიმტვრევს კარს! — მაგრამ ქვემოდან ნაზი, საბრალობელი ხმა გაისმა:

1 იბეჭდება მცირე შემოკლებით

789867

— ოპ, ძვირფასო მარტინიერ, როგორადაც არ უნდა შეიცვალოთ, ხმა, მე ხომ ვიცი, ეს თქვენა ხართ. ბატისტი სოფელშია წასული და თქვენა და თქვენი ქალბატონი მარტონი ხართ, კარი გამიღეთ, ახლავე, ამ წუთში უეჭველად უნდა ველაპარაკო თქვენს ქალბატონს.

— რას ამბობთ! — მიუგო მარტინიერმა. — ამ შუალედსას ვინდათ ველაპარაკოთ ჩემს ქალბატონს? მერე არ იცით, რომ იმას კარგად ხედავენ და ვერასგზით ვერ გავალვიძებ, ვერ დავუფრთხობ პირველ ტყბილ ძილს, ეგრე რომ სჭირდება მის ხნოვანებაში?

— ვიცი, — მიუგო ქვემოთ მდგომმა. — ვიცი, თქვენი ქალბატონი გულმოდგინედ მუშაობდა თავის რომან „კლელიაზე“. მაგრამ ახლა გადასდო და ამთავრებს ლექსებს. ხვალ მარკიზა დე მენტენონს რომ უნდა წაუკითხოს ყველა წმინდანს გაფიცებთ, მარტინიერ, მოილოთ მოწყალება და კარი გამიღოთ. უბედური კაცი ხსნას ელის, ღირსება, თავისუფლება, თვით სიცოცხლე კაცისა იმ წუთებზე და მოკიდებული, მე რომ თქვენს ქალბატონს ველაპარაკები, აბა დაფიქრდით, განა როდესმე გაბატებთ, რომ გაიგოს, რა გულქვაობა გამოიჩინეთ, რომ მასთან დახმარების სათხოვნელად მისული უბედური კაცი გააგდეთ?

— მერე ეგრე უდროოდ დროს რად მოდიხართ? აღარ გათენდებოდა? — თქვა მარტინიერმა, მაგრამ ხმამ ქვემოდან უბასუხა:

— ეგ სულ ერთია, როდის დაეცემა კაცს თავზე მეხი. წუთები მაქვს დარჩენილი, დაყოვნება აღარ შემიძლია, კარი გამიღეთ, ნუ გეშინიათ უბედური, უმწეო, ყველასაგან მიტოვებული კაცისა, საშინელი ხვედრი რომ ელის, აქ იმისთვის მოვედი, მინდა თქვენს ქალბატონს შევევადრო: მიხსნას დასაღუპავად განწირული.

მარტინიერმა გაიგონა, ამ სიტყვებზე კაცმა როგორ ამოიკვნესა და აქვითინდა, რბილი, გულში ჩამწვდომი, ჭაბუკის ხმა ჰქონდა შეებრალა ვაჟი და აღარც კი შეყოვნებულა, გასაღები გამოიტანა.

კარის გაღებისთანავე ლაბადიანი კაცი წინკარში შემოიჭრა, წინ გაუსწრო მარტინიერს და ველურივით დაუღრიალა:

— თქვენს ქალბატონთან მიმიყვანეთ!

შეშინებულმა მარტინიერმა სანთელი ასწია, შუკი ჭაბუკის დამანკულ, მკვდრისფერ სახეს დაეცა. მარტინიერმა შიშისაგან კინალამ კონება დაჰკარგა, როცა კაცმა ლაბადა გადაიწია და კურკატის სარჩულიდან მახვილის ლაბლაბა სახელური გამოჩნდა, ჭაბუკმა თვალები მიანათა და უფრო ხმამაღლა დაუღრიალა:

— მე თქვენ გეუბნებით, შემიყვანთ თუ არა თქვენს ქალბატონთან?

მარტინიერმა წარმოიდგინა, რა საშინელი საფრთხე ელოდა მის ქალბატონს, სიყვარულმა თავისი ნაზი, კეთილი დედისადმი უფრო ძლიერად გაიდვიდა მის გულში და სიმამაცე შემატა. სწრაფად მიხურა ღიად დარჩენილი ოთახის კარი, წინ გაუჩერდა და მტკიცედ უთხრა:

— თქვენი ბობოქრობა სულ არ ეთანხმება თქვენს მუდარით ნათქვამ სიტყვებს, ქუჩაში რომ ამბობდით და თავი შემაბრალებთ, ახლა თვალითაც ვერ იხილავთ ჩემს ქალბატონს და ვერ დაელაპარაკებით, თუ ავი განზრახვა არ გიდევთ გულში და დღის სინათლისა არ გეშინიათ, მოდიით ხვალ დილით და უამბეთ თქვენი გასაჭირი, ახლა კი აქედან დაიკარგეთ!

კაცმა მძიმედ ამოიხვნეშა. ბრიალა თვალები მიაპყრო მარტინიერს და ხელი წაივლო მახვილის ვადაზე. მარტინიერმა უხმოდ მიანდო სული ეფაღს, მაგრამ წარბშეუბრელად. თამამად შესცქეროდა თვალეში და კარს ეკეროდა, საიდანაც ეს კაცი მის ქალბატონთან უნდა შესულიყო.

— გუბნებით, შემოშვით-მეთქი თქვენს ქალბატონთან! — *სხენქ ჰუნდლანდლა ბიზ ლინქსენ*  
კაცმა.

— რაც გინდათ, ის მიყავით, — მიუგო მარტინიერმა. — აქედან ფეხს არ მოვიცვლი. დაასრულეთ დაწყებული ავი საქმე, თქვენა და თქვენს წყეულ ამხანაგებს სამარცხვინო სიკვდილი არ აგცდებათ გრევის მოედანზე.

— ოჰ! — იყვირა კაცმა. — თქვენ მართალი ხართ, მარტინიერ! ბოროტმოქმედ ყაჩაღებით, კაცისმკვლელებით ვარ შეიარაღებული, მაგრამ ჩემი ამხანაგები ჯერ არ დაუსჯიათ სიკვდილით. არა, ჯერ არ დაუსჯიათ.

ამ სიტყვებზე თვალეები დაუბრიალა შიშისაგან გათავებულ ქალს და მახვილი იძრო.

— ღმერთო ჩემო! — იყვირა დარტყმის მოლოდინში, მაგრამ ამ დროს ქუჩაში იარაღის ქლარუნი და ნალების თქარათქური გაისმა. — ესენი გუშაგები არიან! გუშაგები! მიშველეთ! მიშველეთ! — იყვირა მარტინიერმა.

— ბოროტო დედაკაცო! ჩემი დაღუპვა გწადია! დამთავრდა ყველაფერი, ყველაფერი დამთავრებულია! აჰა, გამომართვი, გამომართვი! შენს ქალბატონს გადაეცი ახლავე... თუ გინდა ხვალ დილით, — წაიბურტყუნა, მარტინიერს სასანთლე გამოსტაცა, სანთელი ჩააქრო და რაღაც ყუთი მიაჩეჩა ხელში. — უფალმა გაანათლოს შენი სული, ეს ყუთი შენს ქალბატონს გადაეცი! — უთხრა და სახლიდან აავარდა.

იატაკზე დავარდნილი მარტინიერი ძლივს წამოდგა და სიბნელეში ცეცებ-ცეცებით მიაღწია თავის ოთახამდე. ყვირილის თავიც აღარ ჰქონდა, ულონოდ ჩაეშვა სავარძელში. უცბად სადარბაზოს კარში დარჩენილი გასაღების გადატრიალების ხმა ვაიგონა. კარი დაიკეტა. წყნარი, გაუბედავი ნაბიჯების ხმა მის ოთახს უახლოვდებოდა. ქალი ველარ ინძრეოდა. რაღაც საშინელების მოლოდინში ერთ ადგილს მიეყინა.

მაგრამ ადვილად წარმოიდგენთ, რაც განიცადა, როცა კარი გაიღო და სანთლის შუქზე კეთილი ბატისტი დაინახა. ვაოცებულ კაცს მკვდრისფერი ედო სახეზე.

— გაფიცებთ ყველა წმინდანს, ყველა წმინდანს გაფიცებთ, მარტინიერ, მითხარით, რა მოხდა? არ ვიცი, რა იყო, მაგრამ რაღაც შიშმა შემოიპყრო და კორწილიდან გულმა აქეთ გამომიწია. მოვედი ჩვენს ქუჩაზე. ვფიქრობ, მარტინიერმა ფიზელა ძილი იცის, კარზე წყნარად დავაკაკუნებ და გამიღებს-მეთქი. უცბად გუშაგებს გადავაწყდი — ცხენოსნებს, ქვეითებს, თავით ფეხამდე იარაღში ჩამსხდრებს, შემაჩერეს, არ მიშვებენ. ბედად იქვე ლეიტენანტი დეგრე გაჩნდა. კარგად მიცნობს. ფარანი რომ მომანათეს, თქვა: — „შენ ბატისტი არა ხარ? ამ ღამე რას დაეხეტები? არ გერჩივნა, შინ მჯდარიყავი და სახლისათვის გეყარაულა? აქ საშიშია. იმედი გვაქვს, ამაღამ კარგ ნადავლს ვიგდებთ ხელთ“. მარტინიერ, ვერც კი წარმოიდგენთ, ეს სიტყვები როგორ მომხვდა გულზე. აი, უკვე კარის ზღურბლთან ვდგავარ და სახლიდან გამორბის ლაბადაში გახვეული კაცი. ხელში მახ-

ვილი უელავს. მუბლები მომეკვეთა... კარი ღიაა. ვასალები კარებშია. მიტხარით, რა მოხდა?

მარტინიერს ელდამ გაუთავა და ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა. ისა და ბატისტი წინკარში გამოვიდნენ და სასანთლე იპოვეს. იმ უცნობ კაცს გაქცევისას იატაკზე რომ დაეარდნოდა.

— ეჭვიც აღარ მეპარება, რომ ჩვენს ქალბატონს <sup>განსაკუთრებით</sup> და მოკვლასაც კი უპირებდნენ. იმ კაცმა, როგორც შენ ყვები, იცოდა, რომ დღეს შინ მხოლოდ თქვენა და თქვენი ქალბატონი იყავით. ისიც კი იცოდა, რომ ვერ არ ეძინა და წერდა. შევკვლად ვინმე თაღლითი, მძარცველი იქნებოდა. მაგათ მოესურვებათ თუ არა, შეუძლიათ, რომელ სახლშიც უნდათ შეიჭრან და ეშმაკურად გაიგონ, რაც მათი სატანასეული საქმისათვის სჭირდებათ. ეგ ყუთი, მარტინიერ, მე მგონი, წინკარში დაემალათ. ვინ არის თავდები, რომ ვინმე თავზეხელაღებული ავაზაკი არ დაესამის თავს ჩვენს კეთილ ქალბატონს და ყუთი რომ ვახსნას, მკვდარი არ დაეცეს, როგორც მოხუც მარკიზ დე ტურნეს დაემართა, უცნობის მიცემული წერილი რომ ვახსნა.

ბოლოს, დიდი ბჭობის შემდეგ, ერთგულმა მსახურებმა გადაწყვიტეს დილით ყველაფერი ეამბნათ თავიანთი ქალბატონისათვის, გადაეცათ მისთვის საიდუმლო ყუთი და ფრთხილად გაეხსნათ.

გულმოდგინედ რომ ასწონ-დაასწონეს ყოველი ვითარება საეჭვო უცნობის გამოცხადებისა, დაასკვნეს, აქ იქნებ ისეთი საიდუმლოება იმალება, რასაც ჩვენ ვერ ჩავწვდებითო, და მისი ახსნა ქალბატონს მიანდეს.

ბატისტის შიშს მეტად სერიოზული საფუძველიც ჰქონდა. სწორედ იმ ხანებში პარიზი უსაზიზღრეს ბოროტმოქმედებათა ადგილად იქცა. გერმანელი მეაფთიაქე გლაზერი, თავისი დროის საუკეთესო ქიმიკოსი, ალქიმიურ ცდებს ატარებდა, რაც ხშირად იტაცებდა ხოლმე მისი ხელობის ადამიანებს. იგი ცდილობდა, ფილოსოფიური ქვა ეპოვა. მას დაუკავშირდა იტალიელი ექსილი, მაგრამ ალქიმია მისთვის სხვა საქმიანობათა საბაბი ვახდა. სწავლობდა შხამიან ნივთიერებათა მიღების ხერხებს, რითაც იმედოვნებდა, კეთილი ცხოვრება მოეწყო. ბოლოს მოახერხა ისეთი შხამის მომზადება, რომელსაც არც სუნი ჰქონდა, არც გემო. მაშინვე, ან ნელ-ნელა ჰკლავდა და არავითარ კვალს არ სტოვებდა ადამიანის ორგანიზმში. ყველაზე გამოცდილი ექიმები და მეცნიერებიც კი ვერ ხვდებოდნენ მოწამლულობას და ადამიანის სიკვდილს რაიმე ბუნებრივ მიზეზს მიაწვრდნენ.

ექსილი ძალიან ფრთხილობდა, მაგრამ მაინც ეჭვი მიიტანეს, საწამლავს ჰყიდისო და ბასტილიაში ჩაავდეს. მალე იმავე კაზემატში უკრეს თავი კაპიტან გოდენ დე სენტ კრუასაც. მას კარგა ხანია სიყვარულის ძაფები გაება მარკიზა დე ბრენვილიესთან, ოჯახის შემარცხვენელთან. თვით მარკიზი გულგრილად უყურებდა თავისი მეუღლის საქციელს, მაგრამ ქალის მამა, დრიოდ, ობრე, პარიზის სასამართლოს ზვიადი მოხელე, ისე იყო აღშფოთებული ქალიშვილის საქციელით, რომ კაპიტანი დააპატიმრებინა და ამით დაამორჩა ერთმანეთს დამნაშავე ქალ-ვაჟი.

კაპიტანს — ვნებიან, მაგრამ უნებისყოფო, ფარისევლურად ღვთისმოსავ, ჰაბუკობიდანვე ათასგვარ ცოდვებისაკენ მიდრეკილს, ეჭვიან, სიგიჟემდე შურისმაძიებელ კაცს შიგ გულში ჩასწვდა ექსილის ეშმაკისეული საიდუმლო, რაც თავისი მტრების განადგურებაში გამოადგებოდა. იგი იტალიელის ბეჭითი



მოწაფე გახდა. მალე თავის მასწავლებელს ტოლს აღარ უღებდა და ბასტი-  
ლის ციხიდან გამოშვებულს შეეძლო მარტოც ემუშავა.

ბრენვილიე უზნეო ქალი იყო. სენტ კრუამ იგი ურჩხულად აქცია. ნელ-  
ნელა იქამდე მიიყვანა, რომ ჯერ საკუთარი მამა მოწამლა, რომელთანაც გადა-  
სახლდა და მლიქვნელური ზრუნვით აავსო, მერე — ორივე ძმაც ბრენვილიეს  
მამა შურისძიებით მოკლა; დანარჩენები — სიმდიდრისათვის მხოლოდ უფრო  
ხეზოდ, მხოლოდ საკუთარი კმაყოფილებისათვის მომწამვლელნი ხშირად  
ჰკლავდნენ ადამიანებს, რომელთა სიკვდილ-სიცოცხლე იმათთვის სულ ერთი  
იყო. რამდენიმე გაჭირვებული ადამიანის მოულოდნელმა სიკვდილმა ოტელ-  
დიეში. ბოლოს ეჭვი აღძრა, რომ პური, ყოველკვირა რომ არიგებდა აქ ბრენ-  
ვილიე ღვთისმოსაობითა და ღვთისმოშიშობით, მოწამლული იყო. თურმე  
შხამს დებდა ასევე მტრედის პაშტეტში და თავის სტუმრებს უმასპინძლდებოდა.

კავალერე ლიუ გე და ბევრი სხვანი ამ ჯოჯოხეთური გამასპინძლების  
მსხვერპლნი გახდნენ. კაპიტანმა სენტ კრუამ, მისმა თანაშემწემ ლა შოსმა  
და მარკიზა ბრენვილიემ დიდხანს შესძლეს საიდუმლოდ შეენახათ თავიანთი  
საზარელი ბოროტმოქმედებანი. მაგრამ განა სულმდაბალ ადამიანთა ცბიერება  
აჯობებს ყოველისშემძლე ღმერთს, თუ იგი მოინდომებს, აქვე, დედამიწაზე და-  
საჯოს ადამიანები? სენტ კრუას მიერ მომზადებული საწამლავი ისეთი ძა-  
ლით გამოიჩნეოდა, ფხვნილი (პარიზელები მას „Poudre de Succession“<sup>1</sup>-ს  
ეძახდნენ) მომზადების შემდეგ თავლია რომ დარჩენილიყო, ერთ ჩასუნთქვა-  
ზე მოკლავდა კაცს. ამიტომ იყო, რომ სენტ კრუას თავისი ოპერაციების დროს  
მინის ნილაბი ეკეთა. ერთხელ ის იყო, მომზადებული საწამლავი ფხვნილი შუ-  
შაში უნდა ჩაეყარა, ნილაბი დაუცურდა, შხამიანი ფხვნილი შეისუნთქა და  
მაშინვე მკვდარი დაეცა. მას მემკვიდრეები არა ჰყავდა და სასამართლო ხე-  
ლისუფალთ მაშინვე გახსნეს მისი ქონება. ერთ ყუთში მომაკვდინებელი შხა-  
მის მთელი არსენალი აღმოჩნდა, აღმოაჩინეს ბრენვილიესადმი მიწერილი  
წერილებიც, რაც ეჭვს აღარ იწვევდა მათ დანაშაულში. ქალი ლიეჟში გაიქცა  
და მონასტერს შეაფარა თავი. მას დაედევნა პოლიციის ოფიცერი დეგრე.  
სასულიერო პირად გადაცმული მივიდა მონასტერში, მოახერხა ეს საშინელი  
ქალი სიყვარულის ბაღეში გაება და ქალაქის მახლობლად განმარტოებულ  
ბაღში შეხვედრა დაენიშნა. მივიდა თუ არა იქ, ალყა შემოარტყეს დეგრეს რაზ-  
მელებმა. შეყვარებული ეკლესიის მსახური კი უცბად ოფიცრად იქცა და  
აიძულა ბალის ჭიშკართან გაჩერებულ კარეტაში ჩამჯდარიყო და მაშინვე  
პარიზში წაიყვანა. ლა შოსესათვის თავი მოეკვეთათ, ბრენვილიესაც ასეთივე  
სიკვდილი ერგო. თავის მოკვეთის შემდეგ მისი სხეული დაწვეს და ფერფ-  
ლი პაერში გაფანტეს.

პარიზელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, რადგან ეს ურჩხული თავისი  
იდუმალი სასიკვდილო იარაღით განურჩევლად ელეტდა მტრებსაც და მეგობ-  
რებსაც. მაგრამ მალე იმ წყეულ სენტ კრუას საშინელ საქმეებს გამგრძელე-  
ბელი აღმოუჩნდა. კაცი რომ გუშინ ჩანსადი და სიცოცხლით სავსე იყო, დღეს  
ავადყოფი და ძალღონეგამოცლილი ფეხზე ძლივს იდგა და ექიმთა ყოველი  
ხელოვნება ამას იყო სიკვდილისაგან მის დასახსნელად. სიმდიდრე, სარფიანი  
თანამდებობა, ლამაზი ან ახალგაზრდა ცოლი საკმარისი იყო, რომ თვალში

<sup>1</sup> ფხვნილი მემკვიდრეთათვის (ფრანგ.)

ამოეღოთ და მოეკლათ. ყველაზე საშინელი ის იყო, უნდობლობა სწყვეტდა წმიდათა წმიდა კავშირებს. ქმარი ცაბცახებდა ცოლის წინაშე, მამა — შვილის, და — ძმის წინაშე. მეგობარი მეგობარს ველარ უმასპინძლდებოდა პარს არავინ აკარებდა მის მირთმეულ ღვინოსა და საჭმელს. თუ წინათ მზიარულებასა და ხუმრობაში ატარებდნენ დროს, ახლა ერთმანეთს ეჭვიანურობდნენ და აღარ ენდობოდნენ. შეშინებული ოჯახის მამები შორეულ ქუჩებში ყიდულობდნენ სანოვავეს და საკუთარ ოჯახში ლალატის შიშით რომელიღაც ჭუჭყიან დუქანში იმზადებდნენ საჭმელს, მაგრამ ზოგჯერ ეს წინდახედულება და სიფრთხილეც კი ვერ შევლოდათ.

ბოლო რომ მოელო ამ ბოროტმოქმედებისათვის, მეფემ განსაკუთრებული სასამართლო შექმნა, რომელსაც ვეალებოდა ამ იდუმალ დანაშაულსა გაბსნა და დამნაშავეთა დასჯა. ეს ეგრეთ წოდებული *Chambre ardente*<sup>1</sup> იყო, რომლის სხდომებიც ბასტილიის მახლობლად იმართებოდა, და თავმჯდომარე გახლდათ ლ'არენი...

იმ დროს, როდესაც გრევის მოედანზე ნაკადულივით ჩქეფდა დამნაშავეთა და ეჭვმიტანილთა სისხლი და ბოლოს იდუმალი მოწამვლის შემთხვევებმა თანდათანობით იკლო, სხვა სახის უბედურება დატრიალდა:

მძარცველთა ბანდას თითქოს მიზნად დაესაბა მთელი ქვეყნის საგანძურის ბელში ჩაგდება, კაცი ძვირფასი სამკაულის ყიდვას ვერც კი მოასწრებდა, რა ფრთხილადაც არ უნდა მოქცეულიყო, მაშინვე ართმევდნენ. მაგრამ ყველაზე საშინელება ის იყო, ვინც კი საღამოს სამკაულებით მორთული გარეთ გამოსვლას გაბედავდა, გაძარცვავდნენ და მოკლავდნენ ქუჩაში, ან სახლის რომელიმე ჩაბნელებულ სადარბაზოში. ცოცხლად გადარჩენილები ყვებოდნენ, თავში მოულოდნელი მუშტის ჩარტყმისაგან გაბრუებულები როგორ ეცემოდნენ მიწაზე. გონს რომ მოეგებოდნენ, უკვე გაძარცვულები იყვნენ და იქ კი არ იმყოფებოდნენ, სადაც თავში ჩაარტყეს, სულ სხვაგან. ყველა მოკლულს, რომელთაც თითქმის ყოველ დილით კრეფდნენ ქუჩებში და სახლების სადარბაზოებში, მახვილით მიყენებული ერთი და იგივე ტრილობა ჰქონდა შიგულში. ექიმის აზრით, დარტყმა ისე სწრაფი და ზუსტი იყო, კაცი დაყვირებასაც ვერ მოასწრებდა. ლუდოვიკო XIV-ის ბრწყინვალე სამეფო კარზე აბავის არ შემთხვევია: სიყვარულის ბადეში გაბმული შეპარულიყო შუალამისას საყვარელთან და მდიდრული საჩუქარი მიეტანა მისთვის?

გეგონებოდათ, ეშმაკთან შეკრულები არიანო, მძარცველებმა ზუსტად იცოდნენ, როდის მიეცემოდათ ამგვარი შემთხვევა. ხშირად უბედური იმ სახლამდე ვერც კი მიაღწევდა, სადაც სიყვარულის ბედნიერებით უნდა დამტკბარიყო, ჭიშკრის ზღურბლთანვე ეცემოდა, ხან საყვარლის ოთახის კართანაც და შეძრწუნებული სატრფოც მის გასისხლიანებულ გვამს გადააწყდებოდა ხოლმე.

ამაო იყო პოლიციის მინისტრის ლ'არჟანსონის ბრძანება, დაეპატიმრებინათ პარიზში ყველა ეჭვმიტანილი, ამაოდ მძვინვარებდა ლ'არენი, რომ ვინმე გამოეტეხა, ამაოდ გააძლიერეს დაცვა, ბოროტმოქმედთა კვალს მაინც ვერ მიაგნეს.

ზოგიერთები თავით ფეხამდე შეიარაღებულნი გამოდიოდნენ შინიდან,

<sup>1</sup> ცეცხლოვანი ოთახი (ფრანგ.).

წინ ჩირაღდნით ხელში მსახური მოუძლოდათ. მაგრამ ეს საფრთხილზე ყოველთვის ვერ შევლოდათ, რადგან მსახურს ქვეს ესროდნენ. გააქცევდნენ და მაშინვე კლავდნენ და ძარცვავდნენ მის ბატონს.

საოცარი იყო ისიც, რომ მიუხედავად ჩხრეკისა, სადაც კი შეიძლება გაეყიდათ ძვირფასეულობა, მოპარულ ნივთებს ვერ პოულობდნენ. ამიტომაც ვერ აწყდებოდნენ დამნაშავეთა კვალს.

დეგრე ცოფებს ჰყრიდა. ათასგვარი ხერხი მოიგონა, მაგრამ მასაც ატყუებდნენ. ქალაქის იმ კვარტალს, სადაც თვითონ იმყოფებოდა იმ წუთს, საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ სწორედ იმ კვარტალებში, სადაც ცუდს არავინ ელოდა, მძარცველი მკვლელები თავიანთ მსხვერპლს უთვალთვალეობდნენ.

დეგრემ ეშმაკობა იხმარა, რამდენიმე დეგრე შექმნა, რომლებიც ისე ჰგვანდნენ ერთმანეთს სიარულით, ქცევით, ლაპარაკით. გარეგნულად, რომ თვით ჯამუშებიც კი ვერ გამოიცნობდნენ ნამდვილ დეგრეს. თვითონ კი ამ დროს თავს საფრთხეში იგდებდა. ბნელ ქუჩაბანდებში იმალებოდა და თვალს ადევნებდა იმათ, ვისაც მისი ბრძანებით ძვირფასი ნივთები მისცეს. მაგრამ ამ კაცს თავს არავინ ესხმოდა: ესე იგი, მძარცველები მიუხვდნენ ეშმაკობას! დეგრე სასოწარკვეთილებას მიეცა.

ერთ დღით პრეზიდენტ ლ' არენისთან მივიდა ფერმკრთალი, ნერვებმოშლილი, გააფთრებული და ქკუაზე გადასული.

— რა დაგემართათ? რა არის ახალი? იპოვეთ კვალი? — მიაძახა პრეზიდენტმა.

— ოპ. ბატონო პრეზიდენტო, — დაიწყო დეგრემ გააფთრებისაგან ენის ბორძიკით. — ოპ. ბატონო, წუხელ ლუვრის მანლობლად, ჩემს თვალწინ დაესხნენ თავს მარკიზ ლა ფარს.

— ოპ, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა გახარებულმა ლ' არენიმ. — ისინი ჩვენს ხელთაა!

— მომისმინეთ! — მწარე ღიმილით გააწყვეტინა დეგრემ. — ჯერ მომისმინეთ, როგორ დაიწყო ყველაფერი. ვდგევარ ლუვრთან და ვუთვალთვალე იმ ეშმაკისეულებს, მე რომ დამცინიან, გული შხამითა მაქვს სავსე. ვხედავ, მოდის არეული ნაბიჯებითა და აქეთ-იქით იყურება. სულ ახლოს ჩამიარა, მაგრამ ვერ მიცნო. მთვარის შუქზე მარკიზ დე ლაფარი ვიცანი. ველოდი მის გამოჩენას. ვიცოდი, საითაც მიდიოდა, მაგრამ ათი ნაბიჯიც არ გაევილო, უცბად, თითქოს მიწიდან ამოძვრა ვილაც, მივარდა და მიწაზე დასცა. მკვლელი ლამის ჩემს ხელთ იყო, მაგრამ ამ მოულოდნელი ამბით გაშტერებულმა ვიყვირე და ის იყო უნდა მესკუპა, მივვარდნოდი ჩემი სათვალთვალოდან, რომ ლაბადაში გახლართული დავეცი. ვხედავ, ქარივით მიჰქრის კაცი. წამოვდექი, გავრბივარ, რომ დავეწიო. საყვირს ვუკრაფ. შორიდან სასტვენით მეხმაურებიან ჩემი მცველები. ისმის იარაღის ეღარუნე, ცხენების თქარათქური.

„აქეთ, აქეთ დეგრე! დეგრე!“ — ვყვირი ქუჩაში. კაცი ისევ გარბის მთვარის შუქზე ჩემ წინ და თავგზა რომ ამიროს, ხან აქეთ მიაწყდება, ხან იქით, ნიკეზის ქუჩაზე გამოვედიოთ. იმას თითქოს ძალ-ღონე ეცლება, მე კი შემატება... ჩვენს შორის თხუთმეტე ნაბიჯი თუ იქნება.

— თქვენ ეწვევით... ხელს სტაცებთ. შორბიან მცველები! — უბარია ლ' არენის, თვალები უბრწყინავს და დეგრეს ხელში სწვდება, თითქოს ის იყოს გაშსაყალი მკვლელი.

— თუთმეტი ნაბიჯი. — ყრუ ხმით განავრძობს დეგრე, სულს ძლივს ითქვამს. თუთმეტი ნაბიჯილა გვაშორებდა ერთმანეთს, რომ ეს კაცო ჩრდილოეთისაკენ გაიქცა და კედელში გაუჩინარდა.

— გაუჩინარდა? კედელში? აომ არ შეიშალეთ? — იყვირა ლ'არენიმ. — ორი ნაბიჯით უკან დაიხია და ხელი ხელს შემოჰკრა.

— რაც გინდა მიწოდეთ. — დეგრემ შუბლი მოისრუნა. ბოროტი ფიქრები რომ აწვალებენ. — ბატონო პრეზიდენტო, მიწოდეთ უჭკუო, სულელი, მაგრამ როგორც გეუბნებით, ყველაფერი ისე მოხდა. თავზარდაცემული ვდგავარ კედელთან, მოირბინეს სუნთქვაშეკრულმა მცველებმა. მათთან ერთად გონს მოსულმა მარკიზ დე ლა ფარმა გაშიშვლებული დაშნით ხელში.

ჩირალდნებს ვანთებთ, ხელით ვსინჯავთ კედელს — არც კარი ატყვია, არც ფანჯარა, არც ხვრელი. სწელი ქვის კედელია. გარს არტყია სახლს, ეზოს. ამ სახლშიც ისეთი ადამიანები ცხოვრობენ, მცირეოდენ ექვსაც რომ ვერ მიიტან. დღეს კარგად დავათვალიერე ყველაფერი, თვით ეშმაკი გვაცურებს.

დეგრეს ამბავი მთელმა პარიზმა გაიგო. ყველანი გრძნეულებაზე, ჯადოზე, ბოროტმოქმედთა — ლა ვუაზენის, ლე ვიგურეს, მღვდელ ლე საჟის ეშმაკთან შეკვრაზე ლაპარაკობდნენ. მღვდელს სახელი პქონდა გატეხილი ბოროტმოქმედებით როგორც ეს, საერთოდ, ადამიანის ბუნებას სჩვევია. ზებუნებრივისაკენ, ჯადოქრულისაკენ სწრაფვამ გონიერებას სძლია და მალე ისიც ირწმუნეს, რომ თვით ეშმაკი, როგორც გაღიზიანებულმა დეგრემ თქვა, იცავდა უკეთურთ, რომელთაც მისთვის სული მიეყიდათ. ადვილი წარმოსადგენია, დეგრეს ამბავი როგორ შეალამაზეს სულელური განონავგონებით. ეს ამბავი, მას რომ შეეშთხვა — თან ეშმაკის, საზიზღარი არსების აღწერაც დაურთეს — დაიბეჭდა და ყოველ კუთხეში იყიდებოდა. ამან ხალხი ისე შეაშინა და ლაჩრებად აქცია, თვით მცველებიც კი დამფრთხლები და შეშინებულები დადიოდნენ ლამდამობით ქუჩებში ავგაროზებჩამოკიდებულნი და „წმინდა წყლით“ გულგამაგრებულნი.

დ, არჟანსონმა რომ დაინანა, ამას იყო *Chambre ardente*-ს მცდელობა. მეფეს სთხოვა უფრო მეტის ნდობით აღჭურვილი სამართალი შეექმნა, რომელიც გამოამჟღავნებდა და დასჯიდა ამ ახალ ბოროტმოქმედთ. მეფე დარწმუნებული იყო, რომ *Chambre ardente*-საც მეტად დიდი უფლებანი მიანიჭა და წებრწუნებულმა ადამიანთა ამდენი დასჯით, სისხლისმსმელი ლ'არენის ბრძანებით რომ ხდებოდა, გადაჭრით უარი თქვა ამ განზრახვაზე.

მაშინ მეფისთვის სხვა ზომები რომ მიეღებინებინა, ერთი რამ იღონა:

მენტენონის ოთახში, საცა მეფე, ჩვეულებისამებრ, საღამოებს ატარებდა როლმე და ზოგჯერ შუალამემდეც კი რჩებოდა თავის მინისტრებთან ერთად, შეშინებულ შეყვარებულთა ლექსი გადასცეს: როგორც თავაზიანობა მოითხოვს, სატრფოს მდიდრული საჩუქარი თუ მივართვით, სიცოცხლეს საფრთხეში ვიგდებთ. რაინდს ღირსების საქმედ მიაჩნია ბრძოლაში სატრფოსთვის სისხლი დაღვაროს, მაგრამ საშინელებაა, ჩასაფრებული, ცბიერი მკვლელის ხელით სიკვდილი, როცა თავსაც კი ვერ დაიცავო. დეე ლუდოვიკომ, სიყვარულის შუქით მოსილმა ბრწყინვალე ვარსკვლავმა, თავისი კაშკაშა სხივებით გაჟფანტოს ღამის წყვდიადი და საბურველი ჩამოჰგლიჯოს მასში ჩაბუდებულ შავ იდუმალებას. მტრის რისხვა ღვთაებრივმა გმირმა ახლაც იშვიშლოს ლაპლაპა მახვილი და ვით პერკულესმა დაამარცხა ჰიდრა, თეზევსმა — მინოტავრი,

მოსპოს საშინელი ურჩხული. სიყვარულს რომ ჰკლავს, ჩრდილს აფენს მას და ღრმა მწუხარებად, უნუგეშო დარდად აქცევს.

ლექსი თუმცა სერიოზულ საქმეს ეხებოდა, არ აკლდა სილაღე და მახვილგონიერება. განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც აღწერილი იყო მ/შს განიცდიან შეყვარებულები, როცა თავიანთ სატრფოებთან მიეპყრებიან. შიში როგორ ჰკლავს სიყვარულის ყოველ სახარულს, სიყვარულს სავლებს. ბოლოს ყოველივე ეს ლუდოვიკო XIV-ის ჭებათა-ჭებით მთავრდებოდა.

მეფეს ლექსი ძალიან მოეწონა. წაიკითხა და ისევ ხელში ეჭირა, თვალს ვერ აშორებდა. მერე მენტენონისაკენ შემოტრიალდა, ერთბაშად კიდევ წაიკითხა ამაძალდა და თავაზიანი ღიმილით ჰკითხა: საფრთხეში ჩავარდნილ შეყვარებულთა ამ სურვილზე თქვენ რას იტყვიან. მენტენონი შეტად ღვთისმოსიში ქალი გახლდათ და მიუგო: ეს იდუმალი თავგადასავლები თუმცა განსაკუთრებული მფარველობის ღირსად არ მიმაჩნია, მაგრამ ამ საშინელ დანაშაულობათა ამოსაძირკვად განსაკუთრებული ზომების მიღებაა საჭირო ამ გაუტყვეველი პასუხით უკმაყოფილო მეფემ ქალაქი დატოვა და ის იყო გვერდით ოთახში გასვლა დააპირა, საცა სახელმწიფო მდივანი იჯდა, რომ უცბად მზერა შეავლო მენტენონის მახლობლად, განცალკევებით, პატარა სავარძელში მჯდომ სკიუდერის, მეფე მივიდა მასთან, კვლავ მოეფინა სახეზე და ბაგეებზე თავაზიანი ღიმილი, ახლახან რომ ვაუჭრა, და სავაოძელთან ვაჩერდა. მერე ლექსი გაშალა და ალერსიანად უთხრა:

— მარკიზას გაგონებაც არ უნდა ჩვენი შეყვარებულთა კავალრების თავგადასავლებისა და თავს არიდებს აკრძალულ საიდუმლო გზებზე საუბარს. თქვენ რა აზრისა ხართ ამ ლექსად დაწერილ პეტიციაზე. ჩემო საყვარელო ქალბატონო?

სკიუდერი მოკრძალებით წამოდგა სავარძლიდან, ჩამავალ მეწამულისფერ მზესავით გადაჰკრა სახეზე სიწითლემ. ფერმკრთალი ლოყები შეუფაკლდა ღირსეულ მანდილოსანს და ოდნავ წინ წაბრღმა, მორცხვად წარმოთქვა: *Un amant, qui craint les voleurs, n'est point digne d'amour!*

ამ სიტყვების რაინდული სულითა და ლაკონიურობით განცვიფრებულმა მეფემ, უსასრულო ტირაღების შემცველ ლექსს რომ აცამტვერებდა, თავლებგაბრწყინებულმა შესძახა:

— წმინდა დიონისეს კფიცავ, მართალი ბრძანდებით, ქალბატონო! სიმბდალის დასაცავად ისეთ ზომებს ვერ მივიღებ, დამნაშავეებთან ერთად უდანაშაულოებსაც რომ დაღუპავს, დ' არჟანსონმა და ლ' არენიმ დეე თავიანთი საქმე აკეთონ.

მარტინიერმა მეორე დღით თავის ქალბატონს უამბო ღამით განცდილი საშინელებანი და შიშითა და ცაბცახით გადასცა იდუმალი ყუთი ისა და ყუთზეში მდგომი ფერმკრთალი ბატისტი, შიშისა და ძღველფარებისაგან ხელში ღამის ჩაჩს რომ კმუჭიდა, ენაწართმეულნი, საცოდავნი ყველა წმინდანს აფიცებდნენ თავიანთ ქალბატონს, ფრთხილად ყოფილიყო ყუთის გახსნისა.

1 სატრფო: ვისაც ჭურღების ეშინია, სიყვარულის ღირსი არ არის (ფრანგ.)

სკიუდერიმ ზელით ასწონა შიგ ჩაკეტილ საიდუმლოიანად ყუთი და ღამილით თქვა:

— ორივეს რალაც გეჩვენებათ! მე რომ მდიდარი არა ვარ და არც საგანძური გამაჩნია, რომლის გამოც ეღიარებოდა ჩემი მოკვლა. იმ წყევულმა მკვლელებმა ისევე კარგად იციან, როგორც მე და თქვენ. თვითონ არ ამბობთ, სახლს თვალს ადევნებდნენო. იქნებ ჩემს სიკვდილი უნდათ მკვლელობით უნდა მოკლან სამოცდაცამეტი წლის დედაბერი, რომელიც სხუთხანებში არასოდეს არავის სდევნიდა გარდა ბოროტმოქმედებისა და მეამბოხეებისა. საშუალო ლექსებს წერდა, რაც ვერავის აღუძრავდა შურს. სიკვდილის შემდეგაც შინაბერას არაფერი რჩება, გარდა მორთულობისა, რომლითაც ხანდახან სამეფო კარზე თუ მივიდოდა, და ღამაზუდიანი, მოოქვრილი რამდენიმე ათეული წიგნისა. მარტინიერ, რა საშიში ფერებითაც არ უნდა ამიწერო ღამე მოსული ის უცნობი, მაინც ვერ დავიჭერებ, ავი განზრახვა ჰქონოდეს.

— ოჰ, ღმერთო ჩემო!

მარტინიერი სამი ნაბიჯით უკან გაბტა, ბატისტმა კი ყრუდ დაიკვნესა:

„ოჰ!“-და კინალამ ფეხები მოეკვეთა, როცა ქალბატონმა ყუთის ღითონის ღილაკს თითი დააჭირა! სახურავმა გაიტკაცუნა და აიხადა.

სკიუდერი მეტად გაოცდა, როცა კუთხეში ძვირფასი ქვებით მოოჭვილმა ორმა ოქროს სამაჯურმა და ასეთივე ფარლულმა გაიღვია. ამოიღო ეს ნივთები და მშვენიერი ფარლულის ცქერით ტკებოდა. მარტინიერს კი სამაჯურები, ისე მოეწონა, წამოიძახა: ამაყ მონთესპანსაც არ ექნება ამგვარი ძვირფასი ნივთებიო.

— ნეტავი ეს რას მოასწავებს? — უცბად იკითხა სკიუდერიმ.

სწორედ ამ დროს ყუთის ძირზე პატარა ქალაღდი შეამჩნია. იმედოვნებდა, ეს ქალაღდი აუხსნიდა საიდუმლოს, მაგრამ წაიკითხა თუ არა, გაუვარდა აცახცახებული ზელებიდან, მალლა აღაპყრო მავედრებელი მზერა და ღამის გრძნობადაკარგული ჩაესვენა სავარძელში. შეშინებული მარტინიერი და ბატისტი მისცვივდნენ თავიანთ ქალბატონს.

— ოჰ! — წამოიძახა სკიუდერიმ და ცრემლები ღაბაღუბით გადმოსცვივდა თვალთაგან. — ოჰ, რა შეურაცხყოფაა! რა საშინელი სირცხვილი! ეს უნდა ავიტანო ამ სიბერეში. ნუთუ წინდაუხედავ პატარა გოგოსავეთ რამე დანაშაულებრივი, თავქარიანული ვთქვი? ღმერთო ჩემო, ნუთუ შემთხვევით წამოსროლილ სიტყვებს შეიძლება ასეთი საზიზღარი აზრი მიეცეს? ნუთუ მე, არასოდეს რომ არ მიღალატია ჩემი მოვალეობისათვის და ზნეობისათვის, შეუძლია ბრალი დამდონ დანაშაულებრივ, ჯოჯოხეთურ კავშირში ბოროტმოქმედებასთან?

სკიუდერიმ თვალბებთან მიიტანა ცხვირსახოცი. იგი ისე ტიროდა და ქვითინებდა, დაბნეულმა და აღელვებულმა მარტინიერმა და ბატისტმა აღარ იცოდნენ, რითი შეემსუბუქებინათ თავიანთი ქალბატონისათვის ესდენი მწუხარება.

მარტინიერმა იატაკიდან აიღო ეს საბედისწერო ქალაღდი, შიგ ეწერა: „Un amant, qui craint les voleurs, n'est point digne d'amour“.

თქვენმა გონებამახვილობამ, ქალბატონო, საშინელი დევნისაგან გვიხსნა ჩვენ. ვისაც ძლიერებს ჯვებაზიან და უძლურ და მფრთხალ ადამიანებს ვართ-

მევთ საგანძურს. რასაც უღირსად გაანიავენდნენ. ჩვენი მოკრძალების ნიშნად მიიღეთ ეს სამკაული. ეს ყველაზე ძვირფასია იმ ნივთთაგან, რისი მოვნაც ამ ხნის მანძილზე შევძელით, თუმცა, მოწყალეო ქალბატონო, ამას უკეთესი სამკაული შეგეფერებოდათ. გთხოვთ, ამის შემდეგაც ნუ მოგვაცლებთ თქვენს მოწყალებას და კეთილად მოგვიგონეთ. უხილავნი“.

— აი, სადამდე მიდის ეს თავხედობა, უსირცხვილობა, უსმინლობა და სხვა! — წამოიძახა სკიუდერიმ, როცა ცოტა გონს მოეგო.

მზე მკვეთრად იჭრებოდა მუქ წითელ აბრეშუმის ფარდებში და ღია ყუთის გვერდით დაწყობილი ბრილიანტებიც მოწითალოდ ბზინავდნენ. შეძრწუნებულმა სკიუდერიმ თვალეზე ხელები მიიფარა და მარტინიერს უბრძანა, ახლავე აეღო ეს საშინელი სამკაულები, რომლებზეც მოკლულთა სისხლი ბრწყინავდა. მარტინიერმა ფარღული და სამაჯურები ყუთში ჩააწყო და თქვა: სჯობდა, ეს ძვირფასი ნივთები პოლიციის მინისტრისათვის მიგვეტანა და შეგვეტყობინებინა, როგორ შეგვაშინა ყმაწვილი კაცის მოსვლამ და როგორ გადმოგვცა ყუთიო.

სკიუდერი სავარძლიდან წამოდგა და ნელ-ნელა, უცემოდ გაიარა ოთახში, თითქოს ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო. მერე ბატისტს უბრძანა, კარეტა მოემზადებინა, მარტინიერს კი — მიხმარებოდა ჩაცმაში. დაყოვნება აღარ შეეძლო, ახლავე უნდა წასულიყო მარკიზა დე მენტენონთან. მარკიზასთან სწორედ იმ დროს მივიდა, როცა — სკიუდერიმ ეს იცოდა — მასთან განმარტოებით შეიძლებოდა ლაპარაკი. თან წაიღო სამკაულებიანი ყუთი.

მარკიზა ძალზე გააოცა სკიუდერის დანახვამ: ჩვეულებისამებრ, ღირსეული ეს ხანდაზმული, მაგრამ სასიამოვნო და ალერსიანი ქალი ახლა ფერმკრთალი და დაბნეული, ტორტმანით უახლოვდებოდა. „მიტხარით, ღვთის გულისათვის, რა დაგემართათ?“ — ამ სიტყვებით შეხვდა მენტენონი საბრალო, შეშინებულ, თავგზადაკარგულ ქალს, ლამის იყო, რომ დაცემულიყო. მარკიზამ საჩქაროდ სავარძელი მიუწია. ბოლოს, როცა მეტყველების უნარი დაუბრუნდა, სკიუდერიმ უამბო, რა საშინელი შეურაცხყოფა დაატყდა თავს მოუფიქრებელი ხუმრობის გამო შეშინებულ შეყვარებულთა თხოვნაზე. მარკიზამ დაწვრილებით მოისმინა ყოველივე ეს და უთხრა: მეტიმეტად ახლოს მიგაქვთ გულთან ეს უცნაური შემთხვევა, წყევული არამზადების ბოროტი დაცინვა ვერ შეურაცხყოფს წმინდა, კეთილშობილ სულსო და ბოლოს თვით სამკაულის ნახვა მოისურვა.

სკიუდერიმ გაუწოდა ღია ყუთი. მარკიზამ ეს ნივთები რომ დაინახა, ძლივს შეიკავა თავი, ალტაცებისაგან რომ არ წამოეყვირა. ამოიღო ფარღული და სამაჯურები, მივიდა ფანჯარასთან და მზეზე ააბრჭყვიალა. დროდადრო თვალეებთან მიჰქონდა ეს ნაზი ნივთები, რომ უკეთ დაეთვალა იერებინა. რა უდიდესი ხელოვნებით იყო შესრულებული უწვრილესი რგოლები დაწნული ძეწკვისა.

მარკიზა უცბად შემოტრიალდა სკიუდერისაკენ და წამოიძახა:

— ქალბატონო, ეს სამაჯურები, ეს ფარღული რენე კარდილიაკის ნახელავია, სხვისი არავისი!

რენე კარდილიაკი იმ დროს პარიზში ყველაზე საუკეთესო ოჭრომჭედელი იყო, ყველაზე გემოვნებიანი და ამასთან ცოტა უცნაურიც. ტანდაბალ, ჩასხ-

მულ, ჩაკუნთულ, რომოცდაათ წელს გადაცილებულ კარდილიას ყმაწვილი კაცის ეხერგია და სისხარტე მქონდა შენარჩუნებული. ამ ძალაზე მეტყველებდნენ მისი წითურა, ხშირი ხუჭუჭა თმა და მსუქანი, ლაპლაპა სახე კარდილიაკი მთელს პარიზში ცნობილი რომ არ ყოფილიყო, როგორც უკეთესობილესი, უპატიოსნესი, უანგარო, პირდაპირი, სავათათვის შემწე კაცი, შექმნილი და მისი ღრმად ჩამჯდარი თვალების უცნაური მზერა საეჭვოდ მოგზავნიდა და გონებოდათ, თქვენ წინ ბოროტი, ცბიერი კაცი იდგა, როგორც მოგახსენეთ, კარდილიაკი თავისი საქმის დიდად დაბელოვნებული ოსტატი გახლდათ არა მხოლოდ პარიზში, ძვირფას ქვათა შესანიშნავ მცოდნეს ისე შეეძლო მისი დამუშავება, რომ აქამდე შეუქმნეველი სამკაული კარდილიაკის სახელოსნოში მოხვედრის შემდეგ საოცარ ბრწყინვალებას იძენდა, ყოველ შემკვეთს დიდად გზნებით აღებდა და ასეთ უანიშნელო ფასს ადებდა, რაც არ შეეფერებოდა მის მიერ შესრულებულ სამუშაოს დღედაღამ ჩაქუჩს უკაცუნებდა სახელოსნოში, ზოგჯერ დაამზადებდა სამკაულს, მაგრამ მისი ფორმა აღარ მოეწონებოდა, ან ეჭვი შეეპარებოდა რომელიმე ბუდის შესაკრავის სიმშვენიერეში, სამკაულს გადასადნობ ტიველში ჩაავდებდა და თავიდან აკეთებდა. ასე იქცეოდა ყოველი მისი ნაწარმოები განუმეორებელ შედეგად და შემკვეთი აღტაცებული რჩებოდა, მაგრამ ხომ არ ვგონიათ, მისგან ეგრე ადვილად წამოეღო სამკაული, ათასი მიზეზით კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე გაუქიანურებდა ხოლმე, ამოდ სთავაზობდნენ ორმაგ ფასს, შეთანხმებულზე მეტს ერთ ლუიდორსაც არ გამოართმევდა, და როცა ბოლოს იძულებული იყო, შემკვეთის ნებას დაჰყოლოდა და მიეცა სამკაული, სულში დაბუდებულ წყენასა და ბრაზს ვეღარ ფარავდა, როცა რომელიმეს შესანიშნავ, განსაკუთრებით მდიდრულ ქვებისა და ოქროს ბუდის მიხედვით მრავალ ათასად ღირებულ სამკაულს აძლევდა, ვიტივით დარბოდა აქეთ-იქით, იწყევლიდა თავსაც და თავის სამუშაოსაც, ყველაფერს ამქვეყნად, მაგრამ საკმარისი იყო, ვინმე გამოდევნებოდა და ხამამალა დაეძახა:

რენე კარდილიაკ, ფარლულს რომ ვერ გამიკეთებთ ჩემი საპატარძლოსათვის, სამაჯურს ჩემი სატრფოსათვის და სხვა ამგვარს, მაშინვე გაჩერდებოდა, წვრილ თვალებს დაკვესავდა და ხელების ფშვინტით ეტყოდა:

— რა გაქვთ?

კაცი ამოიღებდა კოლოფს და ეტყოდა:

— აი, ეს ქვები... დიდი ვერაფერია, უჩვეულო არაფერი, მაგრამ თქვენს ხელში...— კარდილიაკი სიტყვას აღარ დაასრულებინებდა, გამოსტაცებდა კოლოფს, ამოიღებდა ქვებს, მართლაც, არც თუ ძალიან ძვირფასებს, სინათლეზე განედევდა და აღტაცებული წამოიძახებდა:

— ოჰო, დიდი ვერაფერიაო?... რას ამბობთ? მშვენიერი ქვებია!.. ჩინებული ქვები! ოღონდ დაეწყო!.. თუ ზედმეტი ლუიდორები არ გენანებათ, რამდენიმე ქვასაც დაეუმატებ და მზეზე უფრო აბრწყინდება.

შემკვეთი ეტყოდა:

— თქვენთვის მომინდვია, ოსტატო რენე, რამდენსაც მეტყვით, გადაგიხდით.

თუ მდიდარი მოქალაქე, ან სამეფო კარის კაცი მოაკითხავდა სამკაულს



შესაკვებთად, აღგზნებული ჩამოეკიდებოდა კისერზე, კოცნას დაუწყებდა, გულში ჩაიკრავდა და ეუბნებოდა: ახლა ისე ბედნიერი ვარ, ვით კვირაში გა-  
ვაკეთებო, კისრისტებით გარბოდა შინ შევარდებოდა საჩუღოსში, წამოა-  
ლებდა ხელს ჩაქუჩსა და ერთ კვირაში მშვენიერი ნივთიც მზად უნდა მაგრამ  
როგორც კი განარებულნი შემკვეთი მივიდოდა მასთან შეთანხმებულნი  
თანხის გადასახდელად და სამკაულების წასაღებად, კარდილიაკი მშვენიერ-  
ბოდა, უცბად ჩიუტი და უხეში ხდებოდა.

- აბა, იფიქრეთ, ოსტატო კარდილიაკ, ხვალ ჩემი ქორწილია
- მერე მე რა მესაქმება თქვენს ქორწილთან, ორ კვირაში მოდიო.
- სამკაული ხომ მზადაა, აბა, ფული გამომართვით, უნდა წავიღო.
- ხომ გითხარით, რალაც უნდა შევცვალო და დღეს ვერ მოგცემთ-მეთქი.
- მე კი გეუბნებით, თუ ახლავე თქვენი ნებით არ მოგიციათ ეს სამკაული, რაშიც ახლა, რალა თქმა უნდა, ორჯერ მეტს გადაგიხდით, დ'არქანსონის პო-  
ლიციელებს მოვიყვან.

— სატანამ ჩაგასოთ გავარვარებული მარწუბები, ფარლულს კი სამი  
ცენტნერის სიმძიმის გირა დაჰკიდებია თქვენი საპატარძლოს დასახრჩობად! —  
ამ სიტყვებით კარდილიაკი სამკაულს იღლიაში ამოსჩრიდა საქმროს, წაა-  
ლებდა ხელსა და ისე მოისვრიდა კარში, რომ იგი კიბეზე დაგორდებოდა,  
თვითონ კი გიჟურად ხარხარებდა, ფანჯარაში იყურებოდა, საწყალი ყმაწვილი  
კაცი კოჭლობით მიდიოდა და ცხვირსახოცს იფარებდა ვასისბლიანებულ, და-  
ბეგვილ ცხვირზე. გაუგებარი იყო ისიც, რომ ხშირად კარდილიაკი, აღტაცე-  
ბული რომ მიიღებდა შეკვეთას, დიდის მღელვარებით, აცრემლებულიც კი,  
ქვითინით, წმინდა ქალწულსა და ყველა წმინდანს აფიცებდა შემკვეთს, ჩემო  
სამკაული დამიტოვეო. ზოგიერთები, მეფისა და ხალხისაგან პატივცემულნი,  
ამაოდ ცდილობდნენ, კარდილიაკისათვის დიდძალი ფული შეეთავაზებინათ  
და გამოერთმიათ მცირე ნივთი, ხელმწიფის ფერბთით დაეცემოდა და რო-  
გორც მოწყალეებს ისე შესთხოვდა, არ დაევალებინა მის უდიდებულესობას  
სამკაულის გაკეთება... ასევე მუდამ უარს ეუბნებოდა მენტენონსაც. ის კი  
არა, განარისხა კიდევ მისმა თხოვნამ — რასინისათვის მისართმევად ხელო-  
ვნების ემბლემებით შემკული ბეჭედი გაეკეთებინა.

— თუნდაც თავს დავდებ, თავს დავდებ თუნდაც, — თქვა მენტენონმა, —  
კაცი რომ გავგზავნო მის მოსაყვანად, კარდილიაკი არ მოვა და ვერ გავიგებ,  
ვის გაუკეთა ეს სამკაული: შეეშინდება, რამე არ შევუკვეთო მე არაფერს  
მიკეთებს. თუმცა ამ ბოლო დროს ისე აღარ ჩიუტობს, ახლა თურმე წინან-  
დელზე უფრო გულმოდგინედ მუშაობს. მაშინვე აძლევს სამკაულს, მაგრამ  
გაბრაზებული სახეში არც კი უყურებს შემკვეთს.

სკიუდერის ძალიან უნდოდა, თუ კიდევ შესაძლებელი იყო, ეს ძვირფა-  
სი ნივთები საჩქაროდ დაებრუნებინა მისი კანონიერი მფლობელისათვის, და  
მენტენონს ურჩია, ამ ახირებულ ოსტატს მაშინვე უნდა ეუთხრათ, რისთვის  
დავუძახეთ, არ ეგონოს, რაიმე შეკვეთას ვაპირებთო. მენტენონს მოეწონა  
მისი ნათქვამი და კაცი გაგზავნა კარდილიაკის მოსაყვანად. იმასაც დიდბანს  
არ დაუყოვნებია და ოთახში შემოვიდა, თითქოს მოელოდა ამ მოწვევას.

სკიუდერის დანახვაზე შეკრთა დაბნეულობისაგან და დაავიწყდა თავა-  
ზიანობის წესი. ჯერ ამ ღირსეულ მანდილოსანს დაუკრა თავი, მერე მენტე-  
ნონს მიუტრიალდა. მან მუქმწვანე სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე დაყრილ

სამკაულებზე მიუთითა და ჰკითხა. ეს თქვენი ნახელავია? კარდილიაკმა ერთი კი გადაავლო თვალი. მერე თვალდაუხამხამებლად მიაჩერდა მარკიზას სახეში. სწრაფად ჩააწყო სამაჯურები და ფარღული კოლოფი და ჩელი გაჰკრა. გაჩურებულ სახე ამაზრზენმა ღიმილმა ვაუნათო.



— თქვენო უდიდებულესობავ, მარკიზა, ეტყობა, თქვენს უდიდებულესობაზე რენე კარდილიაკის ნამუშევრებს, თორენ როგორ იფიქრებდნენ სხვა ოქრომკვდელი შესძლებდა ამგვარი სამკაულის გაკეთებას რაღა თქმა უნდა. ჩემი ნახელავია

— მითხარით, ვის ვაუკეთებთ ეს სამკაული?

— ჩემთვის გავიკეთე, — მიუგო კარდილიაკმა. — დიახ, — დასძინა მან, რომ დაინახა სკიუდერისა და მენტენონის განცვიფრება

მენტენონი ეგვის თვალთ უყურებდა. სკიუდერი კი შიშით ელოდა, რითი დამთავრდებოდა საქმე.

— თქვენო უდიდებულესობავ, მარკიზა! შეიძლება ეს უცნაურად მოგერვენოთ. მაგრამ ასეა ხელოვნებისადმი სიყვარულით შევარჩიე საუკეთესო ქვეები და სათითაოდ. დიდის გულმოდგინებით დავამუშავე, ამ ცოტა ხნის წინ რაღაც უცნაურად გაჰკრა სამკაულები ჩემი სახელოსნოდან

— მადლობა ღმერთს! — სიბარულისაგან წამოიძინა სკიუდერიმ და თვალები გაუბრწყინდა. ყმაწვილი ქალივით მკვირცხლად წამოხტა სავარძლიდან. მივიდა კარდილიაკთან და ხელები მარებზე ჩამოაყრდნო.

— მიიღეთ, აპა, მიიღეთ, ოსტატო რენე, თქვენი ნივთები. ვილაყარამზადამ რომ მოგპარათ, — და დაწვრილებით უამბო, როგორ მოხვდა მასთან ეს სამკაული. კარდილიაკს თვალები დაეხარა და ჩუმად უსმენდა. დროდადრო გაურკვეველად წამოიძინებდა ხოლმე: „ხედავთ! კმ! აბა?“ ხან ზურგზე დაიწყობდა ხელებს, ხან ლოყებზე და ნიკაპზე ჩამოისვამდა. სკიუდერიმ რომ დაასრულა, კარდილიაკს ისეთი საზე ჰქონდა, თითქოს თავში მოსული რაღაც უცნაური აზრის დაძლევას ცდილობს და ვერ გადაუწყვეტიაო. შუბლს ისრესდა, ოხრავდა. თვალებზე ხელს ისვამდა, თითქოს უნდა თვალს მომდგარი ცრემლები შეაჩეროსო. ბოლოს გამოართვა გაწვდილი კოლოფი. ცალ მუხლზე დაეშვა და თქვა:

— კეთილშობილო, ღირსეულო ქალბატონო! თვით ბედმა გარგუნათ ეს სამკაული. როცა ვმუშაობდი, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ თქვენთვის ვშრომობდი. უარს ნუ მეტყვით, გამომართვით და ატარეთ. ესაა ყველაზე საუკეთესო, რაც წლების მანძილზე შემიქმნია.

— გეყოფათ, გეყოფათ, — აღერსიანად, ბუმრობით უთბრა სკიუდერიმ. — რას ამბობთ, ოსტატო რენე? განა ჩემი ხნის ადამიანს შეჰფერის, ამ ძვირფასი ქვეებით შეიმკოს თავი? რამ გადაგაწყვეტინათ, ამგვარი ძვირფასი საჩუქარი მოვეძღვნათ ჩემთვის? გეყოფათ, ოსტატო რენე! მე რომ მარკიზა დე ფონტანევიით ლამაზი და მდიდარი ვიყო, მართალი გითბრათ, ამ სამკაულს ხელიდან არ გავუშვებდი. მაგრამ რად მინდა ეს ამო მედიდურობა. ჩემს დამკვირვებარ კისერსა და დაჰმუჭუნულ ხელებს მოუხდება ეს ძვირფასი სამკაული?

კარდილიაკი ამასობაში წამოდგა. გაუწოდა სკიუდერის კოლოფი და თვალებანთებულმა, თითქოს ვონს გადავიდაო, უთბრა:

— შემიბრალეთ, ქალბატონო, გამომართვით ეს სამკაული. თქვენ არ იცით, რა ღრმად პატივს ვცემ თქვენს სათნოებას, თქვენს დიდ დამსახურებას.

მიიღეთ ეს უმნიშვნელო საჩუქარი თუნდაც იმის ხიშხად, რომ მსურს, გულ-  
წრფელი გრძნობები გაგიზიაროთ.

სკიუდერი ვერ ისევ ყოყმანობდა მაშინ მენტენონმა გამოაძლიერა კარდი-  
ლიაკს კოლოფი და თქვა:

— რას ამბობთ, ქალბატონო, თქვენს წლოვანებაზე ლაქროვიტს უნდა  
რა სათქმელია, რა გეტყობათ სიბერისა, მორცხვ უმაწვილ ქალებს უნდა  
იტყვიო იგემოთ შემოთავაზებული ტკბილი ხილი, მიიღეთ ჩვენი ოსტატი რე-  
ნესაგან საჩუქრად ის, რასაც ათასობით სხვა ვერ მიალწევს ვერა ფულითა და  
ხვეწითა და მუდარით.

მენტენონმა აიძულა სკიუდერი, გამოერთმია ყუთი, კარდილიაკი კვლავ  
დაეცა მუხლებზე და დაუწყო სკიუდერის კოცნა კაბის კალთაზე, ხელებზე,  
კენესოდა, ოხრავდა, ტიროდა, ქვითინებდა. შერე წამოიჭრა გადაავირავა მაგი-  
დები და სკამები, ფაიფური და ბროლი ააწკრიდა და ოთახიდან გავარდა.  
შეშინებულმა სკიუდერმა წამოიძახა: „ღმერთო ჩემო, რა დაემართა!“ მაგრამ  
მენტენონი რაღაც უჩვეულო, მხიარულ გუნებაზე იყო, ამამაღლა გაიცინა და  
თქვა:

— თბ. ქალბატონო, ახლა ყველაფერი გასაგებია: ოსტატი რენე თავდა-  
ვიწყებით შეეყვარებულა თქვენზე და როგორც ჭეშმარიტი თავაზიანობა და  
ძველისძველი ჩვეულება მოითხოვს, თქვენი გულის დაპყრობა უნდა ძვირფასი  
საჩუქრებით. — მენტენონმა ზემორობით ისიც ურჩია, ძალიან მკაცრად ნუ  
მოექცევით და სასოწარკვეთილებაში ნუ ჩააგდებთ თავვანისმკემელსო, სკი-  
უდერიც, ჩვეულებისამებრ ვამხიარულდა, ათასნაირი სასუქარო რამ გამოიგონა  
და თქვა:

თუ საქმე მართლაც ასეა, ისღა დამრჩენია, დავეწორჩილო და გაუგონარი  
მაგალითი მივცე ძალადი წრის საზოგადოებას: სამოცდაცამეტი წლის, წმინდა  
არისტოკრატიული წარმოშობის ქალი, თქოთმკედლის აპატარდლო გავხდეთ.

მენტენონმა საქორწინო გვირგვინის დაწვნა და მისთვის კარგი დიასაბ-  
ლისის მოვალეობის გაცნობა ითავა, რაც რაღა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა  
სკოდნოდა ასეთ ახალგაზრდა და გამოუცდელ ასუებას.

როცა სკიუდერი წამოდგა მარკიზასთან გამოსამშვიდობებლად და ძვირფას  
სამკაულიანი კოლოფი აიღო, ამ ზემორობის მიუჩედავად კვლავ ჩაფიქრდა და  
თქვა:

ამ სამკაულებს მაინც ვერასოდეს ვერ გავიკეთებ, ეს იმ ეშმაკის კერძ  
ბოროტმოქმედო ჰქონდათ ჩელთ, რომელნიც სატანისებური თავჩედობით, და  
შეიძლება თვით სატანასთან შეკრულობი, ძარცვავენ და კლავენ ადამიანებს,  
მე მაშინებს სისხლი, ამ ბოწყინვალე სამკაულებს რომ სცხიას, ავით კარ-  
დილიაკს საქციელიც, უნდა გამოიტყდეთ, საოცრად მალეღვებს, იღუმა-  
ლებითა და ბოროტებით მოცულო მეჩვენება, შიში მიპყრობს, ასე შგონია,  
მის უკან შემადრწუნებელი, ჯოჯოხეთური საიდუმლო იმალება და როცა დაფ-  
ფიქრდები, რა მოხდა, მომაკონდება ყოველი წვრილმანი, ვერ გამოიგია, რა  
საიდუმლოა და როგორ შეიძლება, ეს პატიოსანი, უმწიველო ოსტატი რენე,  
კეთილი, ღვთისმოსავი მოქალაქე, გარეული იყოს ამ საშინელ, დანაშაულებრივ  
საქმეში, მე კი ერთი რამ ვიცი: ვერასოდეს ვერ გავიკეთებ ამ სამკაულსო.  
მარკიზამ მიუგო: ეს მეტისმეტად იქვნეულობააო, მაგრამ როცა სკიუდერმა

18867

ქალბატონი საიუღარი 17

კითხა: გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით: ეს სამკაული თქვენი რომ იყოს, როგორ მოიტკეოდიტო, მენთენონმა მტკიცედ და სერიოზულად მიუგო:

— უმაღლესი სენაში გადავაგდებდი, ვიდრე ვავიკეთებდი.

ოსტატ რენესთან მომხდარი შემთხვევა სკიუდერიმ თვეს მშვენიერ ლექსებში აღწერა. რომლებიც მეორე საღამოს მენთენონის წაუკითხა. უნდა ვიფიქროთ, რომ მან არ დაინდო ოსტატ მანათგრძობის ცაბცახიც დასძლია და ცოცხალი ფერებით დახატა ოქრომქედლის სამოცდაცამეტი წლის საპატარძლოს, ძველი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლის სასაცილო სახე.

მეფე გულით იცინოდა და არწმუნებდა, თვით ბუალო დებრეს აჯობებო ამ ქების წყალობით სკიუდერის ლექსები მიიჩნიეს ყველაზე კონებამხვილურად, რაც კი ოდესმე დაწერილა.

გავიდა რამდენიმე თვე და სკიუდერის ერთხელ ამაღ ხიდზე გავლა მოუხდა სარკმლიანი კარეტით, რომელიც ჰერცოგინია მონთანსიეს ეკუთვნოდა. სარკმლიანი კარეტა იმ დროს ისეთი იშვიათი რამ იყო, როცა ამგვარი ეკიპაჟი გამოჩნდებოდა. ცნობისმოყვარე ხალხი ქუჩაში ჩერდებოდა, ამჯერადაც უსაქმურნი შემოეხვივნენ ახალ ხიდზე მონთანსიეს კარეტას, ლამის გზა გადაუღობეს ცხენებს. უცბად სკიუდერის ვინება და წყევლა შემოესმა და დაინახა კაცი, ვინც ხალხის ჯგლეფთაში მუშტებით გზას მიიკვლევდა. როცა მიუახლოვდა, სკიუდერი განაცვიფრა მახვილმა, გამჭოლმა, სასოწარკვეთილმა მზერამ მიტკალივით გაფითრებული ყმაწვილი კაცისა. ნიდაყვებითა და მუშტებით მარჯვედ მიიკვლევდა გზას, დაეინებით მისჩერებოდა, სანამ კარეტამდე არ მიადწია. მან სწრაფად გააღო კარეტის კარი, რაღაც წერილი შეუგდო წერილი სკიუდერის მუხლებზე დაეცა, რის შემდეგაც ყმაწვილმა კაცმა ისევ მუშტი-კრივით გაიკვლია გზა და ხალხის ტალღაში გაუჩინარდა. უცნობი კარეტის კართან გამოჩნდა თუ არა, შეშინებულმა მარტინიერიმ, რომელიც თან ახლდა სკიუდერის, იყვირა და გონდაკარგული ბალიშებზე მიესვენა. სკიუდერი ამაოდ ეჭაჩებოდა ზონარს, უყვიროდა მეეტლეს, იგი თითქოს ბოროტი სულის შთაგონებით, რაც ძალი და ღონე ჰკონდა, მათრახს უტყლაშუნებდა ცხენებს. ცხენები ტლინკებს ყრიდნენ, ლაგამზექაფმოდებულნი ყალყზე დგებოდნენ. ბოლოს ჩორთით გაექანენ ხიდზე, სკიუდერიმ მთელი ფლაკონი სასუნთქებელი სითხე დაასხა გულწასულ მარტინიერის, ბოლოს მსახურმა თვალები გაახილა, ფერმკრთალი და აკანკალებული, შეძრწუნებული და აღელვებული თავის ქალბატონს მიეკრა და ამოიკვნესა:

— დვთის გულისათვის, რა უნდა იმ ამაზრზენ კაცს? სწორედ იმან მოიტანა ეს კოლოფი იმ საშინელ ღამეს.

სკიუდერიმ დაამშვიდა საწყალი ქალი, დაარწმუნა, არაფერი ცუდი არ მომხდარა. ახლა ვნახოთ, წერილში რა წერიაო, გაშალა ფურცელი და წაუკითხა:

„საბედისწერო შემთხვევა, რაც შეიძლებოდა, მხოლოდ თქვენ აგეცდინათ ჩემთვის, უფსკრულისაკენ მიბიძგებს, ვაფიცებთ, როგორც შვილი დააფიცებს დედას, ოსტატ რენეს დაუბრუნეთ ჩემ მიერ მოტანილი ფარლული და სამაჯურები. დაუბრუნეთ, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს: რაიმეს გადაკეთება, შეცვლა სთხოვეთ, თქვენი კარგად ყოფნა, თქვენი სიცოცხლე ამაზეა დამოკი-

დებული. თუ ამას ზეგამდე არ შემისრულებთ. შემოვიჭრები თქვენს სახლში და თქვენს თვალწინ მოვიკლავ თავს!

— ახლა ჩემთვის ნათელია. — თქვა სკიუდერიმ. წერილი რომ წაიკითხა. — თუნდაც ეს უცნობი კაცი წყვეულ მძარცველთა და მკვლელთა ნაწილს ეკუთვნოდეს, ჩემთვის ავს არ განიზრახავს. იმ დამეს ჩემთან ყოველწინაა და რომ მოეხერხებინა, ვინ იცის, რა ბნელით მოცულ საიდუმლოში მსჭვწუტნა. ახლა კი ამოდ ვცდილობ. თუნდაც მიახლოებით გავიგო საქმის ვითარება. მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, რასაც ამ წერილში მთხოვენ, გავაკეთებ თუნდაც იმისთვის, რომ ეს ავბედითი სამკაული მოვიშორო. ჯოჯონეთურ თილისმად, ეშმაკისეულ საჩუქრად რომ მიმაჩნია. კარდილიაკი მას ეგრე აღვილად არ გაუშვებდა ხელიდან.

სკიუდერის უნდოდა. მეორე დღესვე წაეღო სამკაულები ოქრომკვდლისათვის. მაგრამ თითქოს პირი შეუკრავთო, სწორედ იმ დღით ეწვივნენ მთელი პარიზის ბრწყინვალე ნიჭის პატრონნი. ვინ ლექსი წაიკითხა, ვინ ტრაგედია, ვინ ანეკდოტს ყვებოდა. ის იყო, ლაშაპელმა დაასრულა სცენა ტრაგედიიდან, რომ ეშმაკურად დაუწყო დარწმუნება. ახლა რასინიზე გავიმარჯვებო. ამ დროს თვით რასინი გამოჩნდა და რომელიღაც ხელმწიფის პათეტიკური ტირადით დაამარცხა ლაშაპელი. ბოლოს ბუალომ გაანათა შავი ტრაგიკული ცის თალი თავისი გონებამახვილობის ფოიერვერკით.

შუადღეს კარგად გადაცილებული იყო, რომ სკიუდერი ჰერცოგინია მონთანსიესთან წავიდა და ამგვარად ოსტატ რენე კარდილიაკის მონახულება მეორე დღისთვის გადასდო.

სკიუდერი საოცარმა მოუსვენრობამ შეიპყრო. სულ თვალწინ ედგა უცნობი ყმაწვილი და მისი სულის სიღრმიდან ამოტივტივდა ბუნდოვანი მოგონებანი, თითქოს სადღაც ენახა ეს სახე, ეს ნაკვთები. საშინელმა სიზმრებმა ძილი გაუკრთო. თავქარიანობად, დანაშაულადაც კი მიაჩნდა თავის მხრივ დანშარების ხელი რომ არ გაეწვდინა უბედურისათვის, რომელიც უფსკრულში იჩეხებოდა და შველას ევედრებოდა. მისი მოვალეობა იყო, ხელი შეეშალა რაღაც დამლუპველი მოვლენისათვის, დამლუპველი დანაშაულისათვის. გათენდა თუ არა, მსახურს უბრძანა, ტანთ ჩაეცმია. წაიღო სამკაულებიანი ყუთი და ოქრომკვდელთან გაემგზავრა.

ნიკეზის ქუჩაზე, სადაც კარდილიაკი ცხოვრობდა, ხალხის ტალღა მიედინებოდა, ჩერდებოდა მისი სახლის ჭიშკართან, ყვიროდა, ღრიალებდა, ბობოქრობდა, ოთახებში შეჭრას ლამობდა. სახლს შემორტყმული მცველები ძლივს აკავებდნენ ხალხს. ამ გააფთრებულ ყვირილში გამოირჩეოდა მრისხანე ხმები: „უნდა აქუწო, ნაფლეთებად აქციო წყვეული მკვლელი!“ ბოლოს დიდი რაზმის თანხლებით გამოჩნდა დეგრე და ხალხმა უკან დაიხია, რომ მისთვის გზა მიეცათ. კარი გაიღო და გააფთრებული ხალხის წყველა-კრულვაში ბორკილდადებული კაცი გამოათრიეს. იმ წუთში, როცა ეს სანახაობა წარმოუდგა თვალწინ სკიუდერის, შიშისაგან ცოცხალმკვდარისა და საშინელი წინათგრძნობისაგან შებყრობილის სმენას მისწვდა ყურისწამლები კოდება. „წადი წადი!“ — გაგიჟებული უყვიროდა მეეტლეს. მეეტლემ სწრაფად, მოხერხებულად მოატრიალა კარეტა, ხალხის ტალღა აიძულა გზა მიეცა და ზედ კარდილიაკის სახლის კართან გაჩერდა. სკიუდერიმ დაინახა დეგრე, მის ფერბითქვეშ ახალგაზრდა ქალი, მზესავით მშვენიერი, თმაგაშლილი, ნახევრად

შიშველი. სახეზე საშინელი შიში და ღრმა სასოწარკვეთილება ეხატებოდა. ქალი მუხლებზე ეხვეოდა დეგრესა და მწუხარებისაგან ვაგიყებული, გულსდამფლეთი ხმით ევედრებოდა: „იგი ზომ უდანაშაულოა, უდანაშაულო!“

ამოდ ცდილობდნენ დეგრე და მისი რაზმელები, მოემორებიანათ, ზეზე წამოეყენებინათ. ბოლოს ერთმა უბეშმა, ჯანლონიანმა კაცმა, მტუხე-შავი თათები და ძლივს მოაშორა დეგრეს. მერე გაოფლილმა მტუხეშავმა ხელი. იგი ქვის კიბეზე დაგორდა და უხმოდ, მკედარივით დაეცა ქვაფენილზე. სკიუდერიმ ველარ მოითმინა:

— ღვთის გულისათვის, მოთხარით, რა მოხდა? — გამოალო კარი და კარეტიდან გამოვიდა. ხალხმა გზა დაუთმო პატივცემულ ქალბატონს. სკიუდერიმ რომ დაინახა, ორმა ქალმა წამოაყენა გოგონა, კიბის საფეხურზე ჩამოსვა და შუბლი მაგრად დაუხილა წყლით. დეგრესთან მივიდა და გაბრაზებით გაუმეორა კითხვა.

— საშინელი ამბავი მოხდა. — მიუგო დეგრემ. ამ დილით რენე კარდილიაკი მკედარი იპოვეს. მანვილითაა მოკლული. მკვლეელი მისივე შეგირდი ოლივიე ბრიუსონია. სწორედ ახლა გავგზავნეთ ციხეში.

— ეს გოგო ვიღაა? — ჰკითხა სკიუდერიმ.

— მადლონი. კარდილიაკის ქალიშვილია. — საჩქაროდ მიუგო დეგრემ. — დამნაშავე მისი შეყვარებული იყო. ახლა ტირის და მოთქვამს: ოლივიე უდანაშაულოა, სულ უდანაშაულოა. რა მოხდა, მაგას ეცოდინება და კონსერვეტორში უნდა გავგზავნო. — ეს რომ თქვა, გოგოს ისე გააფთრებითა და ბორბტად შეხედა. სკიუდერი შეკრთა. ამ დროს გოგომ ძლივძლივობით ამოისუნთქა, მაგრამ განძრევა მაინც ვერ შეძლო, ვერც სიტყვა დასძრა. იწვა თვალეზდახუჭული და ხალხმა აღარ იცოდა, შინ წაეყვანათ ჯერ, თუ ისევ გრძნობაზე მოეყვანათ. ღრმად შეძრწუნებული, თვალეზზე ცრემლმომდგარი სკიუდერი შესცქეროდა ამ უდანაშაულო ანგელოზს. სძულდა დეგრე და მისი რაზმელები. ამ დროს კიბეზე ყრუ ხმაური გაისმა. კარდილიაკის ცხედარი მოჰქონდათ. სკიუდერიმ სასწრაფოდ იყვირა:

— გოგო მე მიმყავს, დანარჩენზე თქვენ იზრუნეთ, დეგრე!

ხალხის ტალღას მოწონების ჩურჩულმა გადაუარა. ქალებმა ასწიეს მადლონი. წინ გაიქცნენ. ასობით ხელი ცდილობდა, მიშველებოდა მათ. თითქოს პაერში მიფრინავსო, კარეტაში გადაიყვანეს. ხალხი ლოცავდა პატივცემულ ქალბატონს, უდანაშაულო არსება სისხლიან სასამართლოს რომ გამოჰგლიჯა ხელიდან.

პარიზში სახელგანთქმულმა ექიმმა სერონმა დიდის ვაივაგლანით ძლივს შესძლო მადლონის გრძნობაზე მოყვანა, რომელიც კარგა ხანს უძრავად ესვენა. სკიუდერიმ დაასრულა ექიმის დაწყებული საქმე და მისი წყალობით იმედის შუქი შეიკრა გოგონას სულში და შვების მომგვრელმა ცრემლმა იწვიმა მის თვალთაგან. მართალია, ახლაც ვერ დაეძლია მტანჯველი მწუხარება, დროდადრო ქვითინი ახშობდა მის სიტყვებს, მაგრამ მაინც შეძლო მოყოლა იმისა, რაც იცოდა.

შუალამე იქნებოდა. კარზე ნელი კაკუნი ვავიგონე და ოლივიეს ხმა შემომესმა. მევედრებოდა, ახლაც ადექი, მამა სიკვდილის პირასააო. შეძრწუნებული წამოვხტი საწოლიდან და კარი გავუღე... გაფთრებული, საბედამანქული ოლივიე, მთლად ოფლში გაღვარული. სანთლით ხელში, ბარბაციით

გაემართა სახელოსნოსაკენ. მეც უკან გავყევო. მამა თვალბგამეშვებულ იწვა და არიანებდა, სიკვდილს ებრძოდა. ქვითინი მიგვარდა მაილოდ მამის შევამჩნია პერანგზე სისხლი. ოლივიემ წყნარად გამოყვანა ივლიანა სკიუღერის ქრილობა მობინა. გულზე ბაღხაში დაადო და ედალობდა. მამის მამას ცნობიერება დაუბრუნდა, არილი შეწყვეტა. მამის თვალბებით ჯერ მე შეპოძიედა. ზერე ოლივიეს. ხელა ჩამავლო. ხელა ჩამიდო და მაგრად მომიჭირა. ოლივიე მუბლებზე დაეყურო მამის საწოლის წინ. იმან გულისამბითად წამოიყვარა. წამოიწია. მამამ მამანვე დავცა. ღრმად ამოიოტრა და სული განუტევა. 'მე და ოლივიემ ქვითინი დავიწყეთ. ოლივიემ მიამბო: მე და ჩემი ოსტატო დამე უოთ საქმეზე წავეღოთ. ჩემს თვალწინ მოკლეს დიდის გაჭირვებით მოვაროე მძიმე სიყულო საღამდე. რა ვიკოდი. ქრილობა თუ სისკვდილოთ იყო. რომ გაოქნდა. დამით ატეხილ ხმაუოზე. ტირილსა და მოოქმაზე შეწყებებულ მეზობლები თათში შემოვიდნენ და მამის ცხედრის წინ დამობიონი გვანბეს. ეს ამბავი მათი მოილეს ქალაქ მოედო. რაზმელები მოვიდნენ და ოლივიე როგორც თაღისი სატონის მკვლელო. ციხეში წაიყვანესო.



ქალბატონი სკიუღერა

მადლონმა ამბულვებლად დაბატა თავისი ძვირთასა ოლივიეს სათხოება. დვთისმოშიშობა. ერთგულება. მშობელ მამად მიახნდა ოსტატო ჩენ- ესეც სიყვარულზე სიყვარულით პასუქობდა. თუმცა დარობი იყო. მამამ სასაძოდ ამოიჩნია. რადვან კარგი შეგირდი. ერთგული და ეთილშობილი ადაბანი იყო.

მადლონმა სული და გული ჩაატანა ამ სიტყვებში და ბოლოს დაემატა ოლივიეს ჩემს თვალწინ რომ ჩავცა მაგული კულში მამაჩემისათვის. ამან ეშმაკისეულ საჭმედ ჩავთვლოდი და ვერ დავიჯერებდი. რომ მას ამცვარა ბოროტმოქმედების ჩადენა შეეძლო.

სკიუღერი ღრმად შეადრწუნა მადლონის უსამდელო ტანჯვამ და რაბან თვითონაც უნდოდა დაეჯერებინა ოლივიეს უღანაშაფლობა. ბაღში ვაიკოთა- გამოიკითხა და რაც მადლონმა უამბო ოსტატისა და შეგირდის დამოკიდებულებაზე. დამტკიცდა. მსაჯურებასა და მეზობლებს ოლივიე ერთმად ზნეულ თილობის. დვთისმოშიშობის. ერთგულებისა და გულმოდგინების ნიშნად მიახნდათ. მისი ცუდი არაქსი აღიკონა. მაგრამ როცა სიტყვა ამ საშინელ ბოროტმოქმედებაზე ჩანოვარდებოდა. ყველა მტრებს იჩეზავდა და ამბობდა: აქ რაღაც იდუმალება იმალვბათ.

ოლივიე Chambre ardente-ს წინაშე რომ წარსდგა. სკიუღერომ ვაიგო. ღაღი სიმტკიცე და ვაეკაცობა გამოეჩინა. უარყოფდა წაყვებულ ბრალდებას და ამტკიცებდა: ჩემს ბატონს ჩემ თვალწინ დავსანენ ქუჩაში. მე ცოცხალი მივიყვანე შინ. საცა მალე გარდაიყვალათ ამგვარად. ოლივიეს ჩვენება სრულიად ეთანამებოდა მადლონის წაამბობს.

სკიუღერი ეკითხებოდა მადლონს სულ აბაღ და აბაღ წეროლმანის ამ საშინელი ამბისა. თვით ემნიშვნელოსაც ეო ეკითხებოდა. ოდესმე ხომ არ ეჩივბათ ოსტატსა და შეგირდს. ოლივიეს ფიცები ხადათი. ხომ არ ქქონდა. ეცბად ხომ არ აღნთებოდა. ვოხს ხომ არ ეკარგავდა. როგორც ეგეთოლშობილეს ადაბიანებს ემართებათ და ისეთ დანაშაულს ჩადიან. რაც მათ ხებას აღარ ემთოჩილებათ. და რაც უფრო აღფრთოვანებით დაბარაკობდა მადლონი მშვიდ და ბედნიერ ცხოვრებაზე. ამ სამ გულწრფილად მოყვარულ ადაბიანს

ერთმანეთთან რომ აკავშირებდა, ეჭვის ჩრდილი, ოლივიეს რომ ეცემოდა და მკვლელად მიაჩნდათ. თანდათან ფერმკრთალდებოდა. სკოლდერიმ უკუდადგინა კულოდგინედ მოიფიქრა და ისიც კი დაუშვა, რომ მიუხედავად ვითარებისა, რაც ბრიუსონის უდანაშაულობაზე მეტყველებდა. მისი მკვლელი იყო. მაგრამ მიზეზი ვერ ეპოვა. რაც ამ საშინელ შემთხვევაში მიიყვანდა; ამითი ხომ საკუთარ ბედნიერებას ანგრევდა. დაზარალებულნი იყვნენ უმარწვილი იყო. ყველაზე ენობილი ოსტატის პატივსაცემა დაიმსახურა მისი ქალიშვილი უყვარდა ოსტატის თანაუგრძობდა ამ სიყვარულში სიკვდილამდე ბედნიერი და უმარწვილი ცხოვრება ელოდა. უნდაც გახრისხებულ ოლივიეს — ღმერთმა უწყის რისთვის — ვერაუქლად მოეკლა თავისი კეთილისმყოფელი, თავისი მამა, რა ჯოჯობეთური თვალთმაქცობა უნდა გამოჩინა, რომ თავი ასე დაეჭირა.

ოლივიეს უდანაშაულობაზე მტკიცედ დარწმუნებულმა სკოლდერიმ დააწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ეხსნა უმარწვილი.

მისი აზრით, სანამ მეფეს შეწვალეებს სთხოვდა, ჯობდა. პრეზიდენტ ლ'არენისთან მისულიყო აეასნა ყველა ვითარება, რაც ოლივიეს სასარგებლოდ მეტყველებდა და ცდილიყო. მისთვის ბრალდებულისათვის ასსივეთი აზრი ჩაენერგა, რაც შეიძლებოდა, მოსამართლეებსაც გაეზიარებინათ.

ლ'არენიმ მეტად თავაზიანად მიიღო, რისი იმედიც უნდა ეჭობოდა ბელმ-წიფის კარზე პატივცემულ მამდილოსანს. დამშვიდებით მოსმინა ყველაფერი, რაც უამბო საშინელ ბოროტმოქმედებაზე, ოლივიეს ცხოვრებაზე, მის სასიათზე პრეზიდენტის ნაზი, თითქმის ბოროტი ღიმილი გახლდათ ერთადერთი ნიშანი იმისა, რომ უყურადღებოდ არ დაუტოვებია მისი შეგონება და ცრემლიანი მსჯელობა მოსამართლის მოვალეობაზე, რომელიც ბრალდებულის ბრძოლა არ უნდა იყოს, ყურად უნდა იღოს ყველა საბუთი, რაც მის სასარგებლოდ მეტყველებს. როცა ბოლოს სკოლდერიმ ცრემლები მოიწმინდა და ძაღლი-ნეგამოცლილი დადუმდა, ლ'არენიმ თქვა:

— ქალბატონო, თქვენს კეთილ გულს ღირსებას ანიჭებს, რომ შეყვარებული უმარწვილი ქალის ცრემლებით შეძრულს გწამთ მისი სიტყვებისა და ვერ დაგიჯერებიათ, რომ ასეთი საშინელი დანაშაულია ჩადენილი. სულ სავაა მოსამართლე. მან ნიღაბი უნდა ჩამოგლიჯოს ყველაზე თვალთმაქც დანაშაულს. მე არ მევალება, სისხლის სამართლის დანაშაულზე ვუამბო ყველას, ვინც შემიკითხება. მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, ქალბატონო, და ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ ხალხის აზრს. ბოროტმოქმედნი უნდა ცაბცაბებდნენ Chambré ardente-ს წინაშე, რომელმაც სხვა სასჯელი არ იცის ვარდა კოცონზე დაწვისა და თავის მოკვებისა. მაგრამ მე სულ არ მსურს, ურჩხულად, მუცელ წარმომიდგინოთ. ამიტომ თავს ნებას მივცემ, რამდენიმე სიტყვით ვიამბოთ ბოროტმოქმედის დანაშაულზე, რომელიც ღვთის ნებით სასჯელს ვერ ასცდებოდა. თქვენი მახვილი გონება განსჯის იმ გულმოწყალებას, რაც თქვენ ღირსებას განიჭებთ, მაგრამ სრულიად ზედმეტია ჩემთვის... მაშ ასე, დილით რენე კარდილიაკი მკვდარი იპოვეს, მახვილით განგმირული. მასთან შეგარდ ოლივიე ბრიუსონისა და საკუთარი ქალიშვილის გარდა არავინ უოფილა. ოლივიეს ოთახში, სავა ნივთებთან ერთად, იპოვეს გასისხლიანებული მახვილი, რომლის პირიც ქრილობის ზომისაა. „კარდილიაკი ღამით დაჭრეს ჩემს თვალწინ“. — ამბობდა ოლივიე.



„მისი ვაძარცვა უნდოდათ“ — „ეგ არ ვიცი“ — „ვეროდით მიჰყვებოდით და ხელი ვერ შეუშალეთ მკვლელს? ვერ დაიჭირეთ? სასწულად ვერ უბოძეთ ვინმეს?“ — „ჩემი ოსტატი თხუთმეტოცი ნაბიჯით წინ მიდის და მე უკან მიყვებოდით“. — „რატომ მიყვებოდით ასე მოშორებით?“ — „საი მივრჩინა ოსტატმა“. — „კი, მაგრამ, რატომ გამოვიდა ოსტატი კარდილიაკის გზის გზის კუჩაში?“ — „აბა, რა ვიცი.“ — „წინათ ხომ არასოდეს გადიოდით სახლს ცხრა საათის შემდეგ?“ აქ ოლივიეს უნა დაება, თხვრას, ცოცმლებს ღვრას მოჰყვა, ყველა წმინდანს იფიცებდა, ირწმუნებოდა, კარდილიაკი მართლა ვაჟიდა იმ ღამეს კუჩაში და მოკლეს, მაგრამ იცოდეთ, ქალბატონო, კარდილიაკი იმ ღამეს შინიდან არ გასულა, ოლივიეს სიტყვები — ინასთან ერთად კაველი ქუჩაშიო, თავბედური სიცრუეა, გარეთა კარს მძიმე ურდული ადევს, რომელიც როცა კარი იღება ან იხურება, ძალიან ხმაურობს და თვით კარის ანჯამებიც ისე ჭრიალებს, ზემოთა სართულზეც კი ვაიგონებთ, ესეც შემოწმებულია, ქვედა სართულზე, სულ ახლოს ჭიშკართან, მოხუცი ოსტატი კლოდ პატრიუ ცხოვრობს თავის მსახურთან, ორმოცი წლის, ჯერ ისევე მანე, ფუსფუსა ქალთან ერთად, იმათ გაიგონეს, იმ საღამოს კარდილიაკი, ჩვეულებისამებრ, ზუსტად ცხრა საათზე როგორ დაეშვა კიბეზე, დიდი ხნაურით დაკეტა ჭიშკარი, გადმოსწია ურდული, მერე ავიდა მაღლა, ხამამილა წარმოაჩენა საღამოს ლოცვა და შევიდა საძინებელ ოთახში, რასაც მიხვდებოდით კარის მიჯახუნებით, ოსტატ კლოდს უძილობა აწუხებს, როგორც ეს მონაცემებს სჩვევიათ ხოლმე, იმ ღამეს თვალი ვერ მოხუჭა, ასე, ათის ნახევარი იქნებოდა, მსახური წინკარიდან სამზარეულოში შევიდა, შექი ანთო, მერე ოსტატ კლოდის ოთახში მაგიდას მიუჯდა და ძველი ქრონიკის კითხვა დაიწყო, საკუთარ ფიქრებში ვართული მისი ბატონი კი ხან სავარძელში ჩაჯდებოდა და ხან ჩუმი, ნელი ნაბიჯებით ოთახში დადიოდა, რომ დაღლილიყო და ძილა მოჰგვროდა, შუალამემდე სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა მერე ზემოთ მძიმე ნაბიჯების ხმა გაიგონეს, რალაც მძიმე სავნის დაკემის ხმა, ყრუ კენესა, ორივეს საშინელი შიში და მღელვარება დაეუფლა, თითქოს მიხვდნენ, საშინელი ბოროტმოქმედება მოხდაო.

— ყველა წმინდანს გაფიცებთ, — შეაწყვეტინა სკიუდერიმ, — მიუხედავად იმისა, რაც ასე დაწვრილებით გიამბეთ, რამე მიზეზი გაგაჩნიათ, რასაც შეგძლო ოლივიეს ამ კოჯონათურ დანაშაულამდე მიეყვანა?

— კმ. — თქვა ლ'არენიმ, — თქვენ კარდილიაკი ვინმე ლატაკი ხომ არ გგონიათ, — უამრავი ძვირფასი ქვა ჰქონდა.

— მერე ეგ ქვები მის ქალიშვილს არ დარჩებოდა? — განავრძობდა სკიუდერი, ხომ არ გაფიწყდებათ, რომ ოლივიე სიძობას უპირებდა?

— იქნებ ოლივიე იმულებული იყო, სიმდიდრე სწვისთვის გაეყო, ან მკვლელობა ვინმეს კარნახით ჩაედინა, — მიუგო ლ'არენიმ.

— გაეყო? ვინმეს კარნახით? — ჩაეკითხა შეფიქრიანებული სკიუდერი.

— ალბათ გეცოდინებათ, ქალბატონო, — განავრძობდა პრეზიდენტი, — გეცოდინებათ ალბათ, ოლივიეს დიდი ხანია თავს მოჰყვეთდნენ გრევის მოუდანზე, მისი დანაშაული იმ დიდ საიდუმლოებასთან რომ არ იყოს დაკავშირებული, საშინელ მუქარად რომ აწევს მთელ პარიზს, ოლივიე, ეტყობა, იმ წყველ ბანდას ეკუთვნის, აბუჩად რომ იგდებდა სასამართლოს, დასცინოდა

მთელს ჩვენს ძიებასა და მცდელობას და დაუსჯელად ბოროტობდა კარდი-  
ლიაკს ისეთივე ტრილობა აქვს მიყენებული. ყველა მოკლულს და გაძარცვულს  
რომ აღმოაჩნდა. მაგრამ ყველაზე მოთვარი ისაა, რომ ოლივიე ბრიუსონი და  
პატიმრების შემდეგ მკვლელობას და ძარცვა შეწყდა. ახლა ღამის სახანძროში  
გავლა ისევე არ არის საშიში, როგორც დღისით. ეს საკმაოდ დამამტკიცებ-  
ლი საბუთია იმისა, რომ ოლივიე ედგა სათავეში ბოროტმოქმედებს და  
იგი ჯერ არ გამოტეხილა, მაგრამ ჩვენ ვიცით საშუალებები მათი აღსაფარო-  
ბისა.

— მერე მადლონი? — წამოიძახა სკიუდერიმ. — მადლონი? ერთგული,  
უდანაშაულო მტრედი?

— რას ვიზამთ? — გესლიანი ღიმილით წარმოთქვა ლ'არენიმ — ვინ  
არის თავდები იმისა, რომ იგი თანამონაწილე არ არის? მამის სიკვდილი სულ  
არ ენადვლება, იგი იმ ბოროტმოქმედს დასტირის!

— რას ამბობთ! — წამოიძახა სკიუდერიმ. — ეს შეუძლებელია. მამა  
მოკლა ასეთმა გოგონამ?

— ოჰ! — განავრძობდა ლ'არენი. — მოიგონეთ თუნდაც ბრენვილიკი  
უნდა მაპატიოთ, სულ მალე შეიძლება წავართვათ ეგ გოგო და კონსერვეტორში  
გავვზავნო.

სკიუდერი შეაძრწუნა პრეზიდენტის ექვემდებარება. მას მოეჩვენა, რომ ეს  
საშინელი კაცისათვის არ არსებობს არც ერთგულება, არც სიბრძნე. ადამიან-  
ის ყველაზე იდუმალ, ყველაზე სანუკვარ აზრებში იგი დანაშაულსა და  
მკვლელობას ეძებს.

— გამოიჩინეთ ადამიანობა! — სუნთქვაშეკრულმა მხოლოდ ამის თქმისა  
შესძლო.

ის იყო, კიბეზე უნდა ჩასულიყო, სადამდეც დიდის სიკრძალებით მიი-  
ცილა პრეზიდენტმა. სკიუდერის სრულიად მოულოდნელად თავში უცნაური  
აზრი მოუვიდა:

— ნუკა, რომ არ დამრთავთ, ყბედური ოლივიე ბრიუსონი მოვიწინააღ-  
ვიწინებ? — სწრაფად მიუტრიალდა და პკითხა პრეზიდენტს.


პრეზიდენტმა ფიქრიანი მზერა მიაპყრო. მერე სახეზე მისთვის დამაბნე-  
ლელი ამაზრზენი ღიმილი მოეფინა.

— ქალბატონო, — წარმოთქვა მან. — აღბათ გინდათ თეიონს დარწმუნ-  
დეთ ოლივიეს დანაშაულში ან უდანაშაულობაში და თქვენს გრძობას, თქვენს  
გულიანებას უფრო ენდობით, ვიდრე იმას, რაც ჩვენი საკუთარი თვალთ ვნა-  
ხეთ. თუ დამნაშავესთან შეხვედრა არ გაშიხვბთ, არ გეზიზღებათ მთელს მის  
არსებაში ბიწიერების ხილვა, ორი საათის შემდეგ კონსერვეტორია ქიშკარი  
გაიღება თქვენთვის, მოგეყვანენ ოლივიეს, ვისა ბელიც ასე გაღვლეებით.

სკიუდერის მართლაც ვერ დაეჯერებინა ყმაწვილი კაცის დამნაშავეობა,  
თუმცა ყველაფერი მის წინააღმდეგ შეტყვევებდა. ამგვარ უდავო ბრალდებაზე  
ყველა მოსამართლე ლ'არენივით იმსჯელებდა. მაგრამ მადლონის მიერ და-  
ხატული ოჯახური ბედნიერების სურათი სკიუდერის თვალში ყველა საბიზ-  
ლარ ეჭვს ფანტავდა და უფრო დაიჯერებდა. აქ რაღაც დამამტკიცებელი  
ეძებო. ვიდრე იმას, რის წინააღმდეგაც ამხედრებული იყო. მისი არსებით.

მან გადაწყვიტა, ოლივიე იძულებული გაეხადა, გამბნა მისთვის იმ საბუ-  
დისწერო ღამის ამბები და რამდენადაც შეეძლო, ჩასწვდომოდა საიდუმლოს.

რაც იქნებ იშვით დაჩნა დავაბუღო მოსამართლესათვის, რომ საქირიდაც არ მოახდინო ძეგა.

სკოუდერი კონსოციეროში დაღ. ნააყდ თთახში შეიყვანეს მარჯ ბოტკო-  
ლების ვლარუნს გაისმა შემოიყვანეს ოლივიე ბრიუსონი  მათთან იყო ჯერ  
კარებშიც არ იყო შემოსული, რომ სკოუდერი უკონოდ დაეკრუებოდა გონს  
რომ მოვდა, ოლივიე უკვე აღარ იყო ოთახში. აღელვებულმა მკვრივად  
კარგა მოითხოვა, უნდოდა აბლაგე, ამ წუთში გასცლოდა აქაურობას, ბო-  
როტმოქმედებისა და დანაშაულის ამ სასუფეველს ოლივიე ბრიუსონში  
დანახვისთანავე ის უმარჯლო კაცო შეიკნო, კარებში წყრილა რომ შეუგდო,  
ის ვერც კოლოფი მიუტანა ძვირფასეულობით, აბლა კაუქრა ყოველგვარი ეჭ-  
ვა, ლ' არენის საშინელი აზრები დამტკიცდა, დიაბ, ოლივიე ბრიუსონი იმ  
საშიშ მკვლელობა ბანდას ეკუთვნოდა და რაღა თქმა უნდა, მან მოკლა ოსტა-  
ტი რენე, შერე, მადლონი? შინაგან გრძობას ისე არასოდეს მოუტყუებია  
სკოუდერი, როგორც აბლა თითქოს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეპმოდნენ მას  
ჯოჯობეთური ძალები, რომელთა არსებობისაც წინათ არც კი სჯეროდა და  
ლამის უმარჯობებშია იქვე შეპმარვოდა, სულში საშინელი ეჭვი შეეპარა,  
რომ მადლონიც თანამონაწილე იყო ოლივიეს საქმიანობისა და იქნებ ისიც  
ჩათრეული იყო ამ საზიზღარ სისხლიან საქმეში და როგორც ყოველთვის ხდებ-  
და ხოლმე, ადამიანი რაიმე სურათს რომ წარმოადგენს, ეძებს და პოულობს  
სადებავებს, რომლითაც სულ უფრო ნათლად აფერადებს მას, ასევე სკოუდე-  
რიმაც, მთელი ვითარება რომ ასწონ-დასწონა, მადლონის მოქმედებაში თავისი  
იქვის საკმაო საფუძველი ჰპოვა, რაც მის ოჯახში აქამდე უდანაშაულობისა და  
სიწმინდის დამამტკიცებელი იყო, აბლა მისთვის უდავო ნიშანი გახდა შეპმარ-  
წუნებელი ვერაგობისა, ის სულისდამფლეთი გოდება და სისხლიანი ცრემლე-  
ბი შეიძლება და საშინელი შიშის შედეგი ყოფილიყო, მაგრამ საყვარელი  
ადამიანის სიკვდილით დასჯის შიშის კი არა, ჯალათის ბელოთ საკუთარი სიკვ-  
დილისა, კარგადან რომ ჩამოდიოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, აბლავე გაეგდო  
ის გვერო, გულში რომ ჩაიკრა და ყელზე ებევოდა, მაგრამ შევიდა თუ არა  
ოთახში, მადლონი ფერებში ჩაუვარდა, ისეთი წმინდა თვალებით შესცქერო-  
და, მოლოდ ანკლოზის მხერა თუ შეედრებოდა ამ ლაყვარდისფერ თვალთა  
მხერას, აბრთოლუბულ ველზე, ბელები დაეკრიდა, კვნესოდა და შემწეობას  
ევედრებოდა სკოუდერამ ძლიერს შეიკავა თავი ცდილობდა, დამშვიდებული,  
მაგრამ შეცური ამით ელაპარაკია:

მკვლელის სამართლიანი სასჯელი ელის თავის სამარცხვინო საქმეთათ-  
ვის, წმიხდა ჰალწელი არ ინებებს, რომ შენც დავიმძიმოს სულ სისხლიანმა  
დანაშაულმა.

თს, ღმერთო ჩემო, აბლა კი დამთავრდა ყველაფერი! — იყივლა მად-  
ლონი და უკონოდ დაეცა, სკოუდერამ მადლონი მარტინიერს დაუტოვა, თვი-  
რონ კი მხოლოდ ოთახში ეავიდა.

ამ ცხოვრებაზე ხელჩაქნიულ, საშინლად ტანჯულ სკოუდერის ერთი  
სურვილი დაუფლუებოდა — რაც შეიძლება მალე გასცლოდა ჯოჯობეთურა  
სიკრუიით აღსაესე ამ ქვეყანას, ბედს ემდუროდა, მწარედ რომ დასცინოდა და  
ამდენი აყოცნოდა, რომ განმტკიცებოდა რწმენა სიყეთისა და პატიოსნებისა,  
აბლა კი ამ სიბერის ვამს, დაემსხერა მწვენიერი ოცხება, ცხოვრებას რომ  
უნაყოფდა.

გაიგონა. მარტინიერს რომ ვაპყავდა. მადლონმა წყნარად ამოიოსრა და საცოდვად თქვა: „ოჰ, ისიც, ისიც მოატყუეს უგულო ადამიანებმა. რა უბედური ვარ... საბრალო, უბედური ოლივიე!“ ეს სიტყვები ვერა ჩაეპრა და სულის სიღრმეში ისევ გაუელვა აზრმა, რომ აქ რაღაც საიდუმლო იმალება, ოლივიე უდანაშაულო იყო და სულ საწინააღმდეგო ვერაზე შებურობილმა, სასოწარკვეთილმა სკიუდერიმ წამოიძახა: „რეგულაციის ქალამ ჩამითრია ამ შემზარავ ამბებში, სიცოცხლის ფასად რომ უნდა დამიჯდეს!“

ამ დროს გაფითრებული, შეშინებული ბატისტი შემოვიდა და ქალბატონს დეგრეს მოსვლა მოახსენა. ლა ვუაზენის პროცესის შემდეგ სადაც არ უნდა გამოცხადებულიყო დეგრე. უეჭველად მძიმე ბრალდების მაუწყებლად მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ ბატისტს შეეშინდა და სკიუდერიმაც წყნარი ღიმილით პკითხა: „რა დაგემართა, ბატისტ, ლა ვუაზენის სიაში რომ არ აღმოჩნდა სკიუდერის ვეარი?“

— ოჰ, შემიბრალებთ, როგორ მეუბნებით ამას? — მიუგო აცახცახებულმა ბატისტმა. — მაგრამ დეგრე ისეთი საშიშია, ისეთი იდეალური შესახედაობა აქვს... თქვენი ნახვა უნდა, ველარ ითმენს, უეჭველად უნდა თქვენი ნახვა.

— რას ვიზამთ, ბატისტ, შემოიყვანეთ ის კაცი, ვისიც ასე გეშინიათ, მე კი ოდნავადაც არ მაშფოთებს მისი დანახვა.

— ქალბატონო, პრეზიდენტმა ლ'არენიმ მიბრძანა, თქვენთან წამოვსულიყავი, წარმოთქვა დეგრემ ოთახში შესვლისას. — არ გამომგზავნიდა, თქვენი სათნოებისა და სითამამის იმედი რომ არ ჰქონდეს და არ იცოდეს, რომ სისხლიანი დანაშაულის გახსნა შეგიძლიათ, თქვენ თვითონ რომ არ მოგვსურვებინათ პროცესში მონაწილეობის მიღება, მოსვენებას რომ უკარგავს Chambre ardente-ს და ჩვენ ყველას. სანამ თქვენ ვნახავდით, ოლივიე ბრიუსონი მზად იყო ელიარებინა დანაშაული, ახლა კი ქრისტესა და ყველა წმინდანს იფიცებს, ბრალი არ მიმიძღვის კარდილიაკის სიკვდილშიო, თუმცა სიკვდილს ნატრობს, რისი ღირსიცაა. ეს სიტყვები ნათლად მეტყველებენ მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. მაგრამ ამაოა ფიქრი, თუნდაც ერთი სიტყვა დავაცდენინოთ. წამებით დავემუქრეთ, მაგრამ ვერ შევაშინეთ. გვთხოვს, გვევადრება, ნება დავრთოთ თქვენთან საუბრისა; მხოლოდ თქვენ, მარტო თქვენ გამოგიტყდებათ ყველაფერში. ნუ გვეტყვით უარს, მოუსმინეთ ბრიუსონს!

— რას ამბობთ! — აღშფოთებით წამოიძახა სკიუდერიმ. — მე გავბდე სისხლიანი სამსჯავროს იარაღი? მე გამოვიყენო ბოროტად იმ უბედურის ნდობა მის ეშაფოტზე გასაგზავნად? არა, ბრიუსონი თუნდაც საზიზღარი მკვლეელი იყოს, არ შემიძლია უსინდისოდ მოვატყუო იგი. მე არ მინდა ვიცოდე მისი საიდუმლო, აღსარებასავით სამუდამოდ რომ დაიმარხება ჩემს გულში.

— ქალბატონო, ბრიუსონს რომ მოუსმინთ, იქნებ შეგეცვალოთ აზრი. — ოდნავი დაცინვით წარმოთქვა დეგრემ. — განა თქვენ არ სთხოვეთ პრეზიდენტს, უფრო ადამიანურად მოიქეციოთ? იგი თქვენს თხოვნას ასრულებს, ეთანხმება ბრიუსონის სულელურ ვედრებას და ვიდრე აწამებდეს, რასაც ბრიუსონი კარგა ხანია იმსახურებს, უნდა უკანასკნელი საშუალება სცადოს.

სკიუდერი უნებურად შეკრთა.

— ხომ ხედავთ, ქალბატონო, — ვანაგრძობდა დეგრე. — ხომ ხედავთ, თქვენგან არ მოითხოვენ კვლავ იმ ნაღვლიან თაღებქვეშ მისვლას, ზიზღსა და ძრწოლას რომ გგვრიან. ოლივიე ბრიუსონს შინ მოგიყვანენ ღამით, როგორც

თავისუფალ ადამიანს. არავის ყურადღებას არ მიიქცევს. თვალს კი ადევნებენ. მაგრამ არაფერს არ მიუტყდები. ასე რომ, შეუძლია თავისუფლად გამოგიტყდეთ ყველაფერში. თქვენ ნუ შეგეშინდებათ იმ უბედურება. ამაზე საკუთარი სიცოცხლით ვაგებ პასუხს. მოკრძალებით ლაპარაკობს თქვენზე იტიციებს: ბედისწერამ დასაღუბავად გამწირა, ადრე მასთან ერთმანებრებულ-რაო. ბრიუსონის ნათქვამიდან რაც მოგესურვებათ, მხოლოდ ერთი წყურბულით, სხვაგვარად მოქცევას არაფერს გაიძულებთ.

სკიუდერიმ დახარა ფიქრიანი თვალები: ვაითუ იმ უმაღლეს ძალას უნდა დამორჩილებოდა, რაც მისგან საშინელი საიდუმლოს გამბედას მოითხოვდა. თავი ვერ დაეხსნა ამ ხლართებისაგან. რაშიც უნებურად გაეხდა. უცბად ღირსებით მიუგო დეგრეს:

— ღმერთი შემეწევა და მომანიჭებს სულის სიმტკიცეს. მომიყვანეთ ბრიუსონი, მე მოველაპარაკები.

ისე ვით მაშინ, ბრიუსონმა კოლოფი რომ მიუტანა. შეალამისას გარეთა კარზე ბრახუნი გაისმა. ბატისტმა იცოდა, ბრიუსონი ღამით რომ უნდა მიეყვანათ და კარი გაუღო. სკიუდერის შემცივნებულებით ააცახცახა, როცა წყნარი ნაბიჯების ხმაზე, ყრუ ჩურჩულზე მიხვდა. რომ მცველები, რომელთაც ბრიუსონი მოიყვანეს, სახლის შემოსასვლელში განლაგდნენ.

ბოლოს წყნარად გაიღო კარი. შემოვიდა დეგრე. მას შემოჰყვა ოლივიე ბრიუსონი, ბორკილახსნილი, რიგიან ტანსაცმელში.

— აი, — წარმოთქვა დეგრემ და მოწიწებით დაუქრა თავი — აი, ბრიუსონი, ქალბატონო! — და ოთახიდან გავიდა.

ბრიუსონი სკიუდერის წინ მუხლებზე დაეხმო. მუდარით გაიშვირა მისკენ ხელები და თვალთაგან ცრემლმა იწვიმა.

გაფითრებული სკიუდერი სიტყვას ვერ სძრავდა. შესცქეროდა ყმაწვილკაცს. სახის ნაკვთები ტანჯვისაგან, საშინელი წამებისაგან დამაბინჯებოდა. მაგრამ გულწრფელი გამომეტყველება ჰქონდა. რაც მეტად ჩასცქეროდა ბრიუსონს სახეში, მით უფრო ნათლად ცოცხლდებოდა მის მეხსიერებაში ვილაციის საყვარელი სახე, მაგრამ ახლა ვერ მოეგონებინა ვისი შიში გაუქრა. დაავიწყდა, რომ მის წინ მუხლებზე დამხობილი იდგა კარდილიაკის მკვლეელი და ჩვეულ, მშვიდ, კეთილმოსურნე, ალერსიან კილოზე ჰკითხა:

— რის თქმას აპირებთ, ბრიუსონ?

ისევე მუხლებზე დამხობილმა ყმაწვილმა წრფელი, ღრმა ტანჯვით ამოიხრა და თქვა:

— ოჰ, ქალბატონო! ნუთუ თქვენ, ვისაც ასე პატივს ვცემ, ასე ვაფასებ, სრულებით არ ვაგონდებით?

სკიუდერი უფრო დაეხინებით მიაჩერდა და მიუგო:

— შენი სახის ნაკვთები მართლაც ვილაციისას მივამსგავსე, ვინც ოდესღაც ძვირფასი იყო ჩემთვის და ამ მსგავსების გამოა, რომ დავძლიე ღრმა სიძულვილი მკვლელისადმი და ახლა დამშვიდებით გისმენთ.

ბრიუსონს ამ სიტყვებმა დიდად ატკინა გული. სწრაფად წამოდგა. შორს მიაპყრო ნაღვლიანი მზერა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და წარმოთქვა:

— მაშ, სულ აღარ ვაგონდებთ ანა გიიო? თქვენს წინ მისი ვაჟიშვილი ოლივიე დგას. ის ბიჭი, მუხლებზე რომ ისვამდით და უნანავებდით.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა სკიუდერიმ, სახეზე ხელები

აიფარა და ბალიშზე დაეშვა. ამოდ როდი შეაძრწუნა სკიუდერი ამ ამბავში. ანა გიოი, გალატაკებული მოქალაქის შვილი, ბავშვობიდანვე სკიუდერის სახლში ცხოვრობდა. სკიუდერი დედური სიყვარულით ზრდიდა მას. რომ ვარჯიშობდა, ანამ ლამაზი, ზნეკეთილი ყმაწვილი კლოდ ბრიუსონი გვიტოვებდა და დაუბრუნდებოდა. ვაჟი ძალიან დახელოვნებული მესაათე იყო პარიზში და სკიუდერი მოსავალიც ჰქონდა. ანას გულწრფელად უყვარდა იგი. სკიუდერი ხედავდა, არც კი დაფიქრებულა, დასთანხმდა ვაჟს, ცოლად შეერთო მისი შვილობილი, ახალგაზრდებმა მშვიდი, ბედნიერი ცხოვრება მოიწყვეს და კიდევ უფრო შეიყვარეს ერთმანეთი, ვაჟიშვილი რომ შეეძინათ, ლამაზი ბიჭუნა, ალიკვალი დედამისი.

სკიუდერი აღმერთებდა პატარა ოლივიეს, საათობით, მთელი დღეობით მოსტაცებდა დედას და ეფერებოდა და ანებივრებდა. ბიჭუნა ისე მიეჩვია, საკუთარ დედაში არ არჩევდა.

გავიდა სამი წელიწადი. მოქიშვე მესაათეების მიერ მოწყობილი პარიზების გამო ბრიუსონს სამუშაო დღითი დღე აკლდებოდა. ბოლოს ისე ვალარიბდა, თავსა და ოჯახს ძლივს ირჩენდა. თან მშობლიურ ქენევაზე ფიქრი არ ასვენებდა და ცოლთან და ვაჟიშვილთან ერთად იქ გადასახლდა, თუმცა სკიუდერი, ოღონდ არ წასულაყვნენ, ყოველგვარ დახმარებას ჰპირდებოდა.

ახლა სწორედ ოცდასამი წელი გამხდარიყო, რაც ბრიუსონმა თავისი ოჯახით პარიზი დატოვა და ქენევაში გადასახლდა.

— ოპ, რა საშინელებაა! შენ ოლივიე ხარ, ჩემი ანას ვაჟიშვილი?!

— ჭალბატონო, ალბათ ვერასოდეს იფიქრებდით, ბიჭი, ვისაც თქვენ ანებივრებდით, როგორც ყველაზე ნაზი დედა ანებივრებს ხოლმე შვილს, მუხლებზე ისვამდით და ეფერებოდით, ტკბილეულს აჭმევდით, ათასნაირ სასიყვარულო სახელებს ეძახდით, რომ დავაჟიყვანებოდა, სისხლიან ბოროტმოქმედებაში დადანაშაულებული წარმოსდგებოდა თქვენს წინ, — მშვიდად და მტკიცედ წარმოთქვა ოლივიემ. — შეიძლება ჩემი დადანაშაულება.

— ლ' არენის უფლება აქვს, დამსაჯოს, როგორც დამნაშავე, მაგრამ ჩემი სულის ხსნას გეფიცებით, დაე დავიდუბო ჯალათის ხელით, სისხლი არასოდეს დამიღვრია. მე ბრალი არ მიმიძღვის საბრალო კარდილიაკის სიკვდილში!

ეს სიტყვები რომ წარმოთქვა, ოლივიე აცახცახდა, შეტორტმანდა. სკიუდერიმ უხმოდ მიუთითა იქვე მდგარ პატარა სავარძელზე, ყმაწვილი ნელ-ნელა ჩაეშვა შიგ.

— მე დრო მქონდა, — დაიწყო მან, — მოვმზადებულიყავი თქვენთან შესახვედრად, რაც ცით მოვლენილ უკანასკნელ მოწყალეებად მიმაჩნია, და დავმშვიდებულიყავი, რათა შეამბნა თქვენთვის ჩემი საშინელი, გაუგონარი უბედურების ამბავი. მოიღეთ მოწყალეება და დამშვიდებით მომისმინეთ, როგორადაც არ უნდა შეგაძრწუნოთ იმ საიდუმლომ, რის გუმანშიაც არ იყავით და ახლა გაგიმხელთ. ნეტავი საბრალო მამაჩემი არასოდეს წასულიყო პარიზიდან. ქენევაში გატარებულ ცხოვრებას რომ გავიხსენებ, სულ ჩემი უბედური მშობლები მაგონდება. თუმცა არ მესმოდა მათი წუწუნის მიზეზი, მაგრამ ცრემლებს მგვრიდა. მოგვიანებით ნათლად ჩავწვდი და გავიგე, რა სილატაკეში ცხოვრობდნენ, რა მძიმე გაჭირვებას იტანდნენ. იმედგადაწურული, დარდისაგან ვათავებულნი, მთლად განადგურებული მამაჩემი მალე გარდაიცვალა. მე უკვე ოქრომჭედელთან ვიყავი შეგირდად. დედა ბევრს მელაპარაკებოდა

თქვენზე. გულის მოსაოხებლად წერილის მოწერას აპირებდა. მაგრამ ეს სი-  
ლატაკის თანამგზავრი გაუბედობა უშლიდა ხელს. მოკრძალება და სირცხვი-  
ლი. რაც სასიკვდილოდ დაქრილ გულს გიფლეთს, არ აღლევდნენ ამ ანზრახ-  
ვის შესრულების საშუალებას. მამის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემ-  
დეგ დედაც მიჰყვა მას.

— საბრალო ანა! საბრალო ანა! — წამოიძახა გულმოდგინებით გულმოდგინებით  
რიმ.

— მადლობა ღმერთს. იგი ცოცხალი აღარ არის და ვერ დაინახავს, მისი  
საყვარელი შვილი. თავლაფდასხმული, როგორ ეცემა ჯალათის ხელით! — ეს  
სიტყვები ხმამაღლა იყვირა ოლივიემ და სასოწარკვეთილმა აღაპყრო თვალები.  
კარს უკან ხმაური გაისმა. ვიღაც მიდი-მოდოდა.

— ოპ! — მწარე ღიმილით წარმოთქვა ოლივიემ. — დეკრე აღვიძებს  
თავის რაზმელებს, თითქოს სადმე გავექცევი. მაგრამ განვაგრძობ ჩემს ამბავს.  
ოსტატი მკაცრად შექცეოდა, თუმცა მალე საუკეთესო შეგირდი გახდოდა და  
ბოლოს მასაც კი ვაჯობე. ერთხელ ჩვენს სახელოსნოში უცხო კაცი შემოვიდა.  
სამკაულის ყიდვა უნდოდა... ჩემი გაკეთებული ყელსაბამი რომ ნახა, ბეჭებზე  
ხელი დამკრა და აღტაცებულმა ალერსიანად მითხრა: „ყმაწვილო, რა შესა-  
ნიშნავი ნახელავია, აღარ ვიცი. ვის შეგადართო, ოღონდ რენე კარდილიაკს  
არა. ის ყველაზე დიდი ოქრომჭედელია მსოფლიოში. აი, იმასთან უნდა გემუ-  
შავა. სიხარულით მივიღებს... თუ გასწავლიდა, აი, ის გასწავლიდა ხელო-  
ბას“. უცნობის სიტყვები გულში ჩამწვდა. ენევაში ადგილს ველარ ვპოუ-  
ლობდი. რაღაც ძალა შორს მეწეოდა. ბოლოს ჩემს ოსტატს პარიზში გავექე-  
ცი. რენე კარდილიაკი გულცივად და მკაცრად შემხვდა. მაგრამ არ მოვასვენ-  
ე, სანამ სამუშაო არ მომცა, თუმცა მეტად უმნიშვნელო. პაწაწინა ბეჭედი  
უნდა გამეკეთებინა. ნამუშევარი რომ მივუტანე, გაბრწყინებული თვალებით  
მომაჩერდა, თითქოს ჩემს სულში უნდოდა ჩაეხედა. მერე თქვა: „შენ კარგი,  
ტკვიანი შეგირდი ხარ. ჩემთან დაგტოვებ, აქ იმუშავე. იმდენს მოგცემ, უკ-  
მაყოფილო არ იქნები!“ კარდილიაკმა შეასრულა თავისი სიტყვა. რამდენიმე  
კვირა ვცხოვრობდი მასთან, მაგრამ ჯერ მადლონი არ მენახა, მგონი, სოფელ-  
ში იყო კარდილიაკის დეიდასთან. ბოლოს ჩამოვიდა. ოპ, ღმერთო ჩემო, რა  
დამემართა, ეს ანგელოზი რომ დავინახე, განა ჩემსავით ვინმეს ვინმე ჰყვა-  
რებია ოდესმე? ახლა!... ო, ჩემო მადლონი!

დარდისაგან განადგურებულმა ოლივიემ სიტყვა ველარ გააგრძელა, სა-  
ხეზე ხელები აიფარა და მწარედ ატირდა. ბოლოს, როგორც იქნა, სძლია გუ-  
ლისტკივილს და განაგრძო:

— მადლონი ალერსიანად მიყურებდა. მოუხშირა სახელოსნოში სიარულს.  
რომ დავრწმუნდი, მადლონსაც ვუყვარდი, ცაში ვფრინავდი. მამა მკაცრად  
გვადევნებდა თვალს, მაგრამ ჩუმ-ჩუმად, ჩვენი ფარული კავშირის ნიშნად,  
ხშირად ვუჭკრდით ერთმანეთს ხელზე ხელს. კარდილიაკი თითქოს ვერაფ-  
ერს ამჩნევდა. დღენიადაგ იმაზე ვფიქრობდი, მადლონზე ჯვარი დამეწერა, თუ  
მამამისის გულს მოვიკებდი და ოსტატი გავბდებოდი. ერთ დღით, ის იყო,  
მუშაობის დაწყებას ვაპირებდი, კარდილიაკი მომიახლოვდა. ნაღვლიან თვა-  
ლებში ზიზღი და მრისხანება შევამჩნიე: „აღარ მჭირდება, ახლავე დაიკარგე  
აქედან და თვალით აღარ დამენახო. ალბათ ხვდები, რატომაც მძულხარ. ლა-  
ტაკო მაწაწაწავ, არ გაგიგონია, კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო?!“ მინდოდა რა-

დაც მეთქვა. მაგრამ ხელი მკრა და გარეთ გამოვიდა წავიქციე და ხელი და თავი ვიტკინე.

აღშფოთებულმა, საშინლად გულმოკლულმა დავტოვე კარდილიაკის სახლი და ერთ ძველ ნაცნობთან შევაფარე თავი წმინდა მარტენის არეუბანში. მან სხვენზე მიმიჩინა ბინა არ ვიცოდი, რა იყო სიმშვიდე და რა იყო სიმამლი. მობით კარდილიაკის სახლს ვუტრიალებდი, იქნებ მადლობა უნდა მქონო ჩემი ოხვრა-ტირილი. ფანჯარასთან მოვიდეს და რამე მითხრას, სახლში არავის დაუნახავს-მეთქი. თავში ათასნაირი თამამი აზრები მომდიოდა, რომლის შესრულებასაც მინდოდა მადლონი დამეყოლიებინა. კარდილიაკის სახლს ნიკეზის ქუჩაზე მალალი კედელი ეკვრის ნიშებით, სადაც ძველი, მოფამფალებული ქანდაკებები დგას. ერთხელ ღამით ერთ ქანდაკებასთან ვდგავარ და გზოში გამომავალ ფანჯარას შევცქერო. უცბად კარდილიაკის სახელოსნოში შუქი შევამჩნიე. შეალამე იყო. კარდილიაკს ამ დროს არასოდეს ეღვიძა. საათის ცარა დაპკრავდა თუ არა. დასაძინებლად მიდიოდა. გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ავი წინათგრძნობა დამეუფლა. რაღაც მოხდება და იქნებ შინ შევიპარობეთქი, მაგრამ შუქი ჩაქრა. ქანდაკებას ავეკარი ნიშაში მივძვრები. უცბად შეშინებული მოვწყდი კედელს. ვიგრძენი, ვიღაც ხელს მკრავდა, თითქოს ქანდაკება გაცოცხლდა. ღამის სიბნელეში შევამჩნიე, ქვა ნელ-ნელა შემოტრიალდა. კედელში გაჩენილა ხვრელიდან გამოიპარა შავი ფიგურა და ქუჩას გაუყვა. მივვარდი ქანდაკებას. იგი ახლაც მჭიდროდ ეკვროდა კედელს. თითქოს რაღაც შინაგანმა ძალამ მიბიძგაო, უცნობს ავეღვენე. ის იყო ღეთისმშობლის ქანდაკებასთან მივიდა, რომ შემოტრიალდა და ფარნის შუქზე კარდილიაკი ვიცანი. რაღაც შიშმა, ავისმომასწავებელმა ცახცახმა ამიტანა. მოჯადოებულებით მივღვე უკან ამ მთვარეულს, მოჩვენებას. სწორედ რომ მთვარეულად ჩავთვალე ჩემი ბატონი, თუმცა არ იყო მთვარის ავსება, როცა მძინარენი ვეღარ უძლებენ ცთუნებას. ბოლოს კარდილიაკი სადღაც ჩრდილში გაუჩინარდა. მაგრამ წყნარ, ჩემთვის ნაცნობ ჩაბველებასზე მივხვდი, რომ იგი სახლის კიშკარში მიიმალა. „ეს რას ნიშნავს, რას აპირებს?“ — ვეკითხები საკუთარ თავს განცდიერებული და მაგრად ვეკვრი კედელს. დიდბანს არ მომიხდა ლოდინი. ღიღინ-ღინით, დეზების წყარუნით ჩამიარა ვიღაც კაცმა. შლაპაზე ღია ფერის ჭილა ედვა. როგორც ვეფხვი მსხვერპლს დაინახავს, კარდილიაკი გამოვარდა თავისი სამალავიდან და იმ კაცს ეცა. კაცმა მაშინვე ბრიალი ამოუშვა და მიწაზე დაეცა. შეშინებულმა ვიყვირე და მივვარდი კაცთან. კარდილიაკი დაბრლივო მიწაზე განრთხმული ადამიანისაკენ. „ოსტატო, აქ რას აკეთებთ?“ — ვუყვირე მე. „წყეულიმც იყავ!“ — დამიღრიალა კარდილიაკმა, ელვის უსწრაფესად ჩამიქროლა გვერდით და გაუჩინარდა.

თავზარდაცემული ფეხებს ძლივს მივათრევდი. მივედი მიწაზე განრთხმულ კაცთან და მუხლებზე დავეცი, იქნებ კიდევ შეიძლება შველა-მეთქი, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. შიშისაგან ვათავებულმა ვერც კი შევამჩნიე, როგორ შემომერტყნენ მცველები. „ამ ეშმაკისეულებმა ისევ მოკლეს კაცი... ეი, შენ, ყმაწვილო, აქ რას აკეთებ? იმათი ბანდისა ხარ? არ გაუშვიათ!“ ისე ყვიროდნენ, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ. დამიჭირეს. ენის ბორძიკით ძლივს მოვახერხე მეთხოვა, ასეთი საშინელი ბოროტმოქმედება არასდროს ჩამიდენია და მშვიდობიანად გამიშვიტ-მეთქი ჩემს გზაზე. ერთმა ფარანი მომანათა და გაეცინა: „ეს ოლივიე ბრიუსონია, ჩვენი კეთილი



რენე კარდილიაკის შევირდი. ოპ, ეგ არ მოკლავს კაცს, მკვლელი არც მკვდართან დაიწყებდა ტრიალს, პირიქით, გაიქცეოდა. ნუ გეშინია, გვიამბე, ყმაწვილო, რა მოხდა!" „სულ ახლოს ჩემგან, — ვუთხარი მე, — ამ კაცს თავს დაესხა ვიღაც, დასჭრა, მიწაზე დასცა. რაც შემეძლო, ვიყვირე, მაგრამ იმან ქარიხით მოჰკურცხლა. მოვირბინე, იქნებ ვუშველო-მეთქი“. „არა, შეილუ ჩემო, წამოიძახა ერთმა მათგანმა, მკვდარი წამოსწია. — გვიანაა ვიღაც მოსულია, წიგ გულში ჩაუტყვამთ მახვილი“. „ოპ, ეშმაკის კერძო! — ამბობს მეორე, — ახლაც დავიგვიანეთ, როგორც სამი დღის წინ“. მკვდარი წაიღეს და წავიდნენ. —

ენით ვერ აგიწერს, რას ვგრძნობდი მაშინ. ხელით ვიჩქმეტდი სხეულს, ავი სიზმარი ხომ არ არის-მეთქი. ასე მეგონა. აი, ახლა გამოვიღვიძებ და გამაოცებს ეს სულელური ჩვენება — კარდილიაკი, ჩემი მადლონის მამა, საზიზლარი მკვლელია! ძალღონეგამოცლილი რომელიღაც სადარბაზოს ქვის კიბეზე დავეშვი თვნიდებოდა. მიდამოს თანდათან შუქი ეფინებოდა. ჩემს წინ, ქვაფენილზე, მშვენიერი ფრთებით მორთული ოფიცრის შლაპა ეგდო. თვალწინ წარმომიდგა სისხლიანი დანაშაული კარდილიაკისა. შეძრწუნებული გავეცალე იქაურობას.

საშინლად აფთრიაქებული ლამის ჰკუაზე შეშლილი ვიჩქეჩი ჩემთვის სხეულში უცბად კარი გაიღო და შემოვიდა რენე კარდილიაკი.

„ღმერთო ჩემო, თქვენ აქ რა გინდათ?“ — ვიყვირე მე. იმან ყურადღება არ მომაქცია. მომახლოვდა და გამიღიმა მშვიდად. ალერსიანად, რამაც კიდევ უფრო შემაზიზლა მისი თავი. მოსწია ძველი, გატეხილი სკამი და უფრო ახლოს მომიჯდა. მე კი ვერა და ველარ წამოვიწიე ჩალის საწოლიდან. „ოლივიე, როგორ ცხოვრობ, შე საბრალოე, როგორ ვიჩქარე, რომ გაგაგდე, ძალიან მჭირდები. ისეთი სამუშაო მაქვს, უშენოდ ვერ დავამთავრებ. რას იტყვი, ხომ არ დაბრუნდები ჩემთან? ხმას რატომ არ იღებ? ვიცი, ნაწყენი ხარ ჩემზე. ვერ დაგიმალავ, გამაბრაზა შენმა კურკურომა მადლონთან. მერე კარგად მოვიფიქრე და გადავწყვიტე, შენზე უკეთეს ხელოსანს, გულმოდგინესა და ერთგულს, მე სიძვედ ვერ ვინატრებ მოდი ჩემთან... მადლონსაც ცოლად შეირთავ“.

კარდილიაკის სიტყვებმა გულში დამჭრა. მისმა ვერაგობამ შემადრწუნა და ხმა ვერ ამოვიღე. „შენ ყოყმანობ, — განაგრძობდა უფრო მკაცრად, მის მოვლვარე თვალებს ლამის გავებვრიტე. — ასევე ყოყმანობ? იქნებ დღეს არ შეგიძლია მოსვლა, სხვა საქმე გაქვს. დეგრეს ნახვას ხომ არ აპირებ? დ'არქანსონთან და ლ'არენისთან ხომ არ გინდა მიხვიდე? უფრთხილდი, ყმაწვილო, სხვისთვის გათრრილ ორმომში თვითონ არ ჩაწეე, კისერი არ მოიტეხო!“ ახლა კი ველარ შევიკავე თავი: „მაგათი იმათ ეშინოდეთ, ვისაც სინდისზე საშინელი ბოროტმოქმედება აწევთ. მე იმათთან რა მესაქმება!“ „ღირსების მეტს არაფერს შეგმატებს, თუ ჩემთან იმუშავებ. ჩვენი დროის ყველაზე სახელგანთქმულ ოსტატთან, რომელსაც პატივს სცემენ როგორც პატიოსან, თავისი სიტყვის კაცს. ცილისწამება იმას ვერას დააკლებს, თვითონ ცილისწამებელს დაატყდება თავს. უნდა გამოგიტყდე, ამ დათმობაზე მხოლოდ მადლონის გულისათვის მივდივარ. ვერც კი წარმომედგინა, თუ ასეთი სიყვარული შეეძლო ამ სუსტ ბავშვს. წახვედი თუ არა, ჩემს ფერხთით დაეცა. ფეხებზე მომეხვია და გამომიტყდა, უიმისოდ სიცოცხლე არ შემეძლიაო. ვიფიქრე, ეჩვენება-მეთქი: ეს შეყვარებული ვოგოები მაშინვე მზად არიან თავი მოიკლან, როგორც კი რომელიმე სახდომიანი ყმაწვილი ალერსიანად გაუღიმებს. მაგრამ ჩემი მად-

ლონი მართლს ჩამოხმა და ავად გაშიხდა. ვცადე, დამერწმუნებინა, თავიდან ამოეგდო შენი სახელი, მაგრამ ამაოდ. რალა თქმა უნდა. შვილს სასიკვდილოდ ხომ ვერ გავიმეტებდი გუშინ საღამოს ვუთხარი, ყველაფერზე თანახმა ვარ და ახლაც მოგიყვან-მეტქი ერთ ღამეში გაიფურჩქნა და შენ გელოდება სიყვარულისაგან გაგიყებულო! ღმერთმა მაპატიოს, მეტყველებდი მამისთვის, როგორ მოგხვდით ისევ კარდილიაკის სახლში. მადლონმა სწამა და მოვიყვანე:

„ოლივიე, ჩემო ოლივიე, ჩემო სიყვარულო, ჩემო საქმროვ!“ — მომვარდა, ხელები მომხვია და მაგრად ჩამიკრა გულში. მე კი უსაზღვრო სიყვარულით დანთქმულმა დავიფიცე წმინდა ქალწული და ყველა წმინდანი, რომ არასოდეს არ დავეშორდებოდი მას.

სწორედ ამ წუთში გადაწყვიტა მისი ბედი. აქ ოლივიემ თნრობა შეწყვიტა. სკიუდერიმ რომ გაიგო ბოროტმოქმედებანი კაცისა, ვინც წინათ სათნოების, პატიოსნების განსახიერებად მიაჩნდა, შეძრწუნებულმა წამოიყვირა:

— რა საშინელებაა! ნუთუ რენე კარდილიაკი იმ მკვლელთა ბანდას ეკუთვნოდა, ჩვენი მშვენიერი პარიზი ავაზაკთა ბუნაგად რომ აქცია?!

— რას ამბობთ, ქალბატონო, — წარმოთქვა ოლივიემ. — მკვლელთა ბანდაო? არ არსებობს ასეთი ბანდა. კარდილიაკი მარტო იყო. არ იყო და, დაღლა რა იყო მთელ ქალაქში ეძებდა მსხვერპლს და პოულობდა სწორედ იმიტომ სცემდა გულში მახვილს, რომ მკვლელის კვალს ვერაფერს წაწყდომოდა. მაგრამ ნება მიბოძეთ, თნრობა განვაგრძო, რათა აგიხსნათ ადამიანთაგან ყველაზე დამნაშავესა და ამასთან ყველაზე უბედურის საიდუმლო.

ადვილად წარმოიდგენთ, რა ვითარებაში აღმოვჩნდი, ოსტატის სახლში რომ დავბრუნდი. ნაბიჯი გადადგმული იყო, უკან დაბრუნება აღარ შემეძლო. ზანდაზან მეჩვენებოდა, რომ კარდილიაკის ბოროტმოქმედების ხელშემწყობი გავხდი. მხოლოდ მადლონის სიყვარული მაგიწყებდა გულისგამფლეთ სატან-ჯველს. მხოლოდ მის გვერდით ვივიწყებდი ენით გამოუთქმელ მწუხარებას. მოხუცთან ერთად სახელოსნოში რომ ვმუშაობდი, ვერ ვბედავდი სახეში შემეხედა, სიტყვა მეტქვა მისთვის. მეშინოდა ამ საშინელი კაცისა, რომელიც დღისით კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაზი, მოყვარული მამის, პატიოსანი კაცის ყველა მოვალეობას, ღამის წყვილიად მოფარებული კი ბოროტმოქმედებას ჩადიოდა. მადლონი, ეს ანგელოზი, წმინდა ბავშვი აღმერთებდა მამას. გული მეფლითებოდა იმის გაფიქრებაზე, ამ იდუმალ ბოროტმოქმედებას ფარდა რომ აებდებოდა, როგორ დაიტანჯებოდა მამის სატანისებური ცბიერებით მოტყუებული მადლონი. აი, რატომ მედო ენაზე კლიტე, თუმცა ამის გამო სამარცხეინო სიკვდილი მელოდა, სიკვდილი დამნაშავესა. თუმცა მცველების სიტყვებიდან რაღაცას მივხვდი, კარდილიაკის ბოროტმოქმედებანი, მათი მიზეზი, მეთოდი. რასაც ის იყენებდა, ჩემთვის მაინც გამოცანად რჩებოდა. დიდხანს არ მომიხდა ლოდინი ამ გამოცანის ამოსახსნელად. როცა მუშაობდა, კარდილიაკი არაჩვეულებრივად მხიარულ გუნებაზე იყო ხუმრობდა, იცინოდა. რაც ჩემს სულში მხოლოდ სიძულვილს იწვევდა, მაგრამ ერთბელ რაღაც ჩაფიქრებული და შეწუხებული მომეჩვენა. უცბად მოისროლა ბეჭედი. ძვირფასი თვალ-მარგალიტი აქეთ-იქით მიმოიფანტა. მოსხლეტით წამოხტა და მითხრა: „ოლივიე, ჩვენს შორის ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. შემთხვევამ ნოწმე გაგზავდა იმისა, რისი აღმოჩენაც დეგრემ და მისმა ამხანაგებმა, მიუხედავად საოცარი ეშმაკობისა, ვერ შეძლეს. შენ მნახე ღამით მუშაობისას, საითკე-

ნაც მიზიდავს ჩემი ბედის ბოროტი ვარსკვლავი. ძალი არ შემწევს მას შევეწინააღმდეგო. შენმა ბოროტმა ვარსკვლავმა კი ჩემს უკან აგადევნა. უხილავ საბურველში გაგაჩვია, შენს მიხვრა-მოხვრას ისეთი სიმსუბუქე მიახრება, ნადირით ისე ჩუმად მომდევდო. ვერ შეგამჩნიე, თუმცა უკუნ წყვილიდშიც კი ვეფხვზე უკეთესად ვხედავ. ქუჩის ბოლოს რაღაც შრიალიე შეჩუქტყმეც ის კი არა, კოლოს ბზუილი. შენმა ბოროტმა ვარსკვლავმა ჩემთან მოსტყუება და ჩემს თანამზრახველად გატყია. ფიქრადაც ნუ გაივლებ ჩემს გაცემას, ამიტომ ყველაფერი იცოდე". ცბიერო მელავ, შენი თანამზრახველი არასოდეს გაგბდები-მეთქი. მინდოდა მეყვირა მისთვის, მაგრამ ისე შემადრწუნა მისმა ნათქვამმა, სიტყვა ყელში გამეჩხირა და მის მაგივრად რაღაც ღმუილი აღმომხდა. კარდილიაკი ისევ დაჯდა თავის ადგილას. ოფლისაგან დაცვარული შუბლი მოიწმინდა. მძიმე მოგონებებით შეძრწუნებულმა ძლივს დაიმშვიდა თავი. ბოლოს დაიწყო: „ბრძენი ხალხი ბევრს ლაპარაკობს ფენმძიმე ქალების ახირებულობასა და უცნაურ მგრძობელობაზე და იმაზე, თუ რა საოცარი ძლიერი გავლენა შეიძლება მოახდინოს ბავშვზე გარედან უნებურად და გაუთვითცნობიერებლად მიღებულმა შთაბეჭდილებებმა. საოცარი ამბავი მიამბეს დედაჩემზე. ჩემზე ერთი თვის ფენმძიმე რომ ყოფილა, ტრიანონში სამეფო კარის ბრწყინვალე ზეიმს დასწრებია. მისი მზერა ესპანურ ტანსაცმელში გამოწყობილ კაცს მიუპყრია. მას ყველაზე ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ძეწკვი ეკიდა თურმე. დედა თვალს ვერ აშორებდა ამ კაცს. მთელი არსებით მიიწევდა იმ ბრწყინვალე ქვებისაკენ, რომლებიც მას ზღაპრულ განძად ეჩვენებოდა. რამდენიმე წლით ადრე, სანამ დედაჩემი გათხოვდებოდა, ეს კაცი მას გაუარშიყდა, მაგრამ დედამ ზიზლით უარყო იგი. დედაჩემმა იცნო, მაგრამ ბრილიანტების ბრწყინვალეებაში ახლა ზებუნებრივ არსებად, სილამაზის განსახიერებად მიაჩნდა. ვაჟმა შეამჩნია დედაჩემის მწველი თვალების მზერა, მოახერხა მასთან მიახლოება და განცალკევებული ადგილისაკენ გატყუება. აქ ვნებამორეულმა გულში ჩაიკრა. დედამ ხელი ჩაავლო მის დიდებულ ძეწკვს, მაგრამ ამ დროს ვაჟი შეტორტმანდა და თან გადაიყოლა. დაცემის ბრალი იყო თუ სხვა მიზეზი, ვაჟი გარდაიცვალა. ამოდ ცდილობდა დედაჩემი დასხლტომოდა მკვდრის გამეშვებულ მკლავებს. მკვდარი ჩამქრალი თვალებით მისჩერებოდა და დედას წამოდგომის საშუალებას არ აძლევდა. მოშორებით ჩავლილმა ხალხმა გაიგონა დედაჩემის კივილი. მიაშურეს და გაანთავისუფლეს საშინელი სატრფოს მკლავთაგან. დედა გამოვლილი შიშისაგან მძიმედ გახდა ავად. მეც და იმასაც დაღუპულად გვთვლიდნენ, მაგრამ მაინც გამოჯანმრთელდა და მშვიდობიანად იმშობიარა ნაადრევად. მე კი ამ მძიმე წუთებში გამოვლილმა შიშმა საშინელი დაღი დამასვა. ამობრწყინდა ჩემი ბოროტი ვარსკვლავი და ამინთო ნაპერწკალი, რამაც ჩემს გულში ყველაზე საოცარი და დამღუპველი ჟინი გაადვივა. ბავშვობაში ყველაზე მეტად მიყვარდა ბრილიანტების ბრწყინვალეება, ოქროს სამკაულები. ეს ჩვეულებრივ, ბავშვურ ახირებად მიაჩნდათ, მაგრამ ასე არ იყო. ჭაბუკობისას, საცა კი წავაწყდებოდი, გიპარავდი ოქროსა და ბრილიანტებს. ისე დავბელოვნდი ამ საქმეში, ალლოთი ვცნობდი ნამდვილსა და ყალბს, მხოლოდ ნამდვილი მიტაცებდა. ყალბ ოქროსა და ოქროს მონეტებს ყურადღებასაც არ ვაქცევდი. მამაჩემი მკაცრად მსჯიდა, მაგრამ ვერ ჩამიკლა თანდაყოლილი ჟინი. ოქრომჭედლის ხელობაც იმიტომ ავარჩიე. გატაცებით დავიწყე მუშაობა და მალე ჩემი საქმის პირველი ოსტატი

გავხდი. და ბოლოს დამიდგა დოო, როცა კარგა ხნის დათრგუნვილმა, თანდა-  
 ყოლილმა ეინმა გაიღვიძა ჩემს არსებაში და დანთქა ყოველი დანარჩენი. სა-  
 მუშაოს რომ დავამთავრებდი და უნდა მიმეცა დამკვეთისათვის ძვირფასი სამ-  
 კაული, შიში, უიმედობა მიპყრობდა. ძილს, ჭანმრთელობას, მზნეობას მაკარგ-  
 ვინებდა. კაცი, ვინც სამუშაო შემიკვეთა, მოჩვენებასავით თვალწინ მედგა  
 დღედაღამ ჩემი სამკაულით დამშვენებული და რაღაც ხმაზე ამჩურჩულებდა:  
 „ეს ხომ შენია, წაართვი. რად უნდა მკვდარს ბრილიანტები!“ ბოლოს ქურდობა  
 დავიწყე. ყველა გამოჩენილ ოჯახში შევდიოდი. სწრაფად ვპოულობდი მო-  
 ხერხებულ შემთხვევას. ჩემს მოხერხებულობას ვერც ერთი კლიტე ვერ უძ-  
 ლებდა და მალე ჩემს მიერ შექმნილი ნივთი ისევ ჩემს ხელში ხვდებოდა, მაგრამ  
 ესეც კი ვერ მამშვიდებდა. მაინც მესმოდა ის იდუმალი ხმა, დამცინოდა და  
 ჩამძახოდა: „ჰო! ჰო! შენი სამკაული მკვდარს უკეთია!“ მე თვითონ არ ვიცდი,  
 რატომ მეჭავრებოდნენ ასე საშინლად ისინი, ვისაც სამკაულს ვუკეთებდი. სუ-  
 ლის ნიღრმეში სისხლის წყურვილი მიჩნდებოდა და ცახცახი მიტანდა. იმ  
 დროს ეს სახლი ვიყიდე. მე და ამ სახლის წინანდელი პატრონი ამ ოთახში  
 ვუსხედით ერთ ბოთლ ღვინოს და ვმასლაათობდით. ორივენი კმაყოფილნი  
 ვიყავით გარიგებით. დაღამდა. ის იყო, წასვლა დაეპირე, რომ სახლის პატრონ-  
 მა მითხრა: „ყური მიგდეთ, ოსტატო რენე! სანამ წაბვიდოდეთ, მინდა ჩემი  
 სახლის საიდუმლო გაგიმზილოთ“. — და გამოაღო ეს კედლის კარადა. გადას-  
 წია უკანა კედელი და ერთ პატარა ოთახში შევიდა. წაიხარა, ჩამოსაშვები კარი  
 ასწია. წვრილი, ხრახნილი კიბით ჩავედით. ვიწრო კარი გამოაღო და ეზოში  
 აღმოვჩნდით. აქ მოხუცი სახლის პატრონი გალავანთან მივიდა, ხელი შეახო  
 ცოტა წინ გამოწეულ რკინის ნაჭერს. კედლის ნაწილი ისე შემოტრიალდა, გა-  
 ჩენილ ხვრელში თავისუფლად გაეტეოდა კაცი და ქუჩაში გავიდოდა. ოდესმე  
 გაჩვენებ. წინათ აქ მონასტერი იყო და, ეტყობა, მაშინ მოიგონეს ეშმაკმა ბე-  
 რებმა ეს საიდუმლო შესაძვრომი. გალავნის ეს ნაწილი ხისაა. მხოლოდ გარე-  
 დან ისეა შელესილი და შეღებილი. ქვისა გეგონებათ, და დამალულ ანჯამაზე  
 ტრიალებს. ამ მოწყობილობის დანახვამ ბნელი ფიქრები გამიღვიძა ასე მეგო-  
 ნა, საფუძველი ჩაეყარა იმას, რაც აქამდე იდუმალებით იყო მოცული. სანამ  
 ეს მოხდებოდა, ერთ სამეფო კარის კაცს ძვირფასი სამკაული მივართვი, მო-  
 ცეკვავისათვის უნდოდა საჩუქრად. ის დღე იყო და დაიწყო ჩემი წვალება:  
 მოჩვენება ფეხდაფეხ დამდევდა. ეშმაკი რაღაცას ჩამჩურჩულებდა ყურში.  
 გადავედი ნაყიდ სახლში. შიშისაგან სიმწრის ოფლი მასხამდა. საწოლში  
 ვწრიალებდი. ჩემს თვალებს ძილი არ ეკარებოდა. ფიქრებში ვხედავდი, ეს  
 კაცი ჩემი სამკაულით ხელდამშვენებული როგორ მიიპარებოდა მოცეკვავისა-  
 კენ. გააფთრებული წამოვხტი, ლაბადა წამოვისხი, იდუმალი კიბით დავეშვი,  
 კედელში გავძვერი და ნიკეზის ქუჩაზე გავჩდი. გამოჩნდა იგი, მე მივვარდი.  
 იყვირა, მაგრამ მაგრად ჩავავლე უკნიდან ხელი და შიგ გულში ჩავეცი მახ-  
 ვილი... სამკაული ხელთ მქონდა. ეს რომ ჩავიდინე, ისეთი სიმშვიდე, კმაყო-  
 ფილება ვიგრძენი, რაც ჩემს სიცოცხლეში არ განმიცდია... ცთუნება გაქრა.  
 სატანის ხმა დაცხრა. მივხვდი, რას ითხოვდა ჩემგან ჩემი ბოროტი ვარსკვლავი. ან  
 უნდა დავმორჩილებოდი, ან უნდა მოვმკვდარიყავი. ახლა ჩემთვის ნათელია ჩემი  
 საქციელის მიზეზი. მაგრამ არ გეგონოს, რაგან ეს უეჭველად უნდა ჩავიდინო,  
 მთლად დავკარგე სიბრალული და თანაგრძნობა. რაც ყოველ ადამიანს ახა-

სიათებს. შენ იცი, როგორ მიჭირს შემკვეთისათვის სამუშაოს ჩაბარება. ისიც იცი, იმის სამუშაოს ხელს არ ვკიდებ, ვისი სიკვდილიც არ მსურს...

ეს რომ მიამბო, კარდილიაკმა საიდუმლო ოთახში შემიყვანა და მაჩვენა თავისი ძვირფასი ნივთები. ამაზე მეტი სამკაულები თვით ხელმწიფესაც არ ექნებოდა. თვითოეულ ნივთზე მიკრული იყო იარლიყი და ზედ ზუსტად იყო აღნიშნული, ვისთვის გააკეთა და როგორ დაიბრუნა უკან. ქუჩადაც კარც-ვით თუ მკვლელობით. „შენი ქორწილის დღეს, — ყრუდ და საზეიმოდ მითხრა კარდილიაკმა, — შენი ქორწილის დღეს, ოლივიე, — და ხელი დაადო ჯვარცმას, — შემომფიცე, მთელს ამ საგანძურს გაანადგურებ, როგორც მე გასწავლი. არ მინდა ვინმეს ამქვეყნად და ყველაზე მეტად მადლონსა და შენ გერგოთ ეს სისხლის ფასად ნაშოვნი საგანძური.“

დანაშაულში გახლართული, სიყვარულითა და სიძულვილით ტანჯული იმ დამნაშავეს ვგავდი, ანგელოზი ნაზი ღიმილით მაღლა რომ ეწევა, სატანა კი გახურებული ბრჭყალებით ჩაპტრენია და კეთილი ანგელოზის ღიმილი, ციურ ნეტარებას რომ აღუთქვამს, საშინელ სატანჯველად ქცეულა მისთვის. ნე უკვე გაქცევას, თავის მოკვლასაც კი ვფიქრობდი, მაგრამ მადლონი? დამნაშავე ვარ, დამნაშავე, ძვირფასო ქალბატონო, რომ ვერ ვძლიე გზნება და დანაშაულის ჩაქვით შემბორკა. მაგრამ ამისთვის ხომ სამარცხვინო სიკვდილი მეღის.

ერთხელ კარდილიაკი შინ მეტისმეტად მხიარულ გუნებაზე დაბრუნდა. მადლონს მოეფერა. მეც ძალიან აღერსიანად მიყურებდა. სუფრასთან ერთი ბოთლი კარგი ღვინო შესვა, რის ნებასაც მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე აძლევდა თავს. მღეროდა, რაღაც უხაროდა. მადლონმა მარტო დაგვტოვა. ის იყო, სახელოსნოში ჩასვლას ვაპირებდი, რომ კარდილიაკმა მითხრა: „გვერდით მომიჯექ, უმაწვილო, დღეს მეტს ნულარ ვიმუშავებთ. მოდი ახლა პარიზში ყველაზე პატივსაცემი, ყველაზე ღირსეული ქალის სადღეგრძელო შეევსათ.“ ერთმანეთს მივუჭახუნეთ ჭიქები და ღვინო გამოვცალეთ. მერე მითხრა: „მითხარი, ოლივიე, როგორ მოგწონს ეს ლექსი?“

და მოჰყვა, რაც მოხდა მენტენონის განსასვენებელში, თქვენზე მითხრა: იმაზე მეტად არავის ვცემ ამქვეყნად პატივს. ისეთი სათნოა, მას რომ შევხედავ, ჩემი ბოროტი ვარსკვლავი ბრწყინვალეობას ჰკარგავს. ჩემი უბრწყინვალესი სამკაულები იმას შექტერის. ეს არც ავ ფიქრებსა და არც სისხლის დაღვრის სურვილს არ აღმიძრავსო. „ყური მიგდე, ოლივიე, ყური მიგდე, რა გადავწყვიტე. — თქვა მან. — კარგა ხანია ვაპირებდი ჩემი საკუთარი ქვებით პენრიეტა ინგლისელისათვის ფარღული და სამაჯურები გამეკეთებინა. ასეთი ჯერ არც ერთი არ გამომსვლია, მაგრამ გული მეფლითებოდა, როცა ვფიქრობდი, ეს ძვირფასი სამკაულები რომ უნდა მომეშორებინა. უბედური პრინცესა მოძალადეობრივი სიკვდილით დაიღუპა. ეს სამკაულები შევინახე და ჩემი პატივისცემისა და მადლობის ნიშნად დევნილი ბანდის სახელით მინდა ქალბატონ სკიუდერის გავუგზავნო. ვარდა იმისა, რომ სკიუდერის მკვერმეტყველი საბუთი ექნება ზეიმისა, დეგრესა და მის ხალხს მასხრად ავიგდებ, რასაც იმსახურებენ. შენ უნდა წაუღო ეს სამკაულები.“

კარდილიაკმა თქვენი სახელი წარმოთქვა თუ არა, ქალბატონო, თვალთავანთითქოს ბისტი გადამეცალა და მთელი თავისი ბრწყინვალეობით თვალწინ წარმომიდგა შორეული ბავშვობის მშვენიერი, ნათელი სურათები, საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი, სულში იმედის სხივი შემომეპარა, რამაც გამიფანტა ნაღვ-

ლიანი ფიქრები. „ეტყობა, მოგეწონა ჩემი აზრი, — მითხრა მან. — უნდა გამოვიტყდე, შინაგანმა ხმამ, რომელიც სრულებითაც არ ჰკავდა იმას, მტაცებელ მხეცივით სისხლიან მსხვერპლს რომ ითხოვდა ჩემგან, მაიძულა, ეს გამეკეთებინა. ხანდახან უცნაური რამ მემართება — დაუოკებელი მღელვარება, შიში მიპყრობს საშინელებისა შორეული, იმკვეყნიური ცხოველებსა და მარწუხებს მიჭერს. იმ წუთებში ასე მგონია, რაც ჩემს ბოროტ ქვარსკვლავმა ჩამადენინა. მძიმე ტვირთად დააწვება ჩემს უკვდავ, უდანაშაულო სულს. ასეთი სულიერი განწყობილების დროს ერთხელ გადავწყვიტე, მშვენიერი ბრილიანტის გვირგვინი გამეკეთებინა ღვთისმშობლის ქანდაკებისათვის, მაგრამ როგორც კი მუშაობის დაწყებას დავაპირებდი, ეს შიში კიდევ უფრო გამიძლიერდებოდა და გადავიფიქრებდი ჩემს ჩანაფიქრს. ახლა ასე მგონია, სკოლდერის რომ ვაჩუქებ ჩემს ნახელავთაგან ყველაზე უმშვენიერეს სამკაულს, მოკრძალებულ მსხვერპლს შევწირავ სათნოებასა და სიკეთეს და ერთგულ დამცველს ვიპოვი“. ქალბატონო, კარდილიაკმა ზუსტად იცოდა თქვენი ცხოვრების წესი და ამიხსნა, როდის და რომელ საათზე უნდა გადმომეცა თქვენთვის სამკაულებიანი ლამაზი კოლოფი. სიხარულისაგან ლამის ცას ვწეოდი. თვით ღმერთმა გამომიგზავნა ეს ბოროტმოქმედი კარდილიაკი, რათა ამ ჯოჯოხეთიდან ხსნის გზა ესწავლებინა სატანჯველში ჩავარდნილი განწირულისა და ცოდვილისათვის. კარდილიაკს, რა თქმა უნდა, ეს არ სურდა, სამაგიეროდ მე მინდოდა თქვენი ნახვა. ანა ბრიუსონის ვაჟიშვილი, თქვენი გაზრდილი, მინდოდა ფეხებში ჩავვარდნოდით და ყველაფერში გამოგტყდომოდით. უეჭველად გულს მოგიკლავდათ ის ენით გამოუთქმელი მწუხარება, საბრალო, უდანაშაულო მადლონს რომ ელოდა, თუ კარდილიაკის საიდუმლო გამომჟღავნდებოდა. იმედი მქონდა, თქვენი გამჭრიახი გონება გამოსავალს იპოვიდა, რომ ზღვარი დაედო კარდილიაკის ამ ამაზრზენი ბოროტმოქმედებისათვის და საიდუმლოც არ გამჟღავნებულყო. ნუ მკითხავთ, თვითონაც არ ვიცი, ეს რა გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ მე და მადლონს რომ გვიხსნიდით, ეს ისე მწამდა, როგორც წმინდა ქალწულის შემწეობისა მჯერა. იმ საღამოს, ქალბატონო, ამოდ ჩამიარა ცდამ. იმედს არ ვკარგავდი, რომ მეორეჯერ ბედნიერებას ვეწეოდი. მაგრამ კარდილიაკს უცბად გუნება გაუფუჭდა. დანალღლიანებული დადიოდა, სულ ერთ წერტილს მისჩერებოდა, გაუგებარ სიტყვებს ბურტყუნებდა, ხელებს იქნევდა, თითქოს მტრისაგან თავს იცავსო. ავი ფიქრები უტრიალებდა თავში. ერთხელ მთელი დილა ასე დაჰყო. ბოლოს მიუჯდა სამუშაოს, მაგრამ დარდიანი ისევ წამოხტა, ფანჯარაში გაიხედა და შეწუხებულმა პირქუშად წარმოთქვა: „ნეტა ჩემი სამკაულები ჰენრიეტა ინგლისელს ეტარებინა!“ ამ სიტყვებმა შემადრწუნა. ახლა უკვე ვიცოდი, რომ მისი სული კვლავ მოეცვა საშინელ სისხლიან ცთუნებას. კვლავ ყურში ჩასძახოდა სატანა. ვიცოდი, სიკვდილი გელოდათ წყვეული მკვლელის ხელით, თუ სამკაულებს დაუბრუნებდით კარდილიაკს, იქნებ გადარჩენილიყავით. საფრთხე თანდათან ახლოვდებოდა. ამ დროს შეგხვდით ახალ ხიდზე. გზა გამოვიკაფე თქვენს კარეტამდე და წერილი შემოგიგდეთ, რომელშიც გაფიცვებით, მაშინვე დაგებრუნებინათ კარდილიაკისათვის მისი ნაჩუქარი სამკაულები. თქვენ არ მოხვედით. მეორე დღეს შიშისაგან სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი: კარდილიაკი სიზმარში ნანახ ძვირფას სამკაულზე ლაპარაკობდა. თქვენს სამკაულზე. დარწმუნებული ვიყავი, მეორე ლამისათვის მოფიქრებული ჰქონდა სისხლიანი დანაშაული. თუნდაც კარდი-

ლიაკის სიცოცხლის ფასად უნდა დამებხენით. სალამოს ლოცვის შემდეგ თავის ოთახში რომ ჩაიკეტა. ფანჯრიდან ეზოში გადავეშვი, გავძვერი ბერელში და იქვე ჩრდილს შევიფარე თავი. ცოტა ხნის შემდეგ კარდილიაკი გამოვიდა და ფეხაკრეფით გაუყვა ქუჩას. მე უკან მივდევდი. სენტ ონორეს ქუჩისაკენ გაუხვია. გული მიფანქვალვდა. უცბად კარდილიაკი თვალთვალს დამეკარგა. გადავწყვიტე, თქვენი სახლის კართან გავჩერებულყავი, მაგრამ სწორედ იმ დროს როგორც მაშინ, შემთხვევამ ბოროტმოქმედების მოწმე გამხადა. ვილაც ოფიცერმა ჩამომიარა გვერდით. მე არც კი შევუმჩნევივარ. ამ დროს გამოვარდა შავი ფიგურა და ეცა მას. იგი კარდილიაკი იყო. მინდოდა ხელი შემეშალა მკვლელობისათვის, ხმამალლა ვიყვირე და ორი-სამი ნახტომით მათთან გავჩნდი, მაგრამ ოფიცერი კი არა, კარდილიაკი ეგდო მიწაზე და სასიკვდილოდ დაჭრილი ხრიალვდა. ოფიცერმა იფიქრა, მეც მკვლელის თანამონაწილე ვიყავი და თავის დასაცავად მოემზადა — გადააგდო მახვილი და დაშნა იძრო, მაგრამ რომ დაინახა, მასთან არაფერი შესაქმებოდა. მიცვალებულისაკენ დავიხარე, საჩქაროდ გავვეცალა. კარდილიაკი ჯერ ისევ ცოცხალი იყო. ოფიცრის გადაგდებული მახვილი დავმალე, კარდილიაკი ზურგზე წამოვიკიდე და საიდუმლო შესასვლელით საბელოსნოში შევიტანე. დანარჩენი უკვე იცით. ხომ ხედავთ, ქალბატონო, მთელი ჩემი დანაშაული ისაა, რომ სასამართლოს არ შევატყობინე მადლონის მამის ამბავი და ბოლო არ მოვუღე მის ბოროტმოქმედებას. მის სიკვდილში მე უბრალო ვარ. ვერავეითარი წამება ვერ დამაცდენინებს კარდილიაკის დანაშაულობათა საიდუმლოს. მე არ მინდა უდანაშაულო გოგონას გავუმჩილო მამის სისხლიანი საქმეები, მისი წარსულის მთელი საშინელებანი, რაც ბედისწერამ დაუმალა. არ მინდა, ხალხის შურისძიებას მკვდარი მიწიდან ამოვათხრევიხო. საწყევლად ვაქციო მისი დამძალი ძელები. არა!.. დაე, სატრფომ დამიტროს ვით უდანაშაულო მსხვერპლი, დრო შეუმსუბუქებს მწუხარებას, საყვარელი მამის სატანისებური საქმეები კი არასოდეს ამოიშლება მისი გულიდან.

ოლივიე გაჩუმდა. მაგრამ ცრემლები ლაპალუპით გადმოსცივიდა თვალთაგან, სკიუდერის ფეხებთან დაეცა და მუდარა დაუწყო:

— ხომ გჯერათ, რომ მე უდანაშაულო ვარ... აო, ხომ დარწმუნდით ახლა! შემობრალეთ, მითხარით, რა ბედი ეწია მადლონს.

სკიუდერიმ უხმო მარტინიერს და რამდენიმე წუთის შემდეგ მადლონი კისერზე ჩამოეკიდა ოლივიეს.

— რა ბედნიერი ვარ. შენ აქა ხარ. მე ხომ ვიცოდი, ეს უკეთილშობილესი ქალი დაგიხსნიდა! — წამოიძახა მადლონმა. ოლივიეს აღარ ახსოვდა, ბედმა რომ გასწირა, აღარ ახსოვდა, რა საფრთხეც ელოდა. ბედნიერი და თავისუფალი ეგონა თავი. ორივენი გულისმომკვლელად შესჩიოდნენ ერთმანეთს, რაც გადაიტანეს, ეხვეოდნენ და სიბარულისაგან ტიროდნენ, რომ ისევ ერთად იყვნენ.

სკიუდერი დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო ოლივიეს უდანაშაულობაში, ახლა ირწმუნებდა, ქალ-ვაჟს რომ უყურებდა. სიყვარულს რომ დაევიწყებინა ენით გამოუთქმელი ტანჯვა და ყოველივე ამქვეყნად. „არა, მხოლოდ წმინდა გულის ადამიანები ეძლევიან ასეთ თავდავიწყებას!“ — წამოიძახა მან.

ფანჯრებში დილის ნათელი შემოიჭრა. დეგრემ წყნარად დააკაკუნა კარზე და მოაგონა, დროა, ოლივიე ბრიუსონი ციხეში დაბრუნდესო. კარგად რომ

გათენებულიყო. ქუჩებში შეუმჩნევლად ვეღარ ვაატარებდა. შეყვარებულება უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს.

ნადვლიანი ფიქრები. სკიუდერის სულს რომ დაეუფლა მის სახლში ბრიუსონის პირველი გამოჩენისთანავე, ახლა საშინელ სინამდვილედ იქცა. მისი ძვირფასი ანას ვაჟიშვილი ისეთ საქმეში გახლართულიყო უდარაფრესად, რომ სამარცხვინო სიკვდილისაგან მისი დახსნა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. იგი მუხლს იყრიდა ყმაწვილის ვაჟკაცობის წინაშე, რომელსაც ერჩივნა სამარცხვინო სიკვდილით მომკვდარიყო. ოღონდ საიდუმლო არ გამოემჟღავნებინა და ამ საიდუმლოს მისი მადლონი არ დაეღუპა. რაღა არ მოიფიქრა, მაგრამ ვერ ხედავდა გზას უბედურის მკაცრ მოსამართლეთა ზელიდან გამოსაგლეჯად. თუმცა გულში მაინც მტკიცედ გადაეწყვიტა, რა მსხვერპლის გაღებაც არ უნდა დასჭირვებოდა. უკან არ დაეზია, ოღონდ აეცდინა მოსალოდნელი საშინელი უსამართლობა. ათასნაირ გეგმებს აწყობდა, ერთიმეორეზე უფრო ფანტასტიკურს, მაგრამ ისევე სწრაფად უარყოფდა, როგორც აწყობდა. იმედის სხივი თანდათან ფერმკრთალდებოდა და ქალს ლამის სასო წარკვეთოდა. მისადმი მადლონის ბავშვურმა ნდობამ, მისმა ნათელმა აღტაცებამ, ჩემს სატრფოს სულ მალე გაამართლებენ და გულში ჩამიკრავს თავის ცოლსო, სულის სიღრმემდე შესძრა და ძალა შემატა.

გულზე ბელებდაკრეფილი რომ არ მკვდარიყო, სკიუდერიმ ლ'არენის გრძელი წერილი მისწერა. წერილში სწერდა: ოლივიე ბრიუსონმა დამარწმუნა, რომ ბრალი არ მიუძღვის კარდილიაკის მკვლელობაში და მხოლოდ იმის გამო, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, საფლავში ჩაიტანოს თავისი საიდუმლო, რამაც შეიძლება დალუპოს უდანაშაულო და სათნო არსება, სასამართლოში ვერ იქნება გულახდილი, თუმცა ეს მოუხსნიდა კარდილიაკის მკვლელობის საშინელ ბრალდებას, აგრეთვე იმასაც, საზიღარ მკვლელობა ბანდას რომ ეკუთვნის.

ამ წერილში ჩანდა მისი მგზნებარე გულმოდგინება და ბრძნული მკვერნეტყველება ლ'არენის ქვა გულის მოსალობად. რამდენიმე საათის შემდეგ მიიღო ლ'არენის პასუხი: დიდად მახარებს, რომ ოლივიე ბრიუსონი სრულიად გამართლდა თავისი ღრმად პატივსაცემი მფარველის წინაშე, ხოლო მის ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას, საფლავში თან ჩაიტანოს საიდუმლო, ძალიან მებრალეება, მაგრამ *Chambre ardente* ვერ მოიწონებს, პირიქით, იძულებული იქნება, უმკაცრესი ზომები გამოიყენოს მის გასატეხად. ვიმედოვნებ, სამ დღეში მეცოდინება ის უჩვეულო საიდუმლო, რაც მომხდარ სასწაულს ამიხსნისო.

სკიუდერიმ მშვენიერად იცოდა, რა ზომებსაც მიიღებდა ლ'არენი ბრიუსონის გმირობის გასატეხად. ეჭვიც აღარ ეპარებოდა, უბედურს რა წამება ელოდა. თავზარდაცემულმა გადაწყვიტა, ჯერ საქმე გადაედებინებინა, იქნებ კანონებში გარკვეული ადამიანის რჩევა გამოსდგომოდა.

პიერ არნო დ'ანდილი მთელს პარიზში სახელგანთქმული ადვოკატი გახლდათ. მის ცოდნასა და ღრმა განათლებას პატიოსნება და კეთილსინდისიერებაც ამშვენიებდა. სკიუდერი მასთან მივიდა და ყველაფერი უამბო, ოღონდ ბრიუსონის საიდუმლო არ გაუცია. ეგონა, დ'ანდილი უდანაშაულო კაცის ბედით დაინტერესდებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მან ყველაფერი მშვიდად მოიხსენა და ღიმილით უპასუხა ბუალოს ლექსით: „Le vrai pent quelq fois n'être



pas-vraisemblable“<sup>1</sup> და აუხსნა სკიუდერის: ბრიუსონის წინააღმდეგ აშკარა სამხილი არსებობს, ლ' არენის სიმკაცრესა და აჩქარებას ნუ დაეპირალებო, იგი კანონის მსახურიაო. რა გონივრულადაც არ უნდა მოეჭყულებო, ბრიუსონს წამებისაგან მაინც ვერ დაეიხსნიდი. ბრიუსონის ბედი თვით მის ხელთაა: თუ გულწრფელად აღიარებს დანაშაულს და დაწერილები<sup>1</sup> კარდილიაკის სიკვდილის ამბავს, იქნებ გამოძიება ხელახლა დაიწყოსო.

— სხვა ვზას ვერ ვხედავ, მეფეს ფეხებში უნდა ჩავუვარდე და შეწყალება ვთხოვო! — წამოიძახა სასოწარკვეთილმა სკიუდერიმ და მის თვალთაგან ცრემლმა იწვიმა.

— ღვთის გულისათვის, ამას ნუ იზამთ, ნუ, ქალბატონო! — იყვირა ღ' ანდილიმ. — ამ უკანასკნელ ღონეს აბლა თუ იხმართ, თუ ვერ გიშველით, სხვა დროს ვერასოდეს გამოიყენებთ. მეფემ ამგვარი დამნაშავე რომ შეიწყალოს, თავზარდაცემული ხალხის რისხვას ვერსად წაუტვა. იქნებ ბრიუსონმა გაამხილოს თავისი საიდუმლო, ან სხვა გზა იპოვოს მასზე მიტანილი ექვის გასაფანტავად. მაშინ შეგეძლებათ, მეფეს შეწყალება სთხოვოთ, იგი არ დაიწყებს გამოძიებას და მიენდობა თავის შინაგან რწმენას.

სკიუდერის სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა დაჰყოლოდა დიდად გამოცდილი ღ' ანდილის ნებას და მეტად დანალვლიანებული. გვიან საღამოს იჯდა და ფიქრებს მისცემოდა, კიდევ რა ელონა ბრიუსონის გადასარჩენად, რომ მარტინიერი შემოვიდა და მოახსენა, მეფის გვარდიის პოლკოვნიკს, გრაფ მიოსანს უნდა თქვენთან ლაპარაკო.

— მაპატიეთ, ქალბატონო, — წარმოთქვა მიოსანმა და მხედრული თავაზიანობით მიესალმა, — მაპატიეთ, რომ ასე გვიან, ასე უდროო ვამს გაწუხებთ, მაგრამ ჯარისკაცები ღონდინს არა ვართ ხვეულნი. თავის გასამართლებლად ორ სიტყვას გეტყვით: მე აქ ოლივიე ბრიუსონის გულისთვის მოვედი.

სკიუდერი მოუთმენლად ელოდა, კიდევ რას ეტყოდა.

— ოლივიე ბრიუსონის გულისთვის? ადამიანთაგან ყველაზე უბედური ადამიანისა? მითხარით, რა იცით!

— ჩემი გუჟანი გამართლდა, — ღიმილით თქვა მიოსანმა. — ვიცოდი, ბრიუსონის სახელს წარმოეთქვამდი თუ არა, თქვენ მომისმენდით, ბრიუსონი ყველას დამნაშავე ჰგონია. მე ვიცი, ბრალდებულისაგან დარწმუნებული თქვენ სხვა აზრისა ხართ, მაგრამ ჩემზე უკეთ არავის მოეხსენება ბრიუსონის უბრალოება კარდილიაკის სიკვდილში.

— ოჰ, ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ! — წამოიძახა სკიუდერიმ და სიხარულსაგან თვალები გაუბრწყინდა.

— მე, მე მოვკალი მოხუცი ოქრომჭედელი სენტ-ონორეს ქუჩაზე, თქვენა სახლის მახლობლად. — მტკიცედ თქვა მიოსანმა.

— თქვენ? ღმერთო ჩემო, თქვენ? — წამოიძახა სკიუდერიმ.

— გეფიცებით, ქალბატონო, — განაგრძობდა მიოსანი, — მე ვამაყობ ჩემი ნამოქმედარით, კარდილიაკი ყველაზე უსაზიზღრესი და პირფერი ბოროტმოქმედი იყო. იგი ძარცვავდა და კლავდა ღამღამობით ადამიანებს და კარგა ხანს დაუძვრა ხელიდან მართლმსაჯულებას, მე თვითონ არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩემს სულში საშინელმა ექვმა დაიბუდა. როცა დავინახე, როგორ ღელავდა

<sup>1</sup> სიმართლე ზოგჯერ სიმართლეს არ ჰგავს (ფრანგ.).

ბებერი ავაზაკი, შეკვეთილ ნიუტს რომ მაძლევდა, როცა დაწვრილებით დამიწყო გამოკითხვა, ვისთვის მინდოდა სამკაული და დიდი ეშმაკობით დააცდენინა ჩემს კამერდინერს, რა დროს დაედოდი იმ ქალთან. კარგა/მანია მივაქციე ყურადღება, რომ საზიზღარი მძარცველის უბედური მსხვერპლი/ერთნაირი კრილობით იღუპებოდნენ. დარწმუნებული ვიყავი, მკვლელი მიეჩვია ჩარტყმას, რისგანაც მსხვერპლნი მაშინვე კვდებოდნენ, რომ ვეცდინებ, ვერძოლა თანაბარი გახდებოდა. ამან მაიძულა, მარტივი ხერხი გამომეყენებინა სიფრთხილისათვის, მაგრამ მიკვირდა, რატომ სხვებმა ვერ მოიფიქრეს ადრე და თავი ვერ დაიხსნეს საშინელი მკვლელისაგან. ეილეტის ქვეშ მსუბუქი ჯაჭვის პერანგი ჩავიცვი. კარდილიაკი უკნიდან მომეპარა და ლონივრად ჩამცა. დარტყმა ზუსტად იყო მოზომილი, მაგრამ მახვილი ლითონზე ასხლტა. იმავე წუთს თავი გავინთავისუფლე და მკერდში ჩავეცი მომზადებული მახვილი.

— მერე ხმას რატომ არ იღებდიო, რატომ აქამდე არ შეატყობინეთ სასამართლოს?

— ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, ქალბატონო, ამგვარ ჩვენებას შეიძლება მთლად დაველუბე, ან საზიზღარ საქმეში გავბმულიყავი. განა ლ' არენი, ყველგან რომ დანაშაული ელანდება, ასე უბრალოდ დამიჯერებდა, რომ მე თქვეს, ეს თქვენი პატიოსანი კარდილიაკი მკვლელია-მეთქი? იგი ხომ პატიოსნებისა და სათნოების განსახიერებად მიაჩნდათ. ხომ შეიძლებოდა, მართლმსაჯულებას მახვილი ჩემსკენ მოეშვირა?

— ხმას ვერ იზამდნენ! — წამოიძახა სკიუდერიმ, — თქვენი წარმომავლობა, წოდება...

— ოჰ, — განაგრძობდა მიოსანი, — მოიგონეთ მარშალი ლიუქსემბურგელი. ლე საეისათვის პოროსკოპი უნდა ეთხოვა, მაგრამ მოწამლვა დააბრალეს და ბასტილიაში ჩასვეს. არა, წმინდა დიონისეს ვფიცავ, ჩემი თავისუფლების არც ერთ საათს, თმის ერთ ღერსაც კი ვერ ჩავუგდებ ხელში მრისხანე ლ' არენის. იგი სიამოვნებით გამოგვჭრის ყელს ყველას.

— მაშ, როგორ, ვაგზავნით ეშაფოტზე უდანაშაულო ბრიუსონს? — გააწყვეტინა სკიუდერიმ.

— უდანაშაულოსო? — ჩაეკითხა მიოსანი. — ქალბატონო, თქვენ უდანაშაულოს ეძახით ბოროტმოქმედ კარდილიაკის თანამზარხველს, მის ხელშემწყობს, ვინც სამგზის სიკვდილს იმსახურებს? საქმის ნამდვილი ვითარება რომ გიამბოთ, მე ვფიქრობ *Chambre ardente*-ს ხელში არ ჩამაგდებთ, ჩემი საიდუმლოდან რაღაცას გამოიყენებთ იმ კაცის დასახსნელად, ვისაც თქვენი მფარველობის კალთა გადააფარეთ.

აღტაცებული სკიუდერი ნედავდა, როგორ უდაოდ მტკიცდებოდა ბრიუსონის უდანაშაულობა და არც კი შეყოყმანებულა, გრაფს ყველაფერი გაუმხილა და თან სთხოვა, დ' ანდილისთან წაჰყოლოდა, რომ მისთვისაც ეთქვა ეს, იქნებ მას ერჩია, როგორ მოქცეულიყო.

სკიუდერიმ დაწვრილებით რომ აუშბო დ' ანდილის ყველაფერი, იმან სხვა წვრილმანიც გამოჰკითხა საქმის ვითარებისა. განსაკუთრებით ჩააცივდა: გრაფი მიოსანი მტკიცედ არის დარწმუნებული, კარდილიაკი მასზე თავდასხმას რომ აპირებდა და ოლივიე ბრიუსონში იმ კაცს თუ ამოიცნობს, ვინც გვამი წაიღო.

— მთვარის კაშკაშა შუქზე მშვენივრად ვიცანი ოქრომკედელი. ლ' არენის-

თანაც სწორედ ის მახვილი ვნახე. მე რომ კარდილიაკი დაეკერი, ჩემ მახვილი. სახელური ფაქიზი ნაკეთობისა აქვს. ყმაწვილისაგან კი სხუთსაგან ხაბოჯზე ვიდრე და საჩუ შევათვალე. თავიდანაც შლავა და რაღა თქმა უნდა, ვიცნობდი.



დ' ანდლი რამდენიმე წუთს დუმდა. თვალები გაუშტურდა და თქვა:

— ფიქრიც კი ზედმეტია იმაზე, რომ ბრიუსონს ჩვეულებრივი ხერხებით გამოვგლეჯთ მართლმსაჯულებას ხელიდან. მადლონის გულისთვის მას არ უნდა თქვას, რომ კარდილიაკი მძარცველი და მკვლეელია. იყოს ნება მისი, თუნდაც რომ არ გაემჩილა საიდუმლო ხერხისა და ნაძარცვი საგანძურის ამბავი. სიკვდილი მაინც არ ასცდებოდა კარდილიაკის თანამზრახველს. ასევე მოხდება მაშინაც, გრაფმა მიოსანმა მოსამართლეებს რომ გაუმჩილოს კარდილიაკის მოკვლის ამბავი. ახლა საქმე უნდა გადავადებინოთ. გრაფი მიოსანი კონსერვატორიშა წავა და ითხოვს ოლივიე ბრიუსონი აჩვენონ შეიცნობს, რომ მას მიპქონდა კარდილიაკის გვამი. მე რე წავა დ' არენისთან და ეტყვის: „სენტ-ანორეს ტუჩაზე ჩემს თვალწინ კაცი მოკლეს. მე მკვდართან მივედი უცბად ვიღაც მოვარდა, დაიხარა მისკენ და დაინახა, რომ იგი ჯერ ისევ ცოცხალი იყო. ბეჭებზე წამოიკოდა და წაიღო ეს კაცი ოლივიე ბრიუსონი იყო“. ეს ჩვენება საფუძველი გახდება ბრიუსონის ხელახლა დაკითხვისა და მის გრაფ მიოსანთან დაპირისპირებისა: ერთი სიტყვით, მის წვალებას თავს დაანებებენ და დაიწყება ხელახალი ძიება. აი, მაშინ იქნება საჭირო მეფესთან წასვლა. თქვენზე, თქვენს გამჭრიახ გონებაზე იქნება დამოკიდებული, ქალბატონო. საქმის წარმატებით დასრულება ჩემის აზრით, აჯობებდა მეფისათვის საიდუმლო გაგემჩილათ. გრაფ მიოსანის ჩვენება ბრიუსონის სიტყვებს დაადასტურებს. ამავდროულად მიზნით იქნებ კარდილიაკის სახლიც გაჩხრიკონ. ამან შეიძლება სასამართლოს განაჩენი ვერ შესცვალოს, მაგრამ მეფის გადაწყვეტილებას კი შესცვლის. რადგან იგი დაეყრდნობა გრძნობას, რომელიც შებრალებას მოითხოვს იქ. სადაც მოსამართლე იძულებულია სასჯელი გამოიტანოს.

გრაფი მიოსანი მიპყვა დ' ანდლის რჩევას და მართლაც ყველაფერი სწორედ ისე აეწყო, როგორც მან ასწავლა.

ახლა ყველაზე ძნელი იყო, მეფისთვის შეწყალების თხოვნა. რადგან მეფეს ბრიუსონი ამ საშინელ მკვლელობაში დაშინავედ მიაჩნდა. სულ მცირე მოკონებაც კი იმ ამბისა, ამდენი ხნის განმავლობაში რომ აძრწუნებდა პარიზს, და იმ ავბედითი პროცესისა, საფორებდა ნოღმე. მენტენონმა თავს ვერ იღო შეამავლობა, რადგან მეფესთან უსიამოვნო ამბებზე ლაპარაკი უჭირდა. ამგვარად, ბრიუსონის ბედი მთლად სკიუდერის ხელთ იყო. კარგა ბნის ფიქრის შემდეგ, სკიუდერიმ გადაწყვიტა, მეფესთან წასულიყო. მძიმე, შავი აბრეშუმის კაბა ჩაიცვა, კარდილიაკის ნაჩუქარი ძვირფასი სამკაულები გაიკეთა, გრძელი, შავი პირბადე ჩამოიფარა და ამგვარად გამოწყობილი მენტენონის ბუდუარში გამოცხადდა. მეფე იქ იძყოფებოდა. ღირსეული ქალბატონის კეთილშობილურ შესახედაობას ეს სადღესასწაულო ტანსაცმელი ისეთ სადიადეს მატებდა, რომ ღრმა პატივისცემას აღუძრავდა იმ ამაზრზენ, თავგარიან იალბს, სესაბლის დერეფნებში რომ წებდებოდით და ყველას და ყველაფერს დასცილიდა. ახა დაუთმეს სკიუდერის მენტენონთან რომ შევიდა. მეფეც

კი წამოდგა მის შესაბამისად. ხელმწიფეს თავლები აუჭრელა ფარულისა და სამაჯურების ბრილიანტების ცინკიმმა და წამოიძახა:

— ნიძლავს დავდებ. თუ ეს კარდილიაკის ნაბეღავი არ უნდა მენთენონს მიუბრუნდა და თავაზიანი ღიმილით უთხრა: — შეხედეთ, მარკიზა, ჩვენი მშვენიერი პატარძალი როგორ გლოვობს თავის საქმეს!



— ოჰ, თქვენო უდიდებულესობავ, სიტყვა შეუბრუნა სკიუდერიმ, სიამაყის ზუმრობას მიუხედავად. — განა მგლოვიარე პატარძალს ასეთი სამკაულები შეტყფერის? ოკრომკედელზე არც ვიფიქრებდი, არც მოვიგონებდი, დროდადრო თვალწინ რომ არ წარმომიდგებოდეს ის საზიზღარო სურათი, როგორ ჩამოატარეს მისი გვამი ჩემს თვალწინ.

— თქვენ დაინახეთ ის საცოდავი? — ჰკითხა მეფემ.

სკიუდერიმ მოკლედ უპასურო (არ უნდოდა, ბრიუსონი ეხსენებინა). შემთხვევით როგორ ჩაიარა მის სახლთან, როცა იგი მკვდარი აპოვეს მერე მადლონის საშინელი მწუხარება აუწერა. რა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე იმ ანგელოზმა, როგორ გამოჰკლიჯა საბრალო ბავშვი დეგრეს კაცებს ხელიდან და რა აღტაცებული იყო ხალხი მისი საქციელით. სულ უფრო და უფრო მკვევრმეტყველურად ბატავდა ლ'არენისთან, დეგრესთან, თვით ოლივიე ბრიუსონთან შეხვედრის სურათს სკიუდერის მგზნებარე, ლამაზი თხრობით გატაცებულმა მეფემ ვერც კი შეამჩნია, რომ საუბარი ოლივიე ბრიუსონს შეეხო, და ისე უსმენდა, ეშინოდა, სიტყვა არ გამოჰპარვოდა, ხანდახან რაღაცას წამოიძახებდა აღელვებული. ამ ახალი ამბებით მთლად დანთქმულმა ვერც კი მოასწრო გონს მოსვლა, რომ სკიუდერი მის მუნღობთან დაემხო და ოლივიე ბრიუსონის შეწყალებას შეევედრა.

— რას შვრებით, ქალბატონო! — წამოიძახა მეფემ, ორივე ხელი წაავლო, წამოაყენა და სავარძელში ჩასვა. — რას შვრებით მეტად შემაშფოთებ, რა შემადრწუნებელი ამბავია, მაგრამ ვინ იქნება თავლები იმისა, რომ ბრიუსონის ფანტასტიკური ნაამბობი სიმართლეა?

— გრაფი მიოსანი... ჩხრეკა კარდილიაკის სახლში... შინაგანი რწმენა და მადლონის სათნო გული, რომელმაც უბედური ბრიუსონის გულშიც ასეთივე სათნოება ჰპოვა!

მეფემ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მისი ყურადღება მიიპყრო კართან ატეხილმა ხმაურმა, მეზობელი ოთახიდან ლუვუამ შემოიხედა, სახეზე მწუხარება ეხატებოდა, მეფე წამოდგა და გაჰყვა მას, სკიუდერი და მენთენონი შიშმა შეიპყრო — რაიმე საფრთხე რომ არ ელოდა მეფეს, მაგრამ იგი მალე დაბრუნდა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, მერე ხელები ზურგზე შემოიწყო, სკიუდერის წინ გაჩერდა და წყნარად, სახეში არც კი შეუხედავს მისთვის, წარმოთქვა:

— თქვენი მადლონის ნაბეღავი მიწოდდა.

— ოჰ, თქვენო უდიდებულესობავ, რა დიდი პატივი გრგო წილად საწყალ ბავშვს მხოლოდ თქვენს სიტყვას ველოდი, ჰაწია ახლავე თქვენს ფეხებთან იქნება. — მიუგო სკიუდერიმ და სწრაფად, რის საშუალებასაც თავისი მძიმე კაბა აძლევდა, კარისკენ წაუბრუნდა და გასძახა: მეფე მადლონ კარდილიაკს უხმობსო, მერე ისევ თავის სავარძელში ჩაჯდა და სიხარულისა და მოქანცულობისაგან აქვითინდა, სკიუდერი წინასწარ გრძნობდა მეფის მოწყალებას და თან წამოეყვანა მადლონი, იგი ახლა მარკიზა დე მენთენონის ოთახ-

ში იღვა და ხელში ეჭირა თვით ღ' ანდილის მიერ დაწერილი მოკლე შეწყალე-  
ბის ტექსტი. რამდენიმე წუთის შემდეგ უხმოდ დაეცა მეფის ფერხითი. შიშს,  
დაბნეულობას, მოკრძალებას, სიყვარულს და მწუხარებას მისი მჩქინარე  
სისხლი ისე აელეღებინა, სწრაფად მიედინებოდა ძარღვებში, ლოყები შე-  
ფაკვლოდა. თვალებზე ცრემლების მარგალიტები ასხდა და აბრუნებდა წამ-  
წამთაგან სცვივოდა და სცვივოდა მშვენიერ ქათქათა მკერდზე. მწუხარება  
მისმა ანგელოზურმა სილამაზემ. ნახად წამოაყენა. მისი ხელი ისე ეჭირა,  
თითქოს უნდა ეამბოროსო. მაგრამ მერე ხელი უშვა და ცრემლიანი თვალე-  
ბით უყურებდა მშვენიერ ბავშვს იმის ნიშნად, რომ მეტისმეტად აღელვებუ-  
ლი იყო მისი ნახვით. მენტენონმა ძლივს გასაგონად წასჩურჩულა სკიუდერის:

— შეხედეთ, ეს პატარა ალი-კვალი ლა ვალიერი არ არის? მეფე ტკბილ მო-  
გონებებს ეძლევა. თქვენი საქმე მოგებულა.

მენტენონმა ეს სიტყვები ჩუმად თქვა, მაგრამ, ეტყობა, მეფემ გაიგონა.  
სახეზე ერთ წუთს ვარდისფერმა გადაჰკრა, მარკიზას შეხედა. შეიწყალა  
მადლონი და ალერსიანი, რბილი ხმით უთხრა:

— ჩემო საყვარელო ბავშვო, მჯერა, რომ დარწმუნებული ხარ შენი  
ოლივიეს უდანაშაულობაში. მაგრამ ენახოთ, რას იტყვის *Chambre ardente!*

ხელის მსუბუქ მოძრაობაზე ცრემლად დაღვრილმა გოგონამ დასტოვა  
ოთახი.

მენტენონმა წარმოსთქვა თუ არა მისი სახელი, სკიუდერის შეეშინდა. ლა  
ვალიერის მოგონებას, რა კეთილისმყოფელიც არ უნდა სჩვენებოდა დასაწყ-  
ისში. შეეძლო შეეცვალა მეფის გადაწყვეტილება. იქნებ მეფემ ეს უხეშ,  
გადაკრულ სიტყვად მიიღო — სილამაზეს მსხვერპლად სწირავ სამართლია-  
ნობასო. იქნებ მასაც სხვა მეოცნებეებით დაემართა: ერთი შეუძახეს და  
მაშინვე გაჰკრა მშვენიერი ჯადოსნური სახე, იქნებ მანაც წარმოიდგინა ლა  
ვალიერი, *Louise de la Misericorde!* (მისი სახელი მონაზვნობაში კარმელის მო-  
ნასტერში) მოგონება კი თავისი ღვთიურობითა და მორჩილებით მხოლოდ  
სევდას იწვევდა მის გულში. ერთადერთი ისლა დარჩენოდა, მშვიდად ელოდნა  
მეფის გადაწყვეტილებისათვის.

ამასობაში ხალხმა გაიგო, რაც ვაუმხილა კრატმა მიოსანმა.

— როგორც ყოველთვის, ადამიანები ერთი უკიდურესობიდან მეორე-  
ში ვარდებიან. ამჯერად ბარბაროს მოსამართლეთა უდანაშაულო მსხვერპ-  
ლი დაინახეს იმ კაცში, რომელსაც ჯერ სწყევლიდნენ, საზიზღარ მკვლელს უწო-  
დებდნენ. ეშაფოტზე აყვანასაც არ აცლიდნენ, მისი დაგლეჯა სურდათ. მეზობ-  
ლებს მხოლოდ ახლა მოაგონდათ ოლივიეს სათნოება, მისი მგზნებარე სიყ-  
ვარული მადლონისადმი, რა სულით და გულით ერთგული იყო მოხუცი ოქ-  
რომჭედლისა. უამრავმა ხალხმა შეიყარა თავი ღ' არენის სახლის წინ და  
იმუქრებოდნენ: „მოგვეცი ოლივიე ბრიუსონი, იგი უდანაშაულოა!“ ქვებსაც  
კი ესროდნენ ფანჯარას. პრეზიდენტი იძულებული იყო, პოლიციისათვის ეთ-  
ხოვა, დაეცვა გააფთრებული ხალხისაგან.

გავიდა რამდენიმე დღე. სკიუდერის არაფერი სმენია ოლივიე ბრიუსონის  
პროცესზე. სასოწარკვეთილი მენტენონთან წავიდა. იგი არწმუნებდა, მეფე  
ხმას არ იღებს ამის თაობაზე, შეხსენება კი უხერხულიაო. ხოლო როცა მენ-

1. დაი ლუიზა ვულპოწყალე.

თენონმა რაღაც უცნაური ღიმილით ჰკითხა. პატარა ლა ვალიერი რასა იქმსო, სკიუდერის უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მენთენონის გულში შურს დაებუდებინა და ადვილად დასაყოლიებელი მეფე ისეთ თილისში დაბრჩალებოდა, რაც უცხო და გაუგებარი იყო მისთვის. მენთენონის მედი აღარ უნდა ჰქონოდა.

ერქენული

ბოლოს ღ' ანდილის წყალობით სკიუდერიმ გაიგო, ~~შეცვლენ~~ ესაუბრა გრაფ მიოსანსო. გაიგო ისიც, რომ ბონტანი, მეფის კამერდინერი და უახლოესი ერთგული კაცი კონსერვტორში იყო, ესაუბრა ბრიუსონს, და ბოლოს, ის ბონტანი და კიდევ რამდენიმე კაცი კარდილიაკის სახლში მივიდნენ და დიდხანს დაჰყვეს იქ. ქვედა სართულზე მცხოვრები კლოდ პატრიუ ამტკიცებდა, მთელი ღამე ხმაური იყო მაღლა, იქ იყო ოლივიე ბრიუსონი, მისი ხმა ნათლად გავიგონეო. ამგვარად, ერთი რამ უეჭველი იყო: თვითონ ხელმწიფეს ჰქონდა ნაბრძანები საქმის გამოძიება. მხოლოდ ის იყო გაუგებარი, ასე რატომ იგვიანებდა გადაწყვეტილება. ღ' არენი თავს არ ზოგავდა, ოღონდ ბრჭყალებში ჰყოლოდა თავისი მსხვერპლი, რომლის ხელიდან გამოგლეჯასაც უპირებდნენ. ეს ყოველივე იმედს უსპობდა.

ერთი თვის შემდეგ მენთენონმა შეატყობინა, მეფეს თქვენი ნახვა სურსო.

სკიუდერის გულს ბაგაბუგი გაუღიოდა. მიხვდა, ახლა წყდებოდა ბრიუსონის ბედი, ეს საბრალო მაღლონსაც უთხრა, გოგონა გულმხურვალედ ევედრებოდა წმინდა ქალწულსა და ყველა წმინდანს, რომ შთაეგონებინა მეფისათვის ბრიუსონის უდანაშაულობა.

სკიუდერის მაინც ეგონა, მეფეს ეს საქმე აღარც კი ახსოვდა. ჩვეულები-სამებრ, მენთენონთან და სკიუდერისთან თავაზიან საუბარში გართულს სიტყვაც არ დასცდენია საბრალო ბრიუსონზე. ბოლოს ბონტანი შემოვიდა ოთახში და მეფეს რამდენიმე სიტყვა ისე ჩუმად უთხრა, არც ერთ მანდილოსანს არ გაუგონია.

სკიუდერი ცახცახმა აიტანა. მეფე წამოდგა თვალეზგაბრწყინებული, მივიდა მასთან და უთხრა:

— გილოცავთ, ქალბატონო, თქვენი ოლივიე ბრიუსონი თავისუფალია!

სკიუდერის ცრემლები გადმოსცვივდა. ძალა აღარ შესწევდა სიტყვის სათქმელად. უნდოდა, ფეხებში ჩავარდნოდა მეფეს, მაგრამ იმან შეაკავა და უთხრა:

— გეყოფათ, გეყოფათ, ქალბატონო! თქვენ ადვოკატი უნდა ყოფილიყავით და პარლამენტში დაგეცვათ ჩემი საქმეები. ვფიცავ წმინდა დიონისეს, ვერავინ ამჭევყნად ვერ გაუძლებს თქვენს მჭევრმეტყველებას, თუმცა, — და უმატა უფრო სერიოზულად, — თუმცა ვისაც თვით სათნოება იცავს, ვერავითარი ბრალდებანი ვერ შეაშინებს, ვერ შეაშინებს *Chambre ardente*, ვერც მთელი ქვეყნის მოსამართლენი!

ბოლოს სკიუდერიმ იბოვა სიტყვები და მაღლიერების ნიაღვარად გადმოღვარა. მეფემ შეაწყვეტინა, ისინი უფრო მაღლიერნი იქნებიან თქვენი, ვიდრე თქვენა ხართ ახლა. ალბათ ბედნიერი ოლივიე თავის მაღლონს გულში იკრავსო.

— ბონტან, — წარმოთქვა ბოლოს მეფემ, — თქვენ ათას ლუდიორს მოგცემენ და ჩემი სახელით მაღლონს გადაეცით მზითველად, დაე დაჰყვეს ცოლად

თავის ბრიუსონს, რომელიც სულაც არ იმსახურებს ასეთ ბედნიერებას, მაგრამ ორივენი გაემგზავრონ პარიზიდან, ასეთია ჩემი ნება

მარტინიერი გაიქცა სკიუდერის შესაგებებლად. უკან ბატონი ჩისლედი ორივეს სახე უბრწყინავდა სიხარულისაგან, აღტაცებულები ყვიროდნენ „იგი აქ არის! თავისუფალია! საყვარელი ბავშვები!“ ბედნიერი ჩაუვარდა სკიუდერის.

— ო, ვიცოდი, რომ მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ ჩემი ქმრის დახსნა! — წამოიძახა მადლონმა

— თქვენდამი რწმენა, დედაჩემო, მუდამ ცოცხლობდა ჩემს გულში! — უთხრა ოლივიემ, ორივენი უკოცნიდნენ ღირსეულ ქალბატონს ხელებს და მხურვალე ცრემლებს ღვრიდნენ. მერე კვლავ ეზვოდნენ ერთმანეთს და სწამდათ, ამ წუთის ღვთიური ნეტარება გამოისყიდის განვლილი დღეების ენით გამოუთქმელ ტანჯვას და სამუდამო ერთგულებას ეფიცებოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ მღვდელმა ჯვარი დასწერა მათ თუნდაც ხელმწიფის ნება არ ყოფილიყო. ოლივიე მაინც არ დარჩებოდა პარიზში, სადაც ყველაფერი კარდილიაკის ბოროტმოქმედებათა დროს მოაგონებდა და რაიმე შემთხვევას შეიძლებოდა გამოემყვანებინა ის საშინელი საიდუმლო, რაც მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა, და სამუდამოდ დაეჩვია მისი ცხოვრების მშვიდი დინება. ქორწილის შემდეგ ყმაწვილ ცოლთან ერთად, სკიუდერის ლოცვა-კურთხევით ეგნევაში გაემგზავრა. მადლონის მდიდრული მზითვისა და ოლივიეს საოქრომჭედლო საქმეში დიდი დახელოვნებისა და პატიოსანი მოქალაქის ყველა თვისების წყალობით მათ იქ უშფოთველი, ბედნიერი ცხოვრება ელოდათ მას აუსრულდა ყველა იმედი, რაც საფლავში თან ჩაიტანა მამამისმა

ბრიუსონის გამგზავრებიდან ერთი წლის შემდეგ, საგანგებო საბუთით, რასაც ხელს აწერდნენ პარიზის არქიებისკოპოსი არლუა დე შოვალონი და პარლამენტის ადვოკატი პიერ არნო დ'ანდილი, შეატყობინეს ხალხს, რომ მონანიე ბოროტმოქმედმა საიდუმლო ანდერძით ეკლესიას გადასცა ძარცვილ მოპოვებული ოქროს სამკაულები და ძვირფასი ქვები. ყველას, ვისაც კი 1680 წლის ბოლომდე წაართვეს ძვირფასი ნივთი, განსაკუთრებით თუ ღამით თავს დაესხნენ ქუჩაში, შეეძლო გამოცხადებულიყო დ'ანდილისთან და უკან დაებრუნებინა თავისი სამკაულები, თუ მოტაცებული ნივთის აღწერილობა დაემთხვეოდა ერთ-ერთ ნაპოვნ სამკაულს და მასზე რაიმე პრეტენზიის გაცხადება ეკვს არ გამოიწვევდა. ვინც მოკლული არ იყო და მხოლოდ მუშტის ჩარტყმით გაებრუნებინა კარდილიაკს, მიდიოდა პარლამენტის ადვოკატთან და უკან მიჰქონდა წართმეული ძვირფასი ნივთი. უპატრონო ნივთები წმინდა ესტატეს ტაძარს დარჩა.



შვედურიდან

თარგმნა ელდარ ქერქევაძემ

ესაიას ტეგნერი დიდი შვედი პოეტია იგი XIX საუკუნეში მოღვაწეობდა. მისი საუკეთესო თხზულებაა „ფრიტიოფის საგა“ თხზულებას საფუძვლად დაედო ძველი ისლანდიური საგა, მაგრამ პოეტური თავისთავადობა ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ეს საგა თარგმნილია მსოფლიოს ყველა ენაზე. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის საქმეთა მოთავარი სარედაქციო კოლეგიის დავალებით უკვე კარგა ხანია ვთარგმნი ამ ნაწარმოებებს.

გთავაზობთ თხზულებას ერთ თავს.

მთარგმნელი

### კონუნგი ბელე და ტროსტენ ვიკინგსონი

კონუნგი ბელე დგას დარბაზში

შუბს დაყრდნობილი.

ტროსტენ ვიკინგსონ გვერდით უდგას. —

სიყრმის ძმობილი,

როგორც რუნული წარწერები! საფლავის ლოდებს, —

ნაიარევი აჩნევია შუბლას და ლოყებს.

მრავალი ბრძოლა და სისხლისღვრა გარდახდათ ერთად.

ბომონებს ჰგვანან მოხუცები, გარდასულ დღეთა

ცეცხლი და ფერფლი დასტყობიათ მათ ლომურ ქედებს,

ზედ აწერიათ, რაც მიაგო მწერალმა ბედის.

ოხვრით თქვა ბელემ: „გული აღარ იკარებს იმედს,

გამწარდა ტკბილი, მუზარადიც ვგრძნობ გახდა მძიმე,

მოაკლდა შუქი და სიცოცხლის ნიშანი თვალებს,

ვალგალას<sup>2</sup> შუქი ახლოვდება. — მოკვდები მალე,

ჩვენი შვილები სადაცაა შემოვლენ ჩვენთან,

მინდა ანდერძად დავუტოვოთ. — დე. მუდამ ერთად

იყვნენ და ისე იმეგობრონ, ვითარცა მართებს

ჩვენს მეგობრობას, ანუ როგორც არწივთა მართვეთ!“

და შემოვიდნენ რიგ-რიგობით შვილები მათი, —

პირველი ჰელგე მოაბიჯებს კუშტი და მკაცრი,

იგი მოგვებთან დროს ატარებს მუხნარში ხშირად,

სისხლი ხელებზე შეხმობილი ამხელს მის ჯილაგს.





მერმე ჰალვდანი შემოვიდა თვალეზზიანი.  
 სახის ნაკვთები ნაზი აქვს და ხალისიანი.  
 ფარ-შუბი ჭაბუკს მიაჩნია მოცალეობად.  
 ქალწულს უფრო ზგავს ტანკენარი, ვიდრე მეომარს  
 შვენიის სიღინჯე ფრიტიოფის სახეს და იერს.  
 ჭაბუკს ცისფერი მოსასხამი უხდება ძლიერ.  
 და ვით შუადღე დილასა და საღამოს შორის,  
 შუაში ჩადგა მათი ძმობის ტოლი და სწორი.  
 წარმოსთქვა კუნგმა: „შვილნო ჩემნო! დღეს არა ხვალე  
 თქვენ უნდა მართოთ სახელმწიფო. მოვეკვდები მალე.  
 ყური დამიგდეთ. კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა. —  
 თანხმობითა და სიყვარულით იცხოვრეთ მუდამ.  
 დე. დაიფაროს ხალხი თქვენი სიკეთის ძალამ,  
 რომ სიყვარული და მშვიდობა სუფევდეს მარად.  
 მტერს მტრულად დახვდით. ქვეყანა კი სიკეთით  
 მართეთ.

რომ ვერასოდეს მოერიოს წყვარამი ნათელს  
 უტკუო არის თუ კონუნგი თავის ხალხს სტანჯავს.  
 არაფრად აგდებს ხმას ერისას, შრომას და გარჯას.  
 ფესვებდაჭრილი ხის კენწერო უმაღვე ხმება.  
 თუ ხალხს არ უსმენს. — მმართველს მუდამ მოელის  
 ვნება.

როგორც ამბობენ, ოთხ სვეტზე დგას ეს დედამიწა.  
 ტახტს კი კანონი უდგას სვეტად. თუ არის მტკიცე-  
 ტინგში განმსჯელად თუ იქნება თავმოთნეობა.  
 უბედურებით შეიცვლება კეთილდღეობა.  
 ო. ჰელგე, ოცი ღმერთი სახლობს ტაძარსა შინა.  
 გარნა დღემუდამ შინ როდია, ვით ლოკოკინა. —  
 ღმერთებს შეწოდები ყველგან. სადაც დღეა ნათელი.  
 სადაც აზრია და სიმართლე ქვეყნის მმართველი.  
 არ შეიძლება ბოროტება მიგაჩნდეს ლხინად.  
 ამ მბრძოვ რუნული წარწერებიც სცოდავენ ჩშირად.  
 ვინც მართალია, გულიც სუფთა, მოწყალე კვალად.  
 ოდინი ოდენ მას მიაგნებს ყოვლისმძლე ძალას.  
 დაუნდობელი ნუ იქნები, იყავი მკაცრი!  
 მახვილსა თანა მოქნილობა უფროვე გასჭრის!  
 ჰელგე, მბრძანებელს ისე შვენიის გულმოწყალება,  
 ვით ნაზამთრ მიწას გაზაფხულის შემობრძანება.  
 უმეგობრო კაცს დიდი ძალაც ოხრად დარჩება,  
 მინდორში მდგარი მარტოდმარტო მუხაც დატკნება,  
 ტყე ქარიშხალსაც ეგებება მხნედ და სვიანად.  
 ხოლო მარტობეს ამოძირკვავს ძირფესვიანად.  
 ნუ იამაყებ წინაპართა სახელით ოდენ. —  
 შენ უნდა შენი სახელი და მახვილი გქონდეს!  
 ვაჟკაცს არ მართებს მხოლოდ მკვდრებზე იფიქროს  
 მარად.



ზღვას როცა ერთვის მაშინ მოჩანს მდიარის ძალა  
 კეთილზნეობა მხიარული მართებთ ბრძენ კაცებს.  
 გარნა მოლხენა უდავბოლო ნუ გაგიტაცებს!  
 უწყოდე პალეანდ, გულს გონებით უნდა გასინჯვა.  
 ჯერ ბრძოლა გნართებს, ბოლო მერე მოლხენა დინჯი.  
 ბრძენი არ იტყვის ბრძენი ვარო, რამეთუ უწყის.  
 რაც მეტი იცის. — ყოვლის ცოდნა უფრორე უჭირს.  
 სულელი ზოგჯერ ტანთ მოისხამს მანტიას ბრძენის.  
 მაგრამ ამბობენ. — კილოფშიაც იცნობა მღვდელი.  
 გზა მეგობრისკენ მოკლე არის, რაც უნდა შორი  
 იყოს მანძილი შენს სააღსა და იმის სააღს შორის.  
 მტრის სახლამდე კი, გზა შორია, მუდამ ძნელია.  
 სულერთი არის, — შორს ცხოვრობს თუ მეზობელია.  
 ყველა ვინც ძმობას დაგვიპირდება, ნურასდროს გულით  
 ნუ მიენდობი, ნუ აპყვები ყმაწვილურ სურვილს  
 ორი კი არა, ერთი უნდა გყავდეს ძმობილი.  
 რაც სამმა იცის. — ყველასათვის არის ცნობილი“  
 წარსტყვა ტორსტენმა სიტყვა მრთელი და პირდაპირი:  
 „მინდა გამოგყვე, რაზან ღმერთთან წასვლას აპირებ.  
 მთელი ცხოვრება ძმაო ბელე ერთად ვიარეთ  
 და შენთან ერთად მსურს სიკვდილიც გავიზიარო!  
 შვილო ფრიტიოფ, ხმები მესმის გარდასულ წლების,  
 დაე, იმ ხმებმა გაგინათოს მომავლის გზები!  
 მამა-პაპათა საფლავებზე აჩრდილი წვება,  
 ანდერძი ჩემი, შვილო ჩემო, ასე იწყება:  
 „ღმერთი იწამე მთელი გულით, კეთილს და ბოროტს, —  
 გახსოვდეს მუდამ. — ის მოგვაგებს მხოლოდ და  
 მხოლოდ.

განწირულია კაცი თუ ღმერთს აუბირდება,  
 წამიერ ცოდვის გამოსყიდვას წლები სჭირდება.  
 გახსოვდეს, შენთვის კონუნგია მიწაზე ღმერთი  
 ღამე ათასი თვალი გვიმზერს, დღე-ერთადერთი!  
 ხალხის წინამძღვარს დაუჯერე, არ გექცეს მხარი, —  
 თუნდ მჭრელი იყოს — უვადო ხმაღს არ ჰქვია ხმალი.  
 ძალას და ღონეს გვამში ღმერთი ჩაგიდგამს ხოლმე,  
 მაგრამ უკეთურ კაცს რად უნდა ძალა და ღონე?  
 ყოველგვარ ჰკუას იმორჩილებს ხერხი და ჰკუა.  
 მაშინ უხდება ვაჟკაცს ღონე, — ჰკვიანიც თუა.  
 ამპარტავნობა აკარგვინებს ვაჟკაცს გონებას. —  
 მწარე ბოლო აქვს მედიდური კაცის ცხოვრებას.  
 სიკეთე მზეა დამლახვრავი შუქის და შხამის.  
 ძირს დაცემულა ბარეორი. — ვერმცნობი ამის.  
 დღეს ნუ შეაქებ, სანამდე არ დადგება ღამე,  
 თაფლიც შხამია, შვილო ჩემო, ბევრი თუ ჰამე  
 გამოიცდება, ნუ იჩქარებ, მოდგება ჟამი.  
 განსაცდელის დროს მეგობარი, ბრძოლაში — ხმალი



ნუ დაუჯერებ მძინარე გველს, თოვლს გაზაფხულის,  
 ნურც ცოლის აღერსს. — ღალატია ჩაბუდებული  
 დიაცის გვაშში. სიბრძნე ესე ურყევად გწამდეს  
 აღერსით ქსოვენი დიაცები ღალატის ბადეს  
 ქონება შენი. შენს სიკვდილთან ერთად გაჰქრება  
 მაგრამ თუ გინდა თაობაში დარჩე საქებად  
 უნდა სიკეთეს შეალოო ძალა და ნიჭი.  
 უნდა აღგათ ბოროტება პირთაგან მიწის!"  
 ასე მოძღვრავდნენ მოხუცები თავიანთ ვაჟებს.  
 ხავამალაშიც ეს ამბავი წერია ასე  
 მათი ამბები თაობათა გულში წერია.  
 მოხუცთა ანდერძს ყურღანები დღესაც მღერიან  
 მაგრამ მოხუცებს მივუბრუნდეთ. ჯერ ყველაფერი  
 არ უთქვამთ რადგან, ერთმანეთის სწორი და ფერი  
 შეჰყარა ღმერთმა, ერთად მყოფნი ქირსა და ლხინში  
 იყვნენ დამცველნი საკუთარი გვარის და ჯიშის.  
 „ერთად ვიბრძოდით მუდამ მახვილჩაუგებელი,  
 ბევრჯერ ვაფარეთ ნარნას ფარი, როგორც კედელი,  
 დღეს ვალგადასვენ მივიჩქარით, ღმერთმა ინება,  
 დაე, მამათა სული მარად დარჩეს შვილებთან!"  
 ფრიტიოფს ბელე ეუბნება. — მშვიდი და წყნარი. —  
 „ქვეყნად მთავარი გმირობაა და არა გვარი!"  
 ხოლო ტორსტენი აქებს ბელეს გვარსა და ჯილაგს,  
 ასებს<sup>1</sup>. კონუნგთა დიდ წინაპრებს. ცაში რომ სძინავთ.  
 „იყავით ერთად სამივენი შვილთ მარადუამს,  
 ერთობა უდგას ძლიერებას მუდამ დარაჯად.  
 ოდენ წყალობას ღვთის ბოძებულს ნუ მიენდობით,  
 ხელისუფლებას განამტკიცებს ძალა ერთობის "  
 ჰგავს ინგებორგი დღის სინათლეს, ვარსკვლავთა  
ციალს.

ვარდი მწყაზარი იზრდებოდა სიმშვიდის წიად.  
 „ნიდაგ თვალი მასზედ გქონდეთ არ მოაყივნოთ,  
 ყვაილი ნაზი არ დააზროს თოვლმა და ყინვამ.  
 პელგე, ინგებორგს შენ გაბარებ, ჩემი დღე მიდის,  
 ინგებორგს შვილო, ვით საკუთარ შვილს გაუფრთხილდი!  
 ხალხს ნუ გასტანჯავთ სისასტიკით, გახსოვდეთ უნდა. —  
 სიბრალულისკენ მოთმინებას მივყავართ მუდამ.  
 ორი სამარე ამოავსეთ. მათ შუა ლალად  
 დაე, ფიორდმა იხასხასოს, ვითარცა ტალღამ.  
 ჩვენს სულს სალბუნად დაედება სიმღერა მისი  
 და გაცაქრდება საიჭიოს სევდა და ნისლი.  
 ამოვა მთვარე ფერმიხდილი მშვენიერ ზეცით,  
 სამარეს ჩვენსას დაეცემა ღვთიური წვეთი,  
 ფიორდის ტალღა გამოიხმობს აჩრდილთა ჩვენთა,  
 რათა ამაყად ვესაუბროთ მომავალ დღეთა.  
 მშვიდობით შვილნო! ჟამი მოდგა, ვიჩქარით ისე,

ვითარცა ორი შენაკადი იჩქარის ზღვისკენ. —

ჩვენც ალფადერის, სამფლობელოს შევერთოთ უნდა  
ფრეი? და ტორი? და ოდინი გფარვიდეთ მუდამ!



1. რუნული წარწერები (რუნები) — ძველგერმანული და სკანდინავური მითოლოგიით საიდუმლო ანბანით ნაწერს ნიშნავს. სკანდინავური გადმოცემით ეს დამწერლობა ღმერთებში გამოიგონეს. რუნებს მაგიურ ძალას მიაწერდნენ.
2. ვალგალა (სკანდ. მითოლოგიით) — ოდინის, — ღმერთთაგან უბუცესის, — სრა-სასაბლე, სადაც სულნი ნეტარნი ბინადრობდნენ. უპირატესად იგულისხმება მტერთან ბრძოლაში მამაცურად დაღუპულთა სულები.
3. კუნგი, ანუ კონუნგი — ძველ სკანდინავიელ მეომართა წინამძღოლი, ბელადი, რომელსაც ესა თუ ის გვარი ან ტომი თავის საკრებულოში ანუ ტინგში ირჩევდა.
4. ხავამალა—უფროსი ედა ჰქვია სკანდინავურ ეპიურ სიმღერათა კრებულს. ხოლო ხავამალა ერთ-ერთი სიმღერაა ამ სიმღერაში, ღმერთთა შორის უბუცეს ოდინის აზრებია გამოთქმული.
5. ასები — ოდინის შვილები.
6. ალფადერი — ოდინის ერთ-ერთი საბელი.
7. ფრეი ანუ ფრეირი — ზაფხულის ღმერთი.
8. ტორი. — ჰეჰა-ქუხილის ღმერთი.



სომხურიდან

თარგმნა გივი შაჰნაზარმა

### ციკლიდან: „ვიმნი საუკუნის უღელტაჩილისა“

ჩ

ვაგლახ, ხშირია უკეთური ისეთი ჟამიც,  
კაცი ტუჩებზე კლიტეს თავად თუ არ დაიდებს,  
ხელ-ფეხზე სხვები მძიმე ბორკილს  
ადებენ ბოლმე.

ჩვენ ჩვენი ვნით გვიმსხვრევია რკინის კლიტეც კი!  
თუმცაღა, დასტურ, ვნის ძვალი არა აქვს, მაგრამ  
მას შეუძლია დაამსხვრიოს ძვალიც!.. აგრეთვე —  
მძიმე ბორკილიც, ხელ-ფეხზე რომ ადებენ მავანთ,  
ჩვენ, დედის მუცლით დაბადებულ ადამიანად,  
არ გვინდა, არა, რომ კვლავ... ვიქცეთ რაღაც ჟირაფად,  
გრძელკისერა და ლაქებიან რაღაც ჟირაფად;  
არ გვინდა, რადგან — სულელური რაღაც იმედით —  
არ გვსურს კისრების წაგრძელება, რათა ვიხილოთ  
ის, რაც არც ადრე ყოფილა და არც როს იქნება.  
არ გვინდა ქცევა ჟირაფებად, რათა ჩვენ ტყავზეც  
ცივი, ჩამქრალი ვარსკვლავები არ ამოტვიფრონ  
და ასერიგად ცრუ ლაყვარდად... ჩვენც არ გვაქციონ.  
არ გვინდა ქცევა ჟირაფებად, რადგან ჟირაფად  
სახელდებული ეს ახმაზი მის სიცოცხლეში,  
ხმის ამოდება რას მიქვია, კრინტსაც არა ძრავს...

ჩვენ გვინდა ენა საქმიანი, ოლონდ ტყუილის  
არც ხელსაფქვავად..., არც სიცრუის წისქვილად... არ გვსურს!  
ძნელი რამ არის ტყუილის თქმა,  
მაგრამ არც ისე —  
როგორც ერთთავად ტყუილების მოსმენა გახლავთ:  
შეგვზიზღებია რეზინისებრ ტყუილის ლექვა!..  
ცუდს უნდა ქება, თორემ კარგი საქონლის ფასი  
ყველამ იცის და დახლზე ოხრად არასდროს რჩება;  
და ჩვენც ყოველგვარ მეწვრილმანეს აკი ვერც ვგუობთ!..

ჩვენ დავიბადეთ ამა ქვეყნად მოჩვენებითი  
 გაბლენძილების საჩვენებლად კი არა, მხოლოდ  
 იმისთვის, რანიც ქვეშაირით ვართ, ვიყოთ იგი,  
 მხოლოდ იმისთვის ვიშვით, რათა კაცობრიობის  
 იმა ათას ერთ „რატომ“-თაგან თუნდაც ერთს მაინც  
 ცნობის წადილის ყინით ასე რომ შემოგვეყურებს,  
 თვალში ჩავჩხიროთ თუგინდ ერთი პასუხი ჩვენი;  
 რომ ასე მაინც ნაწილ-ნაწილ კვლავ დავიბრუნოთ  
 ზურგშექცეული ჩვენგან ჩვენივე ფიქრების არსი,  
 რათა ისინიც არ გახუნდნენ იმგვარად, თითქოს  
 საშრობ ქალაქად წოდებული ფურცლით აშრობდნენ  
 და ღვთიით ბოძებულ ჩვენეული სიდიადიდან  
 ჩვენ გვიტოვებენ თითქოს ფურცლის ერთ ნაგლეჯს მხოლოდ,  
 მოგეხსენებათ „თამახუჭად“ რომ იწოდება...



7

ას წელში ერთს შობს ეს ქვეყანა დიდ ადამიანს,  
 თუმც... მათი მსგავსი... დღეში ასიც კი ჩნდება, მაგრამ  
 ქვეყნით ერთ კაცად ქცევას მერე არ ანებებენ!

ჩვენც მოვევლინეთ ამ ქვეყანას..

და ჩვენ-უმეტეს —

„ალილუია-იოსანა“-თი ვიკვებეთ, ვიდრე  
 ჩვეულებრივი პურიით... ჯანლი... შედედებული  
 ნახევრად მშიერ ჩვენ თვალთ მიძიმე ფარდად ეკიდა;  
 ბაღლინჯოები უსბეულო ჩვენს სიზმრებს ჰკბენდნენ  
 და მაინც.

მაინც მოაბერნეს ჩვენმა მსგავსებმა,  
 შეუბღალავი პატივით რომ ევლოთ ამქვეყნად  
 და სინდისი მარლივით სუფთა ჰქონოდათ;  
 შესძლეს იმიტომ, რომ მათ, უმალ, თავის მოკვეთა  
 ერჩიათ, ვიდრე თავის მოხრა იმათ წინაშე,  
 სერიოზულად, უჭიათად ვინც ცდიდა ტვინის  
 მონეტასავით მოკრას, ხოლო ადამიანის  
 ფიქრის ტილოზე ამოხატვას შავი სვირინგით...

ჩვენნაირები

არასოდეს მუხლს არ იყრიან

კერპის წინაშე

და არც ცალ თვალს ითხრიან, რაკი

ციკლოპის მსგავსად კერპი იგი არის ცალთვალა;

მათ, დიდი-დიდი, ცალი თვალი მოჭუტონ.

ცალი...

უფრო შორსა და უფრო ნათლად დასანახავად!

მაგრამ მათ მუხლის მოხრაც უყვართ, რათა როგორმე  
მალლა ასწიონ ტკივილები  
ამა კვეყნისა  
და მზის ვულკანზე ერთიანად ფერფლად აქციონ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

მაგრამ მათ მუხლის მოყრაც უყვართ, მუხლის მოდრეკილ  
მშვენიერების შიშველ მუხლებს რომ ეამბორონ,  
მიწის თბილ სურნელს უჩუმრად რომ გადაერიონ,  
ბავშვთა თვალებში, ვით სარკეში, რომ ჩაიხატონ...

ჩვენ ფრინველები არა ვართ,  
თითქოს ყლუბის მოსმის წილ  
უმაღ ზეცისკენ ნისკარტები რომ ავიშვიროთ,  
ვისაც წყაროდან სურს თავისი...  
წყალის დაღევა,  
მუხლის მოხრას და წელში მოხრას  
როდი თაკილობს!

კიდევაც უნდა მოიხაროს  
წელში ასწილად  
ვისაც სურს თვალთ ჩაღრმავება ჭათა სიღრმეში!  
(რით არა ჰგვანან ჭები კერპებს?) აკი ისინიც  
(კერპების მსგავსად მიწის ზევით თუ არა დგანან)  
ძეგლები არის ჩასობილი თავით მიწაში,  
ძეგლები იმა რიბირაბო-შელამებისა  
შიდასამყაროდ თუ სულად რომ ვიცნობთ ოდიოგან...

ჩვენი მსგავსები მხოლოდ ამგვარ კერპთა წინაშე  
იყრიან მუხლს და თაყვანს სცემენ! დაასერიგად  
მათ ბნელ სარკეში შეიცნობენ ხოლმე თავის თავს...

### ზათისხილის ხე

— მაშ, არ მიდიხარ? —  
ჩემსავ კითხვას თავად ვპასუხობ  
მწარედ დაჭრილი სიამაყით:  
— შენი შენ იცი!

მაგრამ ისიც თუ იცი,  
განზე განდგომის გზა რომ  
უმოკლესია ცხოვრებაში სხვა გზათა შორის  
და რომ განდგომილს ისევ უმაღ უკან აბრუნებს?!  
—

მაშ, სულ ტყუილად რატომ ცდილობ ჩემგან გაქცევას?  
იქნებ არ განსოვს? დაგავიწყდა?

კარგადაც გახსოვს.  
რომ დაეიწყების ათასნაირ კანონთა... შორის  
მე მხოლოდ ერთადერთისა მწამს. რაც სიამაყემ  
თვით დააფუძნა მაშინ,  
როცა მხეცივით დაჭრეს:  
მაგრამ მე...  
განა გულს რითიმე გატკენ ოდესმე?



ვითომ ვერ ამჩნევ, რა სულით და გულით მოგელტვი?  
ჩემს სითბოსა და სილბოს ჯერაც ვითომ ვერა გრძნობ?

ეჰა, ეს სილბო, ერთიანად რომ შევუკრივარ.  
როგორც ოდესღაც გულივერი შეკრეს ჯუჯებმა!..  
ეჰ, ქარიშხლის მსგავსი ჩემი ეს სითბო, ირგვლივ  
რომ შემომრტყმია და შუაში ბეჭდისთვალავით  
ისე ვუზივარ. ოკეანეს როგორც — ხმელეთი!..  
ეჰა, ეს „ეჰაც“.  
ენაზე რომ ისე დამკვრია.  
როგორც შიმშილმა იცის ხოლმე  
სქელი ნადები!..

და გულისრევით მიზეზად რომ გადამქცევია.  
და კიდევაც რომ მიაღწევდა თავის საწადელს,  
რომ არა შენი სურნელების წმინდა ნამცვრევი.  
რითაც მე წმინდანს ვემსგავსები და მსასოფარს  
ციურ მანანის მსგავსი რაღაც მემცვრევა შენით...  
მაგრამ შენ, ჩემო, შენ რომ სულაც შენ არ ხარ, იცი?  
(არ გაგეცინოს! გაოცებით ნუ შემომხედავ!)  
მე კარგად ვიცი, რომ შენ, ჩემო, დიდიხნის წინათ  
ზე იყავ. — ნაზი, მომხიბვლელი ხე ზეთისხილის  
და მერმე (რამდენ საუკუნის შემდგომ — რა ვიცი?).  
ამა ქვეყანას მოევლინე

ქალად მეორედ...

ქალად მოხვედი.

ვიცი, ვიცი ნამდვილად, თორემ  
მაშ როგორ ხდება, ზეთისხილის მწიფე ნაყოფის  
სურნელება რომ ასდის მუდამ შენს ბაგეს. — როგორ?..

ახლა რას იტყვი? რაღას იტყვი? აღარ მოდიხარ?  
რაო, გინდა, რომ უნაყოფო ხის ნება-ნება  
სიკვდილით მოვკვდე? და რომ ხანგრძლივ აგონიაში  
მუდმივ ოცნებად მექცეს მხოლოდ ხე ზეთისხილის? —  
ჩემგან ისეთი მოშორებით მდგარი,  
ვით შენ ხარ...



**არა ერთხელ და ორხელ...**

არა ერთხელ და ორხელ შოლტი მოუქნევიათ;  
 ვინ მოთვლის რამდენ, რამდენ წკებლას გადუშხუვლია  
 თავზეთ ჩემთვის, ყველა დარტყმა რომ დავითვალო  
 დამქირდებოდა ახლა მთელი ბუღალტერია.



მაგრამ...

დღეს უნდა გაზიაროთ ერთ საიდუმლოს,  
 რაც, რა თქმა უნდა, გულს მოუკლავს იმათ, რომლებიც  
 არა ერთგზის და ორგზის ტკივილს მე მიმზადებდნენ...  
 კი, კი ბატონო! კიდევ მცემდნენ, კიდევ მირტყამდნენ,  
 არ დამკლებია შოლტი, წკებლა, მჯილი თუ წიხლი,  
 მაგრამ ჩემამდე ვერ აღწევდა დარტყმა ვერც ერთი  
 და მე არასდროს შემხებია არც ერთხელ იგი.

კიდევ მირტყამდნენ, კიდევ მცემდნენ, თუმც მე კი არა,  
 მხოლოდ იმ ადგილს ურტყამდნენ და სცემდნენ, მე სადაც  
 სულ ერთი წამის წინ ვიდექი; სულ ერთი წამის  
 წინ... საიდანაც ადგილს მოვწყდი და წინ წავედი.

და ბოლოს — ერთი საიდუმლოც! თუკი მე მათგან  
 რამე ტკივილი მიგემია, —  
 მხოლოდ იმ მტკვრით,  
 მათსავე დარტყმას სქელ ნისლად რომ წამოუშლია,  
 რაიც მე შორით, შორით შორს თუ მწვდებოდა მხოლოდ,  
 ხოლო იმათ კი თვალს უვსებდა და უბრმავებდა!..

**თუთიყუზის მონატრება**

გადავიღალე ისე,  
 რომ ზოგჯერ  
 დამცდება კიდევ:  
 — აღარ მიყვარხარ! —  
 თუმცა იმდენად ფიქრში, თითქოს შენ  
 გვერდით მედგე და არ მსურს, გაიგო.

მაგრამ... ჩვენ ახლა ერთიმეორეს  
 ცხრა მილიონი მეტრი გვაშორებს...

და კიდევ რომ გწვდეს ჩემი ნათქვამი,  
 ნუთუ იმდენად მიამიტი ხარ,  
 რომ დამიჯერებ? — ასე უმალ და  
 იოლად ვისაც რაიმე... სჯერა,  
 მართალი გითხრა,  
 არ მიყვარს სულაც!



მაგრამ მართო ვარ  
 განზე გამდგარი  
 და ასე უცხო  
 ყოველნაირი  
 სასიამოვნო სისუსტეთაგან?  
 არც ძველ თუ ახალ ნივთებს ვაგროვებ!  
 არცა ენადირობ და არც ვთევზაობ!  
 ხის დარგვა რაა? — ხის დარგვაც არ მსურს!  
 სახლში ძაღლებსაც კი არ ვინახავ!  
 შინ... თუთიყუში მაინც მყოლოდა!  
 თუთიყუში რომ მაინც მყოლოდა,  
 ახლა ბეჭითად შევასწავლიდი,  
 როგორც ძველთაძველ წინასწარმეტყველს  
 გაუთავებლად რომ ეღარღარა  
 მხოლოდ ეს ერთი —  
 „აღარ მიყვარხარ!..“

მაგრამ ყოველგვარ სასიამოვნო  
 სისუსტეთაგან იმდენად შორს ვარ,  
 რომ თუთიყუშიც კი არ მსურს სახლში  
 და მხოლოდ ერთი სისუსტის... ჭერქვეშ  
 ვარ! სიყვარულად რომ იწოდება, —  
 ჩემს თავს რომ ჭერად გადაქცევია  
 და  
 რომ ქუდივით... მახურავს თავზე:

და დავალ ასე  
 და ვცხოვრობ ასე —  
 მაღირ ქუდის... მახურავს ჭერი!..  
 — ვინ ვარ? — ახალი ტაკიმასხარა?!  
 თუ ასე არის, რად არ მამჩნევენ?  
 და თუ მამჩნევენ, ერთი მიბრძანეთ,  
 რატომ არავინ ხარხარებს ჩემზე?..

### მოწყალეების დეგი

დაუოკებელ სურვილებიდან —  
 ნდომად! —  
 ზმანებად! —  
 ლტოლვად! —  
 ოცნებად! —  
 — რომ იწოდება, მე სასიკვდილოდ  
 დავკრილვარ ხშირად და სამკურნალოდ  
 ერთ უჩვეულო საავადმყოფოს  
 პალატის მკვიდრი... გაემხდარვარ, სადაც  
 თეთრი ხალათით... თავს დამდგომია  
 მოწყალეების და! და — განმსჯელობა.

ეს მოწყალების ეს დები... მათი  
მადლიერი ვარ მთელი ცხოვრება.  
სულით და გულით პატივს ვცემ, მაგრამ,  
ვაგლახ, ვერასდროს ვერ შევიძელი  
მე შეყვარება მათი ნაშინაც.  
მშვენიერებით ოდეს ბრწყინავდნენ...



პიცო

ვიცი, თავს ეკლავაც დასაცინს ვიხდი,  
ჩახდაბას! არ თქმაც  
არ შემოძლია:

...ხოლო დიდებას გემო აქვს, იგი  
მყავნა, მადას რომ გილძრავს მხოლოდ  
და არასოდეს არ გიკლავს შიმშილს...

...თვით დუმილსაც კი ფერი აქვს, ფერი!  
თვალისმომჭრელი  
თუთრია  
იგი

...იქვს სუნი უდას,  
იმ სისხლის სუნი,  
რომელიც ბულებს აგიყებს ხოლმე...  
შურს კი, შურს სისხლი უდგას  
ძარღვებში

და სისხლი იგი შავია ისე,  
ვითარცა სისხლი ჭია-ლუათა...

გამცემი სურვილი

რად გადავიქცევი?  
რად და —  
არა მხოლოდ იმ უღრმეს,  
თვალჩაუღწეველ მალაროთა ცინცხალ ჰაერად,  
ანდა — ორდენის ფერად ბაბთად იმ გმირის მკერდზე,  
ჩემი მამულის, ჩემი მიწის დამხსნელი როა,  
არამედ კიდევ ვიქცეოდი ფარშავანგების  
უმძლავრეს ფრთებად,  
რათა მათაც ეფრინათ ცაში  
და არ ეკმარათ მიწა-მიწა გოგმანი მხოლოდ...

მუთხიარობის ტაივილი

ვრჩები რა ისევ იგივე,  
რაც ვარ, —  
ვიზრდები ისე,  
დიდ სარკეში როგორც ოთახი!...

დაუფარავი სურვილი

და თუ პოეტი...  
მსურს მხოლოდ ერთი —  
პოეზიაშიც... გეოლოგობა! —  
რომ დედამიწის ზევითაც... მუდამ  
მისი წიაღის ვიყო მძებნელი...





ინგლისურიდან

თარგმნა მერი ამასუკელმა

### I

ფანჯრიდან სოფლის ბიჭების ყიჟინა მოისმოდა. ყიჟინას თან ერთვოდა მახლობელი დუქნიდან გამოვარდნილი აფეთქებული ხარხარი, მაგრამ ძმები პოლბოროები მაინც ჭიუტად განაგრძობდნენ მეცადინეობას.

ისინი წისქვილის ზეინკლის საძინებელ ოთახში ისხდნენ და ცდილობდნენ დამოუკიდებლად ამოეკითხათ ბერძნული და ლათინური ტექსტები. პომეროსის თქმულებები ბრძოლებზე, არგონავტების მოგზაურობა ან თებეს მეფის ტრაგედია როდი აღაგზნებდა მათ წარმოსახვას და აიძულებდა დაეძლიათ მეცნიერება, არა, ძმები ახალი აღთქმის ბერძნულ ტექსტებს ჩაჰკირკიტებდნენ და მთელი გულმოდგინებით უღრმავდებოდნენ ენობრივად რთულ ებრაელთა ამ წიგნს.

ზაფხულის ცხელმა, დასავლეთისაკენ ჩამავალმა მზემ სხივები მიაბჯინა დაბალ, დახრილ კერს და ტოტებგაშლილი ძეწნის ჩრდილებიც ისე გაცურდა კედლებზე, თითქოს ჩადოქრული ლაშქარი მიდიოდა და სახელდახელოდ, ყოველ წამს იცვლიდა წყობას. ღია ფანჯარაში შორეული ყიჟინა შემოდინოდა, სულ ახლოს ვიდაცის ხმაც გაისმა, ეს მათი და, თოთხმეტი წლის სანდომიანი გოგონა ეძახდა ძმებს გარედან.

— მე თქვენს კინკრიხოებს ვხედავ. რას დამსხდარხართ გამოკეტილ ოთახში! ქუჩის ბიჭებთან რომ არ დადიხართ, ეს ძალიან კარგია, მაგრამ არც ჩემთან შეიძლება თამაში?!

ასეთ მოსაუბრესთან ლაპარაკში ჩაბმა ძმების ღირსებას არ შეეფერებოდა და გოგონა უბოდიშოდ მოიცილეს თავიდან. ისიც იმედგაცრუებული გაშორდა სახლს. მალე სადღაც, სულ ახლოს, მძიმე ფეხის ხმა გაისმა. ერთი ძმათაგანი წელში გაიმართა.

— მგონი ის მოდის, — ხმადაბლა თქვა მან და ფანჯარაში გაიხედა.

სახლის კუთხიდან ბარბაცით გამოვიდა კაცი. მას ღია ყავისფერი პლისის ქურთუკი და შარვალი ეცვა, ისეთი, ოდითგან რომ აცვიათ სოფლის ხელოსნებს. სიბრაზისაგან აქარხლებული უფროსი ძმა კიბეზე ჩავიდა, უმცროსი კი მაგიდასთან დარჩა, სანამ ძმა არ მობრუნდა.

— როზამ ნახა?

— არა.

— სხვებმა?

— არა.

— სად წაიყვანე?

— ფარდულში შევიყვანე ძალით — არ უნდოდა წამოსვლა, დაემხო და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. აი რისთვის წავიდა. ასეც იცხადებდა მისი ქვილე კენჩას დოლაბები გაუხეხავია, სამხერხაოში მქნევარა არ მუშაობს, და ვინ იცის, რამდენი ღარიბი კაცი უცდის, რომ ოდესმე ზეინკალი მოიცლის და ბორბლებს შეუკეთებს.

— ჩვენ კიდევ წიგნებს ჩავკირკიტებთ! რისთვის? რა აზრი აქვს? — თქვა უმცროსმა ძმამ და გაგულისებით დახურა დონეგანის ლექსიკონი. — ეჰ! ჩვენ რომ დედაჩვენის დაგროვილი ცხრაასი ფუნტი მიგველო, რას არ გავაკეთებდით იმ ფულით!

— არა, რა ზუსტად გამოუთვლია მაინც. ოთხას ორმოცდაათი ფუნტი თითოეულსო, ფიქრობდა ალბათ. დარწმუნებული ვარ, თუ ყაირათიანად მოვიხმარდით, მიზანს უთუოდ მივალწევდით.

ამ ცხრაასი ფუნტის დაკარგვა მოურჩენელ კრილობასავით არ აძლევდა ძმებს მოსვენებას. ეს ფული იყო, რომელიც მათმა დედამ დიდი გაჭირვებით დააგროვა მოულოდნელად მიღებულ მემკვიდრეობაზე თითოეული იმ პენის მიმატებით, რომელიც კი ხელში ჩაუვარდებოდა, თავად კი ყველაფერს იკლებდა. ასეთი გზით დაგროვილი ფულით დედა სანუკვარი ოცნების განხორციელებას — ვაჟიშვილების ჯოშუასა და კორნელიუსის უნივერსიტეტში გაგზავნას ფიქრობდა. უნივერსიტეტში, როგორც მან დანამდვილებით იცოდა, ოთხას ორმოცდაათ ოთხას ორმოცდაათი ფუნტი საკმარისი იქნებოდა თითოეულისათვის სწავლის მანძილზე, ხოლო რაც შეეხებოდა ბიჭების ყაირათიანობას, ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა. მაგრამ დედა, მოახმარა რა უკანასკნელი ძალები სანუკვარი ოცნების განხორციელების საქმეს, ორი წლის წინ გარდაიცვალა. ფული მამას დარჩა და თითქმის მთლიანად განიავდა. ფულის გაქრობასთან ერთად გაქრა მისი ვაჟიშვილების შესაძლებლობაცა და იმედებიც უნივერსიტეტის დამთავრებისა.

— სიბრაზისაგან ჭკუა მერევა, ამაზე ფიქრიც არ შემიძლია, — თქვა უფროსმა ძმამ, ჯოშუამ, — ვშრომობთ, ვჯახირობთ მარტო, უხელმძღვანელოდ. მერე რას მოგვცემს ჩვენ ეს? დიდი-დიდი ეკლესიის სამრევლო სკოლის მასწავლებლის ადგილი მოვიპოვოთ, ან არადა, თუ სასულიერო სემინარია დავამთავრეთ, გუდამშიერი მღვდლები გავხდებით. მრევლიც კი არ გვეყოლება.

უფროსი ძმა გაგულისებულნი ლაპარაკობდა, უმცროსს კი თვალებში ნალღველი ჩასდგომოდა.

— ევანგელიეს ქადაგება შეიძლება სრული სამოსელის გარეშე, — უხალისოდ ამოღერლა მან ძმის გასამხნეველად.

— ევანგელიეს ქადაგება კი შეიძლება, — მიუგო ჯოშუამ და ოდნავ შესამჩნევად მოედრიცა ტუჩები, — მაგრამ მაღალი სამღვდლო წოდების მიღება არ შეიძლება.

— რას ვიზამთ, გულს ნუ გავიტეხთ, მოვიკრიბოთ მოთმინება და გავიხეპიროთ შემდეგი აბზაცი.

ჯოშუას ხმა არ ამოუღია, დაღვრემილმა ძმებმა თავი ისევ წიგნებში ჩარგეს.

მთელი ამ უბედურების მიზეზი ზეინკალი პოლბორო, რომელიც ახლა ფარდულში ხვრინავდა, თავისი ცოტა არ იყოს არხეინობის მიუხედავად, ხელმარჯვე მექანიკოსი იყო მანამ, სანამ სპირტიანი სასმელების უზომო სმის სენმა მთლიანად არ შეიპყრო. ამან დამღუბველად იმოქმედა მის საქმიანობაზეც. რაც დრო გადიოდა, მეწისქვილეები თავს არიდებდნენ მას და სულ უფრო და უფრო ხშირად უკვეთავდნენ სამუშაოს სხვა ზეინკლებს. მისი მუშები ერთცვლად მუშაობდნენ, მაშინ როცა უწინ იმდენივე მუშაობდნენ, რაც დრო გადიოდა, ზეინკალს მით უფრო მეტად უჭირდა ფულის გადახდა მუშებისათვის. კვირის ბოლოს, თუმცა მას ორიოდ-სამიოდე მუშალა შემორჩა, ისინიც ხელებდაკრეფილები იხდნენ ხშირად.

მზე კიდევ უფრო დაბლა დაეშვა და თვალს მიეფარა. სოფლის ბიჭების ყიჟინა მიწყდა, საწოლი ოთახი, სადაც ძმები იხდნენ, სიბნელემ მოიცვა, მის ფანჯრებს იქით სიჩუმემ დაისადგურა. არავინ უწყოდა, რა პატივმოყვრული ოცნებებით უთრთოდა გული ორ ჭაბუკს, რომლებიც წყნარი, სუროში ჩაფლული სახლის კედლებს იქით იხდნენ.

რამდენიმე თვის შემდეგ ჯოშუამ და კორნელიუსმა დასტოვეს მშობლიური სოფელი, რათა შესულიყვნენ სამასწავლებლო სემინარიაში. გამგზავრებამდე ძმებმა თავისი უმცროსი დის როზას სკოლაში შეყვანაც მოახერხეს ერთ მოდურ კურორტზე, რომლის არჩევის საშუალებასაც მათ დანაზოგი აძლევდათ.

II

სადგურიდან ერთ-ერთი პროვინციული ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე სემინარიელის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი მოდიოდა. გზაში თვალმოუცილებლად კითხულობდა წიგნს, მხოლოდ დროდადრო თუ ასწევდა თავს, რათა ვინმე მომავალს არ დასჯახებოდა ანდა შეემოწმებინა, გზას ხომ არ ავცდიო. ისინი, ვისაც სოფლის ზეინკლის ორი ვაჟიშვილი ახსოვდა, ამ მოხეტიალე მწიგნობარში უფროს ძმას — ჯოშუა პოლბოროს შეიცნობდა. ადრე ჯოშუას ჭაბუკის ძლიერი სახე ჰქონდა. ახლა ამ სახეს მოწიფული მამაკაცის ჭკვიანური იერი შემატებოდა. სახის ნაკვთებზე ადვილად ამოიკითხავდით მის ხასიათსა და იმასაც, რომ იგი სულ უფრო და უფრო მეტს ზრუნავდა კარიერაზე, რომ გამუდმებით გეგმავდა თავის ნაბიჯს, წინ, მომავლისაკენ, იყურებოდა და არაფერი სხვა არ ადარდებდა. მისი დაუცხრომელი პატივმოყვარეობა ძალდატანებით ითრგუნებოდა. ჩანაფიქრი ბევრი ჰქონდა, მაგრამ ყველა არ იღებდა ნაყოფს; იგი უფლებას არ აძლევდა საკუთარ თავს, ფიქრებს შორს წაეყვანათ, რათა არ მოწყვეტოდა უახლოეს მიზნებს.

ჯერჯერობით საქმე კეთილად მიდიოდა. იმის შემდეგ, რაც ჯოშუამ სკოლის მასწავლებლის ადგილი მოიპოვა, მან მოახერხა საეპარქიოს ეპისკოპოსთან მისვლა. საეპისკოპოსო შორს იყო ჯოშუას მშობლიური ადგილებიდან, და ეპისკოპოსმაც როცა იგრძნო, ყმაწვილს კარგი მონაცემები ჰქონდა, საკუთარი მფარველობის ქვეშ აიყვანა. ახლა ის სწავლობდა სასულიერო სემინარიის მეორე კურსზე ქალაქში, სადაც იყო კათედრალური ტაძარი, და სულ უახლოეს მომავალში ელოდა მღვდლად კურთხევას.

ჯოშუა ქალაქში შევიდა. გაუხვია გვერდით ქუჩაზე, ეზოსკენ წავიდა და როცა ფეხი შედგა ჭიშკრის თალის ქვეშ, მხოლოდ მაშინ მოაცილა თვალი

წიგნს. თალზე ნახევარწრედ ეწერა: „სამრევლო სკოლა“. ხოლო სვეტები ისე იყო გახეხილი, როგორც შეუძლიათ გადახეხონ ქვა ბიჭების გვერდებმა, ზურგებმა ან ოკეანის ზვირთებმა. სულ მალე ბავშვების მონოტონური ბუბუნი შემოესმა.

კორნელიუსმა, რომელიც აქ ასწავლიდა, დადო საჩვენებელი კურსი და ის მოწაფეების ყურადღებას ევროპის კონცხებს მიაპყრობდა და მათ ემართა.

— ეს მისი ძმა ჯოშია, — დაიჩურჩულა ერთმა უფროსკლასელთაგანმა, — მღვდელი უნდა გახდეს, ახლა სემინარიაში სწავლობს.

— კორნიც გახდება მღვდელი, როცა ფულს დააგროვებს, — მიუგო მეორე ბიჭმა.

როცა კორნელიუსმა უფროსი ძმა მოიკითხა — რამდენიმე თვე იყო ძმებს ერთმანეთი არ ენახათ — მერე უამბო, რა მეთოდით ასწავლიდა თავის მოსწავლეებს გეოგრაფიას. მაგრამ უფროსს პოლბოროს ეს არ აინტერესებდა.

— შენ თვითონ თუ მეცადინეობ? — ჰკითხა მან, — ჩემი გამოგზავნილი წიგნები მიიღე?

წიგნები კორნელიუსმა მიიღო და ახლა თავისი მეცადინეობის შესახებ დაუწყო ძმას ლაპარაკი.

— აუცილებლად დილაობით იმეცადინე. რა დროს დგები?

— ექვსის ნახევარზე, — მიუგო უმცროსმა ძმამ.

— ზაფხულში უფრო ადრეც შეგიძლია ადგე. ხუთის ნახევარი ყველაზე კარგი დროა. სინტაქსსა და თარგმანზე დილიდანვე კარგია მუშაობა. არ ვიცი რატომ, როცა ძილი მერევა რომელიმე მსუბუქი წიგნის კითხვის დროსაც კი, პწკარედის გაკეთება მაინც შემიძლია — ამ საქმიანობაში, ეტყობა, რაღაცა არის შექანიკური. არა, კორნელიუს, ჩამორჩენა არაფრით არ შეიძლება, თუ შენ საშობაოდ სკოლიდან წასვლა გაქვს გადაწყვეტილი, ბევრი მუშაობა მოგიწევს.

— რაც შეიძლება მალე უნდა მიიღო ეპისკოპოსის თანხმობა. ის გაგიცნობს თუ არა, მღვდლის ადგილი უზრუნველყოფილი გექნება. მე ამაში ერთი წუთით ეჭვი არ მეპარება. ჩვენი რექტორის რჩევით ჩვენთან მაშინ ჩამოხვალ, როცა გამოცდები დაგვეწყება მისი უწმინდესობის თანდასწრებით, ეცადე, თავი მოაწონო. საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ მთელი მარტილი ამაშია და არა დოგმების ერთგულებაში. და შენ, კორნი, თუ მღვდელი არა, დიაკვანი მაინც უეჭველად გახდები.

უმცროსი ძმა დუმდა, რაღაცაზე ფიქრობდა.

— როზა გწერს წერილებს? — იკითხა მან ბოლოს, — მე დღეს მივიღე მისი წერილი.

— ჰო. ეს გოგო ძალიან გულუბნია წერილებში. საბლი ენატრება, თუმცა ბრიუსელი, ალბათ, სასიამოვნო ქალაქია. საჭიროა რაც შეიძლება მეტად ისარგებლოს მან იქ ყოფნით. თავდაპირველად ვფიქრობდი, სენდბერნის სკოლის შემდეგ ერთი წელი ბრიუსელში ყოფნა მისთვის საკმარისი იქნება-მეთქი. მერე კი გადავწყვიტე, უმჯობესია კიდევ ერთი წელი დარჩეს, რათა საქმე ბოლომდე მივიყვანოთ, მივცეთ კარგი განათლება, თუმცა მე ეს იაფი არ დამიჯდება.

მკაცრი სახეები მაშინვე მოუღობათ, როგორც კი საუბარი დაზე ჩამოვარდა, იგი ძმებს საკუთარ თავზე მეტად უყვარდათ.

— სად იშოვი ამდენ ფულს, ჯოშუა?

— ფული უკვე მაქვს. — მან მიიხედ-მოიხედა და როცა დაინახა ორისამი მოწათე იდგა მათთან ახლოს. განზე გადგა. — გახსოვს ფერმეტი, მიწის ნაკვეთი რომ ჰქონდა ჩვენ გვერდით? აი იმან მომცა ხუთპროცენტით სესხად.

— მერე როგორ გადაუხდი?

— დავფარავ ნაწილ-ნაწილ ჩემი სტიპენდიით. არა, <sup>უკვე უკლებლივ</sup> არა, <sup>უკვე უკლებლივ</sup> შუაგზაზე გაჩერება არ შეიძლება, რამდენიმე წელიწადში როზა, ვერ ვიტყვი, ლამაზი-მეთქი, მაგრამ მიმზიდველი გოგონა კი დადგება. ამას დიდი ხანია ვგრძნობ, თუ სილამაზე არ უშველის, სამაგიეროდ კარგი სახე და ჭკუა ერთად ბედნიერებას მოუტანს, იქნებ ვცდები, ასე რომ ვმსჯელობ ცხოვრებაში თავისი შესაფერისი ადგილი რომ დაიკავოს, ხალხში ჩვენთან რომ გამოვიდეს, როზა უნდა იყოს განათლებული, დახვეწილი ქალი თანემით ტერფამდე. აი ნახავ, ასეც იქნება. თავს მოვიკლავ შიმშილით და იმას იმ სკოლიდან არ წამოვიყვან.

ძმებმა ირგვლივ მიმოიხედეს, მიაცქერდნენ სკოლას, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ. კორნელიუსისათვის ეს საკლასო ოთახი ნაცნობი და შეჩვეული ადგილი იყო, მაგრამ ჯოშუას — გულქვა კაცს, რომელიც აქ ასეთი უბადრუკი ადგილიდან როდი მოსულა. — აქაურობა უსიამოვნოდ მოხვდა თვალში და ისევ მოაგონა ის, რაც მისთვის უკვე წარსული გამხდარიყო.

— მე მაშინ გავიხარებ, როცა შენ აქაურობას თავს დააღწევ. — თქვა მან. — ახვალ კათედრაზე და პირველად იქადაგებ.

— თან ისიც დასძინე — როცა მე სარფიან სამწყსოს დავიმკვიდრებ

— ჰო... მაგრამ არ შეიძლება ასე უდიერად ლაპარაკი ეკლესიაზე. შენ ჯერ კიდევ ნახავ და დარწმუნდები, რომ ყველა გამრჯე კაცისათვის ეკლესია ღირსეული სარბიელია, სადაც შეიძლება ბევრი რამ გააკეთო. — ცხარედ წარმოთქვა ჯოშუამ, — გზა გადაუღობო ურწმუნოების ნაკადს, ახლებურად ახსნა და განმარტო ძველი ცნებები, კანონის არსი შეცვალო მისი ჭეშმარიტი გაგებით, ეძიო, მასში სული ღვთისა, — იგი შედგა, განჭვრიტა საკუთარი მომავალი, ცდილობდა დაერწმუნებინა თავი, რომ მას პატივმოყვარეობა კი არ ამოძრავებს, არამედ ერთგულება რწმენის ქომაგისა, რომ მან მთლიანად აღიარა ქრისტეს სჯული და მზად არის დაიცვას იგი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მხოლოდ და მხოლოდ იმ დიდებისა და ღირსებისათვის, რომელიც მეომრის ხვედრია.

— თუ თქვენი ეკლესია ისე მოქნილია, რომ შეიძლება შეეგუოს ახალი დროის სულს, მაშინ მას არაფერი ემუქრება, — თქვა კორნელიუსმა. — თუ არადა... შენ წარმოიდგინე, ამასწინებებზე ბუკინისტებთან წიგნი ვიყიდე — ბეილის „ქრისტიანობის აპოლოგია“. საუკეთესო გამოცემაა. ფართო მინდვრები აქვს, შესანიშნავად არის შენახული. და იცი რამდენად ვიყიდე? სულ რაღაც ცარა პენსად. ამ ფასის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ — ჩვენი ეკლესიის საქმე ვერ არის ბრწყინვალე.

— არა, არა! — თითქმის აღშფოთებით წამოიძახა უფროსმა ძმამ, — ეგ ამბავი მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ მას არ სჭირდება დაცვა. ადამიანები ჭეშმარიტებას ხედავენ დაუხმარებლად. გარდა ამისა, ჩვენ დავუკავშირეთ ჩვენი ბედი ქრისტიანულ დოგმას და უნდა დავიცვათ იგი ყველაფრის მიუხედავად. მე ახლა ვამუშავებ პიუზის „ეკლესიის მამებს“.

— შენ ეპისკოპოსად გაკურთხებენ, ჯოშუა!



— აჰ! — წამოიძახა ძმამ და დანანებით გადაიქნია თავი, — ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო... ყველაფერი! მაგრამ სად გამაჩნია მე ღვთისმეტყველების ან სამართლის დოქტორის დიპლომი? როგორ შეიძლება ეპისკოპოსობაზე ფიქრი ამ სართის გარეშე! არქიეპისკოპოსი ტილოტსონი სოფრხელი თერძის შვილი იყო, მაგრამ მან დაამთავრა კლერკოლეჯი. მე... მე... მე... ვერასოდეს ველირსებით პატივს მოვიხსენიოთ ოქსფორდი ან კემბრიჯი ჩვენს alma mater-ად, ღმერთო ჩემო, როცა დავფიქრდები, რა შეიძლებოდა გამოვსულიყავით, რა ნათელი გზა გადაგვიღობა ამ არარაობამ, საძაგელმა...

— არ გინდა! არ არის საჭირო... მე შენზე არანაკლებს ვფიქრობ, და რაც დრო გადის, მით უფრო მეტად განვიცდი ამას. შენ უკვე დიდი ხანია ხელში გეჭირებოდა დიპლომი... შესაძლოა, კოლეჯის წევრის წოდებაც, არც მე მექნებოდა ხარისხის მიღებამდე დიდი დრო დარჩენილი.

— საკმარისია, გაჩუმდი, — თქვა უფროსმა ძმამ, — მოთმინება, მოთმინება — აი რა გვესაჭიროება ჩვენ.

ძმებმა სევდიანად გახედეს ფანჯრის ჭუჭყიან მინებს, ფანჯარაში ცა მოჩანდა მხოლოდ. ფიქრმა, მოუშორებელ ჭირზე ფიქრმა თანდათან ისევ შეიპყრო ისინი, კორნელიუსმა პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— ის იყო ჩემთან, — დაიჩურჩულა მან.

ჯოშუა თითქოს სისხლისგან დაიცალაო, სახე გაცივებული ლავასავით გაუქვავდა.

— როდის? — სწრაფად იკითხა მან.

— წინა კვირას.

— როგორ მოაღწია აქამდე, ამ სიშორეს?

— მატარებლით ჩამოვიდა. ფული მთხოვა.

— ჰო!

— მითხრა, ჯოშუასთანაც გავივლიო.

ჯოშუა, პასუხის მიხედვით, თითქოს დაემორჩილა ბედს. საუბრის ბოლომ გაუფუჭა ის დღე, ჩაუკლა სიცოცხლის სიყვარულის ნასახი, რომელიც კიდევ შემორჩენოდა. საღამოს შინ წასასვლელად გაემზადა, კორნელიუსმა სადგურამდე გააცილა. მატარებელში, ფაუნტოლის სასულიერო სემინარიისაკენ მიმავალ გზაზე, ჯოშუა აღარ კითხულობდა. მოუცილებელი ჭირი ჭუჭყიან ლაქასავით არ სცილდებოდა მთელ მის ცხოვრებას, წარსულსაც და მომავალსაც. მეორე დღეს ჯოშუა სხვა სემინარისტებთან ერთად იჯდა დასში და ფიქრი საკუთარ უბედურებაზე ამუქებდა მის თვალში ვიტრაჟებიდან იატაკზე დაცემულ შუქს.

ზაფხულის დღე იდგა. ტაძრის გაღევანს იქით ისეთი მდუმარება გამეფებულიყო, როგორც მეფობს ხოლმე მის მწვანე მინდორზე კვირა დღეებში წირვასა და წირვას შორის. მხოლოდ კილყვაების შეუნელებელი ჩხავილი არღვევდა სიჩუმეს. ჯოშუა პოლბორო ის იყო მორჩა თავის ასკეტურ ტრაპეზს, შევიდა ბიბლიოთეკაში და წუთით მინდორზე გამავალ დიდ ფანჯარასთან შეჩერდა. მინდორზე ნელა მოდიოდა პლისის ქურთუკიანი და დაკმუჭნულ, გაქეჩილშლიაპიანი კაცი; თან მკლავგაყრილი მოჰყავდა მაღალი ბოშა ქალი. ყურებზე ქალს გრძელი სპილენძის საყურეები ერხეოდა. კაცი დამცინავად ათვალეგრებდა ტაძრის ფასადს და პოლბორომ საბითა და აღნაგობით იცნო მამამისი, ვინ იყო ქალი, წარმოდგენაც არ ჰქონდა. ის იყო ჯოშუას გონებამ წარმოიდგინა რა დარტყმა ელოდა, რომ ბილიკზე, რომელიც ჭიშკრიდან სასაფლა-

იხე გადიოდა. გამოჩნდა სემინარიის რექტორი, ვისაც ახალგაზრდა სემინარისტი გაცილებით უფრო დიდ თავყვანს სცემდა, ვიდრე თვით ეპისკოპოსს. ჯოშუას თავზარი დაეცა, როცა მამამ პატივცემულ ღვთისმსახურს რაღაც უთხრა.

რაზე ლაპარაკობდნენ ისინი, ამის ამოცნობა ძნელი იყო. და აი/ცივოფლ-დასხმულმა ჯოშუამ დაინახა, რომ მამამისმა ფამილარულად დაეძახა ბელი რექტორს მხარზე. ზიზღნარევი მოძრაობა და სწრაფად გადაქრება გილიდან ამ უკანასკნელისა უსაზღვროდ მრავლისმეტყველი იყო. ქალი მთელი ეს ხანი დუმდა და როცა რექტორმა გაიარა, ისინი სემინარიის კიშკრისაკენ გაემართნენ.

პოლბორო თვალისდახამხამებაში გავარდა დერეფანში და გვერდით კარიდან გარეთ გავიდა იმ ანგარიშით, რომ მანამ გადალობებოდა მათ წინ, ვიდრე ისინი მთავარ შესასვლელთან მივიდოდნენ. ჯოშუა დაფნის ბუჩქებთან წამოეწია მამასა და ბოშა ქალს.

— ღმერთო ჩემო, აი თვითონ ჯოში ვერაფერს იტყვი. მოკრძალებული ვაქიშვილი მყავს. იმის ნაცვლად, რომ მოეფიქრებინა და მამამისისათვის გაეგზავნა თუთუნის ასეთი განსაკუთრებული შემთხვევის გამო, პირიქით, აიძულებს მამას ცხრა მთის იქით ეძებოს შვილი.

— ჯერ ერთი, ეს ვინ არის? — იკითხა მიტკალივით გადაფიტრებულმა, მაგრამ მაიხც ღირსეულად თავდაჭერილმა ჯოშუა პოლბორომ და ხელით ანიშნა საყურეებიან გათქვირულ ქალზე.

— მომიკვდეს თავი როგორ თუ ვინ არის? ჩემი მეუღლეა, შენი დედი-ნაცვალი. განა არ იცი, რომ დაექორწინდი? ერთხელ ბაზრიდან შინ მისვლაში დამეხმარა. გზაში გავისაუბრეთ, გამოვეცნაურეთ ერთმანეთს, შევთანხმდით და გავაკეთეთ საქმე — დაექორწინდით. ხომ მართალს ვამბობ, სელინა?

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ. ასე იყო ყველაფერი. — გაიპრანჭა ქალი.

— ეს რა დაწესებულებაში დაგიდევს ბინა? — იკითხა ზეინკალმა, — გამასწორებელი სახლია?

ბედს დამორჩილებული ჯოშუა არ ჩაჰკვირვებია მამის სიტყვებს, გამწარებულმა მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ ეკითხა, ხომ არაფერი გჭირდებათ — ვთქვათ, იქნებ გვესადილაო, რომ მამამ გააწყვეტინა:

— თვითონ მინდა დაგპატიჟო, წავისაუზმოთ ერთად იმით, რაც ღმერთმა გვიბოძა; მე და სელინა გავჩერდით „მამალსა და ბოთლში“, ახლა კი მივდივართ ამის ნათესავების სანახავად ბინეგარეში, ბაზრობაზე, სადაც კარვები აქვთ გაშლილი. კარგი საქმელები აქვთ თუ არა „მამალში“, არ ვიცი, თავს ვერ დავდებ, მაგრამ სამაგიეროდ არაფერია ისეთია, კარგა ხანია რომ არ მიგემნია.

— მადლობას გწირავთ, მაგრამ მე უკვე ვისაუზმე და, გარდა ამისა, არ ვსვამ, — თქვა ჯოშუამ. სუნის მიხედვით, რომელიც მამას ამოქარქარებდა პირიდან, შეიძლებოდა დაჯერება, რომ მისი აზრი არაყზე სწორი იყო. — ჩვენთან აქ მკაცრი წესრიგია, და არ შეიძლება ახლა ჩემი გამოჩენა „მამალსა და ბოთლში“.

— დამწყველის ღმერთი! ნუ წამოხვალთ, თქვენო ღირსებაე. მაგრამ სხვათაშორის, იქნებ გენებათ ფულის გადახდა იმათ გასამასპინძლებლად, ვისაც შეუძლია იქ გამოჩენა?

— არც ერთ პენის არ მოგცემ, — მტკიცედ მიუგო ახალგაზრდა კაცმა, — ისედაც საკმარისად დაგილევია.

— დიდი მადლობა, პო, მართლა, ვინ არის ის კანჭა მღვდელი, აბზინდები-

ანი წაღები რომ აცვია, აი, ჩვენ რომ შეგვხვდა წინ და მერე ისე უფეროდ გაგვშორდა. თითქოს მოწამვლის შეეშინდაო?

ჯოშუამ ცივად განუმარტა, სემინარიის რექტორიას და მერე მიშით გამრძობია:

— კითხე, ვისაც ეძებდი?

კითხვა უპასუხოდ დარჩა. მამამისი და მისი ზონზრობა ბოშა ცოლი, თუ ის მართლა იყო მამამისის კანონიერი მეუღლე, პაი-სტრიტისაკენ წავიდნენ და მალე თვალს მიეფარნენ. ჯოშუა ბიბლიოთეკაში შებრუნდა. თავისი თავდაჭერილობის მიუხედავად, იგი ცხარე ცრემლებს ღვრიდა წიგნზე და გაცილებით უფრო საბრალო და საცოდავი იყო იმ დღეს, ვიდრე მისი დაუბატიყვებელი სტუმარი — ზეინკალი. საღამოს ჯოშუა დაჯდა და ძმისთვის გასაგზავნი წერილის წერა დაიწყო. დაწვრილებით მისწერა რაც მოხდა, მისწერა თავსდამტყდარი ახალი სირცხვილის — მამამისის ცოლის — ბოშა ქალის ამბავიც, მერე კი თავისი გეგმაც გააცნო: წლებზე ფეხი უნდა დაიდგან ფული უნდა იშოვონ და როგორმე დაიყაბულონ შეუღლებული წყვილი ემიგრაციაში — კანადაში წავიდნენ. „ეს ერთადერთი გამოსავალია, — წერდა იგი. — ჩვენი მდგომარეობა აუტანელია. კარგი მხატვრის, მოქანდაკის, მუსიკოსისა თუ მწერლისათვის — იმათთვის, ვინც საზოგადოებას თავის ფერხთით აჩოქებს, უღირსი, გახრწნილი მშობლები — წინააღმდეგობა და წინ აღმართული კედელი არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში ეს მათ რომანტიკული შარავანდედითაც კი მოსაგვს, მაგრამ ინგლისური ეკლესიის მსახურისათვის ასეთი ნათესავეები!.. კორნელიუს, ჩვენთვის ეს სიკვდილია. ჩვენს ასპარეზზე რაიმეს მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ადამიანებს ეცოდინებათ: რომ შენ, მათი მოძღვარი, წესიერი საზოგადოების შვილი ხარ, რომ ფული გაქვს, რომ განსწავლული ხარ, კარგი ქადაგი ხარ და მხოლოდ ბოლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანი ხარ. მაგრამ ყველაფერზე უპირველესად მათ მთელი სულითა და გულით, მთელის გონებით უნდა სწამდეთ, რომ შენ ნამდვილი ჯენტლმენი ხარ. მე შევეგუებოდი მამაჩვენის წვრილ ხელოსნობას, სულ ოდნავ მაინც ღირსეული, წესიერი კაცი რომ იყოს. ქრისტიანული დოგმა ხომ მოთმინებას ეფუძნება და ღმერთის შეწევნით არაფერს ანგარიშს არ გავუწევდი. მაგრამ რა ვუყო მის მაწანწალობას, მის ამ სამარცხვინო კავშირს! თუ ის ყურად არ იღებს ჩემს წინადადებას და არ გაემგზავრება ინგლისიდან, ეს ამბავი გავანადგურებს ორივეს, მე კი შემიწირავს, რატომ უნდა ვთქვათ უარი ჩვენს მაღალ მიზანზე, რატომ უნდა გახდეს როზა ვილაც ბოშა ქალის გერი!“

III

ერთ მშვენიერ დღეს ნეროუბერნის სამრევლო მღვდვარებამ მოიცვა. მრევლი გამოდიოდა დილის წირვიდან და ყველანი ახალ უმცროს მღვდელზე, მისტერ პოლბოროზე ლაპარაკობდნენ, რომელმაც ამ დილით პირველად ჩაატარა წირვა მარტომ უწინამძღვროდ.

მლოცველებს ასეთი რამ არასოდეს განუცდიათ, მონოტონურ ბუტბუტს, რომელიც დამკვიდრებული იყო აქ ამ წყნარი ძველი ეკლესიის არსებობიდან ლამის ასი წლის მანძილზე, ბოლო მოუღო ახალმა მოძღვარმა. მრევლი მისამდერივით იმეორებდა ბიბლიის ტექსტს: „უფალო, შემიწყალე!“ აქაურ ძველ მაცხოვრებლებსაც კი არ აბსოვდათ, რომ ქადაგება ოდესმე გამზდარიყოს საუბრის ერთადერთი საგანი მთელ გზაზე სტოვადან ეკლესიის ეზოს კიშკრამდე.

თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, ქორებსა და მთელი კვირის ახალ ამბებს, ერთმანეთს რომ უამბობდა ხალხი.

ქადაგის ამაღელვებელი სიტყვები წირვაზე მისულებს მთელი დღე არ სცილდებოდათ თავიდან და თუმცა გულგრილობა ეკლესიის მიმართ დიდი ხანია აქ ჩვეულებრივი ამბავი გამხდარიყო, ყველანი, ვინც იმ დღეს წირვაზე იყო — ქაბუკებიც, ქალიშვილებიც, ხანშიშესულებიცა და მოხუცებიც, დაბრუნებისას თითქოს სურვილის საწინააღმდეგოდ, პოლბოროს ქადაგებაზე ლაპარაკობდნენ. თანაც ვითომ სხვათა შორის, ფარისევლური ქირქილითაც კი, ისე ანცვიფრებდათ თავადვე მათ ამ შეგრძნების სიახლე.

და აი რა არის საინტერესო: ახალი სკოლის ქადაგმა ააფორიაჭა არა მხოლოდ უბრალო სოფლის მაცხოვრებლები: ისინი ორმოცი წლის მანძილზე შეეჩვივნენ მოხუც მღვდელს, რომელიც ზრუნავდა მათი სულებისათვის! არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა პოლბორომ იმათზეც, ვისაც მემამულის სკამი ეკავა და თვით სკვაირზეც კი, ამ ხალხს თითქოს უნდა ცოდნოდა ასე ეფექტზე მოთამაშე ქადაგების ფასი, უნდა განესხვავებინა კეშმარიტი არსი მოჩვენებითი ენამზეობისაგან, მაგრამ მაინც ახალმა მღვდელმა მონუსხა ისინი სხვა მლოცველებივით.

აქაური სკვაირი, ახალგაზრდა ქვრივი კაცი მისტერ ფელმერი, დედასთან, საკმაოდ ახალგაზრდა ქალთან, ერთად იყო ეკლესიაში, ამ ქალმა დაიბრუნა თავისი ძველი ადგილი სახლში, მას მერე, რაც დაასაფლავა რძალი, რომელიც მშობიარობას გადაყვა გათხოვებიდან ერთი წლის თავზე და დატოვა ავადმყოფური, სუსტი გოგონა. ცოლის გარდაცვალების შემდეგ ფელმერი განმარტოვდა ნეროუბერნში, არსად დადიოდა სამოგზაუროდ და ვერ ხედავდა მომავალში ვერაფერს, დაკარგა ყოველგვარი ინტერესი ცხოვრებისადმი, მან სიხარულით დაუბრუნა დედას დიასახლისის როლი თავის გამოცარიელებულ სახლში, თავად კი არც თუ ისე დიდი ადგილ-მამულის მოვლის საქმეში ჩაეფლო. მისის ფელმერი, რომელმაც პოლბოროს მოუსმინა იმ დღით, სიცოცხლისმოყვარული ქალი იყო, თან გულმართალი. იგი თვითონ ყიდულობდა ყველაფერს ბაზარში, თავად ურიგებდა მოწყალებას მის მეურვეობაში მყოფ ღარიბებს, უყვარდა უბრალო მინდვრის ყვავილები და სტუმრად დადიოდა სოფელში თავის ხალხთან თავსხმა წვიმაშიც კი, ეს ორი დიდებული გვამი ნეროუბერნში სხვებზე არანაკლებ მოენუსხა ჯოშუას მკვევრმეტყველებას.

ახალი მოძღვარი სკვაირს რამდენიმე დღის წინ წარუდგინეს, მაგრამ ეს შეხვედრა ძალზე ხანმოკლე იყო, და ახლა ამ კაცით დაინტერესებული სკვაირი და დედამისი დაელოდნენ, როდის გამოვიდოდა იგი სამოსსაცავიდან, მერე საინივენი ერთად გაემართნენ კიშკრისაკენ. მისის ფელმერმა ძალზე გულთბილად წამოიწყო საუბარი ქადაგებაზე, ბრძანა, დიდი ბედი ეწია მრევლს თქვენისთანა მღვდლის ჩამოსკლითო, და ბოლოს ჰკითხა, ხომ კარგად მოეწყვეთო სოფელში.

პოლბორო ოდნავ გაწითლდა, ერთი ფერმერის საკმაოდ მოზრდილ სახლში დავბინავდიო და დაასახელა ფერმერის გეარი.

ხომ არ მოგეწყინებათ იქ, განსაკუთრებით საღამოობით, განაგრძობდა მისის ფელმერი, მოხარული ვიქნებით თუ ხშირად გვესტუმრებითო. როდის ეწვევა სადილად? იქნებ დღესვე? განა ნალველი არ შეიბყრობს ბატონ მოძღვარს, თავის პირველ კვირა დღეს რომ მარტო გაატარებს?

პოლბორომ მიუგო, სიხარულით გესტუმრებოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, იძულებული ვარ უარი ვთქვაო.

— მართალი მოგანსენოთ, მარტო არა ვარ, ჩემს დას, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც ბრეუსელიდან დაბრუნდა, თქვენსავით გაუჩნდა აზრი, რომ აქ მარტოს შეიძლება მომწყვებოდა და რამდენიმე დღით გამომყვებოდა, რათი მომეხმაროს, ხელი შემაშველოს მილაგ-მოლაგებაში. ეკლესიაში არ წამოვიდა, ძალიან დაღლილი იყო და ახლა ალბათ მიცდის.

— მაგას რა სჯობს! მოიყვანეთ თქვენი დაც, ძალიან სასიამოვნო იქნება მისი გაცნობა. საწყენია, რომ ადრე ვერ გავიგეთ ეს უთხარით, თუ შეიძლება, რომ ჩვენ არაფერი ვიცოდით მისი ჩამოსვლის შესახებ.

პოლბორო დაპირდა, ყოველივეს გადასცემდა დას, მაგრამ მოახერხებდა თუ არა მათთან მისვლას დღეს, ამის თქმა არ შეეძლო. სინამდვილეში ყველაფერი თავად ჯოშუაზე იყო დამოკიდებული, როზასათვის უფროსი ძმის სურვილი ხომ თითქმის კანონი იყო, მხოლოდ ეგაა, ჯოშუა არ იყო დარწმუნებული, აღმოაჩნდებოდა თუ არა როზას ასეთი შემთხვევისათვის შესაფერი ტანსაცმელი და წინასწარვე გადაწყვიტა: როზა ასე ჩაცმული მემამულის სახლში ვერ წავა. თანაც შესაძლო იყო მომავალში არა ერთი შემთხვევა მისცემოდა საამისოდ შედარებით უფრო ხელსაყრელ გარემოებაში.

ჯოშუა სწრაფად, დიდი ნაბიჯებით გამობრუნდა შინისკენ. აი, რა მოუტანა მას პირველივე დღემ ახალ ადგილზე! ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, იგი ეღიარსა სასულიერო წოდებას, მიიღო კარგი მრევლი, რომელიც თითქმის მთლიანად მისი მფარველობის ქვეშ იქნება, რადგანაც აქაური წინამძღვარი მიზრწნილი მოხუცია, ჯოშუას პირველივე ქადაგებამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მრევლზე, ხოლო ის გარემოება, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ უმცროსი მღვდელია, როგორც ჩანს, ხელს არ შეუშლის, გარდა ამისა დარწმუნებამ და არც თუ ისე ცოტა ფულმა გადაწყვიტა საქმე — მამამისი და ბოშა ქალი კანადაში გაემგზავრნენ, იქიდან კი ისინი ნაკლებად მოახერხებენ მის ცხოვრებაში ჩარევას.

როზა ძმის შესახვედრად ოთახიდან გარეთ გამოვარდა.

— რა ცუდი ხარ, რომ არ წამოხვედი წირვაზე, — უთხრა ჯოშუამ.

— პო, მერე მეც ვინანე, მაგრამ ისე არ მიყვარს ეკლესიაში სიარული, რომ შენმა ქადაგებამაც ვერ მომხიბლა, ეს, რა თქმა უნდა, უსაქციელობაა ჩემის მხრივ.

ღია ფერის ბატისტის კაბაში გამოწყობილი გოგონა, რომელიც ასე ოხუნჯობდა, სულფიდასავით ქერა, ტანკენარი და გრაციოზული იყო, თავი ისე კეკლუცად ექირა, როგორც თავდაჭერის ჩვევასაც ინგლისელი ქალები საზღვარგარეთიდან გადმოიღებენ ხალხე, თუმცა სამშობლოში ერთი-ორი თვის ცხოვრების მერე სულ მთლად ივიწყებენ.

ხუმრობა ჯოშუამ არ იცოდა, ცხოვრება მას ძალზე რთულად მიაჩნდა იმისათვის, რომ ვინმეს ხუმრობას აქყოლოდა, მან მოკლედ, საქმიანად უამბო დას სკეაირთან მიპატრეების ამბავი.

— აი რა, როზა, უნდა წავიდეთ, გადაწყვეტილია... ჩასაცმელი თუ გაქვს, იქნებ რომელიმე კაბა გადაიკეთო სწრაფად? შენ, რა თქმა უნდა, ვერ მოიფიქრე წამოგედო ამ მივარდნილ ადგილას საღამოს კაბა?

მაგრამ როზამ ტყუილად როდი იცხოვრა ბრეუსელში, რომ ასე უბრალოდ დაგეჭირათ უთადარეგობაში.

— ძალიან კარგადაც მოვიფიქრე, — თქვა მან, — ყოველთვის მზად უნდა იყო!

— ყოჩაღ! ესე იგი, შვიდ საათზე.

მოსალამოვდა, ისინი დაბინდებისას გაუდგნენ ვზას, როზა ნამს მოერიდა, აბრეშუმის ფეხსაცმელები იღლიაში ამოიჩარა და ქვედა კაბის კაბის ისე აიჭრიდა, რომ გაფხორილი მოსასხამი უკან სარივით დასთრევდა. ჯოშუამ/ნება არ მისცა დას სახლში მისვლის დროს გამოეცვალა ფეხსაცმელები ბალში, ხის ძირას ჩაეცვა, რათა არავინ მიმხვდარიყო, ფეხით რომ მიეღწეოდა. ჯოშუა წუხდა, ყურადღებას აქცევდა ყოველ ასეთ წვრილმანს. როზა შეკრუბას, გასეირნებასაც და სადილზე მიწვევასაც სასიამოვნო დროსგატარებად თვლიდა, და მეტი არაფერი. ჯოშუასათვის კი ეს სერიოზულ ნაბიჯს მოასწავებდა ცხოვრებაში.

როგორი სხვაგვარი ქალი აღმოჩნდა უმცროსი მღვდლის და! მისის ფელმერი ვერ მალავდა გაცხებას, იგი ელოდა, რომ როზა ერთი უბრალო გოგო იქნებოდა და უნდობლად ათვალიერებდა თავის სტუმარს, ეს ნორჩი ქალიშვილი, ძმასთან ერთად რომ მისულიყო ეკლესიაში, ეს მიწვევა ნეროუბერნ-პაუზში ალბათ არ შედგებოდა.

სულ სხვაგვარად ეჭირა თავი ახალგაზრდა ქვრივს, მის ვაჟიშვილს, მისტერ ფელმერი იმ კაცს ჰგავდა, რომელმაც გამოიღვიძა, ეგონა, ჯერ თენდებოდა და უეცრად დაინახა, რომ ირგვლივ კაშკაშა მზიანი დღე დგას. იგი ძლივს იკავებდა თავს, რომ თვალები არ მოეფშვნიტა და პირში არ შეემთქნარებინა სტუმრებისათვის — ისე უცნაური ეჩვენა ის, რაც თვალწინ წარმოუდგა, როდესაც ყველანი მაგიდას მიუსხდნენ. მისტერ ფელმერმა საუბარი გაუბა როზას, როგორც აქაურმა დიდებულმა, მაგრამ ახალგაჯობილი სტუმრის ქალურმა მომხიბლაობამ მალე დააცხრო იგი და ბრიუსელელმა ტურფა ასულმა შეამჩნია, რომ ოჯახის უფროსი მამაკაცი ყურადღებით აკვირდებოდა მის სახეს, ხელებს, წელს, თითქოს უკვირდა შემოქმედისა, რომელმაც შექმნა იგი. მერე კი მისტერ ფელმერი წვრილმანებს ველარ არჩევდა, უკვე აღტაცებული იყო მასთან მოსაუბრე ქალით, ეს კი ორივესათვის უფრო სასიამოვნო იყო.

მამაკაცი უფრო მეტად დუმდა; ქალი სიამოვნებით ლაპარაკობდა, ფელმერები როზას ნამდვილ პროვინციალებად მოეჩვენა, და ამან გაანთავისუფლა ყოველგვარი უფერულულობისაგან. ნეროუბერნ-პაუზის მფლობელი ამ უკანასკნელ ხანს ისე გადაეჩვია საზოგადოებას, ისე დაცარიელდა მისთვის ცხოვრება, რომ მხოლოდ დღევანდელმა დღემ გაახსენა რამდენი სასიამოვნო რამ არსებობს ამქვეყნად. დედამისმა, როცა გადალახა წუთიერი ეჭვები, ეტყობა, გადაწყვიტა, ჩემი ვაჟიშვილი თავად არის საკუთარი თავის პატრონი და საუბარი გაუბა მღვდელს.

რა წინდაჩედულიცა და შეუდრეკელიც არ იყო პოლბორო, დასახული მიზნების განხორც ელების საქმეში, ამ სადილის შედეგებმა მიინც გადააჭარბა ყველა მის მოლოდინს. თავის პატივმოყვარულ ჩანაფიქრში ჯოშუას აქამდე როზა ისეთ ნაზ, საყვარელ ქმნილებად წარმოედგინა, რომელსაც უფროსი ძმა, ნიქიერი კაცი, მხარში უნდა ამოუდგეს, მიენმაროს ცხოვრების გზის გაკვალვაში, ახლა კი ჯოშუასათვის ამკარა გახდა, მომხიბვლელობა, გარეგნობა, ბუნებისაგან მონიჭებული ეს მადლი, შეაძლებინებდა მის დას მოეპოვებინა გაცილებით მეტი ძმებისათვის, ვიდრე მის საკუთარ ჭკუას. სანამ ჯოშუა მოთმინებით თბრის გვირაბს მთებში, როზას თურმე ფრთების ერთი შემოკვრით შეუძლია გადაუფრინოს მწვერვალს.

მეორე დღეს ჯოშუამ წერილი მისწერა ძმას, რომელიც ახლა მის ყოფილ

ოთახში ცხოვრობდა სემინარიაში და აღფრთოვანებული სიტყვებით მოუთხრო როზას მოულოდნელი „დებიუტის“ ამბავი მემამულის სახლში. საპასუხო წერილი, რომელიც და-მამამ მიიღო, სავსე იყო მილოცვებით, მაგრამ კორნელიუსის პასუხი მოწამლული იყო იმათი მამის ამბით, რომელსაც თურმე არ მოეწონებია კანადაში ყოფნა „ეოლსაც მიუტოვებია, მარტო დარჩენილ მორეული შინ დაბრუნებას აპირებს.“

ბოლო დროს მიღწეული წარმატებებით გახარებულ ჯოშუას, თითქმის მიავიწყდა ძველი უბედურება, რომელიც ერთგვარად სიმორემაც დაბინდა. მაგრამ ამ უბედურებამ ახლა ისევ იჩინა თავი. ძუნწსიტყვიან ამბავში, მან გაცილებით მეტი დაინახა, ვიდრე მისმა უმცროსმა ძმამ. ეს ის ღრუბელი იყო, რომელიც სიდიდით კაცის ხელისგულს არ აღემატებოდა, მაგრამ ქარიშხალს კი მოასწავებდა.

IV

დეკემბრის თვეში, შობამდე ორი დღით ადრე მისის ფელმერი და მისი ვაჟიშვილი სახლის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ ფართო ვზაზე სეირნობდნენ. ამ ნახევარი საათის წინ კრიდა, ახლა გადაიღო და დედაშვილმა ისარგებლა შემთხვევით, რათა საუბრის წინ სუფთა ჰაერზე გაესეირნათ.

— იცით რა, დედა, — ლაპარაკობდა ვაჟიშვილი, — ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცს არ შეიძლება არ დააინტერესოს ამ ქალმა. ჩემი ცხოვრება თავიდანვე დასახიჩრდა, მე დავმარცხდი, საზოგადოება მეზიზღება, პოლიტიკური კარიერა მე არ მიზიდავს და მთავარი ჩემი მიზანი, მთავარი იმედი ისაა, რომ გავზარდო სიწყნარეში პაწია, რომელიც ვინმე დაშითოვა, დაუფიქრდით ყოველივე ამას და მიხვდებით, რომ უკეთეს ცოლს, ვიდრე მისს პოლბორთა, მე ვერ ვიპოვი.

— თუ შეყვარებული ხარ, მაშინ, ჩემის აზრით, უნდა შეირთო ცოლი, — მიუგო მისის ფელმერმა ისე მშრალად, თითქოს შვილის ნათქვამს კი არა, საკუთარ აზრებს უპასუხებდნენ. — მაგრამ სულ მალე დარწმუნდები, რომ როზას არ მოუწონებია აქ ცხოვრება, ჩაკეტილში, ისე რომ არავინ ნახოს, არაფერი გაიგოს, არაფერი აკეთოს ბავშვზე ზრუნვის გარდა.


— აი აქ კი ჩვენ სხვადასხვა აზრი გვაქვს, რომ ის „უბრალო ქალია“, როგორც თქვენ ამბობთ, და არაფერს თავად არ წარმოადგენს, ეს, ჩემის აზრით, კიდევ ერთი მისი ღარსებაა, მაღალი წრის ნათესავების უყოლობა, როგორც ცნობილია, ხელს არ უწყობს პატივმოყვარეობას. რამდენადაც მე შესმის მისს პოლბორთსი, ცხოვრება, რომელიც აქ ელის — მისი ოცნებების საზღვარია. იგი ნაბიჯს არ გადადგამს ჩვენი პარკის ჭიშკრის იქით, თუ ეცოდინება, რომ ჩვენ ეს არ გვსურს.

— ალბერტ, შენ შეყვარებული ხარ, გადაგიწყვეტია ცოლის შერთვა და ახლა გამართლებას ეძებ, შენი საქციელი რომ გააკეთილშობილო, პოდა, ისე მოიქეც, როგორც გენებოს, მე შენთვის ავტორიტეტი არა ვარ და ჩემი დარჩევნები არც არაფერში გჭირდება, გინდა შობის დღეებში სთხოვო ბელი? თქვი გულაბდილად.

— სრულიადაც არა, ჭერჯერობით ვწონი ყველაფერს. თუ როზა შემდეგ შეიც ასეთი კარგი იქნება... მაშინ ვნახოთ, მაგრამ გამოტყდით, დედა, თქვენც ხომ მოგწონთ ეს ქალი?

— სიამოვნებით გამოგიტყდები. იგი ზიბლავს ადამიანს ბირველსავე შეხედვაზე. მაგრამ შენს შვილს — ასეთი დედისა ცვალის. ეტყობა, ცდილობ. რაც შეიძლება მალე დამალწიო თავი.

— არა, რას ამბობთ! სრულიადაც არა ვარ ისეთი წინდაუბედავი, როგორც თქვენ ფიქრობთ. მე არ ვიცი ამჩატება. ნაჩქარევი გადაწყვეტილებებს მიღება უბრალოდ, თავში გამიჩნდა ასეთი აზრი და მაშინვე გაგმობდა ჩემო, თუ არ ვსიამოვნებთ, თქვით.



მე არაფერს ვამბობ, თუ შენ ეს მტკიცედ გადაწყვიტე, შევეცდები, შევეგუო ამ ამბავს. როდის ჩამოდის?

ამ დროს უმცროს მღვდელთან, რომელმაც უკვე მოასწრო საკუთარი სახლის შეძენა, წინასაღღესასწაულო მზადება იყო გაჩაღებული. როზას, რომელიც ერთი წლის მანძილზე ორჯერ იყო სტუმრად ძმასთან ორ-ორი, სამ-სამი კვირით და ასე მოხიბლა აქაური სკვადირი, ნეროუბერნში სააღდგომოდ ელოდნენ. დის გარდა ჯოშუამ კორნელიუსიც მოიპატიჟა, რათა დღესასწაულს ოჯახურად შეხვედროდნენ. როზა გვიან საღამოს უნდა ჩამოსულიყო, რადგანაც იქიდან, სადაც როზა ცხოვრობდა, შორი გზა იყო, კორნელიუსი კი დღისით ჩამოვიდოდა და ჯოშუამ გადაწყვიტა სადგურიდან მომავალს გზაში შეხვედროდა.

მღვდლის სახლში ყველაფერი მზად იყო სტუმრების მისაღებად და ჯოშუა სახლიდან ისე მხნედ და საკუთარი ბედის მიმართ ისეთი მადლიერების გრძნობით გამოვიდა, როგორც თითქმის არასოდეს განუცდია უწინ. მისი რეპუტაცია ახლა ისე მტკიცე იყო, რომ ამას კორნელიუსისთვისაც უნდა შეემსუბუქებინა სასულიერო წოდებისაკენ სავალი გზა. უფროს ძმას ეჩქარებოდა საუბარი უმცროს ძმასთან საკუთარ საქმეებზე. ბევრი რამ მისთვისაც ჰქონდა გამოსაკითხი; თუმცა მათ ჯერ სხვა უფრო საჭირობოროტო საქმეზე უნდა ელაპარაკათ: ჯოშუა ახალგაზრდობიდან იმ აზრისა იყო, რომ მივარდნილ, სოფელ ადგილას ეკლესიის მსახურს შეუძლია, რა თქმა უნდა, გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს უფრო იოლად, შედარებით ნაკლები ძალების დახარჯვით, ვიდრე რომელიმე სხვა პროტესტიისა თუ საქმიანობის კაცს, და მართლაც, საქმეები ისე ეწყობოდა, თითქოსდა მართლდებოდა მისი ანგარიშის სისწორე.

ნაბევარი საათის სიარულის შემდეგ ჯოშუამ დაინახა ბილიკზე მომავალი კორნელიუსი, რამდენიმე წუთის შემდეგ ძმები ერთმანეთს შეხვდნენ. რაიმე საინტერესო ამბავი კორნელიუსს არ ჰქონდა საამბობი, თუმცა მისი საქმეები, როგორც ჩანდა, ცუდად არ მიდიოდა, და ყოველივე ამის მიუხედავად, ამოუხსნელი იყო ის უცნაური თავშეკავებულობა, რა თავშეკავებითაც კორნელიუსი ძმას ელაპარაკებოდა. ჯოშუამ ეს მეცადინეობით გადალას მიაწერა და მაშინვე დის ამბავი წამოიწყო, როზა მალე ჩამოვაო, უთხრა კორნელიუსს და იმ მოსალოდნელი შედეგების შესახებაც აცნობა, რაც როზას ნეროუბერნში მესამე სტუმრობას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

აღდგომას როზა სკვადირის მეუღლე გახდება, ჩემო საყვარელო მეგობარო, — დაასვენა მან და თან ცდილობდა ხმაში სიხარული ჩაეხშო.

კორნელიუსმა თავი გადააქნია.

— ახლა გვიანაა! ადრე უნდა ჩამოსულიყო.

— რა იყო, რატომ?

— აჰა, წაიკითხე, — ამოიღო მან ჟიბიდან ფაუნტოლის გაზეთი და თითქმის დაადო ერთ განცხადებას. ჯოშუამ წაიკითხა, ეს იყო სასამართლოს ქრონიკა, რომელშიც განბილული იყო ძალზე ჩვეულებრივი საქმე საზოგადოებრივი სი-



წყნარისა და წესრიგის დარღვევის შესახებ, დამნაშავეს ესჯებოდა შვიდი დღე-ღამის პატიმრობა მინის გატეხვის გამო.

— მერე რა? — იკითხა ჯოშუამ.

— მე სწორედ იმ ქუჩაზე მივდიოდი იმ საღამოს და ყველაფერი საკუთარი თვალთ ვნახე — ეს კაცი მამაჩვენი იყო.

— მოიცა... იმან ხომ კანადაში დარჩენაზე თანხმობა თქვა, მე ჩემს მშვენიერს გავეუგზავნე, მერე რა მოხდა?..

— აი ასეა, დაბრუნდა, — ისევ კუშტად მიუგო კორნელიუსმა და განაგრძო. — მე ქუჩაში მომხდარი აფრთხურის მოწმე ვიყავი, მამას არ შევუმჩნევია. მე კი გავიგონე მისი ბურტყუნი: ქალიშვილთან მივდივარ, რომელიც ცოლად მიყვება მდიდარ ჯენტლმენსო, მთელ ამ უმსგავსო ამბავში ერთი გასახარელი გვარი შეშლიათ — სასამართლო ქრონიკაში წერია „ჯოშუა ელბორო“.

— დავიღუპეთ! დავიღუპეთ, გამარჯვების წინაღულს! — შეიცხადა უფროსმა ძმამ. — საიდან გაიგო, რომ როზა გათხოვებას აპირებს? ღმერთო ჩემო, კორნელიუსს ისევ შენ ჩამოიტანე ცუდი ამბავი, ეტყობა, დაბადებიდან ასე დაგებდა!

— ჰო, ნამდვილად, — თქვა კორნელიუსმა. — საბრალო როზა.

სირცხვილით დახოცილმა ძმებმა ლამის ატირებულებმა გაიარეს სახლისკენ დარჩენილი გზა. საღამოს ორივენი გაემართნენ დის შესახვედრად და სადგურიდან ერთცხენიანი ეტლით მოიყვანეს. აი მათი და სახლში შემოვიდა, მიუჯდა მაგიდას, ძმები შეპყურებდნენ როზას, რომელმაც არაფერი უწყობდა და ერთხანს თითქოს გადააფიწყდათ დამალული სიმწარე.

დილით პოლბოროებს ფელმერები ეწვივნენ და მომდევნო ორმა-სამმა დღემ მზიარულად გაიარა. ის გარემოება, რომ სკვადრი სიყვარულმა შეიპყრო და მზადაა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, საეჭვო აღარ იყო. საკვირაო წირვაზე კორნელიუსმა ევანგელიე წაიკითხა. ჯოშუამ იქადაგა. მისის ფელმერი როზას დედობრივად ეპყრობოდა, ეტყობოდა, შეგუებოდა გარდაუვალს, ნორჩ ლამაზ ქალს დღის მთელი მეორე ნახევარი ხანშიშესულ ლედისთან ერთად უნდა გაეტარებინა და გაეცა განკარგულებები, რათა გამასპინძლებოდნენ სოფლის ხალხს. ასეთი მოპატიჟება ეწყობოდა ხოლმე სკვადრთან ყოველ შობა დღეს, მერე როზა ფელმერებთან უნდა დარჩენილიყო სადილად. საღამოს კი ძმები მიაკითხავდნენ და წამოიყვანდნენ შინ. ჯოშუა და კორნელიუსიც იყვნენ მიწვეული სადილად, მაგრამ მათ უარი განაცხადეს, გადაუდებელი საქმე მოიმიზეზეს.

ეს საქმე საბუბარო საქმე არ იყო. ისინი უნდა შეხვედროდნენ მამას, რომელიც ციხიდან გამოეშვათ, და როგორც დაეყოლებინათ არ გამოჩენილიყო ნეროუბერნში. ყოველნაირად უნდა აეძულებინათ მოხუცი წასულიყო ისევ კანადაში ან დაბრუნებოდა სოფელში მშობლიურ კერას — სადაც უნდოდა, ოღონდ კი არ გადალობებოდა მათ გზაზე და არ დაედუბა როზას ხელსაყრელი გათხოვების იმედი, რადგან საქმე სადაცაა უნდა გადაწყვეტილიყო.

როგორც კი ნეროუბერნ-ქაუზის პატრონებმა როზა თავისთან წაიყვანეს, ძმები შინიდან გამოვიდნენ უსადილოდ, ის კი არადა, ჩაიც არ დაუღევიათ. კორნელიუსმა, — ვისი მისამართითაც აგზავნიდა ზეინკალი წერილებს, თუკი საერთოდ ხელში აიღებდა კალამს. — ამოიღო და გზაში გადაიკითხა ის მოკლე წერილი, რომელმაც ისინი გარეთ გაიყვანა. წერილი გამოგზავნილი იყო წამოსვლის წინა დღეს, მაშინვე, როდესაც მოხუცს განთავისუფლების ამბავი გაუგია. წერილში ეწერა, რომ იგი ვაჟიშვილებთან გამოემგზავრება და რომ მოგზაურო-

ბა ფეხებით მოუწევს, რადგან გზის ფული არა აქვს. მისი ანგარიშით მეორე დღის ექვსი საათისათვის მაინც მიაღწევს ქალაქ აიველს, რომელიც ნეროუბერნამდე სავალ ნახევარ გზაზე მდებარეობს. ივანშმებს ტრაქტირ „ციხე-ბარბაზში“ და იქვე დაელოდება ვაჟიშვილებს, რომლებიც ალბათ შეხვდებიან თურქენიანი ან რომელიმე სხვა ეტლით, რათა ნეროუბერნში ვიღაცა მოხეტიალე კაცივით არ მოუწიოს ჩასვლამ და არ შეარცხენოს შვილები.

— ის მაინც უწევს ანგარიშს ჩვენს სახელს. — თქვა კორნელიუსმა. ჯოშუას არ გამოპარვია დაცინვა, რომელიც მამამისის წერილიდან გამოსტვიოდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ძმები თითქმის მთელი გზა დუმდნენ როდესაც აიველში შევიდნენ. ქალაქში უკვე ქუჩის ფარნები ენთო და ძმებმა გადაწყვიტეს, რომ კორნელიუსი, რომელსაც ამ ადგილებში არავინ იცნობდა და რომელსაც ამავე დროს ჩვეულებრივი ტანსაცმელი ეცვა და არა მღვდლისა, შესულიყო ტრაქტირში მარტო. კორნელიუსმა სიბნელეში ჭიშკართან მდგარ მცველს კითხა, ასეთი და ასეთი კაცი ხომ არ დაგინახავთო. მცველმა მიუგო, ზუსტად ასეთი კაცი ამ თბუთმეტოდე წუთის წინ გავიდა ტრაქტირიდან. წასვლამდე კი ივანშმა სამზარეულოში და ნასვამი წავიდაო.

— ესე იგი... — თქვა ჯოშუამ, როცა კორნელიუსმა პასუხი მოიტანა, — ჩვენ შევხვდით მას სიბნელეში და ავუარეთ გვერდი პო. ახლა ვიგონებ — პენტორდის ბორცვს იქით ვიღაცა ბარბაციო მიდიოდა, მაგრამ საღამოს ბინდში, თანაც ხეებს იქით რას გაარჩევ კაცი?

ძმები სწრაფად გამობრუნდნენ უკან, მაგრამ კარგა მანძილზე არავინ შეხვედრიათ, როცა გზის სამი მეოთხედი გაიარეს, ვიღაცის არათანაბარი ნაბიჯის ხმა შემოესმათ და სიბნელეში გაარჩიეს წინმიმავალი ვიღაცის თეთრი ფიგურა. ისინი დარწმუნებული არ იყვნენ რომ ეს მათი მამა იყო. მაგრამ სწორედ ამ დროს წინ მიმავალ კაცს მეორე კაცი გაუსწორდა — ერთადერთი ადამიანი. ამ მიყრუებულ ადგილას — და ძმებმა გარკვევით გაიგონეს, როგორ იკითხა პირველმა ნეროუბერნისაკენ მიმავალი გზა. შემხვედრმა მიასწავლა და დასძინა, რომ გზის შესამოკლებლად შეუძლია გადავიდეს გადასასვლელზე შემდეგი ხიდის იქით, მერე კი დაადგეს ბილიკს, რომელიც მინდვრებზე გადის.

ხიდს რომ მიაღწიეს, ძმებმაც გაუხვიეს ბილიკისაკენ, მაგრამ მათი უბედურების მიზეზის დაწვეა მანამ ვერ მოახერხეს, სანამ ორ-სამ გადასასვლელზე არ გადავიდნენ და არ დაინახეს წინ, ხეებს იქით, მემამულის სახლის შუქი. ზეინკალი შედგა და ცოცხალი ღობის ძირში ჩაჯდა. ისინი რომ დაინახა, შესძახა:

— ნეროუბერნში მივდივარ. თქვენ ვინა ხართ?!

ძმები მივიდნენ მამასთან — გვიცნოო, იფიქრეს და მერე კითხეს, რატომ არ დაგველოდე აიველში, როგორც იწერებოდი წერილშიო.

— უპ, ჯანდაბა! დამავიწყდა! — თქვა ზეინკალმა, — რას მოითხოვთ ჩემგან? — იკითხა ბოლოს გაბრაზებულმა.

ამ კითხვას გაუთავებელი შეგონებები მოჰყვა, რაც იმის პირველსავე მინიშნებაზე, ნეროუბერნში არ უნდა ჩამოსულიყავიო. კიდევ უფრო გამწვავდა ზეინკალმა ჯიბიდან ბოთლი ამოიღო და წააჭეზა შვილები, დალიეთ, თუ მართლა გინდათ ჩემი სიკეთე და თავი ნამდვილ მამაკაცებად მიგაჩნიათო. ჯოშუას და კორნელიუსს რამდენიმე წელი იყო პირი არ დაეკარებინათ სასმელისათვის, მაგრამ გადაწყვიტეს, არაფრის გულისათვის არ ღირს ახლა უარის თქმა და მამის გალიზიანებაო.

რა არის ეს? — იკითხა ჯოშუამ.

— სუსტი სასმელია, წყალგარეული ჭინი. ნუ გეშინია, არ დაგათრობს, ბიჭო.  
დაპირ ბოთლიდან დალიე.

ჯოშუა ასეც მოიქცა. ზეინკალმა კი ძალდა შეწია ბოთლს ძირი, რომ შე-  
ლისათვის მეტი გადაეყურეწვიებინა. ჭინმა, როგორც გამდნარ მარცხენა  
ჩუწვა კეჭი ჯოშუას.



აა. ბა. ბა. ბა. ბა! აი ასე! — შეჰყვირა მოხუცმა პოლბორომ, — გაუ-  
ზავებელია, გაუზავებელი! ბა, ბა. ბა, ბა!

— რატომ მომატყუე, უთარა მოთმინებადაკარგულმა ჯოშუამ, თუმცა  
სოველნაირად ცდილობდა თავის შეკავებას.

— იმიტომ, ჩემო მეგობარო, რომ შენ თვითონ მომატყუე. შემაგდე იმ  
დაწვევლილ ქვეყანაში. ვითომ ჩემი სიკეთე გინდოდა, ფარისევლებო! თვალთ-  
მაქცებო! გინდოდათ თავიდან მოგეცილებინეთ და მეტი არაფერი მაგრამ ენა-  
ხით, ვინ ვის აჯობებს... დაგიკარგავთ ლოცვის სალისს! ჩემი ქალიშვილი ცო-  
ლად მიჰყვება აჭაურ სკვაირს. მე ყველაფერი ვიცი — გახეტში წავიკითხე!

— ჯერ ადრეა მაგაზე...  
— არა, ტყუი, ვერ მომატყუებ! მე მამა ვარ მისი და ჯორწილშიც მივალ  
როგორც მამა, თუ არ გამიშვებ — ისეთ ამბავს აგიტერ დაბადების დღეს გაწ-  
ყვილებ! ის ჯენტლმენი აი იმ საბლში ცხოვრობს?

ჯოშუა პოლბორო ლამის იკრუნჩხებოდა საკუთარი უმწეობის შეგრძნები-  
საგან. ფელმერს ჯერ კიდევ არ ეთქვა საბოლოო სიტყვა, დედამისს ჯერ მგონი  
არც მიუცია გადაწყვეტილი თანხმობა. მიუღო მრევლის თვალწინ მამასთან ჩხუ-  
ბი სულ ერთიანად დაამსრვრედა მათ ჰაერში აგებულ კოშკს — ყველაზე ულა-  
მაზესს იმათ შორის, რომელიც ოდესმე აუგიათ. ზეინკალი ფეხზე წამოდგა.

— ოუ სკვაირი აქ ცხოვრობს, ვესტუმრები, ვეტყვი, ესაა ჩამოველი კანა-  
ლიდან ქალიშვილის მდიდრული მზითვით-მეტქი, ბა, ბა, ბა! ვითომ თქვენთან სა-  
დავო არც არაფერი მაქვს, და თქვენც, რა თქმა უნდა, არ მაწყენინებთ, ოჯახში  
კი ისეთ ადგილს დავიკერ, როგორც მამას შეეფერება, ჩემს უფლებებს არ დაუ-  
თმობ და ამპარტავნებს ლაგამს ამოვდებ!

— შენ შენსას უკვე მიაღწიე! სად არის ის ქალი, შენთან ერთად რომ და-  
ლიოდა?

— ქალი? ის ქალი ჩემი ცოლი იყო, დედაშენზე უფრო კანონიერი ცოლი.  
დედაშენმა მამის მოაწერა ხელი ჩემთან, როცა შენ გაუჩნდი.

დიდი ხნის წინათ ჯოშუას ყურამდეც მოეღწია ამბავს, რომ მამამისმა ნაც-  
რობობის ადრეულ ხანაში შეაცდინა დედამისი და მხოლოდ შემდეგ, მოგვიანებით  
მოინანიო ცოდვა, მაგრამ მამამისის პირიდან ეს ამბავი პირველად გაიგონა. მო-  
თმინების ფიალა აუგსო, მეტი ძალა აღარ ჰქონდა, ძალაწართმეული ცოცხალ  
ლობეს მიეყრდნო.

— გათავდა! ამ კაცის წყალობით ყველანი დავიღუპებით!

ზეინკალმა გზა განაგრძო, თან თავის ჯოხს დიდის ამბით მიიჭნევდა. ძმები  
იქვე დარჩნენ, ისინი შეჰყურებდნენ მამას, რომელიც ამაყად მიაბიჯებდა ბი-  
ლიკზე, ბოლო მოშორებით კი ნეროუბერონ-ჰაუზის ორანჯერიის განათებული  
დანჯრები იყო, სადაც შესაძლოა ალბერტ ფელმერი იჯდა როზას გვერდით.  
გაგა მისი ხელი და თხოვდა გამხდარიყო მისი სახლის დიასახლისი.

მამაკაოთ სილუეტით, რომელიც მტკიცედ მიაბიჯებდა სახლისაკენ და თან

მიჰქონდა ყოველივეს განადგურება. თანდათან შეერწყა სიბნელეს და უცებ გაშალს იქით გაუჩინარდა. გაისმა წყლის დგაფუნნი

— საგუბარში ჩავარდა! — დაიყვირა კორნელიუსმა და იქით გაიქცა. სადაც მამამისი გაუჩინარდა.

კორნელიუსმა ათი ნაბიჯის გარბენაც ვერ მოასწრო, რომ გამოგნებული ჯოშუა გამოერეკა და ძმას წამოეწია.

— გაჩერდი. გაჩერდი! რას სჩადი? — ხელი სტაცა ძმას

— უნდა ამოვიყვანო!

— პო. პო... მაგრამ მოიცადე. ერთი წუთით მოიცადე...

— ჯოშუა!

— როზას მომავალი. როზას ბედნიერება. კორნელიუს... შენი და ჩემი სახელი... ჩვენი იმედები, რომ ბაღში გამოვსულიყავით, სამივენი...

მან მაგრად ჩაბლუჯა ძმის ხელი, ისინი ერთ ადგილზე იდგნენ სულშეგუბულეები. ისევ გაისმოდა საგუბარის წყლის დგაფუნნი. საგუბარის თავზე კი ქარისაგან დარწეულ ხის გაშიშვლებულ ტოტებს შორის იმედიანად ანათებდნენ მემამულის ორანჟერეის ფანჯრები.

წყლის დგაფუნნი შენეულდა. ძმების ყურამდე მოაღწია წყლისაგან სულშეგუბული ადამიანის ძაბილმა:

— მიშველეთ... ვიბრჩობი! როზი, როზი!

— გავიქცეთ!.. გადავარჩინოთ! ჯოშუა!

— პო, პო!.. უნდა გადავარჩინოთ!

და მაინც ნაბიჯიც არ გადაუდგამთ წინ. ერთმანეთს ეჭიდებოდნენ და ერთს ღიქრობდნენ მხოლოდ. თითქოს ტყვიის გირები დაკიდესო. ფეხები არ ემორჩილებოდათ. მინდორზე ყველაფერი ჩაწყნარდა. ძმებს ისე ეჩვენებოდათ. თითქოს ორანჟერეის ფანჯრებს იქით ადამიანების ლანდები მიმოდრიოდნენ, თვით პაფი იყო იქ ავსილი ნაზი ამბორით.

ბოლოს კორნელიუსი გაიჭრა წინ. თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვა ჯოშუა. ორისამი წუთი საკმარისი იყო მათთვის, რომ მდინარის ნაპირთან მიერბინათ. ეს ადგილი არც ისე ღრმა იყო, სიბნელე ჯერ კიდევ არ ჩამოწოლილიყო. და მამის ღია ფერის პლისის ტანსაცმლის გარჩევაც შეიძლებოდა მდინარის ფსკერზე, მაგრამ ვერაფერი დაინახეს. ჯოშუამ ჯერ დინების ზემოთ აიხედა. მერე — ქვევით.

— სადრენაეო მელში შეაგდებდა. — დაასკვნა მან.

ზიდთან მდინარე უცებ თითქმის ორმაგად ვიწროვდებოდა და მიედინებოდა ნახევარწრიულ თალსა თუ მალში, რომელიც იმისათვის იყო გაკეთებული, რომ ბალახის თიბვის დროს საზიდრები პირდაპირ ზედ მინდვრებზე გაეყვანათ. ბოლო ზამთარში წყალი მაღლა იწევდა და ტალღები შრუილით იმსხვრეოდა თალის თავზე. ჯოშუამ დაინახა, რალაც მოთეთრო ფერის გაცურდა იქით. წამი და ყველაფერი გაქრა

ძმები გადავიდნენ თალის ქვედა გამოსასვლელისკენ. მაგრამ იქიდან არაფერი გამოცურებულა. დიდხანს იარეს საგუბარის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოსაკენ, ცდილობდნენ დაენახათ. ნომ არაფერი იყო ხიდის ქვეშ, მაგრამ ამაღლდ.

— მაშინვე უნდა გამოვქცეულიყავით მდინარისაკენ, — თქვა სინდისის ქვევით გამწარებულმა კორნელიუსმა, როცა სულ მთლად დასველებულებს ქანცი გამოეცალათ.

— კო, საჭირო იყო მაშინვე... — ძლივს ამოდერდა ჯოშუამ. მან მამამისის  
ჯოხი დაინახა, რომელიც ნაპირზე ეგდო, დასტაცა ხელი და შორს მოიჭოლა  
ლერწმებში. ძმები გასცილდნენ იქაურობას.

— როგორ ფიქრობ... უნდა ვთქვათ? — დაიჩურჩულა კორნელიუსმა, რა-  
ცა ჯოშუას საბლს უახლოვდებოდნენ.

— რა საჭიროა? რა აზრი აქვს? აბლა სულ ერთია ველარაფებ...  
დავიცადოთ, სანამ მოძებნიან.

ძმები შევიდნენ ოთახში, ტანსაცმელი გამოიცვალეს და ნეროუბერნ-  
საუნისაკენ გაემართნენ. ადგილზე ათი საათისათვის მივიდნენ. როზას გარდა  
ფელმერებთან კიდევ სამი სტუმარი იყო: მეზობელი მეშამულე მეუღლით და  
ერთი ბერიკაცი — წინამძღვარი.

როზა, თუმცა ძმებს მხოლოდ დილით დაშორდა, დიდის ამბით შეაფაძა მათ,  
გულმეურველედ ჩამოართვა ხელი, სახე კი ისეთი სიხარულით უბრწყინავდა,  
თითქოს წლები მანძილზე არ ენახა ისინი.

— რა ფერმკრთალები ხართ ორივე, — გაიოცა მან

ძმებმა დაღლილობა მოიძიებდნენ. ფენით დიდი მანძილის გამოვლა მოგვიბ-  
დათ. ყველას, ვინც სასტუმრო ოთახში იყო, თავი ისე ეკირა, თითქოს რალაცას  
ძალიან საინტერესოს მალავდა. მეზობელი და მისი მეუღლე მრავალმნიშვნე-  
ლოვნად იცქირებოდნენ აქეთ-იქით, თავად ფელმერი დაბნეული, რალაც ამა-  
დელვებელი ფიქრებით შეპყრობილი ოჯახის უფროსის როლს თამაშობდა. სტუ-  
მრები თერთმეტ საათზე აიშალნენ, უარი თქვეს შემოთავაზებულ ეტლზე. რალ-  
გან არც ერთ მათგანს დიდი გზა არ ჰქონდა გასავლელი. თანაც გზა მშრალი  
იყო. ფელმერმა გააცოლა სტუმრები და გაჰყვა ცოტი უფრო მეტზე, ვიდრე ამას  
წესი მოითხოვდა. მერე ოდნავ ჩამორჩა როზასთან ერთად სხვებს და იდუმალი  
ანით ღამენებისა უსურვა.

როდესაც გზაზე გამოვიდნენ, ჯოშუამ აიძულა თავი და შეეცადა ხუმრობა-  
ნარევი ხმით ეკითხა:

- როზა, რა ხდება?
- ოჰ, მე... — დაიღუღუნა გოგონამ. — მან...
- კარგი, არ გინდა, თუ თქმა გერიდება.

როზა ისე იყო აღელვებული, რომ თავდაპირველად ორი სიტყვის გადაბმა  
ვერ მოახერხა. სად გაიქრა მისი ბრიუსელში შეძენილი სიღარბისლე, მაგრამ  
მერე, ოდნავ დამშვიდებულმა, განაგრძო:

— არაფრისა არ მერიდება, და განსაკუთრებულიც არაფერი მომხდარა. მან  
მოთხრა, მსურს ერთ საკითხზე მოგელაპარაკოთ, მე კი მივუბე. სხვა დროს  
აქობებს-მეთქი. ხელი ჯერ არ უთხოვია. თავდაპირველად აქვენ მოგელაპარაკე-  
ბათ დღესაც მეტყობდა რამეს, მაგრამ ვთხოვე, ნუ აჩქარდებით-მეთქი. მე მგო-  
ნია, ხვალ მოვა.

გავიდა ნახევარი წელიწადი, დადგა ზაფხული, დაიწყო მინდვრების თიბვა.  
მეშამულის სახლი სწორედ პირდაპირ იდგა და არ არის გასაცვირი, რომ მოთიბა-  
ვები აშორად ლაპარაკობდნენ სკვადრის საქმეებზე, საჭკივლზე და მის ახალ-  
გაზრდა ცოლზე — უმცროსი მღვდლის დაზე, რომელიც საყოველთაო ინტე-  
რესს, ბევრის აღტაცებას იწვევდა.

როზა ისეთი ბედნიერი იყო, როგორც ბედნიერიც შეიძლება ქალი იყოს. არც ვაუგია, რა ბედი ეწია მამამისს, ეგ იყო მხოლოდ, დროდადრო გაოცება იპყრობდა, თუმცა ეტყობოდა, ერთგვარ შვებასაც გვრიდა, რატომ აღარ იწერებოდა მამა წერილებს კანადიდან? როზას ქორწინების მერე ჯოშუამ/მალე მიიღო მღვდლის ადგილი ერთ-ერთ პატარა ქალაქში, ბოლოჯეროვნებაში განთავისუფლებული უმცროსი მღვდლის ადგილი კორნელიუსმა დაიკავა.

ორივე ძმა დაფარული ძრწოლვით ელოდა, როდის აღმოაჩენდა ვინმე მამის გვამს, მაგრამ მპოვნელი არავინ იყო, ყოველდღე ელოდნენ, რომ ვინმე ან ბიჭი ან კაცი მოვარდებოდა და შეატყობინებდა მათ ამ ამბავს, მაგრამ ჭერჭერობით ამბის მომტანი არავინ ჩანდა. გადიოდა დღეები, კვირეები, თვეები, დანიშნეს ქორწინების დღე და ზეიმით გადაიხადეს იგი. ჯოშუამ უკვე წირა პირველად ახალ მრევლში და ყველაფერმა წყნარად და მშვიდობიანად ჩაიარა, არავინ შეძრწუნებულა, არავინ წაწყდომია ზეინკლის ნეშტსა და არ უყვირია ამის გამო.

მაგრამ ახლა, როცა მინდვრებში თიბვა დაიწყო, მთიბაგებისათვის ხელის შესაწყობად საჭირო იყო რაბის საკეტების გახსნა და საგუბარიდან წყლის გამოშვება. აი მაშინ კი აღმოაჩინეს დამხრჩვალ კაცი.

ერთი მუშა ცელით ხელში დაიხარა და უეცრად წყალმცენარეებში გახლართული რალაც შავი დაინახა ფსკერზე. გვამის ვინაობის დადგენა ვერ მოახერხეს, თევზებსა და წყალს თავისი გაეკეთებინათ, მას არც საათი ეკეთა და არც რაიმე თვალსაჩინო ნიშანი ჰქონდა. ორი დღის მერე ამ საქმის განხილვის დროს გამომძიებელმა გამოიტანა ვერდიქტი, რომელიც იუწყებოდა. უცნობი კაცი წყალში ჩავარდა, რაც გახდა მისი სიკვდილის მიზეზი.

იმის გამო, რომ გვამი ნეროუბერნის სამრევლოში აღმოჩნდა, აქვე უნდა დაემარხათ. კორნელიუსმა წერილი გაუგზავნა ძმას, თხოვდა ჩამოსულიყო დარბაზის წესის აღსასრულებლად, ან თავის მაგივრად სხვა გამოეგზავნა ვინმე, რადგან თავად მას საამისო ძალა არ შესწევდა. ჯოშუა თვითონ ჩამოვიდა, რომ სხვა არავინ გაერია ამ ამბავში და წაიკითხა გამომძიებლის განკარგულება, რომელიც მას შეკუბოვებ გადასცა.

„მე, ჰენრი ჯაილსი, უესექსის საგრაფოს ცენტრალური ოლქის გამომძიებელი, ვბრძანებ, რომ დაიმარხოს გვამი, რომელიც განეკუთვნება, როგორც მსაჯულებთან ერთად საქმის განხილვის დროს დადგინდა, მამაკაცის სქესის ასაკოვან ადამიანს...“ და ასე შემდეგ.

ჯოშუა პოლბორომ, როგორც შეეძლო, აუგო ანდერძი მიცვალებულს და სასაფლაოდან კორნელიუსთან მივიდა. მათ უარი თქვეს დასთან საუზმობაზე, სამრევლო საქმეები მოიმიზეზეს.

კოტა მოგვიანებით, დღისით, როზა თვითონ მოვიდა ძმებთან, თუმცა ისანი უკვე იყვნენ დილით ნეროუბერნ-ჰაუზში და არ ეგონათ, კიდევ თუ ესტუმრებოდათ და.

როზას გაბრწყინებულმა თვალებმა, ოქროსფერმა თმამ, ყვავილებით მორთულმა შლიაპამ, ლიმონისფერმა ხელთათმანებმა და სილამაზემ — ყველაფერმა ერთად თითქოს გაანათა ოთახი და თვალისმომჭრელი შუქავით შემოიჭრა. სიბნელეში ჩაფლული ძმებისათვის ეს აუტანელი იყო.

— დამავიწყდა თქვენთვის ერთი უცნაური ამბავი მეთქვა, — წამოიწყო მაშინვე როზამ, — ეს ჩემს ქორწინებამდე ორი თვით ადრე მოხდა. ვფიქრობ, რომ არაფერი კავშირი აქვს-მეთქი ნეტავ ამას იმ უბედურთან, დღეს რომ დაიმარ-

ხეს? გახსოვთ, მე ნეროუბერნ-ჰაუზში ვიყავი და ვიკოდი, როდის მომიკითხავ-  
დით წასაყვანიად. მე და ალბერტი ჩუმად, უსიტყვოდ ვისაუბრებდით ორანჯერეაში.  
უცებ ყვირილი შემოგვესმა. გავალეთ ბაღის კარი და სახამ ალბერტი შეჩვენდა.  
მარტო დარჩენილს ისევ მომესმა ყვირილი. ამ წუთას ისეთი აღფრე-  
ბული ვიყავი, მომეჩვენა, რომ მე შეძახდნენ. მაგრამ როცა ალბერტი მომ-  
რუნდა, ყველაფერი მიწყნარებული იყო. შეველას კი არ ითხოვეს. ვიკოდი  
ლია, ვილადა-თქო. ვთქვიო მე და ალბერტმა. მერე ყველაფერი ეს მიმავიწყდა  
და მხოლოდ დღეს, დამარხვის შემდეგ. უცებ ვაფიქრე, ვინ იცის მაშინ იქნებ  
ირ უბედური კაცის ყვირილი შემოგვესმა-მეტქი? ჩემი საიული, რა თქმა უნდა,  
მომეჩვენა, ან ვინ იცის, იქნებ მის ცოლს ან ქალიშვილს, ერქვა როზა?

როცა როზა წავიდა, ძმები დიდხანს ახადნენ მდუმარედ. მერე კორნე-  
ლიუსმა ამოიღო ხმა.

- აი ნახავ, ჯოშუა, ადრე თუ გვიან როზა ყველაფერს შეიტყობს.
- ვისგან?
- რომელიმე ჩვენგანისაგან, ვივინც საშუალოდ შევიხანავეთ საიდუმლოს? შენის აზრით, ადამიანის გული რკინით შემოსაღებელი სკივრია?
- ასეც არის ზოგჯერ. — მიუგო ჯოშუამ
- არა! ყველაფერს გაიგებს, თვითონ ვეტყვიო.
- ვეტყვიო? დავლუბავთ, მოვკლავთ მას! ღირსებას შევუღალავთ მის შეილებს და შევარცხვენთ ფელმერების სახლს! უმჯობესია მე დაუბრჩო ისე, როგორც ის დაიბრჩო, ვიდრე ამას გავაყუთებდე! არა, არა! არაფრის გულისათ-  
ვის! ნუთუ შენ არ მეთანხმები!

ამ სიტყვებში, როგორც იქნა, დაარწმუნა კორნელიუსი, და მათი ლაპარაკი  
ანით დამთავრდა. ამ დღის მერე ძმებს დიდხანს არ უნახავთ ერთმანეთი მომ-  
დევნო წლის ბოლოს ფელმერს შეეძინა ვაჟიშვილი და მეშვეიდრე, მთელი კვი-  
რა, თუ მეტი არა, აჭაურები ყოველ საღამოს რეკდნენ სამრევლოში სამივე ზარს.  
მზიარულობდნენ და მიირთმევდნენ მისტერ ფელმერის ღვინს, ხოლო ნათლო-  
ბის დღეს ჯოშუა ისევ ეწვია ნეროუბერნს.

იმათ შორის, ვინც კი ამ დღეს ფელმერის სახლში შეიკრიბა, ჯოშუა და  
კორნელიუსი ყველაზე უხალისო სტუმრები იყვნენ. ძმებს მოსვენებას არ აძ-  
ლევდა ღია ფერის პლისისტიანსაყმლიანი აჩრდილი საღამოს მარტონი გამოე-  
მართნენ შინისაკენ მინდორზე.

— როზას ბედი აღარ მაწუხებს, — თქვა ჯოშუამ. — შენ კი ქაბანწყვეტაში  
არ, როგორც დღიური მუშა, ვატყობ, ასე ქაბანწყვეტაში იქნები სიცოცხლის  
უკანასკნელ დღემდე. მე, მე კი ამ ღატაკი მრევლით... რას მივალწიე ბოლოს და  
ბოლოს! სიმართლე ითქვას, კორნელიუს, ეკლესია საცოდავი ასპარეზია პატარა  
ესაბულო ადამიანებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ წინ სწრაფვის  
სურვილი უჭრებათ. ეკლესიის საზღვრებს იქით, ქვეყანაზე, იქ, სადაც ზღის არ  
წმლის ადამიანს არც ტრადიციები, არც დოგმა, საზოგადოებისათვის გაცილე-  
ბით მეტის გაცელება შეიძლება. არ ვიცი, შენ როგორ ფიქრობ, მაგრამ მე თუ  
მტოხავ, უმჯობესია შენთვის იყო, აკეთო წისკვილები და გქონდეს პურის ნა-  
ჭერი და თავისუფლება.

თავისდაშეუმჩხველად გადაუბრუნა მდინარისაკენ და ნაპირზე შედგნენ წინ  
იყო მათთვის კარგად ნაცნობი საგუბარი. აი, რაბის საკეტები, სადრენაყო მილი,  
გამჭვირვალე წყალში კენჭებით მოთენილი ფსკერი მოჩანდა. მოზეიმე ნერო-  
უბერნელები ისევ რეკდნენ ეკლესიაში. ზარების გუგუნე აქაც ისმოდა.

— უყურე, რა არის ეს! მახსოვს, აქ მისი ჯიბი დავმალე! — თქვა ჯოშუამ და ლერწმებს დაუწყო ცქერა. უეცრად ქარის შემოქროლებამ რაღაც თეთრი აცახცახდა იმ ადგილას, სადაც ჯოშუა მიუთითებდა. ლერწმებში ამოზრდილიყო კენარი ალვის ბე. მისი ფოთლები ვერცხლისფრად თრთოდა ბინდბუნდში.

— მისმა ჯიბმა იხარა. — თქვა ჯოშუამ, — მახსოვს, ახლაქ მანქანის იყო...  
ბინდბუნდში

სადმე თუ მოკრა ვხაში  
ბე კი ვერცხლისფრად ლივლივებდა და თრთოდა ქარის ყოველ შემოქრო-  
ლებამზე. ძმებმა ველარ გაუძლეს ამ სურათს, შემობრუნდნენ და გაცილდნენ იქა-  
ურობას.

— ყოველლამე მესიზმრება. — ოდნავ გასაგონად თქვა კორნელიუსმა. —  
ნუანგელიეს ზუთხვამ ბევრი ვერაფერი სიკეთე მოგვიტანა. ჯოშ! ვადაიტანო  
ჯვარცმის წამება, არად ჩააგდო შეურაცხყოფა. აი, რა არის კეშმარიტი სიდი-  
ადე სულისა! იცი, რაზე ვფიქრობ ბშირად! უმჯობესია ბოლო მოვუღო ჩემს  
ტანჯვა-წამებას, აი იქ, სწორედ იმ ადგილას.

— მეც მაგას ვფიქრობდი. — თქვა ჯოშუამ

— ოდესმე ასეც მოვიქცევით

— კო. ალბათ. — კმუნვით მიუგო ჯოშუამ.

ამ აზრით შეპყრობილები, იმისათვის, რათა ამაზე ეფიქრათ ყოველ დღეა  
და ყოველ ღამეს. ერთნაირად მუნჯი რომ იყო მათთვის, ძმები შინისაკენ გაე-  
მართნენ.







ფრანგულიდან

თარგმნა სულხან ჯორჯანაძემ

### მარკ დელუზი

\*\*\*

ქვეყანა საიდანაც  
მე მოვდივარ  
ქვეყანა სადაც  
მე მივდივარ  
ქვეყანა სადაც  
ვცხოვრობ  
ულმობელია

უჩვეულო  
გადაკარგული  
ჩემი სულის სიღრმეებში  
რომელსაც არაფერი  
მიწიერი არ აცხია  
ეს ქვეყანა შორიდან  
შკაცრი  
და მშვიდია  
გონისდაკარგვამდე წარმოსახვითი

### ჟაკ რუბო

#### მე მესიზმრება

მე მესიზმრები შენ ბედნიერი  
ლია კარი და ჩვენ ვსაუბრობთ  
იმის შესახებ რაც წავიკითხეთ

წიგნებში

და რას ნიშნავს მარადისობა წამი  
პარიზში ლამეა და ბნელა  
მესიზმრება ნაწვიმარი ბაღი  
აუჩქარებლად მივდივართ ქუჩაში  
თითქოს სკოლიდან ვბრუნდებოდეთ

და უკან მოგვეყვება ძაღლი  
მშვიდობით მშვიდობით ჩვენო  
ბავშვობავ

ჩაიარა ქარების დრომ  
უცაბედად დაინგრა ჩვენი სამყარო  
რა კარგი იყო ყველაფერი  
მე ყვირილმა გამომაღვიძა  
შებნდე მიქქრის ვილაც მასხარა  
გაქვივის მარი ეი მარი  
მე კი ვარ ამ საზარელ წყვედიადში  
ვიცი შენ მოკვდი ძმაო  
და ლოდინს არა აქვს აზრი.

#### წიგნიდან, „ოსდათერთმეტი კუბი“

როცა შენ გხედავ— ვეცდები. გხედავდე შენ, ვიყო შენს თვალებად,  
მათ სისველედ ან ცისფერ ათინათად ლამის სხვადასხვა წამს. ხედვის  
ყოველი პერიოდი არის სიკვდილი. დრო ნაწილებად ილექება ჩემ-

ში. ანაწევრებს ჩემს სიკვდილს: გარე სამყარო — სიცილის ნაირ-  
ფერადი ნაპერწკლებით — ყვითელი, მწვანე, წითელი. მაგრამ მიგ-  
ნით ის სიკვდილივით შავია და ბნელი როცა შენ გხედავს. და  
ბი. შენი თვალები მათართოვებენ და თავს მიყრიან უნდა დაწინა  
წერტილში. მე დამატებს ისინი ყველგან — მოწამვლა თერით, დამწ-  
ვრობა ფერით, რუხით, ან მოციხრო რუხით. და მისი მხრების  
ფერთა მონაცვლეობა. შენში იწყება ჩემი სიკვდილი. მე შენს მხე-  
რაში ვარსებობ. გარსმოხვეული ჩემს სიკვდილს, როგორც საათის  
რეკვა. მე შენს მდულარე მხერის წერტილში ვარ

გათართობული ან ჩავლებული უცრად. შენი მხერის სპირალში  
(მრავალი ვერტიკალით დასერილი სიბრტყე). მე ავდივარ წარმოსა-  
ავით მწვერვალებზე და ვეჭანები იქიდან. არსი ჩემი სიკვდილის  
შენს მხერაშია მოთავსებული. მე არაფერი არ მიჩნდა. მხოლოდ უნდა  
დავარღვიო ჩემი დუმილი შენს თვალთა შუაგულში საჭიროა მხო-  
ლოდ საათის ისრის წარმოუდგენელი ნახტომი იმ წამს, როცა დაი-  
წრტება შენი თვალები. მე კმაყოფილი ვარ და ამიტომ ვკვდები.  
მე თვალისჩინი ვარ შენი, მე ვნებოვრობ მათ განწმენდავ ჩამში.  
წონასწორობით შეწუხებული. მე ლაევარდოვან ფერებად ვიფერ-  
ფლები შენს ცრემლში. მე არ მეცინება შენი ქუთუთოების სიმძი-  
მის ქვეშ. მე შევდივარ ამ თვალებში და ვტოვებ მათი გარინდების  
წამს, გარეგანი სახე შენი თვალების მკლავს. იყო გარეთ, იყო მილ-  
მა. დაკარგო უფლება, მე მსურს ვატარო შენი ფერები, ბილულის  
იმავე წრეებზე გ. უნდა თვალი, რომ არაფერი არ გიმხერდეს.  
რაც უნილაფია ჩემთვის, რაც არ არის შემოწმებული ჩემს მიერ, და  
ეს არის. ჩემი სიკვდილი არის დრო შენს მიღმა. შენი ხედვის მიღმა.  
შენი მხერა, შეჩერებაა სიკვდილისაკენ რბოლის, სისხლის ქანქა-  
რაა შემართების მწვერვალზე, თუკი შენს თვალებში მე ვწყვეტ მოძ-  
რაობას, აზროვნებას, სიკვდილს. მე არ ვკვდები, ჩემი წონა ყვე-  
ლა ვარსკვლავის ერთობლივ ელვაზე მეტია და მაინც შენი მხერა  
ჩემი სიკვდილია, რადგან მე არ ვანათებ შეუწყვეტლივ შენი თვალე-  
ბის ამაღლამით, არ ვანათებ რუხ ვერცხლად შენი მოაზროვნე თვა-  
ლების სიღრმეში, და მაინც მე-ვკვდები, ამაშია წყარო ჩემი სიკვ-  
დილის, შენი თვალები, აი ჩემი სიკვდილი... ვერ დავალწევ თავს  
მე ვუმხერ ჩემს სიკვდილს შენში, მე თან ვდევ მას შენს პეიზაჟში,  
ის წვეთავს რუხი სანთის თითოეული წვეთიდან, შენი კანის მიერ  
მიზიდული მზის თითოეული სხივიდან, მდერის სანდომიანი ან სევ-  
დიანი სიტყვებით, შენი ტუჩებით. მე ვაგულიანებ მას, ვეთაყვანები  
მას, მას შენი ხმა აქვს, შენი ნაზი ხელები წყვდიად ღამეში დადის  
შენსავით, იცინას შენი სიცილით. სვამს შენი ბაგეებით.

ჩემი სიკვდილის წყალობით მე ვითქვიფები შენში, მით გატ-  
ყვევებ შენ. მე ვაიძულებ დაიბზაროს შენი ყინულის სისქე. მე  
ვალწევ შენი კვილის საგანძურში. მე ვალწევ შენი სიძლიერის სიღ-  
რმეში, ჩემს სიკვდილში მე ყველასაგან დავალეებული ვარ. მასში ის  
სიტყვებია, რომლებიც შენს სმენაშია, სიკვდილი. შენ რომ გიცავს,  
შენ რომ გათბობს, შენ უსმენ (ხელი შენს სხეულზე, ტუჩები შენს  
სხეულზე) ტირილით, ისე რომ ვერ ცნობ მას, არ იძახი მის სახელს.

ჩემი სიკვდილი სამეფოა შენი, შენს მიერ ნაბოძები, ის აბერებს  
 ჩემს თვალებს შენი მზერის ქვეშ, არა არის რა უფრო შავი, უფრო  
 გაკლენთილი გვამით (არა, არც ნახშირი სპილოს ძვალზე) ჩემს სიკვ-  
 დილს შენი მზერა ბადებს, მე ვკვდები შენი მზერის ქვეშ, ვკვდები  
 შენს თვალებად გადაქცეული, მაგრამ ამ სიკვდილში ადვილია  
 აქვს შიშს (სარკასტული ზეიმი, უსახელო გრიმასა), მე ვკვდები  
 შვიდეში, ვწყვეტ არსებობას, მე ვნაწევრდები შენს თვალებში, მე  
 იქ შეცვლილი ვარ უწყვეტი ჩრდილით, მე ვტრები, მე თვალისჩი-  
 ნი ვარ შენი, მე უხილავი გავხდი, მე არ მიმძიმს სიკვდილი, სიკვდი-  
 ლი მშველის, მისი წყალობით მე შეთავსებული ვხდები, ვშლი ყო-  
 ველ ზღუდეს მე და შენს შორის, მე უკეთეს სამყაროში ვარ, მიყ-  
 ვარს ჩემი სიკვდილი, მიყვარს სიკვდილი შენი მზერის ქვეშ, გზე-  
 დავდე შენ, ვიყო შენს თვალებად, მთელ მათ სილურჯედ, მთელ  
 მათ რუხ მატერიალ შენი ცის ქვეშ, ამავე დროს მე შენი შინაგანი  
 მუხრუჭი ვარ, მე ვარ შენი თითის წვერებში, შენი თვალის გუგაში,  
 მე არასოდეს არ ვიწონებ თავს, არ გაიძულე შენ იკვილო, არას-  
 დროს!..





რუმინულიდან

თარგმნა ოთარ შალამბერიძემ

## გამოვიარა მინდორი გვალვისგან შეწუხებული

მინდორი გამოვიარე,  
გვალვის ეხვია მარშაში.  
ორი გოგონა შემომბედა,  
ორივე ახალ კაბაში,  
ორივეს კოცნას ვუძღვნიდი,  
ბრალს ვინ დამდებდა ამაში?  
იმ უფროსს შევიყვარებდი.  
უმცროსიც იყო ლამაზი.  
უმცროსსაც შევიყვარებდი.  
ბრალს ვინ დამდებდა ამაში?  
ახალ კანონსაც დავწერდი  
არავინ დარჩეს ზარალში.  
და დებიც გაიხარებდნენ  
ნანდაურობის თამაშით.

## იქ, სადაც სევდა გაივლის

იქ, სადაც სევდა გაივლის,  
არ გაივლება გუთანი.  
გულანს თუ სევდა მოედო,  
ხარებს რაც გინდა უთხარი.  
იქ, სადაც ტრფიალს გზა უღვეს,  
ხენა შეიძლება ძროხითაც.  
ჭაბუკო სტეფანით გაივლის.  
პირუტყვი — ცოხენა-ცოხენითა.  
სევდით ვაჭრობა შემეძლოს,  
ბაზარი აქვე არია.  
ოღონდ მყიდველი ვინ არი, —  
სუყველას ატიალია.  
ჯერ არ მინახავს ღვთისშვილი,  
მისგან სულამომდინარი.

მიტომ, რო სევდის მტვირთველი  
ზემფერად არავინ არი.  
სევდისგან არვინ მოკვდება,  
თუმც კი სიცოცხლე მოკლდება.

## მიუტევე ღმერთო, ცოდვა

პეი, მწვანე ფოთოლი და  
ბარდის თესლი ცოტა!  
მიუტევე ღმერთო, ცოდვილს,  
უნებლიე ცოდვა.  
რადგან, თუ არ დაიკვნესა,  
ოხვრაც თუ არ დასცდა,  
კაცს მოწამლავს დარდის შხამი.  
მერე რა ქნას კაცმა?!  
მაგრამ კაცი როცა ოხრავს,  
ნიშნავს: გული მოიოხა.

## რად უნდა ვიქცე, ნეტავი

რად უნდა ვიქცე, ნეტავი? —  
სულ ამას ვფიქრობ, ბეჩავი.  
ხვედრიც უთუოდ ავია,  
გული რომ მიდევს შავია.  
სიშავე ღამის კი არა,  
ცუდი ფიქრების ბრალია.

## ტყეო, ოდეს გავიარა

ტყეო, ოდეს გავიარე  
შენი მალნარ-ულრანი,  
ხასხასებდი ზურმუხტისფერად,  
ისე, კაცს რო უხარის.  
მეც ვიყავი, როგორც ბავშვი,

ლადი და უწუხარი.  
როს დავბრუნდი იმავე გზით.  
გახლდი უკვე მოხუცი.  
შენც ტოტები გაგძარცვოდა.  
იდეგ წარბებნოლუშვით.  
ოლონდ, ტყეო, გაზაფხულზე  
შენ კვლავ შეიმოსები,  
ჩემს სიყრმეს კი, გზადაკარგულს  
ეშმაც ვეღარ მოძებნის.  
პოი, ტყეო, მწარე ნათესს  
თვითაც მოიმკიდია.  
შენც ის ცეცხლი რო გეკიდოს,  
ჩემ სულს რო უკიდია.

**დუნიაზე, კიდით კიდე**

დუნიაზე კიდით კიდე  
თაც ყვავილი მეგულედა,  
ღირსი არი შეიყვარო  
და შეჭფიცო ერთგულედა.  
დგას მარტოდენ მზესუმზირა,  
სად სამოთხის ჰყვავის მტილი  
და ყვავილებს ასამართლებს  
ისე, ვით ჩაალს — დედამთილი.

**კვეყნად არვინ არ ტყუვდება**

კვეყნად არვინ არ ტყუვდება  
პირწმინდად და ისე მწარედ.  
როგორც ის ყრმა, ცოლს რო ირთავს,  
თან ურემში აბამს ხარებს,  
რომ დაადგეს დარდის გრძელ გზას...  
მაგრამ მალე ხვდება ბიჭი —  
გზის დაგდებაც აღარ ძალუძს,  
შეკრულია რადგან ფიცით.

**სევდა რო გაანაწილეს**

სევდა რო გაანაწილეს,  
გუთანს ვეკადე, სახნავში.  
რა წესით გაყვეს, არ ვიცი.  
მე იგი ტომრით დამხვდა შინ,  
სხვებს თურმე (აგრე ჰყვებიან),  
ბეწვის ოდენა რგებიან.

ტრფობა რო გაანაწილეს.

სათიბში თივას ვთიბავდი,  
რა წესით გაყვეს, რა ვიცი,  
ის წესი რა ვთქვი იმათი!  
თითოსო, — აგრეც ჰყვებიან,  
თითო ურემი რგებიან.



წარმუნული  
ხოლო საწყალი მთიბველი  
სუყველას დავიწყებია.  
და დავრჩი უსიყვარულოდ,  
მწარე ხვედრს შერიგებული.  
თურმე რა მალე ხუცდება  
კაცი სევდისგან ვნებელი.

**მთვარე, შეიშალე, თუ რა**

მთვარე შეიშალე, თუ რა,  
რას მინათებ ამ შავ ღამეს?  
საყვარელთან ვზივარ ჩუმად,  
დაბნელდი და გამახარე.  
საყვარელთან ვზივარ ჩუმად,  
რას მოძერები ფანჯარაში?  
წადი, ღრუბლებს მიაშურე,  
ოქროს ნათელს ხარჯავ რაში?  
მთვარე, შეიშალე, თუ რა.

**სიყვარული ნაყოფია ტკბილი**

სიყვარული ნაყოფია ტკბილი,  
ვინ იქნება — არ დაადგას კბილი?  
მაგრამ ერთხელ გემო თუ გაუსინჯა,  
სიხარბის ზნე შემორჩება გულს ხინჯად.  
ვერ გაძლება ტრფობით, როგორც,  
ვიცი —  
სთვლის დროს — ღვინით.  
გაზაფხულზე — სიზმრით...  
თვითონვე ვარ სულ პირველი  
მსხვერპლი,  
კაცი ვიყავ, დავრჩი მარტო ფერფლი.

**თვალს რო შევაკლავ უიშველ  
ფეფებს**

თვალს რო შევაკლავ უიშველ  
ფეფებს,  
სულს ისე ვნაბავ,  
ასე მგონია, სიკვდილამდის

მიკლია ცოტა,  
ქარი რომ არხევს გასაშრობად  
გაკიდულ კაბას,  
გამართლებულად მეჩვენება  
სუყველა ცოდვა.

**პოი, მაგ თვალეხს  
იარალი არ გააჩნიათ**

პოი, მაგ თვალეხს  
იარალი არ გააჩნიათ,  
მათი მზერა კი  
ისარივით მკერდში გამჩრია.  
არც მოპირული  
აბადიათ საგანი რამე.  
მიკვირს, როგორღა  
მაყენებენ კრილობებს მწარეს?

**ჭიანჭველა რო ჭიანჭველაა**

ჭიანჭველა რო ჭიანჭველაა,  
გინდ კუზა იყოს,  
გინდ — კოკლაბუხა,  
მთლად შემოივლის ქვეყნიერებას,  
რომ ნახოს იგი,  
ვინც გულით უყვარს.

შენ კი კაცუნა  
ყოფილხარ მაშინ,  
თუ სიყვარული  
ცრემლს არ გგვრის თვალში.

**ნუშის ფოთლის ზარიზური**

სამი ნუშის მწვანე ფოთოლს  
მინდვრად გააქვს შარიშური.  
ერთად მოჩქეფს ეთი წყარო:  
ორი — ტკბილი,  
სამი — შურის.  
ბალანების ბანგ-წამალი  
იშოვება აქ მრავალი,  
მეტრფეებმა შესვან ვინძლო,  
ვნების ცეცხლი რომ დაიკბრონ...  
მეც, ძმობილო, უკვე შევსვი,  
გავხდი უფრო უკეთესი.  
ქალიშვილმაც როცა შესვა,  
კმაყოფილი დარჩა ყოველად;

სახლ-კარს ზურგი აქცია და  
გაეშურა გასათხოვრად.  
ახლა კიდევ დედაბერმა  
(ქმრის ორმოცი ჯერ წინ ედო)  
წამალს გემო გაუსინჯა  
და სთქვა, — ქმარი მწვენიელი  
ქალაქისკენ გზას გაუდგა,  
თან ბებრულად ხითხითებდა:  
— ერთი ქვრივი ბერიკაცი  
იქნებ სადმე იყიდება?!  
ხარხარებენ მეღუქნენი. —  
ქალო, რამ გადაგრიო,  
კუბოს კართან ქორწილს იხდი.  
ეშმამ ხელი დაგრიო?!  
ქალს წარბიც არ მოლუშვია,  
გზა განაგრძო უღარდელად;  
— მერე რა, რომ მოხუცი ვარ,  
სიყვარული უნდა ყველას.

**პეი, ბიჭო, ივანიაა**

პეი, ბიჭო, ივანია,  
ეშმაკუნა ყმაწვილო,  
სად იყავი წუხელ, ღამე,  
სადა გქონდა საძილო?  
— სადაც ვიყავ,  
კარგად ვიყავ,  
საყვარელი გვერდით მეწვა.  
სიხარული დიდი იყო,  
სინანული — ერთი ბეწვა.

**პე, ტყეო, ტყეო,  
ჩემო ძამიკო**

მწვანე ფოთოლი  
მაყვლის ბუჩქისა,  
მაყვალი სამზე  
მეტე არ იყოს.  
პე, ტყეო, ტყეო,  
ჩემო ძამიკო,  
თუ გინდა, ტყეო,  
გეტყვი დაიკოს.  
ზაფხული შენთან  
რო გავატარე  
ტურფასთან ერთად,  
არვან გაიგოს.  
მიწამ იამბოს

შემთხვევა ეგვიპტეში  
 ქვეშაგებობით  
 დაბლა რომ მეგობრობდა  
 იმ ქვეშაგებობით.  
 ვინცა-ვარ, რაც ვარ,  
 შე რომ უაზრობდა  
 ყურთუქის ნაცვლად:  
 ბალახში გასცევს  
 ჩემი ამბავი.  
 თავს რომ მეფარა,  
 როგორც საბანი:  
 ფოთოლი მოჰყვებს.  
 ბოლოს და ბოლოს,  
 პაწია ჩრდილს რომ  
 მჩუქნიდა მხოლოდ.

**მწვანე ფოთოლი  
 სამი ბოლქვისა**

სამი ბოლქვის მწვანე ფოთოლს  
 საკუთარი ჰყოფნის სევდა,  
 სიყვარულის კარბორია  
 რომელ მარადან მოჭრის ნეტა?  
 თვალთავან თუ  
 წარბთავან თუ  
 ყელთავან თუ  
 ბაგეთავან.  
 რომ ვაფიგო  
 (თვით არ ვიცი,  
 რა უშმაკი დამეტაკა) —  
 ვუკბენ კიდევ,  
 სიყვარულით  
 ზოგჯერ კბენაც იციან,  
 რადგან მწარეს

სიტყვოც მოსდევს  
 ასე, ჩემო ბაძიან...



**ფოთოლმწვანე შეყვარებული  
 გიგლიჩოშვიტი**

შავბალახა ფოთოლმწვანე  
 ექვე იყო, სადაც არი.  
 სიყვარული ვისაც შეხვდა,  
 აურია გზა და კვადო  
 მარტო გზა-კვადს არ დასჭერდა.  
 გონებასაც გაჰკრა ბრწყვალა.

მოყმეს შეხვდა პირტიტველას,  
 ობლად დარჩა კავ-სახნისი.  
 ლაბა ხარიც ობლად დარჩა. —  
 გაწყდა ქალის ვასაგისი.

ცოლს რომ შეხვდა სიყვარული,  
 ლამაზსა და ახალგაზრდას,  
 საქსოვს მტვერი დაეფინა,  
 ვარდი დაჰკნა ფანჯარასთან  
 ერთი სიტყვით,  
 დედაკაცმა  
 მანაცვალა  
 ნეტარ განცდას...

გოგონას რომ შეხვდა იგი,  
 აკოკრებულს, კაფანდარას,  
 მიატოვა საკერავი  
 და გონებაც დაფანტა-რა, —  
 შემცბარი და არეული  
 დადის, როგორც მთვარეული.



ნოთხობა

თარგმნა თამაზ კიკიაშვილი

უკვე საღამოს ათი საათი იყო და ბაღს ზემოთ სავსე მთვარე ანათებდა. შუმინების სახლში ეს-ესაა მწუხრის ლოცვა დამთავრდა. რომელიც ბებია მართა მიხაილოვნას შეკვეთით აღესრულა ახლა მცირე ხნით ბაღში გამოსული ნადია ფანჯრიდან ხედავდა, როგორ შლიდნენ დარბაზში ვახშმის სუფრას, როგორ ფუსფუსებდა ფუშფუშა აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი ბებია. ეკლესიის დეკანოზი მამა ანდრეი ნადიას დედას, ნინა ივანოვნას უამბობდა რაღაცას. საღამოს შუქზე დედა რატომღაც ძალზე ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. იქვე დეკანოზის შვილი ანდრეი ანდრეიჩი იდგა და ყურადღებით უსმენდა საუბარს.

ბაღში გრილოდა და სიჩუმე იყო. მუქი, უძრავი ჩრდილები ეფინა მიწაზე. სადღაც შორს, ძალიან შორს, ეტყობა. ქალაქგარეთ, ბაყაყები ყიყინებდნენ. მაისი იგრძნობოდა, მშვენიერი მაისი და მკერდი ღრმად ისუნთქავდა გაზაფხულის ჰაერს. გინდოდა გეფიქრა, რომ აქ კი არა, სადღაც იქით. ცის ქვეშ, ხევს ზემოთ. ქალაქიდან შორს, მინდვრებსა და ტყეებში ახლა საკუთარი, გაზაფხულისათვის დამახასიათებელი ცხოვრება დაიწყო. იღუმალი და მშვენიერი, მდიდარი და წმინდა, ცოდვილი ადამიანისათვის მიუწვდომელი, და რატომღაც ტირილი გინდებოდა.

ნადია უკვე ოცდასამი წლისა იყო. თექვსმეტი წლიდან ოცნებობდა გათხოვებაზე და აი ბოლოს სწორედ იმ ანდრეი ანდრეიჩის საცოლზე გაბნა. რომელიც ახლა ფანჯრის იქით იდგა. მას მოსწონდა ანდრეი ანდრეიჩი. კორწილიც უკვე შვიდი ივლისისათვის იყო დანიშნული. მაგრამ სიხარულს კი ვერ გრძნობდა. უძილობა დასჩემდა და მოიწყინა. სარდაფიდან, სადაც სამზარეულო იყო. ფუსფუსი, დანების კაკუნი და კარების ჯახუნი ისმოდა. შემწვარი ინდაურისა და მყავე ალუბლისათვის დამახასიათებელი სურნელი იდგა და რატომღაც გეჩვენებოდა, რომ ასე ერთფეროვნად, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე ჩაივლის ცხოვრება.

აი, ვიღაც გამოვიდა სახლიდან და პარმაღთან შეჩერდა. ის შუმინების სტუმარი ალექსანდრე ტიმოფეიჩი ანუ საშაა. რომელიც ამ ათიოდე დღის წინათ ჩამოვიდა მოსკოვიდან. ოდესღაც ბებიასთან სამოწყალოდ მისი შორეული ნათესავი, გაღარიბებული აზნაურის ქვრივი, გალეული, ავადმყოფი მარია პეტროვნა დადიოდა. საშა მისი შვილი იყო. მასზე რატომღაც ამბობდნენ, ნიკიერი მხატვარიაო. და როცა დედა გარდაეცვალა, ბებია მამადლოდ იგი მოს-



ყოველი, კომისაროვის სასწავლებელში გააგზავნა. ორი წლის შემდეგ საშა სამხატვრო სასწავლებელში გადავიდა. სადაც თითქმის თნუთმეტი წელი დაჰყო და რის ვაივაგლანით, არქიტექტურის განხრით, დაამთავრა. მაგრამ ახლა არქიტექტორად კი არა, მოსკოვის ერთ-ერთ ლითოგრაფიაში მუშაობდა. იგი ბებიასთან თითქმის ყოველ ზაფხულს ძალიან ავადმყოფი ჩამოდიოდა და იმდენს ვეძებდა და მოკეთებულებო. მას ახლა ყველა დიღზე შეკრული სურათები და სხვა-სხვაი ტილოს შარვალი ეცვა. რომლის ტოტები ძალზე დაკუჭული იყო. ბალათიც დაუუთოვებელი ჰქონდა და საერთოდ საკმაოდ დაქანცული ჩანდა. ძალიან გამზდარი, დიდთვალება, გრძელი, გაღეული თითებით, წვერიანი და შავგვრემანი მაინც ლამაზად გამოიყურებოდა. შუმინებს ნათესავეებით შეეჩვია და მათ ოჯახში შინაურივით გრძნობდა თავს. ოთახსაც კი, სადაც ის ცხოვრობდა, კარგა ხანია საშას ოთახს ეძახდნენ.

პარმალთან რომ დადგა, ნადია დაინახა და მისკენ გაემართა.

— რა მშვენიერია აქაურობა, — თქვა მან.

— რა თქმა უნდა ამიტომ შემოდგომამდე დარჩით.

— ალბათ ასეც მომიწევს, სექტემბრამდე დაერჩები, — მან უმიზნოდ გაიცინა და იქვე ჩამოჯდა.

— მე კი ვზივარ და დედას ვუყურებ, — თქვა ნადიამ. — რა ახალგაზრდულად გამოიყურება! რა თქმა უნდა, თავისი სუსტი მხარეებიც აქვს. — დაუმატა მცირეოდენი დუმილის შემდეგ, — მაგრამ მაინც არაჩვეულებრივი ქალია.

— კი, კარგია — დაეთანხმა საშა, — დედათქვენი თავისებურად ძალიან კეთილი და საყვარელი ქალია. მაგრამ როგორ გითხრათ? აი, დღეს დილით ადრიანად სამზარეულოში შევედი და იქვე ოთხ მოსამსახურეს პირდაპირ იატაკზე ეძინა. საწოლები არა აქვთ და ქვეშაგების ნაცვლად ძონძები უგიათ. ცუდი სუნი დგას, ბალღინჯობები, ტარაკანები. რაც ოცე წლის წინათ იყო, ახლაც არაფერი შეცვლილა, იგივეა, ბებია, ღმერთმა კარგად ამყოფოს. და ინიტომაც არის ბებია, მაგრამ დედათქვენი ხომ ფრანგულად ლაპარაკობს და სპექტაკლებში მონაწილეობს ასეთი რამეები უნდა ესმოდეს.

როცა საშა ლაპარაკობდა, ორი ჩამომხმარი გრძელი თითი გაფშვკილი ეჭირა ხოლმე მსმენელის წინ.

— მიუჩვეველს აქ ყველაფერი მეუცხოვება, — განაგრძობდა იგი. — ეშმაკმა დალახვროს, შრომა არავის უნდა დედათქვენი მთელი დღე ჰერცოგის ქალივით დასვირხობს. ბებია, თქვენ და თქვენი საქმრო ანდრეი ანდრეიჩიკ არაფერს აკეთებთ.

ნადიას ამგვარი საუბარი ადრეც მოესმინა. იცოდა, საშას სხვაგვარად ლაპარაკი არ შეეძლო წინათ ეს ართობდა კიდევ, ახლა კი რატომღაც ეწყინა.

— ყველაფერი ეს ძველია და მოსაბეზრებელი, — თქვა მან და ადგა. — რაიმე ახალი მოიფიქრეთ. — საშამაც გაიცინა და წამოდგა ორივენი სახლისაკენ გაემართნენ. მაღალი, ლამაზი, ტანწერწეტი ნადია მის გვერდით ძალზე ჯანმრთელი და მორთულ-მოკაზმული ჩანდა. იგი თვითონვე გრძნობდა ამას, ამიტომ თან ეუხერხულებოდა და თან ეცოდებოდა საშა. — თქვენ ბევრ ზედმეტ რამეებს ლაპარაკობთ ხოლმე, — განაგრძო მან. — აი ახლა ჩემს ანდრეიჩე ამბობდით, მაგრამ ხომ არ იცნობთ მას.

— ჩემს ანდრეისო... ღმერთმა ხელი მოუმართოს იმ თქვენს ანდრეის, მაგრამ მენანება კი თქვენი ახალგაზრდობა.

როცა დარბაზში შევიდნენ, უკვე სავახშმოდ სხდებოდნენ. ბებია, მან, როგორც სახლში ეძახდნენ ბებიკო, ძალიან მსუქანი, ულამაზო, სქელ წარბებიანი და ულვაშიანი ქალი ხმამაღლა ლაპარაკობდა. ხმისა და საუბარზე მიხვდებოდით, რომ ამ ოჯახის უფროსი ის იყო. მთელი სავაჭრო რიგებში და აგრეთვე ძველებური სვეტებიანი სახლი ბალითურთ მას ეკუთვნოდა. მაგრამ ყოველ დილით ღმერთს ევედრებოდა, გაკოტრებისაგან მიხსენიო, და ტიროდა. აქვე იყო მისი რძალი, ნადიას დედა ნინა ივანოვნა, ქერათმიანი ქალი, გამოკვალთულ კაბაში, pince-nez-თი, რომელსაც ყოველ თითზე ბრილიანტის ბეჭდები ეკეთა. კიდევ მამა ანდრეი, გამხდარი უკბილო მოხუცი, რომელსაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაც სასაცილო ამბავი უნდა მოყვესო, და მისი შვილი ანდრეი ანდრეიჩი, ნადიას საქმრო, მსუქანი, ლამაზი, გრუზათმიანი კაცი, რომელიც მსახიობს თუ მხატვარს ჩამოგავდა, ისინი სამივენი ჰიპნოტიზმზე საუბრობდნენ.

— ჩემთან ერთ კვირაში მოიკეთებ, — უთხრა ბებიამ საშას, — ოღონდაც ჭამე, მეტი ჭამე. რას დამსგავსებინაარ? — ამოიოხრა მან, — საშინელი შესახედავი გახდი, აი, ჭეშმარიტად ძე შეცთომილი.

— მამისეული დოვლათის გამფლანგველი, — აუჩქარებლად წარმოთქვა თვალმოცინარმა მამა ანდრეიმ. — უგუნურ პირუტყვთა კვერთხი წყეული.

— მიყვარს მამაჩემი, — თქვა ანდრეი ანდრეიჩმა და მხარზე ხელი შეახო, — დიდებული მოხუცია, კეთილი მოხუცი.

ყველანი გაჩუმდნენ უცებ საშამ გაიცინა და ხელსახოცი პირზე მიიფარა.

— მაშასადამე, თქვენ ჰიპნოტიზმისა გჯერათ? — ჰკითხა მამა ანდრეიმ ნინა ივანოვნას.

— რა თქმა უნდა, იმისი მტკიცება არ შემიძლია, რომ მჯერა, — უპასუხა ნინა ივანოვნამ და ძალზე სერიოზული, თითქმის მკაცრი გამომეტყველება მიიღო. — მაგრამ უნდა ვალიარო, რომ ბუნებაში ბევრი რამ საიდუმლო და გაუგებარია.

— სავსებით გეთანხმებით, თუმცა ჩემი მხრიდან უნდა დავუმატო, რომ რწმენა მნიშვნელოვნად ამცირებს საიდუმლოების სფეროს. — სუფრაზე ძალზე მსუქანი დიდი ინდაური შემოიიტანეს. მამა ანდრეი და ნინა ივანოვნა საუბარს განაგრძობდნენ. ნინა ივანოვნას თითებზე ბრილიანტები უბრწყინავდა. შემდეგ თვალებზე ცრემლები აუკიაფდა, ეტყობოდა, აღელდა.

— თუმცა თქვენთან კამათს ვერ გავბედავ, — თქვა მან, — მაგრამ დამეთანხმებით, რომ ცხოვრებაში უამრავი ამოუხსნელი გამოცანაა!

— მერწმუნეთ, ერთიც არ არის.

ვახშმის შემდეგ ანდრეი ანდრეიჩმა ვიოლინოზე დაუკრა. ხოლო აკომბანირებას ნინა ივანოვნა უწევდა როიალზე, ანდრეი ანდრეიჩმა ამ ათი წლის წინათ დაამთავრა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, მაგრამ არსად არ მუშაობდა. გაურკვეველი ხელობის კაცი იყო, დროდადრო საქველმოქმედო მიზნით გამართულ კონცერტებში მონაწილეობდა. ქალაქში მასზე ამბობდნენ, არტისტიკო.

ანდრეი ანდრეიჩს ყველანი გასუსული უსმენდნენ. სუფრაზე წყნარად თუხთუხებდა სამოვარი და ჩაის მხოლოდ საშა სვამდა. თორმეტი რომ შეს-

რულდა. უცებ ვილინოს სიმი გაუწყდა. ყველას გაეცინა. შემდეგ აფუსფუსდნენ და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

ნადიამ საქმრო რომ გააცილა, მეორე სართულზე ავიდა. იქ დაჯდომისას იქ ცხოვრობდნენ. პირველი სართული კი ბებიასი იყო. ქვევით დარბაზში სანთლების ჩაქრობას შეუდგნენ ხოლო საშა კვლავ ჩაის სვამდა. ქვემოთ კოვერ ყაიდაზე ნელ-ნელა და ბევრს გეაბლებოდათ. ერთ ბებქვევით ქვევით ქვევით მაინც. როცა გაიხადა და ლოგინში ჩაწვა, ნადიას კიდევ დიდხანს ესმოდა, როგორ ალაგებდა დარბაზს მოსამსახურე, როგორ ბრაზობდა ბებიკო. ხოლოს ყველაფერი მიწყნარდა. მხოლოდ დროდადრო ისმოდა საშას ოთახიდან ბოხი ხველება.

## 11

ალბათ ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა ნადიას გაეღვიძა. რიყრაყდებოდა. სადღაც შორს დარაჯი აკაკუნებდა. ძილი გაუტყდა. ლოგინი ძალზე რბილი იყო და მოუხერხებელი. როგორც უძილობის დროს სჩვევოდა ხოლმე, წამოჯდა და ფიქრებს მიეცა. იგივე ფიქრები აწუხებდნენ. რაც წინაღამით, ერთდეროვანი, უსარგებლო და აბეზარი. კვლავ მოაგონდა, როგორ დაიწყო ანდრეი ანდრეიჩმა ყურადღების გამოჩენა, როგორ სთხოვა ცოლად გამომყვევით, როგორ დაეთანხმა და როგორ დაათქაშა თანდათანობით ეს კეთილი და ქვევანი ადამიანი, მაშ რატომ შეიბურო ახლა შიშმა და მოუსვენრობამ, როცა ქორწილამდე ერთი თვეა დარჩა? წინ თითქოს გაურკვეველი და მძიმე რამ ელოდებოდა. ტიკ-ტოკ, ტიკ-ტოკ. — ხანტად აკაკუნებდა დარაჯი. — ტიკ-ტოკ.

დიდი ძველი ფანჯრიდან ბალი მოჩანს. უფრო შორს კი ნამძინარევი, სიცვიისაგან მობუზული იასამნის აყვავებული ბუჩქები და თეთრი, სქელი ნისლი, რომელიც ნელა მიცურავს იასამნისაკენ, რათა გადაეფაროს, შორს, ხეებზე, ნამძინარევი კილყვავები ჩააფიან.

ღმერთო ჩემო, რატომ მიმძიმს ასე!

იქნებ ქორწინების წინ ყველა საბატარძლო იგივეს განიცდის ან იქნებ ეს საშას ზეგავლენაა? მაგრამ საშა ხომ უკვე რამდენიმე წელია დაზუბირებულივით ერთსა და იმავეს იმეორებს და როცა ლაპარაკობს, ძალზე გულუბრყვილო, უცნაური გეჩვენება. მაინც რატომ ფიქრობს სულ საშაზე და თივიდან ვერ იშორებს? რატომ?

დარაჯმა კარგა ხანია შეწყვიტა კაკუნი. ფანჯრის ქვემოთ ჩიტები აელურტულდნენ. ნისლი ბალიდან გაიკრიფა. თითქოს ღიმილმა გააციკროვნაო. ვაზაფხულის მზემ ისე გააბრწყინა ირვლივ ყველაფერი. მალე მზისგან გამთბარა, ნათურები ბალი გამოცოცხლდა. ფოთლებზე ნამის წვეთები აღმასივით აელვარდა და ძველი მოუვლელი ბალი ამ დილით ნორჩი და მორთულ-მოკაზმული გეგონებოდათ.

ბებიკომ უკვე გაიღვიძა. საშას ჩახრინწული ხველება მოისმა და ისიც, თუ როგორ შემოიტანეს სამოვარი ქვემოთ და სკამებიც მისწი-მოსწიეს.

ღრო ნელა მიიზღაზნებოდა. ნადია უკვე კარგა ხანია ადგა, ბაღში ისეირნა, დილა კი ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო. აი ნინა ივანოვნა გამოჩნდა, თვალბნამტირალევი და კიქით ხელში. კიქა მინერალური წყლით იყო სავსე. ის სპირიტუზმით და პომეოპათიით იყო გატაცებული. ბევრს კითხულობდა და უყვარ-

და იმაზე საუბარი, თუ რა აქვებდა, ნადიას აზრით, ეს ყველაფერი რაღაც  
... საღმრთო აზრს შეიცავდა

ნადიამ აკოცა თედას და გვერდით გაყვა

— რატომ ტირი, დედა? — ჰკითხა მან

წუხელ მოთხრობის კითხვა დაეწყო, რომელშიაც ერთი მოხუცი და  
მისი ქალიშვილის ცხოვრება აღწერილი მოხუცი აადრე <sup>მეცხრამეტე</sup> კოლა,  
გოგონა მის უფროსს შეუყვარდა ბოლომდე არ წამოკითხავა, მაგრამ იქ არის  
ერთი ისეთი ადგილი, რომ ცრემლების შეკავება ვერ შეეძლო. — თქვა ნინა  
ივანოვნამ და ჰიქიდან წყალი მოსვა. — დღეს დილითაც გამახსენდა და კიდევ  
წავუტარე



— მე კი მთელი ეს დღეები ისე მოწყენილი ვარ. — თქვა ნადიამ. — დე-  
და, რატომ არ მძინავს ღამლამობით?

— რა ვიცი, ძვირფასო მე კი, როცა ვერ ვიძინებ, თვალებს მაგრად ვხუ-  
ჭავ, აი ასე, და ანა კარენინას წარმოვიდგებ, როგორ დადის, როგორ ლაპარა-  
კობს, ან კიდევ რაღაცას ძველი მსოფლიო ისტორიიდან

ნადიამ იგრძნო, რომ დედამ ვერ გაუგო და ვერც გაუგებს თავის სიცო-  
ცხლეში პირველად შეიგრძნო ეს, შიშმა აიტანა და სადღაც რომ დამალული-  
ყო, თავის ოთახში შევიდა. ორ საათზე კი სადილად დასხდნენ. ოთხშაბათი  
მარხვის დღე იყო და ამიტომ ბებია უხორცო ბორშჩა და კაპარჭიას შეექ-  
ცეოდა ფაფასთან ერთად. ბებია რომ გაებრაზებინა, საშამ თავის სამარხვო  
ბორშჩს სახსნილო წვნიანიც მიაყოლა. სადილობის დროს ერთთავად ოხუნ-  
ჯობდა, ოღონდაც ოხუნჯობა გამოდიოდა უხეში და უექველად რაღაც მორა-  
ლისტური შეგონებით, ამიტომაც არავის ეცინებოდა, ხუმრობის წინ კი, როცა  
თავის ძალიან გრძელ, გამხმარ, თითქოს მკვდარ თითებს ასწევდა, უნებლიეთ  
ფიქრობდით, რომ ძალზე აუადაა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია, და  
სიბრალულისაგან ტირილი მოგინდებოდა

სადილის შემდეგ ბებია დასასვენებლად გავიდა თავის ოთახში ნინა ივა-  
ნოვნა კოტა ხანს უკრავდა როიალზე და შემდეგ ისიც წავიდა

— აჰ, ძვირფასო ნადია, — დაიწყო საშამ ნასადილევს თავისი ჩვეულებ-  
რივი საუბარი, — რა იქნება დამიჯეროთ! რა იქნება, ჰა?

თვალეზანუჭული ნადია ღრმად ჩაფლუფლიყო ძველებურ სავარძელში,  
ხოლო საშა ნელა დადიოდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში

— ნეტავ სასწავლებლად წაწვიდოდეთ! — ამბობდა ის, — მხოლოდ განათ-  
ლებული და წმინდანი ადამიანები არიან საინტერესონი, მხოლოდ ისინი არიან  
საჭირონი, რაც უფრო მეტი იქნებიან ასეთები, მით უფრო ჩქარა დადგება მი-  
წაზე სასუფეველი, მაშინ თქვენი ქალაქიდან ქვა-ქვაზე არ დარჩება ყველა-  
ფერი თავდაყირა დადგება, ყველაფერი სასწაულებრივად შეიცვლება. აქ აშენ-  
დება უზარმაზარი, ბრწყინვალე სასახლეები, საოცარი ბალები, შადრევნები...  
აქ იცხოვრებენ შესანიშნავი ადამიანები... მაგრამ მთავარი ეს რაღაცა, მთავარი  
ისაა, რომ ბრბო ჩვენი გაგებით, როგორიც ახლა არსებობს, ეს ბოროტება მა-  
შინ არ იარსებებს, რადგანაც ყოველი ადამიანი ირწმუნებს, ყოველ ადამიანს  
ეცოდინება, რისთვისაც ცხოვრობს, ბრბოს საყრდენად აღარავინ იგულვებს,  
ძვირფასო! გაემგზავრეთ და ყველას უჩვენეთ, რომ ეს უძრავი, უღიმღამო  
ცოდვილი ცხოვრება მოგბეზრდათ, საკუთარ თავს მაინც დაუმტკიცეთ!

— საშა, ეგ შეუძლებელია, მე ვთხოვდები.

— კარგივე ერთი! ვის რაში სჭირდება ეს?

ისინი ბალში ჩავიდნენ, მცირე ხნით გაისეირნეს.

— და მაინც ჩაუფიქრდით, ძვირფასო, რამდენად უზნეოა თქვენი ასეთი უქმი ყოფა. — განაგრძობდა საშა, — უნდა გაიგოთ, რომ თქვენ, დედოქვენ და ბებიკო თუ არაფერს აკეთებთ, ეს ნიშნავს, რომ თქვენ ნაცვლად ვილაყა მუშაობს, ვილაყის ცხოვრებას ძიძგნით. განა ეს ბიჭიერება არაა? უკრუნუნე!

ნადიას უნდოდა ეთქვა: „კი, მართალია“, უნდოდა ეთქვა აგრძელებს კლდე-ლაფერი ესმის, მაგრამ თვალეზი აუცრემლიანდა. უცებ როგორღაც გაყუჩდა. მოიკუნტა, შემდეგ ადგა და ოთახიდან გავიდა.

შუადღე კარგა ხნის გადასული იყო, ანდრეი ანდრეიჩი რომ მოვიდა. ჩვეულებისამებრ დიდხანს უკრავდა ვიოლინოზე. საერთოდ, სიტყვაძუნწი იყო და ალბათ ვიოლინოზე დაკვრაც იმიტომ უყვარდა, რომ დუმილის საშუალება ეძლეოდა. თერთმეტი საათი იყო დაწყებული, შინ წასვლის წინ, უკვე პალტი-ჩაცმული, ნადიას რომ მოეხვია, ხარბად დაუკოცნა სახე, მხრები და ხელები.

— ძვირფასო, ჩემო სიყვარულო, მშვენიერო! — ბუტბუტებდა ის, — თ. რა ბედნიერი ვარ! ალტაცებისაგან ლამის გონი დაეკარგო! — ნადიას მოეჩვენა, რომ ეს ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინათ გაუგონია, ძველ დაგლეჯილ, სადღაც მიგდებულ რომანში წაუკითხავს.

ღარბაზში საშა მაგიდასთან იჯდა, თავის გრძელ თითებზე ლამბაქი დაედო და ჩაის სვამდა. ბებიკო პასიანსს შლიდა, ნინა ივანოვნა კითხულობდა, ლამბაში ალი ტკაცუნობდა და ასე გეგონებოდათ, ირგვლივ ბედნიერება და სიმშვიდე სუფევსო. ნადია ყველას დაემშვიდობა და თავის ოთახში ავიდა. როგორც კი ლოგინში ჩაწვა, მაშინვე ჩაეძინა. ხოლო ოდნავ ინათა თუ არა, როგორც წინა ღამეს, გამოელვია. ძილი გაუტყდა, შფოთავდა, გული დამძიმებოდა. ლოგინში მუხლებზე თავჩამოდებული იჯდა და საქმროზე, ქორწინებაზე ფიქრობდა. რატომღაც გაახსენდა, რომ დედამისს თავისი განსვენებული ქმარი არ უყვარდა, რომ საკუთარი არაფერი გააჩნდა და მთლიანად თავის დედამთილზე, ბებიკოზე იყო დამოკიდებული. ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერ მიხვდა, რატომ ეგონა აჭამდე დედა რაღაც განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი, მაშინ როდესაც ერთი უბრალო, ჩვეულებრივი, უბედური ქალი იყო.

საშასაც არ ეძინა. ქვემოდან ისმოდა, როგორ ახველებდა. რა უცნაური და გულუბრყვილო ადამიანია, ფიქრობდა ნადია. მის ოცნებებში, საოცარ ბალებში, არაჩვეულებრივ შადრევნებში რამდენი აბდაუბდა და უაზრობაა, მაგრამ თან რამდენი სიმშვენიერება. ის იყო გაიფიქრა, სასწავლებლად ხომ არ წავიდეო, რომ მკერდში ცივმა ყრუანტელმა დაუარა, სიხარულისა და ალტაცების გრძნობამ აავსო.

— უმჯობესია არ ვიფიქრო, — ჩურჩულებდა ის, — ამაზე ფიქრი არაა საჭირო.

„ტიკ-ტოკ... — აკაკუნებდა დარაჯი სადღაც შორს, — ტიკ-ტოკ... ტიკ-ტოკ“.

შუა ივნისში საშამ უცებ მოიწყინა და მოსკოვში წასვლა დააპირა.

— არ შემიძლია ამ ქალაქში ცხოვრება, — ამბობდა დაღვრემილი. — არც წყალსადენია, არც კანალიზაცია, სამზარეულოში წარმოუდგენელი სიბინძურება, ზიზლის გრძნობით ვქამ.

— მოთმინება იქონიე, ძე შეცთომილო. — რატომღაც ჩურჩულით არწმუნებდა ბებია. — შვიდში ქორწილია.

— არ შემოძლოა

— აკი სექტემბრამდის გინდოდა დარჩენა!

— აი, ახლა კი არ მინდა, სამუშაო მაქვს!



ნესტიანი და ცივი ზაფხული დადგა. ბაღში ხეები გაუფრთხილები ყვებნენ, ყველაფერი ისე კუმტად, დაღვრემილი გამოიყურებოდა, რომ კაცს მართლაც მუშაობა მოუნდებოდა ოთახებში კი, როგორც ქვედა, ისე ზედა სართულიდან, უცნობ ქალთა ხმები ისმოდა. ბებია საკერავ მანქანას არახრახებდა. ნადიასათვის მზითვის მომზადებას ეჩქარებოდნენ სხვა ყველაფრის გარდა მზითვად ექვს ქურქს ატანდნენ ყველაზე იაფი მათ შორის. ბებიას თქმით, სამასი მანეთი ღირდა.

ეს საყოველთაო ფუსფუსი საშას, რომელიც თავის ოთახში იჭდა, აღიზიანებდა და აბრაზებდა, მიუხედავად ამისა იგი დაითანხმეს, რომ პირველ ივლისზე ადრე არ გაემგზავრებოდა.

დრო სწრაფად მიჰქროდა. წმინდა პეტრეს დღეს, სადილის შემდეგ ანდრეი ანდრეიჩი და ნადია მოსკოვის ქუჩაზე ჩავიდნენ, რათა ერთხელ კიდევ ენახათ სახლი, რომელიც მზობლებმა ახალგაზრდებს დაუქირავეს და მოუწყვეს, ორსართულიან სახლში ჯერ მხოლოდ მეორე სართული იყო დალაგებული, დარბაზში პარკეტის დარად შეღებილი იატაკი ბზინავდა, აქვე იყო ვენური სკამები, როიალი და ვიოლინოს პიუპიტრი, ირგვლივ საღებავის სუნი იდგა, კედელზე, ოქროს ჩარჩოში, საღებავებით ნახატი სურათი ეკიდა. სურათზე შიშველი ქალი იყო გამოსახული, მის ანლოს სახელურმომტვრეული ლურჯი ლარნაკი იდგა.

— მშვენიერია, — ჩაილაპარაკა ანდრეი ანდრეიჩმა და პატივისცემის ნიშნად ამოიოხრა. — მხატვარ შიშმაჩევსკის სურათია.

მერე სასტუმრო ოთახში გავიდნენ, სადაც მრგვალი მაგიდა, ღია ცისფერი ქსოვილით გადაკრული დივანი და სავარძლები იდგა. დივნის თავზე მამა ანდრეის დიდი ფოტოპორტრეტი ეკიდა. დეკანოზი კუნკულათი და ორდენებით შემკული გახლდათ. სასადილო ოთახიც დაათვალიერეს, სადაც ბუფეტი იყო. საძინებელ ოთახში ერთმანეთის გვერდით ორი საწოლი იდგა, როცა ოთახს რთავდნენ, ასე გვეგონებოდათ, ფიქრობდნენ, აქ მუდამ სიმყუდროვე, ბედნიერება იქნება და სხვანაირად არც შეიძლება იყოსო. ანდრეი ანდრეიჩს, როცა ნადიას ოთახებში დაატარებდა, მისთვის წელზე ჰქონდა ხელი შემოხვეული. ნადია კი თავს სუსტად და დამნაშავედ გრძნობდა. ეს ოთახებიც ეზიზღებოდა და სავარძლებიც. სურათზე დახატული შიშველი ქალიც გულს ურევდა. მისთვის ცხადი იყო, რომ ანდრეი ანდრეიჩი უკვე აღარ უყვარდა ან შეიძლება არც არასოდეს ყვარებია, მაგრამ როგორ თქვას ეს, ან ვის უთხრას, ეს არ იცოდა, თუმცა მთელი დღეები და ღამეები ამაზე ფიქრობდა. საქმროს მისთვის წელზე შემოეხვია ხელი და ალერსიანად, მორიდებულად ესაუბრებოდა. საკუთარ ბინაში, აქეთ-იქით რომ დადიოდა, ეტყობოდა, ბედნიერად გრძნობდა თავს. ნადია კი აქ მხოლოდ უხამსობას, სულიერ, გულუბრყვილო, აუტანელ უხამსობას ხედავდა. წელზე შემოხვეული კაცის ხელი ხეშეშად და საღატესავით ცივი ეჩვენებოდა. ყოველ წუთს მზად იყო გაქცეულიყო, ატირებულიყო, ფანჯრიდან გადამხტარიყო. ანდრეი ანდრეიჩმა სააბაზანოში შეიყვანა, კედელში ჩატანებულ ონკანს შეეხო და უცებ წყალი წამოვიდა.



ლი ღიმილით, უფრო ხანდაზმული, ულამაზო და დაბალი ჩანდა. ჩაღიას გაახსენდა, რომ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ რა არაჩვეულებრივ ადამიანად მიაჩნდა, რა სიამაყით ისმენდა მის სიტყვებს, რომელსაც ახლა ვერ აღიარებდა, ხოლო რაც ახსენებოდა, უსუსური და უსარგებლო იყო.

ღუმელში რამდენიმე ბანი ერთად ამღერდა და მოესმა ღუმელში „აბა, ღმერთო ჩემო!“ ნადია ლოგინში წამოჯდა, უცებ თავზე შეხედა და ხელები და აქვითინდა.

— დედა, დედა, ძვირფასო, რომ იცოდე, რა მეშინება, გთხოვ, გვედრები, მომეცი ნება წავიდე აქედან! გვედრები!

— სად? — ჰკითხა დაბნეულმა ნინა ივანოვნამ და ლოგინზე ჩამოჯდა. — სად უნდა წახვიდე?

ნადია დიდხანს ტიროდა და ხმას არ იღებდა.

— ქალაქიდან წასვლის ნება მომეცი. — როგორც იქნა, წარმოთქვა მან, — ქორწილი არ უნდა შედგეს და არც შედგება, გაიგე! არ მიყვარს ის კაცი... მასზე ლაპარაკიც არ შემიძლია.

— არა, ჩემო ძვირფასო, არა. — წამოიწყო ჩქარ-ჩქარა საოცრად შეშინებულმა ნინა ივანოვნამ. — დამშვიდდი, ეს ცუდი განწყობის ბრალია და გაივლის, ხდება ხოლმე ასე, ალბათ წაეჩხუბე ანდრეის, მაგრამ ხომ იცი, ცოლქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონათ.

დედა, მომშორდი, მომშორდი! — აქვითინდა ნადია.

— პოო. — თქვა ნინა ივანოვნამ მცირეოდენი ღუმლის შემდეგ. — განადიდი ხნის წინათ იყავი ბავშვი? ახლა კი აგერ საბატარძლო ქალი ხარ, ბუნებაში ნივთიერებათა ცვლის მარადიული კანონი მოქმედებს, ვერც კი მოასწრებ უკან მოხედვას, თვითონ გახდები დედა, დაბერდები და ასეთივე ჭირვეული ქალიშვილი გეყოლება.

— ჩემო კარგო, ჩემო კეთილო დედა, შენ ხომ ჰკვიანია, მაგრამ უბედური ქალი ხარ! — თქვა ნადიამ, — ძალზე უბედური, ღვთის გულისათვის, რატომ ლაპარაკობ ასეთ უხამსობას, რატომ?

ნინა ივანოვნას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხმა ვერ გაიღო, შემდეგ ასლუკუნდა და თავის ოთახში გავიდა, ღუმელში კვლავ აგუგუნდნენ ბანები და ნადია საშინელმა წიშმა შეიპყრო ის უცებ წამოხტა და სწრაფად გავიდა დედასთან ნამტირალევი ნინა ივანოვნა ლოგინში იწვა, ცისფერი საბანი ეხურა და ხელში წიგნი ეჭირა.

— დედა, მომისმინე! — დაიწყო ნადიამ, — გვედრები, დაფიქრდი და გაიგე, რაოდენ წვრილმანია და დამამცირებელი ჩვენი ცხოვრება, უკვე ამეხილა თვალი და ყველაფერს ვხედავ, მითხარი, რას წარმოადგენს ეს შენი ანდრეი ანდრეიჩი? ღმერთო ჩემო! ის ხომ უჭკუო და სულელია, დედა, გაიგე!

ნინა ივანოვნა სწრაფად წამოჯდა:

— შენ და ბებიაშენი მტანჯავთ! — დაიწყო მან სლუკუნით, — მე ცხოვრება მინდა! ცხოვრება! ბოლოს და ბოლოს მომეცით თავისუფლება, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, სიცოცხლე მწყურია, თქვენ კი დამაბერეთ!..

ის მწარედ აქვითინდა, დაწვა და საბანს ქვეშ მოიკუნტა, ახლა ძალზე პატარა, საცოდავი და სულელი ჩანდა, ნადია თავის ოთახში შევიდა, ჩაიცვა, ფანჯარასთან დაჯდა და გათენებას დაუწყო ლოდინი, მთელი ღამე ასე იჯდა და ფიქრობდა, გარედან კი დარბაზზე ვიღაც აკაკუნებდა და უსტვენდა.

დილით ბებია ჩიოდა, ქარმა მთელი ვაშლები ჩამოყარა და ქლიავის ერთი



ბებერი ხე გადატეხაო. ცა იყო მკრთალი. ლეგა და მოსაწყენი. ისე ციოდა. ცეცხლის დანთება მოგინდებოდა. ყველა სიცივეს უჩიოდა. ფანჯრებზე წვიმა აკაკუნებდა. საუზმის შემდეგ ნადია საშასთან შევიდა. სავარძელთან კუთხეში უსიტყვოდ დაეშვა მუხლებზე და სახეზე ხელი აიფარა.

— რა მოხდა? — ჰკითხა საშამ.

— არ შემიძლია, — თქვა მან, — როგორ გავძელი აქამდე და ვერ გამიგია. საქმროც მეზიზღება, საკუთარი თავიც და ეს უაზრო ყოფაც...

— აბა, აბა... — თქვა საშამ, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა ხდებოდა. — არა უშავს... ეს კარგია.

— ნომბეზრდა ამგვარი ცხოვრება. — განაგრძობდა ნადია, — მეტი არ შემიძლია. ხვალვე წავალ აქედან. ღვთის გულისათვის, თქვენ რომ წახვალთ, თან წამიყვანეთ.

საშა გაკვირვებული შეჰყურებდა და, სიტყვების აზრს რომ ჩაწვდა, ბავშვივით გაიზარა. თითქოს ცეკვავსო, სიცილით ხელები აიქნია და იატაკზე ფეხები ააბაკუნა.

— შესანიშნავია! — ამბობდა ხელების ფშვნეტით. — ღმერთო, რა კარგია.

ხოლო ნადია დიდრონი. შეყვარებული თვალებით მოჯადოებულივით შეჰყურებდა და ელოდა, საშა აი ახლა მეტყვის რაღაც საგულისხმოსა და უსაზღვროდ მნიშვნელოვანსო. საშას ჯერ არაფერი ჰქონდა ნათქვამი. მაგრამ ნადიას უკვე ეჩვენებოდა, რომ დღეიდან იწყება რაღაც ახალი, უცნობი ცხოვრება და ძოლოდინით აღსავსე თვალებით უცქეროდა ყველაფრისათვის. სიკვდილისათვისაც კი მზადმყოფი.

— მე ხვალ გავემგზავრები. — თქვა საშამ, როცა ჩაფიქრდა. — თქვენც წამომყვებით, ვითომ სადგურში მაცილებთ... თქვენს ბარგს ჩემი ჩემოდნებით წავიღებ, ბილეთებსაც ავიღებ. ხოლო ზარს მესამედ რომ ჩამოჰკრავენ, ვაგონში შემოხვალთ და გავემგზავრებით. მოსკოვამდე ერთად ვიმგზავრებთ. შემდეგ პეტერბურგამდე კი გზას მარტო გააგრძელებთ. პასპორტი გაქვთ?

— მაქვს.

— გეფიცებით, არ ინანებთ. — თქვა საშამ გატაცებით. — წახვალთ, ისწავლით. ხოლო შემდეგ ბედი თვითონ გიჩვენებთ გზას. მთავარია ცხოვრება შეცვალოთ. ხოლო დანარჩენს არა აქვს მნიშვნელობა. მაშ ასე, ხვალ მივდივართ.

— დიახ! წავიდეთ. ღვთის გულისათვის!

ნადიას ეჩვენებოდა, რომ ძალზე აღელვებულია. როგორც არასდროს, ისეთი სიმძიმე აწევს გულზე და გამგზავრებამდის ვერ მოიცილებს მტანჯველ ფიქრებს. მაგრამ როგორც კი შევიდა თავის ოთახში და ლოგინზე წამოწვა, მაშინვე ჩაეძინა. საღამომდე ღრმად ეძინა. ნამტირალევ სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

ეტლის მოსაყვანად წავიდნენ. ნადიას უკვე პალტო ეცვა და ქუდი ეხურა, როცა ზევით ავიდა. უნდოდა ერთბელ კიდევ შეეხედა დედისა და საკუთარი ოთახისათვის.

თავის ოთახში საწოლის წინ დადგა. რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა მისი სხეულის სიბო. ირგვლივ მიმოიხედა და შემდეგ წყნარად შევიდა დე-

დასთან ნინა ივანოვნას ეძინა. ირგვლივ სიჩუმე იყო. ნადიამ თმა გაუსწორა და აკოცა. ორიოდ წუთი ასე იდგა და შემდეგ აუჩქარებლად ჩავიდა ქვევით.

ყოკისპირულად წვიმდა. სადარბაზოს წინ დახურულ ეტლთან მთლად გალუმბული მუქი იდგა.

— ორივე ვერ დაეტევით. — თქვა ბებიამ, როცა მოსამსხმრე ჩემოდნების ჩალაგებას შეუდგა. — რა ძალა გადგას, ასეთ ამინდში ბრძანებ! შინ დარჩი, შეხედე, როგორი წვიმაა.

ნადიას რაღაცის თქმა უნდოდა. მაგრამ ვერ მოახერხა.

აი, საშამ ის ეტლში ჩასვა. ფეხებზე პლედი დააფარა და თვითონაც გვერდით მოიკალათა.

— გზა მშვიდობისა! ღმერთმა დაგლოცოს! — ყვიროდა პარმალზე მდგარი ბებია. — საშა, წერილი მოგვწერე!

— მოგწერთ, მშვიდობით, ბებიკო.

— ღეთისმშობელი შეგეწიოს!

— რა ამინდია! — ჩაილაპარაკა საშამ.

ნადია მხოლოდ ახლა ატირდა. მისთვის უკვე ცხადი იყო, რომ უეჭველად გაემგზავრება, თუმცა როცა ბებიას ემშვიდობებოდა, როცა მძინარე დედას დახედა, მაშინაც არა სჯეროდა. მშვიდობით, მშობლიურო ქალაქო! და უცებ ყველაფერი გაახსენდა: ანდრეი, მამამისი, ახალი ბინა და ლარნაკიანი შიშველი ქალი. ეს ყველაფერი უკვე კი არ აშინებდა და ამძიმებდა, არამედ გულუბრყვილოდ, წვრილმანად ეჩვენებოდა და სადღაც უკან, შორეთში რჩებოდა. როცა ვაგონში ჩასხდნენ და მატარებელი დაიძრა, მთელი წარსული, ასეთი დიდი, ასეთი მნიშვნელოვანი, პაწაწა გუნდად შეიკრა, წინ კი აქამდის ნაკლებად შესამჩნევი, უზარმაზარი, ნათელი მომავალი გადაეშალა. ვაგონის ფანჯრებზე, საიდანაც მწვანე ველი, ტელეგრაფის ბოძები და მავთულებზე შემომსხდარი ჩიტები მოჩანდა. წვიმა აკაკუნებდა და ნადიას უცებ სიხარულმა სუნთქვა შეუკრა: გაახსენდა, რომ თავისუფალი ხდება, რომ სასწავლებლად მიდის, ეს კი იგივე იყო. ოდესღაც, დიდი ხნის წინათ კაცი კაზაკად გაიქრაო, რომ იტყოდნენ. ის იცინოდა, ტიროდა და ლოცულობდა კიდევ.

— არა უშავს. — ამბობდა საშა ღიმილით, — არა უშავს!

VI

გავიდა შემოდგომა და მას ზამთარიც მოჰყვა. ნადიას დარდი მოეძალა. ყოველდღე ფიქრობდა დედაზე, ბებიაზე და საშაზე. სახლიდან მშვიდი, კეთილი სურვილებით აღსავსე წერილები მოდიოდა, საიდანაც ცხადი იყო, რომ ყველაფერი დაივიწყეს და აპატიეს. მაისში გამოცდების შემდეგ ის ჯანმრთელი და მხიარული გაემგზავრა შინ. გზად მოსკოვში გამოიარა, რათა საშა ენახა.

საშა ისევე გამოიყურებოდა, როგორც შარშან ზაფხულში. წვერმოშვებულს და თმაგაწეწილს იგივე სერთუკი და ტილოს შარვალი ეცვა. დიდრონი, მშვენიერი თვალები კვლავ უბრწყინავდა. მაგრამ ავადმყოფური და გაწამებული სახე ჰქონდა. დაბერებული იყო და გამბდარიც. ისევ ისე ახველებდა და ნადიას რატომღაც უბადრუკ პროვინციელად მოეჩვენა.

— ღმერთო ჩემო, ნადია ჩამოვიდა! — თქვა მან მხიარულად და გაიცინა, — ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო!

სალაპარაკოდ იქვე, თამბაქოს ბოლით სავსე ლითოგრაფიაში დასხდნენ,

სადაც ტუშისა და საღებავების ისეთი მძაფრი სუნი იდგა. ადამიანს სული შეე-  
ტუთებოდა. შემდეგ საშას ბინაში წავიდნენ. მაგრამ აქაც პაპიროსის ბოლი იდგა  
და იატაკს ნაფურთხები ეტყობოდა. მაგიდაზე, სამოვრის გვერდით, დამტვრეუ-  
ლი თეფში და მუქი ქალაღი იდო. მაგიდაზეც და იატაკზეც უამრავი დახო-  
ცილი ბუზი ეყარა. ცხადი იყო, რომ თავისი ცხოვრება საშას დაუდევრად მოე-  
წყო, როგორც მოეხელთებოდა. ისე ანგარიშმიუცემლად ცხოვრობდა, ვეუფუ-  
ნებას არად აგდებდა და ვინმეს მასთან პირად ბედნიერებაზე, პირად ცხოვრება-  
ზე, მისადმი სიყვარულზე რომ ჩამოეგდო საუბარი, ვერაფერს გაიგებდა და  
მხოლოდ გაიცინებდა.

— ყველაფერი კარგად დასრულდა, — აღელვებული ყვებოდა ნადია, — შე-  
მოდგომაზე დედა ჩამოვიდა პეტერბურგში, მითხრა, ბებია აღარ ბრახობსო,  
მხოლოდ ეგ არის, ჩემს ოთახში შედის თურმე და კედლებზე სულ ჭვარს სახავს.

საშა გაღიმებული შეჰყურებდა, მაგრამ დროდადრო ახველებდა და გაბ-  
ზარული ხმით ლაპარაკობდა. ნადია აკვირდებოდა და ვერ მიმხვდარიყო, მარ-  
თლაც ძალიან ავადაა თუ ეჩვენებოდა.

— საშა, ძვირფასო, — უთხრა მან, — თქვენ ხომ ავად ხართ?

— არაფერია, ავად ვარ, მაგრამ ძალიან კი არა.

— ოხ, ღმერთო ჩემო, — აღელდა ნადია, — რატომ არ მკურნალობთ, რა-  
ტომ არ უფრთხილდებით საკუთარ თავს! — მას ცრემლები წასკდა. უცებ თვალ-  
წინ ცხადად დაუდგა ანდრეი ანდრეიჩი და შიშველი ქალი ლარნაკით, მთელი  
თავისი წარსული, რომელიც ახლა ისე შორეულად ეჩვენებოდა, როგორც  
ბავშვობა, ტიროდა იმის გამო, რომ მის თვალში საშა უკვე არ იყო ისეთი ინ-  
ტელიგენტური და საინტერესო, როგორც შარშან. — საშა, ძვირფასო, თქვენ  
ძალიან ავად ხართ, არ ვიცი, რას არ ვიღონებდი, ოღონდაც ასეთი გამხდარი  
და ფერმკრთალი აღარ იყოთ, როგორ ვარ თქვენგან დავალებული! ჩემო კარ-  
გო, ვერც კი წარმოიდგენთ, რა ბევრი რამ გამიკეთეთ. სინამდვილეში ახლა  
თქვენ ჩემთვის ყველაზე ახლობელი, ყველაზე მშობლიური ადამიანი ხართ.

ისინი დასხდნენ და კარგა ხანს საუბრობდნენ. მას შემდეგ, რაც ნადიამ ზამ-  
თარი პეტერბურგში გაატარა, საშას სიტყვები, ღიმილი, მთელი მისი არსებობა  
რალაც გარდასულს, ძველმოდურს, გადამღერებულს და უკვე მკვდარ წარ-  
სულს მოაგონებდა.

— ზეგ ვოლგაზე გავემგზავრები, — თქვა საშამ, — შემდეგ კი კუმისის  
დასაღვეად მიინდა წავიდე, ჩემთან ერთად ახალი ნაცნობი მოდის ცოლთან  
ერთად. საოცარი ადამიანი, მისი ცოლი, დღელამ ვეჩინებები და ჯერ ვერ და-  
ვიყოლიე, რათა სასწავლებლად წავიდეს. ცხოვრება მიინდა შეიცვალოს.

შემდეგ სადგურში წავიდნენ. საშამ ჩაიზე და ვაშლებზე დაპატიჟა, როცა  
მატარებელი დაიძრა, ღიმილით ცხვირსახოცს უქნევდა. ფეხებზეც კი ეტყობო-  
და, რომ მძიმედ იყო ავად და დიდხანს ვერ გაატანდა.

ნადია თავის ქალაქში შუადღისას ჩავიდა. სადგურიდან მომავალს ქუჩა  
ძალიან ფართო, სახლები პატარა და ჩაქვლეთილი მოეჩვენა. ქუჩაში ხალხის  
გაჭანება არ იყო. მხოლოდ ქალბალტოიანი გერმანელი შეხვდა, რომელიც  
ამწყობად მუშაობდა. ყველა სახლი თითქოს მტვერს დაეფარა.

სულ მთლად დაბერებული, მსუქანი და ულამაზო ბებია ნადიას მოეჩვენა.  
მხარზე თავი დაადო და დიდხანს ტიროდა. ნინა ივანოვნა, უფრო დაბერებული  
და დაუშნოვებული, თითქოსდა ჩამომჰკნარიყო, თუმცა უწინდებურად ტანზე  
შემოკერილი ტანსაცმელი ეცვა და თითებზე ბრილიანტები უბრწყინავდა.

— ჩემო საყვარელო! ჩემო ძვირფასო! — ამბობდა ის მთელი სხეულით აკანკალებული.

შემდეგ დასხდნენ და უხმოდ ატირდნენ. ეტყობოდა, ბებიაც და დედაც გრძნობდნენ, რომ წარსულს სამუდამოდ და საბოლოოდ დაესვა ჯვარი. მათ უკვე არც საზოგადოებრივი მდგომარეობა გააჩნდათ. არც უწინდელ დღისებამ და აღარც რჩეულთა სტუმრად მოწვევის უფლება. ასე ბრძანდებოდა როცა უზრუნველი ცხოვრების დროს სახლის პატრონს ღამით უცებ პოლიცია დააკრება თავს. სახლს გაუჩხრეკავს და აღმოჩნდება, რომ თურმე მას გაუფლანგავს. სიყალბე ჩაუდენია და ამიერიდან მშვიდობით. უზრუნველო ცხოვრება!

ნადია ზევით ავიდა. იქ იგივე საწოლი და იგივე თეთრი, უბრალო ფარდებიანი ფანჯრები დახვდა. ხოლო ფანჯრიდან მზით განათებული, მზიარული და ახმაურებული ბალი მოჩანდა. თავის მაგიდას შეახო ხელი, ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა. შემდეგ, უფრო გვიან, მადიანად ისადილა. ჩაიც დალია გემრიელ მსუყე ნაღებთან ერთად, მაგრამ მაინც რაღაც აკლდა. ოთახებში სიყაროვანი იგრძნობოდა. თითქოსდა ჭერიც დადაბლებულიყო. საღამოს, როცა დასაძინებლად დაწვა და საბანი დაიხურა, რატომღაც სასაცილოდ ეჩვენა, რომ ამ თბილ, ამ რბილ ლოგინში იწვა.

მცირე ხნით ნინა ივანოვნა შემოვიდა და ისე დაჯდა, როგორც სხდებიან ხოლმე დამნაშავენი. — მორიდებულად და ფრთხილად.

— როგორა ხარ. ნადია? — ჰკითხა მან მცირეოდენი დუმილის შემდეგ, — კმაყოფილი ხარ?

— კმაყოფილი ვარ, დედა.

ნინა ივანოვნა წამოდგა და ჯვარი გადასახა ნადიას და ფანჯრებს.

— როგორც ხედავ, მორწმუნე გავხდი. — თქვა მან, — ფილოსოფიით ვარ გატაცებული და სულ ვფიქრობ... ახლა ჩემთვის ბევრი რამ დღესავით ნათელი გახდა. უპირველეს ყოვლისა, მგონია, რომ მთელმა ცხოვრებამ, როგორც პრიზმაში, ისე უნდა გაიაროს.

— დედა, მითხარი, როგორ არის ბებია?

— თითქოს არა უშავს რა. მაშინ საშასთან ერთად რომ გაემგზავრე და შენგან გამოგზავნილი დეპეშა წაიკითხა, წაიქცა. სამი დღე უძრავად იწვა. შემდეგ სულ ლოცულობდა და ტიროდა. ახლა კი არა უშავს.

ის ადგა და ოთახში სიარულს მოყვა.

„ტიკ-ტოკ... — აკაკუნებდა დარაჯი, — ტიკ-ტოკ“...

— უპირველეს ყოვლისა საჭიროა მთელი ცხოვრება, როგორც პრიზმაში, ისე გადიოდეს. — თქვა მან. — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცნობიერებაში ცხოვრება უმარტივეს ელემენტებად უნდა დაიყოს, შვიდი ძირითადი ფერის მსგავსად. და ყოველი ელემენტი სათითაოდ იქნას შესწავლილი.

რა თქვა ნინა ივანოვნამ და როდის წავიდა, ნადიას არ გაუგია, რადგანაც მალე ჩაეძინა.

გავიდა მაისი და დადგა ივნისი. ნადია უკვე შეეჩვია სახლს. ბებია სამოვართან ფუსფუსებდა და ხმამაღლა ობრავედა; ნინა ივანოვნა საღამოობით თავის ფილოსოფიაზე საუბრობდა. სახლში ის კვლავ ღარიბი ნათესავივით ცხოვრობდა. ორი შაურიც რომ დასჭირვებოდა, ბებიასათვის უნდა ეთხოვა. სახლი ბუზებით იყო სავსე. ოთახში ჭერი თითქოს სულ უფრო და უფრო დაბლდებოდა. ბებიკო და ნინა ივანოვნა ქუჩაში არ გადიოდნენ. რაა სადმე მამა ანდრეისა და ანდრეი ანდრეიჩს არ გადააპროდნენ. ნადია სეირნობდა ბაღში, ქუჩაში, საბ-

ხლებსა და ნაცრისფერად შეღებულ მესერს ათვლიერებდა და ეჩვენებოდა, რომ ქალაქში ყველაფერი დაბერდა, დრომოკმული გახდა, ყველაფერი დასასრულს თუ რაღაც აბალგაზრდულის, ახლის დასაწყისს ელოდება, რაღაც ჩქარა დაიწყოს ეს ახალი ნათელი ცხოვრება, როცა შესაძლებელი იქნება ჰიროდაბირ და გაბედულად შეხედო თვალებში საკუთარ ბედს. მარტოველი მარტოველი იგრძნო თავი, იყო მზიარული, თავისუფალი! და ასეთი ცხოვრება ადრე თუ გვიან დაიწყება, ხომ დადგება ისეთი დრო, როცა ბებიას სახლი, სადაც ოთხი მოსამსახურე სარდაფში, სიბინძურეში, ერთ ოთახში ცხოვრობს, უკვალოდ გაქრება და აღარავის გაახსენდება. ნადიას მხოლოდ ბიჭუნები ართობდნენ მეზობელი ეზოდან, როცა ბაღში სეირნობდა, ისინი მესერზე უკაკუნებდნენ და სიცილით აბრაზებდნენ:

— საპატარძლო, საპატარძლო!

სარატოვიდან საშას წერილი მოვიდა, თავისი მზიარული, მოცეკვავე ასოებით იტყობინებოდა, რომ ვოლგაზე მოგზაურობამ მთლიანად გაუმართლა იმედები, მაგრამ სარატოვში ცოტა უქვიფოდ შეიქნა, ჰმა დაკარგა და ორი კვირაა სავადმყოფოში წევს. ნადია მიხვდა, რასაც მოასწავებდა ეს, და ავი წინათგრძნობა, რომელიც რწმენას უფრო ჰგავდა, სავსებით დაეუფლა, ოღონდ ეს წინათგრძნობა და ფიქრები უკვე ისე არ აღელვებდნენ, როგორც უწინ, მაგრამ არ სიამოვნებდა, ნადიას გულმხურვალედ სწყუროდა სიცოცხლე, პეტერბურგში წასვლა და საშასთან ნაცნობობა უკვე სასიამოვნო, მაგრამ შორეულ წარსულად ეჩვენებოდა, მთელი ღამე არ ეძინა, ხოლო დილით ყურგამახვილებული იჯდა ფანჯარასთან, მართლაც ქვევიდან რაღაც ხმები მოესმა, შემფოთებულმა ბებიამ სწრაფად იკითხა რაღაც, შემდეგ ვიღაც ატირდა... როცა ნადია ქვევით ჩავიდა, ბებია, ნამტირალევი, კუთხეში იდგა და ლოცულობდა, მაგიდაზე დებეშა იდო.

ნადია დიდხანს დადიოდა ოთახში და უსმენდა ბებიას ტირილს, შემდეგ დებეშა აიღო და წაიკითხა, რომ გუშინ სარატოვში კლექისგან გარდაიცვალა ალექსანდრ ტიმოფეიჩი ანუ, უბრალოდ, საშა.

ბებია და ნინა ივანოვნა პანაშვილის შესაკვეთად წავიდნენ ეკლესიაში, ნადია კი კარგა ხანი დადიოდა ოთახებში და ფიქრობდა, იგი ნათლად გრძნობდა, რომ მისი ცხოვრება, როგორც ეს საშას უნდოდა, ისე გადატრიალდა, რომ ის აქ მარტოსული, უცხო და ზედმეტი, რომ ეს ყველაფერი მისთვის უსარგებლოა, რომ ყველაფერი უწინდელი, მისგან მოწყდა, გაქრა, თითქოს დაიფერფლა და ფერფლი ქარმა გაფანტა.

საშას ოთახში შევიდა და მცირე ხანს უძრავად იდგა, „მშვიდობით, ძვირფასო საშა!“ — ფიქრობდა იგი და წინ ეხატებოდა ახალი, ფართოდ გაშლილი, ჯერ კიდევ გაურკვეველი, საიდუმლოებით აღსავსე ცხოვრება, რომელიც თავისკენ იზიდავდა და უხმობდა.

მან თავის ოთახს მიაშურა და ბარგის ჩალაგებას შეუდგა, მეორე დილით კი თავისიანებს დაემშვიდობა და ხალისიანად, მზიარულად დატოვა ქალაქი, როგორც თვითონ ფიქრობდა, სამუდამოდ.



გერმანულიდან  
თარგმნა ბადრი გუგუშვილმა

### ბერტოლტ ბრეხტი

#### გაწყვეტილი თოკი

გაწყვეტილ თოკს  
ბოლოებით ისევ გადასკვნი  
და შეიძლება გამოიყენო,  
მაგრამ იგი  
გადაწყვეტილი იქნება მაინც.

შეიძლება  
ჩვენ ისევ შევხვდეთ ერთმანეთს,  
მაგრამ სადაც შენ მიმატოვე,  
აწი ვერასდროს ველარ შევხვდებით  
იქ!..

#### ბოროტის ნილაბი

ჩემს კედელზე  
იაპონური ხის ნაკეთობა.

ბოროტი დემონის ნილაბი ჰკიდია,  
ოქროსფერი ლაქით რომაა მოხატული.  
თანაგრძნობით შევყურებ  
შუბლის დაბერილ ძარღვებს,  
რომლებიც მაგებიანებენ —  
თუ რა ძნელია იყო ბოროტი.

#### კვამლი

ტბის ნაპირას,  
მაღალ ხეებში,  
პატარა სახლი,  
სახურავიდან ამოდის კვამლი,  
ის რომ არა,  
რა უნუგეშონი იქნებოდნენ —  
სახლი, ხეები, ტბა.

### ივან გოლი

#### კმნილება

I

სადღაც დაიმსხვრა ზეცის ფიალა,  
მზე დაჭრილივით აფართხალდა  
და ოქრო-ლავა სისხლად ამოსკდა  
ხახადაღებულ შიშველ ნაპრალებს.

სხივებს ჰფენდა ვარდისფერი ზღვა  
ტალღათ გაზაფხულს  
და მოშრიალე პალმა ხარობდა.  
მარჯნებზე კი მწიფდებოდა  
ვარსკვლავთ ნაყოფი.

სადღაც შეიძრა მთათა ჯაჭვი  
გაქვავებულ მყინვარებამდე

და პირველი წვეთი,  
მდელოს ცრემლად რომ დაეპყრა,  
იყო პირველი ღიმილი ღვთისა.

II

ნაპერწკლოვანი და დატოტვილი  
სამრიგად ქავლი —

მუნჯ ოკეანეს აღმოხდა სიტყვა:  
ამოკიაფდა მიწის ნაპირი.

გონის ცისფერი ჩაქუჩები  
და ანგელოსთა ფლეიტები  
აციმციმებულ ცისკიდურზე ჰანგებსა  
ჰფენენ.

ბნელის დაპყრობილ სამანებთან  
შუბლში ისარგარკობილი იდგა ძე  
კაცის,  
ტრიუმფალური თალივით გაღებულ  
პირით  
და უბრძანებდა მზეს — შეჩერდიო!

III

ბორცვთა კორწილზე  
იასამანი ჩანჩქერით მოაწყდა  
მინდვრებს

სამყაროთი აღვსილები იყვნენ ხეები  
და საფეთქლები მიახეთქეს მფეთქვე  
გაზაფხულს.



იქ, მიწურიდან,  
ამოიჭრა ქარიშხალი ოქროს-ლორღინეს  
ზეცასა და მიწას შორის მიმობნეული.

ადამიანი იდგა, როგორც  
მიწიერა სიმღერის სვეტი.  
სიყვარულის დიად კალთიდან —  
ურვისაგან გაქვავებული  
აღსდგა ღვთაება.

### პოეტის სიკვდილი

ვარსკვლავები იყანგებიან  
მათ ნელ-ნელა ეკიდებათ ყინვისგან  
ქანგი  
წვიმს და ქარი მიმოიქნევს  
დამსხვრეულ ფრთებს  
კივის, კივის  
მთვარის კრატერივით გაციებული  
ეს ჩემი გული  
ვიყინები ნელა  
ვიყინები სამყაროს მეორე ნაპირზე,

## გიუნთქარ აივი

### მოგვიანებით

უკუვაგდებ ჩემს გამოცდილებებს  
და შეუსვენებლად  
გადავითვლი  
92, 93 და ასე შემდეგ.  
ნებისმიერ შემთხვევაში

ვინმეს შევუთანხმდები  
და ერთად შევხვდებით ახალი  
1999  
წლის ღამეს.  
მოგვიანებით კი მთებში გავწევ,  
ან ძველებურ დივანზე მოვიკალათებ.  
მახარებს ეს უმნიშვნელო  
ცვლილებები.

### წვიმის უსტარი

ჩემთვის გამოგზავნილი წერილი,  
დოლის ხმებით რომ გადაეცემა წვიმიდან წვიმას.

შიფერიდან კრამიტის სახურავს,  
 ავადმყოფობასავეთ, კონტრაბანდასავეთ  
 დაუპატივებლად მიაკითხავს მას,  
 ვისაც არ სურს მისი მიღება.



გერმანული  
 კულტურის ცენტრი

ფანჯრის მძლავრ ყრუდ ხმაურობს თუნუქის რაფაზე  
 მოქლარუნე ასოები ერთიმეორეს უფრთხედებიან  
 და წვიმა იმ ენით ლაპარაკობს —  
 მე რომ შეგონა.  
 თითქოს ჩემ გარდა არვინ იცოდა.

გაოგნებული ვუსმენ  
 სასოწარკვეთის სტუმარს,  
 გაჭირვების უსტარს,  
 საყვედურის უსტარს  
 და მწყინს,  
 რადგან იგი ჩემთვისაა გამოგზავნილი,  
 მე კი ვიცი, არაფერში არა მაქვს ბრალი.

ხმას ვიმაღლებ:  
 არ მეშინია არც წვიმის, არც ამ საჩივრებისა  
 და არც მათი გამოგზავნელის,  
 რადგან ჩემთვის ხელსაყრელ დროს  
 გარეთ გავალ და მათ პასუხს გავცემ.

### ერთი ზაფხულის დასასრული

ვინ ისურვებდა ცხოვრებას  
 ხეთაგან მოფენილი სიმშვიდის გარეშე!  
 კარგია, მათაც თავისი წილი რომ აქვთ კვდომაში,  
 დაიკრიფა უკვე ატამი. ქლიავმა კი ფერი იცვალა,  
 ხიდის თაღქვეშ დრო მიჩხრიალებს.

ცაზე ფრინველთა გადაფრენას მივანდობ  
 იმედგაცრუებას  
 და ისიც თავისწილ მარადისობას მომიზომავს;  
 მათი გზები  
 ფოთოლთა შორის გამომწყვდეულ ბნელ იძულებას  
 დამანახვებს,  
 ფრთების ფარფატი ფერავს ნაყოფებს.

მოთმინება გმართებს.  
 ამოხსნიან ფრინველთა ტრაქტატს  
 და ენის ქვეშ პფენინგის\* გემოსაც იგრძნობ.

\* პფენინგი — გერმანული კაპიტანი



**დაუკვირდი თითის ბოლოებს**

დაუკვირდი თითის ბოლოებს,  
შემთხვევით ფერი ხომ არ იცვალეს?!



ერთ მშვენიერ დღეს  
კვლავ გვესტუმრება შავი ქირი,  
აღმოფხვრილი რომ კვგონია.  
ფოსტალიონი წერილივით ჩააგდებს უამს ეღრიალა  
უუთში.

შენი ულუფა ქაშაყივით გიძევს წინ, თეფშზე;  
შავი ქირი —  
დედა მკერდივით უწვდის მას შვილებს.

ოწვით, რა ვიღონოთ,  
თუ დღეს უკვე არავინაა მათგან ცოცხალი,  
ვისაც ესმოდა, კირთან როგორ მოქცეულიყო?  
ვინც მეგობრობს საშინელებას,  
მას ძალუძს კიდევ მშვიდად ელოდოს იმის  
სტუმრობას.

ბედნიერების დასახვედრად ვემზადებით ჩვენ  
დღენიადაგ,  
მას კი ჩვენ ფაფუკ სავარძელში ჯდომა არ უყვარს.

დაუკვირდი თითის ბოლოებს!  
უკვე გაშავდნენ?  
იციოდეთ, რომ დაგაგვიანდათ!

**ფრაგმენტი**

ღრუბელთა ჯოგი მიუყვება ცის მაღალ ფერდობს,  
ნაადრევად ბნელდება უკვე და მბეჭუტავი ნათურებიდან  
შემოდგომა მოიღვენთება.

ხომ ცნობ, ეს ისევ ნოემბერია,  
დაგვემშვიდობნენ მდელოები და ტყის სურნელიც შორსაა ჩვენგან.  
გახსოვს, კრულ პეპლებს დადევნებული შენი ბავშვობა.

განვლო ყოველმა, ვით ქარით სავსე ამონასუნთქმა.  
გრილ დღეთა შორის მარადისობა მშვიდად ჩამოდგა.  
გესმის, წვიმაში ბავშვი როგორ უკრავს ფლეიტას.

ხეები ნელა შეჭამა ეანგმა.  
გარეულ იხვთა ანაფრენივით  
მოჩანს ლერწმებში ვარსკვლავთა ზომლი.



გერმანულიდან  
თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

\* \* \*

ჩემი ცრემლით გაიფურჩქნა  
ყვავილები ველად.  
ჩემი გულის კვნესა იქცა  
ბუღბუღების სტვენად.

ყველა, ყველა, ყველა ყვავილს  
შენ მოგიძღვნი, ბალო,  
და ბუღბუღი აკვნესდება  
შენი სარკმლის აბლოს.

\* \* \*

თვალეებში ლურჯი კესანე —  
დილის ლაყვარდის ფარდი,  
ხელებზე — თეთრი შროშანი,  
ხოლო ლაწვეებზე — ვარდი. —  
კვლავ მთელი ეშხით უყვავის  
ეგზომ სასურველ სატრფოს,  
ოღონდაც აი, პაწია —  
გული დაუქცნა მარტო.

\* \* \*

ტურფა მაისი კიაფობს,  
აყვავდა მთა და ბარი,  
ზეცის ლაყვარდებს მიაპობს  
ფერადი ღრუბლის ჯარი.

გაუბამო ტკბილი ჰანგები  
ტრევის უბადლო მგოსნებს,  
დაბტიან თეთრი ბატკნები  
მწვანე და ფაფუკ მოლზე.

ბალახზე ვწევარ სნეული,  
ვერ ვხტი და ვმღერი ლალად;  
ჩამესმის ხმა შორეული  
და მეზმანება რალაც.

\* \* \*

მზის, შროშანის, ვარდისა და მტრედის  
ნეტარ ტრფობას ვატარებდი მკერდით:  
ერთს გაულე ახლა გულის კარი,  
პატარაა, სათნო, სანუკვარი;  
სულიც ტკბება მისით, გულიც ხარობს,  
თვითონ არის სიყვარულის წყარო.

\* \* \*

როდესაც შენი სახლის წინ  
ჩავივლი ხოლმე დილას,  
მახარებს, ჩემო პატარავ,  
სარკმელთან შენი ხილვა.

ეგ გიშრისფერი თვალეები  
შენს ცნობისწადილს მამცნობს:  
„ვინა ხარ და რა გტკივაო,  
უცხო, სნეულო კაცო?“

„ვარ გერმანელი პოეტი,  
ჩვენში ცნობილი კარგად;  
ვინც რჩეულთ სახელს ახსენებს,  
ჩემსასაც იტყვის ალბათ.

და რაც მე მტკივა, აქ სხვებსაც  
ბევრს სტანჯავს გულის შიგნით;  
ვინც მწვავე ტკივილს ახსენებს, —  
ჩემსასაც იტყვის იგი“.

\* \* \*

ეს ზღვა თითქოს ოქროსია,  
მზეზე ისე ბრწყინავს;  
როცა მოვკვდე, იმის ფსკერზე  
მიმიჩინეთ ბინა.

მე ზღვა მხიბლავს  
და ვნებიერობ  
მის უბეში ლაღად,  
გულს ედება საღბუნეით  
უნაზესი ტალღა.

\* \* \*

ვიშ. რა საამო ხმებია,  
რა სანეტარო, რა კარგი.  
სულს მიტკობს, გულს მიხალისებს  
მდელი, ზურმუხტით ნაქარგი.  
ეს — გაზაფხული გვიგალობს,  
ეს — მისი ფარჩის ფერია,  
იმდერე უფრო ძლიერად,  
ჩემო ლამაზო ფერია,  
ჩამოაწვდინე ჩემს ბაღჩას  
ჰანგები შენი მკუხარი.

და თუ იქ ვარდი შენიშნო,  
ჩემი საღამო უთხარი!



\* \* \*

ვერ ვძლევდი ტანჯვას  
ასე ვფიქრობდი დიდხანს,  
და მაინც გადავიტანე,  
თუ როგორ — ნულარ მკითხავთ!

\* \* \*

ვარსკვლავები აბიჯებენ ფრთხილად  
ცაზე, ოქროს ფეხებს პაწაწინას,  
რომ ხმაურით არ დაუფრთხონ ძილი  
ლამის კალთით გადახურულ მიწას.  
ტყე მდუმარე ამახვილებს სმენას,  
განაბულა თვალუწვდენი ველიც,  
და მთას, სიზმრის ბურუსშია  
თითქოს. —

გაუწვდია წინ ვეება ხელი.  
რა ხმა ისმის, რომ იჭრება გულში  
სასოებით, ხალისით და ეშხით? —

ჩემი სატრფოს ჩურჩულია ნაზი.  
თუ ბულბული გალობს მწვანე ტევრში.

□



თარგმნა

გურამ გოგიავილიძე

სოფელი უკლევო ხევში იყო, ამიტომაც შარაგზიდან და რკინიგზის სადგურიდან მარტო სამრეკლო და საჩითავი ფაბრიკების მიღები ჩანდა. გამვლელნი როცა კითხულობდნენ, რა სოფელიაო, ეუბნებოდნენ:

— ეგ ის არის, სადაც დიაკვანმა ქელეხში მთელი ერთი ქილა ხიზილალა შეჭამაო.

ერთხელ მეფაბრიკე კოსტიუკოვს ჭირის სუფრა ჰქონოდა; მავან ბებერ დიაკვანს საუზმეულში დიდმარცვლოვანი ხიზილალა დაენახა და დაჭიმიტებულს დაეწყო ჭამა; ზოგს თუ მუჯღუგუნი წაეკრა, სხვას სახელო დაეწია, მაგრამ დიაკვანი სიამოვნებისგან თითქოს გახევებულიყო: თურმე არცრასა გრძნობდა, იდგა და იღმურძლებოდა. სინამ ოთხგირვანჭიანი ქილა სულ არ ამოეჭამა, თავი არ გაენებებინა, და უკვე ბებერი წყალი იყო მას აქეთ ჩავლილი, ის დიაკვანი ცოცხლებში აღარ ერია, ხიზილალის ამბავი კი სუყველას ახსოვდა, ან ცხოვრება იყო აქ ასე უბადრუკი, ანდა ხალხს არა ჰქონდა მეტის შემჩნევის თავი და აკი ვერც ვერაფერი შეემჩნია ათი წლის წინათ მომხდარი ამ უმნიშვნელო შემთხვევის გარდა, ოღონდ ის კია, რომ სოფელ უკლევოზედ სხვას არას ჰყვებოდნენ.

უკლევო ციების ბუდე იყო, აქ ზაფხულობითაც კი ლაფი იდგა, მეტადრე იმ ღობეების ძირებში, ზედ უხვჩრდილიან ბებერ ტირიფებს რომ დაენარათ ტოტები. მთელ სოფელში მუდამ სუნი ტრიალებდა ათასგვარი რამ წარმოების ნარჩენისა და ძმრისმკავასი, რომელსაც ჩითის გამოყვანისას იყენებდნენ, ფაბრიკები — სამი საჩითავი და ერთი სადაბალო — თვითონ სოფელში კი არა, სოფელგარეთ, მოშორებით იყო, დიდი არც ერთს არ ეთქმოდა, და სუყველაში ერთად ოთხასამდე მუშა თუ მოსაქმეობდა, მეტი არა, სადაბალოს გამოისობით მდინარეში წყალი ყარდა, მორეული უწმინდურება წამლავდა ბალახს, აქაური გლეხკაცობის პირუტყვს სულ ერთიანად ჯილენი სჭირდა, და დაბაბანის დაკეტვა აკი ნაბრძანებიც იყო. უკვე დაკეტილადაც ითვლებოდა, მაგრამ უბნის ბოქაულისა და სამაზრო ექიმის ნებართვით ჩუმად მუშაობდა, რისთვისაც დაბაბანის მფლობელი ყოველთვეობით თუმან-თუმანს აძლევდა ბოქაულსაც და ექიმსაც, მთელ სოფელში ორად ორი რიგიანი სახლი იდგა, ორივე ქვისა, რკინით გადახურული; ერთში თემის გამგებლობა იყო, მეორეში, ორსართულიანში, ზედ ეკლესიის პირდაპირ, ციბუკინი ცხოვრობდა, გრიგოლ პეტროვი, ეპიფანელი მეშხანი.

გრიგოლს საბაყლო ჰქონდა, ოღონდ ოდენ სხვათა თვალის ასახვევად, სინამდვილეში არაყით, ხვასტაგით, ტყავეულით, ხორბლით, ღორებით ვაჭრობდა და არც კიდევ სხვას რასმ იწუნებდა სავაჭროდ, რასაც დაიხედობოდა. როცა, მაგალითად, საზღვარგარეთ ქალის ქუდებისთვის კრელად ნაკვეთ თავსაკრავზედ მოთხოვნილება გაჩნდა, თითო წყვილ თავსაკრავზე ექვს-შეშვარს იგებდა. ტყეს გასაჩენად ყიდულობდა, მევახშეობდა, საერთოდ მთხრობი ბერიკაცი იყო.

შვილი გრიგოლს ორი ჰყავდა. უფროსი, ონისიმე, პოლიციაში მსახურობდა, სამძებრო განყოფილებაში, და შინ ძვირად მოდიოდა. უმცროსი, სტეფანე, ვაჭრობას მიჰყვა და მამას ეხმარებოდა, თუმცა იმისგან დიდი დახმარების იმედი არა ჰქონდათ, რადგან ჭანსუსტი და ყრუჩუნა იყო; იმისი ცოლი აქსინია, ლამაზი, წერწეტა ქალი, ბედნიერ დღეს მზის ქუდითა და ქოლგით რომ იცოდა სიარული, დილაბინდზედ დგებოდა, გვიან წვებოდა და მთელი დღე მუხლს არ ჩახრიდა, კალთებაკეცილი დააჩხრიალებდა კლიტეებს, ხან ბედელში იყო, ხან მარანში, ხან დუქანში, და ბერი ციბუკინი მხიარულად გასცქეროდა ხოლმე რძალს, თვალები უბრწყინდებოდა და თან ვულში ნანობდა, რომ აქსინია უფროსი ბიჭისა კი არა, უმცროსის ცოლი იყო, ყრუჩუნასი, რომელსაც ქალის სილამაზისაალობათ ბევრი არა გაეგებოდა რა.

ბერიკაცი ყოველთვის ოჯახური ცხოვრების ტრფიალი იყო და ქვეყნად ყოვლის უფრო თავისი ოჯახი უყვარდა, მეტადრე უფროსი ბიჭი-მამებარი და რძალი. აქსინიამ, ყრუჩუნას ცოლი გახდა თუ არა, მაშინვე უჩვეულო ფხა გამოიჩინა და უკვე იცოდა, ვისთვის ნისიად უნდა გაეტანებინა, ვისთვის არა, კლიტეები თან დაჰქონდა, ქმარსაც კი არ ანდობდა, საანგარიშოს აჩხაკუნებდა, ცხენებს კბილებში უყურებდა, როგორაც გლეხკაცმა იცის, და სულ კისკისებდა ანდა ცაცხანებდა; და რა საქმეშიც, რა ლაპარაკშიც არ უნდა შესწრებოდა, იმის შემყურე ბერიკაცს გული უჩუყდებოდა და ბუტბუტებდა:

— აი შენ კი გენაცვალე, ჩემო რძალო! მართლა სოფლის თვალო...

გრიგოლ ციბუკინი ქვრივი იყო, მაგრამ შვილის ქორწილის წლისთავზედ ველარ მოითმინა და თვითონაც მოიყვანა ცოლი... ქალიშვილი ქალი უბოვეს უკლეევოდან ოცდაათ ვერსზედ, ბარბარე ერქვა, კარგი ოჯახიშვილი იყო, უკვე ხნიანი, ოღონდ ლამაზი, მონდენილი. როგორც კი ბარბარე ზედა სართულის ერთ პატარა ოთახში დაბინავდა, მთელ სახლს შუჭი მოეფინა, თითქოს ფანჯრებს ერთიანად ახალი მინები ჩაუსვესო. აინთო ბაზმები, მაგიდებს უმტვერო თოვლივით ქათქათა სუფრები დაფარდა. ფანჯრებზედ და ბაღში წითელკოკრიანი ყვავილები გაჩნდა, და სადილად რომ სჩდებოდნენ, უკვე ერთი ჯამიდან კი აღარ შეეჭყეოდნენ. სუყველას თავ-თავისი თეფში ედგა. ბარბარე დიდპატარას სათნოდ, აღერსიანად უღიმოდა, და გარშემო თითქოს ყველაფერი იღიმებოდა. ეზოში, რაც ადრე არც როდის მომხდარა, გლახაკთ, უცხო მგზავრთ, ღვთის მსახურ დედაკაცთ იწყეს სიარული; ფანჯრებთან საწყალობლად, ღიღინის ხმაზედ ავიშვიშდნენ და ავაგლახდნენ უკლეევოელი დიაცნი. იქავ დილით დილამდე ქოჩსა კრავდნენ დარცხვენილად მხველარე სოფლის კაცნი, ჭანგამოლეულნი, ჩამომხმარნი, ფაბრიკებიდან ლოთობის გულისთვის დათხოვნილნი. ბარბარე ფულით, პურით, ძველძვეულით უმართავდა ხელს, შერე კი, ფეხი კარგად რომ მოიკიდა, ზოგ-ზოგი რამ დუქნიდანაც გამოჰქონდა. ერთხელ ყრუჩუნამ თვალი შეასწრო, როგორ გაიტანა მან ორი პარკუჭანა ჩაი, და ამ ამბავმა ააფორიაქა.

— დედაჩემმა ორი პარკუჭანა ჩაი აიღო, — შეატყობინა ყრუჩუნამ მერე მამას. — სად ჩავწერო?

ბერიკაცს არაფერი უპასუხნია, ერთხანს დაფიქრებულ იდგა, თან წარბებს არხევდა, და უცებ გაეჩქარა, ზევით ცოლს მიაშურა.

— ბარბარე, დუქანში თუ რამ დაგჭირდეს, — უთხრა აიღე, არ მოგერიდოს, არც დაეჭვდე.

და მეორე დღეს ყრუჩუნამ, ეზოს რომ გადარბოდა, გასძაბა ბარბარეს:

— დედი, თუ რამ გინდოდეთ, ინებეთ!

იმ ამბავში, რომ ბარბარე მოწყალებას არ იშურებდა, იყო რაღაც ახალი, რაღაც სიხარულისმომგვრელი და სათუთი, ვით ბაზმებსა და წითელ ყვავილებში. როცა აღებლამეს ანდა ხატობაში, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა, გლეხებს მარილში ჩადებულ დამპალ ზორცს ასაღებინებდნენ, ისე ასუნებულს, რომ კასრთან დგომა ჭირდა, და მთვრალთ გირაოდ ცელებს, ქედებს და ცოლების თავშლებს ართმევდნენ. როცა მუშა ხალხი, უბეირო არაყით დაბანგული, ტალახში ეყარა, და ცოდო-ბრალი, თითქოსდა შედედებული, უკვე ჯანლად იდგა პაერში, მაშინ რაღაცნაირად ერთგვარ შვებას აძლევდა ადამიანს იმის ფიქრი, რომ იქ, ციბუკინიანთ სახლში, ცხოვრობდა წყნარი, პეწენიკი ქალი, რომელსაც არა ესაქმებოდა რა არც მარილში ჩადებულ ზორცთან და არც არაყთან; წყალობა ბარბარესი ისე მოქმედებდა ამ მძიმე, ჯანლიან დღეებში, როგორაც დამცველი სარქველი მანქანაში.

ციბუკინის ოჯახში საზრუნავი არ ილევოდა. ჯერ მზე ამოსულიც არ იყო ხოლმე, რომ აქსინია უკვე ფრთქვინავდა, წინკარში პირს იბანდა, სამზარეულოში სადულარი დუღდა და რაღაც ავის მომასწავებლად თუხთუხებდა. დაჯედა, ერთი მუჭა გრიგოლ პეტროვი გრძელ შავ სერთუქს და ჩითის საწმერთულს იმოსავდა, მაღალყელიან პრილა ჩექმებს იცვამდა, და ასე გამოწკეპილი მთელ ოთახებს უვლიდა, ქუსლებს დააბაკუნებდა, როგორც რომ ერთ ცნობილ სიმღერაში მავანი და მავანი მამამთილი, დუქანს სისხამზედვე აღებდნენ, როცა სინათლე იძალებდა, პარმალთან ოთხთვალას მოაყენებდნენ და ბერიკაცი ყოჩაღად შეხტებოდა ზედ, თან თავის დიდ კარტუზს ყურებამდე ჩამოიფხატავდა, და ვისაც არ უნდა შეეხედა, ვერაფერ იტყოდა, რომ უკვე ორმოცდათექვსმეტისა იყო. გასაცილებლად ცოლი და რძალი გამოდიოდნენ, და ამ დროს, როცა ტანთ პეწიანი, სუფთა სერთუკი ეცვა და ოთხთვალაში ზორბა შავრა ულაცი ჰყავდა შებმული, სამას მანეთად ღირებული, ბერიკაცს არ უყვარდა, სოფლელნი რამის სათხოვნელად ან საჩივლელად რომ მოდიოდნენ; დანახვა არ უნდოდა იმათი, სძაგდნენ და თუ თვალს მოჰკრავდა, რომ სოფლის კაცი ვინმე ჭიშკართან უცდიდა, გულგამწყრალი შეუტევდა:

— მანდ რას უდგებარ! წადი, გაიარე!

ანდა დაუყვირებდა, თუ ის მათხოვარი იყო:

— ღმერთი მოგცემს!

ბერიკაცი საქმეებზედ მიდიოდა; თალხად ჩაცმული ბარბარე, შავარდაგაფარებული, ოთახებს ალაგებდა ან სამზარეულოში ეხმარებოდა. აქსინია დუქანში ვაჭრობდა, და ეზოში ისმოდა ბოთლებისა და ხურდა ფულის წკრიალი, ისიც ისმოდა, როგორ იცინოდა აქსინია ანდა როგორ ყვიროდა, და როგორ ჯავრობდნენ მყიდველნი, რომელთაც ის აბუჩად იგდებდა, და იმავე დროს აშკარად ჩანდა, რომ იქ, დუქანში, არაყით ფარული ვაჭრობა იყო უკვე ყრუჩუნაც დუქანში იჭდა ხოლმე ან არადა უქედოდ, ჯიბეებში ხელუბჩაწყობილი,

ქუჩაში დაყილებდა და ხან აქეთ-იქით ჩამწკრივებულ ქონმახებს აცქერდებოდა უსაგნოდ, ხანაც მალლა ცაში აიყურებოდა. დღეში ექვსჯერ მაინც სვამდნენ ჩაის; ოთხჯერ პურის საკმელად სხდებოდნენ. სალამოთი კი ნაუკროსი იყლიდნენ და იწერდნენ, მერე გულიანად ეძინათ.

უკლევოში სამივე საჩითავი ფაბრიკა და სუყველა მეფაბრიკე უფროსი ხრიმინებისაც, უმცროსი ხრიმინებისაც და კოსტიუკოვებისაც ფონით იყო შეერთებული. ტელეფონი გაიყვანეს თემის გამგებლობაშიც; ოღონდ იქ მალე მოიშალა, რადგან შიგ ბაღლინჯო და აბანოს ჭია გაუჩნდა. თემის მამასახლისი მცირემცოდნე კაცი იყო და ქალაქებში ყოველ სიტყვას ასომთავრულით წერდა, მაგრამ ტელეფონი როცა გაფუჭდა, მაშინვე ისა თქვა:

— არა, უტელეფონოდ გაგვიჭირდება.

უფროსი ხრიმინები სულ უმცროსების ჩივილში იყვნენ, ხან უმცროსებიც ჩხუბობდნენ ერთმანეთში, სასამართლოში ჩიოდნენ და მაშინ იმათი ფაბრიკა თვეობით, ორთვეობით არ მუშაობდა, სანამ ისევ არ შერიგდებოდნენ, და ეს ამბავი გასართობად ჰქონდათ უკლევოელთ, რადგან ყოველი ახალი დავიდარების გამო ათას რასმე ლაპარაკობდნენ და კორაობდნენ. ბედნიერ დღეებში კოსტიუკოვმა და უმცროსმა ხრიმინებმა ეტლაობა იცოდნენ. დააქროლებდნენ უკლევოში ეტლებს და ხან ვის ხბოს გაიტანდნენ, ხან ვისას. გამოპრანჭული აქსინია გახამებული ქვედატანის შარიშურით დასეირნობდა ხოლმე ქუჩაში თავიანთი დუქნის შორიანლო; უმცროსი ხრიმინები ჩამოუჭროლებდნენ, სტაცებდნენ ხელს და ვითომ ძალით მიჰყავდათ. მაშინ გამოვიდოდა ბერი ციბუკინიც, რათა თავისი ახალი ცხენი გამოეჩინა, და ბარბარეს თან იახლებდა.

სალამოთი, ეტლაობის შემდეგ, როცა დასაძინებლად წვებოდნენ, უმცროსი ხრიმინების ეზოში ძვირფასიან გარმონს უკრავდნენ ხოლმე, და თუ მთვარე ანათებდა, გარმონის ხმას აყოლილ გულს მღელვარება და სიხარული იპყრობდა, და უკლევო უკვე ორმოს აღარა ჰგავდა.

11

უფროსი ბიჭი ონისიმე შინ იშვიათად, მზოლოდ დიდ ბედნიერ დღეებში ჩამოდოდა, მაგრამ სამაგიეროდ ხშირად ატანდა თავისი სოფლის ხალხს ძღვენს რასმე და მოკითხვის წიგნებს, სხვა ვიღაცის ძალზედ ლამაზი ხელით მუდამ თაბახ ქალაქზედ ჩაწიკწიკებულს. ის წერილები არზასავით იკითხებოდა, ისეთი გამოთქმებით იყო სავსე, ონისიმე ლაპარაკში რომ არ იყენებდა. „საყვარელო დედაჩემო და მამაჩემო, გიგზავნით ერთ გირვანქა ყვავილის ჩაის თქვენი ფიზიკური საჭიროების დასაკმაყოფილებლად“.

ყოველი წერილის ბოლოს მიჩნაპნილი იყო, თითქოს გაფუჭებული კალმის წვერით: „ონისიმე ციბუკინი“, და ამისა ქვეშე ისევ იმავე ჩინებული ხელით: „აგენტი“.

წერილებს ხმამაღლა არა ერთხელ და ორჯერ კითხულობდნენ და ბერიკაცი, გულაჩუყებული, მღელვარებისგან წამოჭარხლებული, იტყოდა ხოლმე:

— შინ ყოფნა არ ინდომა, სწავლას გაჰყვა, რას იზამ! ყველას თავისი ყისმათი აქვს.

ერთხელ ყველიერის წინ დიდი თოვლ-ქყაპი წამოვიდა. ბერიკაცი და ბარბარე ფანჯარასთან მივიდნენ გარეთ გასახედად, და რას ხედავენ — ონისიმე

მარხილით მოდის სადგურიდან. სრულებით არ ელოდნენ. ონისიმე ამღვრეული და რაღაცაზედ გულახრჩვეული შემოვიდა, და ამის მერე აღარც გამოცვლილა; სულ მარზედ იყო. კაღნიერად ეჭირა თავი. წასვლას არ ასწრაფოდა. ისეთნაირად იქცეოდა, სამსახურიდან დათხოვნილსა ჰგავდა. ბარბარეს გულით უხაროდა ონისიმეს ჩამოსვლა. რაღაც ეშმაკურად შეაეღებდა ხოლმე თვალს, თბრავდა და თავს აკანტურებდა.

— აბა, სადაური ამბავია, ბატონო? — ამბობდა ბარბარე. — ეკ-ჰეკ-ეკ, ბიჭო უკვე ოცდამერვე წელიწადშია და ისევ უცოლოდ დადის. ეკ-ჰეკ-ეკ...

ბარბარეს წყნარი, აუჩქარებელი მეტყველება მეორე ოთახიდან ასეთნაირად ისმოდა: „ეკ-ჰეკ-ეკ“. მერე იმდენს ეჩურჩულა ბარბარე ბერიკაცსა და აქსინიას, რომ საბეზედ იმათაც ეშმაკობა და იღუმალი რამ გამომეტყველება აღებეჭდათ შეთქმულებსავით.

გადაწყვიტეს ონისიმეს დაოჯახება.

— ეკ-ჰეკ-ეკ! პატარა ძმას რა ხანია ქალი შერთეს. — ეუბნებოდა ბარბარე. — შენ კი ისევ ცალად ხარ, როგორც ბაზარში მამალი. აბა, რასა ჰგავს ესა? ჰეკ-ეკ, ნეტავი, დმერთმა ქნას. ქალი შეირთო, და მერე თუ გიხდა, ადექი და წადი იმ შენს სამსახურში. ცოლი აქ დარჩება, ცოტას ხელს წაგვაშველებს. უგვანად იქცევი, კვეო, აღარც რამ წესი გახსოვს, ვხედავ, და აღარც რამ რიგი. ეკ-ჰეკ-ეკ, ცოდვაში გიდგათ ფეხი ქალაქელებს, ცოდვაში.

როცა ციბუკინები დაქორწინებას დააპირებდნენ ხოლმე, იმათთვის, როგორც მდიდრებისთვის, სულ ერთმანეთზედ ლამაზ ქალებს არჩევდნენ. თვითონ ონისიმე, გარეგნულად უსახლოდო და უშნო, აგებულებითაც სუსტი და ჯანდაგი იყო, კოჭდაბალი, პატარა ტანისა, სავსე, ფუნჩულა ლოყები ძალით დაბერილებს მიუგავდა; თვალები სულ არ უხამხამებდა, და გამოხედვა სუსხიანი ჰქონდა, წვერი ფლალი, თხელი და, თუ ფიჭრი მოერეოდა, წვერს პირში მოიქცევდა და ძიძგნიდა; თანაც კიდევ სასმელს ეტანებოდა. ხშირად სვამდა, რაც სახეზედაც ეტყობოდა და სიარულზედაც მაგრამ როცა უთხრეს, შენთვის უკვე ნაპოვნია ძაან ლამაზი ქალით, ონისიმემ უმაღ მიუგო:

— არც მე ვარ ბრუკიანი, ციბუკინები, უნდა ითქვას, მთელი ოჯახი ლამაზები ვართ.

იქვე ზედ ქალაქთან იყო სოფელი ტორგუევო, რომლის ერთი ნახევარი ცოტა ხნის წინათ ქალაქისთვის მიეერთებინათ, ნახევარი კი ისევ სოფლად ითვლებოდა. ქალაქს მიბმულ სოფლის ნახევარში თავისი საკუთარი მცირე რამ სახლი ედგა ერთ ქვრივ დედაკაცს; იმას და ჰყავდა, არას მჭონე, დღიურად ძლივს გამოდიოდა. ამ დას კი ქალიშვილი ჰყავდა, საბელად ლიპა, რომელიც აგრეთვე დღიურ ლუკმის ჰებნაში იყო. ლიპას სილამაზეზედ უკვე ლაპარაკობდნენ ტორგუევოში, და სუყველას მხოლოდ იმისი საშინელი სილატაკე აფრთხობდა; მერე რა, რომ ცარიელ-ტარიელიათ, ამბობდნენ ზოგ-ზოგნი, ვინმე ხნიერი თუ არა, ჰვრივი მაინც შეირთავსო, ანდა სულაც „ისე“ წაიყვანს, და შეილის გვერდით დედასაც ეშველებათ. ლიპას ამბავი ბარბარემ მაჭანკლებისგან შეიტყო და წაყიდა ტორგუევოში.

მერმედ დეიდას ოჯახში მივიდნენ ქალის სანაბავად და, როგორც წესი და რიგია, პატარა სუფრა გაიშალა, საუზმეულიც იყო, სასმელიც, ლიპას ახალი ვარდისფერი კაბა ეცვა, საგანგებოდ ამ დღისთვის შეკერილი, და ქიაფერი ბაბთა, თითქოს ალიათ, ისე უკრთოდა თმაში. ლიპა გამხდარი იყო, სუსტი, ფერმკრთალი, კოხტა, ნაზი ნაკვთები ჰქონდა, მუდამ პაერზედ მუშაობისგან



შავგვრემანი ჩანდა; ნაღვლიანი, მორცხვი ღიმილი წუთით არ შორდებოდა სახეზედ, ბავშვურ თვალებში კი ნდობა და ცნობისწადილი ჩასდგომოდა.

ლიბა ყმაწვილი ქალი იყო, ჯერ ისევ გოგო ეთქმოდა, გულ-მკერდს კარგად არც ეტყობოდა. მაგრამ გათხოვება უკვე შეიძლებოდა, ვინაიდან დროც ერჩოდა და ხანიც უწერდა. ნამდვილად რომ ლამაზი იყო, და მხილველად რომ თუ დაეწუნებოდა — დიდი კაცური ხელები. აწ უკმად უნდა წიალობდა, როგორც თრი დიდი მარწუხი.

— უმზითვობა რა სალაპარაკოა, — ეუბნებოდა ბერიკაცი დეიდამისს, — ჩვენს ბიჭს სტეფანესაც ლარიბი ოჯახიშვილი მოვუყვანეთ. მაგრამ იმის ქებას ენა ვერ იტყვის. გინდ ოჯახში, გინდ საქმეში ოქროს მარჯვენა აქვს.

ლიბა კარებთან ატუზულიყო და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს უნდოდა, რომ ეთქვა: რაც გინდათ, ის მიყავით. გენდობითო, დეიდამისი პრასკოვია კი, მედღეური დედაკაცი, სამზარეულოში იკუნჭებოდა და სიმორცხვისგან სუნთქვა ეკვროდა. ოდესღაც, ჯერ კიდევ ყმაწვილქალობაში, ერთი ვიღაც სოვდაგარი, რომელსაც იატაკებს ურეცხავდა თურმე, გასჯავრებოდა და ისე დაებრახუნებინა ფეხი, რომ საწყალ ქალს თავზარი დასცემოდა, გაშეშებულიყო, და ის მაშინდელი შიში მთელი სიცოცხლე გამოჰყოლოდა. შიშისგან კი ერთთავად ხელ-ფეხი უკანკალებდა და ლოყები უთრთოდა. სამზარეულოში მოკუნტული პრასკოვია იმის ცდაში იყო, როგორმე გაეგონა, სტუმრები რას ლაპარაკობდნენ, და წამდაწამ პირჯვარს იწერდა, მიიქდობდა თითებს შუბლზედ და ხატსა ჰყურობდა. შეჭიკჭიკებული ონისიმე შეუღებდა ხოლმე სამზარეულოს კარს და უბოდიშოდ ეუბნებოდა:

— ნეტაი აქ რას უზიზარ, საყვარელო დედი? უთქვენოდ მოწყენილნი ვართ.

შემკრთალი პრასკოვია კი ხელებს დამქნარ, გალეულ ძუძუ-მკერდზედ მიიწყობდა და მიუგებდა:

— არა, რასა ბრძანებთ... ძიელ კმაყოფილი ვარ თქვენსგანით.

დაწინდვის მერე ქორწილის დღე დათქვეს. მასუკან ონისიმე შინ ადგილს ველარ პოულობდა, ოთახებში დაბორიანებდა და სტვენდა, ანდა, თუ რამ უეცრივ წამოაგონდებოდა, ჩაფიქრდებოდა და იატაკს ისეთნაირად დააშტერდებოდა, თითქოს მზერით დეიდამიწას გულში ღრმად უნდა ჩასწვდესო. არც იმით კმაყოფილებას გამოხატავდა, რომ ცოლს ირთავდა, სულ მალე, კვირაცხოველობას მოჰყავდა, და არც საცოლის ნახვის სურვილს ამჟღავნებდა. იდგა და სულ ერთთავად უსტვენდა. აშკარა იყო, რომ ჯვარს მხოლოდ იმიტომ იწერდა, რაკი მამასა და დედინაცვალს სურდათ აგრე, და კიდევ იმიტომ, რომ სოფლად წესია: ვაჟიშვილი ცოლს იმის, გულისთვის ირთავს, რომ ოჯახს შემწველებელი გაუჩნდეს. ქალაქის გზას დამდგარი ონისიმე წასვლას არა ჩქარობდა და საერთოდ თავი ისე არ ეკირა, როგორც ადრე რომ ჩამოდითოდა ხოლმე. — რაღაც ნამეტურ კადნიერად ირჯებოდა და იმას არ ამბობდა, რაც სათქმელი იყო.

სოფელ შიკალოვიაში ორი მკერავი და ცხოვრობდა, ორივე ხლისტი, ანუ ღვთის შვილი. ციბუკინიანთ ქალებმა საქორწილოდ ჩასაცმელი კაბები იმ დებს შეუკვეთეს, და ისინი ხშირად მოდიოდნენ მისაზომ-მოსაზომებლად, კარგა ხანს რჩებოდნენ ხოლმე და ჩაის მთავრად ევდნენ. ბარბარეს შავი მაქმანითა და მინის

მძივით გაწყობილი დარიჩინისფერი კაბა შეუკერეს. აქსინიას კი — ღია მწვანე, ყვითელგულისპირიანი და გრძელკალთიანი. მკერაენი საქმეს რომ მორჩინენ, ციბუკინმა ფული კი არ გადაუხადა, თავისი დუქნის ცოტა რამ შეშული შეაჩეჩა, და იმათაც რა უნდა ექნათ, ადგნენ და წამოვიდნენ დაღობულნი, ხელთ პატარა ბოხჩები ეჭირათ. შიგ სტეარინის სანთლები და სარდინები ჰქონდათ გამოკრული, რაც სრულებითაც არა სჭირდებოდათ. მკერაენი რომ გამოსცდნენ, იქავ მინდორში ერთ პატარა ბორცვზედ ჩამოსდნენ და ატირდნენ.

ონისიმე ქორწილამდე სამი დღით ადრე ჩამოვიდა, სულ ახალთახლებში იყო. ფეხთ ბღღვრიალა რეზინის კალოშები ეცვა, ყელსახვევის მაგივრად კოპლებიანი წითელი ზონარი ჰქონდათ გამოსკვნილი, და მხრებზედ პალტო ჩამოჰქონწიალებოდა, სახელოებში მკლავებგაუყრელი, ახალთახალივე.

პატიოსნად რომ ილოცა და აღიდა უფალი, ონისიმე მერე მამას მიემშვიდობა და ათი ვერცხლის მანეთიანი და ათიც ათშაურიანი მიუბოძა. ბარბარესაც იმდენივე შესძღვნა. აქსინიას კი ოცი ხუთშაურიანი მოუკითხა. ამ ბოძებულების უმთავრესი რამ ლაზათი ის იყო, რომ შიგ ძველი მოკრილი ერთი თეთრიც არ ერია და სუყველა ერთნაირად ელავდა მზეზედ, რა არი დინჯი და დარბაისელი გამოჩენილიყო, ონისიმე საბეს იჭიმავდა და ლოყებს იბერავდა. მაგრამ რა სიღინჯე, რის სიღარბაისლე, არაყის სუნად ყარდა: ალბათ ყოველ სადგურზედ ბუფეტში ჩარბოდა. და კვლავ რაღაც თავაშვებულობა, რაღაც ზედმეტი ეტყობოდა. მერე ონისიმემ და ბერიკაცმა ერთად დალიეს ჩაი. ცოტა წაისაუზმეს, ბარბარე კი ახალმოკრილ მანეთიანებს აწვალებდა ხელში და თან იმ თანასოფლელების ამბავსა ჰკითხავდა, ქალაქს რომ იყვნენ საცხოვრებლად წასულნი.

— არა უშავთ რა, ღვთის წყალობით ცუდად არ არიან, — ეუბნებოდა ონისიმე. — ოღონდ ივანე ეგოროვს ვერ მოუვიდა კარგი საქმე: დედაკაცი დაედუბა, ჭლექმა მოკლა საწყალი სოფიო, ჭირის პური კონდიტერს შეევუკვეთეთ. სული მოვუხსენიეთ. კაცის თავზედ ორი და ათი შაური წაიღეს. სულ ღვინო ვსვით. ზოგი ჩვენებური გლეხიც მოვიდა. ისინიც აგრეთვე ორ და ათ შაურად იანგარიშეს კაცი. პირი არ გაუნძრევიათ, აბა სად ვლენი, სად სოუსი!

— ორი და ათი შაური! — თქვა ბერიკაცმა და თავი გააქან-გამოაქნია.

— აბა რა გგონია? იქ სოფელი კი არ არი. შეხვალ რესტორანში, ცოტას შევჭამ რასმეო, ამას მოითხოვ, იმას მოითხოვ, ხან ვინმეც შემოგესწრება, ერთს იტყვით, ორს იტყვით, და დაგათენდებათ კიდევ. კაცი, სულ ცოტა, სამი ან ოთხი მანეთი მაინც ჯდება, ხოლო სამოროდოვი თუ შემოგესწრო, სუფრის ბოლოს კონიაკიან ყავას მოითხოვს, კონიაკი კი ერთი თხლამო ექვსი უზალთუნია.

— სულ ტყუის! — ჩაილაპარაკა გრძნობამორეულმა ბერიკაცმა, — სულ ტყუის!

— სამოროდოვს აწ გვერდიდან აღარ ვიშორებ. ჩემს მოკითხვის წიგნებს რო გწერთ, ეს ის სამოროდოვია. დიდებული რამ წერა იცის, აი, რო მაამბობინა, დედაჩემო, — მხიარულად განაგრძობდა ონისიმე, — რა კაცია ეს სამოროდოვი, არ დაიჯერებთ. სუყველანი მუხტარს ეეძახით, რადგან სომხის ბიჭვით ერთი ყუყა ვინმეა. მოხარშულსა ვცნობ, ჩემი ხუთი თითივით ვიცი. დედაჩემო, რითიც სუნთქავს, ისიცა გრძნობს ამას და სულ უკან დაიძევს, გადაბმულებივითა ვართ, უერთმანეთოდ წყალსაც არ ვაქცევთ. ცოტა თითქოს ეშინიან კიდევ, მაგრამ აღარც უჩემობა შეუძლია. სადაც მე ვარ, ისიც იქ არი.

მე, დედაჩემო, ეშმაკი თვალი მაქვს. ხელად შევატყობ შესატყობარს. ბაზარში თუ ვართ და დავინახე, რომ გლებკაცს ვისმე პერანგი აქვს გამოტანილი, ეგრევე შევეუძახებ, არ გაინძრე, ნაქურდალსა ჰყიდი-მეთქი. და მართლაც ნაქურდალი ხოლმე!

— მერე შენ საიდან იცი? — დაეკითხა ბარბარე.

— არსაიდან, თვალი მაქვს აგეთი... გაგებაში არა ვარ ხოლმე, ვინცა ტყუპ პერანგია, მაგრამ თვალი რაღაც იქით გამირბის და გულიც მითქვამს, ნაქურდალიაო, ჩვენი სამძებროს ბიჭებიც უკვე მაგონებენ: წავიდა ონისიმე ტყის ქათამზედ სანადიროდო, მაშასადამე, ნაქურდლის საძებნელადო, ქურდობა... კი, ბატონო, სუყველას შეუძლია, მაგრამ შერჩენისა რა მოგახსენოთ! ქვეყანა დიდია, ოღონდ ნაქურდლის დასამალი ადგილი არ არის.

— ჩვენს სოფელშიც მოჰპარეს წინა კვირას გუნტორეებს ცხვარი და ორი ბატკანი. — თქვა ბარბარემ და ამოიოხრა. — მძებნელიც არავინ არი... ეჰ-ჰეჰ-ეჰ...

— მძებნელი? მოძებნა შეიძლება. ეგ არაფერია, შეიძლება.

დადგა ქორწილის დღე. აპრილის გრილი, მაგრამ მზიანი, კარგი დღე იყო. უკლეევოს უკვე სისხამ დილიდანვე ელარუნ-წყარუნით მოედვნენ სამცხენიანი და წყვილცხენიანი ექვნიანი ეტლები; ცხენებისთვის ცალულებიცა და ფაფრებიც სულ ნაირფერადი ბაბთებით დაემშვევნინათ. ტირიფებში ჭილყავანი ხმიანობდნენ, ამოდენი ცხენ-ეტლის დგრიალ-თქარუნით შეწუხებულნი, და ხმა-ჩაულებლივ. გაბმულად გალობდნენ შოშიები, თითქოს უხაროდათ, რომ ციბუკნიანთ ქორწილი ჰქონდათ.

საქორწილო სუფრაზედ უკვე ელაგა მთელ-მთელი გრძელი თევზები, ფელიკი, ანუ ღორის უკანა ფეხის შაშხი, და საკაზმით გამოტენილი შემწვარი ფრინველი, შპროტიანი ჭურჭელი, სხვადასხვაგვარი მყავემყუევე და მწნილეული, ღვინითა და არაყით სავსე ბოთლები. ჰაერში შებოლილი ძეხვეულისა და შემყავებული ასთაკვის სუნის იდგა. და იქავ სუფრასთან, ქუსლების ბაკიბუკითა და დანების ლესვა-ლესვით, ტრიალებდა უფროსი ციბუკინი, ბარბარეს წამდაუწუმ ხან ვინ დაუძახებდა, ხან ვინ, ზოგი რასა სთხოვდა, ზოგი რას, და ისიც თავგზააბნეული და გულამოვარდნილი მირბოდ-მორბოდა. სამზარეულოში, სადაც დილაბინდიდან მუშაობდნენ კოსტიუკოვის მზარეული და უმცროსი ხრიმინების მესადილე დედაკაცი. აქსინია, თმადაკულულებული, უკაბოდ იყო, კორსეტის ამარა, ფეხთ ახალი ჭრაჭუნა წაღები ეცვა. ეზოში ქარაშოტივით დაჰქროდა, და მარტო იმის შიშველ მუხლებსა და გულ-მკერდს თუ მოჰკრავდა თვალს კაცი. გნიასი იდგა, გაისმოდა ლანძღვა-გინება, ფიცილი; ამვლელ-ჩამვლელნი ყურთამდე მოღიავებულ ჭიშკართან ჩერდებოდნენ, და ყველაფრით იგრძნობოდა, რომ რაღაც არაჩვეულებრივი რამ ამბის სამზადისი იყო.

— წავედით პატარძლის მოსაყვანად!

ყურსა სწვდებოდა ზარ-ზანზალაკების გაბმული წყარაწყური და სოფელს იქით შორს იკარგებოდა... მესამე საათი რომ დაიწყო, ხალხი ნიაღვარივით დაიძრა; კვლავ გაისმა ზარ-ზანზალაკების ხმა: პატარძალი მოჰყავდათ! ეკლესიაში ტევა არ იყო. ქორკანდელს ჩახჩახი გაჰქონდა, მგალობელნი, როგორც ოჯახის უფროსმა ციბუკინმა ისურვა, ნოტებით გალობდნენ. უხვმა სინათლემ და ხასხასა კაბებმა თვალი მოსჭრა ლიპას, და პატარძალს ეჩვენებოდა, რომ მგალობელნი თავიანთ წკრიალა ხმას ჩაქუჩივით უკაკუნებდნენ თავში; კორსეტი, პირველად რომ ეცვა სიცოცხლეში, და წაღები ერთნაირად უჭერდა, და ისეთი

გამოხედვა ჰქონდა. თითქოს ეს-ეს არის გულწასული მოსულიერდო. — თვალებგამოცივებული იყურებოდა. ონისიმეს შავი სერთუკი ეცვა და ყელსახვევის მაგივრად წითელი ზონარი ჩამოეკონწიალებინა, ჩაფიქრებულ იყო. ერთ წერტილს მისჩერებოდა, და, როცა მგალობელნი ხმამაღლა შემოსძახებდნენ ხოლმე, ჩქარა-ჩქარა იწერდა პირჯვარს. გული ყელში ებჯინებოდა. ტირილი უნდოდა. ეს ეკლესია სულ პატარაობიდან ახსოვდა, ოდესღაც ჩემს ბავშვობაში დაპყავდა აქ განსვენებულ დედამისს, ოდესღაც აქ კლიროსზედ შემიღწეოდა სხვა ბიჭებთან ერთად ეგალობა; ყოველი კუთხე-კუნჭული, ყოველი ხატი ეცნობოდა. აწ კი ჯვარსა სწერენ, ადათ-წესის გულისთვის აქორწინებენ, მაგრამ ის ამაზედ აღარც კი ფიქრობდა. გულიდან გადავარდნოდა, სრულებით დავიწყებოდა ქორწილი. ცრემლმომწოლილი ხატებს ვეღარ არჩევდა, გული ეკუმშებოდა; იდგა და ლოცულობდა, ღმერთს ევედრებოდა, რომ უბედურებას, გარდაუვალს, რომელიც უკვე დღეს-ხვალ თავს უნდა დასტყდომოდა, რამენაირად იქნებ გვერდი აევლო მისთვის, როგორც რომ საავდრო ღრუბელი წვეთის ჩამოუგდებლად ჩაუვლის ხოლმე სოფელს გვალვაში. მერე რამდენ ცოდვაში ჰქონდა აქამდე ფეხი ჩადგმული, რამდენ ცოდვაში, და ისე თავდაუღწეველი, გამოუსწორებელი ჩანდა ყველაფერი, რომ უმართებულოც კი იყო შენდობის თხოვნა. მაგრამ ონისიმე შენდობასაც ითხოვდა და ხმამაღლა ასლუკუნდა კიდევ, თუმცა ყურადღება არავის მიუქცევია, რადგან იფიქრეს, ნასვამიანო.

გაისმა ბავშვის შემზარავი ტირილი;

— წამიყვა, დედი, აქედან წამიყვა, გენაცვალე!..

— ჩუმად! — შეპყვირა მღვდელმა.

ეკლესიიდან რომ ბრუნდებოდნენ, უკან ხალხი მოსდევდათ; დუქანთან, ქუჩის კართან და ეზოშიც მრავალნი ირეოდნენ. დასამწყალობნებლად მოსულიყვნენ დედაკაცნი. ნეფე-პატარძალი კარებში შემოვიდა თუ არა, ხმამაღლივ, მთელი ძალით შემოსძახეს მგალობლებმა, უკვე წინკარში რომ იდგნენ და ხელთნოტები ეჭირათ; აელერდა მუსიკა, ქალაქიდან საგანგებოდ გამოწერილი. შემოიტანეს დონური შუშხუნათი სავსე ყარყარა სასმისები, და სოფლის ხურომ, მენარდე ელიზაროვმა, მაღალმა, ხმელ-ხმელმა ბებერმა, რომელსაც იმისთანა სქელი, ჩამოფხატული წარბები ჰქონდა, რომ თვალები ძლივს უჩანდა, ახალჯვარდაწერილთ მიმართა.

— ონისიმე და შენცა, შვილო, გიყვარდეთ ერთმანეთი, ღვთისნიერად იცხოვრეთ, შვილებო, და ღვთისმშობელი არ დაგიტევებთ. — ელიზაროვმა უფროს ციბუკინს თავი მხარზედ ჩამოადო და ასლუკუნდა. — ვიტროთ. გრიგოლ, პეტრეს ბიჭო, სიხარულის ცრემლი ვღვაროთ! — წარმოთქვა მან წვრილხმაზედ და იმავე წამს ხარხარი აუტყდა, და ამ ხარხარ-ხარხარში ბოხად განაგრძობდა: — ჰო-ჰო-ჰო! ეს რძალიც კარგი შეგხვდა! ყველაფერი თავის ადგილასა აქვს, ნაზია, არ ირახრახებს, გამართული მოწყობილობისა ჩანს, არც ჭანჭიკები აკლია.

ელიზაროვი ეგორიევის მაზრიდან იყო, მაგრამ ახალგაზრდობიდანვე უკლევოს ფაბრიკებში, ამ მაზრაში მუშაობდა და თავს აქაურად გრძნობდა. ძველიდანვე უკვე ხნიერ, ხეხელა კაცად იცნობდნენ და მეტსახელად იმთავითვე ყავარჯენი შეერქმიათ. ალბათ იმიტომ, რომ მთელი ორმოცი წელიწადი, მეტი თუ არა, ფაბრიკებში იმისი ხელობა მართო შეკეთება იყო — ყოველ კაცს ანდა საგანს თუ ნივთს რასმე მხოლოდ სიმაგრის თვალით უყურებდა; ემანდ შესაკეთებელი არაფერი ჰქონდესო და სანამ სუფრას მიუჭდე-

ბოდა, რამდენიმე სკამს სიმაგრე მოუსინჯა, ხან ერთი შეატრიალ-შემოატრიალა, ხან მეორე, და სიგსაც წაეტანა.

შუშხუნის შემდეგ სუყველამ მაგიდას მიაშურა. სტუმრები ლაპარაკ-ლაპარაკით ისწორებდნენ სკამებს დასასხდომად. წინკარში გუნდი გალობდა. უკრავდა მუსიკა, და ამავე დროს გარეთ დედაკაცნი ამწყალობნებდნენ სუყველანთ ერთხმად, — და იმისთანა საშინელი, უშმი რამ გნიასი და ბახტობა რომ თავი სკდებოდა.

ყავარჯენი წრიალებდა სკამზედ და მეზობლებს მუჭლუგუნსა სცემდა, ლაპარაკს არ ანებებდა, და ხან ტიროდა, ხან ხარხარებდა.

— შეილებო, შეილებო, შეილებო... — სხაპასხუპით ბუტბუტებდა ყავარჯენი, — აქსინია, შემოგვევლე, შენცა ბარბარე, სუ მშვიდობა და სიამტკბილობა ყოფილიყოს, ჩემო კარგო ხელეჩოებო.

ელიზაროვი საერთოდ ცოტასა სვამდა, და ახლა ინგლისური არაყის პირველივე სირჩამ შეათრო. ამ გულის ამრევმა, საზიზღარმა სითხემ, კაცმა რომ არ იცოდა, რისგან იყო გამონდილი, სუყველას თავბრუ დაჰხვია, ვინცა სვამდა, თითქოს ჯონი დაჰკრა და დაარეტიანაო. ენას ველარავინ იმორჩილებდა.

აქ იყვნენ სამღვდელი პირნი, ფაბრიკების მოხელენი ცოლებითურთ, სხვა სოფლებიდან მოსული ვაჭარნი და მიკიტან-მედუქნენი. თემის მამასახლისი და თემის მწერალი, უკვე თოთხმეტი წელიწადი ერთად რომ ემსახურათ და მთელი ამ ხნის განმავლობაში წამლად ერთ ქალაღზედაც არ მოეწერათ ხელი, არცვინ, სათემო გამგებლობაში სათხოვნელად მისული, მოუტყუებელი და იმედგაუცრუებელი რომ არ გაეშვათ, ახლა გვერდიგვერდ ისხდნენ, ორივენი ჩაკურატებულნი, გამტყვრალნი, და ცოდო-ბრალით თითქოს უკვე იმოდენად გაყდნთილიყვნენ, რომ სახის კანიც კი რაღაც განსაკუთრებული, თვალთმაქცური ჰქონდათ. მწერლის ცოლს, გალეულ, ელამ დედაკაცს, მთელი თავისი ქულფათობა თან წამოესხა და, როგორც რომ მტაცებელმა ფრინველმა იცის, ისე ეჭირა თეფშებზედ გეზად თვალი და ყველაფერს ეგრევე ბლუჭავდა, რაც რამ ხელთ მოხვდებოდა, და ზოგს თავის და ზოგსაც ბავშვების ჯიბეებში მალავდა.

ლიბა გაქვავებული იჯდა, ისევ ისეთივე სახის გამომეტყველება ჰქონდა, როგორც ეკლესიაში. ონისიმე, დლიდან გაცნობისა, ჯერ ერთი სიტყვითაც არ დალაპარაკებოდა და ამიტომ აქამდის არც პატარძლის ხმა გაეგონა; ახლაც, გვერდით რომ უჯდა, ონისიმე კრინტს არა სძრავდა, იდგა და ინგლისურ არაყს ეძალებოდა, ხოლო სასმელი რომ მოედო, წინ მჯდომ მავან დედაკაცს გამოელაპარაკა.

— ერთი მეგობარი მყავს, გვარად სამოროდოვია. კაცია სპეციალური. პირადი საპატიო მოქალაქეა და ლაპარაკის თავი აქვს. მაგრამ მე, დეიდაჩემო, მოხარშულს ვიცნობ, და ის თვითონაც გრძნობს ამას. თუ შეიძლება, ერთად დავლიოთ სამოროდოვის სადღეგრძელო, დეიდაჩემო!

ბარბარე მაგიდას გარს უვლიდა, სტუმრებს მასპინძლობდა, დაღლილი და თავგზააბნეული, და, ეტყობოდა, სიამოვნებდა, რომ სასმელ-საჭმელი და ყველაფერი თავზედ საყრელად იყო, — აწ ველარავინ დასძრახავდათ. მზე ჩავიდა, სუფრა კი გრძელდებოდა, უკვე გაგება აღარა ჰქონდათ. რასა ჰამდნენ, რასა სვამდნენ, გაგონება არ შეიძლებოდა, რას ლაპარაკობდნენ, და მხოლოდ ხანდახან, მუსიკა როცა მიჩუმდებოდა, კარგად ისმოდა, როგორ წიოდა და კიოდა ეზოში ვიღაცა დედაკაცი;

— ველარ დაძებით ჩვენი სისხლით, ჰეროდებო, თქვე სულწასაწყმედნო, თქვენა!

სალამოთი მუსიკიანი ცეკვა-თამაში გააჩაღეს. უმცროსი ხრიმინები თავი-ანთი არაყით მოვიდნენ, და ერთ-ერთს, კადრილს როცა ცეკვავდნენ, ორჯ ხელში თითო ბოთლი ეჭირა, პირში კი სირჩა, რაც სუყველას სრეკელსა უჭერდა. შუა კადრილში უეცრივ ბუქნას უვლიდნენ; მწვანე აქსინე უკლდნენ, უკლდნენ და ნოლმე, და იმის კაბის რძელი კალთა ქარს აყენებდა, ვილაცამ კალთის არშიაზედ ფეხი დაუდგა. შემოურღვია, და ყავარჯენმა შეჰყვირა:

— ჰეი, პლინთუსი ნუ მოაძრეთ, შვილებო!

აქსინიას ნაცრისფერი მიამიტი თვალები ჰქონდა, ათასში ერთხელ უხამხამებდა, და სახეზედაც მუდამ მიამიტი ღიმილი დასთამაშებდა. ამ დაუხამხამებელ თვალებშიც, გრძელ კისერსა და პატარა თავშიც და მის ტანწვრილობაშიც რაღაც გველური იყო; მწვანედ მოსილი, ყვითელგულისპირიანი და ბაგელიმილიანი ისე იცქირებოდა, ვით გაზაფხულზედ ჰვავის ჭეჭილიდან უცქერის ხოლმე ამვლელსა და ჩამვლელს წამოყვლყვლავებული ჰრელი ასპიტი. ხრიმინებს მოურიდებლად ეჭირათ აქსინიასთან თავი, და აშკარად შესამჩნევად იყო, რომ უფროს ხრიმინთან იმას უკვე კარგა ხნის ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ყრუჩუნას კი არც რა გაეგებოდა, ცოლს ზედ არ უყურებდა; ფეხიფეხგადადებული იჯდა, თხილსა ჭამდა და კბილით ისე ხშიანად ამტვრევდა, თითქოს დამბაჩას ისურისო.

ბოლოს თავად ბერი ციბუკინიც გამოვიდა შუაში და ნიშნად იმისა, მეც მინდა რუსული ბუქნა ჩავეკრაო, ხელსახოცი ააფრიალა, და მთელ სახლსა და კარს ხალხის მოწონების გუგუნე მოედო:

— თ ა ვ ა დ გამოვიდა! თ ა ვ ა დ!

ცეკვით ბარბარე ცეკვავდა. ბერიკაცი კი მხოლოდ ხელსახოცს აფრიალებდა და ქუსლებს აცოდვილებდა, მაგრამ ისინი, ერთმანეთზედ რომ ახორბლილიყვნენ იქ, ეზოში, და ფანჯრებში იცქირებოდნენ, აღტაცებას ვერ მალავდნენ და წუთით ყველაფერი ეპატიებინათ იმისთვის — სიმდიდრეც, დაბრიყვებაც.

— ყოჩაღ, გრიგოლ პეტროვ! — ისმოდა ხალხში. — მიდი, ეგრე, მიდი! ჯერ კიდევ შეგძლებია, შე ძველო, შენა! ჰა-ჰა!

ეს ყველაფერი გვიან გათავდა, ღამის მეორე საათი იყო დაწყებული. ონისიმე, ბორძიკ-ბორძიკით, გამოსამშვიდობებლად მიდიოდა მგალობლებთან და მუსიკოსებთან და სუყველას ათ-ათშაურიანს სძღვნიდა. სტუმრებს ბერიკაციც აცილებდა, არა ბარბაცებდა, მაგრამ როგორღაც ცალ ფეხს ითრევდა და სუყოველ კაცს ერთსა და იმავეს ეუბნებოდა:


— ქორწილი ორი ათასი დაჯდა!

ამ გაცილება-გამომშვიდობებაში შიკალოვოელ მიკიტანს ვილაცამ ახალი კარგი ტყაბუჭი ძველით შეუცვალა, და ონისიმე უცებ აენტო და ყვირილი ატეხა:

— დაიცა! ეხლავ ვიპოვნე! ვიცი, ვინც მოიპარა! დაიცა!

მერე ქუჩაში გავარდა. ვილაცას გამოეკიდა: დაიჭირეს, შინ ხელეზგაკიფებული წამოიყვანეს და, მთვრალი, სიბრაზისგან პირზედ ანთებული, მთლად სველი იმ ოთახში შეაგდეს, სადაც დეიდა უკვე ტანთ ხდიდა ღიბას, და კარი გამოუკეტეს.

გავიდა ზუთი დღე. წასასვლელად გზაზედ დამდგარი ონისიმე ზვეით ბარბარესთან ავიდა გამოსამშვიდობებლად. ბარბარეს სუყველა ბაზმა დაეხლო, ოთახში საკმლის სუნი იდგა, თვითონ ბარბარე კი ფანჯარასთან მიმჯდომობდა წითელი ლაზლის წინდებსა ქსოვდა.



— რაღაც დიდხანს არ დავიდგა გული, — უთხრა ბარბარემ, — ალბათ მოიწყინე, არა? ეპ-პეპ-ემ... ცხოვრებით კარგად ვცხოვრობთ, ყველაფერი ბევრი გვაქვს, შენი ქორწილიც წესიერად გადავიბადეთ, ჯეროვნად; ბერიკაცმა: ორი ათასი დაჯდაო. ერთი სიტყვით, რაღა სოვდაგრები და რაღა ჩვენა, ოღონდ ეგ არი, მოწყენითა ვართ. ნამეტნავად ვჩაგრავთ ხალხსა, გული მტკივა, შემოგვევლე, ვჩაგრავთ და მერე როგორ — ღმერთო ჩემო! გინა ცხენსა ვცვლიდეთ, გინა ვყიდულობდეთ რასმე, გინა მუშასა ვჭირაობდეთ — მოუტყუებლად არცრა შეგვიძლია. სულ მოტყუება და მოტყუება. ზუთი დღეში მძალე გვაქვს, ასუნებული, სხვებისა კუბრი უმჯობესია. ვითომ რა, მიბრძანე ერთი, კარგი ზუთით ვაჭრობა არ ეგებოდა?

— ყველას თავისი ყისმათი აქვს, დედაჩემო.

— ერთხელაც ხომ უნდა დავიბოცნეთ? ოპ-ოპ, ნეტავ მოლაპარაკებოდი მაშენს!..

— მიდით, თავად მოელაპარაკეთ.

— ეეპ! მე ჩემსას ვეუბნები, ის კი შენსავით სულ იმას გაიძახის, ყველას თავისი ყისმათი აქვსო. იმ ქვეყნად სწორედ მაგას გავირჩევენ, ვის რა ყისმათი აქვს. ღვთის მსჯავრი სამართლიანია.

— რასაკვირველია, არავინ დაიწყებს გარჩევას, — თქვა ონისიმემ და ამოიხარა. — ღმერთი ხო მაინც არ არის, დედაჩემო, რის გარჩევა, რა გარჩევა!

ბარბარემ გაკვირვებულმა შეხედა და გაიცინა, ხელები გაასაფსავა. იმის გამო, რომ ის აგრე გულწრფელად გააკვირვა იმისმა სიტყვებმა და როგორც რომ ობროდს ვისმე, ისე უცქეროდა, ონისიმე შეერთა.

— ღმერთი იქნება არის კიდევც, ოღონდ სარწმუნოება არ არის, — თქვა ონისიმემ. — ჯვარს რომ მწერდნენ, გუნებაზედ ვერ ვიყავი. აი როგორც ქათამს კვრები გამოაცალო, და შიგ წიწილა წიოდეს, ისე აწივლდა უცებ ჩემში სინდისი, და, სანამ ჯვარსა მწერდნენ, სულ იმის ფიქრში ვიყავი, ღმერთი არის-მეთქი! მაგრამ ეკლესიიდან გამოვედი თუ არა, გადამქარდა, ანდა აბა საიდან უნდა ვიცოდე, არის თუ არა ღმერთი? ბავშვობიდანვე სხვარიგად გვმოძღვრავდნენ, და ჩვილი რო ჩვილია, იმასაც კი მხოლოდ ერთს რასმე ჩასჩინებენ: ყველას თავისი ყისმათი აქვსო. ღმერთი აკი მამაჩემსაც არა სწამს. გუნტორეებს ცხვრები მოჰპარესო, ამას წინებზედ რო ბრძანეთ... მივაგენი: შიკლოვოელი გლების მოპარულია, იმან მოიპარა, ტყავი კი მამაჩემთან არი... აი ესეც თქვენი სარწმუნოება!

ონისიმემ თვალი მოკრუტა და თავი ააკანტურა.

— არც მამასახლისსა სწამს ღმერთი, — განაგრძობდა ონისიმე. — არც მწერალს, არც დიაკვანს. და ეკლესიაში თუ დადიან და მარხვას ინახავენ, ამას იმიტომ შვრებიან, ხალხმა ჩვენზედ ცუდი არაფერი ილაპარაკოსო, და კიდევ იმის გამო, ვაითუ განკითხვის დღე მართლა დადგესო. აწ იმასაც ამბობენ, თითქოს ქვეყანა თავზედ იმიტომ გვექცევა, რო ხალხი მოეშვაო, დედ-მამას პატივს აღარა სცემენო და სხვასაც ათას რასმე გაიგონებ. სულ სისულელეა. ჩემის

ჭკუით, მთელი უბედურება, დედაჩემო, იმისგან გვჭირს, რო ხალხს პირში ცოტა წყალიღა შემორჩა, სინდისი გამოვლია. ყველაფერს თვალდათვალ ვხედავ, დედაჩემო, და ჩემის ჭკუით აგრე მესმის. კაცს თუ მოპარული პეტენგი აცვია, ვგრევე ვხედავ. სამიკიტნოში რო კაცი ზის, თქვენა გგონიათ, მარტო ჩაისა სვამს და ძეტი არაფერიო, მე კი, ჩაი ჩაია, და კიდევ იმასაც ვხედავ, რო იმ კაცს სინდის-ნამუსი არა აქვს. მთელი დღე რომც იარო, პანაქსონამ — კაცს წამლად ვერ შეხვდები. და ნამდვილად მიზეზი ის არი, რო პანაქსონამ — ღმერთი არის თუ არა... ეჰ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, დედაჩემო, სულ კარგად და ჯანსაღად მენახეთ. ავი სიტყვით ნუ მომიგონებთ.

ონისიმემ მდაბლად დაუკრა ბარბარეს თავი.

— სუყველაფრისთვის მადლობას გწირავთ, დედაჩემო. — უთხრა მან. — ჩვენს ოჯახს თქვენგან დიდი სარგებლობა აქვს. ძალზედ წესიერი ქალი ბრძანდებით, და თქვენგივ ნამეტანი გულსაფსედ გახლავართ.

გულაჩვილებული ონისიმე გარეთ გავიდა, მაგრამ ისევ შემობრუნდა და უთხრა:

— სამოროდოვმა ერთ საქმეში გამხვია: ან სულ ავშენდები, ან დავიღუპები. თუ ისეთი რამ მოხდეს, დედაჩემო, ცოტა მინუგეშეთ მშობელი.

— აი, თურმე რა ყოფილა! ეჰ-პეჰ-ეჰ... ღმერთი მოწყალეა. ნეტავი კი, ონისიმე, ოჰ-ოჰ, ცოლს მოჰფერებოდი, თორემ ეგრე ერთმანეთის ბღვერა არ ივარგებს; ერთი გაღიმება მოგიხდებოდათ.

— რა ვიცი, რალაც უცნაური ვინმეა... — თქვა ონისიმემ და ამოიოხრა:

— არაფრის გაგებაში არ არის, სულ გაჩუმებულია. ნამეტანი ნორჩია, წამოიზარდოს.

პარმალთან უკვე მოეყენებინათ კოჭმაღალი, ფერდამოღებული, თეთრი ულაყი, შარაბანში შებმული.

ბერი ციბუკინი გაქანდა, ყოჩაღად ჩაჯდა და სადავე ჩაბლუჯა. ონისიმემ ბარბარე, აქსინია და ძმა გადაკოცნა. პარმალზედ იდგა აგრეთვე ლიპაც, უძრავად იდგა და გვერდზედ იყურებოდა. თითქოს გასაცილებლად კი არა, ისე, თვითონაც არ იცოდა, რისთვის გამოსულიყო. ონისიმე მივიდა და ტუჩებით ჰაეროვნად, სულ ოდნავ შეეხო მის ლოყას.

— მშვიდობით, — უთხრა ონისიმემ.

და ლიპამ, არც კი შეუხედავს იმისთვის, რალაც უცნაურად გაიღიმა; სახე აუცახცახდა, და სუყველას რატომღაც შეებრაღა. ონისიმეც ერთი მარდი შეხტომით ჩაჯდა და დოინჯი შემოიყარა, ვინაიდან თავი ლამაზ ვაჟკაცად მიაჩნდა.

ხევიდან ზევით რომ ადიოდნენ, ონისიმე სულ უკან იყურებოდა, სოფლისკენ: თბილი, მზიანი დღე იდგა. საქონელი პირველად გამოვლალათ, და ნახირის შორიახლო გოგოები და დედაკაცები ტრიალებდნენ, სუყველანი სადღესასწაულოდ გამოწყობილნი. წაბლისფერი მოზვერი, თავისუფლებით გახარებული, ზმუოდა და წინა ფეხებით მიწასა თხრიდა. ყოველგან, მაღლაც და დაბლაც, ტოროლები გალობდნენ. ონისიმე ეკლესიას უყურებდა, კობტად ამართულს, ქათქათას — ამას წინათ შეეთეთრებინათ, — და წამოაგონდა, ხუთი დღის წინათ როგორ ლოცულობდა იქ; მერე თვალი შეავლო მწვანესახურავიან სკოლას, მდინარეს, რომელშიაც ოდესღაც ებანავა და ეთევზავა, და გულში სიხარულის ჩიტი აუფრთხილდა, და მოინატრა, რომ უეცრად მიწიდან კედელი რამ ამოზრდილიყო და წინ აღარ გაეშვა, და მხოლოდ და მხოლოდ მარტო წარსულთან დარჩენილიყო.



სადგურში ბუფეტს მიაშურეს და თითო სირჩა ხერესი დალიეს. ბერიკაცმა ჯიბეს იკრა ხელი ქისის ამოსაღებად, რომ ფული გადაეხადა.

— მე გეპატიუები! — უთხრა ონისიმემ.

ბერიკაცმა გრძნობამორეულმა მოუთათუნა მხარზედ ხელი და შემბუფეტს თვალი უყო: ვითომ აი რა შეილი მყავსო.



— ნეტავი დარჩენილიყავ, ონისიმე, შინ, საქმეს დაადგებოდე მან. — ფასს ვერცვინ დაგდებდა! თავით ფეხთამდე სულ ოქროში ჩაგსვამდი, შეილო.

— ეგ არასგზით არ შეიძლება, მამაჩემო.

ხერესი მომეავო იყო, ლუქის სუნი ჰქონდა, მაგრამ თითო სირჩა კიდევ დალიეს.

ბერიკაცი სადგურიდან რომ მობრუნდა, პირველ ხანს თავისი უმცროსი რძალი ველარ იცნო. ქმარი ეზოდან გავიდა თუ არა, ლიპა გამოიცვალა, უცებ გამხიარულდა. ფეხშიშველი იყო, ძველი, დაცრეცილი ქვედაბოლო ეცვა, მკლავები მხრებამდის დაეკაპიწებინა, წინკარში კიბესა რეცხავდა და წვრილი წკრილა ხმით მღეროდა, ხოლო ნარეცხი წყლით სავსე დიდი ვარცლი გარეთ რომ გამოჰქონდა და თავისი ბავშვური ღიმილით მზეს უყურებდა, მაშინ თავისი ისიც ტოროლასა ჰგავდა.

ერთმა ძველმა მუშა ბელოსანმა, გზად პარმალის გასწვრივ რომ მიდიოდა, თავ გააქან-გამოაქნია და დაიყმუყუნა.

— შენ რომ რძლები გყვანან, გრიგოლ პეტროვ, ტყუილია, ორივე ღვთის გამოგზავნილია! — უთხრა მან. — დედაკაცნი კი არა, ერთიცა და მეორეც ნამდვილა განძია!

V

რვა ივლისს, პარასკევს, ელიზაროვი, მეტსახელად ყავარჯენი, და ლიპა სოფელ ყაზანსკოედან ბრუნდებოდნენ, სადაც სალოცავად იყვნენ წასულნი ტაძრის დღესასწაულის — ყაზანის ღვთისმშობლობის გამო. შორს უკან მოდიოდა ლიპას დედა პრასკოვია, რომელიც ველარ მოსდევდათ, ვინაიდან ავად იყო და სუნთქვა ეკვროდა. საღამოვდებოდა.

— ჰო-ო-ო!.. — იკვირვებდა ყავარჯენი ლიპას მონაყოლს. — ჰო-ო!.. არა, მართლა?

— მე, ილია ბატონო, მურაბის გიყი ვარ, — ეუბნებოდა ლიპა. — მივჭდები სადმე ჩემთვის კუთხეში და სულ მურაბიან ჩაის გიახლები. ანდა მე და ბარბარე ერთად ვსვამთ, და ის დასალონარ რასმე ამბავსა ჰყვება ხოლმე. მურაბა ბევრი აქვთ — ოთხი ქილა. ჰამე, ლიპაო, მეუბნებიან, არც დაეჭვდეთ.

— ჰო-ოო!.. ოთხი ქილა.

— მდიდრულად ცხოვრობენ. ჩაის გამტკიცულ თეთრ პურს აყოლებენ; ძროხის ხორციც რამდენიც გინდა. მდიდრულად ცხოვრობენ, ოღონდ სუ შიშში ვარ, ილია ბატონო, ო-ო, რა შიშში ვარ!

— რისა გეშინიან, შეილო? — ჰკითხა ყავარჯენმა და უკან მიიხედა, რომ დაენახა, პრასკოვია ძალიან შორს ხომ არ იყო ჩამორჩენილი.

— პირველში, კორწილი რო გადავიხადეთ, ონისიმესი მეშინოდა. არა, დაშავებით არცრას მიშავებდა, ოღონდ, როგორც კი ახლოს მოდიოდა, ტანში მტრიდა, ვიყინებოდი, და არც ერთი ღამე არა მძინებია, სულ ვბაბანებდი და უფალს ვევედრებოდი. აწ კი აქსინიასი მეშინიან, ილია ბატონო. არა, არც ის

მიშავეებს რასმე, სულ ჩაცინებული დადის, ოღონდ, ხანდახან ფანჯარაში რო გამოიხედავს, ისეთი ბრაზიანი თვალები აქვს და ისე მწვანედ უბრალებს, როგორც რო ცნვარსა ფარებში. უმცროსი ხრიმინები რევენ: ლქვენს ბერიკაც-საო, ეუბნებიან, მამული აქვს ბუტიოკინო, ორმოცი დესეტონაო, გვიშიანი მამულია და წყალიც არისო, მიდი, აქსიუშა, შენს სახელობაზედ აგურხანა აიშენე, და წილში ჩვენც შემოვალთო. აგური ეხლა ოცი მანქანაა ცალი, სარფიანი საქმეა, გუშინ სადილზედ აქსინიამ მამამთილს უთხრა კიდევც, ბუტიოკინოში აგურხანა უნდა დავდგაო, ჩემი თავის ვაჭარი მე თვითონ ვიქნე-ზიო. თან ეუბნებოდა, თან ეცინებოდა. ბერიკაცს მიწის ფერი დაედო; ეტყო-ბა, არ ესიამოვნა. სანამ მე ცოცხალი ვარო, უთხრა, ჩვენი გაყრა არ იქნებაო, ყველანი ერთად უნდა ვიყვნეთო. აქსინიას თვალებში ცეცხლი ჩაუდგა, კბილები გააღჭრიალა... ხავიწი შემოიტანეს — პირი არ დააკარა!

— პო-ო-ო! — გაიკვირვა ყავარჩენმა. — პირი არ დააკარა!

— საკვირველსა ვარ, როდისა სძინავს! — განაგრძობდა ლიპა. — ნახევარი სიათის ჩაძინებული არ არის, რო ისევ წამოხტება, დადის, სუ დადის, ხან სად შეიხედავს, ხან სადა: სოფლის ხალხმა ცეცხლი ხო არაფერს წაუკიდაო, ხელს წავიდნენ სასამართლოში საქმის გასარჩევად; და სოფელს დაღდაღანი გააქვს, წივიდნენ ბრალიაო, ორი ძმა ქარხნის აშენებას დაჰპირდა, მესამემ კი იწუსუ აქსინიას ბრალიაო, ორი ძმა ქარხნის აშენებას დაჰპირდა, მესამემ კი იწყინა, და ფაბრიკა მთელი ერთი თვე იდგა, ბიძაჩემი პროხორი უმუშევარი ეზო-ეზო ნახორმალს აგროვებდა. შენა-მეთქი, ბიძაჩემო, ჯერხნობით იქნებ გენა ანდა შეშა გეხერხა-მეთქი, ვუთხარი, რა თავს ირცხვენ-მეთქი! რა ვქნა, ქრისტიანულ საქმეს ვადაჩვეული ვარო, მითხრა, ილარცრა შეხერხება, ჩემო ლიპაო!

მაღტანაყრილ ვერხვნარში შეჩერდნენ, რათა შეესვენათ, პრასკოვიასთვის დაეცადათ. ელიზაროვი უკვე დადი ზნის მენარდე იყო, მაგრამ ცხენი არა ჰყავდა, მთელ მაზრას ფეხით უვლიდა, ზურგზედ მოგდებულ თოფრაკში ხაზვი და პური დაჰქონდა, და ხელების ქნევა-ქნევით დააბოტებდა, და იმის გვერდით სიარული ძალიან ძნელი იყო.

ვერხვნარის პირას სამიჯნე სარყე იდგა, ელიზაროვი დაეჭაჭტურა: მაგრად დგას თუ არაო, პრასკოვია სუნთქაშეკრული მოვიდა, დაღმეჭილი, მუდამ შეშინებული სახე ბედნიერებისგან უბრწყინავდა: დღეს სხვა ხალხივით ეკლესიაში იყო, მერე ბაზარში შეიარა, იქ მსხლის ბურახი მიირთვა! ასეთი რამ მისთვის იშვიათი ხილი იყო, და, ის კი არა, აი, ახლაც ეჩვენებოდა, თითქოს სიცოცხლეში პირველად დღეს იგემა სიამოვნება, ცოტა რომ შეისვენეს, სამივენი გვერდიგვერდ გაუდგნენ გზას. მზე უკვე ჩადიოდა, და იმისი სხივები ვერხვნარში ატანდა, ტოტებზედ კრთოდა, წინ კვილ-ხივილი ისმოდა, უკლევ-ვოელმა გოგოებმა კარგა ხნის წინათ ჩაიარეს, მაგრამ აქ, ვერხვნარში შეყოფნებულიყვნენ: ალბათ სოკოსა კრეფდნენ.

— ეჭვი, გოგუცანებო-ო! — უყვიროდა ელიზაროვი. — ეჭვი, კაკლუცებო! პასუხად სიცილი მოისმოდა.

— ყავარჩენი მოდის! ყავარჩენი! ყრანტი!

და გამოძახილიც იცინოდა, აი, ვერხვნარიც უკან დარჩა, უკვე გამოჩნდა ფაბრიკის მიღების წვეროკინები, სამრეკლოზედ ჯვარმა გაიელვა: ეს სოფელი იყო, სწორედ ისა. „სადაც დიაკვანმა ქელებში მთელი ერთი ქილა ხიზილალა

შეკამა“. აი თითქმის უკვე შინ არიან; მარტო ერთი ზევშილ: უნდათ დაშვება, ლიბა და პრასკოვია, რომელნიც ფეხშიშველნი იყვნენ. ბალახზედ დასხდნენ, რათა ფეხთ ჩაეცვათ; იქვე ჩამოჯდა მენარდე ელიზაროვიც. ზემოდან რომ დახედავდით, უკლევევო თავისი ბზებით, თეთრი ეკლესიითა და მდინარით ლამაზ, მყუდრო სოფლად მოგეჩვენებოდათ, და თუ რამ აუშნოებდა, მუხრანის მთების საბურავები იყო, მომჭირნეობის გამო ბნელი. უგემურებ მტკნარს, მტკნარს, მეორე მხარეს ფერდობზედ ჭვავი ჩანდა — ბჭებიც, ძნებიც აქა-იქ, თითქოს ქარაშოტისგან მიყრილ-მოყრილი, და სულ ახალი მომკილი, ზოლებად დაწვენილი; შვრიაც უკვე შემოსულიყო და აწ მზეზედ სადაფსავით ბზინავდა. ნამგალობა იდგა. დღეს უქმეა, ხვალ, შაბათს, ჭვავია ასაღები, თივაა გასატანი, მერე კვირაა, ისევ უქმე. ყოველდღე დროდადრო შორი ქუხილი ისმოდა; ჰაერი დაიბუთა, წვიმას უჩანდა პირი, და მინდვრის შემყურე სუყოველი კაცი ამხელად იმას ფიქრობდა, ღმერთმა ჭირნახული კეთილად დაგვაბინავებინოსო, და გულს კი უხაროდა, მზიარულობდნენ კიდევ, მაგრამ მოუსვენრად იყვნენ.

— მომკელნი წლევუს ძვირად ღირან, — თქვა პრასკოვიამ, — დღეში შვიდი აბაზი!

ყაზანსკოეს ბაზრობიდან კი მოდიოდა და მოდიოდა ხალხი: დედაკაცნი, ახალკარტუზიანი ფაბრიკელი მუშები, უარარაონი, ყმაწვილნი... ხან ფორანი მოხრიგინებდა, მტვრის კორიანტელს აყენებდა, და უკან გაუყიდველი ცხენი მოსდევდა, თითქოს გახარებული, რომ მუშტარი არავინ გამოუჩნდა; ხან რქებში თოკწაბმული ძროხა გამოატარეს, გაოჩნებული, ხან ისევ ფორანი გამოჩნდა, შიგ მთვრალი სოფლის კაცნი ისხდნენ, ფეხებგადმოკიდებულნი. ერთ ბებერ დედაკაცს პატარა ბიჭი მოჰყავდა; ბიჭს დიდი ქუდი ეხურა და დიდი ჩექმები ეცვა; შეღონებული იყო სიცხისგან და მძიმე ჩექმებისგან, რომელთა გამო ფეხები მუხლებში ვერ მოელუნა, მაგრამ მაინც იდგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სათამაშო რამ ღოროტოტოს უსუსტრად ატუტუნებდა: უკვე ჩაიქვეითეს და ქუჩაში შეუხვიეს, ღოროტოტოს ხმა კი ჯერ კიდევ ისმოდა.

— ჩვენი მეფაბრიკეები რალაც გუნებაზედ ვერ არიან... — თქვა ელიზაროვმა. — უბედურებაა! კოსტიუკოვი გამიბრაზდა. ლავგარდანსაო, დამიტატანა, ბევრი ყავარი მოანდომეო, როგორ ბევრი-მეთქი? რამდენიც უნდოდა, ჩემო ვასილ ბატონო, იმდენი მოვანდომე-მეთქი, ვუთხარი, მაგისტანებს როგორ მიბედავო? რეგვენოო, შე ასეთ-ისეთოო! თავს ნუ გაგივიდაო, მიყვირა. მენარდე მე გაგხადეო! დიდი ამბავი-მეთქი, ვუთხარი, მენარდე არ ვიყავი, მაგრამ ჩაის მაინც ყოველდღე ვსვამდი-მეთქი. სუყველანი ბაცაცები ხართო... მე აღარაფერი ვუთხარი, გულში კი ვიფიქრე, ჩვენ ამქვეყნად ვართ ბაცაცები, თქვენ იმ ქვეყნად გახდებით ბაცაცები-მეთქი. ეპ-ეპ-ეპ! მეორე დღეს ცოტა მოლბა, შენა, ყავარჯენოო, მეუბნება, ნუ მიბრაზდებითო. იქნებ ზედმეტად გითხარი, მაგრამ ნუ გავიწყდება, რო პირველი გილდიის ვაჭარი ვარ, წინზედ უფროსი ვარ — ენა არ უნდა შემომიბრუნოო. ბატონი ბრძანდებით-მეთქი, ვეუბნები, თქვენ პირველი გილდიის ვაჭარი ხართ, მე კი ხურო ვარ-მეთქი. აკი წმიდა იოსებიც ხურო იყო-მეთქი, ჩვენი საქმე მართალი და ღვთის სათნო საქმეა-მეთქი, ხოლო უფროსობა თუ გნებავთ, ჩემო ვასილ ბატონო, ბრძანდებოდეთ-მეთქი, მერე კი, ამ ჩვენი ლაპარაკის მერე, დავფიქრდი: უფროსი მართლაც ვინ არი-მეთქი? პირველი გილდიის ვაჭარი თუ ხურო-მეთქი! რალა თქმა უნდა, ხურო, შვილებო!

ყავარჯენი ჩაფიქრდა და დასძინა:

— ეს აგრეთვე. შვილებო. ვინაც ირჩება, ვინაც ითმენს, უფროსიც ეს არი. მზე უკვე ჩავიდა და მდინა უზუდ, ეკლესიის გალავანში და ფაბრიკების აბლო-მახლო მინდვრებზედ ნისლი ბოლავდა, თეთრი, როგორც რძე ახლა. როცა სწრაფად ბინდებოდა, ქვევით სინათლეები კრთოდა, და როცა ნისლი ქვეშ თითქოს უძირო უფსკრული იყო დაფარული, ღიბას და დედამისს, დარიბ-ლატაკე-ბად რომ დაბადებულებიყვნენ და ბოლომდის ასე ებირებოდნენ კუბუჭებებს, თავიანთი შიშატანილი, უწყინარი სულების გარდა. ყველანაირად რომ სძლვნიდნენ, — ეგება წუთით მოეჩვენათ კიდევ, რომ ამ უზარმაზარ იდუმალ სამყაროში, სხვა უთვალავ სიცოცხლეს შორის ისინიც ძალას წარმოადგენდნენ, ისინიც მავანისა და მავანის უფროსნი იყვნენ; აქ ზემოთ ჯდომა სიამოვნებდათ, ბედნიერნი ილიმებოდნენ და გულიდან გადავარდნოდათ, რომ ქვემოთ მაინც უნდა ჩასულიყვნენ.

ბოლოს, დაბრუნდნენ შინ. ქუჩის კართან და დუქნის სიახლოვეს მიწაზედ მომკელნი ისხდნენ. უკლევოელი ჩვეულებრივ არავინ მიდიოდა ციბუკინთან სამუშაოდ. რის გამოც სხვათა დაქირავება უხდებოდა, და ახლა თვალს ეჩვენებოდა ბნელში, რომ სულერთიანად გრძელშავწყვერიანები შეყრილიყვნენ, დუქანი ღია იყო, და კარებში ჩანდა, როგორ ეთმაშებოდა ყრუჩუნა პატარა ბიჭს. მომკელნი ღიღინებდნენ, ოდნავ გასაგონად, ანდა ხმამაღლა ითხოვდნენ გუ-შინდელი დღისას, მაგრამ არ უხდიდნენ, რომ ხვალამდის არ წასულიყვნენ. ციბუკინი უსერთუკოდ, ფილეტის ამარა, და აქსინია პარმალთან არყის ქვეშ ჩაისა სვამდნენ; და მაგიდაზედ ლამპა ენთო.

— პაპაკაცო-ო! — იძახდა ჭიშკრის უკან მომკელი ვინმე, თითქოს გასაბრაზებლად. — ნახევარი მაინც გადაგვიხადე! პაპაკაცო-ო!

და იმავ წუთს გაისმოდა სიცილი, მერე კი ისევ ოდნავ გასაგონად ღიღინებდნენ... ყავარჯენიც ჩაის დასალევად დაჯდა.

— ვიყავით, მაშდამე, ბაზრობა მოვიარეთ. — დაიწყო მან მოყოლა. — კარგად მოვიარეთ, შვილებო, ძიელ კარგად, მადლობა უფალსა. ოღონდ ერთ ფინთ ამბავსაც შევესწარით: მჭედელმა საშკამ თუთუნის იყიდა და ათშაურიანი დაუდო, მაშდამე, ვაჭარსა. დაუდო, ფული კი თურმე ყალბი იყო, — განაგრძობდა ყავარჯენი და თან აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა; უნდოდა, რომ ჩურჩულით ელაპარაკა, მაგრამ ყრუ, ბრინწიანი ხმით ლაპარაკობდა, და სუყველას ესმოდა. — ჰო, ათშაურიანი ყალბი გამოდგა. ეკითხებიან: სად აიღეო? სადაო და, ონისიმე ციბუკინმა მომცაო. იმის ქორწილში რო ვიყავით, მაშინაო... ხელად დაუძახეს ათისთავსა და წაიუვანეს.. ნახე, გრიგოლ, ემანდ ხათაბალას არ გადაეკიდოთ, რა ვიცი...

— პაპაკაცო-ო, — აბრაზებდა ისევ ის ხმა ჭიშკრის უკნიდან. — პაპაკაცო-ო! დუმილი ჩამოვარდა.

— ეჰ, შვილებო, შვილებო, შვილებო... — სხაპასხუბით წაიდუდუნა ყავარჯენმა და წამოდგა; რული ერეოდა. — ჩაისთვისაც მადლობა და შაქრისთვისაც, შვილებო. ძილის დროა. სულ დავფუტუროვდი, თავხეები დამიღბა. ეჰ-ეჰ-ეჰ! და წასვლისას დააყოლა!

— სიკვდილის დრო მოვიდა უკვე!

და ჩაისლუკუნა. ციბუკინი ჩაის აღარა სვამდა, მაგრამ არ ამდგარა, იჯდა, ფიქრობდა, და გამომეტყველება ისეთი ჰქონდა, თითქოს უკვე შორს ქუჩაში მიმავალ ყავარჯენის ნაბიჯებს უგდებდა ყურს.

— იმ საშუა მკედელმა ალბათ ტყუილი დაახეთქა, — თქვა აქსინიამ, ბერიკაცის გულისთქმას ჩახვედრილმა.

ციბუკინი შინ შევიდა და ცოტა ხანში უკანვე მობრუნდა, ხელთ რაღაც შეკვრა ეჭირა; გახსნა და — მანეთიანები აბრჭყვიალდა, სულ ანალმოტრილი.

— მართლა ყალბი მანეთიანებია... — თქვა ბერიკაცმა, თან გაქვინიანდა და რეზბდა და ნამდვილად საგონებელში იყო ჩავარდნილი. — ის ფულია... ონისიმემ რომ ჩამოიტანა მაშინ, იმისი საჩუქარია, წაიღე შეილო, — წაუჩურჩულა რძალს და ხელში შეკვრა შეაჩეჩა. — წაიღე, ჭაში ჩაყარე... ჯანდაბას! ნახე, სალაპარაკო არ გახადო, მართლაც ხათაბალას არ გადავეკიდოთ.. სადუღარი აიღე, სინათლევ ჩააჭრე...

ლიპა და პრასკოვია, ფარდულში მსხდომნი, ხედავდნენ, როგორ ერთმანეთის მიყოლებით ჩაქრა ყველა შუქი, მხოლოდ ზევით ბარბარესთან ენთო ლურჯი და წითელი ბაზმები, და იქიდან მყუდროების, გულსავსების და უცოდნელობის სიო ქროდა. პრასკოვია ვერასგზით ვერ შეტყუებოდა იმას, რომ ქალიშვილი მდიდარზედ ჰყავდა გათხოვილი, და როცა კი მოდიოდა, წინკარში მორცხვად იკუნჭებოდა, მუდარით იღიმებოდა, და ჩაისა და შაქარს იჭამოუტანდნენ ხოლმე. ბედს ვერც ლიპა შეტყუებოდა და მას მერე, რაც კმარი წაუვიდა, თავის ლოგინში კი აღარ ეძინა, არამედ სადაც მოხვდებოდა — სამზარეულოში ან ფარდულში, და ცისმარე დღე იატაკებს რეცხავდა ანდა თეთრეულს მურკნიდა, და ეჩვენებოდა, რომ მედღეურად მუშაობდა. და ახლაც, სალოცავიდან დაბრუნებულთ სამზადში ჩაი რომ დალიეს, მზარეულ ქალთან ერთად, მერე ფარდულში წამოვიდნენ და ძირს მიწვნენ მარხილებსა და კედელს შუა. ფარდულში ბნელოდა, ცალულების სუნი იდგა, სახლის ახლომახლო შუქი ჩაქრა, მერე ყურთასმენამდე აღწევდა, როგორ კეტავდა ყრუჩუნა დუქანს. როგორ ეწყობოდნენ დასაძინებლად მომკელნი ეზოში. შორს, უმცროს ხრინებთან ძვირფასიან გარმონს უკრავდნენ... პრასკოვიას და ლიპას ძილი მოერიათ.

და როცა ისინი ვიდაცის ნაბიჯებმა გამოაღვიძა, უკვე მთვარე ქათქათებდა და განათებული იყო. ფარდულის შემოსასვლელში აქსინია იდგა, ხელთ ლოგინი ეჭირა.

— აქ თითქოს უფრო გრილა... — ჩაილაპარაკა მან, მერე თითქმის ზედღირესთან დაიგო ლოგინი და დაწვა, და თავით ფეხთამდე მთვარის შუქი ადგა.

აქსინიას არ ეძინა და მძიმედ სუნთქავდა, მერე სიცხისგან გათანგულმა ტანთ თითქმის სულ გაიძრო — და ენა ვერ იტყვის, ამ ჯადოსნურ მთვარის შუქში რა ლამაზი და რა ამაყი რამ სულდგმული იყო! ცოტა ხანი გამოხდა, და ევლავ ნაბიჯის ხმა გაისმა: კარებში ბერიკაცი გამოჩნდა, მთლად თეთრი.

- აქსინია! — დაუძახა მან. — აქა ხარ?
- რა არი მერე! — ბრაზიანად გაეპასუხა აქსინია.
- წელან რო გითხარი, ფული ჭაში ჩაყარე-მეთქი, ჩაყარე?
- გიფი კი არა ვარ, ქონება წყალში ჩამეყარა, მომკელთ მივეცი...
- ოჰ, ღმერთო ჩემო! — ჩაილაპარაკა ბერიკაცმა. — უტიფარი დედაკაცი ხარ... ოჰ, ღმერთო ჩემო!

ბერიკაცმა ხელები გაასავსავა და გაბრუნდა, და სანამ მიდიოდა, რაღაცას ბურტყუნებდა, აქსინიამ ცოტა ხანს უყურა და წამოჭდა, მძიმედ ამოიოხრა ღარდიანად, მერე ადგა, ამოიიღლიავა თავისი ლოგინი და გავიდა.

— აქ სად გამომათხოვე, დედაჩემო! — წაულაპარაკა ლიბამ.

— ქალი უნდა გათხოვდეს, შვილო. ჩვენი მოგონილი არ არი.

და ცოტაც, და უნუგეშო ნალველი დაერეოდა დედა-შვილს. მაგრამ აი მოეჩვენათ, რომ ვილაცის ლანდი გადმოდგა მაღალი ციდან, ლაქვალდი სივრცოდან, იჭიდან, სადაც ვარსკვლავებია, ყველაფერს ხედავს, რაც უკლვევოში ხდება, დადარაჯებულია. და რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს მისი ცხება, ღამე მაინც მშვიდი და ლამაზია, და ღვთისგან გაჩენილ წუთის მსგავსად არის და იქნება სამართალი, ამ ღამესავით მშვიდი და ლამაზი, და დედამიწის ზურგზედ ყველაფერი იმის მოლოდინშია, რომ სამართალს შეერწყას, როგორც მთვარის შუქი ერწყმის ღამეს.

და ორივენი, დამშვიდებულნი, გვერდიგვერდ მიწოლილნი, ძილს მიეცნენ.

VI

უკვე კარგა ზნის ცნობილი იყო, რომ ყალბი ფულის მოჭრისა და გასაღებისთვის ონისიმე ციხეში ჩასვეს. გავიდა რამდენიმე თვე, გავიდა ნახევარწელიწადზე მეტი, მიიწურა გრძელი ზამთარი, დადგა გაზაფხული, და იმ ამბავს, რომ ონისიმე ციხეში იჯდა, ოჯახშიც და სოფელშიც შეეჩვივნენ, და როცა ვინმე ღამით ჩაუვლიდა ციხუკინიანთ სახლს ან დუქანს, მაშინდა აგონდებოდა, რომ ონისიმე ციხეში იყო, და როცა სოფლის სასაფლაოზედ რეკავდნენ, მაშინაც რატომღაც წამოაგონდებოდათ ხოლმე, რომ ის ციხეში იჯდა და სასამართლოს ელოდა.

ეზოს თითქოს ჩრდილი რამ დაადგა, სახლი ჩაბნელდა, სახურავი ჩაყანგდა, რკინაგადაკრული, მძიმე, მწვანედ შეღებილი დუქნის კარი ჩაყამდა ანდა, როგორც ყრუჩუნა ამბობდა, „დაიღრიჯა“; და თვითონ ბერ ციხუკინიც თითქოს ჩაბნელებული იყო. აღარც თმას იკრეჭდა და აღარც წვერს, გაიბურძგნა, ტარანტასში უკვე შეუხტომლად ჯდებოდა დ მათხოვრებს აღარ უყვიროდა: ღმერთი მოგცემთო! თანდათან უძლურდებოდა, რაც ყველაფერზედ ეტყობოდა. უკვე ხალხიც ნაკლებად უშინდებოდა, და ათისთავმა დუქანში ოქმიც კი შეუდგინა, თუმცა ძველებურად იღებდა, რაც საჭირო იყო; ქალაქშიც სამჯერ დაუძახეს, რათა არაყით ფარული ვაჭრობისთვის გაესამართლებინათ, მაგრამ საქმე სამჯერვე გადაიდო მოწმეების გამოუცხადებლობის გამო, და ბერიკაცი გაწამდა.

შვილთან ის ხშირად დადიოდა, ვილაცას ქირაობდა, ვილაცასთან არზა მიჰქონდა, სადღაც ბაირალი შესწირა. იმ ციხის ზედამხედველს, სადაც ონისიმე იჯდა, ვერცხლის საჭიქე მიართვა თავის გრძელ კოვზიანად, საჭიქეს მინანქარზედ ეწერა „სულმა ზომა იცის“.

— მარჯვედ რო მიმდგარიყო და მომდგარიყო, არავინ არი, — ამბობდა ბარბარე. — ეჭ-ჰეჭ-ეჭ... იქნებ ვინმე დიდი კაცისთვის გვეთხოვნა, მთავარი უფროსებისთვის მიგვეწერა... სასამართლომდის მაინც გამოუშვებდნენ! რაზედ ვტანჯავთ ბიჭსა!

ჯავრი იმასაც უწიწკნიდა გულს, დანალვლიანებული იყო. მაგრამ გასუქდა, გათეთრდა, უწინდებურად ანთებდა თავის ოთახში ბაზმებს და თვალი ეჭირა, რომ ოჯახში ყველაფერი სუფთად ყოფილიყო, და სტუმრებს მურაბითა და ვაშლის პასტილით უმასპინძლდებოდა. ყრუჩუნა და აქსინია დუქანში ვაჭრობდნენ. აიტეხეს ახალი საქმე — აგურის ქარხანა ბუტიოკინოში, და აქსინია ყო-

ველდღე დადიოდა იქ, ტარანტასით; ტარანტასი თვითონ დაჰყავდა და, ნაც-  
ნობს ვისმე რომ დაინახავდა, წამოიყელყელავებდა, როგორაც კვავის ჩეჭი-  
ლიდან გველი, და მიამიტად და შეუცნობლად იღიმებოდა. ლიპა კი იღმა და  
სულ თავის ჩვილს ეთამაშებოდა, რომელიც მარხვის წინ გაუჩნდა. პაწაწი-  
ტელა, გაქნაჭული, საცოდავი ბავშვი იყო, და უცნაურად ჩანდა, უჭრემუნდა,  
იცქირებოდა, ადამიანად რომ მიაჩნდათ და, ის კი არა, ნიკიფორსაც უფრო  
ნენ. ჩვილი ხოჭოჭში უწვა, თვითონ ლიპა კი კარებთან მიდიოდა და თავის დაკ-  
ვრით ეუბნებოდა:

— გამარჯობათ, ნიკიფორე, ონისიმეს ბიჭო!

და წამსვე მიიბუნდა ბავშვთან და ჰკოცნიდა. მერე ისევ მივიდოდა კა-  
რებთან, ისევ თავს დაუკრავდა და კვლავ:

— გამარჯობათ, ნიკიფორე, ონისიმეს ბიჭო!

ის კი თავის წითელ ფეფებს პლაკავდა, ზა ხურო ელიზაროვისა არ იყოს,  
ტირილი და სიცილი ერთმანეთში ერეოდა.

ბოლოს, დაინიშნა სასამართლო. ბერიკაცი ხუთი დღით ადრე წავიდა. მე-  
რე სოფლიდან გლახაკობაც წაასხეს, მოწმედ დაძახებულნი; წავიდა ძველი მუ-  
შა ხელოსანიც, რომელსაც აგრეთვე მიელო უწყება.

სასამართლო ხუთშაბათს იყო. მაგრამ უკვე კვირაუქმე დღე დაღამდა, ბე-  
რიკაცი კი არა ჩანდა, და არც რამე ისმოდა. სამშაბათს საღამოს პირზედ ბარ-  
ბარე ღია ფანჯარასთან იჯდა და ყური გზისკენ ეჭირა: ეგება სადმე ბერიკა-  
ცი გაჩნდესო. გვერდით ოთახში ლიპა თავის ჩვილს ეთამაშებოდა, ხელში აბურ-  
თავებდა და ალტაცებულა ამბობდა:

— გაიზრდები დიი-დი, დიი-დი! გლახაკი გახდები, ერთად ვივლით  
დღიურად! დღიურად ვიმუშავებთ!

— ერიპ-აა! — იწყინა ბარბარემ. — რა მედღეურობა აგიტყდა, სულელო?  
ბიჭი ვაჭარი გვეყოლება!..

ლიპა ჩუმად აღიღინდა, მაგრამ ცოტა ხანში ფიქრმა წაართვა თავი და  
კვლავ:

— გაიზრდები დიი-დი, დიი-დი, გლახაკი იქნები, ერთად ვივლით დღი-  
ურად!

— ერიპ-აა! აიბირა!

ხელში ჩვილატატებული ლიპა კარებში გაჩერდა და ჰკითხა:

— რატომ არი, დედი, რო ნიკიფორე აგრე მიყვარს? რატომ არი, რო  
აგრე მეცოდება? — განაგრძობდა ლიპა ათროლოებული ხმით, და თვალები  
ცრემლებისგან გაუბრწყინდა. — ვინ არი? რას წარმოადგენს? რაღა ბუმბული,  
რაღა ნამცეცი რამ და რაღა ესა, მე კი მიყვარს, ნამდვილად ადამიანსავით მიყ-  
ვარს, არცრის თავი აქვს, არცრას ამბობს, მე კი ყველაფერს ვუგებ, რაც თა-  
ვისი პაწაწა თვალებით ესურვება.

ბარბარემ ყური მიუგდო: ხმაური მოისმა, სადგურში საღამოს მატარებე-  
ლი შემოდიოდა, ეგება ბერიკაციც ჩამოჰყვა? ბარბარეს უკვე აღარც ეყუ-  
რებოდა და აღარც გაეგებოდა, რას ლაპარაკობდა ლიპა, აღარც ის ახსოვდა,  
დრო როგორ გადიოდა, მხოლოდლა კანკალებდა, და არა შიშისგან, არამედ  
ძლიერი ცნობისმოყვარულობისგან. აი დაინახა, როგორ ჩამოიჭროლა სწრა-  
ფად, ხრიგინ-ბრიგინით სოფლის ხალხით სავსე ფორანმა. მოწმეები დაბრუნებუ-  
ლიყვნენ, სადგურიდან. მოდიოდნენ. დუქანს რომ გაუსწორდნენ, ფორნიდან

ძველი მუშა ხელოსანი ჩამოხტა და ეზოს მოაშურა. ისმოდა, როგორ მიემშვიდობნენ ეზოში, რაღაც ჰკითხეს...

— უფლებებისა და მთელი ქონების ჩამორთმევა, — ხმამაღლა უთხრა მუშა ხელოსანმა, — და ციმბირში ექვსი წლით კატორღა.

ჩანდა, როგორ გამოვიდა დუქნიდან უკანა კარით ექვსი წლის იყო ნავთის მუშტარს ისტუმრებდა, და ცალ ხელში ბოთლი ეჭირა, მეორეში — დაბრი და ბირში ვერცხლის ფული ჰქონდა.

— მამა რაღა იქნა? — ჰკითხა მან ჩიფჩიფით.

— სადგურშია, — უპასუხა მუშა ხელოსანმა. — უკვე კარგად რო დაბნელდებაო. თქვა, მერე წავალო.

და როცა ეზოში ცნობილი გახდა, ონისიმეს საკატორღო სამუშაო მიუსაჯესო. მზარეულმა დედაკაცმა სამზადში უცებ მოთქმით მორთო ტირილი, თითქოს ცხედარს დასტირისო. ეგონა, რომ ამას ზრდილობა ითხოვდა:

— ვისი ანაბარ დაგვყარე, ონისიმე, ბიჭო. შე თვალმახვილო შავარდენო...

აყუფდნენ დაფეთებული ძაღლები. ბარბარემ ფანჯარასთან მიიბინა და, ჯავრისგან აწრიალებულმა, ყვირილი დაუწყო მზარეულ დედაკაცს, რაც შეეძლო, ხმას ძალას ატანდა:

— გეე-ყოფა, სტეპანიდა, გეე-ყოფა! გული ნუ გააწვრილე, იწამე ქრისტე!

სადღურის დადგმა დაავიწყდათ. უკვე აღარაფრის მოფიქრების თავი არა ჰქონდათ. მარტო ერთი ლიბა იყო, რომელსაც ვერ გაეგო, რა ხდებოდა, და ისევ თავის ჩვილს ელოლიივებოდა.

ბერიკაცი სადგურიდან რომ დაბრუნდა, იმისთვის უკვე აღარაფერი უკითხავთ. მან ყველანი მოიკითხა, მერე ოთახები მდუმარედ შემოიარა: არ უვახშია.

— მიმდგომ-მომდგომი არავინ იყო... — დაიწყო ბარბარემ, როცა ისინი ორნი დარჩნენ. — ხო ვთქვი, ვინმე დიდ კაცსა ვთხოვოთ-მეთქი, — არ დამიჯერეთ... არზა მაინც...

— მივდექი კიდევ და მოვდექი კიდევ! — თქვა ბერიკაცმა და ხელი ჩაიქნია. — ონისიმეს სასჯელი დასდეს თუ არა, მაშინვე ვნახე ის დარბაისელი კაცი, ვინც იმას იცავდა. აწი აღარაფერი შეიძლებაო, მითხრა, გვიან არიო. თვითონ ონისიმეც ეგრე ამბობს: გვიან არიო. მაგრამ სასამართლოდან როგორც კი გამოვედი, მაინც მოველაპარაკე ერთ ვექილს, ბეც მივეცი... ცოტა ხანს დავიცდი. კვირის თავზედ ისევ წავალ. იქნება ღმერთმა გადმოგვხედოს.

ბერიკაცმა კვლავ მდუმარედ შემოიარა ოთახები და ბარბარესთან რომ შემობრუნდა, უთხრა:

— ფულის საქმე ვერა მაქვს კარგად. გახსოვს, ონისიმემ ქორწილის წინ თომას კვირაში ახალი მანეთიანები და ათშაურიანები რო ჩამომიტანა? ერთი შეკვრა ავდექი და შევიინახე, დანარჩენი ჩემსაში გადავურიე... ღმერთმა აცხონოს, ერთი ბიძა მყავდა. დიმიტრი, სულ საქონელზედ დაიარებოდა, ხან მოსკოვში, ხან ყირიმში. სანამ ის საქონლის ჩამოსატანად იყო ხოლმე წასული, იმისი ცოლი სხვებთან დადიოდა. ექვსი შვილი ჰყავდათ, და ბიძაჩემი, როცა დაღუვდა, იცინოდა ხოლმე: ვერაფრით ვერ გამირჩევიაო, ამბობდა, ჩემი შვილები რომლები არიან და სხვისები რომლებიო. კარგი ხასიათის კაცი იყო. მეც, სწორი ვითხრა, იმის დღეში ვარ, ვერ გამირჩევია, რომელი ნამდვილი ფული მაქვს და რომელი ყალბი. და, მგონი, სულაც ყალბია.

— აბა, რას ამბობ, ღმერთმა დაგიფაროს!



— სადგურში ბილეთს რო ვყიდულობდი, სამი მანეთი გადავასწოდე, და მეგონა, ვითომ სამივე ყალბი იყო, მართალი გითხრა, შემეშინდა. ალბათ რაღაც ამბავია ჩემს თავს.

— რაც გინდა თქვი, ყველანი ღვთითა ვართ... ეჰ-ჰეჰ-ეჰ... — ჩაილაპარაკა ბარბარემ და თავი გააქან-გამოაქნია. — ყველაფერი უნდა იფიქრე, ყველაფერი იცი, რა ხდება. ახალგაზრდა აღარა ხარ. მოკვდები, წახვალ, უშენოდ შეილიშვილი არ დაგიჩაგრონ. ვაი, ვაი, რომ დაგიჩაგრავენ ნიკიფორეს, დაგიჩაგრავენ! მამა, ჩათვალე, რო აღარა ჰყავს, დედა ერთი სულელი გოგოა... ნეტავი ის ბუტიოკინოს მიწა მაინც დაგეწერა, გრიგოლ, იმაზედ, ბავშვზედ ვამბობ! იფიქრე! — განაგრძობდა დარწმუნებას ბარბარე. — მე რე რა კარგი ბიჭია, ცოდოა! ადექი და ხვალვე წადი და დაწერე ქალაღი. რაღას უნდა უცადო?

— შეილიშვილი აღარც მომგონებია... — თქვა ციბუკინმა. — მოვიკითხო მაინც. მაშ კარგი ბიჭია, არა? ღმერთმა ქნას, კარგი გაზრდილიყოს!

ბერიკაცმა კარი გამოაღო და მოკაცული თითით თავისთან დაუძახა ლიპას. ლიპა ხელში ბავშვატატებული მოუაბლოვდა.

— შენა, შეილო ლიპა, თუ რამ საჭიროა, მკითხე. — უთხრა მან. — და რაც გინდოდეს, ჭამე, არ გვენანება, ოღონდ კარგად იყავი... — და ბავშვს პირჯვარი გარდასახა. — ამ ჩემს შეილიშვილსაც გაუფრთხილდი. შეილის მაგივრად შეილიშვილი დამრჩა.

ბერიკაცს ლოყებზედ ცრემლები ჩამოუწანწკარდა, დაისლუკუნა და გვერდზედ გადგა. მალე დასაძინებლად დაწვა და, შვიდი უძილო ღამის შემდეგ, მკვდარივით დაეძინა.

VII

ბერიკაცმა ცოტა ხნით მოიარა ქალაქი. ვილაცამ აქსინიას ჩაუკენჭა, ნოტარიუსთან იყო ანდერძის დასაწერადო, და ბუტიოკინო, სადაც შენ აგურსა წვავ, თავის შეილიშვილს ნიკიფორეს უანდერძაო. ეს ამბავი აქსინიამ დილით შეიტყო, როცა ბერიკაცი და ბარბარე პარმალთან არყის ქვეშ ისხდნენ და ჩაისა სვამდნენ. აქსინიამ დუქანი ქუჩის მხრიდანაც დაკეტა და ეზოს მხრიდანაც, რა კლიტეებიც კი ჰქონდა, სუყველა მოაგროვა და ბერიკაცს ფეხებში მიუყარა.

— მორჩა, მე თქვენი გულისთვის თითსაც აღარ გავანძრევ! — დაიყვირა მან ხმამაღლა და აქვითინდა. — გამოდის, რო მე რძალი კი არა, მოჯამაგირე ვყოფილვარ! მთელი ხალხი იცინის: ციბუკინებმა ეს რა კარგი მოჯამაგირე იშოვნესო! არა, მე ქირით არ დაგდგომივართ! მე არც მთხოვარა ვარ და არც კიდევ ვილაცა ყურმოჭრილი მონა, მამაცა მყავს და დედაც.

აქსინიას ცრემლი არ მოუწმენდია, ისე მიაპყრო ბერიკაცს თვალები, აცრემლებული, ღვარძლიანი, სიავისგან გაელმებული, საბე და კისერი გაქარბლებული ჰქონდა, რადგან ყვირილით იჭაჭებოდა.

— მეყო, რაც გემსახურეთ! — განაგრძობდა აქსინია. — საკმარისად ვეწამე! დღედაღამ მუშაობა, დუქანში ჯდომა, ღამლამობით არაყზედ სირბილი — მე, ხოლო მიწის ჩუქება — კატორღელის ცოლსა და იმის ეშმაკის ნაშიერს! ის არი აქ დიასახლისი, უფროსი ქალბატონი, მე იმისი მოსამსახურე ვყოფილვარ! მიეცით, ყველაფერი იმას მიეცით, ტუსაღის ცოლს, ყელზემც დასდგომია, მე ჩვენებთან წავალ! სხვა ვინმე სულელი იპოვნეთ, თქვე წყეულო ჰეროდებო!

ბერიკაცს თავის სიცოცხლეში ერთხელ რა არი, ერთხელაც არ გაელანძღა და არ დაესაჯა შვილები და იმის გაფიქრებაც კი უჭირდა. რომ ოჯახის რომელიმე წევრი უბეშ სიტყვას აკადრებდა ანდა უპატივცემლოდ მოექცეოდა, და ახლა ძალიან შეშინდა, შინ გაიქცა და კარადის უკან დაიბაღა. ბარბარე კი ისე გაოგნებულიყო, რომ ადგილიდან ვეღარ დგებოდა, იჯდა და იმხანად იქნევდა ხელებს, თითქოს ფუტკარს იგერიებდნენ.

ერთხელ

— ოპ, ამას რას მოვესწარი. ღმერთო ჩემო? — ბუტიოკინო მარბარე ცემული ბარბარე. — რა არი, რა აყვირებს? ეპ-ჰეპ-ეპ... ხალხი გაიგებს! ცოტა ჩუმად... ოპ, ცოტა ჩუმად მაინც იყვიროს!

— რაბან ბუტიოკინო მიართვით. — განაგრძობდა ყვირილს აქსინია, — ბარბარე ყველაფერი იმ კატორღელის ცოლს მიაკუთვნეთ, — მე თქვენი არაფერი არ მინდა! ჭანდაბამდისაც გზა გქონიათ! სუყველანი ერთნაირები ხართ! მეყო, რაც გიციქირეთ! გაუძარცვავე არცვინ არ დაგრჩენიათ, არც ავლილი და არც ჩავლილი, არც დიდი და არც პატარა, თქვე მართლა ავაზაკებო! უპატენტოდ ხო ყიდეთ არაყი? ყალბ ფულებს რაღას უშვრებით? დაავსეს სკივრები ყალბი ფულებით — და ეხლა ილარა ვქირდები!

ყურთამდე ღია კიშკართან უკვე მოგროვილიყო ხალხი და ეზოში იცქირებოდა.

— იყუროს ხალხმა, იყუროს! — ყვიროდა აქსინია. — თავი უნდა მოგქრათ! სირცხვილის ცეცხლში უნდა ამოგბუგოთ! ისეთ დღეში ჩაგყრიოთ, მგონი, ფეხებს მილოკავდეთ! ჰეი, სტეფანე! — ყრუჩუნას გასძახა აქსინიამ. — წავედით ეხლავ ჩვენებთან! მამაჩემთან და დედაჩემთან წავედით, ტუსალებთან ცხოვრება არ მინდა! მალე!

ეზოში გაბმულ თოკებზედ სარეცხი ეფინა; აქსინიამ ხან რა ჩამოგლიჯა თავისი რამეები, ხან რა, ქვედა და ზედა ჩასაცმელები, ჭერ ისევ სველები, და თან ყრუჩუნას ხელებში აჩეჩებდა. მერე, გაშმაგებული, მთელ სარეცხს დაერია, აღარ არჩევდა თავისი იყო თუ სხვისი, სულ ძირსა ყრიდა და ზედ ფეხით სდგებოდა.

— ოპ, ღმერთო ჩემო, დააშოშმინეთ! — კენესოდა ბარბარე. — რამ გადარია? მიეცით ის ოხერი ბუტიოკინო, მიეცით ქრისტე ზეციერის გულისთვის.

— აი დე-და-კა-ციი! — ამბობდნენ კიშკართან. — დე-და-კა-ცი აბა ეგა ყოფილა! აუ, რა გაიწია!

აქსინია სამზარეულოში შევარდა, სადაც ახლა სარეცხი ჰქონდათ. ღიპს მარტო რეცხავდა, მზარეული დედაკაცი მდინარეზედ წასულიყო სარეცხის გასავლებად. ქურის ახლოს ვარცლს და ქვაბს ორთქლი ასდიოდა, და სამზარეულოში ორთქლის ბულისგან დამძიმებული პაერი და დაბუნდებული შუქი იდგა. იატაკზედ ჭერ ისევ გაურეცხავი მთელი გროვა თეთრეული ეყარა, იქვე სკამზედ კი წითელფეფებაშვერილი ნიკიფორე იწვა და რომც გადმოვარდნილიყო, არა დაუშავდებოდა რა. სწორედ მაშინ, როცა აქსინია შემოვიდა, ღიპს ძირიდან იმისი პერანგი აიღო და ვარცლში ჩადო, და ხელი უკვე გაიწოდა მღულარით სავსე კურკლისკენ, რომელიც მაგიდაზედ იდგა...

— მომე აქ! — შეუძახა მძულვარედ მზერამიპყრობილმა აქსინიამ და ვარცლიდან თავისი პერანგი ამოსტაცა. — შენი საქმე არ არის ჩემი თეთრეულის ხელის ხლება! შენ ტუსაღის ცოლი ხარ და შენი ადგილი უნდა იცოდე!

ღიპა გაოგნებული უცქეროდა და ვერ მიმხვდარიყო, რა უნდოდა, მაგრამ

უცებ შეამჩნია, რა თვალითაც მან ბავშვს შეხედა, და უცბადვე მიხვდა და გაფითრდა...

— რაბან მიწა წამართვი, აბა, ესეც შენა!

ამის თქმა იყო, და აქსინიამ მღუღარით სავსე ლაპოტს წასტაცა ხელი/და ნიკიფორეს შეაჩქაფუნა.

და გაისმა კვილი, რომლის მსგავსი ჯერ არასოდეს გაეგონებოდა, და არც არავის ეჯერებოდა, რომ ისეთ პატარა, სუსტ არსებას, როგორც ლიპა იყო, ამისთანა კვილი შეეძლო. და ანაზდად ეზოში სიჩუმე ჩამოვარდა. აქსინია დადუმებული შევიდა შინ, წინანდლებზე მიამიტად იღიმებოდა... ყრუ-ჩუნას ამოვიღლიაფებინა თეთრეული და ეზოში დაბორიალებდა, მერე ისევ გაფენა დაიწყო, მღუღარედ, აუჩქარებლად, და სანამ მზარეული დედაკაცი მდინარიდან არ დაბრუნდა, ვერავინ ვერ ბედავდა, რომ სამზარეულოში შესულიყო და ენახა, რაც იქ მოხდა.

VIII

ნიკიფორე თემის საავადმყოფოში მიიყვანეს, და სალამო ხანს იქ დაიღუპა. ლიპას აღარ დაუცდია, როდის მოაკითხავდნენ წასაყვანად, მიცვალებული კაბაშურში შეახვია და შინ წამოიღო.

ანალი, ცოტა ხნის წინათ აშენებული, დიდფანჯრებიანი საავადმყოფო მაღლა გორაზედ იდგა; ჩამავალ მზეს მთლად გაელადლადებინა, და ისე ჩანდა, თითქოს შიგნით ცეცხლი უკიდიაო. ძირს დაბა იყო, ლიპა გზას ჩამოჰყვა და დაბამდე არმისული, ერთ პატარ გუბურასთან დაჯდა. ვილაც ქალმა ცხენი მოიყვანა წყლის დასალევივინებლად, და ცხენი არა სვამდა.

— მეტი რაღა გინდა? — წყნარად ეუბნებოდა შეფიქრიანებული ქალი. — მეტი რა გინდა?

ზედ წყალთან წითელპერანგიანი პატარა ბიჭი იჯდა და მამისეულ ჩექმებს რეცხავდა. და სხვა არავისი ქაქანება არ იყო არც დაბაში, არც გორაზედ.

— არა სვამს... — თქვა ლიპამ, თან ცხენს უყურებდა.

მაგრამ აი წავიდნენ ქალი და ჩექმებიანი ბიჭი, და უკვე აღარავინ არა ჩანდა. მზე დასაძინებლად ჩაესვენა და მეწამული ოქროს ფარჩა გადაიფარა, ცაზედ გრძლად გაჭიმული ჭიაფერი და სოსანი ღრუბლები ყარაულობდნენ მზის მყუდროებას. სადღაც შორს, მიუგნებელ ადგილას, ყარაულა ზმუოდა, როგორც ბოსელში გამომწყვდეული ძროხა, ნალვლიანად და ყრუდ. ამ იღუმალის ფრინველის ყივილი ყოველ გაზაფხულზედ ესმოდათ, მაგრამ არ იცოდნენ, რანაირი იყო და სად ბინადრობდა. ზემოთ საავადმყოფოს არემარეში, ზედ საგუბართან ბუჩქებში, დაბის იქით და ირგვლივ მინდორში ბუბულები ყეფდნენ. ვილაცის წლებს ითვლიდა გუგული, სულ ეშლებოდა და ისევ თავიდან იწყებდა. საგუბარში გულმოსულად, ჭიფხვით გადაჰყიყინებდნენ ერთმანეთს ბაყაყები და გარჩევაც კი შეიძლებოდა, რა გულისთქმასაც ამოსთქვამდნენ: ყუა! ყუაო! დიდი გნიასი იდგა! და ყოველნი ღვთისგან ქმნილნი თითქოს განზრახ ზმუოდნენ, გალობდნენ, ყიყინებდნენ, რათა არცვის არ დასძინებოდა გაზაფხულის ამ სალამოს, რათა სუყველანი, თვით გულმოსული ბაყაყნიც კი, გაფრთხილებოდნენ და დამტკბარიყვნენ თითოეული წუთით: სიცოცხლე ხომ მხოლოდ ერთხელ გვეძლევა!

ცაზედ ვერცხლისფერი ნამგალა მთვარე ანათებდა, ბევრი ვარსკვლავი ჩანდა. ლიპას აღარ ახსოვდა, რამდენ ხანს იჯდა საგუბრის პირას, მაგრამ როცა

ადგა და წამოვიდა, დაბაში უკვე სუყველას ეძინა და არსად შუქი არ ენთო. სახლამდის ალბათ თორმეტ ვერსამდე იქნებოდა, მაგრამ ძალა აღარ ჰყოფნიდა, ვეღარ ეაზრა, საით უნდა ევლო; მთვარე ხან წინიდან დაჰქათქათებდა, ხან მარჯვნიდან, და ისევ ის გუგული ხმიანობდა, უკვე ჩახრინწულ წამსე სიცილს რრევდა. თითქოს აბრაზებდა: აი, ნახავ, გზა-კვალი თუ არ აგვანებსო! ლიბა გაჩქარებული მოდიოდა, თავშალი დაჰკარგვოდა... ცას უპყუფუფუფდა ფიქრობდა, ნეტავი ეხლა სად არის ჩემი ბიჭის სულიო: მუშტმტმტმტმტმტმტ მალლა ვარსკვლავების სიახლოვეს დაფრინავსო? ო, რა მარტოდმარტო ხარ ღამე მინდვრად, როცა ამდენი სიმღერა ისმის, და შენ კი არ გემღერება, როცა ირგვლივ ზედიზედ ამდენი სიხარულის შეძახილია, და შენ კი არ გიხარია, როცა ციდან მთვარე იყურება, ისიც აგრეთვე მარტოსული, რომლისთვის სულ ერთია — გაზაფხულია ახლა თუ ზამთარი, ცოცხალია ადამიანი თუ მკვდარი... როცა გული მწუხარება. ძნელი ასატანია მარტოობა. ნეტავი გვერდით დედა მაინც ჰყავდეს, პრასკოვია, ან ყავარჩენი, ან ის მზარეული დედაკაცი, ანდა სულაც გლენი ვინმე!

— მუ-უ! — იძახდა ყარაულა. — მუ-უ!  
და უცებ ნათლად გაისმა ადამიანის მეტყველება:  
— შეაბი, ვავილა!

წინ, ზედ გზასთან, კოცონი ენთო; ალი უკვე აღარა ჰქონდა, მარტო ნაკვერჩხალებიდა ანათებდა. ისმოდა, როგორ იცოხნიდნენ ცხენები. სიბნელეში ლანდად ჩანდა ორი საზიდარი — ერთი დიდკასრიანი, მეორე, უფრო დაბალი, ტომრებიანი, და ორიც კაცი: ერთს ცხენი მოჰყავდა, რომ შეეხება, მეორე უძრავად იდგა კოცონთან. ხელები უკან შემოეწყო. საზიდართან ძალღი აღრინდა, ცხენი ვისაც მოჰყავდა, შედგა და თქვა:

— გზაზედ ვილაცა უნდა მოდიოდეს.  
— ჩუმად, შარიკ! — დაუტია მეორემ ძალღს.

და ხმაზედ შეატყობდით, რომ ეს მეორე მოხუცი უნდა ყოფილიყო. ლიბა გაჩერდა და თქვა:

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!  
მოხუცი ახლოს მივიდა და როდის-როდის უპასუხა:

— გაგიმარჯოს!  
— თქვენი ძალღი არ დამგლეჯს, პაპავ?  
— ნუ გეშინიან, მოდი. არ ვიკბენს.

— სააუადმყოფოში ვიყავი, — თქვა ლიბამ ცოტა დუმილის შემდეგ. — შვილი დამელუპა. აი შინ მიმაქვს.

მოხუცს ამ ამბავს გაგონებაზედ ალბათ გულმა რეჩხი უყო, იმიტომ რომ გვერდზედ გადგა და სწრაფად ჩაილაპარაკა:


— არა უშავს რა, შვილო. ღვთის ნებაა, ნუ ზოზინობ, ბიჭო! — მიუბრუნდა ახლა თანამგზავს. — ცოტა ცოცხლად!

— შენი ცალული არა ჩანს. — უთხრა ბიჭმა. — არსად არ არის.  
— მართლა ვავილა ხარ!

მოხუცმა ნაკვერჩხალი აიღო. გააღვივა — მარტო თვალები და ცხვირი გაუნათდა, მეორე, ცალული რომ იპოვნეს, ნაკვერჩხლიანი ლიბასთან მივიდა და შეჩება; და მოხუცის გამოხედვა თანაგრძნობასა და სინაზეს გამოხატავდა.

— დედა ხარ. — უთხრა მან. — ყველა დედას ეცოდება თავისი შვილი.  
ამ სიტყვებთან ერთად მოხუცმა ამოიოხრა და თავი გააქან-გამოაქნია. ვა-

ვილამ რალაც დაავდო ცეცხლზედ. ფეხით მიტყებნა და მაშინვე დაუკუნეთდა. თვალი ველარაფერს არჩევდა. და წინანდებურად იყო მხოლოდ მინდობი. ვარსკვლავიანი ცა. ხშიანობდნენ ფრინველნი და ერთმანეთს ძილს უშობდნენ. სადღაც ყიოდა ღაღღა, და ხმა თითქოს იმ ადგილიდან მოისმოდა. სადღაც კრ-  
ცონი იყო.



მაგრამ გავიდა ერთი წუთი. და ისევ გამოჩნდნენ საზიდრები ახმახი ვავილაც. საზიდრები ქრიალით გადიოდნენ გზაზედ.

— წმინდანები ხართ? — შეეკითხა ლიპა მოხუცს.

— არა. ფირსანოველები ვართ.

— წელან რომ შემომხედე. ცოტა გულზედ მომეშვა. ეს ბიჭიც წყნარი ჩანს. და ვიფიქრე: ალბათ წმინდანები თუ არიან-მეთქი.

— შორს მიდიხარ?

— უკლევევოში.

— დაჯე. კუხმენოკამდე მიგიყვანთ. იქიდან შენ პირდაპირ წახვალ. ჩვენ მარცხნივ.

ვავილა კასრიან საზიდარზედ დაჯდა. მოხუცი და ლიპა შეორეზედ დაას-  
დნენ. ნაბიჯით წავიდნენ. წინ ვავილა იყო.

— მთელი დღე მეტანჯებოდა ბავშვი. — თქვა ლიპამ. — შემომცქეროდა თავისი პატარა თვალებით, რალაცის თქმა უნდოდა და ვერ ამბობდა. ღმერთო დიდებულო. ზეციერო დედოფალო! მწუხარებისგან ფეხზედ ვერ ვდგებოდი. რამდენიც წამოვდექი, იმდენი დავეცი საწოლთან. მითხარი ერთი, პაპავ, სიკვ-  
დილის წინ პატარა რილასთვის უნდა იტანჯებოდეს? როცა დიდი ადამიანი იტან-  
ჯება, კაცი გინა ქალი, იმას ცოდვები მიეტევება, პატარა რილასთვის, როცა ცოდვები არა აქვს? რისთვის?

— აბა, ვინ იცის! — უპასუხა მოხუცმა.

ნახევარი საათი ჩუმად მიდიოდნენ.

— რისთვის და როგორ, ყველაფრის ცოდნა არ შეიძლება. — თქვა მოხუც-  
მა. — ჩიტს ოთხი კი არა, ორი ფრთა აბია, იმიტომ რომ ორითაც შეუძლია  
ფრენა. არც ადამიანს სჭირდება ყველაფრის ცოდნა, ნახევარიც ჰყოფნის ანდა  
ნახევრის ნახევარიც. რამდენიც ცხოვრებისთვის უნდა, იმოდენა იცის.

— ჩავალ, ფეხით სიარული მირჩევნია, პაპავ, რალაც გული მიფანცქალებს.

— არა უშავს რა, იჯექი.

მოხუცმა დაამთქნარა და პირზედ ჯვარი გამოისაბა.

— არა უშავს რა... — გაიმეორა მან. — არც ისეა საქმე. ცხოვრება წინ  
არი, — ბევრს კიდევ კარგსაც ნახავ და ავსაც, ყველაფერს ნაბავ. დიღია ჩვენი  
რუსეთი! — თქვა მან და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. — მთელი რუსთა ქვეყანა  
შემოვლილი მაქვს და სულ ვიცი. სად რა არი, დამიჯერე, შვილო, რასაც გუბ-  
ნები, ციმბირს წარგზავნილი ვიყავი, ამურზეც ვიყავი, ალტაიშიც ვიყავი, და  
ციმბირშიც გადავსახლდი კიდევ, ეხნავდი, ვთესავდი, მერე მომენატრა ჩვენი  
რუსეთი და ისევ უკან წამოვედი ჩემს სოფელში. უკან რუსეთში ფეხით მოვ-  
დიოდით; მანსოვს, ბორანს მოვეყვებოდით, ჩამომხმარი და ჩამოგლეჯილი ვი-  
ყავი, ფეხშიშველი, გაფიჩხებული, შავი პურის ჭერქსა ვლოდნიდი, ჩვენ გარდა  
ბორანზედ ვილაც ერთი მგზავრი იყო, დიდკაცი ჩანდა. — თუ მკვდარია, ღმერ-  
თმა აცხონოს. — მიყურებდა და სიბრალულთა ცრემლი სდიოდა. ეპ, შენი  
ლუკმაც შავია და ცხოვრებაცაო, მითხრა. შინ მოვედი და, როგორც იტყვიან,  
თითზედ გადასახვევი არაფერი დამხვდა; დედაკაცი მყავდა და ისიც ციმბირში

დამრჩა, იქ დავმარჩე. მოჯამაგირეობით გამაქვს თავი, აბა რა ვქნა? გეტყვი: მერე ავიც ბევრი ვნახე და კარგიც, ვარ, სიკვდილი ჭერ არ მინდა. ოც წელიწადს კიდევ ვიცოცხლებდი. ჩანს, შეილო, კარგი მეტი ვნახე. დიდია ზვენი რუსეთი! — თქვა მოხუცმა და კვლავ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. უკანაც გაიხედდა.

— ადამიანი როცა კვდება, პაპავ, — ჰკითხა ლიპამ, — მერე რამდენი დღეა კიდევ სააქაოში?

— კაცმა არ იცის! აი ვაგილას ვკითხოთ, სასწავლებელში ნავალია. ეხლა სუყველაფერს ასწავლიან. ვაგილა! — გასძახა მოხუცმა.

— პა!

— ვაგილა, ადამიანი რატო კვდება, იმისი სული რამდენი დღეა სააქაოში? ვაგილამ ცხენი გააჩერა და მაშინდა უპასუხა:

— რამდენი და, ცხრა დღე. ბიძაჩემი კირილე რომ მოკვდა, იმისი სული ჩვენს ქოხში მერე ცამეტ დღე ტრიალებდა.

— რა იცი?

— რა ვიცი და, ცამეტი დღე ღუმელში ვილაც აკაეუნებდა.

— ჰო, კარგი დაიძარი! — უთხრა მოხუცმა, და ჩანდა, რომ ამისთანა რამეები არა სჯეროდა.

ეს ზმენოვთან საზიდრებმა შირაზედ გადაუხვიეს, ლიპამ პირდაპირ განაგრძო გზა. უკვე ირიერაქა. ლიპა ზევში რომ ეშვებოდა, უკლევევოს ქოხები და ეკლესია ნისლში ეხვეოდა. ციოდა, და ლიპას ეჩვენებოდა, რომ ისევ ის გუგული ხმინობდა.

ლიპა შინ რომ მივიდა, საქონელი ჭერ არ გაელაღათ: ყველას ეძინა. იჯდა ლიპა პარმალზედ და ელოდა. პირველი ბერიკაცი გამოვიდა; ის მაშინვე, დანახვისთანავე მიხვდა, რაც მომხდარიყო, დიდხანს ხმას ვერ იღებდა და მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა.

— ეპ, ლიპა, — ჩაილაპარაკა ბერიკაცმა. — ვერ შემირჩინე შეილიშვილი.

ბარბარე გააღვიძეს, მან ხელი ხელს შემოჰკრა და აქვითინდა და მაშინვე დაიწყო ბავშვის გაბატონსება.

— მერე რა მალხაზი ბიჭი იყო. — ამბობდა თან ბარბარე. — ეპ-ჰეპ-ეპ... ერთი ბიჭი გყავდა და ამასაც ვერ მოუარე. შე სულელო...

ულოცეს დილითაც და საღამოთიც მეორე დღეს დამარხეს, და დამარხვის შემდეგ მოსულმა ხალხმა და სამღვდელოებამ იმდენი ჭამეს და ისე ხარბად, თითქოს დიდი ხნის უსმელ-უჭმელები არიანო. სუფრას ლიპა ემსახურებოდა და ერთმა მღვდელმა, რომელმაც მალე აწეულ ჩანგალზედ მთავე მჭადა-სოკო ჰქონდა წამოგებული, უთხრა.

— ბავშვზედ ნუ დარდობა. ერმანი სასუფეველსა შინა არიან.

და როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, ლიპა ჭეროვნად მაშინდა მიხვდა, რომ ნიკიტორე აღარა ჰყავდა და აღარც ეყოლებოდა, მიხვდა და გული ამოუჯდა. აღარ იცოდა, რომელ ოთახში გასულიყო და სად ევაგლახა. რადგან გრძნობდა, რომ ბავშვის სიკვდილის შემდეგ იმ სახლში უკვე აღარ ედგომებოდა, იქ აღარა ესაქმებოდა რა, ზედმეტი იყო; და ამას სხვებიც გრძნობდნენ.

— პა, რა გაღრიალებს? — შეუყვირა უცებ აქსინიამ, რომელიც კარებში გამოჩნდა; დაკრძალვის დღის გამო მთლად ახლები ეცვა და გაბუდრული იყო.

— გაჩუმდი!

ლიბას უნდოდა გაჩუმება, მაგრამ არ შეეძლო, და კიდევ უფრო ხმამაღლა აქვითინდა.

— არ გესმის? — დაუყვირა აქსინიამ და გაცეცხლებულმა ფეხი დაუბრა-  
ხუნა. — ვის ვეუბნები? გაეთრიე აქედან და შენი ფეხი აღარა ვნაბო, კატორ-  
ლელო! გაეთრიე!

— აბა, აბა, აბა!... აწრიალდა ბერიკაცი. — აქსიუტა, დაშოშინდი! შენც  
ჭირიმე... იტირებს, აბა რას იზამს... შვილი მოუკვდა...

— აბა, რას იზამს... გამოაჯავრა აქსინიამ. — ჯანდაბას, ამაღამ დარჩეს,  
ხვალ თვალით არ დამენახოს! აბა, რას იზამს!.. ერთხელ კიდევ გამოაჯავრა მან  
და სიცილ-სიცილით დუქნისკენ გაემართა.

მეორე დღეს ლიბა დილაადრიან წავიდა ტორგუევოში დედასთან.

IX

ამჟამად დუქნის საბურავიცა და კარიც შეღებილია და ორივე ახალსავით  
გამოიყურება. ფანჯრებზედ ძველებურად თვალმახარა ნემსიწვერა ყვავის, და  
რაც ამ სამი წლის წინათ ციბუკინიანთ სახლ-ქარობაში ხდებოდა, უკვე თითქ-  
მის დავიწყებულია.

უფროსად, როგორც მაშინ გრიგოლ ციბუკინი ითვლება, ნამდვილად კი  
ყველაფერი აქსინიას ხელში გადავიდა; ის ყიდის, ის ყიდულობს, და თუ არა  
იმისი პოობა, ჩხირს ვერაფერს გადააბრუნებს. აგურის ქარხანა კარგად მუშაობს;  
იმიტომ რომ აგურს რკინიგზაზედ ითხოვენ; ათასი ცალი ოცდამათხი მანეთი  
გახდა; დედაკაცი და გოგოები ეზიდებიან აგურს სადგურში, ვაგონებს ტვირ-  
თავენ, და დღეში ხუთ შაურს იღებენ.

აქსინია ბრიმინებთან წილში შევიდა და იმათი ფაბრიკა ახლა ასე იწო-  
დება: „უმცროსი ბრიმინები და ამხანაგობა“. სადგურის, სფაბლოვეს სამიკიტ-  
ნო გახსნეს, და ძვირფასიან გარმონს უკვე ფაბრიკის ეზოში კი აღარ უკრავენ,  
არამედ ამ სამიკიტნოში, და აქ ხშირად დაიარება საფოსტოს განყოფილების  
უფროსიც. უმცროსმა ბრიმინებმა ყრუჩუნა სტეფანეს ოქროს საათი აჩუქეს,  
ისიც წარამარა იღებს ჯიბიდან იმ საათს და ყურთან მიაქვს.

სოფელში სუყველა იმას ამბობს, აქსინიამ დიდი გავლენა და ძალა მოი-  
პოვაო; და მართლაც, როცა ის დილით თავის ქარხანაში მიდის, მიაპიტად მო-  
ღიშარი, ლამაზი, ბედნიერი, და როცა მერე იქ განკარგულებებს ახდენს, დიდი  
ძალა ეტყობა. იმისი სუყველას ეშინია. შინაც, სოფელშიც, ქარხანაშიც, ფოს-  
ტაში რომ მიდის, საფოსტოს განყოფილების უფროსი წამოხტება ხოლმე და  
ეუბნება:

— დაბრძანდით, უმორჩილესად გთხოვთ, ქალბატონო ქსენია!

ერთი კოპწია. უკვე ხნიერი მემამულე, რომელსაც თხელი მაუდის ბიფთა-  
ნი და მაღალყელიანი გაპრიანებული ჩექმები ეცვა, ერთხელ, ცხენს რომ ას-  
ყიდებდა აქსინიას, ისე მოიხიბლა მასთან ლაპარაკით, რომ რამდენის დაკლებაც  
მან მოინდომა, იმანაც იმდენი დაუკლო. ის დიდხანს ხელს არ უშვებდა აქსი-  
ნიას ხელს, მხიარულ, ცბიერ თვლებში ჩასცქეროდა და ეუბნებოდა:

— ისეთი ქალის სიამოვნების გულისთვის, როგორც თქვენ ბრძანდებით,  
ქალბატონო ქსენია, ყველაფერს დავთმობ და დავაკლებ. ოღონდ მიბრძანეთ,  
როდის შეიძლება თქვენი ნახვა, რომ ხელი არავინ შეგვიშალოს?

— როცა გნებავთ!

და ამის შემდეგ ხნიერი კოპწია მემამულე თითქმის ყოველდღე დადის  
დუქანში ლუდის დასალევად. ლუდი კი უბეიროა და აბზინდასავით მწარე. მე-  
მამულე თავს აქნევს, მაგრამ სვამს.

ბერი ციბუკინი უკვე აღარ ერევა საქმეებში. ფული თან აღარ დააქვს, იმიტომ რომ ნამდვილი ყალბისგან ვერ გაურჩევია, მაგრამ გაჩუმებულია, არავისთან კრინტს არა ძრავს ამ თავის სუსტ მხარეზედ. რაღაც გულმხივილი გახდა, და საკმელი წინ თუ არ დაუდგეს, თვითონ არ მოითხოვს, მაკამეთო; უკვე მიეჩვივნენ უიმისოდ სადილობას, და ბარბარე ხშირად ამბობს:

— კაცი წუხელისაც ისევ უჭმელი დაწვა.

და გულგრილად ამბობს, იმიტომ რომ მიეჩვია. ბერიკაცს რატომღაც ზაფხულშიც და ზამთარშიც ერთნაირად სულ დაბეწვილი ქურჭი აცვია და მხოლოდ ძალიან ცხელ დღეებში არ გამოდის გარეთ. შიხა ზის, ჩვეულებრივ, გაეხვევა ქურჭში, საყულოს აიწევს, შეიფუთნება და დასეირნობს, მთელ სოფელს ევლის, სადგურამდე ჩადის ანდა დილიდან სალამომდის ეკლესიის კიშკართან სკამფიცარზედ ზის, ზის და ერთს არ გაინძრევა. გამვლელ-გამომვლელნი თავს უკრავენ, მაგრამ ის არავის პასუხს არ აძლევს, ვინაიდან წინანდელებარ არ უყვარს გლეხკაცობა. როცა რამეს ეკითხებიან, სავსებით გონივრად და თავაზიანად უპასუხებს, ოღონდ მოკლედ.

სოფელში ლაპარაკია, ვითომ რძალს ბერიკაცი სახლიდან გამოგდებული ჰყავდეს, პურს არ აჭმევდეს, და ვითომ ის თავს მოწყალებით ირჩენდეს: ზოგნი ნიშნს უგებენ, ზოგთ ეცოდებათ.

ბარბარე კიდევ უფრო გაფაშფაშდა და გათეთრდა, უწინდებურად კეთილსა იქმს, და აქსინია ხელს არ უშლის. მურაბა აწ იმდენი აქვთ, ახალ მოსავლამდე ვერცა ჭამენ; უშაქრდებათ, და ბარბარე ძალიან წუხს, აღარ იცის, რა უყოს.

ონისიმე თანდათან მიავიწყდათ, ერთხელ იმისგან არზის სახით ლექსად დაწერილი მოკითხვის წიგნი მიიღეს, დიდ ქალაქის ფურცელზედ ისევ იმავე ჩინებული რამ ხელით ჩაწიკწიკებული, ეტყობა, მისი მეგობარი სამოროდო-ვიც იმასთან ერთად იხდიდა სასჯელს. ლექსის ქვეშ ულამაზოდ, ძლივს გასარჩევად ერთი სტრიქონი იყო მიწერილი: „ავადობამ ჩამავდო, მძიმედა ვარ, მიშველეთ ქრისტეს გულისთვის“.

ერთხელ — შემოდგომის ნათელი დღე იყო, სალამოს პირი — ბერი ციბუკინი ეკლესიის კიშკართან იჯდა, თავი ქურჭის აწეულ საყულოში ჩაერგო, და მარტო ცხვირი და ქუდის წინაფრალა უჩანდა. გრძელი ფიცარსკამის მეორე ბოლოში მენარდე ელიზაროვი იჯდა, და გვერდით სკოლის დარაჯი იაკობი მისჯდომოდა, სამოცდაათწლამდე მოხუცი, უკბილო, ყავარჩენი და დარაჯი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ.

— შეილებმა კიდევ უნდა აჭამონ ბებრებს და კიდევ უნდა აშვან... პატივი მიაგე მამაშა შენშა და დედაშა შენშაო, ნათქვამია. — გაცხარებულად ამბობდა იაკობი. — იმან კი, რძალმა, შაკუთარი შახლიდან გამოავდო მამამთილი. ბერიკაცს არც შაკმელი აქვს და არც შაშმელი — რა ქნას შად წავიდეს? მეშამე დღეა, ლუკმა არ ჩაშელია.

— მესამე დღეა! — გაიკვირვა ყავარჩენმა.


— აი ეგრე ზის, შულ გაჩუმებულია, დაშუშტდა, ნეტავი რაღას უყურებს? ადგეს და შეიტანოს შაშამართლოში. — იქ ქებას არავინ დაუწყებს, რა კარგი რძალი ყოფილხარო.

— ვის დაუწყებს ქება? — კარგად ვერ გაიგონა იაკობის ნათქვამი ელიზაროვმა.

— რაო?



— არა, მცდელი დედაკაცია. მაგათი საქმე ეგრეთ... უცოდველად არ გამო-  
დას.

— შაკუთარი სახლიდან. — განაგრძობდა გაცხარებული იაკობი.  შენი  
შახლიდან რო ვაადგო, კიდევ პო, ზოგი რა გამოვა ამისთანა! გ-ულ-ლომ!  
ციბუკინი უსმენდა და არ ინძრეოდა.

— გინდ საკუთარი სახლი იყოს, გინდ სხვისი, სულ ერთია <sup>ეროვნული</sup> ~~სოფლის~~ <sup>სოფლის</sup> ~~სოფლის~~  
ბო იგრძნობოდეს, და დედაკაცები არ ჩხუბობდნენ... — თქვა ყავარჯენმა და  
გაიციხა. — ახალგაზრდა რო ვიყავი, ჩემი ნასტასია ძალიან მეცოდებოდა, წყნა-  
რი გოგო იყო, მაგრამ ხან ჩამაცივდებოდა ხოლმე: იყიდე, ილია, სახ-  
ლი! იყიდე, ილია, სახლი! იყიდე, ილია ცხენიო, კვდებოდა და მაშინაც  
იმას მეუბნებოდა: იყიდე, ილია, ერთი ცხენიანი ღირლიჭა, ფეხით ნუ დადი-  
ხარო! მე კი მარტო თათლაკვერებს თუ ვუყიდიდი, ეგ იყო.

— ქმარიც ყრუჩუნა ჰყავს, დაბღურა — ყავარჯენს არც უსმენდა, თავისას  
განაგრძობდა იაკობი, — რალა იშა და რალა უტვინო ღერღეტი, აბა, ღერღეტს  
რა ესმის? თავში ჯოხიც რო ჩაართყა, მაინც ვერ გაიგებს.

ყავარჯენი წამოდგა, შინ ფაბრიკაში მიდიოდა, იაკობიც ადგა, და ორივენი  
ერთად წავიდნენ, თან ლაპარაკს განაგრძობდნენ, როცა ისინი ორმოცდაათიო-  
დე ნაბიჯით გაშორდნენ, ციბუკინიც წამოდგა და ჩანჩალით მიჰყვა უკან,  
თითქოს მოლიბულ ყინულზედ მიდისო, ისე გაუბედავად ადგამდა ნაბიჯებს.

სოფელი უკვე საღამოს მწუხრში იძირებოდა, და მზე მხოლოდ მაღლა გზა-  
ზედა ბრწყინავდა, რომელი გზაც შეღმართზედ გველსავით მიიკლავებოდა:  
ქვევიდან ზევით, ტყიდან დედაბრები ბრუნდებოდნენ ყმაწვილებთან ერთად!  
კალათებით არყა-სოკო და ნაბადა-სოკო მოჰქონდათ, ჭკუფად მოდიოდნენ დე-  
დაკაცი და გოგოები სადგურიდან, სადაც აგურით ვაგონებსა ტვირთავდნენ,  
და ცხვირები და ლოყები თვალებქვეშ წითელი აგურის მტვრით ჰქონდათ  
შეფქვილული, მღეროდნენ, ყველაზედ წინ ლიპა მოდიოდა და წყრილა ხმით  
მღეროდა, გაბმულად არაკრავებდა ხმას, თან ცას აჰყურებდა, თითქოს ზეი-  
მობდა და აღტაცებული იყო, რომ დღე, მადლობა ღმერთს, მიიწურა და დას-  
ვენება შეიძლებოდა, ქალებში დედამისიც ერია, მედღეური პრასკოვია, რო-  
მელსაც პატარა ბოხჩა მოჰქონდა და, როგორც ყოველთვის, მძიმედ სუნთ-  
ქავდა.

— გამარჯობა, ილია ბატონო! — გასძახა ლიპამ, ყავარჯენი რომ დაინახა.

— გამარჯობა, კარგო კაცო!

— გაგიმარჯოს, ჩემო ლიპა! — გაუხარდა ყავარჯენს. — გოგუცანებო,  
გოგოებო, შეიყვარეთ მდიდარი ბურო! ოპ-ოპ! ჩემო შვილებო, ჩემო პატარა  
შვილებო (ყავარჯენი ასლუკუნდა), ჩემო კარგო ხელეჩოებო.

ყავარჯენი და იაკობი წინ წავიდნენ, და ისმოდა, ერთმანეთს რომ ელა-  
პარაკებოდნენ, აი ამათ შემდეგ შეხვდა ქალებს ბერი ციბუკინი, და უცებ მღუ-  
მარება ჩამოვარდა, ლიპა და პრასკოვია ცოტა უკან ჩამორჩნენ, და, როცა ბე-  
რიკაცი გაუსწორდათ, ლიპამ მდაბლად დაუკრა თავი და უთხრა:

— გამარჯობათ, გრიგოლ ბატონო!

და დედამაც დაუკრა თავი, ბერიკაცი შეჩერდა და ხმის ამოუღებლად შეს-  
ცქეროდა ორივეს, ტუჩები უკანკალებდა და თვალები აცრემლებული ჰქონ-  
და, ლიპამ დედის ბოხჩიდან კორკოტიანი ღვეზლის ნაჭერი ამოიღო და მია-  
წოდა, მან გამოართვა და ჭამა დაუწყო.

მზე უკვე სულ ჩავიდა; აღარც მაღლა გზაზედ ბრწყინავდა, სიბნელე და  
სიგრილე მატულობდა, ლიპამ და პრასკოვიამ გზა განაგრძეს და მერე დიდხანს  
იწერდნენ პირჯვარს.



ბ ე ლ ო რ უ ს უ ლ ი დ ა ნ

თ ა რ გ მ ნ ა თ ე ი მ უ რ ა ზ ა ბ უ ლ ა ძ ე მ

### ე ა მ

მწვანე მინდვრებში როცა აწვრიალდება ცელი,  
როცა ქალწულნი წყნარნი ამღერდებიან ლალად;  
როდესაც ზეცას უცებ ელდა დაცეცხლავს ელვის  
და ქარი ბობოქარი იბორგებს აღმა-დაღმა;

როცა ქუხილი მქისე დაშლის ღრუბლების ბეჭობს,  
მეხი რომ დაპყფს ტყეებს და მთებში გაისივლებს, —  
ეს ყველაფერი წამსვე გახშიანდება ექოდ  
და შეეხება ჟრჟოლად სივრცის უხილავ სიბებს.

... თუ სადმე ვინმე გოდებს,  
თუ სადმე ვინმე ხვნეშის,  
თუ ვინმეს უბედობის ბედი თავს დაჰქირქილებს, —  
ეს ყველაფერი ერთად ექოდ ხშიანებს შენში  
და ყველას ჭირ-ვარამი ვითრთოლებს სულის სიბებს.

როს დარდი დაილევა,  
როს დარდი დაიმშევა,  
როს სიხარულის შუქი გამოანათებს ხმაში, —  
დაე, მაშინაც იგრძნონ, იგრძნონ სიბებმა შენმა  
იმ სიხარულის ექო, შევებით აჟღერდნენ მაშინ.

### ვ უ ს ც ე !

მადლობა ღმერთს! — კვლავ შორს ვცხოვრობ  
ქალაქიდან.

შესაფერი კუთხე ვბოვე ძლივსლა.  
მადლობა ღმერთს! — ოცნება კვლავ ცად აფრინდა,  
დავაბიჯებ როგორც მინდა, სადაც მინდა,  
ვუსცეს მიწამ გული გადამიხსნა.

ამ ადგილმა ილორძინოს, დაე, დიდხანს  
 ღვთისნიერი ხალხით, მთით და ბარით!  
 მადლიანი სიყვარული აქ ფრთებს იახამს,  
 სიძულვილი აქ არასდროს მოგაკითხავს,  
 ფერდობები შემოსილან მწვანით.



მზეზე ყვითლად ლაპლაპებენ ქვიშნარები,  
 თვალს ვერ მოწყვეტ ლელიანთა ლივლივს,  
 დილით, როცა გაიხსნება ცის კარები,  
 სივრცე ფისის მძაფრი სუნით იმსკვალება,  
 დაივიწყებ აქ ყოველგვარ ტკივილს.

რა ზღაპრული ტყეებია ამ არეში!  
 ფიჭვნარები კობტაობენ ირგვლივ,  
 სილამაზეს აქ ისეთი ახლავს ეშხი, —  
 თითქოს მკვდარიც გაცოცხლდები სამარეში,  
 ბილიკებზე სიყმაწვილე მირბის .

აქ იგრძნობა სიმშვიდე და ნეტარება,  
 გასცქერ გამთბარ გარემოს და ტბები,  
 სულ სხვაგვარი სასოება ეკარება,  
 მინდორ-ველებს ყვავილთა ზღვა ეტანება,  
 სვისლაჩს გაღმა ელავს ნისლის ტბები.

ფეთქავს სივრცე, — სურნელებით გაბანგული,  
 ხეს კვირტები მწვანედ აეფუტკნენ,  
 მზის სხივებით აქარგული-ჩაქარგული  
 ფერდობები მწვანეშია ჩაქარგული,  
 ნექტარისთვის ურცი უხმობს ფუტკრებს.

ქვევით, ხევში, მოჩირიალე ბალაჩანკას  
 თეთრ ტალღებში მზე დალაღებს ხლართავს,  
 ბალაჩანკა ქცეულია ქნარად, ჩახგად,  
 მის სიმღერას რა ჩააქრობს! რა დაჩაგრავს!  
 მის ნაპირას სულს მოითქვამ მართლა!

გაღმა მზარეს გოლიათი მუხებია, —  
 გამოწკეპილ გვარდიელებს ჰგვანამ,  
 მათ თავზე ცას ბევრჯერ დაუქუხებია,  
 კენწეროთი წკვარამები უბევიათ,  
 ელვა-მებში ახლაც მედგრად დგანან.

ბალაჩანკას იქით როცა გაიხედავ, —  
 ბლუჟის ფიჭვნარს დააკვდება მზერა,  
 ერთ ფერდობზე ძველთაძველი ჰყვავის სევდა,  
 ვინ იცის, რა სატკივარით დაისეტყვა  
 იმ ფერდობის დღე და ბედისწერა!

შორს, სიჩუმის სიმებიც დაჭიმული,  
 ის სიმები ციურ ზარებს რეკენ.  
 მალლა ძრავა აგუგუნდა, დასირბული  
 დღენი ჩვენნი ფრენენ ქვევით, დანისლული  
 ჩანგი აღსდგა ახალ დროის მეკვლედ.



მიწას დაჰფენს თვითმფრინავი ფრთაქათქათა,  
 სხვა ნათელი ადგას ვუსცეს ქობებს. —  
 ძველმა დრომ რომ უკუღმართ გზას გადახლართა,  
 ახალმა რომ წაღმართი გზით აწაღმართა,  
 გამოსტაცა სილატაეცს ოხერს.

აქ ოცნებას აქვს სხვაგვარი გასაქანი,  
 ვუსცეს მიწას თბილი გული უცემს.  
 ვგრძნობ და მჯერა: — კიდევ ცოტა გავა ხანი,  
 აშენდება კოტეჯები აქ ახალი  
 და არ გავცვლი თვით ბადენზე<sup>4</sup> ვუსცეს.

### მსოფლიურ სანახევში

ისევ ვუსცეს დაძახილი მომესმა,  
 ავისრულე კვლავ ძვირფასი წადილი: —  
 ვნახე ვუსცე. — საყვარელი ადგილი. —  
 ხუთი წელი არ ვხლებივარ რომელსაც.

თავდახრილი მივუყვები გზაშარას.  
 მალლობებზე ავდივარ და ვმალღებები...  
 თან მიმყვება მარტოობის ნალველი,  
 დრომ ბევრი რამ სანუკვარი წაშალა.

კვლავ ახლობლის გრძნობით მხვდება მალლობი,  
 ხარობს თეთრი ყვავილი და ქონდარი.  
 მე კი თვალზე ცრემლები მაქვს მომდგარი.  
 სხვა დრო იყო, აქ როდესაც ვსახლობდი.

სინანულით გავცქერ სივრცეს მდუმარი,  
 ვით ბერძუბა, — დარჩენილი უშვილოდ.  
 გამეჩხრებულ ტყეებს როგორ ვუშველო!  
 ვით მოვიხმო მათი ხმა იდუმალი?

1. ვუსცე — პატარა სოფელი პუხოვიჩის რაიონში.
2. ბალახანკა — მდინარე სვისლახის შენაკადი.
3. ბლუჯის ფიჭვნარი — სოფელი პუხოვიჩის რაიონში.
4. ბადენი — კურორტი დასავლეთ გერმანიაში.

კაციშვილი არ ჩანს არსად, შამბნარი  
 მოსდებია ნასახლარზე კერიას.  
 ამ მიდამოს მტერი ჩემი მტერია,  
 აღარ მესმის ხმა, — ალერსით გამთბარი.



მდინარესთან რომ მივყავდი, — ის გზები  
 დაღუპულა, ბალახს დაუფარია,  
 ძველი გზები ააღა დაუმთავრია,  
 გამოუთქმელ მწუხარებით ვივსები.

ძველ ნაცნობებს ვეძებ, არვინ არა ჩანს, —  
 მარადიულ სამყოფელში მიმქრალან.  
 საფლავებზე (ახლა ფიქრით იქა ვარ)  
 ჯვართა ჯვარი დგას წარსულის დარაჯად.

ბევრი ომმა გაირეკა შორეთში,  
 ბევრი მშობელ მიწას ვერ დაუბრუნდა,  
 გულქვა მტერმა მზერა გადაუბურდა  
 და უღმერთოდ ჩაკლა სისხლის მორევში.

აქ ყველაფერს ომის კვალი ატყვია,  
 ომს მახსენებს დარჩენილი ტყეებიც,  
 მაგრამ მოპქუხს ჩქერი აბალ დღეების,  
 ის დღეები მოგვიშუშებს ნატყვიარს.

მაგრამ მოპქუხს სხვა ცხოვრების მდინარე,  
 ის მდინარე არსად არ შეჩერდება,  
 იგი მხოლოდ უძრაობით ბერდება,  
 კი არ კვდება, — ზოგჯერ თავს იმძინარებს.

ვიცი, ერთდროს შეხორცდება ქრილობა,  
 დაიჭურებს მუნა, ცადაწვერილი,  
 სიმართლესთან არის ჯვარდაწერილი  
 ჩვენი გზა და ჩვენი ფრთაგაშლილობა.

მხოლოდ ერთი რამ მტანჯავს და მაწვალებს, —  
 ვეღარ ვბოვე სატრფო, — ჩემი სანთელი.  
 სად წაიღე, სულო, თვალია ნათელი!  
 საათ გაჰყევ, შეუქო, ჩამქრალ ვარსკვლავებს!

### მოგზაურობიდან

შეჩერდები, მოგზაურო, თუკი გზაზე,  
 არა უშავს, ჩამოჯექ და დაისვენე,  
 თვალი ჰკიდე ლურჯ სივრცეებს, — თრთოლვით საესეს,  
 ჩამოჯექ და ძველი გზები გაიბსენე.

რას არ შეხვდი!  
 რა არ ნახე!  
 რა არ იგრძენ!  
 გცემდა თავსხმა, მეხთატეხა, ქარიშხალი,  
 იმ მხიარულ წუთებსაც ვერ დაივიწყებ, —  
 დანახვისას რომ გიგრძენია უცხო მხარის.



ბევრი, ბევრი უცხო განძი ამოგანძე, —  
 ბევრის სულის სიღრმეებში ჩაგანძული.  
 ბევრჯერ თავად ლამის სული ამოგაძვრეს,  
 მაგრამ მაინც სასოებელი სხვათა სურვილს

იმ განძიდან ქსოვდი შენი ლექსის ფარჩას  
 კლდეში,  
 ღრეში.  
 ხმაურში და სიჩუმეში.  
 გულში ძვირფას მოგონებად რაიც ჩაგრჩა, —  
 იმ პირველი შთაგონების ახლავს ეშხი.

ის სიმდიდრე, — დაგროვილი სიმწრით, ტანჯვით,  
 განა სახლში მიიტანე ყველა მართლა?  
 განა გზაში არ დაკარგე ბევრი განძი?  
 ბევრი განძი ცივ ქარებში გაგეფანტა .

რაც დაკარგე, უკან ვეღარ დაიბრუნებ,  
 დრო არ დაგრჩა,  
 დრო თანდათან გიმცირდება.  
 თავი მაინც მაძიებლად დაიგულე,  
 სადღაც კიდევ განძი ამოციმციმდება.

კვლავ აუწყვე ფენი დღეთა სვლას გაბედულს,  
 შენს ცხოვრებას მოძრაობა ახლავს პედად.  
 დროა ახლა. — გზა დაუთმო სხვას რამეთუ,  
 დაულოცე გზა მოგზაურს ახალბედას.

### ჩვენი სოფელი

სოფელზე ღმერთი გამწყრალა, —  
 რა ჰქნას სოფელმა საწყალმა! —  
 ხრავს სილატაკის წვეარამს...  
 გაშლილან ხავსის ნოხები,  
 გადაფერდილან ქოხები, —  
 თითქოს საფლავში წვანან.

ერთურთს მიჰკვრიან სახლები  
 და ჩამოსტირით სახენი.

უფანჯრო სახლებს სცივათ...  
 სკოლა ხმალივით მოხრილა,  
 ლობე დამპალა, ოხვრიდან  
 წვიმს უმწეობის წვიმა...

ტირიფებს მოუწყენიათ,  
 ტირიფებს გული ტყენიათ,  
 მტირალ დედაბერს ჰგვანან.  
 ფეხებს უსველებთ ნემანი.

მწარე და გაულწევარი  
ქარი უმღერით ნანას.

მაწანაწლა ქარის ხმაა, ტვერი  
ეგებება მზებს გოდებით.

მალლობზე ქვის ბორცვებია,  
(ეს მაინც ვის მოსწრებია!) —  
თავდაღმა დგანან ჯვრები.  
ქვეშ წვანან მამა-პაპანი,  
იქ, ჩვენი ცრემლით დამბალი,  
სწუხს მშობლიური ძვლები.

დროა ჩვენი დასვენების.  
დროა უკვე, შეიმოსოთ მწვანეთი,  
არ მტანჯავდეთ თქვენი სიღრმეები,  
ვამაყობდე მშობლიური მხარეთი,  
მუხნარების ამღერებით.



საფლავებს ქარი დასტირის.  
გულს დაიმშვიდებ ანკი რით,  
ანკი რით დაიწყნარებ. —  
როს გაიხსენებ დარბეულს,  
მიტოვებულს და დამშეულს  
მხარეს, მშობლიურ მხარეს.

ოცნება მაქვს ერთაერთი, —  
მიწა გააღდეს განძის წყარო უშრეტო,  
მოვიშოროთ სიღარიბე მუდრეგი,  
ივაშენოთ ქვის სახლები უდრეგი,  
შეგვეწიოს იქნებ ღმერთი!

დასერილი მიწა გმინავს,  
ზედ სიკვდილმა გაიარა ცელით.  
გზები ვრცელი გადანაბა ცრემლით.  
საფლავებსაც ნისლი აწევს ბნელი,  
ალარ ისმის ტყეთა გრგვინვა.

ტვერებო და ფიქვნარებო,  
დაილოცეთ, ჩვენი გადარჩენისთვის,  
იშრიალეთ ისევ, ჩვენი ლბენისთვის,  
თქვენს გუგუნში იგუგუნებს მერმისი,  
ბარისა და მთის გარემო.

ფიქვნარებო, მეცოდებით: —  
რა უღმერთოდ დაგკარგვიათ ფერი!  
არსენი მგზავრით რომ მღერის. —

ღე, იფეთქონ ტყეებმა,  
მწვანე ფრთები ცაში ლალად ახარონ,  
ძველებურად ახმიანონ სამყარო,  
ძველებური სიხარულით გვახარონ  
ხვალინდელმა დღეებმა.

დასავლეთისაკენ

ფარდასავით ჩამოეშვა ღრუბელი,  
დასავლეთით მიჰქრის ბოლქვა-ბოლქვა.  
ღრუბელს მისდევს ჩემი სულის  
ბორცვა.

ლალი ფრთებით ამ მთებს იქით  
მთელ სივრცეებს გადახურავთ.  
რა ხანია სინანულს შევეთვისე  
და გავცქერი ლურჯ სივრცეებს ხარბად.  
მეძახიან გზებზე დასავლეთისაკენ, —  
ჩემი მიწის საზღვარია სადაც.

ო, ღრუბლებო, იცის ღმერთმა,  
რომ თქვენს მოთაყვანედ ვრჩები,  
რა ხანია თქვენთან ერთად  
მოგზაურობს სული ჩემი.

მონატრების მფარავს ცეცხლი,  
რაც კი მამულს გავეყარე.  
ჩემი სევდა გადაეცით  
ჩემს მშობლიურ არემარეს.

ღრუბლებს უცებ შეეჩებათ სისხამი.  
ქარის ფრთებზე გაქვავდნენ და  
დადგნენ,

როგორც ჩემი ოცნება და სიზმარი,  
გაზაფხულზე რომ ვიხილე ადრე.

შორს, უღელქვეშ გმინავს ჩემი ქვეყანა,  
ნეტავ როდის გაიხარებს ხალხი?  
ობლად მდგარი ჩემი მუხა შემკრთალა.  
ახვევია მუხას გლოვის თალხი.

სად მიფრინავთ, საით მიჰქრით,  
ბოლქვა-ბოლქვა, ქულა-ქულა?

ო, ღრუბლებო, დაიქუხეთ,  
დაადუმეთ მეხით მტრის ხმა.  
ჩემს მამულთან ჩაიმუხლეთ  
და დაატყდით ქალათს რისხვად.

შორს, ტყეებზე წევს წვეარამი  
წყვეული,  
(ის ტყეები ჩემი ნატვრისთვისა).

მაგრამ ვიცი, ხალხი თავაწეული  
მოდის, იბრძვის, ბრძოლა ხალხის  
ვალია.



დასავლეთით გაუჩქარეთ ღრუბლებო,  
სანამ ქართა ქროტუნის მტკნარსკრებით.  
დასავლეთით გაუტრეთ, ღრუბლებო,  
და ჩააქრეთ მტრის სისხლითვე  
ხანძრები.

### ბალორუსიის ტყეებში

ბავშვობიდან ტყეებს შევეტრფი.  
მიყვარს მათი იღუმალი შრიალი,  
მიყვარს ტევრში გრიგალების გრიალი,  
მიყვარს ტყეში მეხთატების ტრიალი,  
წვიმის თქეშში ხეთა რეტი.

ლალ ფიქრებში, ოცნებებში  
ფრენისთვის,  
ჩემს გულიდან თქორის  
გამოდევნისთვის,  
ვიცი, ახლაც არ გამწირავ.

ტყემ მასწავლა შეუცნობი  
სილამაზის შეცნობა და შეგრძნება: —  
ჩიტთა ხმებით ტყე ვით გაიძეძგება,  
წყაროს ჩქეფვით ტყე ტკბობას ვით  
ეძლევა,  
როს დაძხარის მზე უკვნობი.

ტყეებო, ხალხს ეხსომებით: —  
— თქვენ გვშველოდით უსაშველო  
დღეებში,  
დამშეულნი სულს ვითქვამდით  
ტყეებში,  
ქოხს ვაგებდით, თაფლს ვბოვებდით  
ტევრებში,  
თავს ვირჩენდით მეზობლები.

ტყეო, ტყეო, ჩემს გზას შვენი,  
შენ მოგიძღვენ მე სიმღერა ბევრი,  
ჯერ ვიხილე შენი მწვანე ტევრი,  
შენში ჩემი სიყმაწვილე მღერის,  
ახლაც შენი ჩრდილი მშველის.

თქვენს სივრცეებს თვალს მოვავლებ,  
გული მიწუხს, — როგორ  
დამწუხრებულხართ,  
ლერწამივით წაქცეულა ბერმუხა,  
არყს და რცხილას კი ნაჯახი  
ემუხთლა,

ტყეო, გულწრფელ მადლსა გწირავ,  
მადლსა გწირავ მადლიანი  
ძღვენისთვის: —

რალა დაგვრჩა სამომავლოდ?



# მარსელ პანოლი

## ტოკაზი



### ოთხმოქმედიანი პიესა

გაბლობის, კატივისციმისა და სიხვარულის ნიშნად ჩემს პასუხვლავებს. ანდრი ანტუანს.

საქმე ის არის, ჩემო ბატონო, — თუ ეს საზოგადოება არ შეიცვალა, გულწმინდა და მართალი აღარავინ დარჩება.

ერთი დალაქის ნაოქვამი

### თარგმნეს აპაკი და მაია განაძეაშვილი

#### პიესაში მოქმედებენ:

- ბოკაჩი — მიუშის პანსიონის მასწავლებელი, 30 წლის.
- მიუში — პანსიონის დირექტორი, 45 წლის.
- მრნასტინა მიუში — დირექტორის ქალიშვილი, 22 წლის.
- ბამიჩი — მიუშის პანსიონის მასწავლებელი, 40 წლის.
- კანკინი — ძველი მასწავლებელი.
- რიკუშინი — მიუშის პანსიონის ზედამხედველი.
- ბანი მონაჯი — მიუშის პანსიონის აღმასრულებელი, 10-12 წლისანი.
- მოწაყე სეზინილი.
- რანი კასტელ-განარი — საფრანგეთის (ან სხვა ქვეყნის) დიდი ქალაქის მუნიციპალის მრჩეველი, 26 წლის.
- რიკი და ბარკილი — ელევანტურად ჩაცმულ-დაზურული, 26 წლის.
- დაიდაისელი მიხუცი
- კილიციანი.
- უფოვისი მსახური.
- სუზი კურტუა — ულამაზესი ქალი, კასტელ-ბენაისის საყვარელი.
- პარონეა კიტარ-პერნიოლი, 45 წლის.
- რემენბრონეა მბოჭდავი სამი ქალი.
- ბარედი მოქმედება — საკლასო ოთახი მიუშის პანსიონში.
- მეორე მოქმედება — სუზი კურტუას პატარა სასტუმრო ოთახი.
- მესამე და მეოთხე მოქმედება — აპერიკული სტილის კანტორა.
- მოქმედება ხდება ჩვენი დროის დიდ ქალაქში.

#### პირველი მოქმედება

მიუშის პანსიონის საკლასო ოთახი, ედელზე კიდია: გეოგრაფიული რუკები, ზომათა და წონათა ურთილები, ალკოჰოლის დამკვობი პლაკატები (ღოთი და ქანჭოთელი კაცის ღვიძლი). მის ზემოთ მოყვითალო ქაღალდზე მსხვილად წერია: „სიღარიბე ნაკლი არ არის“ „სუბობა, მენ ბეტკინოს, კიდოე სხვას ატყინო“, „უქნარობა ყველა მანკიერების ტყდაა“, „კარგი სახელი ოურაზე ძვირფასია“, „არმად ნაშოვნე არავის შერგებია“, ცენტრში, კათედრის ზემოთ, „ბედ-

ნიერება ფულში არ არის. კერზე, მოძინანქრებელი რეფლექტორების ქაიზი, რომელიც ელექტრო-  
ნათურა ჰქვია. სიღრმეში, შემინული კარისა და კარადის შუა, სულ პატარა, ერთი ფუტის  
შენაღლებულ დასაყრდენზე, დგას კათედრა. შემინული კარის მიღმა ჩანს ბაზილიკის ბაგეშვი  
გუმბი, ხანაც უბადრუკი სილუეტის რიბუშონისა, შესვენებისას ბაგეშვი კი უკანადაა გადახრილი. შე-  
შინული კარადის მიღმა თაროებზე აწევია: იარლიყიანი ბის ნაქრები, თეთრიფერის ფრთული, სინ-  
ჯაოებში ჩასპირებული ცხოველები და მწერები. კარდაზე დგას ვაზის მარცხენი და ცი-  
ყვის ფრთული კათედრის წიხ, ორ მწკრივად გაბლაგებულია მერხები მარცხენი და მარჯვენის. მა-  
რჯენივ, სულ წინა მხარეს, პატარა კარადაა, კარადასთან, ისტაკზე, დაეკვებულა ნახშირი წი-  
გნები.

პირველი სცენა

კარდის ახდისას ტოპაზი ერთ-ერთ მოწაფეს კონახით აწერანებს. ტოპაზს გოდელი და  
წვრილი შავი წვერი ფილეტის ზედა დილაძე სწავლება. ცელულოზის ერთობ მაღალი და გა-  
ჩენებულ საყულო უკეთია. უბადრუკი ფელსაბამი ჰქვია, აცვია გაცვეთილი სეროტუკი და  
ლილებზე შესაკრული მალაქველიანი ფესსაგებელი მოწაფე 12 წლის ბიჭია. მაყურებლისკენ  
ზუღაშეცდევით ხის დიდუბრა, ფონიველივით ვინეცისერა. ტოპაზი კონახობს. ზოგჯერ ზუ-  
რგიდანაც მოუვლის და ჩაყურებს — რა დაწერაო, როცა კონახობს, ბოლოს სკვებს.

ტოპაზი. ცხუარი.. ცხვარი.. ააღალზე უშიშრად ხალახობდა... უშიშრად. (გადისრება მო-  
წაფისკენ და იმეორებს.) ცხუარი.. ცხვარი. (მოწაფე უახლოდ უცქერს) დაფიქრდი. შვილიყო.  
კარგად დაფიქრდი. მე ვამბობ — ცხვარი.. (იმეორებს იქედნურად). ცხვარი.. უშიშრად ხა-  
ლახობდა. ერთი ცხვარი კი არა, ცხვრის ფარა, ცხვრის ფარა, შვილიყო.

მოწაფე დაბნეული მისწოდებით იღებს პირველი კარი და შემოდის ერნესტინა მიუში. მა-  
დმუაზელს ძვირფასად. მაგრამ უგემოვნოდ აცვია. პოტფელი იღლიაში ამოუჩრია.

მეორე სცენა

მოწაფე. ტოპაზი და ერნესტინა.  
მარნესტინა. ააღამი, მუსიე, ტოპაზ!  
ტოპაზი. ხალაში, საყვარელო მიუში  
მარნესტინა. მამაჩემი არ დაგინახავთ?  
ტოპაზი. არა, ბატონი დირექტორი ამ დღით არ გამოჩენილა.  
მარნესტინა. განა რომელი საათია?  
ტოპაზი (ამოიღებს დიდ, თათქმის მრგვალ საათს). რვას ათი წუთი აქვია. ზარი ზუსტად  
ოცდათხუთმეტ წუთში დაირეკება... გაყვითლზე ხულაყ არ გაგვიანდებათ ადრე მოსულხარო...  
მარნესტინა. იცით, ერთობ ბევრი საქმე მაქვს. წათელ შელანს ვერ ქაიხოვებო?  
ტოპაზი. დიდი სიამოვნებით, ძვირფასო. ახლაბან ვიყიდე. თქვენთვის გავხხნი.  
მარნესტინა. ფრიად თავაწიანი ბრძანდებო...  
ტოპაზი (წიგნს დადებს, მაგიდიდან ფლაკონს იღებს და ბოლო რეპლიკისას ჭაყვის წვე-  
რით ისისი) რვეულები უნდა გაახწოროთ?  
მარნესტინა. დიახ. მართალია, ამგვარი საქმიანობა არ მიყვარს, მაგრამ...  
ტოპაზი. ჩემი აზრით კი, საინტერესოა. მე, მაგალითად, საშინაო დავალებათა შემოწმება  
ჩვეულებად შექცა. ორთოგრაფიულ შეცდომებს ვასწორებ ტრამვაში გამოკრულ რეკლამებსა  
თუ იმ განცხადებებშიც. ვილაყები ქუჩაში ახაზდად რომ გვაჩერებენ. (როგორც იქნა, საუკო-  
ბი ამოაძრო.) ინებეთ, ძვირფასო მადმუაზელ. (განსხილ შუშას ამქარა სიამოვნებით დაყნოსს  
და ერნესტინას მიაწოდებს.) გემუდარებით, ნუ მომერიდებით, ისარგებლეთ, რამდენიც ხე-  
ნებოთ.  
მარნესტინა. გმადლობთ, მუსიე ტოპაზ!  
ტოპაზი. მუდამ მზად ვარ ემსახუროთ, ძვირფასო მადმუაზელ...  
მარნესტინა. მუდამ მზად ხართ, მემსახუროთ? ეს სიტყვები ერთობ გაცვდა. მაგრამ თქვენ  
ისე საამოდ ამბობთ...  
ტოპაზი. ვცდილობ, რაც შეიძლება გულწრფელად ვილადადო...  
მარნესტინა. როგორც კვირის წინაი, ასე საამოდ ვერ შეუბნებოდით. მაგრამ მეტი უფრა-  
დლებით კი შექცეოდით.  
ტოპაზი (აღელდა). ეს რთი გამოიხატებოდა, ძვირფასო?  
მარნესტინა. ჩემთვის მუდმივი კალენდარი და ფერადი ცარციო ხავსე კრლოფები მოგქონ-

დაო. კლასშიც შეწვევით ხოლმე და ჩემს მოწაფეებს რვეულებს უხწორებდით... დღეს კი ამგვარ დახმარებას აღარ მთავაზობთ. (მელნის მეშაზე ახაშნებს და საკმაოდ გულსიკვად გუბნები.) მაინც გმადლობთ (უითომ წასვლას აპირებს.)



ქუთაისის მუზეუმი  
წიგნების განყოფილება

ბოკაზი (აღელვებით). ძვირფასო მადმუაზელ, ნება მიბოძეთ...

მრნესტინა (გულსიკვად). არ მცალია, მუსიე ტოპაზ (წასვლას აპირებს.)

ბოკაზი (უფრო აღელდა, გამოუდგა და მაღალფარდოვნად აღაპოყდა). რუასო კოლეგა, გეფიცებით ყველაფერს, ამ ხაოცრად დიდი გაუგებრობის ტო ნუ მიმატოვებთ.

მრნესტინა. როგორ თუ გაუგებრობის ეამს? (შეჩერდება.)

ბოკაზი. მართალი ბოძანეთ: ყვირაზე მეტია, დახმარება აღარ შემომითავაზებია. აქ სხვა არაფერი იფიქროთ, უბრალოდ ვშიშობდი, თავი არ მოვაბეზრო-მეთქი. თქვენი თავმდაბლობის ბოროტად გამოყენებას ვეოიდებოდი. ამახლანავე უარიც მაფრთხობდა ვაითუ იმედი გამი-ცრუვდებ და გაზარებული გული უცებ მომიკვდეს-მეთქი.

მრნესტინა. აჰ, ასე ფიქრობდით? ო, რა ჩინებულად დაიძვრინეთ თავი... საკმაოდ ენა-მზიანი და გონებამახვილი ყოფილხართ, მუსიე ტოპაზ... (კისკისებს.)

ბოკაზი (წიბ წაიწვეს) მოაღეთ მოწყალება, მოშანდეთ ეს რვეულები...

მრნესტინა. არა, შედგებად ვერ დაგტვირთავთ, ვერც შეგაწუხებთ, თქვენ იხედავ...

ბოკაზი (გოძნობით). ასეთი ტვირთი მე სულაც არ შემაწუხებს, პირიქით, ფრიად აღმა-ფრთოვანებს, ცაში ამიყვანს... აღარ ვიცი, გაგიმზილოთ თუ არა... როცა საღამოობით ჩემს პა-ტარა სენაკში მარტოდ მარტო ვრჩები და დავცქერი თქვენს ნაქარნაჩევ სტრიკონებს, შერ-ჩეულ ამოცანებს და ქალური ეშმაკობით შედგენილ, ორთოგრაფიულად საქოქმანო მაგალი-თებს, მეჩვენება, რომ... (შეყოყმანდება და ანაზღად ამოიძახებს). თქვენც გვერდით მიზიხართ და...

მრნესტინა. წესიერად, მუსიე ტოპაზ, უკადრებელს ნუ უკადრებთ.

ბოკაზი (აგზნებით) ძვირფასო მადმუაზელ, ნაპატიეთ, ნაგრამ ჩვენი დავა იხე შეტრია-ლდა, მოწყალებაზე უარი ვეღარ უნდა მითხრათ, იმედია, ამ შავ დღეში არ დამტოვებთ და დაუმხანოებლად გულს არ მატკენთ.

მრნესტინა (ეოთხანი) სდუმს). კეთილი, ამ ერბთელაც დაგიტმობთ, (პორტფელს გახსნის და ერთმანეთის მიყოლებით რვეულებს დასტა-დასტა ამოიღებს).

ბოკაზი (გაბოყებული ართმევს რვეულებს და ყოველი დასტის ამოღებისას მხურვალედ იმერსებს ხუთჯერ თუ მეტჯერ). გმადლობთ...

მრნესტინა. ზვალ დილისთვის მზად უნდა მქონდეს.

ბოკაზი. ამ საღამოზე მოგართმევდით, თუკ...

მრნესტინა. ოღონდ ერთსა გთხოვთ, მინდვრებს შენიშვნებით ნუ აკრეულებთ... მამაჩემმა ერთი რვეულაც რომ გადაფურცლოს, უმალ იცნობს თქვენს ზელს და...

ბოკაზი (შეშფოთებულ-გაზარებულა). გკონიათ, ბატონ დირექტორს გული მოუვა?

მრნესტინა. ბატონი დირექტორი თავის ქალიშვილს მრისხანე საყვედურებით დასეტყვავს

ბოკაზი. რაღაც აკრძალულს იღუშალი შეთანხმებით რომ ვაკეთებთ, ამის გაფიქრებაც კი ერთობ მიჩქარლებს სისხლს.

მრნესტინა. უჰ, გაჩუბდით...

ბოკაზი. უკვე საერთო საიდუმლო ვაგვიჩნდა... ჩინებულაია, როცა ვინმესთან ერთად რა-იმე საიდუმლოს მაღავ... ჩვენ ახლა ნამდვილი თანამზრახველები ვართ...

მრნესტინა. თუ აზვარი რამ კვლავაც წამოგცდათ, რვეულებს ახლავე დავიბრუნებ.

ბოკაზი. ყრუ ვარ, არ გამოგონია... რვეულებს ზვალ დილით მოგართმევთ...

მრნესტინა. კეთილი, ზვალ დილით იყოს, ათის ნახევარზე... ნახვამდის, იყოღეთ, კრინტი არავისთან...

ბოკაზი (იღუმლიად). პირზე ცხრაკლიტულს დავიდებ, სამარე ვარ.

ერნესტინა გადის იმავე კარში, საიდანაც შემოვიდა. მარტოდ დარჩენილი ტოპაზი გაზარებული იციანის უა ზელს წვეროზე ნაზად ისვამს, რვეულების დასტებს უკრაში შეინახავს, წიგნს აიღებს და მოწაფეს მიმართავს.

მას დავუბრუნდეთ ჩვენს ცხვრებს, იღება შექმნილი კარი და შემოდის მიუში.

მასან სენა



ტოპაზი და მიუში.

მიუში მსუქანი კაცია, პირღელაფი, სქელკისერა კარგად მოვლილი წვერი უნდა მიუგავს. თითზე დიდი ბეჭედი უკეთია, უჩანს საათის ბრკვეილა ძეწკვი, გახამებული საყელო გადა-  
უკეთია. აცვია ახალი, ღია მიწაისფერი კოსტიუმი. ეტუობა, მკაცრი და მსუქანი მოყ-  
რბალებელად მიესალმა.

ტოპაზი (სხაპასბუპით, მაგრამ არა მლიქვნელურად). გამარჯობათ, ბატონო დირექტორო.  
მიუში, გაგიმარჯოთ, მუსიე ტოპაზ, ორიოდ სიტყვა უნდა გითხრათ.

ტოპაზი. კეთილი, ბატონო დირექტორო. (მოწაფეს.) გაიარე, გაითამაშე გარეთ.

მიუში. გმადლობთ, მუსიე. (რვეული დახტრა და წავიდა.)

მიუში (მცირე პაუზის შემდეგ). მუსიე ტოპაზ, მაოცებს თქვენი საქციელი.

ტოპაზი. რა საქციელი, ბატონო დირექტორო?

მიუში. იძულებული ვარ, მიუშის პანსიონის წესდების ოცდამეშვიდე პარაგრაფი შეგახ-  
სენოთ: „მასწავლებელი, რომელიც თავის კლასში კერძო გაკვეთილებს ატარებს, ვალდებუ-  
ლია დირექციას პანორამის ათი პროცენტი გადაუხადოს“. რატომ დამიმაღეთ, რომ აქ მოწა-  
ფეს ამეცადინებდით?

ტოპაზი. ბატონო დირექტორო, ეს ხომ ნამდვილი გაკვეთილი არ არის?

მიუში (მკაცრად). ჩემთან ეშმაკობა არ გაგივათ!

ტოპაზი. ბატონო დირექტორო, მე იმ ბავშვს უფასოდ ვამეცადინებ.

მიუში (განცვიფრებული). უფასოდ?

ტოპაზი. დიახ, ბატონო დირექტორო.

მიუში (ფრთხილად გაკვირვებული). უფასოდ ამეცადინებთ? უფასოდ გაკვეთილებს ვინ ატ-  
არებს?

ტოპაზი (თითქოს თავს იმართლებს). ბეჭითი ბავშვია, მაგრამ თანაკლასელებს მაინც ჩა-  
მორჩება. უჭირს. ეტუობა. შინ არავინ ამეცადინებს, მისი მშობლები, თუკი მყავს...

მიუში (აღწვრობით). რას მქვია, თუკი მყავსო? თქვენი აზრით, ბავშვი ამ ქვეყანას თა-  
ვისით მოეფლინა? თვითონა თავის დედ-მამა?

ტოპაზი (იმ გონებასმბვილობამ გააცინა). არა, ბატონო დირექტორო, მე ეს არ მითქვამს.

მიუში ბავშვის ამა თუ იმ საგანში მომზადებას მისი მშობლები სპიროდ რომ მიიჩნე-  
დნენ, მეწვეოდნენ და გამოპიცხადებდნენ, რაც შეეხება უფასო გაკვეთილებს, ვერ გამოვიცა. გე-  
სმით თუ არა, რას სჩადოთ? თუ გაკვეთილების ჩატარებას უფასოდ დაიწყებთ, მერე სააზნოდ  
ვალა გაიშეტენს ფულს? მაშასადამე, უველა თქვენს კოლეგას ლუკმას აცლით პირიდან, ისი-  
ნი ხომ ისე მდიდრები არ არიან, მუქთად იმუშაონ. თავადური სიმდიდრე თუ გაქვთ, არ ვა-  
ცი, თორემ...

ტოპაზი. თქვენ ამ ამბავს, ეტუობა, სულ სხვანაირად აფასებთ, ბატონო დირექტორო.

მიუში. ერთი სიტყვით, ეს თქვენი პირადი საქმეა, მაგრამ, იცოდეთ, ამგვარი ხელგაშლი-  
ლობა დირექციისათვის დაწესებული ათი პროცენტის გადასახადისაგან არ გათავისუფლებთ.  
ამას ფულის მერკანტილური სიუვარული როდი მაღაპარაკებს, არამედ, დადგენილი წესდების  
პატავისცემა, რაც ხუნების კანონებით მარად უცვლელი უნდა დარჩეს.

ტოპაზი. მესმის, დღესავით ნათელია, ბატონო დირექტორო.

მიუში ჩინებულა. (ანიშნებს პატარა ცხოველის ფიტულზე, რომელიც საწურ მაგიდაზე  
დგას). ეს ძუძუმწოვარა აქ რისთვისაა?

ტოპაზი. კრცვინია, კვერნის ჭიშისა გახლავთ, ბატონო დირექტორო. მართალია, ჩემია,  
მაგრამ მტაცებელი ნადირის გაკვეთილი მაქვს და თვალსაჩინოებისთვის მოვიტანე.

მიუში. ამა (მიუვი ბიბლიოთეკასთან და ძირს დაყრილ წიგნებს დააქერდება.) ეს რაღაა?

ტოპაზი. პოპულარულ გამოცემათა პატარა ბიბლიოთეკაა, ბატონო დირექტორო. მოცა-  
ლერობის უამს ვაწესრიგებ ხოლმე.

მიუში (კუბტად). დაგეარგა რამე?

ტოპაზი. არა, ბატონო დირექტორო... კმაყოფილებით გაცნობებთ, არაფერი დამეარგვია.

მიუში. ძალიან კარგი. (წასვლას აპირებს.)

ტოპაზი (გაუბედავად შეაჩოებს). ბატონო დირექტორო! (მიუში შემობრუნდება.) მე  
შგონია, კიდევ ერთი ახალი მოწაფის მოუვანას მოვახერხებ.

მიუში (გულგრილად). მართლა?

ტოპაზი. დიახ, ბატონო დირექტორო გავხედავ და შეგახსენებთ, ეს უკვე მეშვიდეა.

მინუსი. რა არის მეშვიდე?

ტოპაზი. მეშვიდე მოწაფე. როგორც თქვენს პანსიონში წელს მოვიწიდე.

მინუსი. ამით თქვენ, რა თქმა უნდა, შვიდ ოჯახს დიდი სამსახური გაუწიეთ.

ტოპაზი. დიას, რასაკვირველია, სწორედ ასეა.



მინუსი. საქმე ის არის, ჩვენ მეტი ადგილი აღარა გვაქვს. ისიც არ ვცდი, თქვენი პრობლემებს მიღებას მოვახერხებ თუ არა. ხალი გონებით თუ განვსჯით, თვითონვე დაგწყნდებით. მიუშის პანსიონი უსაზღვროდ ვერ გაიწვლება. ეს კედლები რეზინის როდია.

ტოპაზი (გაკვირვებით). ასეა საქმე? მე კი მეგონა, წელს შარშანდელზე ნაკლები მოწაფე გვავდათ.

მინუსი. იცით, ბატონო ტოპაზ, როგორღე დღის წინ უარით გავისტუმრე ჩვენი რესპუბლიკის ერთი დიდი კაცის შვილი.

ტოპაზი. ფრიად ხამწუხაროა, ბატონო დირექტორო, ერთობ დავალებული ვარ იმ ოჯახისაგან და... ჩემმა სინდისმა ნება არ მომცა...

მინუსი. ფრიად წინდაუხედავად დაპირებიხართ... მეტად სიფრთხილედ გმართებთ, როცა ვინმეს მფარველობას პირდებით, ამის შესაძლებლობა კი არ გაგაჩნიათ. (მცირე პაუზა.) რა გვაჩივას ის ბავშვი?

ტოპაზი. გახტონ კურტუა.

მინუსი. დასაწახია, რომ დიდგვაროვანთა ნაშიერი არ უოფილა. გვარს „დე“ რომ უძლოდეს, სხვანაირად ვიფიქრებდი. რიგინი ოჯახის შვილი მაინც თუ არის?

ტოპაზი. მაგონი... ერთი თვეა ვამეცადინებ. მისი მშობლები მაროკოში არიან და ბავშვი მამიდასთანაა, მკვირცხლი გონების უნდა იყოს. უკვლავურს ადვილად იმანსოვრებს...

მინუსი. შესაძლოა, მაგრამ... მამიდამისი ჩვენს პირობებს დაეთანხმება? უოველთვიურად რვაასი ფრანკია გადასახდელი, ხამი თვის კი — წინდაწინ.

ტოპაზი. რა თქმა უნდა.

მინუსი. დამატებით გაკვეთილებსაც ჩაიტარებს?

ტოპაზი. აღბათ.

მინუსი. ფარსიკობის, ძერწვისა და სიმღერების შესასწავლადაც ივლის?

ტოპაზი. უეჭველად.

მინუსი. მე შეიძლება ოც ფრანკს გადაიხდის?

ტოპაზი. დიას, ვიმედოვნებ.

მინუსი. ცეკვის, ხატვისა და ესკუპანტოსათვის დამატებით ორას ფრანკს გაიმეტებს?

ტოპაზი. ნათესავები მიხვდებიან, ეს აუცილებელიაო, და...

მინუსი. ჩვენ იძულებული ვავდით, საპანსიონო გადასახადისათვის სხვა თანხაც დაგვემატებინა. ესეც უთხარით?

ტოპაზი. რა თანხას გულისხმობთ, ბატონო დირექტორო?

მინუსი (განხეირობულად). ექვსი ფრანკი კალმებისა და საქალაქდგებისათვის, ხუთი — წულის გაყვანილობისათვის, ოცი — ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის, ოცდაათიც — სასკოლო ინვენტარის უმნიშვნელო დაწიანებისათვის, როგორცაა: მელნის ლაქები, მერხზე ამოკრული სახელები, წარწერები საპირფარეშოში... დაბოლოს ექვსი ფრანკი სკოლისათვის დამახასიათებელი შემთხვევების უზრუნველსაყოფად, ესენია: ბელ-ფუნის ღრძობა ან მოტება, ქუნთორუშის ეკიდემია, უბაუურა და თვალში კალმის მოხვედრა. გგონიათ, უკვლა ამ პირობაზე დაგვეთანხმება?

ტოპაზი. დარწმუნებული ვარ.

მინუსი (ჩაფიქრდება). მაშინ ის მაღალი ხაზოგადობის ნაშიერი უოფილა, რჩეული, მოდა, ვეცდები, მოუხერხო ამის ვარდა, ვინაიდან სიფრთხილედ ვერ გამოგაჩენიათ და შეპირებიხართ, როგორმე უხერხული მდგომარეობიდან ხომ უნდა გამოგიყვანოთ!

ტოპაზი. ფრიად გმადლობა, ბატონო დირექტორო.

მინუსი. გადაეცით ქალბატონს, დაკარგული ყველა დღე ბავშვსა მომავალს გარკვეულ დღას ასვაშსოქო, ველოდები, რაც შეიძლება მალე მოგვიყვანოს.

ტოპაზი. მამიდამისი დღეს უნდა მოსულიყო.

მინუსი. კეთილი ვიმედოვნებ, მუსიე ტოპაზ, უმადური და უპატიოსნო პიროვნებისათვის არ გამჩიოთ. ასევე ვიმედოვნებ, რომ თქვენის მხრივ უფრო მეტ გულმოდგინებას გამოიჩენთ, რითაც ჩვენს უფრო მეტ მაძლიერებასაც გამრავლებულად დაიმსახურებთ.

ტოპაზი (მტკიცედ) იმედი იქონიეთ, ბატონო დირექტორო.

მინუსი. ჩინებულია, ჩინებული (მიდის, კართან რაღაც მოაგონდა და ტოპაზს შემოუბრუნ-

და.) შო. მართლა! მოგიტანეთ ხაბუთები, აკადემიური წარჩინების ხარისხის მისაღებად რომ ჩამაბარეთ. (იქველება საქალაქდში, რომელიც აქამდე სულ ხელში ექოა.) მოხარული ვარ, გაცნობოთ... (ცვლავ ეძებს.) მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ... (ტოპაზი გაბრწყინებული უცქერის.) ბატონო ინსპექტორი აკადემიისა თქვენზე ფრიად კარგი შეხედულებითაა, ხელ გაქვდათ.



ტოპაზი (სიხარულით ლამის ცას ეწიოს). მართლა?

მინუში. ასე მოთხრა: „მუსიე ტოპაზი ამ ქილდოს უოვედნაირად“

ტოპაზი. უოვედნაირადო?

მინუში. დიახ, და მრცხვენია, რომ ეს ქილდო აქამდე არ მიუღიაო.

ტოპაზი (გახარებული დაიმორცხვებს). ობ, როგორ ამოფორიაქეთ, ბატონო დირექტორო, მე მაგ..

მინუში. მით უმეტესო. — დასძინა ინსპექტორმა. — გული მიკვდება, წელსაც რომ ვერ ვაქილდოვებო?

ტოპაზი (თითქოს მეხი დაეცაო). წელსაც ვერ ვაქილდოვებო?

მინუში. ხამწუნაროდ, ვერაო, იძულებული გამზდარა, ყველა ქილდო თუ ხარისხი უფრო ხანდაზმული მასწავლებლებისათვის ჩამოერიგებია. დაიბრუნეთ ხაბუთები, ბოლოს, იცით, რა დამაბარა? „გადაეცით მუსიე ტოპაზს, წელს მორალურად ვაქილდოვებო“

ტოპაზი. მორალურადო?

მინუში (მიღის). დიახ, მორალურადო. ეგების ეს ზევრად უფრო საპატიოდაც მივიჩნიოთ! ტოპაზი ერთხანს ჩაფიქრებული დგას. შერე ბიბლიოთეკას მიტბრუნდება და წიგნებს არჩევს.

გამოთხე სცენა

ტოპაზი და ტამიზი

შემოდის ტამიზი. ტოპაზივითაა ჩაცმულ-დახურული, ოღონდ წვერი აქვს ოთხკუთხა და ტოპაზზე დაბალია. ილიაში პორტფელი და ქოლგა ამოუჩრია.

ტამიზი. ხალაში, ძმობილო.

ტოპაზი. ობ, იცოცხლე, ტამიზ.

ტამიზი. უხედურება ხომ არაფერი შეგეშთბვა?

ტოპაზი. პირქით. გავბედნიურდი. წარმოგიდგენია, აკადემიის ინსპექტორმა ბატონ მიუსს პირადად გამოუცხადა. ტოპაზს აკადემიურ ხარისხს მორალურად ვანიკებო.

ტამიზი. მორალურადო? (უნდობლად.) რას ნიშნავს ეს?

ტოპაზი. ემას ნიშნავს, რომ აკადემიის ინსპექტორი ღირხად შთვლის, შემომითვალოს დირექტორის პირით, რომ მორალურად მაქილდოვებს

ტამიზი. თუშეა ქილდო იხევ არ მოგცეს, მაგრამ დაფასება მაინც გაზარებს.

ტოპაზი. დიახ, თუ კარგად დავუკვირდებო, უჩინარია ეს ქილდო.

ტამიზი. შენ რომ იცოდე, ეს ამბავი ძალიან არც მაკვირვებს.

ტოპაზი. რატომ?

ტამიზი. როცა შენ ხარისხის მაძიებელთა ხიაში ჩაეწერე, მაშინ არ გამოიხელია ჩემი აზრი, არც შენ გოკითხავს. ჩემთვის კი გავიფიქრე, ახეთი ნაბიჯი ტოპაზსა ნაადრევად გადადგაშეთქი. შენზე რვა წლით უფროსი ვარ, მაგრამ ვისთვის რა მოთხოვია? არა, მე ველოდები.

ტოპაზი. ვინც არაფერს ითხოვს, არც არაფერს აძლევს, ძვირფასო.

ტამიზი. მაგრამ ვინც რაიმეს ნაადრევად ეხწრაფვის და აღწევს კოდევაც, შეიძლება კარიერისტადაც მოინათლოს.

ტოპაზი. ოპო, კარიერისტადაც მიგაჩნივარ?

ტამიზი. არა, არა. მე ვთქვი, შეიძლება მოინათლოს-მეთქი, ესე იგი, შეიძლება მოგეჩვენოს კარიერისტად.

კარი გაიღო, შემოვიდა კანიკოლი

მეხუთე სცენა

ტოპაზი, ტამიზი, კანიკოლი

კანიკოლი ახმახია, სამოცნაა გადაცილებული, წლებს მოუხრია, კბილები გამწვანებია, ქუსლებით დადის. ახურავს ფარფლებდაქმუქნილი ქილის ქუდი. ბეჭერ ათავებში დასრქილ სივარეტს ატრიალებს. მკლავზე გაბუნებული ქოლგა აქილია.

ტოპაზი. ძვირფასო კოლეგა, აქ ყველაზე უფროსი ბრძანდებით, თქვენი კლასი დისციპლინით ხამაგალითთა ამიტომაც ვიფიქრე, ძნელ მდგომარეობაში ჩავარდნილი რჩევას ვთხოვ შეტქი.

პანიკოლი. ფრიად გამახარეთ. (ჩამოჭდა მერხის საწუროვებზე, ჯიბიდან ამოიღო ასანთის დიდი კოლოფი, რათა სიგარეტი მოსწიოს), გისმენთ!



ქართული  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო

ტამიზი (სჩვენებს მიედიცინაო). ზედმეტი ვარ?

ტოპაზი. პირიქით, უნდა დარჩე, ეს გაკვეთილი შენც გამოგადგება. რა, ჩემი ერთი მოწაფე, ვერ გავიგე, ვერძოდ ვინ, ქოქავს მუსიკალურ რაღაც კოლოფს, რომელიც სამად-სამ ბგერას გამოსცემს: დინგი! დანგი! დონგი!

პანიკოლი. აჰა!

ტამიზი. რას არ მოიგონებენ!

პანიკოლი. შერედა, რა იღონეთ?

ტოპაზი. თითქმის ყველაფერი ვცადე. ზნეობის გაკვეთილზე მინიშნებით ჩამოვაგდე სიტყვა, თუ რა სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრება ბავშვს, ამხანაგებს მუშაობაში ხელს რომ უშლის, წესრიგის უცნობი დამრღვევი პირდაპირ მიწასთან გავახსორე, თან დავპირდი სრულ პატიებას, თუ დანაშაულს აღიარებდა. თითქმის კოლიციელივით ვუთვალთვალე! ვაი ყველას, ვიზედაც ვეკვობდი, არავითარი შედეგი. დარწმუნებული ვარ, იმ სამ დამცინავ ბგერას კვლავ გავიგონებ. ეს არ უფევს ჩემს ავტორიტეტს და ხლავს ჩემს პრესტიჟს, რა ვქნა?

ტამიზი. რთული ამბავია.

პანიკოლი. ხულაც არა! მუსიკა ერთობ ჩვეულებრივი ამბავია. ზან მერხში გარკობილ ბატის ნაფრთკენს ამღერებენ, ხან გაკვირულ რეჟინას, თითების ათამაშებით, ერთხელ პატარა მილიც შევაძინე, პოდა, ხაკუთრად მე, როცა ამგვარი რამ მესმის, დუამელის ვაგდებ გარეთ.

ტამიზი. შერედა, როგორ იგებთ, რომ სწორედ ის უკრავს?

პანიკოლი. მე ხულაც არ ვამტკიცებ, რომ ყოველთვის ის უკრავს, მაგრამ ყოველთვის მხოლოდ იმას ვხეი.

ტოპაზი. რატომ?

პანიკოლი. იმიტომ რომ, სიფათი აქვს ასეთი.

ტოპაზი. ძვირფასო კოლეგა, ხუმრობთ?

პანიკოლი. ოდნავადაც არა.

ტამიზი. მაშასადამე, ამოირჩიეთ განტეგების ვაცი, უბედური ბავშვი, ყველას მაგივრად რომ ისჯება.

პანიკოლი (შეურაცხყოფილი). მოიცადეთ! დუამელი მხოლოდ მუსიკისათვის ისჯება: მურალი ბურთულაყებისათვის ახალგაზრდა ტრამბუზსა ვხეი, ხოლო როცა დუამელის მიღში ჩვარი შესჩარეს, გარეთ უსხერანი გავაბრძანე, ხოლო თუ რადესმე ჩემს მაგიდაზე წასმულ წებოს ვნახავ, ეს ძმებს გისერებს დაბრალდება.

ტოპაზი. მთელი ხისტემა შეგიმუშავებიათ.

პანიკოლი. დიას ყველამ იცის, რაზე ავოს პასუხი, თანაც ეს არცთუ ისე უხამართლოა, როგორც შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, ხაკმე ის არის, თუ მოწაფეს აქვს ისეთი სიფათი, რომ მას შეუძლია დუამელის მიღში ჩვარი შეტენოს, უეჭველად შეტენის ათი შემთხვევიდან ცხრა-ჩერ მაინც.

ტოპაზი. მეათეჯერ ხომ უდანაშაულო ისჯება?

პანიკოლი (კეთილშობილურად). ეს უკვე ხასამართლოს შეცდომაა, რომელიც ჩემს ავტორიტეტს ამაგრებს, როცა ბავშვებს და მოზარდებს ხელმძღვანელობ, დროდადრო უნდა ჩაიღინო ფრიად ფაქიზი უხამართლობა, ამის წყალობით, ყველაზე მეტად შთააგონებ მათ, პატივი გყენ.

ტოპაზი. უდანაშაულო ბავშვი რომ ისჯება, მისი გამწარება სულ არ გაწუხებთ?

პანიკოლი. რა თქმა უნდა, ის ბავშვი მახსოვს რას ვიზამთ, ბავშვს ცხოვრებისთვის ასეთი ამბავიც აშკადებს.

ტოპაზი. ვანა პატარა გაკითხვ-გამოკითხვით დამნაშავეთა მიგნება არ შეიძლება?

პანიკოლი. დამნაშავენი! ქობია დამნაშავენი ამოარჩიო, ვიდრე ეძებო.

ტამიზი (სარკისტულად) და ამოარჩიო სიფათით!

ტოპაზი. ეს ბორჯიასებური ხერხია.

პანიკოლი. ერთი ეს მითხარით, გეთაყვა, ვანა ცხოვრებაშიც ახე არ არის? ყველაფერი, რაც შეგვემთხვევა, ჩვენივე გარეგნული იერის ბრალია, აი, ჩვენ, სამთაგან, არც ერთი არ ვიქნებოდით ახლა აქ, საცოდავი რეპეტიტორების სიფათობიანი რომ არ დავბადებულყავით

(ტოპაზი ახველებს... თან წვერზე ისევე ხელს.) მომისმინეთ, როგორ ჩავახარე სადიპლომო გამოცდა... სამ დროს გაიანა ზმა მოწაფისა, რომელიც, ეტყობა, კარის საკეტის კუჭკუჭთანავე პირმოდებულად ევირის „პანიკოლი, პანიკოლი, რატომ აგდის თავზე ბოლი, ხომ არ გირტყამს თავში ცოლი?“ პანიკოლი არტურულდა.) არ გაინძრეთ, განვაგრძოთ საუბარი, ის, რა თქმა უნდა, გვისმენს. უფლებლად დავიჭერთ, (უკან-უკან სვლით თანდათან უახლოვდება კარს.) ჯოვლად აშკარაა, თუ სადიპლომო გამოცდა დროზე არ დაიჭირე... საშუალო სტრუქტურულ მუშაობების მოწმობას... (ზმა კრატომ აგდის თავზე ბოლი, ხომ არ გირტყამს თავში ცოლი? კელივ კარს ეღაბება.) საქიროს პროგრამები განიტვიროს... (ჩუნდა.) თქვენც ილაპარაკეთ, თქვენც...

ტამიზი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

ზმა. „პანიკოლი, პანიკოლი, რატომ აგდის თავზე ბოლი, ხომ არ გირტყამს თავში ცოლი?“

კანიკოლი (მოთქოს ცეცხლ-ცეცხლებიანი ჩურჩულებსო). ღმერთო ზემო, ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ!

ტოპაზი. რაც შეეხება დაწყებითი სკოლის დამთავრების მოწმობას, რასაკვირველია, ურიგო არ იქნებოდა, განგვეტვირთა ბოლი... ესე იგი, პროგრამები.

კანიკოლი. კარის წინაა დახოქილი... იმ არამზადის უკანაღის ზემო მხარეს ვხედავ...

ტამიზი. ხხვათა შორის, ასევე დგას საკითხი სახელმწიფო გამოცდებთან დაკავშირებით.

ზმა (ღვაძლიანად). „ხომ არ გირტყამს თავში ცოლი, ხომ არ გირტყამს თავში ცოლი, ხომ არ გირტყამს თავში ცოლი...“

კანიკოლი (როგორც იქნა, მიუახლოვდა კარს, სწრაფად გამოაღო და ეცა წინდების-ამაზა მდგარ ახმაეს, მაქაში ჩაველო ხელი და გამარჯვებულის იერიით ასწია). დირექტორთან დირექტორთან!

მონაშვი (აბლაველდა). მე არ ვიყავი, მე არ ვიყავი!

კანიკოლი. დირექტორთან დირექტორთან! (შისთრევს ხელის კვრით და ზო-ზეიმით).

მეექვსე სცენა

ტოპაზი და ტამიზი

ტამიზი. უსამართლობას თესავდა, ახლა შეურაცხყოფას იშკის.

ტოპაზი. ბუნებრივია, ჩემი მეთოდი იქნებ ნაკლებად მოქმედი იყოს, სამაგიეროდ, არცერთ ჩემს მოწაფეს არ დაუძახნია, რატომ აგდის თავზე ბოლი...

ტამიზი. რა თქმა უნდა, რაც შეეხება შენს მუსიკოსს, ადგილზე მის გამოსაჭერად მოქმედების ასეთ გეგმას გირჩევ: როცა სერენადა ამღერდება უურადლებას ნუ მიაქცევ, განაგრძე გაკვეთილი, ვითომ არაფერი გაგიგონია, დაე, მხოლოდ თვითონ განიცადოს, მერე ნება-ნება, უკან სვლით, მიუახლოვდი ხმის წყაროს, როცა ასე თუ ისე დარწმუნდები, მივებარეო, ანაზღად შეტრიალდი, ბიჭი მერხიდან დაითრიე და ხელი უჭრაში შეყავი. გეფიცები, იმ საკრავს ეპოვი ეს ისევე უფლებელია, როგორც მე ტამიზი შვეია.

ტოპაზი. კარგი გეგმაა, გამარჯვების დამაგვირგვინებელი. მაგრამ სულაც არ მინდა, თავი მოვიკატუნო, უპატიოსნოდ გავითამაშო კომედი.

ტამიზი. ის მუსიკოსი კი, აგერ ორი ვიროსა ხულის რომ გიმღვრევს, პატიოსანი გგონია?

ტოპაზი. არა, მაგრამ, ის ხომ პატარაა ჯერ...

ტამიზი მს-ებს აიჩქინავს. იღება მარცხენა კარი და შემოდის ერნესტინა მიუში.

მეშვიდე სცენა

იგივენი და ერნესტინა

ერნესტინა. ხალაში, ბატონებო!

ტამიზი (მოწიწებით დაუკრავს თავს). ხალაში, მადმუაშელი!

ერნესტინა. მუსიკ ტოპაზ, ნახევარსუფროების რუკას ვერ მათხოვებო?

ტოპაზი. დიდზე დიდი სიამოვნებით, ძვირფასო... (გამოაღებს შავ კარადის, სადაც აწყვეი გეოგრაფიული რუკები, ერთს გამოაკლის და ერნესტინას თავაზიანად მიაწოდებს.)

ტამიზი (ღინჯად). ამ დილით გეოგრაფიის გაკვეთილს ატარებო?

ერნესტინა. მატერიკები და ზღვები უნდა ვუჩვენო... (ტოპაზს რუკა გამოართვა.) გმადლოშო! (გაუღიამებს და მიდის ტოპაზი გაუსწრებს და კარს გაუღებს.)



ტამიზი. შაკატოე, ჩემო ძვირფასო. მე რომ არ დაგხვედროდი, აღბათ, დარჩებოდა... მგონი, საქმე იჩარხება.

ტოპაზი. შენ ჰერ უველაფერი არ იცი... (იღუმელად) ცოტა ხნის წინ გამომთანაობა კიდევაც.



ტამიზი. (ალფრთოვანებული გავვირვებით) არა მართლა?

ტოპაზი. დიახ, მიხაუვედურა, გულგრილი ხარო.

ტამიზი (კვლავინდებურად). ჰა?! რას ამბობ?!  
ტოპაზი. მართალია, სიტყვა „გულგრილობა“ არ უთქვამს... მაგრამ ქალღმერთი კვლავ მონდობიანა. ერთი რამ მაინც მოვახერხე, თავისი მოწაფეების რვეულები კვლავ მონდობიანდო.

ტამიზი. ნუთუ?

ტოპაზი. არ გჩერა? აი! (რვეულების დასტას უჩვენებს.) აგერ მაქვს.

ტამიზი. მოდა, აღბათ შენც დრო იხელთე და სიყვარული აუბხენი, არა?

ტოპაზი. არა, მართალია, თამამად შევუტოე, სიყვარულის ახსნა კი ვეღარ გავბედე.

ტამიზი. ვერა?

ტოპაზი. ვერა.

ტამიზი. არ ვიცი. შენ როგორ ფიქრობ. მაგრამ წმინდა წულის მშვენიერი იოსები უოფილხარ.

ტოპაზი. არა. ტამიზ, ასეც ნუ იტყვი... ხომ იცი, ეს ერნესტინა მიუშის ხელის თხოვნისა და გულის მოგების ამბავია და... ხომ იცი...

ტამიზი (ჩაფიქრებით). ებრეც მართალია. შენ იხედაც თამამად იქცევი... შორს უმიზნებ.

ტოპაზი. შორს, ასე არ არის?

ტამიზი. თუ გამიმართლა, მართლაც იტყვიან, ძალიან შორს უმიზნებდაო.

ტამიზი. დიახ. შეიძლება ასეც იფიქროს: ტოპაზმა მიუშის პანსიონის ხელში ჩახაგდებად თავისი თვალთანადობა გამოიყენაო. არ იტყვიან?

ტოპაზი. იტყვიან.

ტამიზი (ცოტა ხნით ჩაფიქრდება და უცებ იტყვის). ერთი სიტყვით, კაცი პატივმოყვარე უნდა იყო... როგორც კი დროს იხელთებ, ბანკის მოხსნა არ უნდა დააგვიანო.

ტოპაზი. ბანკის? რას გულისხმობ?

ტამიზი. ჰერ თვალეში მრავალმნიშვნელოვნად უნდა შეაკვირდე და ნიიდაგი მოამზადო... აი, ასე — ნახევრად მინაბული თვალეებით... (თავს ოდნავ გადასწევს და უჩვენებს, როგორ გაიხედოს „წამწამთა თარღის მიღმა“.)

ტოპაზი. გგონია, ასე რამეს მივადწევ?

ტამიზი. თუ თვალეების მინაბვას ოსტატურად მოახერხებ, გაჭრის. ქალი საოცრად მოინდობს. მერე მიუახლოვდება და საუბარს გაუბაშ იშავე სულისკვეთებით.

ტოპაზი. იშავე სულისკვეთებით. კი მაგრამ როგორ?

ტამიზი. ცოტა პოეტური მღელვარებითა და თრთოლვით... მერე კი დახვეწილი კლასიკური ფორმით ხელსა სთხოვ. თუ შეუწყობინდება, მეტად გამამაცდი... (იჩვენებს, თითქოს ქალს უხვევია) აკოცე.

ტოპაზი. ვაკოცო? მერედა, რას იტყვის?

ტამიზი. შესაძლოა სუნთქვა შეიკრას და აჩურჩულდეს: „ტოპაზ... ტოპაზ... ტოპაზ...“

ტოპაზი. ეგრე რომ მოხდეს, დიანაც გავიხარებ. მაგრამ, იმედი არ მაქვს... ჰოდა, მეტნელება გაბედა—  
ტამიზი. ხამდვილად რა მოხდება, არ ვიცი. იქნებ სიმორცხვემ სულ სხვაგვარად ამოქმედოს. მაგალითად, ხელი გაკრას: „ბატონო, რას ხჩადიხარ“. მაგრამ ამას უურადლებას ნუ მიიქცევ, თუ არ აუვირდა — მიშველეთო, თანხმობად მიიჩნე.

ტოპაზი. შუბლზე ვაკოცო? —  
ტამიზი. ტუჩებში, შე საბრალო, ტუჩებში!  
ტოპაზი. ტუჩებში... თვითონ ასე მოქცეულხარ ოდესმე?  
ტამიზი (ოინბახურად). ოცჯერ მაინც.  
ტოპაზი (მტკიცედ). ვსლი... მაგრამ მე უფრო მამამისი მაშინებს.  
ტამიზი. ჰოო... მამა, რა თქმა უნდა, სხვა კაკალია.  
ტოპაზი. დარწმუნებული ვარ, პატივსა მცემს და პატიოსან კაცადაც მივანვივარ, მაგრამ უარს რომ მტკიცოს, მოგვკვდება... ჩემი აზრით, აჯობებდა, ჰერ მამასთან მოგვესინჯა ნიიდაგი.  
ტამიზი. მესმის, რასაც მერააკები, მამასთან მე მიგვეზავნო.

ტოკაზი. ვერ შემოგბედე.

ტამიზი. შევთანხმდით, პირველ შემთხვევისთანავე...

ტოკაზი. ოღონდ ისე, ეჭვი არაფერზე აღოს.

ტამიზი. პირველად დღეს ხომ არ გამოცანი, ჩემი საქმისა მე ვიცი.

ტოკაზი. ახლა გვაქვს ხელსაყრელი მომენტი, სწორედ დღეს ახალი მოწაფის მოყვანა ვა-  
ხარე.



ქართული  
ბიბლიოთეკა

ტამიზი. ხად გამოახრივე?

ტოკაზი. კერძოდ ვამეცადინებდი და მის ნათესავეებს ვურჩიე, ჩვენთან შემოეყვანათ.

ტამიზი. თხიანი ხარ, პატრონის გულს დიახაც მოიგებ, მაგრამ გაკვეთილებს დაკარგავ.

ტოკაზი. შენარჩუნებას არც ვცდილობ.

ტამიზი. ცოტას გიხდია?

ტოკაზი. პირიქით, აქ ისეთი ჩახლართული ამბავია. რომ... ეს ბავშვი მამიდასთან ცხოვ-  
რობს, ის მამიდა ახალგაზრდა ქალია, უქმრო, არც გაშორებულა, არც ქვრივი.

ტამიზი. (განკვიფრებული). აბა, ვიღაცა, დალოცვილო?

ტოკაზი. აღბათ ობოლია, მაგრამ ძალიან მდიდარი.. პირველად ისეთ ბუღუარში მი-  
მიღო, თავი „ათას ერთი ღამის“ სამუშაოში შეგონა. ირგვლივ ატლას-აბრეშუმი და უძველესი  
სურათები, იატაკზე მუთაქა-ბალიშები. ოთახიდან კიბის ძირამდე დაფენილი რაღაც ზღაპრუ-  
ლად განსაცვიფრებელი, რბილი და სქელი ნოხი, ღმერთმანი, არ ვებუშრები.

ტამიზი (წაუსტკეცს). ოპო, ეტყობა, დედოფალივით ცხოვრობს.

ტოკაზი. აბა, რა თითქმის ყოველ დღე, გაკვეთილს დავანთავრებდი, თუ არა, ერთი დი-  
დებულად გამოწყობილი კაცი, იქნებ დაქიაც; იმ ბუღუარში მიმაცილებდა და ახალგაზრდა ქა-  
ლი ბავშვის წარმატების ამბებს მაეოლებდა... ზოდა, ჩემო ძვირფასო, არ ვიცი, იმ ბუღუარის  
მოწყობილობის ბრალი იყო თუ იმ სურნელების, ის ახალგაზრდა ქალი რომ აფრქვევდა, გო-  
ნება შებნეოდა და რას ვუვებოდი, თვითონაც ვერ ვიგებდი.

ტამიზი (საყვედუროთ). ეჭვი შენ მაღალი საზოგადოებისა არაფერი გცხნია.

ტოკაზი. ერთი შენ შენაზე ჩემს ადგილას, ჩამოგდებოდა დაბად რბილსკამზე, ეცვა აბრეშუ-  
მის თხელი წინდები და ძვირფასი ფეხსაცმელი... ტარსიკონისა და გველის ტყავის... ერთხელ —  
ოქროსფერიც...

ტამიზი (ღარწმუნებით). კახარეს მომდერალი უოფილა.

ტოკაზი (მწყურალად). ახე შეცრად ნუ ბკიცხავ ადამიანს, რომელიც არასოდეს გინახავს.  
მაღალი წრიდან გამოსული ქალიშვილია... რამდენჯერმე ვნახე, ერთი კაცი ესტუმრა, საპატიო  
ღეგონის ლენტი ეკეთა... აღბათ მამამისის მეგობარია... ზოდა, მგონია...

ბრუნდება უკან, ხელში ქუდი ეჭირავს, მოუძღვრს ძალიან კონტა და ლამაზ ელეგანტურ ქალს,  
ამ დროს კარს მიღმა დიდი ალიაქოთი შეიქნა, გარბის დაბნეული რიბუშონი, უმაღლე

ტოკაზი აღელდება

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! აი, ისიც!.. დიახ, ის არის... წადი.. ის მოდის...

რეზუმენი (კარს შემთავებს, იქიდანვე დაუკრავს თავს და საჭურისის ხმით დაიძახებს).  
ბატონო ტოპაზ, ერთ ქალბატონს თქვენთან საუბარი სწადია... (მიუბრუნდება ქალს, რომელსაც  
თავად შემოუძღვია) აი, აქ გახლავთ, ქალბატონო. (უკან დაიხვეს, ქალს ვამოატარებს და კარს  
მოკეტავს. ტამიზი თავის კლასში შედის.)

მარკს სცენა

სუზი და ტოპაზი

შემოვიდა სუზი კურტუა, ოცთახილი წლისაა, ლამაზიც არის და კობტადაც აცვია. ქერა  
თმაზე, ფეტრის ქუდი ჩურავს, აცვია უკანასკნელ მოღაზე შეკერილი კაბა, კაბაზე მოუხვევია  
უძვირფასესი ბეწვი, ღიბილით გამოუშვრა ტოპაზისკენ, რომელიც დეღესას იოკებს.

სუზი. ხალაში მუსიე ტოპაზს!

ტოკაზი. იყოცხლეთ, ქალბატონო.

სუზი. ვადრე დირექტორს მოველაპარაკებოდე, პანსიონის დათვლიერება გადავწყვიტე  
და... მგონი, არ შევწყდარვარ.

ტოკაზი. რა თქმა უნდა, ქალბატონო, თუ ნებას მომცემთ, დირექტორის კაბინეტამდე მი-  
გაცილებთ, თქვენი ნახვა ფრიად გაახარებს.

სუზი. ეს თქვენი კლასია?

ტოკაზი. დიახ, ქალბატონო

სუზი. სათამაშო მოედანი სადღაა? ან — ბაღი?

ტოპაზი (გაკვირვებით). ბაღი!

სუზი. დიან, მეგონა, ბავშვებს სათამაშოდ რაღაც ბალისმაგვარი ექნებოდათ.

ტოპაზი. ასე რე ვიტყვით, ქალბატონო, ვატყობ. ჩვენი ეზო გაატარავენათ. მაგრამ აქ შემოღებული წესების წყალობით ეს მოედანი დიდდება. ბატონმა მიუშმა დაადგინა. ბავშვი რომ დარბის, დგომაზე გაძლიებით შეტი ადგილი სჭირდება, ამიტომაც უფრო მეტი ადგილი მაში აკრძალა... პოდა, ეზო ახლა უფროს უფროს, სავსებით ხაკმარისია.



სუზი. თუ ასე ვიმსჯელებთ, პატარა ქილაში უამრავი კიბუჩინა თევზი დაეტივა... (ტოპაზი გაღიმიებას ედილობს.) ირგვლივ ხაკლასო ოთახებია?

ტოპაზი. დიან, ქალბატონო, როგორც ხედავთ, ექვსი.

სუზი. მუსიე ტოპაზ, მიუშის პანსიონი სულ სხვაგვარი უფილა, ვიდრე წარმომედგინა,

ტოპაზი. ბუნებრივია, წარმოდგენით საგნები სულ სხვაგვარად გვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეში.

სუზი. არა, მაგრამ ისიც არ მეგონა, რომ მიუშის პანსიონი ქის ირგვლივ განლაგებულ ხუთ ან ექვს ხარდაფს წარმოადგენდა.

ტოპაზი. აჰა.. ესე იგი, ხურთოდ ცუდი შთაბეჭდილება შეგექმნათ.

სუზი. გარკვეული თვალწაზრისით.

ტოპაზი (დაღონებულად). აჰა! გარკვეული თვალწაზრისით! რას ვიზამთ. ესეც ჩინებულია.

სუზი. ვიცო, შესანიშნავი პედაგოგი ბრძანდებით, მაგრამ მიუშის პანსიონის დათვალე-რებაშ აქ ბავშვის მოყვანის ხურვილი გამოქრო, ვერ ჩავკეტავ.

ტოპაზი. ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო.

სუზი. ვიმედოვნებ, ჩემი გადაწყვეტილება არ გაგანაწყენებთ.

ტოპაზი. აჰ, არა! პატარა გაუგებრობაა, სხვა არაფერი... გაუგებრობაა-მეთქი... უბერბუ-ლობაც... ბატონ დირექტორს უკვე ვთხოვე ამ ნიჭიერი ბავშვის მიღება და ეგონება, რომ მე ეს დაუფიქრებლად მოვახსენე.

სუზი. თუ ასეა, დირექტორს მე მოვიხაზულე და ვეცდები პახუბისმგებლობა მოგხსნათ.

ტოპაზი. ფრიად გულყეთილი ბრძანდებით, ქალბატონო.

სუზი. გასტონს კი დღეში ორ საათს ამეცადინებთ.

ტოპაზი. ორ საათს, სამწუხაროდ, ვერ შევძლებ, განრიგი მაბრკოლებს.

სუზი. მაშინ კვლავინდებურად თითო საათით გვეწვიეთ.

მეცხრე სცენა

იგინიე და მიუში

მიუში (გამოჩნდება დათაფლული ღიმილით, დარბაისლურად თავის დაქერას ედილობს). ბატონო ტოპაზ, პატივი დამდეთ, გეთაუვა, გამაცანით ქალბატონი.

ტოპაზი. ქალბატონო, მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ ბატონი დირექტორი. (მიუშს.) ეს გახლავთ ქალბატონი კურტუა, რომელზედაც უკვე გესაუბრეთ.

მიუში. თქვენი ხილვის მოხარული გახლავართი..

სუზი. სასიამოვნოა... ბატონმა ტოპაზმა აღმათ ჩემი განწრაზვაც გაცნობათ...

მიუში. რასაკვირველია, ქალბატონო.

სუზი. რაც, ჭერჭერობით, მხოლოდ განწრაზვა... მე მუავს ძმისშვილი...

მიუში (აეტომატურად). ბრწყინვალე ბავშვია.

სუზი. იცნობთ?

მიუში. ჭერჭერობით არა, მაგრამ ჩემმა საუკეთესო მახწავლებელმა ბავშვი ჩინებულად დამიხასიათა.

სუზი. მუსიე ტოპაზის რჩევით ვაპირებდი, მისი აღზრდა თქვენთვის მომენდო.

მიუში. ფრიად კარგი რამ გიფიქრიათ, ქალბატონო. თქვენი ბავშვი, რომელშიც ბრწყინ-ვალე მონაცემებს ვხედავთ, ჩვენს ზელში უვავილივით გაიფურჩქნება. ჩვენ ნიჭიერ ბავშვთა აღზრდის გამოცდილებით ერთობ მდიდრები ვართ. ისინი გაუშლელ კვირტებს მგვანან, საკი-როა ეს კვირტები სათუთად ავაყვავოთ. ფურცელ-ფურცელ, რათა არც გაისრისონ, არც და-მაზინქდნენ.

სუზი. რასაკვირველია. ოღონდ, მოვახსენებთ, ჭერ საბოლოოდ არ გამომიწყვეტია. ბავ-შვი ცოტა მოიხუხტებს. ჭერ ექიმს მოველაპარაკები, გაუძღვებს თუ არა ინტერნატის პირო-ბებს.

მეუღლე. ქალბატონო. მეც მოგახსენებთ, ჩვენ ხნულ ბავშვთა, ასე ვთქვათ, სპეციალისტად ვმუშაობთ. აქედან ისინი გაკეთებული და ლოყებდაბერილი გადიან.

მეუღლე. მაგას არ ვამტკიცებ, ქალბატონო, ის კი მჭერა: თქვენი ძმისწული ერთ წელიწადში იმდენსავე ძალ-ღონეს შეიძენს, რამდენსაც ცოდნას.

სუზი. ტოპაზი ძვირფასი თანამშრომელი გუავეთ.  
მეუღლე. ჰუ შმარიტად მომწონს... არც თვითონ ეპარება ექვი. მესამე მკვებ მეგობრულად პათვის, ჩემგანაც არ აქლია დაფასება.

სუზი. ბატონი ტოპაზი უველაფერს ნამდვილად იმსახურებს, ნახვამდის, მუსიე ტოპაზ, გელოდებიო დღესვე, გახტონს გაკვეთილს ხალაშის ხუთ საათზე ჩაუტარებთ.

ტოპაზი. დიახ, როგორც შევთანხმდით, პირობა პირობაა.  
მეუღლე (კარს გააღებს და სუზის გაუშვებს წინ). ქალბატონო, თუ არ შეწყუბდებით, კახი ნეტში წამომხვევით, გაჩვენებთ, რა ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწიეს ჩვენმა მოსწავლეებმა გამოცდებზე. გაგაცნობთ ჩვენს პედაგოგიურ მეთოდებს, უაღრესად თანამედროვესა და უაღრესად...

მეათე სცენა

ტოპაზი (მარტო დაჩენილი ჩაფიქრდება, ჩუბჩულებს). მოწესრიგდება... ალბათ უველაფერი მოწესრიგდება.

მეთერთმეტე სცენა

ტოპაზი და ერნესტინა

ერნესტინა მარცხენა კარიდან შემოდის, წითელმკვლისიანი შუშა შემოაქვს.  
მრნესტინა. ძვირფასო კოლეგა, აქ ლამაზ ქალიშვილებს მასპინძლობთ?

ტოპაზი (მორცხვად). ერთი მოწაფის ნათესავია, მისი ძმისწული, ასე ვთქვათ...  
მრნესტინა. ასე ვთქვათ... ახლადა რესმის, ბოლო დროს ჩემზე გული რატომაც აიცრუეთ.

ტოპაზი (მღელვარედ). ძვირფასო მადმუაზელ...  
მრნესტინა. ეტყობა, ანლა უკვე სხვებისთვის მიგაქვთ ხოლმე მუდმივი კალენდარი, და იბრუნეთ მელანი, არა მგონია, იმ ქალბატონს თქვენი კალენდარი გამოადგეს.

ტოპაზი. გვედრებით, მუ მიგავრდებით!  
მრნესტინა. არ გიგავრდებით, მუსიე ტოპაზ, პირიქით, ერთი დიდი სათხოვარინათვის გეაზელით.

ტოპაზი. მთელი არსებით მუდამ თქვენს განკარგულებაში მიგულეთ.  
მრნესტინა. ვნახოთ, ვნახოთ, (ნიუახლოედება) იცით, მე სიმღერის გაკვეთილები ავიღე.

ტოპაზი. ოჰო! მჭერა, უტკბილესი ხმა გაქვთ, ნარნარი.  
მრნესტინა. დიახ, ნარნარი, ხუთშაბათობით, ათიდან თორმეტამდე ვიმეცადინებ, მამამ არ იცის, ეს მხოლოდ ჩემი და დედის პატარა საიდუმლოა.

ტოპაზი (მგოდნობიუოდ). გმადლობთ ნდობისთვის... აი, მეორე ზიარი პატარა საიდუმლოც გაგვიჩხდა.

მრნესტინა. დიახ, მაგრამ ბატონმა დირექტორმა საზაფხულო მეცადინეობის დაწყება სწორედ ამ ხუთშაბათიდან გადაწყვიტა, არაფერი გენიშნათ?

ტოპაზი. ბევრი რამ გენიშნა, ძალიან ბევრი... მაგრამ, აი, ზუსტად ვერ მივხვდი, კერძოდ რა?

მრნესტინა. სწორედ ხუთშაბათს, დილის ათიდან თორმეტამდე, მოსამზადებელი კლასი უნდა გავახვირო.

ტოპაზი. ათიდან თორმეტამდე... (გამტერდა...) მაშინ სიმღერის გაკვეთილებზე უარი უნდა თქვათ, არა?

მრნესტინა. რასაკვირველია.  
ტოპაზი. ძალიან საწყენია, უდავოა: ერთი ადამიანი ერთდროულად ორ ადგილას ვერ იქნება.

მრნესტინა. მიხვდით, რა დახმარებაც მკვირდება?  
ტოპაზი. სავსებით, მთხოვთ, ეს ამბავი ბატონ დირექტორს ეუბნო, რათა სერიოზობის საათები შეცვალოს.

მრნესტინა. არა, ჩემ მაგივრად ბავშვებს გაახვირნებთ.

ტოპაზი. გასაგებია. თავისუფალი ვარ ხწორედ ხუთშაბათს.

პრესტიჟი. ჩინებულია. მამას ასე ვეტყვი: ტოპაზი იშვიათად სეირნობს. დანატრებულია სუფთა ქაერს და თვითონ მთხოვა, ეს საათები დამთმომ-მეთქი.

ტოპაზი. დიდებულია! ნამდვილი ქალური ეშმაკობაა. (მიუახლოვდება და ხმას მკარნობიარედ ააფრთხილებს.) ძვირფასო მიუშ... დიდი სიამოვნებით გავასეირნებ ბავშვებს, რადგან... რადგან მიყვარხართ. (თვალებშინაბული მიაშტერდება.)

პრესტიჟი. მუსიე ტოპაზ, გევედრებით...

ტოპაზი (თანდართან მიუახლოვდება და ისე უცქერის, თითქოს სულში უნდა ჩაეკვროს): მიყვარხართ... განა ბილწი და აღვირაბხნილი ვნებით, არამედ, ღრმა და პათიოსანი, ცოლქმრული წმინდა მიყვარულით. (კალი სიცილს ძლივს იკავებს. ტოპაზი ანაზღად მოეხვევა.) მომის-მინეთ... (აკოცებს.)

პრესტიჟი (ხელსა ბერავს, სილასაც უთავაზებს). მუსიე ტოპაზ, რამ გადაგრიათ? განა ქალიშვილს ასე ეტყვიან? ასეთი ბუმბობა მეროდ აღარ გამიმეოროთ, არც ის დაივიწყოთ, ბავშვები ჩემს მაგივრად რომ უნდა გაასეირნოთ. (გადის.)

ტოპაზი. ეს იყო ხწორედ ის პატარა წინააღმდეგობა, ადრევე რომ გავითვალისწინეთ. თუ წმინდაო უმანკობავს.. არ უყვირია — მიშველეთო, მაშასადამე. უველაფერი რიგზეა... (ლოვაზე ისევას ხელს და ბოლო სიტყვებს იმეორებს. ბსმის დაფდაფის გამაურუებელი ხმა, თითქოს ორნოს კედლებს ეხლებათ. კარის მინის მიღმა ჩანს, კლასის წინ ბავშვები მწკრივდებიან. ტოპაზი კარს გაიღებს, მაგრამ ბავშვები კვლავ დგანან და ელიან მასწავლებლის განკარგულებას.) შემოდით! (10-12 წლის თორმეტობდე ბავშვი წყვილ-წყვილად შემოდის.)

მეთორმეტი სცენა

ტოპაზი და მოწაფეები

ბავშვები თავთავიანთ მერხებთან დადგებიან, გულზე ხელებდაკრეფილი. ტოპაზი ამ ცოლემონიის დანთავრებას კათედრიდან დაპყრობს. ტაში შემოჰყრა. ბავშვები დასხდნენ, გახსნეს ჩანთები, ამოიღეს რვეულები და წიგნები. ზოგი ცელქობს. ტოპაზი ქანდაკებასავით დგას და უველაფერ ამას მკაცრად უთვალთვალებს.

ტოპაზი (ავტორიტეტულად). კორდე, თავი მოედანზე გგონია? (კორდე ცხვირს რვეულში ჩარგავს.) ეუხერან. დღესაც დაგვიწყებია კალენდრის ფურცლის მოხვევა. (ანიშნებს კალენდარზე.) ამის გამო გართმევ კალენდარს.

მუსკარანი (ზიზღით). დიდი ამბავი!

ტოპაზი. (მკაცრად). გაჩუმდით! (გაიღიმებს.) ბლონდე, ამ კვირაში სულ ფრიადები დაგიმსახურებია. კალენდარი შენ ჩაიბარე. გუშინდლის ფურცელი ამ წუთშივე მოახიე.

გლონდე, გმადლობთ, მუსიე! (მოახვევს ფურცელს და კალათაში ჩააგდებს.)

ტოპაზი (კათედრას მიუჯდება, ჯიბიდან დიდ სამკლავურებს ამოიღებს და წინ დაიდებს. უჭრებიდან ამოალაგებს წიგნაკს, კალმისტარს, სათვალის საწმენდ ჩვარს, სათლელს და სხვა რამე-რუმეს. კათედრის ქვემოთ ჩანს ტოპაზის წარვლის ტოტები და ფენსაცმელები. ბამბის თეთრი წინდებიც კი. სიწყნარეა. საუბარს იწყებს საზეიმო კილოთი). ხვალ, დილის ცხრის ნახევრიდან ათის ნახევრამდე, დავწერთ თბუღლებას ზნეობაზე. ჩაინიშნეთ რვეულებში ამ საკონტროლი სამუშაოს დრო. (რვეულები ურიაშულით ააშრიალეს. ტოპაზმა დაფაზე დიდი ასოებით დაწერა: „ოთხშაბათი, 17 იანვარი...“ ამ დროს ბოლო მერხზე ორმა მოწაფემ ერთმანეთს მუჯღუგუნე ჰყრა ჩურჩულით. დაფასთან მდგარი ტოპაზი არც შემობრუნებულა.) ვაუბატონო კერგეზეა, თავის შემოტბრუნებლად, ზურგითაც ვხედავ, მთელ კლასს რომ უშლი ხელს... (წერს მეორე სტრიქონს: „თბუღლება ზნეობაზე“. ამ დროს მოწაფე სეგედილმა, მარჯვნივ სიღრმეში რომ ზის და წინასწარ ეშხადებოდა „გმირული საქციელისათვის“. შურდულით ნასროლი ქალიღლის ბურთულა დაფას მოახვედრა ტოპაზის აზლოს. ტოპაზი სწრაფად შემობრუნდა და ისე შეხტა, თითქოს ზამბარან აისროლო. თვალები დახუჭა, წვერი აებუძვა, ხელი კლასის მარცხენა კუთხისკენ მრისხანედ გაიშვირა და დაიყვირა.) კერგეზეა გაუთრიე!... მე უველაფერი დაფინახე! (სამარისებულო სიჩუმეა. მოწაფე სეგედილმა თავი ჩალუნა და ჩაიჭირქილა.) კერგეზეა, ამოდ იშალეხი გაუთრიე-მეთქი! რატომ არ ასრულებ ჩემს განკარგულებას! (დუმილი.) სად არის კერგეზეა?

კორდინე (წამოადგება შიშნეულად). მუსიე, კერგეზეა ხამი დღეა სკოლაში არ მოსულა...

ტოპაზი (დაიბნა). აჰ, არ მოსულა? მო, ვთქვათ, არ მოსულა... შენ კი, კორდინე, ძალიან ნუ გაუყოფხდები, მეტი თავმდაბლობა გმართებს. დაწერეთ! (სიწყნარეა. ტოპაზი კვლავ მიუჯდა

კანონის და დიწყო გაქვეითის) მოსამზადებლად წევრების მიზნებისა. რომელიც უნდა დაიწეროს (ინვენტარს დაფის წარწერაზე). წვალ. ოთხშაბათს. დღეს ზეპირად ჩავატარებთ. ასე ვთქვათ. რაღაც გენერალური რეპეტიციის მაგვარს. მაგრამ სანამ რეპეტიციას დავიწყებთ. მი-  
ნდა გავესაუბრო ერთ-ერთ თქვენგანს. კერძოდ, იმას, რომელიც ჩამდენიმე დღეა უაღვილოდ  
როავს მუხიკას და გაკვეთილის წესიერად ჩატარებას არ გვანებებს. უკანასკნელად ვთხოვ,  
აღარ განაახლოს დღეს ცელქობა. რომელიც შეწყნარებულად ვაპატრე. დარწმუნებული  
ვარ, გამოგო და ჩემი დადასტოვების მისი წევრები გრძნობების ხფეროში არ დაჩქება ხმად  
შედადებლისა უდაბნოსა შინა. (მოკლე პაუზა, რომლის შემდეგაც იწყებენ კრებულზე უფრო  
სასაცილო მუსიკა ტოპაში მოსხანებით ანთება, მაგრამ თავს იოკებს.) მაშ. ასე. ამერიკიდან  
ხელეგახსნილი გახლავართ. (პაუზა.) ვიმუშაოთ. (მეორე პაუზა.) გაფრთხილებთ. საკითხი, რომ-  
ელიც საბოლოოდ განსაზღვრავს თითოეული თქვენგანის ადგილს კლასში, არ არის ჩამეთი  
შემოფარგლული საკითხი. როგორცაა სამშობლოს საკითხი. მამულისადმი ერთგულება. მშო-  
ბლებისა თუ პარუტუგებისადმი დამოკიდებულების გრძნობა. არა, თამამად შემიძლია განვაყ-  
ხადო, ეს უფრო ფუნდამენტური საკითხია, როცა შეიცნობა საკეთე და ბორტება. ან —  
კეთილშობილება და მანკიერება. რათა ამ საკითხზე პასუხის გასაცემად მოვამზადოთ. ჩავიხე-  
დეთ ცივილიზებული ხალხის წევრებაში და ერთად გავარკვიოთ. რის საფუძველზე ვემორჩი-  
ლებით ამა თუ იმ წევრების კანონს მაშინაც კი, როცა ჩვენი ხელის ბუნება მას პატრებს არა  
ნაყში ეძებს გვარს.) ტრონშ-ბობინი (დგება თბილად შეფუთვნილი ტრონშ-ბობინი.) რა არის  
საჭირო ცხოვრებაში წარმატებისათვის, ესე იგი, შენი დამსახურების საკადრისი ადგილი რომ  
დაიჭირო საზოგადოებაში?

ბრუნში (დაძაბულად ფიქრობს). უნდა გეშინოდეს.

ბრუნში, დიახ. უნდა გეშინოდეს... მაგრამ, რისი?

ბრუნში (მტკიცედ). ირპირი ქარის. (მოკლე კლასი ახარხარდა.)

ბრუნში (მაგიდაზე უკავუნებს. გაჩერდით). ხატონო ტრონშ, თქვენი ნათქვამი. უაზრო  
არაა. რადგან დედის რჩევას იმეორებთ. მაგრამ საკითხის არსს არ ებება. ცხოვრებაში წარ-  
მატებისათვის საჭიროა იყო... საჭიროა იყო... (ტრონშს ოვლა დაასხა. ჩამდენიმე მოწაფე სა-  
პასუხოდ თითს იწვეს, თან იძახის — „მუსიე! მუსიე!“ ტოპაში არავის იძახებს.) მიმასუბონს.  
ვისაც ვეკითხები. ტრონშ, შენი ბოლო ნიშანი ნულია. ეცადე, გამოახწორო... საჭიროა იყო...  
პატ... პატ... (მოკლე კლასი ელის ტრონშის პასუხს. ტოპაში მისკენ გადმოიბარა.)

ბრუნში (დაბნეულად). პატოსხანი ურჩბული (იფეთქა საერთო სიტყვამა, რომელსაც

თან სდევს მუსიკალური კოლოფის ხმა.)

ბრუნში (მარცხით დევნააბნეული). ნული. დაქეი (ჩაიწერა.) პატოსხანი უნდა იყო,  
პატოსხანი აი. მოვიყვანოთ უოველისმომცველი ჩამდენიმე მაგალითი. უპირველეს უოველისა,  
უოველი უხინდისო წარმოება თუ დაწესებულება წინდაწინვე განწირულია დასადუშავად.  
(მუსიკა ტოპაშს ვითომ არ ესმის.) გაზეთები უოველდღე გამცნობენ. ადამიანთა კანონების და-  
მრდევვი დაუხჭელი არ რჩებათ. ზოგჯერ ეს უგუნური საშინელი დანაშაულია, რომელიც  
თავისსავე მსგავს უელს დადრავს იმისათვის, რომ მისი ფული მიიხაკუთროს. მეორე ხელმარჯვე  
კაცია. დიდზე დიდი სიფრთხილით ხაგანგებო იარაღს რომ იმარაგებს და უკანონოდ ტებს ხეიფს.  
რათა შიგ შენახული სხვისი განძი თუ ფული გაიტაცოს. მესამე მოღარაა, რომელიც დოდითაა  
უგუნურად გატაცებული და იქ აგებს თავისი პატრონის ფულს, უველა ამ უბედურს მადე იჭ-  
ერენ და უანდარშთა თანხლებით სასამართლოს წინაშე წარადგენენ. აქედან კი ციხეში გზავნიან.  
რათა იქ ხულიერად ეწამონ და განიწმინდონ. ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ბორტება  
უმაღ ისტება და ვინც პატოსხნების სწორი გზიდან გადაუხვევს, უფსკრულში გადაეშვება.  
(მუსიკა.) ვთქვათ, მოხდა გამონაკლისი და გამდიდრდა უპატოსხნო კაცი. ვთქვათ, ეს კაცი უა-  
ნონოდ მოხვეჭილი ფუფუნებით ცხოვრობს. აცვია დადებულად, ერას უჭირავს ჩამდენიმე  
ხართულია ორი დაქი: ემხატურება, გარდა ამისა, ხვთ მსახურებიც მუავს, ცალკე მწარეული,  
ცალკე ავტომობილის მომვლელი, ცალკე მძღოლი. ასეთ კაცს მუავს მეგობრები? (კორდიემ  
თითი ახწია. (ტოპაშმა ანიშნი ადექიო.)

კორდიემ. დიახ, მუავს მეგობრები.

ბრუნში (ირონიულად). რში! თქვენი აზრით. ასეთ კაცს მეგობრები მუავს?

კორდიემ. დიახ, თანაც ბევრი.

ბრუნში. რატომ უნდა მუავდეს ასეთ კაცს მეგობრები?

კორდიემ. იმიტომ, რომ ბევრს უნდა მისი ავტომობილით ხვირობა.

ბრუნში (გაცხარებით). ხცდები. კორდიე, ასეთი ადამიანები, თუკი იხინი არსებობენ... იქნე-

ბოდნენ მხოლოდ ხაზიწლარი მლიქვნელები. ამგვარ კაცს, რომელზეც სიტყვა ჩამოგივდეთ, არ ჰყავს შეგობრები. ვინც იმ ბოხოლას ადრე იცნობდა, იცის, რომ მისი სიმდიდრე უკანონოდაა შექმნილი. პოდა, ერთდებთან, როგორც შევიჩიანს. მაშინ რას აკეთებს ის ბოხოლა?

**დურან-ვიქტორი.** საცხოვრებელ ადგილს იცვლის.

**ტოპაზი** შესაძლოა, მაგრამ რა დღეში აღმოჩნდება ახალ საცხოვრებელ ადგილას?

**დურან-ვიქტორი.** უველაფერი მოწესრიგდება.

**ტოპაზი.** არა, ბატონო დურან-ვიქტორ, ეს ამბავი არ მოწესრიგდება. **უკანონო** თოს, სადაც უნდა წავიდეს, მუდამ შეაწუხებს თავისი ნა... ნა... (ბასუბის მსუროველ მოწაფეს თვალწით ეძებს).

**მოწაფე პიტარ-ვერნილი** (თითს აიწვეს). თავისი ნაბიჭვარი. (იფეთქა სიცილით.)

**ტოპაზი** (ღიოსივლად). ბატონო პიტარ-ვერნილი, მინდა ვივარაუდო, რომ ეს სულელური პასუხი წინასწარგანზრახვით არ მოგიცია. მაგრამ ვიდრე იტყოდი, დაფიქრება გმართებდა, მაშინ აიცილებდი წულს, რომელიც საკმაოდ ძირს დასწევს შენს საშუალო ნიშანს. გიწერ საბედისწერო ბუღს... იმ უსინდისო კაცს უოველთვის შეაწუხებს თავისი ნამუსი... შეაწუხებს დღისით, შეაწუხებს ღამით, დაეკარგება ფერი, ჩამოხმება, დაბერავდება, პოდა, ბოლოს და ბოლოს, სულიერი სიმშვიდე და ადრინდელი სიხარული რომ დაიბრუნოს, მთელ თავის ქონებას ღარიბებს დაუჩივებს. ჩადგან შეიგნებს, რომ... (ზუღვს უკან მოსწვდება სანვერებულ ჭოხს და გაიშვირს კედელზე დაკიდებული ერთ-ერთი წაწერილისაკენ.)

**მთელი კლასი** (ერთობლად, წამღერებით). „არმად ნაშოვნი არავის შერგებია“.

**ტოპაზი,** ხწორია, და... (ახიშნებს მეორე წარწერაზე.)

**მთელი კლასი** (კვლავ ერთობლად). „ბედნიერება ფულში არ არის“.

**ტოპაზი.** ჩინებუღია, ახლა პატროსანი ადამიანის ბუღილბალიც განვსაჭოთ, სეგედოლ, ერთი ეს მითხარი, როგორია პატროსანი კაცის სულიერი მდგომარეობა, დღეს შრომით რომ გაღვებს?

**სეგედოლი,** დაღლილია.

**ტოპაზი.** მაშასადამე, დაგვიწყებია, რაც ჩვენ კლასში ოცჯერ ვთქვით, შრომა განა დაბლღელია?

**ბერტენი** (წამოდგება, ხელებს გულზე დაიკრებს ჯვარედინად და სხაპასხუპით წამოიძახებს). შრომა დაბლღელი არასოდესია, დაბლღელია მხოლოდ უქნარობა — უველა მანკიერების დედა.

**ტოპაზი.** ჩინებუღია, ბერტენ, გიწერ ათიანს თუ ეს პატროსანი ადამიანი მოლარეა, თუნდაც დიდი ბანკის, იგი ანგარიშს ზედმიწევნით ზუსტად აბარებს და აღფრთოვანებული პატრონი უოველ თვეს უმატებს ჩამაგირს. (მუსიკა გაშმაგდა, ტოპაზი წამოდგა.) თუ ეს ვაჭარია, უარს იტყვის ფასების გადიდებაზე, უკანონო შემოსავალზე და ამით დაიმსახურებს ირგვლივ მყოფი ხალხის პატივისცემას, ნდობას, ეს კი მის საქმეს ააუვაავებს. (ნელ-ნელა უახლოვდება სეგედოლს.) თუ ომი ატყდება, იგი ქარში მოხალისედ გაეშურება, რათა სამშობლოს მოემსახუროს, და თუ ბედის წყალობით სერიოზულად დაიჭრება, ბელისუფლება ორდენით დააჩილდოებს, ამით კი ხაყოველთაო აღტაცებას გამოიწვევს. ბავშვები მოწინებით მიესალმებიან, მოხუცები მის დანახვაზე ხიუვარულით აჩურჩულდებიან... (სწახდად შემობრუნდა და სეგედოლს ეცა). გაეთრიე ახლავე!

**სეგედოლი** (შეშინებულად). ეს მე არ ჩამიდენია... მე არ ჩამიდენია... მე არ ჩამიდენია...

**ტოპაზი** (გამარჯვებულის იერით). აჰ, შენ არ ჩაგიდენია!.. გამობრძანდი მერხიდან! გამობრძანდი! (გამოსთოვებს ბიჭს, ხელს მერხის უჯრადში შეიკრებს და გამოიღებს მუსიკალურ კოლოფს.) აჰ, აჰ, აჰ შენი საყრავი (დაქოქავს.) ვაუბატონი სეგედოლი, უველაფერი გარკვეულია... ჩემი ღმობიერება და შემწყნარებლობა ხისუსტად მიგაჩნია? (დღმილი). ხოლო ჩემი მოთმენა — სიბრძავედ? მა, მა, ვაუბატონო სეგედოლი, განა არ იცი, ხავერდის თათმანში რკინის ბელი რომ იშალება? (სიკლოვს.) სად მიხვალ?

**სეგედოლი,** გარეთ.

**ტოპაზი** (წამიერად მიაჩერდება). არა, არა, აქ დარჩები... (წიგნების კარადსთან, კუთხეში დასვენებს.) დადქი ამბანაგების პირისპირ, დაე, მათ განსაჭონ შენი საქციელი მკაცრად. (იფეთქა საყრათ სიცილით. ტოპაზი აკაკუნებს მაგიდაზე, სიჩუმე ჩამოვარდება.) შენს ბედს გაკვეთილის შემდეგ გადავწყვეტ, მანამდე ჩემთვის აღარ არსებობ, (პაუზა.) ამ სამწუხარო ამბის შემდეგ დაუბრუნდეთ გაკვეთილს... მაშასადამე, ჩვენ ვთქვიო...  
გაღლო კალი მოწაფეები წამოდგნენ და ხელები გულზე ჯვარედინად დაიდეს. მიუშთან

ერთად შევადგინო ბარონესა სიტარ-ვერნიოლი, რომელიც დაბნული წლის უღვამე ქალი, ტოპაზი წამოდგა და მოიფხვს თავდაკეთით მიესალმა.

მეცხვება სცენა

ტოპაზი, მიუში, ბარონესა და მოწაფეები



ქართული

საქართველოს

მიუში. მუხიე ტოპაზ, ბარონესა პიტარ-ვერნიოლს თქვენთან დაგვიმხმარებენ...  
ტოპაზი. ბატონო დირექტორო, გემორჩილებით, თუმცა გაკვეთილი ჯერ არ დამთავრებულია... რაღონდ, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, მოწაფეთა ინტერესებიც გაგვეთვალისწინებინა და...

მიუში. გადაუდებელი საქმე გვაქვს. (მიუბრუნდება კვლავ ფეხზე მდგარ მოწაფეებს.) ბავშვებო, წადით, ითამაშეთ. (ტოპაზს.) ზედამხედველი გაფრთხილებული მყავს, უურადღებას მიაქცევს. (მოწაფეები გადიან: მოწაფე პიტარ-ვერნიოლი ჩამოოჩება, ბარონესასთან მიუვა და ეკოცება მიუში ილიმება.) რა მშვენიერი ბავშვია...

ბარონესა (ტოპაზს). ზემო ვაჟის, აფრონიის ამბის გასაგებად გეაბრელო.

ტოპაზი. ურჩიად მობარული ვარ, გესაუბროთ, ქალბატონო, მაგრამ, ვამჯობინებდი, ჩვენს საუბარს ბავშვი არ დასწრებოდა.

მიუში (ბარონესას). მოსაწონი პრინციპია... (ბიჭს.) დაეწიე ამხანაგებს. (ბარონესა ბავშვს ეკოცება და გაუშვებს.) კარგი ბავშვია, ჩინებულად აღზრდილი, ნამდვილი უფლისწულია.

ბარონესა (ტოპაზს). ძალიან უკვარხართ, ბატონო, მაშამისს ხშირად ეუბნება, თუ რა დიდად გყვით ქატოვს.

ტოპაზი. უზომოდ გამაბედნიერეთ, მუდამ ვესწრათ, ყველა მოწაფის პატივისცემა დავიმსახურო...

მიუში უკვე დაიშხაბურეთ, ძვირფასო ტოპაზ... არა მარტო პატივისცემა, სიყვარულიც. (ტოპაზი გაიფხვრა, თან ილიმება.)

ბარონესა. ბავშვი ისე გაფასებთ, მთხოვა, კერძო გაკვეთილებიც ჩამიტაროსო.

მიუში (ტოპაზს). ეს ამბავი დიდ ღირსებას შემატებს თქვენს სახელს.

ტოპაზი. ფრჩხილად გამაბარეთ.

ბარონესა. ბავშვს ეს ისევე მოესურვა, როგორც ახალი სათამაშო ან ტკბილეული მოუნდება ხოლმე, შესანიშნავია, ხომ მართალია? ჰოდა, ამცადინეთ, რამდენიც გნებავთ და რა ფასადაც გსურთ.

მიუში (სიამოვნებით ჩააბელებს). დიდებულზე დიდებულია.

ბარონესა. ვინაიდან ბედმა ამგვარი ღირსეული მასწავლებელი გარგუნათ, უმჯობესია, ბავშვი მთლიანად მას მიანდეთ.

ტოპაზი. მეუბნებულედა...

ბარონესა. ერთი სიტყვით, შევთანხმდით, ხვალ ხალამოსვე შემომივლით და მაცნობებთ პირობებს, რამდენ გაკვეთილს ჩაატარებთ და რა ფასად.

ტოპაზი. გასაგებია, ქალბატონო, თუმცა ახლაც ვეზიძლია მოგახხენოთ, როდის მცალია... (წიგნაკს გადაფურცლავს.)

ბარონესა. ხვალვე დავიწყოთ, ხვალვე, ახლა კი გაგიმბელოთ, რაც მაწუხებს.

მიუში. ყველაფერს ადვილად მოგიგვარებთ... ჩვენ...

ტოპაზი. მრძანეთ, ქალბატონო.

ბარონესა (ჩანთიდან ფურცელს ამოიღებს). შვილის მეოთხედის ნიშნები მივიღე და, გულწრფელად გითხრათ, მაშამისისათვის ჩვენება ვერ გავბედე.

მიუში. ბარონესას მე უკვე ავუხსენი: ეტუობა, მდივანს გადაწერისას რაღაც შეეშალა მეთქი.

ტოპაზი. არა მგონია, ბატონო დირექტორო, მე მდივანი არ მყავს, ფურცლებს თვითონ ვავსებ. (ფურცლებს გამოართმევს და ჩაათვალიერებს.)

მიუში (ზოგ სიტყვას ხაზგასმით ამბობს) ბარონესას, რომელიც შვილის კერძოდ მეცადინეობას გათავაზობთ, ჩვენთან ხამი შვილი მყავს მობარებული, ასე რომ, მისგან ბევრი პატივისცემა გვახსოვს, ამიტომ ნუ გავიკვირვებთ, თუ აქ შეცდომას აღმოვაჩინებთ.

ტოპაზი (ფურცელს კვლავ ჩაათვალიერებს). ურველივეს მიუხედავად, ეს ის ნიშნებია, მე თვითონ რომ დავუწერა-



ბარონესა კი მაგრამ, ეს როგორ (კითხულობს) ფრანგული — ნული, არითმეტიკა — ნული, ისტორია — ერთიანი, ზნეობა — ნული...

მეუღე, საკმარისია! მუსიე ტოპაზ, კარგად შეამოწმეთ... შეამოწმეთ თქვენთვის ჩვეუ-  
ლი გამჭრიახობით.

ტოპაზი, რაც აშკარაა, შემოწმება აღარ სჭირდება... სულ ნულზეა ჩამომწკრივებული...  
ჩემს ეურნალშიც გიჩვენებთ... (გადამლოს ეურნალს.)

მეუღე (ეურნალს გამოაოთქვებს და ჩაუხედავად დაბურავს). მომიხსენებთ, შეგობარო,  
განა გამორიცხულია, შეცდომა რომ მოგსვლოდათ? (თვალეში ჩააშტერდება.) პატივი დაგვ-  
დეთ და ხავშენ ნიშნები წესიერად დაუზუსტეთ!

ტოპაზი, საამოცნებო... ამ წუთას... (კათედრას მიუჯდება, რამდენიმე რვეულს გადამ-  
ლის და ატყობობს. ამასობაში კათედრას ერთი მხრიდან მიუში ამოუდგება, მეორე მხრიდან  
— ბარონესა, ზნეობა საუბრობენ, თან ტოპაზს უთვალთვალევენ).

მეუღე, ბარონესა, უახლოეს დღეებში აღბათ აკადემიის ინსპექტორს ინახულებთ.

ბარონესა, ოთხშაბათობით ჩემთან სადილობს... ბარონის ძველი შეგობარია, ჩვენი ოჯა-  
ხის ძალიან ახლობელი ადამიანი.

მეუღე, ბატონ ტოპაზსაც აფანებს, მართალია, წელს ვერ მოუხერხა ხარისხის მონიჭება,  
სამაგიეროდ შორაღურად იგი მიაკუთვნა.

ბარონესა, მუსიე ტოპაზი იმ ქილდოს პირველ შემთხვევისთანავე მიიღებს, გაძლევთ პი-  
რობას.

მეუღე, გაიგონე, შეგობარო? რას იტყვი, ვა? აი, ბარონესა გაირდება: ქილდოს გაისად  
უქველად მივალბინებო.

ტოპაზი (თავს ასწევს). უხაზვროდ გავიხარებდი, ქალბატონო, ამ ამბავს ჩემთვის იმაზე  
შეტი მნაშვნელობა ენიჭება, თქვენ რომ გგონიათ.

მეუღე, იპყვეთ შეცდომა!

ტოპაზი, ვერა... აქ შეცდომა არ არის.

მეუღე (ნოუთმენლად), გამოიჩინეთ თანმიმდევრობა! როდესაც ბარონესა ხარისხის მიღე-  
ბას ვპირდებათ, დიახაც გჯერათ, ხოლო როცა გიმტკიცებთ, ნიშნებში შეცდომააო, არ გჯერათ?

ტოპაზი, რა ვქნა, ქალბატონო, გეფიცებით უველაფერს, აქ შეცდომა უოვლად შეუძლე-  
ბელია. უმაღლესი ნიშანი ორი უწერია, გუშინაც არითმეტიკის წერაში ნული დაიშხახურა.

პიტარ-ვერნიოლი ჩემი კლასის მაჩანჩალა მოწაფეა.

ბარონესა (კილოს შეიკვლის). ჩემი შვილი — მაჩანჩალა, მაჩანჩალა... რატომ, რატომ?

მეუღე (ტოპაზს). კო, რატომ არის მაჩანჩალა?

ტოპაზი, იმიტომ, რომ, ნულს იშხახურებს.

მეუღე (ბარონესას), ნულს იშხახურებს.

ბარონესა, შერედა, რატომ იშხახურებს ნულს?

ტოპაზი, ამოცანას ვერაფერი გაუგო და ჩაფლავდა.

მეუღე (ბარონესას ღიმილით), ამოცანას ვერაფერი გაუგო.

ბარონესა, შერედა, რატომ ვერ გაუგო? რაკი მაიძულებო, გეტყვიო, მუსიე ტოპაზ,  
(უვიროს.) ჩემი შვილი მიტომ გახდა მაჩანჩალა რომ ამოცანა არაკეთილსინდისიერად იყო შე-  
დგენილი.

მეუღე, არაკეთილსინდისიერად! კ, კო, კო! ეს უკვე უაღრესად ხერიოზული ბრალდებაა...  
(ტოპაზი განცვიფრებამ დააბუნჯა.)

ბარონესა, ეს ამოცანა კი არა, რაღაც ახდაუბდაა, ორი მუშა სწორკუთხა აუზს თბრის...  
ვე, შე ვჩუმიდები, აქ სათქმელი აღარაფერია.

მეუღე (ტოპაზს მკაცრად), ბარონესას სათქმელი აღარაფერი აქვს!

ტოპაზი, ქალბატონო, ახეთ ბრალდებას ზუსტი განმარტება სჭირდება.

მეუღე, დამშვიდდი, ჩემო ძვირფასო.

ბარონესა (ტოპაზს), თქვენ გყავთ მოწაფე, გვარად უიგონი, იქნებ ესეც უარყოთ?

მეუღე (ტოპაზს) უიგონი!

ტოპაზი, დიახ, მყავს ასეთი მოწაფე.

მეუღე (ბარონესას), მყავს მოწაფე უიგონი.

ბარონესა, ვინ არის მამამისი?

ტოპაზი, ამ ვიცო, რაც არ ვიცო, არ ვიცო.


ბარონესა (ისე შეიშარტება, თითქოს მტერს ლაბვირი სასიყვდილოდ უნდა ჩასცესო, მი-  
უბრუნდა მიუშს), უიგონის მამა მიწის სამუშაოთა მწარმოებელია, შემოხსენებულ უიგონის

ხადში ოთხკუთხა აუზია. დიახ! პოდა, იმ ეიგონის ვაგი თუ პირველი მოწაფეა, აქ არავის არ უნდა გაუკვირდეს.

მინუში (მკაცრად). ეიგონის ვაგი აქ პირველი მოწაფე უოფილა... (ბარონესას მიუბრუნდება დიმილით.) ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..

ტოპაზი (განკვიფრებული). კი მაგრამ, აქ ამოცანა რა შუაშია?!

ბარონესა (ავტორიტეტულად). თქვენ განგებ შეარჩიეთ ეიგონისათვის, ადვილად გამოხეყვანი ამოცანა. ჩემი ვაგი ამას მაშინვე მიხვდა. პოდა, ბავშვს იხსენებენ, რომ უნდა გულს, როგორც უსამართლობა და სიცრუე.



ტოპაზი. კალბატონო, თქვენ გარდა ჩერ ეკვი არავის შეუტანია ჩემს პატიოსნებაში. რომელიც მთლიანად... დიახ, რომელიც მთლიანად...

მინუში (ტოპაზს). დამშვიდდით, გეტყუვა. რასაკვირველია, სამწუხაროცაა და საჩოთიროც, რომ მათემატიკაში პირველ ადგილას მოხვდა სწორედ ის, ვინც ამოცანა ადვილად ამოხსნა მხოლოდ მამის პროფესიისა და... გულს წყალობით. (მკაცრად). ვიმედოვნებ, ეს აღარ გამოვრდება! თავად მივაქცევ უურადლებას... ამავე დროს, კალბატონო (გულზე მიიჭერს ხელს.), შემოსულია თავდებად დაფუდგე ჩემი თანამშრომლის პატიოსნებას და სიკეთეს.

ბარონესა. დაგიჩერებდით, მაგრამ უოვლად წარმოუდგენელია, რომ ჩემი შვილი მაჩანჩალაა.

მინუში (ტოპაზს). დიახ, უოვლად დაუშვებელია მისი შვილის მაჩანჩალობა.

ტოპაზი. არის მაჩანჩალა, კალბატონო, და რა ვქნა? ფაქტი ქიუტია.

ბარონესა. გაუგებარი ფაქტია.

მინუში (ტოპაზს). დიახ, ფაქტია, მაგრამ სავსებით გაუგებარი.

ტოპაზი. ოდნავადაც არ არის გაუგებარი. აკიხსნით.

ბარონესა. ამ, ახსნა-განმარტებაც გნებავთ? გიხმენთ!

ტოპაზი. ბავშვი ანლა გარდატეხის ასაკშია...

ბარონესა. ტეშმარტად.

ტოპაზი. მისი ფიზიკური მდგომარეობაც ორმაგად კონტრასტულია. (მიუში ჩაახველებს.) პირველი, ბევრს ლაპარაკობს, ჩიბებში ფულს აჩნრიალებს, გონშიუცემლად იცინის და მურალ ბურთულებს იხვრის. მე ამას აქტიურ პერიოდს ვარქმევ. მეორენაირი მდგომარეობაც საკმაოდ გარკვეულია. ეს მოდუნების მდგომარეობაა. იმ წუთებში ბავშვი თვალეებში მიცქერის და თითქოს დიდი უურადლებითაც მისმენს, ნამდვილად კი — ფართოდთვალეებგახელილს სძინავს.

ბარონესა. სძინავს?!

მინუში. უცნაურია. ამბობთ, თვალეებგახელილს სძინავსო?!

ტოპაზი. უცებ თუ ვკითხვ რაიმე, შერხიდან ვარდება.

ბარონესა. ბატონო, ბოდავთ, თუ?!

ტოპაზი. კალბატონო, ბავშვის სასიკეთოდ ლაპარაკი ბოდავ არ არის. მაგრამ, ჩემი გულახდილობა ბიჭს მხოლოდ სიკეთედ წაადგება, რადგან დედის თვალი უველაფერს როდი ამჩნევს.

მინუში. ძვირფასო ტოპაზ, უმჯობესი იქნებოდა, შეცდომა გეღიარებინათ!

ბარონესა (მიუშს). აცალეთ! მგონი, რაღაც ხაინტერესოს გვაუწყებს. რას ვერ ამჩნევს დედის თვალი?

ტოპაზი (მკაცრად). თან მტკიცედ). შვილს მეტად დააკვირდით, კალბატონო, დიდურა მიწისფერი ადევს, ტუჩები ჩალურჭებია, ხშირად დაბნეულად იყურება.

ბარონესა (აღშფოთებით). ოჰო! (მიუში „ოჰოს“ იმეორებს ექოსავით.)

ტოპაზი (საინტუიციოდ). არ ვამბობ, თითქოს ეს მძიმე დაავადებაა და ბავშვის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს. ბავშვს ან ქსოვილები ეზრდება პათოლოგიურად, ან კიბეები ზვავს, ან გემკვიდრეობით ავი ხენი აწუხებს, ეგებ სამივე რამ ერთდროულადაც სცნარს. საჭიროა სერიოზული სამედიცინო გამოკვლევა. (ბარონესამ ჩინთიდან ლორწეტი ამოიღო, თვალთან მიიტანა და ტოპაზს მიაშტერდა.)

ბარონესა (მიუშს). ვინ არის ეს თავხედი?

მინუში (მკაცრად აყვირდება). მუხიე ტოპაზ? (მერე დამცირებული და სასოწარკვეთილი ბარონესას მიუბრუნდა.) ბარონესა!

ტოპაზი. კალბატონო, უნდა გითხრათ, რომ...

ბარონესა. ვიღაც უბადრუკი მახწავლებელი პიტარ-ვერნიოლებს განსჯახაც ბედავს.

მინუში. მუხიე ტოპაზ, გასაოცრად იქცევით... პიტარ-ვერნიოლებს ამას როგორ უბედავთ?!

ბარონესა. მერედა, ვინ მიბედავს! კერძო გაკვეთილების მძებნელი, ვიღაც მათხოვარი.

ტოპაზი. მე მხოლოდ გულახდილად მოგახსენებ...

ბარონესა. ასეთი კაცი აკადემიურ წარჩინებაზე ზედმეტ ფიქრს.  
 ტოპაზი. ქალბატონო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მორალურად მე ის უკვე მივიღე.  
 მიუში (დამცინავად). მორალურად! მაგ ხულეულურ ლაყბობას, გირჩევნიათ, ბოდიში მო-  
 ახადოთ ბარონესა...  
 ბარონესა. ბატონო მიუში, თუ ეს პროფესიული ცილისმწამებელი თქვენს სასწავლებელ-  
 ში დარჩება, დაუყოვნებლივ გავიყვან ჩემს სამივე შვილს. რაც შეეხება ამ ყაღბს შეჯღაბნს...  
 (ქალბატონს დახვეწს, ტოპაზს პირისახეში მიაყრის და გადის.)  
 მიუში (შეშლილივით გაეკიდება). ბარონესა... ბარონესა...  
 გაბეგებული ტოპაზი მარტო რჩება. მიუში მალე ბრუნდება მრისხანებით სახეშეშლილი.



მეთოთხმეტე სცენა

მიუში და ტოპაზი

მიუში. ასეთი უტიფრობა გაგონილა?! სანამ ბარონესა ეზოდან არ გასულა, დაეწიეთ და  
 დაჩოქილმა მოუხადეთ ბოდიში!  
 ტოპაზი. მისი განაწუნება ხულაც არ მინდოდა.  
 მიუში. ჩკარა დაეწიეთ და პატიება სთხოვეთ, თორემ თქვენი კარიერა აქვე დამთავრდება!  
 ტოპაზი. გავრბივარ, ბატონო დირექტორო, გავრბივარ.  
 მარტოდ დარჩენილი მიუში აცახცახებული მიდი-მოდის, მარცხნიდან შემოდის გალიმებუ-  
 ლი ტაშიზი.

მეთხუთმეტე სცენა

მიუში და ტაშიზი

ტაშიზი. მოგესალმებით, ბატონო დირექტორო!  
 მიუში. გაგიმარტოთ!  
 ტაშიზი. თქვენი რჩევა-დარიგება მჭირდება.  
 მიუში. კაბინეტში შემოშაირეთ თორმეტზე.  
 ტაშიზი. ბოდიში შეწუხებისთვის, ბატონო დირექტორო, მაგრამ ამაზე ბელსაყრელ დროს  
 ვერახოდებ გამოვნახავთ.  
 მიუში. (ფანჯარაში იყურება). გისმენთ.  
 ტაშიზი. (არცთუ უთვალთმაქცოდ). თქვენ ამ დაწებებულების განა მარტო პატრონი, მისი  
 ჯნობრივი სახის განსამიერებაც ბრძანდებით.  
 მიუში (დაბნეული). რა თქმა უნდა.  
 ტაშიზი. ამიტომაც მაინტერესებს თქვენი აზრი ერთ საკითხზე, ხკოდან ხუღ რომ არ ეხება.  
 (პაუზა. მიუში გულგრილად უსმენს.) ერთი ახალგაზრდა მეგობარი მყავს, თვალტანადი, ჩან-  
 მრთელი, ვფიქრობ, კარგი მომავალიც ელის.  
 მიუში. მერე?  
 ტაშიზი. ამ ახალგაზრდას უყვარს ქალიშვილი, ქალიშვილიც მგონი, გარკვეულწილად თა-  
 ნაუგრძნობს მომხიბლავი კაცის სიყვარულს.  
 მიუში. მერე რაო?  
 ტაშიზი. ბუნებრივია, ამგვარი რამ ქორწინებით უნდა დაგვირგვინდეს, მაგრამ მათი ქო-  
 ნებრივი და წოდებრივი მდგომარეობა გარკვეულწილად სხვადასხვაა. ჩემი მეგობარი — ლე-  
 იტენანტია, ქალიშვილის მამა — გენერალი, მოდა, გეკითხებით, მეგობარი ამის თაობაზე გე-  
 ნერალს მოხალაპარაკებლად რომ ეწვიოს, თქვენი ვარაუდით, რას უპასუხებს?  
 მიუში. ის თქვენი მეგობარი წესიერი კაცია?  
 ტაშიზი. ნამდვილად. შემოძლია ვუთავაზებო.  
 მიუში. გენერალი გულკეთილია?  
 ტაშიზი. მო, დიას! ნამდვილი გენერლის ხული უდგას.  
 მიუში. მამის სასიძო თამაშად მივიდეს გენერალთან, სასამართლო გადაეხვევა და დალოცავს.  
 ტაშიზი (გაიბადრა). ეს გენერალი თქვენ ბრძანდებით.  
 მიუში (გაოცებით). მე — გენერალი?  
 ტაშიზი. ლეიტენანტია ტოპაზი, ხოლო ქალიშვილი — მშვენიერი ერნესტინა მიუში.  
 მიუში. პროგორ? ტოპაზს! ჩემი სიძეობა სწადაია?  
 ტაშიზი. დიას.

მითუმი და ერნესტინაც თანატოლებს?

ტამიზი, გარკვეულწილად, მაგრამ თავდაპირველად, როგორც წესიერი ოჯახის ქალიშვილს  
იკადრება...

მითუმი, დამიმტკიცეთ!

ტამიზი, თავისი მოწაფეების რვეულებს გასასწორებლად ტოპაზს ანდოებს შესვენებისას  
ერთმანეთს ხშირად ხვდებიან, ერთი ხიტუვით, იდილია ხუფევს.

მითუმი, კეთილი, დავფიქრებო.

ტამიზი, ტოპაზს რა გადავცე?

მითუმი, არაფერი, თავად მოველაპარაკებო.

ტამიზი, შესიამოვნებოდა, თუ პირადად ვაცნობებდი...

მითუმი (შეკეთრად მიხალისს), მეც ხკითხავთ ერთ რამეს, ელექტრო დენი უფასო ხომ არ

გგონიათ?

ტამიზი (დაიბნა), რა გავგებით?..

მითუმი, გუშინ საკლასო ოთახში ოთხი ნათურა ჩაუმქრალი დაგრჩენიათ, ამ დილით, რვა  
საათზე მე თვითონ გამოვრთე, ქამაგირიდან დაგვიკავეთ თხუთმეტ ფრანკს, ათი ფრანკითაც და-  
გაგარიშებთ.

ტამიზი, მე გგონია, რომ...

მითუმი, გირჩევნიათ, მოწაფეებს მიაქციოთ მეტი უურადლება! თორემ რას ჰგავსი თქვენი  
კლასის ერთ მერბზე ვნახე დანით ამოჭრილი უშველებელი წარწერა „მითუმი უდრის გაი-  
ძვერას“.

ტამიზი, ვის მერბზე?

მითუმი, წაბრანდით, თვითონვე შეამოწმეთ და დამნაშავე აღმოაჩინეთ, თორემ იმ მერბს  
თქვენს ხარჯზე შევაცვლევინებ, და კიდევ ერთიც: რაკი რჩევა მიზოვეთ, აი, რას მოგახსენ-  
ებთ: მოხალისე მაჰანკლობას გიჭობთ, თქვენს საქმეს მიხედვით, აქ კომედიურ ლაქიას ნუ თა-  
მაშობთ, ნახვამდის... (უალრესად განცვიფრებული ტამიზი უკან-უკან იხევს კარისკენ, რაღაცის  
თქმას აპირებს, მაგრამ მითუმი აწყვეტინებს). ნახვამდის-მეთქი- თქვენთან ხალაპარაკოდ მეტი  
აღარ მცალია! (ტამიზი დაღაბერულივით გადის.)

მეთვავსმამ სცენა

მითუმი და ერნესტინა

მითუმი (ერნესტინას საკლასო ოთახის კარს გამოადებს), ერნესტინა, მოდი აქ! (შემოდის ერ-  
ნესტინა.) რვეულებს მართლა ტოპაზს ასწორებინებ?

ერნესტინა, დიახ.

მითუმი, რატომ?

ერნესტინა, შეგავრება რვეულების გასწორება, მოსამზადებელი კლასის, უველა კრეტინე  
მძულს, სხვები ერთობიან, ჩემი ტოლი გოგონები მხოლოდ ჩაცმა-დახურვაზე ფიქრობენ, მზიარუ-  
ლობენ, მე კი აქ ვარ ჩაკეტილი, ოცდაათ ცხვირმოუზოცელ იდიოტთან, ეს არის ცხოვრება?

მითუმი, დიახ, ეს არის მანწავლებლის ცხოვრება.

ერნესტინა, რაკი მე ამას ვითმენ, ნულარ ვიდავებთ, განა ვაშავებ რამეს, ევეუჩი რომ გა-  
მოვიპირე და ჩემს სამუღველ საქმეს ვაკეუბინებ?

მითუმი, შენ მაგივრად სხვას რომ ამუშავებ, ამას ხულაც არ გასაყვედურობ, თვითონ ეს  
პრინციპი დასაძრახად არ მიმარჩნია, ის იდიოტი რატომ მუშაობს შენ მაგივრად?

ერნესტინა, გავაბრიყვე და იმიტომ.

მითუმი, უუურეთ ამას... და შენ ამისთვის არაფერს იმეტებ? (ერნესტინამ საოცრად გაი-  
კვირვა.) მაშინ რატომღა წარმოიდგინა, რომ ესეუვარულები შენი ხელი რატომღა მთხოვა?

ერნესტინა, ხელის თხოვას რა ჰკუა აქვს.

მითუმი, ამდენს ვერ გაბედავდა, ხაბაბი რომ არ მიგეცა... რაღაცას მიმალავ, გამიმხილე,  
რა მოხდა თქვენს შორის?

ერნესტინა, არაფერი, თვალმიხნედილმა რამდენჯერმე შემომხნედა.

მითუმი, ხულ ეგ იუო?

ერნესტინა, ერთხელაც კოცნა დამიპირა.

მითუმი, აქ?

ერნესტინა, დიახ.

მითუმი (თავში ხელს შემოიკრავს), ოი, უბედურო! აქვე, კლასში?.. აღბათ, უველა ზაყუნე!

დაინახა და შინ უამბო თავისიანებს! ვინდა ისედაც შეთხლებული მოწაფეები გამოიანტო? პანსიონს სახელი გაუტეხო?..

პრნესტინა. შენი პანსიონის სახელის გატეხას მე ნუ მანბრალე. რა ხანია ამოუტეხენმა მწარეულმა ქალმა იზრუნა, როცა შენ და ის...

მიუში (მწყრალად). მამის ოჯახს ციფს ნუ სწამებ გამოტყდო: თქვენ შორის სხვა არაფერი მომხდარა?

პრნესტინა. რა უნდა მომხდარიყო? ვინ გგონივარ?

მიუში. ამიერიდან მე მოვივლი შენი (ხელებს წელზე შემოიწყობს და ბაგეებმოკლებული გაივლ-გამოივლის წარბშეკრული კუშტიად იცურება.)

კარწი გამოჩნდა ტოპაზი. სათვალე დაუქარგავს და თითქმის ხელისცეცებით მოდის. ასე მიეშაოთება კათედრისაკენ.



მეჩვიდმეტე სცენა

იგივენი და ტოპაზი.

ტოპაზი. ბატონო დირექტორო, ხანამ შეცდომას არ ვიპოვი, ბარონესას ჩემი ხმის გაგონებაც აღარ უნდა. მოდა. პატიება როგორღა შეთხოვ (ძლივძლივობით.) რა ვქნა, არ არის შეცდომა და რომ ვერ გამოვიგონებ!

მიუში (მკაცრად). გაჩუმდით, გაჩუმდით! მატუარამ შეიძლება ათასჯერ აუხვიოს ხალხს თვალი, მაგრამ ბოლოს მის კრუპენტელობას მაინც ჩამოეხსნება ნიღაბი. თქვენ შემირცხვინეთ ეს პატიოსანი სახელი!

ტოპაზი. ბატონო დირექტორო....

მიუში. უარულად ატარებო უფასო გაკვეთილებს, რათა მანწავლებლობას საერთოდ ფასი დაუქარგოთ.

ტოპაზი. ბატონო...

მიუში. მოწაფის მოყვანას მპირდებით, მერე კი ირკვევა, მშობლებს ბავშვის მობარება არც უფიქრიათ. ვერ პოულობთ შეცდომას, როცა ამას მოწაფის დედა იხუფლობს. ამოცანების შედეგისას თაღლირობით...

ტოპაზი. ბატონო დირექტორო, განა...

მიუში. კონტოი უგუნურებისა და უპატიოსნების ჯარდა სამარცხვინო ავბორცობისაკენ მიდრეკილებასაც ამეღაფნებო...

ტოპაზი. მე? მე? (შეხედავს ერნესტინას.)

მიუში. დიახ, დიახ! განა აქ, ამავე კლასში, შეშინებული ბავშვების თვალწინ არ მოინდომეთ ჩემი ქალიშვილის გაუპატიურება?

ტოპაზი. მე? მე?

მიუში. პანსიონის სახელის გატეხვას ვერიდები. თორემ პოლიციასაც გამოვუძახებდი... ახლავე შიბრძანდით საღაროში! ამა დღის თერთმეტის ნახევრიდან ჩვენი თანამშრომელი აღარა ხართ. წავიდეთ, ერნესტინა! (მიღიან.)

ტოპაზი. ბატონო დირექტორო!.. ბატონო მიუში.. (იმედგაწყვეტილი ჩაიწინებს ხელს.) გამაგდეს... რაღა მეშვედება!.. ეს რა მეზი დაშეცა!.. (ჩაფიქრდება: წამით თითქოს მიუშის გამოდევნებას აპირებსო, მაგრამ თავს იკავებს. გაოგნებული წამოდგება, სეროუკოა დიღებს შეინწევს, გამოაღებს კათედრის უჯრებს და უბმოდ ამოაღაგებს თავის ნივთებს. ხელში მოხვდება ერნესტინას ჩაბარებული რვეულები და ისტერდება.) გაუგებრობით აღსავსე დღეა! (სამგულაურებს პოლიტფელში ჩაჩურთავს, მერე ჩააღაღებს რვეულებს, ფანჯრებს, კალმისტრებს, კარადიდან ცოცვის ფიტულას გამოიღებს და წასვლას დააპირებს, ანაზღად შეჩერდება, ცოცვს კათედრაზე დასვაშს, დაფაზე ძველ წარწერას წაშლის და მსხვილად წააწერს: „წერა ხელობის თემაზე გადადებულია“, თავს ნაღვლიანად ჩაჰკიდებს და წალასლასდება.)

უ • რ • დ •

მომკა მოყვადევა

სუნი კურტუას პუდუარი. თვალისმოკრეულად ბრწყინავს მტკიცედ დაცული თანამედროვე მყვირალა სტილი.

კონველნი სცენა

სუზი და კასტელ-ბენეკი

სუზი. რევი, დამცინი?

ბენეპი. რატომ, ზემო მტრედო? წიდად ასი ათასი ფრანკი გრჩება.

სუზი. ას ორმოცდაათს თუ არ დამოტოვებთ, გეფიცებით, ამ სახლში ფრანკს ვეღარ შე-  
მოადგამო.

ბენეპი. მომისმინე, ფისო, ას ორმოცდაათი ერთობ ძვირფასი ხაჩუქარბ...  
სუზი. ხაჩუქარი? მე მხოლოდ კუთვნილს მოვითხოვ, ამას ეძახი ხაჩუქარს?

ბენეპი. მართალია, ხშირად საქმიანად მირჩევ, მაგრამ მეც ვუოჩალობ. ქალაქის მერმა ქუჩის ხაჩუქანდ მანქანებს ამიტომ დაუჭირა მხარი, ახსოვდა, მეც რომ მივეცი ხმა მის მიწის-ქვეშა საპირფარეშოებს, რომლებიც მერს უზომოდ გაამდიდრებენ.

სუზი. ზემოთს საუბრისას საპირფარეშოებს ნუ ახსენებთ-მეტეჟი, გული მერევა. (პაუზა.) უბრალოდ გამომოტყდიოთ ზემო კუთვნილის მითვისება რომ გინდათ ოინბაწურად, როდემდე ვითმინო თქვენი უსინდისობა? (პაუზა.) თხუთმეტისათვის ას ორმოცდაათი ათასი მჭირდება.

ბენეპი. ნუ ამიხივდითი ხელზე არც ერთი თავისუფალი გროში არ მამბადია.

სუზი. არ მჭერა, ქუჩის ხაჩუქანდ მანქანებით თითქმის მილიონს მოიგებთ.

ბენეპი. მართალია, საერთო შემოსავლით მილიონს მოვიგებთ, მაგრამ ხარჯიც ბევრი გვე-ქნება. ჩვეულებრივი ქრთამების გარდა ოთხმოცამდე ათასი შეეწოვეთა ფედერაციის თავმ-დომარეს უნდა ჩავუჭიბოთ.

სუზი. რისთვის? შეეწოვები ისედაც კმაყოფილნი დარჩებიან, ქუჩის საგველ მანქანებს რომ ეღიბებთან.

ბენეპი. ვისაც ბედო გაუღამებს და მანქანაზე დასვაშენ, დიანაც გაიხარებს, მაგრამ ვი-საც გააგდებენ?

სუზი. რატომ გააგდებენ?

ბენეპი. მანქანების შესუიდვას ორახი შეეწოვის დათხოვნა მოჰყვება. სწორედ ამ ეკონო-მიკური სარგებლობის გათვალისწინებით მოვახერხე მუნიციპალურ საბჭოში ენჭისყრა. ფე-დერაცია აყვირდება, თუ თავმდომარეს ქრთამი არ მივეციოთ, ამის გარდა, არსებობს არესა... და ზემო ცოლიც...

სუზი. ცოლი რაღა შუაშია?

ბენეპი. უნდა ვაჩუქო ძვირფასი ბეწვი ან მანქანა.

სუზი. არ მეგონა, ძვირფასო, თუ ასე დაუკვირვებელი იყავი, შენი თაღლითობის ამბებს ცოლსაც უყვები?

ბენეპი. არაფერსაც არ ვუყვები. საბჭოს დადგენილებებს კითხულობს თვითონ. ჰოდა, როცა ნახავს, ენჭის საყრელად რაიმე გავიტანე, წილს მთხოვს. ეს ავტომატურად ხდება. შა-რწან ზემო წყალობით ბერნარდ შოუს საპატრო მოქალაქის წოდება რომ მიანიჭეს, ცოლმა არ დამიჭერა, უანგაროდ რომ გავაკეთე და ოცი ათასი მომთხოვა.

სუზი. შენც ადეჟი და სუღეღურად მიეცი?

ბენეპი. ხიფრთხილემ მიმაცემინა: ვაითო, თვალთვალი დამიწყოს-მეტეჟი, განა შენც ასე ფრთხილად არ იქცევი. რაიმე დავიდარაბაში რომ არ გაება? ჰოდა, ნუ მხაყვედურობ.

სუზი. ასეა თუ ისე, როცა მამაკაცი ცოლს ძვირფას ბეწვს უყიდის, საყვარლისათვის ას ორმოცდაათი ათასი გროში არ უნდა დაენახოს.

ბენეპი. აი ჩაიხედე ანგარიშში, სულელო... თვითონვე დარწმუნდები... (ფურცელი მი-აწოდა.)

სუზი (სულს აცერავს). არ მაინტერესებს.

ბენეპი. ნახე, ნახე! ას ორმოცდაათი რომ მოგცე, საკუთარი ჩიბიდან უნდა ამოვიღო.

სუზი. დიდი ამბავი ახა, რისთვის მყავხარ?

ბენეპი. უჰ, რა საძვგლად მომახალე!

სუზი. ჰო თუ არა?

ბენეპი. ჰო.

უფროსი მსახურნი (შემოდის, კართან მდგომი აუწყებს). ხატონი როჟე დე ბერვილი.

სუზი წუთით მოითმინოს (მსახური გადის.) რისთვის მოვიდა?

ბენეპი. მე მოვიწვიე.

სუზი. ახალი საქმეა?

ბენეპი. არა, ისევე ამ მანქანების საკითხზე.



ქართული  
საბჭოთა

სუზი, კი მაგრამ, ზეალ საკითხი წუდება და უველაფერი არ მოგიწესრიგებიათ?

ბენაპი. მაგის ხელმოწერაღა აკლია.

სუზი. არ ინება?

ბენაპი. ვერ შეძლო. ორი კვირა ხელშეხვეული დადიოდა.

სუზი. ოინბაზურად?

ბენაპი. ჩვეულებრივი უბედური შემთხვევის გამო. მანქანა ვერ დაუწყო დაქოქვა. საბელური გამოსხლტა და... დაშავდა კაცი. ეს არის და ეს.

სუზი. ამა! ეს არის და ეს! გაგაცურებს, ძვირფასო!

ბენაპი. გამაცურებს? რა მიზნით?

სუზი. უმაწვილმა მოიგონა ხელის დაშავება, რათა ხაქმე ბოლო წუთამდე გაეკიანურებინა.

ბენაპი. ჯერ ბოლო წუთები არ არის, ის კი მოვიდა.

სუზი. რამდენის მიცემას აპირებ?

ბენაპი. ჩვეულებრივ. ბუთი პროცენტისას.

სუზი. მოგართმევენ.

ბენაპი. შენი აზრით, რაღაც გაჩარხა და მატყუებს?

სუზი. უველაფერი ამ საღამოსვე თუ არ დაავიროვინეთ, წააგებთ, მე რომ როდეს აღვიღას ვიყო, ოცდათხუთმეტ პროცენტს მოვითხოვდი... ოცდაათზე ნაკლებს არც ეს დაგქრდება.

ბენაპი (დაიბნა). დავიჭერო, ეს ქურდბაცაცა ამას გამიბედავს?

სუზი. ჩუმად, ძვირფასო, ჩუმად, რა დროს უვირილია! ისღა დაგვრჩენია, როგორმე გამოვასწოროთ მდგომარეობა, რაღაც გადავარჩინოთ. (დარეკა. უფროსი მსახური შემოვიდა). სთხოვეთ ბატონ ბერვილს! (მსახური გადის.) ახალი სააგენტოს უფროსთა სახელით თავი მოუქონეთ, ეს ხაქმე ხომ მაინც როდეს უნდა უნდოთ, რაც მთავარია, ლანძღვა-გინებას მოერიდეთ, ხაქმე რომ არ გაგიფუჭდეთ. თავდაპირილად მოიქეცით.

შემოდის როფე დე ბერვილი.

მეორე სცენა

იგივენი და როფე დე ბერვილი

როფე. საღამო, ძვირფასო ქალბატონო! როგორ ბრძანდებით?

სუზი. ჩინებულად. თქვენ?

როფე. უველაზე უკეთ.

ბენაპი. ესე იგი, ზელი აღარ გტკივთ.

როფე. დიან, თითქმის... თითებს უკვე ვჩმარობ.

ბენაპი (ხელს უსინჯავს). ამა, კარგია, კარგი. ხედავ, ძარღვები დასჭიმვია და...

სუზი. ეს წუთია თქვენი ამბავი მითხრა. შეგიძლიათ ხელისმოწერა?

როფე. ცდა ზედის მონახევრეაო.

ბენაპი. მორიგების გასაფორმებლად უველა საბუთი წამოიღეთ?

როფე. დიან. დაბადების მოწმობა, ცნობა, ნახამართლევი ვარ თუ არა.

ბენაპი. მაშინ ბარემ შევიდეთ კანტორაში და პატარა ფორმალურობასაც მოვრჩეთ.

როფე. ოპო, ახალი კანტორა გახსენით?

სუზი. დიან, რევიმ ამ კედლის მოწიარე შენობა შეიხუიდა და ქვედა სართული მთლიანად კანტორად გადააკეთა. მე კი აქ კარი გამოვაჭრევიანე.

როფე. მეფის ასულისკენ მიმავალი იდუმალი კარი! ეს კანტორა აღბათ სააგენტოსათვის არის განკუთვნილი? ამ დღეებში ამის თაობაზე, მგონი, შელაპარაკეთ კიდევაც.

ბენაპი. დიან, ძვირფასო, ვაპირებთ, შევქმნათ სააგენტო, რომელიც ქალაქის მომარაგების უველა ხაქმეს გააერთიანებს. აქ გვეყოლება გენერალური დირექტორი, დიდი სკამის კაცი. ოღონდ, ჯერ არ გადაგვიწყვიტია, ვინ დავნიშნოთ... (სუზის თვალს ჩაუკრავს.) შებრძანდით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

როფე. ჯერ — თქვენი!

ბენაპი. მე თითქმის შინ ვარ...

როფე. ბოდა, შემიძებით შინ..

ბენაპი. არა და არა, ძვირფასო!

რომ, ერთი, რაკ ასე... (გადის ბენიკი გახვევა და კრას გაიხურავს სუნი დივანზე მოიკლალებს და ექტვილს ამზადებს.)  
 მსახური (შემოდის) ქალბატონო, მასწავლებელი მობრძანდა.  
 სუნი. გასტონთან მიაცილე და გადაეცა. გაკვეთილის მერე მინახულოს.  
 მსახური. ასე მთხოვა, ქალბატონი ახლავე რომ არ მიმიღებს?  
 სუნი. ერთი, შემოვიდეს.  
 მსახური გადის. შემოდის ტოპაში. გამოწყობილია იმგვარად, როგორც...  
 ურიგებდა როლზე.



ქართული საბავშვო ჟურნალი  
 ბიბლიოთეკა

მსახურ სცენა

სუნი და ტოპაში

ტოპაში. გამარჯობა, ქალბატონო!  
 სუნი. გაგიმარჯოს, მუსიკ ტოპაში გახმენთ. დაბრძანდით!  
 ტოპაში (საფარდლის კიდეში კვერდულად ჩამოჯდება). ქალბატონო, დილით მკითხეთ, შემოდია თუ არა გასტონი ყოველდღიურად ორ-ორ საათს ვამეცადინო. თუ ეს წინადადება არ გადაგიფიქრებიათ, მოგახსენებთ, შემოდია.  
 სუნი. ეს უკვე შეუძლებელია. ზვალ გასტონის მამა ჩამოვა და თან წაიყვანს.  
 ტოპაში (განაწყენებული). ამა... ჩინებუღია, ქალბატონო, ჩინებუღია.  
 სუნი. მგონი გეწყინათ? ამ დილით კი უარი მითხარით, დრო არა მჩჩებია.  
 ტოპაში. ასეც იყო, მაგრამ დილის ათი საათიდან დრო თავზე საურელად გამოჩნდა.  
 სუნი. დირექტორმა საათები შეგამცირათ?  
 ტოპაში (ძლივს). დიახ, ნულამდე დამიყვანა.  
 სუნი როგორ? არაფერს გააკეთებთ და ჩამაგირს მაინც მოგცემთ?  
 ტოპაში. მიუშმა, ასე ეთქვათ, ჩამაგირიც შესახამისად შემომცირა.  
 სუნი, სხვანაირად რომ ეთქვათ, დავემშვიდობათ?  
 ტოპაში. ეც პატივიც არ მერგო, უბრალოდ, გამომაგდო.  
 სუნი. უბ, ძალიან მეწყინა... ვიმედოვნებ, ჩემი ხტუმრობა არ იყო ამის მიზეზი?  
 ტოპაში. არა, ქალბატონო... უბრალოდ, იმდენი წარმოუდგენელი გაუგებრობა დატრი-

აღდა...

სუნი. ამიერიდან რა უნდა აერთოთ?  
 ტოპაში. თუ მიუში არ დამაბრუნებს, კერძო გაკვეთილები უნდა ვეძებო.  
 სუნი. თუ ჩემს ნათესავებში ვინმეს დასჭირდით, უეჭველად გაცნობებთ.  
 ტოპაში. უსაზღვროდ გმადლობთ, ქალბატონო, ვნებავთ, გასტონს ბოლო გაკვეთილს ჩვეუტარებ?  
 სუნი. რა თქმა უნდა, ბავშვი გელოდებათ.  
 ტოპაში. კარნახით დავაწერინებ გამოსათხოვარს.  
 სუნი. ჩინებუღია... არ დავაფიწყდეთ, წახვლამდე ანგარიში წარმომიდგინეთ.  
 ტოპაში. ერთი, ქალბატონო... ნახვამდის! (იავს დაუკრავს და გადის).

მართვა სცენა

სუნი, კასტელ-ბენიკი და რომა

გაიღება კაბინეტის კარი და როვესთან ერთად შემოდის კასტელ-ბენიკი.  
 ბენიკი (ტულყვი სიმშვიდით). დავ, ასე იყო, მეგობარო, შევწვდითო ამაზე საუბარი.  
 რომა (ღიზადა). აზრთა სმვადასხვაობის გამო, მეც მიმაჩნია, რომ კამათის გაგრძელება უსარგებლოა.  
 სუნი (ეკითხვით შეშინდა). ვიმედოვნებ, საქმის გამო არ დავობთ?  
 რომა. ნუ შიშობთ, ქალბატონო, ჩვენ დავამთავრეთ... დავა.  
 სუნი (მიაწოდებს კოლოფს). სიგარეტი!  
 რომა. სიამოვნებით... ამ ბოლო ხანს კონცერტებს თუ ესწრებით?  
 სუნი. დიახ... სიქსტის კაპელის გუნდს მოვუსმინებ, დიდებუღია.  
 რომა. მართლაც! რა ნარნარა ბმებია, ხუფთა. უკრებ გრძნობ, რომ მოსწყდის ამ გათამბი-  
 რებულ ყოველდღიურობას და ამაღლდი მეცბრე ცაში... ღმერთმანი, ეიტარე. (კასტელ-ბენიკს).  
 ვიმედოვნებ, მვირფახო, ამ დიდ სიამოვნებას არც თქვენ გამოაკლდებით.



ბენაძი (დამცინავად). ხაშუზაროდ, ვერ ვახლდი ქალბატონს. ზელი დავიშავე და...

როშა (მართლიც გაკვირვებული). თქვენც?!

ბენაძი (უხეობივ ველარ მოითმინა, აფეთქდა და აცანცობდა). ეშმაკმაც დაჯალბეროსი (თვალეები გადმოეყორკლა.) რენეგატო! გამყიდველო შელავ! კაცმა თაგვივით უნდა გაგზავნოს! (გულზე მუშტს იბაგუნებს). ჩემისთანა ადამიანს, შენ როგორ... უუში



სუზი (შეაცოხდა). რა დაგეშართათ, ძვირფასო?

ბენაძი (როდუნ აჩვენებს). ასე ათასიო!

სუზი. რა ასე ათასიო?

ბენაძი. ქუჩის საგველო მანქანების წილში ასე ათას ფრანკს მოტოვს.

როშა. ეს კი ორმოცდაათს მთავაწობს.

სუზი. ორმოცდაათი — არც ისე ცოტაა, ასე კი — ფრიად ბევრია.

როშა (ლიბილით). ამას თუ ბევრი შქვია.

ბენაძი. ეს ან არაშადას მოთხოვნაა, ან გიჟის ბოღვა.

როშა (ანაყად). ამ შემთხვევაში, ძვირფასო მეგობარო, გიჟი იძულებულია გაგზორდეთ. ქალბატონო, ნება მიბოძეთ...

სუზი. რამ აგაფორიაქათ? საქმის ჩაშლას აპირებთ? აი, აქ დაბრძანდით. რეთი კოქტილს მოგვიმზადებს. რეთი, ათქვიფეთ, როგორც საჭიროა. (როდუნს.) ერთი შეკითხვა შეიძლება?

როშა. რა თქმა უნდა, ქალბატონო...

სუზი. ასე დიდ თანხას რატომ ითხოვთ? აქამდე უფრო მოკრძალებას იჩენდით. სკოლების ცენტრალური გათბობისთვის ხუთ პროცენტს დასჭერდით.

როშა. ბოდიში და. მაშინ სულელი გახლდით.

ბენაძი. და ამ სულელმა ორმოცდახუთი ათასი ფრანკი ჩაიჭიბა:

როშა. თქვენ კი რვაას ორმოცდაათი. შეადარეთ ერთმანეთს.

ბენაძი (გაბრაზდა). ეშმაკმაც წაუღიხართ, მუნიციპალიტეტის შრჩეველი მე ვარ თუ თქვენ?

როშა. საკითხის არსიდან გადაუხვიეთ. ძვირფასო.

ბენაძი. სულაც არა! მოწყობილობათა საკითხი საბჭოსათვის მე რომ არ შემეთავაზებინა, განიხილავდა? არამც და არამც. რადგან ის იყო შეიძინეს თუჩის ღუმელები. ახალთახალი. ჩაქუჩებით დასამტვრევი და ქართად ჩახაბარებელი რომ გაუხდათ. ორთქლის რადიატორები კიდევ რომ ვინმეს დასჭირვებოდა, თქვენ მაინც არავინ დაგიკვეთავდათ.

როშა. ვითომ რატომ?

ბენაძი. უური მიგდეთ! თქვენ ისიც კი არ იცოდით, ხელს რაზე ითბობდით. მოხსენებით ბარათში რადიატორის ნაცვლად ხუთჯერ ზეწერათ „გლადიატორი“, ორი ათასი ცალის დაკვეთა კი მიიღეთ.

როშა (თავმდაბლურად). მით უფრო დასაფასებელია ჩემი ღვაწლი.

სუზი. მართალია. მაგრამ ამგვარ საქმეებში ნამდვილად რომ თქვენი სახელის მეტი არაფერი ურევია.

როშა. მხოლოდ „სახელი“.

ბენაძი. დიახ, მხოლოდ სახელი.

სუზი. რეთი, სწორად განვსაჯოთ, ასეა თუ ისე, სახელს წყალს ნუ ვავატანთ.

როშა. განსაკუთრებით, თუ სახელს დიდებული დე ახლავს და არა — უბრალო დეფისი. სად დე ზერვილი და სად კასტელ-ბენაკი!

სუზი. მეც ეგ ვიგულისხმე.

როშა. გარდა ამისა, გე-ლუხაკის ქუჩაზე რომ ცნობილი კლუბია, ვუშინ მის ბაზინადარად დაშნიშნეს. ესეც ადასტურებს იმას, რომ ძალიან პატიოსანი კაცის სახელი დავიმსახურე. პატიოსანი კაცის სახელი კი ერთობ გაძვირდა, რადგან ძნელად იშოვება, განსაკუთრებით ასეთ საქმეებში.

ბენაძი. მე ვიცნობდი შეალმატებულ პატიოსნების ადამიანებს, ოთხ პროცენტს რომ სჭერდებოდნენ.

როშა. მხოლოდ მდებო ხალხი. უჩინარი... მე კი, ჩემო მეგობარო, საზოგადოებაში ჩემი მდგომარეობის შესაფერის წილ-ბვედრს მოვითხოვ.

ბენაძი. რაც შეეხება თქვენს ადგილს საზოგადოებაში, მოგაგონებთ: ცალი ხელთათმანის, კილის ქუდის და ვალების გარდა არაფერი გაგაჩნდათ, მე წამოგატივტივეთ.

როშა. ასე მხოლოდ თქვენ ირწმუნებით.

ბენაძი. შერედა. ვანა უსახუთოდ „ვამტიკებ“-? თქვენი ბინა მკვირივი ხიდების ნაყოფია,

ავტომობილი — საუახხოთა განათების, ხოლო რბოლმარგალიტიანი უელსახვევი შორგეში და დგმულმა ახალმა მაცოვრებმა შეგაბეს.

რმშმ. საქმის დედარსს თქვენ კვლავ გადაუხვიეთ...

ბენაპი (გაფიცვდება). არა, ბატონო, არ გადამიხვევია, პირიქით, საქმის დედარსს ვულრ-მავდები. ერთობ უმაღური უოფილხართ! ახლადა დავრწმუნდი, ხელი თვალთმაქცურად რომ შეიხვიეთ.

რმშმ. თვალთმაქცურად, არა?

ბენაპი. ბინძური შანტაჟის მოსაწყობად გაიძვერული თამაში წაშრიწყეთ. ეს დამალობაა, ბატონო, დამალობა!

სუზი. რევი, თავი შეიკავე!

რმშმ (შეურაცხყოფილია). როგორ ბედავთ იმის მტკიცებას, რომ...

ბენაპი. აკვინს ბავშვი გკონივართ? გახსოვდეთ, ასეთი ხრიკები თქვენზე ადრე გამოიკვავს.

რმშმ (ღიმილით). მაშახადაშე ძვირფასო, ჩემი პოლიციის ძლიერება ამიტომაც უკეთ უნდა გაიგოთ. ფაქტია, გახრჩობთ. გულწრფელად აღიარეთ: რას იფიქრებდით ჩემზე, ახი ათასზე ნაკლები რომ მომეთხოვა?

ბენაპი. ჩემს მეგობრად გალიარებდით. (ხელს გაუწოდებს.) დამიჯერეთ, როყე, გახდით ჩემი მეგობარი!

რმშმ (ხელს მაგრად ჩამოართმევს). რა თქმა უნდა, ეს ასე იქნება, მაგრამ მე ისიც მინდა, თქვენნი პატივისცემა შევიჩარჩუნო. ან ახი ათასი, — ან არაფერი.

სუზი. როყე მეც მომიხმინე! კასტელ-ბენაჟი სამოცს გაიმეტებს, მაგრამ თქვენც ნულარ გაპირვეულდებით, დაუთმეთ.

რმშმ. ძვირფასო ქალბატონო, მოკლედ მოგახსენებთ: მანქანის მოშლის ამბავი დიდი რისკით მოვიგონე, ამით ჩემს მანქანას ფასი დაუუკარგე, რომ დამპირდეს, ველარც გავუიდი. სამედიცინო სახელმძღვანელოში სპეციალური ტერმინები გამოვჩხრიკე და ორ კვირას ხელშეხვეულმა ვიარე. ახე! მოვუდუნე ამ ვაჟხატონს ხიფხიზლე — დღემდე არც დაეკვებულა, ამან განა ფუქად უნდა ჩამოაროს? დამიჯერეთ, თუ თქვენ კეშმარიტი მოთამაშეები ხართ, მომეცით ახი ათასი და ისევე გულითად მეგობრებად დავრჩეთ.

ბენაპი. ახალგაზრდავ, არ ვიცი, რა გაკლიათ, მაგრამ თავხედობა კი საქმარისი გაქვთ.

რმშმ. სცდებით, ძვირფასო, სცდებით! დავისაბუთებთ. კომედია, რომელიც მე თქვენს წინაშე გავითამაშე, ღმერთმანი ჩინებულაია. მაგრამ ამასთანავე თუ იგი არაფერს მესარგებლებს, უხამსობად მომეწერება.

სუზი. ო, რა პატიოსანი ბრძანდებით!

რმშმ. ყველაფერს რომ თავი დაფანებოთ, ჩემს თავს ვერ ვუდალატებ. ეს თავმოყვარეობის საკითხივია. მთელმა ამ კომბინაციურმა დავიდარაბამ ფუქად რომ ჩამოაროს, წნეობრივად გამანადგურებს, საკუთარი თავის რწმენას დამიკარგავს.

სუზი. ბოლოს და ბოლოს, რამდენს დასჭერდებით?

რმშმ. საბოლოო ანგარიშით — სამოცდაათი მანქანების შერგება, ოცდაათიც — ხელის დაზიანებისათვის.

ბენაპი (ძალზე მშვიდად). იცით, რას გეტყვით, ახალგაზრდავ, არ მიყვარს, როცა ახუნად მიგდებენ. ვერც ათი ათასს მიიღებთ, ვერც ოცდახუთი ათასს, და ხეროთოდ, ვერაფერს. (უცებ აფეთქდა.) ეს რა ხიხულდლე მოჩმახა!

სუზი. დაწყნარდი, რევი, განა არ შეიძლება...

ბენაპი. არა, არა, ეს გიყია ვილაცა, ამიტომ კრედიტის გაუქმებას ვამქობინებ. (კეთილსინდისიერად.) რაკი ეს ახალგაზრდა ასე ცუდი მოქალაქე გამოდგა, დაე, ქალაქი უმანქანებოდ დარჩეს.

რმშმ. ბატონი ბრძანდებით!

სუზი. რევი, ასე შეცრადაც ნუ შერისხავთ ბატონ დე ბერვილს.

ბენაპი. არა მარტო ცუდი მოქალაქე, ცუდი ფრანგიცაა.

რმშმ. კმარა! ნუ მილაზავთ ღირსებას!

ბენაპი (უცვარი პათეტიკურობით). თქვენს ღირსებას კი არ ვებები, არამედ — გულს. მომიხმინეთ, ბატონო როყე დე ბერვილ, მეწოვეთა დუბჟირი ცხოვრების შესამსუბუქებლად პატარა მსხვერპლი მაინც გაიღეთ. იფიქრეთ იმ უბედურებაზე, უოველი განთიადისას მიშველი ხედებით ხორკლიანი ქობი რომ უპირავთ და წინადლით დაურილ ნაკავს წყალსადენის არხში

ყრიან... ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ შეოცე ხაუკუნეში ადამიანი. ჩვენი ამომრჩეველი, თავის ძალღონეს ამგვარ დამამცირებელ სამუშაოზე ხარჯავდეს მაშინ, როდესაც ტექნიკის განვითარება საშუალებას გვაძლევს. ეს საქმიანობა სუფთა, ღამაშმა და შრომატევადმა მანქანამ შეცვალოს. არ უნდა ვუღალატოთ ამ საქმეს. ეს ყოველად დაუშვებელია!

რწმე. დიახ, ყოველად დაუშვებელია, რომ აქაც ზუსტად ის იქადაგოთ, რაც მუნიციპალური საბჭოში ილადადეთ. (იციინს.)

ბენაპი. ვინაიდან ამგვარ რამეს დასცინით, თქვენთან სალაპარაკო ნახვამდის!



სუზი. რეთა, უბრალო რამეზე ნუ განაწყენდები.

ბენაპი. ქალბატონო, შეურაცხყოფენ ხალხის რჩეულს. ეს მოვითმინო?

სუზი. ნუ აწვიადებთ, რეთა...

ბენაპი. თუ ამ პიროვნებას ხაკუთრად არაფრად მივაჩნევთ, ჩემს ხაზოგადობებრივ მდგომარეობას მაინც სცეს პატივი.

რწმე. ქალბატონო, აღარ ღირს ამგვარი ლაპარაკის მოხმენა. ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ.

სუზი. კოქტეილი მაინც გაგესინჯათ!

ბენაპი. არ უნდა და, მორჩა, არავითარი ქუჩის საგველი მანქანები არ იქნება, არავითარი სააგენტო, საერთოდაც, არაფერი, ხუთ არაფერი დაე, რომელიმე გზაჯვარედინზე სამათხოვროდ ხელგაშვერილს ამოსძვრეს ხული. მაგისტრის გახვრეტილ გროშსაც აღარ გავიმეტებ! გაერთიანოს აქედან!

რწმე. ბატონო ჩემო, ეს თქვენს ოჯახში მიეთრევ-მოეთრევთან, ჩემს ოჯახში კი ღირსეულად მიბრძანდ-მობრძანდებიან! (ერთხელაც დაუკრავს თავს სუზის და ამაყად გადის...)

მეხუთე სცენა

სუზი და კანტილ-ბენაპი

სუზი. ბრწყინვალე საქმე იღუპება. ადრევე უნდა მივმხვდარიყავი.

ბენაპი. მომეშვი, საყვედური გვიანია! შეტად პატიოსანი ვარ და... ადამიანთა როგორც თავზედობა, ასევე უსინდისობა მამბრეებს და მამბნებს. (სიგარას ეწევა, გულაშლილი ჩაფიქრდება) თანდათან ძნელდება ცხოვრება. საწყალი მამაჩემი მუდამ იმას მაროვებდა, მეგობარს ნუ ენდობიო... მაგრამ არ მეგონა, თანამშრობველიც თუ მიღალატებდა... ეტუობა, ყველაფერი გადატრიალდა. ო, რა დრო დაგვიდგა!

სუზი. ოღონდ, არ ატირდეთ, თქვენი კარიმე!

ბენაპი. ასატირებელი რა არის, ჩაიფუშა და ჩაიფუშა. რას ვიწამთ...

სუზი. მაშ, ბედს ურიგდები, ეს საქმე რომ საქმის ბუშტივით გასკდა?

ბენაპი. ასეა და რა ვქნა?

სუზი. განა თანამშრობველად სხვას ვერავის აღმოაჩინო? მენეტრიე ინახულეთ!

ბენაპი. საზღვარგარეთ წაბრძანდა საქუთარი საქმეების მოსაგვარებლად.

სუზი. მაშინ — ვინ? ვინ გეგულებათ?

ბენაპი. აი, ვფიქრობ...

სუზი. მაღალვალი არ გამოგადგებათ?

ბენაპი. გაკოტრდა.

სუზი. თქვენი მეგობარი ფერნე?

ბენაპი. საშინელი მეძვირეა. მას შემდეგ, ორდენი რომ გავუყვავე ორმოცდაათ პროცენტზე ნაკლებს აღარ ხქერდება.

სუზი. ფობერზე რას იტყვიო?

ბენაპი. ო, ფობერი ხაოცნებო ბიჭია, გამოცდილი და ერთგული მუშაკი, უანგარო და პატიოსანი... მაგრამ არ ვიცი, ახლა ხად არის.

სუზი. მაშინ ვაგრამი იქნება... (უბის წიგნაკში ჩაიხედავს.) ოთხმოცდაექვსი ტირე ნულ ორი.

ბენაპი. შეუძლებელია, ციხეში წის.

სუზი. როდის ჩახვეს?

ბენაპი. მ...ოკოში ღორების სასაკლაო აღმოუჩინეს და...

სუზი. ეგ შე სუფთა საქმე მეგონა.

ბენაპი. ძალის თავის სწორედ აქ მარხია. ხუფთა საქმეში რაა საშიში, მაგრამ რაღაც თუ რიგზე არა გაქვს, სახელსაც გაგიტეხენ და მახეშიც გაგაბამენ.

სუზი. პიკარი?

ბენაპი (იბაკიოებს). პიკარი? ძვირფასო, არამც და არამც!

სუზი. რატომ? პიკარი წესიერი უმარწილია, სერიოზული. თავდაპირველად... ჰრდა, მოგე-  
სინჯა..



მარსელ კანოლი

ბენაპი. არა-მეთქი, ჩემი ცოლის საუფარელია და... ელემენტარულად უმარწილია...

სუზი. მაპატიე, არ ვიცოდი...

ბენაპი. მთელ ქალაქს ეს ამბავი აკერია ენაზე, თქვენ კი არაფერი გაგიგიათ. ესეც ამ-  
ტყობებს. უფურადღებოდ რომ შექცევით.

სუზი. ვეთაყვა. რქიანი რომ იყავით, გაგებული მქონდა. მაგრამ თუ პიკარმა დაგადგათ, ეგ აღარ ვიცოდი. ასეა თუ ისე, საქმეს თავი უნდა მოვაბათ ბოლოს და ბოლოს, ვიპოვოთ თა-  
ნამწრახველი...

ბენაპი. გეტყობა, ვითარებაში ვერ ერკვევი. ძნელია შემცვლელის პოვნა, საჩოთიროც. თუ პათოლოგიურად პათიოსან კაცს იყვან, ნახევარ საქმესაც არ დაივალეებს. უარს გეტყვის. ხოლო თუ თანამედროვე ადამიანს იყვან, ერთობ გარისკავ, შეიძლება იმდენად თანამედროვე გამოდგეს, მთლად გაგატყაოს. უველაფერი მის სახელზე გაფორმებული, მთელ მოგებას ჩაი-  
ჭიბავს და სასამართლოშიც ვერ უჩივლებ. ეს შენც კარგად იცი.

სუზი. გასაგებია. ერთი სიტყვით, პათიოსან კაცს გავაჩაბვინოთ უპათიოსან საქმე, გა-  
ყამამაძაღლოთ.

ბენაპი. არა, ასე ნუ ვიტყვით... უბრალოდ ვთქვათ: გვჭირდება კაცი, ომის შემდგომდრო-  
ინდელ ამბებს ომამდელურად რომ წარმართავს. ანდა, გამოვძებნოთ ვინმე ნათესავთაგანი, რომელიც ჩვენს ნება-სურვილს დაემორჩილება. ვთქვათ, იქნება შენი დის საუფარელი, მხო-  
ლოდ ერთი რომ ჰყავდეს. ანდა — იქნება შენი ძმა, ბევრჯერ რომ არ იყოს სასამართლვეცი, ანდა — მამაშენი, რომ ვიცოდეთ, ვინ არის...

სუზი (უცებ). ვინმე რომ მოგიძებნო, რამდენს მისცემ?

ბენაპი. მოიფიქრე რაიმე?

სუზი. მგონი...

ბენაპი. საგველი მანქანებისათვის ორმოცდაათი ათას გადავუბდი.

სუზი. სააგენტოსათვის?

ბენაპი. ამ პროცენტსაც მივუმატებდი.

სუზი. წაქვებზე რომ დათანხმდეს, განსხვავებას მომცემ?

ბენაპი. რა მოიფიქრე?

სუზი. ტოპაზი გამახსენდა.

ბენაპი. ვინ არის ტოპაზი?

სუზი. გასტონის მასწავლებელი.

ბენაპი. იმ დიდწვერაზე ამბობ, უბადრუკი ქუდი რომ აბურავს?

სუზი. დიახ.

ბენაპი. ძვირფასო, თქვენი ეს ორმოცდაათი ათასის გულისთვის დაუფიქრებლად ასეთ ბიფათში ვერ ჩავივდებ თავს.

სუზი. რატომ დაუფიქრებლად? მე ამას ადრეც ვვარაუდობდი, წინდახედულად, ბევრჯერ ავწონ-დავწონე, ტოპაზთან ბიფათი გამორიცხულია.

ბენაპი. რატომ გგონია?

სუზი. უურმოკრიდ მონასავით გვეუბლება, უოველნაირად დაგვემორჩილება.

ბენაპი. ვინ გითხრა?

სუზი. ჩემმა თავმა.

ბენაპი. ოჰო! უუფარხარ?

სუზი. ჩემს დანახვაზე დარცხვენილი წიოლდება, სიტუვა ეშლება, ერთობ სასაცილო ხდება, გრძნობას აუოლილიც. ხაკმარისია, ორიოდ სიტუვა ვუთხრა, უველაფერს გავაკეობინებ.

ბენაპი. ასე გვეჩვენება, მერე კი... უშმაკს კუდი არ უჩანს.

სუზი. ძვირფასო, ქალები ჩინებულად გრძნობენ ამგვარ ამბებს. უიბედოდ ვუუფარვარ, თქვენთვის ასეთი სიუფარული წარმოუდგენელია. მერწმუნე, მისთვის რაიმეს ახსნაც კი არ და-  
გვჭირდება. ოღონდ მე ვთხოვრ და ხელს უველაფერზე უუოყმანოდ მომიწერს, თავდაბუ-  
ქული.

ბენაპი. შესაძლოა. მაგრამ ბოლოს მაინც გაახელს თავლებს. მერე რა ვქნათ, ვაივინი

რომ მოკთობს? ბრალდებას წამოგვიყენებს. პატროსნება დამაკარგვინეთო. ეგების ღირსება-  
შეღაბულმა თავიც მოიკლას და პოლიციის კომისიას ბარათი დაუტოვოს.

სუზი. არა, არა-შეტქი ცოტას თუ წაითვალთმაქცებს. მე მოვითვინიერებ

ბენაპი. როგორ არა, როგორ არა... ცოტას წაიფარისევლებს და ბევრ ფულს დაუშინებს.

სუზი. უფრო გარკვევით რომ ეთქვას?

ბენაპი. ეველაფერი რომ გაიგოს და შანტაჟი მომიწყოს?

სუზი. იმან როგორ ვეკადრებათი მერწმუნეთ, ხრულიად უანგაროა.

კო აბგვარ...

ბენაპი. კაცის ჩაცმა-დახურვით ნუ საზღვრავთ მის სულდიდობას. მე ისეთი შანტაჟის-  
ტებიც მინახავს. გარეგნულად ხელმოცარულ ახალგაზრდებს რომ ჰგვანან.

სუზი. ჩაერთვება თუ არა თქვენს კომბინაციებში, კრინტს ველარ დახმრავს.

ბენაპი. რასაკვირველია: შეგვიძლია ერთდროულად ბუთ ან ექვს საქმეში გავაბათ და  
ამით შევეუკრათ ბელ-ფეხი. დავიმორჩილოთ.

სუზი. კადეშ: იცო. რა. რეთი: კანტორის თავზე. ჩემი შოფრისთვის პატარა ოთახი რომ გა-  
კავებინე, იქ შევასახლებო. მუდამ გვერდით გვეყოლება უეროგულესი ბელქვეითი.

ბენაპი. ცდა ბედის მონახევრად.

სუზი (ოქკავს- შემოდის მსახური) ტოპაზს დაშიდაბეთ, სასწრაფოდ უნდა მოველაპარაკო.  
(მსახური თავს დაუკრავს და წავა.)

ბენაპი. „ტოპაზის სააგენტო“. სპილენძის ფირფიტაზე მშვენივრად გამობრწყინდება... მა-  
გრამ თავის საშახტურს შეეღებო?

სუზი. მისმა დირექტორმა, გაქანებულმა ჩარჩმა, არ ვიცი რატომ. ამ დილით სკოლიდან  
გამოაგეგა. ჩერჩერობით, ეტყობა, თვითონ ტოპაზიც ვერ მიმხვდარა, რატომ

ბენაპი. ვნახოთ, ვნახოთ...

კოთან გამოჩნდება ტოპაზი.

მემაძვსა სტანა

იზივანი და ტოპაზი

სუზი (ტოპაზს მიუგებება და კასტილ-ბენაეს წარმოუდგენს). ნება მიბოძეთ, შეგობარო.  
წარმოგიდგინოთ ბატონი ალბერტ ტოპაზი, რომელზედაც ახლამანს გესაუბრებოდით. (ტოპაზს)  
ბატონი კასტილ-ბენაეი, დიდი საქმოსანი.

ტოპაზი. (თავს პლაბლად დაუკრავს). ფრიად მოხარული ვარ.

ბენაპი. პირიქით. მე უფრო მოხარული ვარ, მუსიე.

ტოპაზი. დიდსულოვანი ბრძანდებით, ბატონო.

ბენაპი. არც ისე. ჩემო ბატონო, არც ისე.

სუზი. დახრძანდით, მუსიე ტოპაზი! კოქტილიზე დავვეწვიეთ!

ტოპაზი. ფრიად გმადლობთ. ესოდენი პატივისცემისათვის, ქალბატონო! (სკანის კიდზე  
ჩამოყდება.)

სუზი (კოქტილს აჩივებს). ეს წუთია, კასტილ-ბენაეს ვუამბე, რაც თავს გადაგზდათ.

ტოპაზი. უზომოდ გუდაკეთილი ბრძანდებით, ქალბატონო.

სუზი. არ მიუვარს ზედმეტი ქება. მოხარული ვარ გაცნობოთ, ბატონი დახმარებას გაი-  
დებათ.

ტოპაზი. ეს სიკეთე საფლავშიც შემახსოვრება.

ბენაპი. არ არის საჭირო ამდენი... ჩემი თქვენდამი ინტერესი ხრულიად ბუნებრივია. ქა-  
ლბატონმა მითხრა, ტოპაზი ნამდვილი განძიაო.

ტოპაზი (მორცხვად). ბატონო, განძი კი არა...

სუზი. ქეშმარიტად. ქეშმარიტად...

ბენაპი. განძი, რომელიც ამეამად ხრულიად გამოუყენებელია.

ტოპაზი. ეს ნამდვილად ხეორია.

სუზი. კოდა, ბატონ კასტილ-ბენაეს ამ განძის გამოყენება თვითონვე სწადია.

ტოპაზი (იბეზოებს). ამ განძის გამოყენება თვითონვე სწადია (სუზი კიქვს მიიწოდებს).  
გმადლობთ, ქალბატონო!

სუზი. ერთი ეს მითხარით, უსათუოდ მასწავლებლად ვსურთ დარჩენა?

ტოპაზი. მან, როგორ?

სუზი. მიზეზი?

ტოპაზი. ფრიად საპატიო პროფესია. ნაკლებად დამღეული და ხაკმაოდ შემოსავლიანი. ბენაპი (სუზის ვადახედავს). ხაკმაოდ შემოსავლიანი. ასე, რომ...

ტოპაზი (მოსვამს კოქას, ღამორცხვებელი ახველებს). უბ, რა მაგარა ხახველია.. ბენაპი. დიახ, ხაკმაოდ მაგარია.

სუზი. ვერძო ვაკვეთილებიხათვის რამდენის მიღებას ვარაუდობთ?

ტოპაზი. როგორ გითხრათ... ვიცნობ მასწავლებლებს, ათას ორას ფრანკამდე იღებენ. სუზი. ოვეში?

ტოპაზი. დიახ, ქალბატონო. მართალია, მასწავლებელს შემოსავლის გარკვეული ნაწილი მთავრობის წარმომადგენლებთან ეხარება, რადგან ზოგჯერ მაღალი საზოგადოების ხავშეებს ახწავლის. მაგრამ რაკი ათას ორას ფრანკამდე გამოიმუშავებს...

ბენაპი. ეს, რა თქმა უნდა, მშვენიერი ქამაგირია.

ტოპაზი. ქამაგირზე ხაუბარი ცოტა უხერხულია, მაგრამ თავისებურად მნიშვნელოვანიც არის. იქნებ ვცდები? მართალია, ბედნიერება ფულში არ არის, მაგრამ მაინც ხახიაშოვნოა, როცა ფული ვაკვს. (იციინის.)

ბენაპი (იციინის). ფული უველას ხიაშოვნებს, უველას.

სუზი. იმ თანამდებობაზე, ეს ბატონი რომ ვთავაზობთ, შეტს მიიღებთ.

ბენაპი. ოღონდ ბევრად შეტს არა. ცოტა შეტს. დიახ, ცოტა შეტს. ვთავაზობთ მუდმივ შტკაცე ქამაგირს და დამატებით უოველი ხაკმისთვის მცირე პრემიას. ხაშუალოდ ორი ათას ხუთას ფრანკს გამოიმუშავებთ.

ტოპაზი. ოვეში?

სუზი. დიახ.

ტოპაზი (გონმიუცებლად წამოდგება). რამდენი ვაკვეთილი უნდა ჩავატარო?

სუზი. ვაკვეთილებისთვის არა.

ბენაპი. ხაკმე ის არის, ჩემს მაგივრად იკისრებთ ვარკვეული დანიშნულების რამდენიმე... აი, როგორ გითხრათ... არც ისე ძნელია, მაგრამ რთული მოვალეობაა...

ტოპაზი. შეძლებს კი რთული მოვალეობის შესრულებას?

სუზი. რატომაც არა!

ბენაპი. უნახოთ, უნახოთ. შეიძლება შეგათვალისწინოთ?

ტოპაზი. კი, ბატონო.

ბენაპი (ტოპაზს ახედ-ღახედავს. ტოპაზი ახველებს ხოლმე და თავს დაბლა ხრის მორცხვად: კასტელ-ბენაკი ზურგიდან შემოუფელის და სუზის თვალს ჩაუკრავს). შეიძლება ორიოდ რამ გკითხოთ?

ტოპაზი. კი, ბატონო.

ბენაპი. ცოლ-შვილი გყავთ?

ტოპაზი. ხამწუხაროდ, არა. მარტოხელა ვახლავართ.

ბენაპი. ვაშა! ჩინებულია. მაპატიეთ, მე იმას ვამბობ, ერთობ ხამწუხარო ამბავია, მაგრამ რას იზამთ, ეს უოფილა თქვენი ბედი.. ისე, ქალები?..

ტოპაზი. რა ქალები?

ბენაპი. როგორ გითხრათ, ხომ ძევთ ხოლმე ხავვარლები...

ტოპაზი (სუზის მეხდაცემულივით ვადახედავს). არა, ჩემო ბატონო.

სუზი. მეგობარო, ასეთი შეკითხვები ჩემი თანდასწრებით..

ბენაპი. მაპატიე, ძვირფახო... დაუფიქრებლად წამომცდა... ურთიერთობა ხომ ვაკვთ ვინმესთან?

ტოპაზი. კოლეგებთან... ფფრო სწორად, მიუშის პანხიონის ჩემს უოფილ კოლეგებთან. ზოგჯერაც ვხვდები თანაპოლეკელ ამხანავს, ამვამად კაფეში ოფიციაანტად რომ მუშაობს.

ბენაპი. შეძლებისდაგვარად მოერიდეთ ასეთ ადამიანებთან ურთიერთობას, უოველ შემთხვევაში, არ მიიღოთ კანტორაში, არც — შინ.

ტოპაზი. არც შინ?

ბენაპი. დიახ, თქვენ აქ იცხოვრებთ.

ტოპაზი. აქ?

სუზი. კანტორა გვერდით შენობაშია, თქვენი ოთახი ზედა ხართულზე იქნება, ჩემ ახლოს. არ მოგწონთ?

ტოპაზი (მორცხვად). როგორ არა, ქალბატონო, მაგრამ რა ხაკმე შევალემა?

ბენაპი. ვეტყვით, ძვირფახო ტოპაზ... ხომ შეიძლება, ასე მოვმართოთ?

ტოპაზი. ფრიად ბედნიერი ვიქნები, ბატონო.

ბენაძე. მაშ, ასე, ძვირფასო ტოპაზ, დაბრძანდი. ახალ საქმიან სააგენტოს ეხსნი და რადგან უამრავ საქმეს ვეღარ ავუდივარ, მჭირდება ხანდო კაცი, რომლის სახელზეც სააგენტო გაიხსნება და რომლის დირექტორადაც ის დაინიშნება.

სუზი. სწორედ ამ ადგილს ვთავაზობთ.

ტოპაზი. კი მაგრამ, ქალბატონო, დირექტორი ხომ სააგენტოს შეხატვა, ამგვარად?

სუზი. მართალია.

ტოპაზი. შერედა, შევძლებ?

სუზი. რატომაც არა!

ტოპაზი. ქალბატონო, ამგვარი ნდობა დიახაც მახარებს, მაგრამ, ვშიშობ, ვაიოთ აზვია დებით ჩემს შესაძლებლობას.

სუზი. თქვენ რა, მახწავლებელი არა ხართ?

ტოპაზი. მახწავლებელი რომ ვარ, იმიტომაც ვამბობ, ხაყლახო ოთახის გარეთ არაფერში ვარგივარ.

ბენაძე. მეგობარო, კარნახი ხომ ვემარჯვებით?

ტოპაზი. (გაბრწყინდება). კარნახი ჩემი საქმეა.

სუზი. ჰოდა, რემენგტონზე მბეჭდავ ქალებს კორექსონდენციებს უკარნახებთ და ერთობრაფიულ შეცდომებს გაუსწორებთ ხოლმე.

ტოპაზი (ვანობებული). ორთოგრაფია... კი, ბატონო.

ბენაძე. ხელისმოწერაც ხომ შეგიძლიათ?

ტოპაზი (ენთუხიარული). ვერ ვიტყვი, ლამაზი ხელი მაქვს. შეთქი მაგრამ მიმსგავსება ვერც ერთმა ჩემმა მოწაფემ ვერ მოახერხა.

ბენაძე. ჰოდა, ჩემ მაგივრად მოაწერთ ხოლმე ხელს, ეს არის და ეს.

სუზი. თანახმა ხართ?

ტოპაზი. ამაზე დიდი ბედნიერება ცხოვრებაში არასდროს მღირსებია, როგორც თქვენ დამავალდებულებთ... მაგრამ თანხმობას მაინც ვერ ვხედავ.

სუზი. რატომ?

ბენაძე (უცებ თავისთვის). ო, ღმერთო ჩემო! ეშმაკსაც წაუღია! ხუთ დამავიწყდა!

სუზი. კიდევ მოხდა რაიმე?

ბენაძე (ტოპაზს). სად დაიბადეთ?

ტოპაზი. შე? ტურში.

ბენაძე. მაშინ ქუჩის საგველი მანქანების საქმე წახულია ხელიდან.

ტოპაზი. ვინაიდან ტურში დავიბადე?

ბენაძე. იქიდან ტოპაზის დაბადების მოწმობასა და სხვა საბუთების მიღებას ვეღარ მოვახერხებთ.

სუზი. მართლაც ვეღარ მოვახერხებთ.

ტოპაზი (ილიმება). აგერ მაქვს.

ბენაძე. როგორ? ხომ არ იცოდით, რომ?..

სუზი. მუდამ ჩიბეში გიდევთ?

ტოპაზი. შემთხვევით. დირექტორმა მიუწმა დიდიო ვეღლა საბუთო დამიბრუნა.

ბენაძე (სუზის). გამართლებაც ამას ჰქვია!

სუზი. (კასტელ-ბენაკს). ხედავთ, ძვირფასო, ეს კაცი თვითონ ღმერთმა გამოგვიგზავნა!

ტოპაზი. ღმერთმა კი არა, ჩვეულებრივი კანდიდის დირექტორმა ქალბატონო.

სუზი (კასტელ-ბენაკს). ახლა რაღას იტყვით?

ბენაძე. უბადლოა. (საბუთებს ათვალისწინებს). აქ მართლაც ყველაფერია, რაც გემირდება. დიდებულია!

სუზი. მაშასადამე, მანქანების ხელშეკრულებას ახლავე მოაწერს ხელს.

ტოპაზი. ჰა, ჰა, ჰა!.. თავი სიზმარში მგონია.

ბენაძე (სუზის). თქვენი აზრით, უკვე შევაბათ უღელში?

ტოპაზი. ბატონო ჩემო, რაღას მოვუცადოთ. ნურაფრისა ვეძებებით. ახლავე დამახატეთ!

სუზი (კასტელ-ბენაკს). ვითომ გავრისკოთ?

ტოპაზი. ვერ დაგპირდებით, რომ პირველხვედ საქმეს მარჯვედ გავაკეთებ. მაგრამ, მოგეხსენებათ, ცდა ზედის მონახევრეაო.

ბენაძე (სუზის). დაუდგები თავდებად?

სუზი. უყოყმანოდ.







ტოპაზი. მმ... წამომცდა... კი ბატონო-მეთქი, ამის თქმა მინდოდა...

ბენაპი. მმ. დიახ, წამოგცდა.. (სუზის.) ნანატრია, ნანატრი (გადის სუზისთან ერთად)

მეზვიდმ სცენა

ტოპაზი მარტო, მერე მსახური და როყე



ქართული  
საზღვრო

ტოპაზი (ჩეკს ღიმილით დაპყურებს და ჩურჩულებს). ბატონო დირექტორო... ძვირფასო დირექტორო... ხუთი ათას ორასი... (გონებაში ანგარიშობს.) სამას ორმოცდაექვსი გაკვეთილი — თითო ოხუთმეტ ფრანკად... ოჰო! ეს საქმეა! საოცარია, საოცარი (პაუზა.) ტაშიზი რომ ამას გაიგებს... მმ! კარიერისტი მიწოდა! (პაუზა.) იქნებ მართალიც იყო?

მსახური (შემოიყვანს როყეს). ახლავე მოვახსენებ ქალბატონს.

რომე. კეთილი, წაბრძანდით.

მეორე სცენა

ტოპაზი და როყე

ტოპაზი ჩეკს ჯიბეში ჩაიდებს და თითქოს სურათებს ათვალიერებს. როყე ტოპაზს უთვალავებს, შემდეგ ჯდება. ოდნავ შეშფოთებულია, ორიოდეჭერაც შეავლო თვალი ტოპაზს და ბოლოს თავი დაუკრა. ტოპაზიც თავის დაკვრით მიესალმა და სურათების თვალიერება განაგრძო. როყე წამოხტა და გვერდით დაუდგა. ორივე ერთ სურათს მისჩერებია.

რომე. ძალიან გაუვართ მხატვრობა?

ტოპაზი. დიახ, კარგა ხანია მაინტერესებს. (პაუზა.)

რომე. თვითონაც ხატავთ?

ტოპაზი. არა, ბატონო.

რომე. მაშ, სურათებით ვაჭრობთ?

ტოპაზი. ჩემს სიცოცხლეში-არ მიფიქრია.

რომე. არც მე. (პაუზა.) კასტელ-ბენაჟის მეგობარი ბრძანდებით?

ტოპაზი. მეგობრობას ვერ დავიჩემებ, თუმცა გულითადი მეგობარივით კი შებყრობა. მხოლოდ მისი თანამშრომელი გახლავართ.

რომე. დიდი ხანია?

ტოპაზი. არა, ბატონო, რამდენიმე წუთია. მაგრამ ვიშედოვნებ, დიდხანს დავრჩები.

რომე (ხმას შეიცვლის). ეს იგი, თქვენ ჩაიბარეთ ქუჩის საგველი მანქანების საქმე?

ტოპაზი. (თავდაქვრილად). უოფელ საქმეში, ბატონო, მთავარი საიდუმლოს შენახვაა.

რომე. დიახ, განსაკუთრებით ამგვარ საქმეში.

ტოპაზი (გულუბრყვილო იღუმალებით). შესაძლოა.

რომე. შესაძლოა? შესაძლოა კი არა, ნამდვილად. თვითონ კიპი მაქვს მოჭრილი ამგვარ მაქინაციებში. ვიცნობ ერთ კაცსაც, ამ საქმეში კიდევაც რომ ჩააბამდნენ, მუშაობა თქვენსავით იაფად რომ ეკისრა.

ტოპაზი. ჩემსავით იაფად? (ირტნიულად იცინის.) იაფად? (გულიანად იცინის.)

რომე. ჩვენ შორის დარჩეს და რამდენზე მოგირიგდათ?

ტოპაზი. ვინაიდან ეს პირადად მეხება, არ დაგიმაალავთ. დახედეთ! (იჩვენებს ჩეკს.)

რომე. ხუთი ათას ორასი. ეს საკომისიოა?

ტოპაზი. საკომისიო გარიგებისაც და ერთი თვის ქამაგირი წინდაწინ.

რომე. დამცინით?

ტოპაზი (ნეტარად). ოდნავ. (როყე უკან დაიხევს და ტოპაზს განცვიფრებით ნიჩქერდება.) ხვათა შორის, ეს ფული არაფრით დამიმსახურებია, თვითონ შემომთავაზა.

რომე. საქმეში თავის მოსულელება ხშირად გვარგია ბოლმე, მაგრამ ამჟამად ეს ნამდვილი სისულელეა. იდიოტი უოფილხართ!


ტოპაზი (გულცივი სიამაყით). ბატონო ჩემო, იცოდეთ, არ მსიამოვნებს, უცნობი ადამიანი იდიოტს რომ შეძახის. ამ ხაზლის დიახაზლის მაინც ვცეთ პატივი და შევწყვიტოთ ამაზე საუბარი. (ზურგი შეაქცია.)

რომე. ამაოდ შეაქციეთ ზურგი იმ ადამიანს, რამდენიმე დღეში სასამართლოს წინაშე წამდგარს რომ გიბილავთ.

ტოპაზი (გაოცებული). სასამართლოს წინაშე?

რომე. იქნებ უფრო ადრეც, ვიდრე გგონიათ. არა, მე არ დავაბეზლებთ, ეს მე არ

მჩვევია. მაგრამ არის ხუთი-ექვსი კაცი, ამ საქმის ავან-ბავანი რომ იცის და შეუძლია ქვეყნის მოხდომ. ჩაღის ფასად ასეთ რისკზე წახვლა პირდაპირ სიგიჟეა.

ტოპაზი. მკაცრად რომ ვთქვათ, ვატუბ. ეს საქმე თქვენ უპატიონსოდ მიგაჩნიათ. (როცა ჩაიციანებს.) განმარტებას მ...  


რომე. იმ უამრავ მაშაძაღლობათაგან, რაც ამ ძველმა არამზადამ ჩაიდინა, ქუჩის საგველი მანქანების საქმე უველაზე სახიფათოა.

საქონის  
საგველი

ტოპაზი. ვის ეძახით ძველ არამზადას?

რომე. მუნიციპალური საბჭოს ბრწყინვალე მრჩეველს.

ტოპაზი. მუნიციპალურ რომელ მრჩეველზე ლაპარაკობთ?

რომე. როგორ? ისიც კი არ იცით, კასტელ-ბენაკი მუნიციპალური მრჩეველი რომ არის?

ტოპაზი. პირველად მესმის?

რომე. მაშასადამე, თქვენ არც ის იცით, რისთვის დავიჭირავათ?

ტოპაზი. მე მხოლდ მისი დახმარება მევალება, სხვადასხვა საბუთზე მის მაგივრად ხელის მოწერა, ეს არის და ეს.

რომე. ეს არის და ეს! მისი უბადლოა, არაფერი შეედრება! ვინა ხართ თქვენ?

ტოპაზი. უბრალო მასწავლებელი.

რომე. რა უბედურებაა! აქამდე როგორ ვერ მივხვდი?! უური დამიგდეთ, საცოდავო, თუ იცით, თქვენი ქუდი ხად დევს, დაავლეთ ხელი და მოქურცხლეთ აქედანი თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ!

ტოპაზი (ცხარედ). კაცის უსაბუთოდ გაღანძვრა არ შეიძლება, ბატონო. რა დააშავა ჩემმა პატრონმა?

რომე. თქვენი „პატრონი“, ჩემო ძვირფასო, თავის პოლიტიკურ მანდატს უსირცხვილად იუენებს: საბჭოს სხდომაზე ენჭის საყრელად გამოაქვს ამა თუ იმ საქონლის შესყიდვის საკითხი. მერე კი იმ საქონელს დაქირავებული კაცის სახელით თვითონვე ასაღებს მამასისხლად.

ტოპაზი. ეს ხომ თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა?

რომე. ასეა.

ტოპაზი (აღშფოთებით). ქურდობის უველაზე საწიზღარი ფორმა.

რომე (უტიფარი ღიმილით). ღმერთო ჩემო, ეს ხომ მისი გამოგონება არ არის! ეს არის უველა დემოკრატიული წყობილების საფუძველი. (პაუზა.) სხვა წყობილებათა საფუძველიც.

ტოპაზი (აყვირდა). დამისაბუთეთ, დამისაბუთეთ!

რომე. სიამოვნებით გაგანათლებთ, თუ საიდუმლოდ შეინახავთ, ვინც თქვენს გონებას შუქი მოჰფინა.

ტოპაზი. თუ მართალი იქნება, გეფიცებით, კრინტს არ დავძრავ.

რომე. რაკი ასეა, ცოტა ხნით გადით მეორე ოთახში, საწერ მაგიდაზე საქმეები გადაფურცლეთ, რომელიც გნებავთ, და თუ მასწავლებლობას თქვენი აზროვნება ხელ არ გამოუფიტავს, უველაფერში უზად გაერკვევით.

ტოპაზი. კეთილი. მაგრამ თუ მომატუფეთ, მოვბრუნდები და ბურსივით გისვრით აქედანი!

რომე. კი, ბატონო! (ტოპაზი გადის.) ოი, უცოდველო ცოდვილო! მოტუფებული წმინდანო!

მეცხრე სცენა

როცე, სუზი და კასტელ-ბენაკი  
სუზი (შემოდის. როცეს რომ დაინახავს, გაოცდება, თვალთ ტოპაზს ეძებს). ხალაში კიდევ სინდისმა შეგაწუხათ?

რომე. არა, კალბატონო, სინანულმა.. თქვენთან განშორების სინანულმა. უცებ თქვენი ხილვის სიამოვნების დაკარგვა წარმოვიდგინე და...

სუზი. ფარისეველი...

რომე. და გადავწყვიტე, კასტელ-ბენაკთან წავი დავდო.

სუზი. წავი დაიღო უკვე, ჩემო ძვირფასო... ამასწინანდელი ჩხუბის ამბავი, რა თქმა უნდა, გადააფიწყდა... მაგრამ, სავალალოდ, მანქანებს თქვენ უკვე ვეღარ მოუხსნარიო. მგონი, ვილაღას შეუთანხმდა

რძე. ვატყობდი, ასე მოხდებოდა. მაგრამ გახსოვდეთ, თუ საკმაოდ ხანდა არ გამოდგება მისი ნაპოვნი კაცი. მოძებნეთ ისევ ძველი მეგობარი.

სუზი. საეჭვო არაფერია. გმადლობთ უურადღებოხათვის.

რძე. ხოლო თუ ჩვენი ურთიერთობის განახლება აღარ მოხერხდება, უბრალოდ დაარწმუნოთ ჩვენი ხაერთო მეგობარი, რომ მე კვლავ მისი კეთილმოსურნე გახლავართ და მიუხედავად კასტელ-ბენაკის უბეშობისა, სულაც არ ვაპირებ შურისძიებას.

სუზი. რა შურისძიებას?

რძე. შეშველო, მაგალითად, გაზეთში რამდენჯერმე გამოშვებმა ან თავი გამოვლო ანონიმური წერილებით, რომლითაც მტრები დააზარალებდნენ. გარწმუნებთ, ქალბატონო, მე ამას არ ჩავიდნ.

სუზი. ისედაც მჭერა, ჩემო მეგობარო. ჯერ ერთი, ქენტლმენი ხართ, მეორეც, საქვეყნოდ არ გამოაქვენებთ იმ საქმეებს, რომელთა ერთ-ერთი აქტიური მონაწილე თვითონაც ბრძანდებოდით.

რძე. მართალია. მაგრამ კასტელ-ბენაკი უჩემოდაც აკეთებდა საქმეებს, რომლებიც ბევრს აღიზიანებდა... ოღონდ, იცოდეთ, თუ ქუჩის საგველი მანქანებას გამო რაიმე უსიამოვნებას გადაეურება, წინასწარ გაფრთხილებთ, ჩემი ბრალი არ იქნება.

სუზი. ესეც მჭერა...

რძე. გმადლობთ, ქალბატონო.

ბენაპი (შემოდის). თქვენ კიდევ აქა ხართ?

რძე. ძვირფასო, ქალბატონს ვუბარებდი და კარგია, თვითონ რომ მობრძანდით. შემთხვევით, მე თუ დაგპირდეთ, ღამის თორმეტ საათამდე შინ დაგელოდებით, ჩემი ტელეფონის ნომერი იცით. (გაღის.)

მეათე სცენა

სუზი, კასტელ-ბენაკი და ტოპაზი

ბენაპი. ამრიგად, საგველი მანქანების საქმე მოგვარებულია. კმაყოფილი უფრო იმით ვარ, გაიძვერა დე ბურვილი რომ ჩამოვიშორე.

სუზი. საბუთები ჩაახარე?

ბენაპი. დიახ, უველაფერი რიგზეა. ხად წავიდა შენი მოყვანილი კაცი?

სუზი. ალბათ კანტორას ათვალეირებ.

ბენაპი. კარგი ბიჭია, ძალიან მომწონს — წმინდა წყლის ბრიკვი. (შემოდის ტოპაზი.) აა, როგორაა საქმე, მეგობარო? (მიეგებება.)

ტოპაზი (უკან დაიხვეს და ნელოდრამატულად წამოიძახებს). ქალბატონო, იცით, კასტელ-ბენაკი ვინ არის?

ბენაპი (გაკვირვებით). ეგ რა ხაკითხავია, მე ვინ ვარ?!

სუზი. უცნაური შეკითხვაა.

ტოპაზი. ქალბატონო, ძნელი წარმოსადგენია ის, რაც ეს წუთია გავიგე.

ბენაპი. რა დროს ასეთი ბუმბოლაა?

ტოპაზი (უკვირებით). ეს კაცო, რომელსაც ასე მეგობრულად ეწოდებით, უხინდისო.

ბენაპი. მე?

სუზი. ტოპაზ, თვითონ თუ გეხმით, რას როშავთ?

ტოპაზი. ქალბატონო, მომისმინეთ! ბატონი კასტელ-ბენაკი ბოროტწარბველია. ამიტომაც, სავსებით სამართლიანად, ეს კაცი ციხეში უნდა იჯდეს. ნახვამდის!

სუზი. ხად მიხვალთ?

ტოპაზი (არ შეჩერდება). რესპუბლიკის პროკურორთან.

ბენაპი. აა, ახეა საქმე? კი მაგრამ...

სუზი. ერთი წუთით, ტოპაზ: (ცდილობს შეაჩეროს.)

ბენაპი (სუზის). რაღა მეთქმია, ერთობ ბედნიერი ხელი გქონია. ვილაც გიფი მომიყვანე...

სუზი. რევი, დავატოვე. მე აფუხსნი უველაფერს.

ბენაპი. კეთილი, აუხსენით, რაც გნებავთ, ოღონდ მთავარი შეავებინეთ: თუ ქკუას არ იხწავლის, საგიფეთში ვაკვრევიანებ თავს, თანაც სულ მალე! (გაღის.)



სუნი და ტოპაზი



სუნი. მუსიე ტოპაზ, მღუპავთ?

ტოპაზი. თქვენ?

სუნი. დიახ, მე.

ტოპაზი. თქვენს ბედ-იღბალს კახტელ-ბენაკი განაგებს?

სუნი (ღივიანზე დამხობილი აჩურჩულდება). დიახ.

ტოპაზი. იმ ავაზაკის მოკავშირე ხართ? პოი, ღმერთო დიდებულო!

სუნი. ერთობ მალე გაიგეთ ის, რაც მხოლოდ ხვალ უნდა გაემხილა.

ტოპაზი. რა უნდა გაგემხილათ?

სუნი. უგუნურად დანგრეული ჩემი ბედის ამბავი... ჩქარა! ცოტა დროა დაგვრჩა, და-  
მიგდე უური!

ტოპაზი. გისმენთ, ქალბატონო.

სუნი. ბავშვი ვიყავი. კახტელ-ბენაკი რომ გავიყანი. მამაჩემს ოჯახის ფინანსიურ მრჩე-  
ვლად მყავდა და ხშირად გვაკითხავდა. პროფეხით ადვოკატი პოლიტიკაშიც ერეოდა.

ტოპაზი. დიახ, ასეც ხდება.

სუნი. დიახ, ასეც ხდება. ობლად დარჩენილმა კახტელ-ბენაკს მივაკითხე, რადგან ანდერ-  
ძის აღმსრულებლად მამამ ეგ დატოვა...

ტოპაზი. გასაგებია...

სუნი. მირჩია, გამეუიდა უველაფერი: ქარხანა, მიწა, სასახლე. შემდეგ მთელი ჩემი კაპი-  
ტალიც მაგას ვანდე.

ტოპაზი. ღმერთო ჩემო!, მერე? როგორ მოუარა?

სუნი. ერთი ვიცი მხოლოდ: რაღაც ქალაქებზე ხელს მანქრინებდა ხოლმე. იმ ქალა-  
ქებისა მე არაფერი გამეგებოდა. გარდა იმისა, რომ მეუბნებოდნენ, ქალაქთან ხელშეკრუ-  
ლებას ვდებთო...

ტოპაზი. და თქვენ უბრალოდ ხელს აწერდით?

სუნი. დიახ.

ტოპაზი. გერჩივნათ, ეგ მარჯვენა მოგეკვეთათ.

სუნი. დიახ, მაგრამ, აკი გითხარით, მე არაფერი ვიცი, ისევე როგორც დღეს თქვენ.

ტოპაზი. სწორია, თქვენც ჩემსავით მოქცეულხართ... მერე, სიმაართლე როდის გაიგეთ?

სუნი. ძალიან გვიან.

ტოპაზი. გვიან არახდროს არ არის.

სუნი. კახტელ-ბენაკი რომ გამეწირა, თავს მაინც ვერ გადავირჩენდი. ჩემს გულუბ-  
რყვილობას რომელი სასამართლო დაიჭრებდა!

ტოპაზი. ქალბატონო, თუ ამ სავალალო ამბავს ისევე გულწრფელად აღიარებდით, რო-  
გორც მე მიამბეთ, უველა დაგიჭრებდათ.

სუნი. შეიძლებოდა მართლაც მიხვედრისთანავე მეჩივლა, მაგრამ დამაგვიანდა. წელიწად-  
ზე მეტია მის თაღლითობას დამუნჭებული შევუტრებ და ხშირად თანამონაწილეობაც მაიძუ-  
ლა. დაუფიქრდით: მე კახტელ-ბენაკის თანამზრახველი ვარ ბოდიში, თანამზრახველი კი  
არა, მსხვერპლი. დამღუპა. პოდა, ახლა თვითონ განსაქეთ!..

ტოპაზი (პაუზის შემდეგ). აი თურმე მაღალ საზოგადოებაში რა ფარული ტრაგედიე-  
ბი ტრიალებს! ქოჭოხეთია! ქალბატონო, თუკი თქვენ ეს უველაფერი იცოდით, რატომღა  
ჩამაგდეთ იმ ურჩხულის ხაზაში? მე რატომღა გამიშეტეთ დასაღუპავად?

სუნი. ვერ მიხვდით?

ტოპაზი. ვერა.

სუნი. რა იღონოს მართობელა ქალმა, ასეთი საშიში კაცი რომ დაიმონებხ? ან უნდა  
იტეროს, ან ქომავი ეძებოს.

ტოპაზი (აღფრთოვანებით). და ქომავად მე ამირჩიეთ? მე? მე? რატომ, ქალბატონო,  
რატომ?

სუნი (ჩურჩულით). არ ვიცი...

ტოპაზი. იცით, კარგად იცით! პოდა, გამიმხილეთ!

სუნი. მაშინ... გავბედავ და გეტყვით. პირველ ნახვისთანავე დამატყვევა თქვენმა ენერ-  
გიულმა სახემ... (ტოპაზი ენერგიული მამაკაცის იერს მიიღებს.) მომეჩვენა, რომ თქვენს  
თქალებში ამოვიკითხე... თავიხებური დაინტერესება.. ასე ვთქვათ, ერთგულების პირობა...

და გავიფიქრე: ეს ვაჟაკი სხვებს არ ჰგავს... უბრალოა, გონიერი, ენერგიული, უანგარო...  
აი, ეს რომ გვერდით დამიდგეს, დამიყავს, მიპატრონებს იქნებ გადამარჩინოს კიდევაც-მეთქი“ (თვალს გაუსწოვებს.) ნუთუ შევცდი?

ტოპაზი. არა, არა! მე ამ ნდობას ღირსეულად გავამართლებ. ქალბატონო სიბოძინეთ.  
რაც გნებავთ თქვენი ხმალი და ჩემი კისერი

სუზი. უპირველეს ყოვლისა, მოვითხოვ დუმილს! თუ კრინტს უნდა მოვუხმებო, მაშინ მხოლოდ  
ბი, სახელი გამიტყდება და დავიღუპები.

ტოპაზი. კეთილი საფლავის ღოდვით დავდუშდები!

სუზი. მერცხე: სულ ჩემთან უნდა იტრიალოთ, სიცოცხლებავით ნვირდებით!

ტოპაზი (ათრთოლდა). მე ისედაც მინდა სულ თქვენთან ყოფნა!

სუზი. გმადლობ! (ხელს მაგრად მოუქერს ხელზე.) გმადლობ! მაგრამ ამისთვის საჭიროა...

ტოპაზი. რა?

სუზი. ჩვენი მტრის ნდობის კვლავ დამსახურება.

ტოპაზი. განა ეს შესაძლებელია იმის შემდეგ, რაც მე ლანძღვა ვაკადრე?

სუზი. კარგად მომისმინეთ, გაგაცნობთ ჩემს გეგმას. უბრალოა, მაგრამ საკმისი. რაც შეიძლება თქვენ ახლად მოგეჩვენოთ, ჩემი დიდი ხნის ნაფიქრია. თქვენ აქ უნდა დამგვიდრდეთ, კასტელ-ბენაკს მოეფეროთ, მოეხიფარულოთ. ეველა საქმეში დაეხმაროთ... ასე უნდა ვისწავლით იმ კაცს თანდათან, ამოიცნობთ მის ხასხსტეებს და როცა დარწმუნდებით, ლახვარის ჩაცემის ვაში დადგაო, ისე, რომ მე ამცილდეს, ჩასცემო ლახვარს.

ტოპაზი. ეს როგორ? ბოროტმოქმედის მოკავშირეც ვიყო და კიდევაც გამოვამაჟირო?

სუზი. დიან, ჩემი გადარჩენა თუ ნამდვილად გწადათ!

ტოპაზი (სანგოდლივი პაუზის შემდეგ წაძოდება, ამოიხრება). რომ! ეს ტრაგიკული კონფლიქტი დიდი დრამატურგის კორნელის კალმის ღირსია. რა ბრძოლა-კიდილია გრძნობასა და მოვალეობას შორის! ერთი საათის დრო მაინც რომ მქონდეს მოსაფიქრებლად!

სუზი. არჩევანი ახლავე უნდა მოახდინოთ. კასტელ-ბენაკი მეზობელ ოთახშია, მგონია, გამდიდრებით მოგხიბლავთ და შესაძლოა თანხის მომატებაც დაგპირდეთ. ეტყვი რომ გაგიფანტოთ.

ტოპაზი. რა სულმდაბლობაა!

სუზი. დე, ეგონოს, რომ მართლაც იმ ამბებზე ვსაუბრობდით. მოდა, მის დახამშვიდებლად საჭიროა თქვენი შორჩილება დაუყოვნებლივ დაუმტკიცოთ.

ტოპაზი. კი მაგრამ, რით დავუმტკიცო?

სუზი (ვილომ ფიქრობს). მო, რითი?..

ტოპაზი. აი, დანახვისთანავე ხელი მაგრად რომ ჩამოვართვა?

სუზი. კარგია, მაგრამ საქმარისი არ არის.

ტოპაზი. აი, მისი ქალაღები რომ დავუბრუნო და ვუთხრა, ეველაფერი რიგზე-მეთქი?

სუზი. წინებულთა, ოღონდ, ჭერ ხელი უნდა მოაწეროთ.

ტოპაზი. ხელმოწერილი უნდა დავუბრუნო? რატომ?

სუზი. ამ ხელმოწერით დაუდასტურებთ, რომ ეველაფერში ეთანხმებით და ყოველგვარ ეტყვს გაუქარწყლებთ, სიფხიზლეს მოუდუნებთ. (აიღებს ქალაღებს.) ეს რა ქალაღებია?

ტოპაზი. ეამოს ქუჩაზე რვა ხაზლის შესყიდვის საბუთებია. მეოც ამ ხაზლებს ათმაგ ფასში ქალაქს მიძვიდიან. იქ ქუჩას აფართოებენ და ხაზლები მაინც უნდა დაინგრეს.

სუზი. დაბრძანდით! ახლა აიღეთ ქალაში და აქ მოაწერეთ ხელი!

ტოპაზი (უკანასკნელად შეეკომანდება, სუზის უცქერის.) ძნელია.

სუზი. ჩემს გადასარჩენად! (ტოპაზი მოაწერს, სუზი სხვა ფურცელს დავდება.)  
აი, აქ... (ტოპაზი მოაწერს ხელს.) აი, აქაც... (ტოპაზი კვლავ მოაწერს ხელს.)  
ფარდა ხელა ეშვება

მასამ მონათვა

თანამედროვე სტილის ახალი კანტორა. წინა მხარეს, მაყურობლისაგან ზეოგშეკცევით. ტყავის ორი უზარმაზარი სავარძელი დგას, უკანა მხარეს კი — ამერიკული გიგანტური სიწერი ძაგიდა. უკანა კედელთან, ორ კარს შუა, უზარმაზარი სეიფია. კედელზე ჰკილია გამაფრთხილებელი წარწევები: „მოკლედ იღაპარავეთ“, „დრო ველი ღოს“, „ისაუბრეთ ცოფრებას ერთ“ და სხვა ამგვარი. წინა მხარეს, მოუცხივ, შემოსასილელი კარია, მარჯვნივ.

მეორე კარს აწერია: „ბუღალტერია“. საწერ მაგიდაზე დევს: ტაბულ-კალენდარი, ცნობარი — „მთელი პარიზი“, ტელეფონი, კედელთან ბარათსაცვია

პირველი სცენა



ქართული  
ბიბლიოთეკა

ტოპაში და რემენგტონზე მბეჭდავი ქალი

ფარდის ახდისას ტოპაში საწერ მაგიდას გარინდებული უზის, უჩანს პარიზის მხოლოდ ხედა ნაწილი, ამჟამად კუსძვლიანი დიდი სათვალე უკეთია. შიში ეტყობა, გაფიქრებული და შეწუხებულია. უბრალო გაფანტუნიდაც კი აფრთხობს. კარზე აკაკუნებენ. ტოპაში შეწყბამი ელოდება. კვლავ ისმის კაკუნი, ცახცახით წამოდგება და კითხულობს: „ვინ არის?“ ხმა: „რემენგტონზე მბეჭდავი ქალი“. კარს ოაზის აბანის, გააღებს და შემოიშვებს ტანდაბილ ქალს.

ქალი. ვილაც ბატონს ბატონი დირექტორის ნახვა სურს. (აწოდებს ბარათს.)

ტოპაში. (თრთოლვით კითხულობს). ოსკარ მიუში.

ქალი. ქალიშვილიც ახლავს.

ტოპაში. ერნესტინა.. სტუმარმა კაცმა რაო?

ქალი. არაფერი, იცდის.

ტოპაში. როგორ გამოიყურება?

ქალი. მკაცრად.. თან ნერვიულობს.

ტოპაში. ძალიან?

ქალი. დიახ. სულ ბოლოასა სცემს.

ტოპაში. უთხარით, ვერ ვნახე-თქო... ხადდაც წახუღა-თქო.

ქალი. გახაგებია.

ტოპაში. გულწრფელად უთხარით, ბუნებრივად...

ქალი. კარგა ხანია შევეჩვიე.. (გადის.)

ტოპაში. ერნესტინა! მამასთან ერთადი ღმერთო დიდებულიო!

ქალი (შემობრუნდება). ბატონმა — შერე შემოვიცილიო.

ტოპაში. ნუ მიიღებთ! ნურახოდეს, ნურახოდეს! ჩვენი წესები არ გესწავლენათ: უთხარით, გასულია და არ დაუბარებია, როდის დაბრუნდება-თქო. საერთოდ, ნურავის მიიღებთ, ნურავის ახლა წადით, ვმუშაობ!

ქალი. ბატონო დირექტორო, ერთი ხათხოვარი გვაქვს.

ტოპაში. მიუთხარით.

ქალი. პიანინოს მოტანის ნება მოგვეცით.

ტოპაში. რად გინდათ პიანინო?

ქალი. დაკვრას ვისწავლით.

ტოპაში. აქ?

ქალი. არა. გვერდით ოთახში. მეორე მბეჭდავი ქალი ძალიან მოწუენილია და ზოგჯერ თუ წაიშლერებს ზოღმე, გაერთობა.

ტოპაში. რასაკვირველია, მუსიკა ვართობაა. მართო რომ ვყოფილიყავი, ქალბატონო, შესაძლოა ნება დამერთო. მაგრამ ჩემი კომპანიონი, ბატონი კახტელ-ბენაკო, ვიცი, წინააღმდეგი იქნება.

ქალი. ხამწუხაროა.

ტოპაში. ვხარგებლობ შეშთხვევით და იმასაც გაუწუებთ: ბატონი ძალიან უკმაყოფილოა. აქამდეც რომ არ გიშლიდით ვართობას. მირჩია, ავიკრძალოთ ბანკოს, დომინობა და ტაქებს თამაში. გარდა ამისა, მიზანშეუწონლად მოაჩნია თქვენთან ახალგაზრდა მამაკაცთა სტუმრობა.. ისინი თქვენი საქმროები მგონია.

ქალი (გულსწყრომით). ჰოდა, ვადაეციო ბატონს, რომ სცდება მე საქმრო არ მყავს, არც თერმენს. ის ახალგაზრდები ქუჩაში გაგვეცუნენ შეშთხვევით და აქ საკოცნელად შემოვიყვანეთ. თერმენი საუფარულში გულგატეხილია და რამენაირად ზომ უნდა გაერთოს! ამიტომაც გალოთდა საწყალი. ზოღო თუ თქვენც ვადაეციდებით. ხუღ გაგიყდება.

ტოპაში. გეუოფათ, გეუოფათ, ბატონ კახტელ-ბენაკს მოველაპარაკები. ოღონდ ახალ განკარგულებამდე სტუმროების მოწვევას შორეიდეთ და ყოველგვარ თამაშებზეც შეიკავეთ თავი.

ქალი. მაშ, გულზე ხელდაკრეფილება ვიხბდეთ?

ტოპაზი. ელოდეთ.

ქალი. რას?

ტოპაზი. მოგცემო სამუშაოს. მოგცემო.

ქალი. თქვენ აპირებთ სამუშაოს მოცემას?

ტოპაზი. დიახ, ვაპირებ მომავალ კვირას ერთი ბარათი გადაგაწერინოთ.

ქალი. აჰა! ასეც ვიცოდი ამ ბოლო დროს ერთობ ცუდად გვექცევოდა. **გვექცევოდა**  
**გინებლივით**



ასე უცებ...

ტოპაზი (უცებ განრისხდა სწორედ ისე, როგორც წინათ მიუშინ პანსიონში). ქალბატონო, მე თუ ბარათის გადაწერას გიბრძანებთ, უწყყმანოდ გადამიწერთ. ერთი ამით დამიხედეთ! რაკი უმობიერად გექცევით, უძლურად მიგაჩნევართ? სცდებით, ქალბატონო. ხავერდის ხელთათმანში რკინის ხელია დამალული. მიფრთხილდით, ქალბატონო! თუ ვამიჭიუტდებით, მოგტეხავთ! მიბრძანდით და მომავალი შაბათისათვის ხარათის გადახაწერად ახლავე შეუდევით შაადებას!

ქალი. ბატონი ბრძანდებით! (ნელა მიდის.)

ტოპაზი (თვალს გააყოლებს და შესძახებს). ქალბატონო, ერთი წუთით... იცით, რა? მკაცრად მოგექცევით, მაგრამ ნუ მიწუნეთ: ამდენმა საქმემ ისე ამიშალა ძარღვები...

ქალი (მორბილად). გახაჯებია, ბატონო დირექტორო. (ვადის.)

მეორე სცენა

ტოპაზი მარტო, შემდეგ სუზი და კასტელ-ბენაკი

ტოპაზი (ნერვულად და კეშტად ბოლთას სცემს, თავს სინანულათ გადააქნევს ხოლმე, ბურღუნებს). „თვალი ხამარიდან უშვერდა მახ“. (ტელეფონმა დარეკა. ტოპაზმა ყურმილი აიღო, უსმენს. მარცხენა ხელი ნესტოებზე მიიჭირა და ხმა შეიცვალა.) ბატონი ტოპაზი გახუთია, ბატონო... რომელი გაზეთი? „ხაზოგადობრივი შეგნება“? კეთილი... არ ვიცი, თქვენს მიღებას შეძლებს თუ ვერა... იქნებ სჯობია, არ შეწუხებუღიყავით... კეთილი გმადლობ, ბატონო... (ყურმილი დადო.) ეტუობა, ყურნალისტი იყო.

სუზი (შემოდის). საღამო, ძვირფასო ტოპაზი როგორ ბრძანდებით!

ტოპაზი. შეძლებისდაგვარად, ქალბატონო, გმადლობთ ყურადღებისათვის!

სუზი. ძვირფასო მეგობარო, რომ არ მაინტერესებდეთ, ასე მნიშვნელოვანი საქმის ხელმძღვანელობასაც აღარ მოგანდობდით.

ტოპაზი. ამისთვისაც დიდად გმადლობთ, ქალბატონო!

სუზი. დღეს ხად სადილობთ?

ტოპაზი. შინ.

სუზი. ოპო! პაემანი დაუნიშნეთ ვინმეს?

ტოპაზი. არა, ქალბატონო. განმარტოებით ფიქრი მიყვარს.

სუზი. მაშინ, ერთად ვისადილოთ, ჩემთან.

ტოპაზი. მარტო თქვენთან?

სუზი. კასტელ-ბენაკი და ორიოდ სხვა მეგობარიც შეუოლებს.. გაერთობით.

ტოპაზი. დიდი ბოდიში. მაგრამ, ნება მიბოძეთ, ხტუმრობაზე უარი შემოგბედოთ. არავის დანახვა არ მინდა.

სუზი. მაშ, უარს შეუბნებით?

ტოპაზი. ქალბატონო, თუ ნებას დამრთავთ-მეთქი.

სუზი. გიმეორებთ: თქვენთან უბრალო საუბარი მომწყურდა. ასე რომ...

ტოპაზი. მაინც ვერა, ქალბატონო. ჯერ ერთი, უბრალო საუბარს გადავეჩვიე და, მეორეც, ჩემთან საუბარი ვერაფერს გასიამოვნებთ.

სუზი. ტოპაზ, ძვირფასო, რა გემართებათ?

ტოპაზი. არაფერი, ქალბატონო, ისეთი არაფერი.

სუზი. იცით, კასტელ-ბენაკი თქვენს ამბებს ძალიან მტკივნეულად განიცდის.

ტოპაზი. ვიცი, შესანიშნავი ადამიანია, გულშემატკივარი...

სუზი. ასე ამბობს თქვენზე, ჩამოხმაო, მოეშვაო...

ტოპაზი. გულისთადი ადამიანია, თანამგრძობელი.

სუზი. რაღაც გაწუხებთ. აქამდე ვერ შეეჩვიეთ აქაურობას?

ტოპაზი. ყველაფერთან შეგუება ვიქნ.

სუზი. ხომ იცით, მე თქვენი მეგობარი ვარ...

ტოპპანი. ვიცი, რამდენჯერ გითქვამთ.

სუზი. მაშ. რამ შეგაწუხათ?

ტოპპანი (შეკვთრად). იმან შემაწუხა. ქალბატონო, რომ უველაფერი ნათლად დავინახე, არმოცდაორი დღეა. რაც აქ ფეხი შემოვდგი და უკვე ოცდახამი დღეა, დარწმუნებული ვარ, დაშლინით.

სუზი. ასეთ ლაპარაკს თუ არ მოიშლით, მართლა დაგცინებთ.

ტოპპანი. ცამეტ აპრილს, საღამოს შვიდ საათზე თქვენი მიპატიჟებული კომპლექსი დაგწვივით. სადარბაზოს მახლობლად რომ პატარა სასტუმრო ოთახი გაქვთ, იქ შევიცადე, შემინული კარის მიღმა საზარელი ლაპარაკი შემომესმა.

სუზი. საზარელი?

ტოპპანი. დიახ, საზარელი. ჩემი ყურით რომ არ გაგეგონა, არც დავიჭერებდი. ბატონმა კასტელ-ბენაკმა გკითხათ: „დვირფახო, ის სიმპათიური იდიოტი რატომ მოიპატივეო?“ თქვენ მიუგეთ: „თუ ცოტას მოგეფერებით ხოლმე, ის სიმპათიური იდიოტი ძალიან გამოგყვადგებაო“. სიმპათიური იდიოტი მე გახლდით. რაც შეეხება საამოდ ნათქვამ „დვირფახოს“. ზუსტად მაგრძობინა თქვენი და იმ კაცის ურთიერთობა.

სუზი. დვირფახო, თუ ამას თავიდანვე ვერ მიხვდით, ანია, რომ მოტყუვდით.

ტოპპანი. მაშანადამე, იმ კაცის საუვარელი ბრძანდებით?... ის ხომ თავის მეუღლეს ლაღატობს?

სუზი. მერე რა?

ტოპპანი. მოი, ღმერთო მალალო!

სუზი. ეს პატარა შემთხვევა ერთხელაც ადასტურებს, რომ ამოდ გჩვევიათ მიყურადება. უფრო დელიკატური შეგონეთ. ერთობ საძაგელი ჩვეულება გქონიათ, შემთხვევით შეიტყუოთ ის, რაც დიდი ხანია უველამ იცის.

ტოპპანი. ქალბატონო, მე ამ აუტანელ ყოფაში თავს არ ჩავიგდებდი, თქვენ სხვანაირად რომ არ დაგებატათ. მახეში გამაბით!

სუზი. რახა ბრძანებით უველაფერი შემთხვევით მოხდა, საჭირო კაცს ვეძებდით და სწორედ მაშინ გამოჩნდით. მოდა, რაკი მომწონდით, მესიმპათიურებოდით, კასტელ-ბენაკს ვურჩიე თქვენი თავი...

ტოპპანი. ქალბატონო, არ ვიცი, როგორ გესიმპათიურებოდით, მაგრამ მერჩია, იმ დღეა მდინარეში გადაგვადეთ.

სუზი. მაშინ კი დამეთანხმეთ...

ტოპპანი. დავეთანხმე თქვენს ღიმილსა და გამბედილ ხეაშიადს, გულისმომკვლელად რომ მიამბეთ. ვუცქერდი თქვენს სილაშაზეს და უველაფერი მართალი შეგონა, თავი წარმოვიდგინე რაინდად, რომელსაც ბედმა არგუნა ურჩხულთან შებრძოლება და მშვენიერი ასულის ტყვეობიდან გამოხსნა... თავი სიზმარში შეგონა, პოეზიის სამყაროში გადავეჭვი გონიერად. მაგრამ ცამეტ აპრილს, საღამოს შვიდ საათზე კვლავ დედამიწაზე დავბრუნდი. მუქყოთა და გარყვნილებით ხავსე დედამიწაზე.

სუზი. რეფიმ მითხრა, ერთ თვეში ტოპპანა ოცდათორმეტი ათასი ფრანკი ჩაიჭიბაო, რითი ხარო უკმაყოფილო?

ტოპპანი. საკუთარი სინდისით.

სუზი. სინდისს თავი დაანებეთ და...

ტოპპანი. თავად არ მანებებს თავს, ფებლაფებს მომდევს და მახჩობს. უველა ჩემი საქციელი გულზე მძიმედ მაწვება. ამ კაბინეტში დამალულს გარე სამყარო მემუქრება. ამ დღით ვეღარ მოვიტოვინე და ფანჯარაში გავიხედე. წინ ჩამიქროლა ქუჩის საგველმა სამმა მანქანამ, რომლებსაც წინ მონიკელებული ასოებით ეწერა ჩემი სახელი: „ტოპპანის სისტემა“. ამ მზნინავ ტყუილზე არეკლილმა მზემ თვალები მომჭრა, უკან დავიხიე: ფანჯარა დავხურე. მაგრამ ძრავების გუგუნი ჩემამდე მაინც აღწევდა. მერედა, იცით, რას გუგუნებდნენ? იმეორებდნენ ერთადერთ სიტყვას: „კომბინატორი, კომბინატორი, კომბინატორი“. ხოლო მანქანის მრგვალი ჩაგრისი ქვაფენილს ჩასჩურჩულებდა: „ტოპპანი მშიშარა გაიძვერაა, ტოპპანი მშიშარა გაიძვერაა“.

სუზი გონება დაგბნევიათ. ჩემო საბრალო მეგობარო! თქვენი მოღაანდებების ამბავი კასტელ-ბენაკს უნდა შევატყობინო.

ტოპპანი (ნალღლიანად). რა საჭიროა? თავადაც ვიცი, რომ ეს უველაფერი მოღაანდებებია, მაგრამ, რა ვქნა, დღითა და ღამით რომ არ მანსვენებს!



სუზი. ეს ამის ბრალია, აქ ტუსადივით რომ ჩაკტილხართი ისარგებლეთ თქვენი მდგომარეობით, გაისერიწეთ, შეხვდით ხალხს!

ტოპაზი. ხალხს შევხვდე? ქალბატონო, გგონიათ, გავუძლებ პათოსსანი კაცს შემოხვდვას?

სუზი. ვთქვათ, პათოსსანი კაცს მართლაც განსაკუთრებული გამოხედვა აქვს, განა/ახეთი თვალი ხშირად გვხვდება? (უცქერის და ტოპაზის ნერვული თრთოლება დაკვირვებს) გამდვილად შეშლილსა მგავსი ტოპაზ, ავად ხართ? ორიოდ კვირით სოფელში გაისერიწეთ, კასტელ-ბენაკს შე უვლადფერს ავუხსნი...

ტოპაზი. არა, არა, აქ დავრჩები, ველოდები.

სუზი. რას ელოდებით?

ტოპაზი (საწეიშო იერით). გარდაუვალს!

სუზი (შეშფოთებით). ხომ არ დაგვაბეზღეთ?

ტოპაზი. ვაი რომ, არა... ველარც გავბედავ შე ამას!.. საძაგელ თქვენს საქციელს რომ ნიღაბი ჩამოგხსნა, ამიფ ხომ ჩემს თავსაც აშკარად შევირცხვენ...გარდა ამისა თქვენ როგორ გაგცემთ, თქვენ...

სუზი შე ისეთი რა ვარ?

ტოპაზი (მკაცრად). ნუ თვალთმაქცობთ, ქალბატონო, გრძნობა, რომელსაც გულში გმალავდი, ჩემზე ადრე ამოიციანით... და ეშმაკური მოხერხებით ჩინებულადაც გამოიყენეთ, სატანჯველში ჩამაგდეთ. იმდენად გავსულელდი, უვლადფერი ვიცი და სიყვარულს მაინც ვერ ვეღვევი, ერთდროულად მძულხართ და მიყვარხართ. ვიცი, რატომ მძულხართ და ვერ გამოგია, რატომ მიყვარხართ... მთელ ამ უბედურებასა და სიძულვილში ჩაფლულს, ერთადერთ სახიზარულს ნუგეშად დამჩჩა, თქვენი სიყვარული რომ არ ჩამიკვდა.

სუზი (ოცნებით გატაცებული დემილის შემდეგ). გიჟი ბრძანდებით, მაგრამ სახიამოვნო ქათინაურებს კი შეუბნებით ხოლმე.

ტოპაზი (მწარედ). დიახ, სახიამოვნოს.

სუზი. ამ საუბარს კარგა ხანია ველოდებოდი. ვიცოდი, ბოლოს და ბოლოს, გაიგებდით სიპართლეს და შეშფოთებით ვფიქრობდი: ნეტავ რას იზამს-შეთქი?

ტოპაზი. თვითონაც მხედავთ, ქალბატონო, ჩამოვხში, სხვა ვერაფერი მოვახერხებ.

სუზი (გულწრფელად). საბრალო ნეტავ იცოდეთ, როგორ შეცოდებით!... ენახობ!..

ტოპაზი. არაფერსაც არ ნახობთ, საწადელი გაინაღდეთ! დაქირავებული უზრმოჭრილი უმახავით დაბიზონეთ, ფულს ბლომად აკეთებთ და მოჩვენებითი სიმშვიდით ნებიფრობთ საყვარელ კაცთან. გიყვართ ურჩხული, არამზადა, პოლიტიკური მუწუკი, თაღლითზე თაღლითი, გაიძვერა, რომელიც ოდესმე იგრძნობს, როგორ დნება მისი ყვიციელი ქონი კატორღის მცხუნვარე მზისქვეშ.

სუზი. რა ტყუილად იღლით ენას! ჭერ ერთი, კასტელ-ბენაკი კატორღაში არახდროს მოხვდება, მეორეც, არ მიყვარს შე ის კაცი.

ტოპაზი. არ გიყვართ?

სუზი. თქვენ ბოდეა გჩვენებთ.

ტოპაზი. თუ არ გიყვართ, რატომღა დაიპატრონეთ?

სუზი. იმიტომ რომ, დიდებულად მაცხოვრებს.

ტოპაზი. დიდებულად! თქვენ ხომ სხვისი შორჩილი ხართ!

სუზი. როგორც უველა ქალი, რა განსხვავებაა, კმარს ემორჩილები თუ საყვარელს!

ტოპაზი. თუ კასტელ-ბენაკი არა, მაშ, ვინ გიყვართ?

სუზი. არავინ.

ტოპაზი. იქნებ უმწველიქალობისას გავიცუდათ გული სიყვარულზე?

სუზი. არა, სიყვარულზე გული არახდროს გამტეხია, სიყვარულს მოთხოვნილება კი არ მქონია როდისმე.


ტოპაზი. მაშინ, არც გული გქონიათ როდისმე!

სუზი, საამისოდ არახოდეს შეცალა, ბედი თქვენსავით როდი სწყალობს უველას.

ტოპაზი. შე მწყალობს ბედი?

სუზი. აბა, რა! ფული უზრუნველად მოგიზღვავდათ, თქვენ კი იმდენი სითამამეც არ გეყოთ, ამ ბედნიერებას ღირსეულად შეხვედროდით. შე კი ფული წვალეებითა და დავიღარაბით მოგვიპოვე, სიღარიბეში რომ არ მოვმკვდარიყავი, ცხოვრებაში უველა ნაბიჯს წინახწარ ვზომავდი, რას მოვიგებდი და რას წავაგებდი. ხშირად მსხვერპლის გაღებაც მიხდებოდა, (მკვარედ) რას მსაუვედურობთ? კმარი რომ არ მყავს? ოცა წლისას მდიდარი საქმროს რომ

შემომძღვრდა, გეფიცებით, უარს ყახიდადაც არ ვიტყოდი, მაგრამ ღარიბ-ღატაკს, იცით, ვინ მოხოულობდა? შვედლის ვაჟი, გაზეთის გამყიდველი და ტრამვაის კონტროლიორი. იმით რომ გავყოლოდი, რა ვიქნებოდი ახლა? ნაადრევად დაბერებული, კბილებჩაუვითლებული და ხელებდაშაშრული დედაკაცი. შემომხედეთ, რა გადავარჩინე! (ახარბებს ხელუბნა და კბილებს) ტოპაზი (ორკოფულად). და მაინც ბედნიერება ფულში არ არის.



სუზი. არა, მაგრამ... ფულით ბედნიერების ყიდვა შეიძლება. მე ვიცოდი, რასაც ვესწრ-  
აფოდი და მივაღწიე კიდევაც. ხხვათა შორის, სულაც არა ვარ მოვალე მათთვის, ვინც მათი  
ვიმართლო, არც ის ვიცი, რისთვის გიყვებით ყოველივე ამას.

ტოპაზი. იქნებ მოგწონვართ?

სუზი. რომ მომწონხართ, ადრევე გითხარით და არც მომიტყუებინა.

ტოპაზი. მოდა, ხომ შეიძლება, ოდესმე მოწონება ხხვა რამეში გადაიზარდოს?

სუზი. ძვირფასო ტოპაზ, მოდიო, ესეც გავარკვიოთ. იცით, რითი დამაინტერესეთ? თქვენ-  
ში დავინახე ისეთივე კეთილშობილება და დიდი, ამაღელვებელი გულუბრყვილობა, მამარჩმს  
რომ სჩვეოდა... იმას თქვენზე პატარა თანამდებობა ეჭირა! თქვენი არც იყოს, გახაოცარი პა-  
ტიოსნებით მუშაობდა... სული კი სიღარიბეში დალია, დიან, სიღარიბეში. როგორც ხედ-  
ავთ, ჩემი თანაგრძნობა თუ მოწონება არ ნიშნავს სიყვარულს... თქვენი შეყვარება კიდევ რომ  
მომენდომებინა, ჩემს თავს ამის უფლებას არახდროს მივცემდი.

ტოპაზი. რატომ?

სუზი. იმიტომ, რომ გაუბედავი, უნებისყოფო და გულუბრყვილოდ მიმნდობი კაცი  
ხართ... მე მჭირდება მამაკაცი, ცხოვრების ფართო გზაზე რომ გამაქროლებს. თქვენ კი თვი-  
თონ ხართ მაჩანჩალა, ასე ვთქვათ, ბუქსირით სათრევად.

ტოპაზი. თქვენ არ იცით, ჩემში თვლემს უდიდესი ენერჯია და ნებისყოფა...

სუზი. არა, ჩემო ძვირფასო, თქვენ მხოლოდ მოჩვენებები გჩვენვიათ. გელანდებათ, რომ  
ქუჩის ხაგველი მანქანები გესაუბრებიან. ეს მეტად პოეტურია, მაგრამ ნაკლებად საიმედო.  
ვიყოთ მხოლოდ შეგობრები. ეხლა როცა კრიზისმა გაიარა, გაეცანით ცხოვრებას, მე კი შე-  
ძლებისდაგვარად დაგებმარებით.

ტოპაზი. ვიდრე აქ შემოხვიდოდით, ერთდროულად მიყვარდით და მძაგდით. ახლა ის-  
ეთი რამ მითხარით, ყველა ჩემს იმედს ცივი წყალი გადაასხით. მაგრამ მაინც გულწრფელად  
მიპატიებია ის ბოროტება, მე რომ გამოიკეთეთ.

სუზი. ჩემო კარგო ტოპაზ, ეს ბოროტება კი არა, სიკეთეა. მე თქვენი სიკეთე მწაღია.

ტოპაზი. კეთილი! რაკი ჩემთვის სიკეთე გწადიათ, სამაგიეროდ მეც ჩაგახედებთ ჩემს  
გულში და აქ შენახულ საიდუმლოს გაგანდობთ... გაგიმხელთ, რომ...

ბენბატი (შემოდის). საღამო, ძვირფასო ტოპაზ!

ტოპაზი. იცოცხლეთ, ბატონო მრჩეველო!

ბენბატი. რა არის ახალი?

ტოპაზი. არაფერი, ბატონო მრჩეველო.

ბენბატი. მავანი რებიზულე ხომ არ გვწვევია?

ტოპაზი. არავინაც არ გვწვევია.

ბენბატი. აქ ერთი კაცი მოვა. უჩემოდ მოელაპარაკებით. რადგან ეს თქვენთვის პირველი  
დამოუკიდებელი გარიგებაა, შეგიჩინეთ მსუბუქი საქმე, თანაც მზიარული... პირისახე კირი-  
სუფალივით მუდამ რომ ჩამოგტირით, იქნებ გაიღმოს.

ტოპაზი. კეთილი, ბატონო მრჩეველო.

ბენბატი. რებიზულე აუცილებლად შემოივლის დღეს.

ტოპაზი. კეთილი, ბატონო მრჩეველო.

ბენბატი. ის რებიზულე დიდი ლუდხანის მეპატრონეა. შარშან ჩვენმა პიგიენის განყოფი-  
ლებამ, მეფე ვესპასიანეს უკვდავხაყოფად, რებიზულეს ლუდხანის წინ თხელი თუნუქის მომ-  
ცრო ნაგებობა დადგა — საპირფარეშო.

სუზი. დაილოცოს!

ბენბატი. ამგვარად, ზაფხულის სიცხეების ჩამოდგომისთანავე ამ საპირფარეშომ ლუდხანის  
ფარდული თანდათან გამოუსადეგარი გახადა. ცხადია, მუშტარი გაურბის მის სურნელებას,  
მოდა, რებიზულემ მოხოვა. იმ ნაგებობის გაუქმებაში მომებმარეო.

ტოპაზი. ბუნებრივია.

ბენბატი. მე მოუცლელობა მოვიმიზეზე, ბატონ ტოპაზს მიაკითხეთ და ის მოგიგვარებთ-  
მეთქი. რებიზულე გეწვევათ, საქმის მოგვარებას დაპირდით, ოღონდ ისიც დახიინეთ, ეს  
უდავიდარაბოდ არ გაკეთდება, ათი ათასი ფრანკი უნდა დაიზარკოს-თქო.

ტოპაზი. კონკრეტულად რომ შკითხოს, რისთვისო, რა ვუპასუხო?

ბენაპი. არავითარი ახსნა-განმარტება. მშვიდად მოსთხოვეთ ათი ათასი ფრანკი. უყოყმანოდ მოგცემთ. მერე ჩემი ბრძანებით ამ საპირფარეშოს ბერტიონის კაფესთან გადაიტანენ.

ტოპაზი. მერე, ბატონი ბერტიონი არ აყვარდება?

ბენაპი. მალე ისიც ისეთივე თხოვნით მოგადგებათ და ათი ათას ფრანკს დაგიტოვებთ. ბერტიონის შეშდეგ სხვაგან გადავადგმევინებთ. პოდა, ვიდრე ეს პატარა მოხატაქმრებული მთელ უბანს შემოივლინს, სამას ათას ფრანკს ჩავიჭიბავთ, ნაღდი საქმეა, ხარფუანდო, ყაყაქი ქნვარული. შეგვიძლია უოვედწლიურად რიგრიგობით ჩამოვუაროთ ხუთ-ექვს კაფეს და... ხომ არის სასაცილო?

ტოპაზი. დიახ, ბატონო მრჩეველო.

ბენაპი. მერედა, გაიცინეთ, გაიცინეთ!

ტოპაზი. ბატონი რეზიზულე უმძველად შე უნდა მივილო? იქნებ...

ბენაპი. მხოლოდ თქვენი ორი თვეა, აქ წიხართ. დროა გააქტიურდეთ! შე დიახაც მეუოფოდა თქვენი ხელმოწერა, მაგრამ სისულელეა უმოქმედო კაცის შენახვა. უნდა გაგწვრთნათ, რათა მარჯვე თანაშემწე მყავდეს. უველაფრის მცოდნე... შედმეტ ფულს ვისთვის უწყენია... ოდესმე იქნებ დეპუტატადაც ამირჩიონ და მაშინ ბევრ საქმეს ერთად გავჩარხავდი.

ტოპაზი. უაღრესად გუჯერთილი ბრძანდებით, ბატონო მრჩეველო.

ბენაპი. რას ამოიჩემეთ ჩემი ტიტული, პატრონი დამიძახეთ.

ტოპაზი. კეთილი, ჩემო პატრონო.

ბენაპი. აი, კიდევ რა... მუნიციპალიტეტში დარეკეთ და გაიგეთ, ქუჩის საგველი მანქანების ჩეკს როდის გამოგვიგზავნიან.

ტოპაზი. უკვე გამოგვიგზავნეს.

ბენაპი. რა უპავეით?

ტოპაზი. აქ შევინახე. (უჯრას გამოიღებს და ჩეკს ამოიღებს.)

სუზი. რატომ აქამდე არ მითხარით?

ბენაპი. ახლავე გაიქეცით და მიიღეთ... ჩეკსონის ბანკში თქვენს სახელზე ანგარიში გავხსენი. ეს ფული იმ ანგარიშზე შეიტანეთ.

ტოპაზი. კეთილი. ახლავე?

ბენაპი. რა თქმა უნდა, ახლავე.

სუზი. ბანკი აქვეა, ვილსონის ბეივანთან.

ტოპაზი. კეთილი, პატრონო. მაშ, ახლავე წავიდე?

ბენაპი. რამდენჯერ გითხრა! გაიქეცო!

ტოპაზი ჩეკი აიღო, რამდენჯერმე ჩაახველა, ქუდი დაიხურა და ფეხათრევიტ წავიდა.

მისამე სცენა

კასტელ-ბენაკი და სუზი

ბენაპი. რეგვენი რეგვენად დარჩა.

სუზი. მოკვეციანდება. ეს-ეს არის გაითამაშა სცენა, რომელსაც ველოდით.

ბენაპი. რაო?

სუზი. კარგა ხანია მიმხვდარა უველაფრს, მაგრამ იმაზე ნაკლებად შფოთავს, ვიდრე მოველოდი.

ბენაპი. გგონია, ბოლოს და ბოლოს, მაგისგან კაცი დადგება?

სუზი. ვიმედოვნებ, თანდათან გამოკეთდება. შე როჟე უფრო მაწუხებს.

ბენაპი. შეგხვდა?

სუზი. ამ დილით.

ბენაპი. რაო?

სუზი. ბუნდოვნად მელაპარაკა: ასეთი ხაჩოთირო საქმეში უფხო კაცის გამოყენება საბიფათოაო. კიდევ შემომფიცია: უსიაშოვნებას თუ შეეუაროთ, იცოდეთ, ჩემი ბრალი არ იქნებაო. შენ ეს არ გაწუხებს?

ბენაპი. ჩემ წინააღმდეგ არც ერთი სერიოზული გაზეთი სტრიქონსაც არ დახეჭდავს. შე ერთობ ბევრი თადლითობის ამბავი ვიცი, იმათთან შედარებით ჩემი გაკვაჭულის საქმეები ბავშვის ცელქობად ჩანს. ასე რომ, ვერავინ წამომძახებს.

სუზი. არც ის გადარდება. პროკურორს ანომიმური წერილი რომ გაუგზავნოს?

ბენაპი. მომისმინე! ფისო. შენც ხომ იცი, უველაგან რომ ჩემი კაცი მყავს... ნაცნობი.

სუნი. ნაცნობობა უოველთვის არ კრის. ისეთებიც მიჩნავს ციხეში ჩამქდარი, მინისტ-  
რებს მშა-ბიჭურად რომ ელაპარაკებოდნენ

ბენაპი. ეგ ომის დროს იყო. ახლა ნორმალური ცხოვრება დაგვიდგა (მბრძნ)

გალობა სენა



ქართული

გაიხ-

სუნი და ტოპაზი

სუნი ცოტა იწით მარტო რჩება, საწერ მაგიდაზე ქალაქებს ათავსებდა და გაიხ-  
მის ფეხის ხმა და საშინელო ხმაური. სუნის ოთახის კარში გამოჩნდება ტოპაზი. გაფითრე-  
ბული და დაფეთებულია. სულს ძლივს ითქვამს. მეორე ფანჯრისკენ გარბის და ქუჩისკენ იფუ-  
რება.

ტოპაზი. გადავჩიი (ყველა კარს გასაღებით ატყავს).

სუნი (შეშინდა) რა მოხდა?

ტოპაზი (არეულ-დარეული მძიმედ სუნთქავს. სავარძელში ჩაეშვება). დღერთო დიდ-  
ბუღოს.. რახაკვირველია. ამას ველოდი, მაგრამ მაინც.. უპ, უპ! (თითქოს გული მისდისო-  
ტიქაში წყალს ისხამს და აცახციანებული სვამს.)

სუნი. ტოპაზ, მომხედეთ, ტოპაზი რა მოხდა?

ტოპაზი. მათვალთვალებდნენ. გარდაუვალი იყო ეს. ორი კვირაა ჩახადრებულები მწვე-  
რადდნენ.. როგორც კი გარეთ გავედი, ჯაშუში ამედევნა. მიხვდი და უკანმოუხედავად გავ-  
ქურცხლე. მაშინ მთელი ბრბო გამომედევნა. მაგრამ ფრთები გამოვისხი. მათთვის გზა-კვალი  
რომ დამეზნია, ორჯერ შემოვურბინე კვარტალს და ჩვენს დერეფანში შემოვვარდი.. გადავჩიი!  
აქა ვარ უკვე!.. გადავჩიი, მაგრამ განა დიდი ხნაო?

სუნი. ტოპაზ, როდემდე გააგრძელებთ ამგვარ ხიხულელებს? ვიდრე რაღაცები აქ მი-  
ღანდებათ, საშიში არ არის, მაგრამ თუ თქვენმა მოჩვენებებმა ხაფრთხეში ჩაგვყარა..

ტოპაზი. ქალბატონო, არა გჯერათ? გახედეთ! (ფანჯარასთან მივა და ფარდას ფრთხილად  
გადასწევს.) თვითონვე შეხედეთ, შეხედეთ! იმავე ადგილას დგას.

სუნი. ვინ ჩედავთ?

ტოპაზი. აი, ის მხუქანი კაცი, უპიჯაკო, ლურჯ წინსაფრიალი..

სუნი. ეგ ხომ ჩვენი მეზობელი ნოქარი?

ტოპაზი. არა, ქალბატონო, არა! (ფარდას ჩამოუშვებს.) ეგ ერთობ წააგავს მეზობელ-ნო-  
ქარს, ხეორედ ამიტომაც არ არის მეზობელი ნოქარი.

სუნი. მაშ, ვინ არის?

ტოპაზი (ჩურჩულით). პოლიცია.

სუნი. გგონიათ, თქვენ გითვალთვალებთ?

ტოპაზი. ზუსტად. ჩემს ფანჯრებს თვალს ვერასდროს უხწორებს, ვერასდროს ერთი სხვა  
კაციც მყავს შემჩნეული: თვალთმაქცობს, ქოლგებს ვაყერებო, ქუჩის მომდერლებს ხომ ველ-  
არ ავუდივარ, დღეში ხუთი-ექვსი გაივლ-გამოივლის ხოლმე. ეველაფერი გასაგებია! ქალბა-  
ტონო, მე კატასტროფის ნიშნებს ვამჩნევ, მაგრამ ამ ნიშანთაგან თქვენთვის ჯერ ცოტა რამ  
მაქვს გასამხელი.

სუნი. თუ კატასტროფა გვიახლოვდება, ამან გვიშალავთ?

ტოპაზი. თქვენი და კახტელ-ბენაკის გაფრთხილება აქამდე მიზანშეწონილად არ მივი-  
ჩნეე. აი, რა ბარათი მივიღე წინა კვირას.

სუნი (კითხულობს) „ტოპაზ, ბინძურ საქმეს მოჰკიდე ხელი, პოლიციის თვალი კი  
უოველისმხილველია. მოეშვი მაგ ძვალს, თორემ ციხეში ამოყოფ თავს“. ხელს აწერს „მეგო-  
ბარი“. ხუმრობაა. ანონიმური წერილი! გიკრძალავთ, ასეთი მონაჩაბებით ჩემს შეშინებას!  
სიხულელე და შეტი არაფერი.

ტოპაზი. ესეც ნახეთ... გაზეთი „საზოგადოებრივი შეგნება“, დღევანდელი ნომერი: „სკა-  
ნდალური ამბავი მუნიციპალიტეტში“. „ჩვენი გაზეთის საინფორმაციო ბიუროს მუშაკები  
წააწყდნენ ქრთამის ადების ფრიალ სეროიზულ შემთხვევას. მივიღეთ რამდენიმე ცნობა და  
ერთმანეთთან შექერებით შემდგო დამტკიცდა: პირველი, მუნიციპალის მავანმა მრჩველმა,  
დასვა რა საბჭოს სხდომაზე ენჭის საურელად საზოგადო-სახარგებლო მანქანების შესაძენად  
მსხვილი კრედიტის გაცემის საკითხი, თვითონვე მოჰკიდა ხელი ამ მანქანების გაზრდილ ფა-  
სებში გაუიღვას. მეორე, შემცველელ პირად ამ საქმეში იგი იყენებს ბედუქულმართ მასწავლე-  
ბელს, რომელიც უზნეობისათვის გამოაგდეს სკოლიდან, მესამე, უაბლოგს დღეებში  
გამოვაქვეუნებთ ციფრებს, საქმეში მონაწილეობა სახელებს და შეგატყობინებთ იმასაც, დამ-  
ნაშავენი როგორ დაიხჭებიან“. ეს სტრიქონები ლურჯი ფანჯრითაა შემობაზული.

სუზი. კასტელ-ბენაკს უჩვენებო?

ტოპაზი. არა. დე, ბედისწერამ აღუხრულოს ვანაჩენი! ჩემს ბედისწერას არც მე გავუ-  
ქცევია აი, კიდევ რა, ქალბატონო. გუშინ დილით ვიღაცები ჩვენი აბრის წინ შეჩერდნენ.  
ბრბო შეიყარა. უვიროდნენ, მუშტებს გვიღერებდნენ.

სუზი. საკუთარი თვალით დაინახეთ?

ტოპაზი. დიახ. როცა ფანჯარასთან მივედი, უკმაყოფილების შეძახილები გამრბვლდა.  
არ მომჩვენებია, დმერთმანი. ბრბოსაც ჩემი თვალით ვხედავდი და მისი კურჩილიც ჩემი  
უპროთ მესმოდა. მალე საზოგადოების რისხვა დაგვატულება თავს, დროა გავსტუმრობო

სუზი. უოვლად შეუძლებელია...

ტოპაზი. შურისძიება ახლოვდება, მე ამას ვგრძნობი იმასაც ვგრძნობდი, ასეთი დასახ-  
რული გარდაუვალი რომ იყო, რადგან საზოგადოება ყოველთვის სამართლიანია. დანაშაულს  
უეჭველად ხასჭელი მოსდევს. თუ ვინცობაა ბედმა გაგიღიმათ და ცხოვრება ხელახლა და-  
იწვეთ, ვახსოვდეთ, არსებობს ერთადერთი გზა პატიოსანი ცხოვრებისა.

სუზი. თქვენ გიფი ხართ, მე კი ჩერჩეტი, რომ გისმენთ. მერედა ის ბრბო, რომელსაც  
ვითომ ხედავდით, რას იძახდა?

ტოპაზი. რას იძახდა და... „ვაშა, ტოპაზი.. ეს აღმაშფოთებელია პოლიციას მოუბშეთ!“  
მერე კი „უ, მუ, მუს, ხა, ხა, ხა კმარა, გეყოფათ“ (ამ დროს ქუჩიდან ისმის სწორედ ამგვარი  
წამოძანილები.)

ბმა: ოპო! აქ სასაცილო არაფერია! საძაგლობა! პოლიციას გამოუძახეთ (განცვიფრე-  
ბული სუზი ფანჯარასთან მივა და შეშინებული უმაღ უკან დაიხევს. მბეჭდავი ქალი კარს  
შემოაღებს და დამფრთხალი მიმოიხედავს.)

ბალი. ბატონებო, პოლიცია!

მეხუთე სცენა

ტოპაზი, სუზი, პოლიციელი და მბეჭდავი ქალი.

გამოჩნდება პოლიციელი ტოპაზი უკან-უკან დაიხევს, პოლიციელი ხელს აუღებს.

ტოპაზი. ერთი წუთით მადროვეთ, თუ შეიძლება!

პოლიციელი. თუმცა საჩქარო საქმეა, მოგიცდით. შემობრძანდით, ქალბატონო!  
(შემოდის მბეჭდავი მეორე ქალი, ეტყობა, მთვრალია.)

ტოპაზი. რა მოხდა?

პოლიციელი. ეს თქვენი თანამშრომელი ფანჯრის რაფაზე ქდება და ხალხს ხელს უქ-  
ნევს, აქ მოგროვდითო. ეს ამბავი გუშინ დილით დაიწყო. მე ჩვეულებრივ ჩავიარე და რას  
ვხედავ: ფანჯარასთან წის ეს ქალი და ყველა გამელელ-გამოვლელს შიშველ მკერდს ახარ-  
ბებს. თანაც მთლიანად კი არა, ნახევარს, ესე იგი, მაპატიეთ და, ცალ ძუძუს. რამდენიმე  
მგზავრი, ცხადია, შეჩერდა. ზოგმა ტაშიც დაუკრა, უშთავრესად მამაკაცთაგანმა. მე ეს ამბა-  
ვი უფროსს მოვახსენე, უფროსმა კი მითხრა: „არაფერი შეგვეშალოსო. იქ ბატონ ინტინერ  
ტოპაზის კანტორაა, მისი სისტემის მანქანებით ქურებს მგვიანო. პოდა, შესაძლოა, ის ქალი  
ამერიკული რეკლამა იყოსო“. ამ დილით ვხედავ, ისევ ფანჯარასთან წის და ამყამად ლიკო-  
ორს წრუპავს. მაშინ მივხვდი: ღოთი ყოფილა-მეთქი, პოდა, ამის მოსახსენებლად გეახელით.

ტოპაზი. მხურვალე მადლობა მომიხსენებია!

სუზი (იციინის). წაიყვანთ?

პოლიციელი. სიამოვნებით, ქალბატონო. (უღვაშების გრეხით გადახედავს მბეჭდავ  
ქალს სუზი გადის.)

ტოპაზი (მიადახებს). ბატონო პოლიციელი, ამ ამბავს რაიმე შედეგი მოჰყვება?

პოლიციელი. რაიმე შედეგი? ენამ არ გიყვილოსო. მე ცოლიანი კაცი ვარ და... (ქალს  
ხელკავს გამოსდებს და გავა.)

მეექვსე სცენა

ტოპაზი და დარბაისელი მოხუცი

შემოდის დარბაისელი მოხუცი. პროვინციელი ნოტარიუსების მსგავსად ქალარი უღვაშაა.

აცვია ღირსეულად და თავიც ღირსეულად უჭირავს. მკმუნვარე, მაგრამ კეთილშობილი სახე აქვს. უახლოვდება ტოპანს და თავის დაკვირვებას ესაღმებდა.

მონსუცი. ბატონო ტოპანთან საუბრის პატივი მაქვს?

ტოპანი. დიახ, ბატონო, რით შემოიძლია გემსახუროთ?

მონსუცი. არაფერი, ბატონო, დახმარების სათხოვნელად არ მოვსულვარ, პირიქით, მინდა დახმარება შემოგთავაზოთ. (საწერ მაგიდასთან დაჭდება.)

ტოპანი. წინახწარ გმადლობ, ბატონო, ოღონდ ჭერ ეს მითხარხარ, უნდა ხომ არაა?

მონსუცი. ძველი ფილოსოფოსი, რომელსაც ერთი სისულელე (ტოპანი) მაქვს დასაძინებელი აბები აინტერესებს. რა მკვია, ამას რა მნიშვნელობა აქვს, ხაქმეზე ვილაპარაკოთ. ამ დღეებში აღბათ გაზეთში წაიკითხავდით ერთ ცნობას, რომელშიც თქვენი საქმიანობაა მინიშნებული...

ტოპანი. დიახ, ბატონო, მეც ნამდვილად მომეჩვენა: ვაითუ ბედოუკულობით მასწავლებელში მავანმა და მავანმა მე მიგულისხმოს-მეთქი. თუმცა უწინობისთვის სკოლიდან არავის გამოვუგდივარ.

მონსუცი. შესაძლოა, მაგრამ უურნალობისტებსაც ხომ აქვთ უფლება, ცოტა რამ თვითონაც მოიოცნებონ... ამ ცნობის მიხედვით მაინც ნათელია, რომ ქალაქს ეგრეთ წოდებული „ტოპანის სისტემის“ მანქანებს თქვენ აწოდებთ. ამ მანქანებს იტალიური ფირმა უწევს, თქვენ კი ამ საქმეში მხოლოდ კახტელ-ბენაკის დაქირავებული კაცი ხართ. გაზეთის რედაქტორმა ეს საკითხი თვითონ შეისწავლა სერიოზულად და ხვალინდელ ნომერში გამომშურდება თქვენი კომპინაციების ამბები. აი, მე მოგიტანეთ ის ნომერი. (გაზეთს მიაწოდებს.) პირველ გვერდზე იხებდება მსხვილი სათაურით — „ტოპანის სკანდალური საქმე“. (ტოპანი გაზეთს დაბნეული ათვლიერებს. მონსუცი უთვალთვალებს.) ოთხ სვეტზე გაკომილი ყოველნაირად დადასტურებული ბრალდება ხვალ დილით ქუჩებს მოეფინება ხუთი ათასიანი ტირაჟით...

ტოპანი. თანაც ჩემი ფოტოსურათით... კი მაგრამ, ბატონო, მე ვის რა დავუშავებ? რატომ მღუპავენ?

მონსუცი. (იბაყიდ), ბატონო ჩემო, პრესის უპირველესი მოვალეობაა — თვალუფრი აღევნოს საზოგადოების წინგობრივ სიწმინდეს და წილანი ახადოს უველას, ვინც უწინობას ხააღის, მე იმახაც დავძენ: ეს გაზეთის წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ერთი სიტყვით, მე გაგაფრთხილებთ! (დგება.)

ტოპანი. გმადლობთ ამ სიკეთისათვის, თუმცა აქედან სიკეთეს სულაც არ ველო. (პაუზა).

მონსუცი. არაფერს დამაბარებთ?

ტოპანი. არა, ჩემო ბატონო, რა უნდა დავაბაროთ ან ვისთან?

მონსუცი (შემპარავად). გამომსყვემლობის დირექტორს, ბატონ ვერნიკელს, კარგად ვიცნობ. რა გადავცე?

ტოპანი. გადაეცით, რომ მართალია და თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს.

მონსუცი. ეს როგორ, ჩემო ბატონო?! ახლაც უნდა იღონოთ რაიმე, სანამ აურზაური ატყდება! (ტოპანი ხელს უნიათოდ ჩაიქნევს). დაუფიქრდით, ბატონო, პატროსნებაზე მვირფასი არაფერი გაგვაჩნია, მოდა, ამის გადასარჩენად ყოველგვარი მსხვერპლის გაღება ღირს, ვერნიკელი მხეცი როდია... ზოგიერთი რამ გულის ადვილად მოუღობდა... ნუთუ ვერ ხვდებით, რაც უნდა გააკეთოთ?

ტოპანი. ვერა, ვერ მიგიხვდით?! მივირს მიხვედრა?!

მონსუცი. დაფიქრდით და მიხვდით, ჩემო ბატონო, მიხვდით!.. (იღიბება.) თავგანწირვაა საკირო... რაღაც მსხვერპლის გაღება... კიდევ ვერ მიხვდით?!

ტოპანი. მერედა, გაზეთი აღარ გამოვა?

მონსუცი. პატროსან სიტყვას გაძლევთ, უკეთეს დასაფლავებას ვერავინ ინატრებს.

ტოპანი (დაიბნა). უკეთეს დასაფლავებას ვერავინ ინატრებს?

მონსუცი. დამიჯერეთ, მოიკრიბეთ ნებისყოფა და... დაიხაჩეთ თავი!

ტოპანი (სასოწარკვეთილი). ახლაც?

მონსუცი. დროს ნუ დაკარგავთ, ახე აქობებს.

ტოპანი (კვალვ სასოწარკვეთით). როგორ? თქვენი თანდასწრებით?

მონსუცი. (მზიარულად). მაშ, როგორ?

ტოპანი. ბატონო ჩემო, ადამიანის კენესის გაგონება გწადიათ? თქვენისთანავე ადამიანის?

მონსუცი. (გულითადად). ვინ გაიძულებთ, გეთაყვა, იკვნესეთო? მე უველას ვფრჩევ — რის მაქნისია კვნესა და ვაივიში, როცა იცი, საქმეს სხვანაირად აღარ შემოევლება? შენც

ადეკი და იმ გზას გაუხვევი. უველა რომ მიდის მაგრამ მაინც უველა კვანის, თითქოს ეს რაიმეს შეელოდეს.

ტოპაზი (აღშფოთდა). იცით, რას გეტყვით? ამგვარი გულგრილობა თქვენს დირსეებს არ ეკადრებათ დიან, მე საბედისწერო შეცდომა ჩავიდინე, რასაც მთელი შეგნებით ვაღიარებ. ამისთვის უშეკაცრენ სასჯელს ვიმსახურებ. მაგრამ... მაინც...



შემოდის კასტელ-ბენაიკო, ჯერ ტოპაზს შეხედავს. მერე მოხუცს და

მეზვიდა სცენა

ტოპაზი, მოხუცი და კასტელ-ბენაიკი

ბენაპი. რა ხდება აქ?

ტოპაზი. ამ კაცმა ჩვენი ხაიდუმლო გამოამყვანა და მიიძულეს: ჩემ თვალწინ თავი მოიკალიო.

ბენაპი. მართლა?

მოხუცი. როგორ გეკადრებათ, მე მინდა...

ბენაპი. რამდენი?

მოხუცი. ოცდახუთი ათასი. (გაზეთს შეაჩეჩებს.)

ტოპაზი. როგორ, ბატონო? თქვენ ფულს მთხოვდით და არა?!

ბენაპი. გაჩუმდით! ცალკე დაბრძანდით, ძვირფასო!.. (გაზეთს ჩაათვალიერებს...) მაშ ვერნიკელმა იცის, ამ საქმეში შეც რომ ვურევთვარ?

მოხუცი. დიან, მაგრამ ბატონ ტოპაზთან გამომგზავნა.

ბენაპი. კეთა უკრის! ალთა ქალიშვილო.. დამაკავშირეთ „საზოგადოებრივი შეგნების“ გამგებელ ვერნიკელთან! (მოხუცს.) პატივცემულო, იმედია, გამოცდილი შანტაჟისტი ბრძანდებით?

მოხუცი. (განიწყენდა). განა დამწყებს ვგავარ? პანამის ამბებით დავიწყე.

ბენაპი. მო, ის მარჯვედ იყო გაჩარბული.

მოხუცი. დიან... რა დიდებულნი ხალხი გავიყანი მაშინ: დეპუტატები, მინისტრები... ორმოცამდე კაცი... უველა თავაზიანად მომეცა, უპატივცემულობა არავის უკადრებია.. თუ შეცა მაშინ ასეთი დარბაისლური იერი სულაც არ მქონდა, რათა...

ბენაპი. ალთა (მოხუცს). გარეგნული იერი არაფერია! აქ მთავარია თავბედობა!

მოხუცი. აგრეც ნუ იტყვით, ბატონო, ადამიანის გარეგნობა, ხომ იცით... თვალი ქაშხ და თვალი სვამსო, ნათქვამია.

ბენაპი (ტელეფონით). ალთა ძვირფას ვერნიკელს ჩემი მხურვალე სალაშქრო.. არა მიშავს რა, გეთაყვა!.. თავად როგორ გიკითხოთ?.. თქვენი გამოგზავნილა ერთი დარბაისნელი, ფრიად საპატივცემულო ბერიკაცი მესტუმრა... ერთობ მეძვირა... ცოტის დამიკლებთ? რამდენს?.. მაინც მეძვირება.. მე რამდენს გავიმეტებ? მხოლოდ ხუთ ფრანკს... დიან, ასი სუ!.. უური მათხოვეთ, გეთაყვა!.. ამაოდ შემუქრებით ძველ მეგობარს!.. ერთი წუთით მომითმინეთ!.. (ტოპაზს.) ვერნიკელის საქმე მომანოდეთ!.. (ტოპაზი საქალაღდეს მიწოდებს.) ერთი კაცის ამბავს მოგაგონებთ... (კითხულობს). ხომ არ იცნობთ სტამბის ერთ ქარგალს, 1984 წლის ნოემბერში თავისი შეპატრონის სალარო რომ გაიტაცა და მეღენიდან გაიქცა? 1888 წლის ორ იანვარს გამანწორებელმა ტრიბუნალმა ცამეტი თვის პატიმრობა მიუსაჯა? ხომ არის თავშესაქცევი, სასაცილო ამბავი?.. კეთილი, კეთილი!.. რა თქმა უნდა, უბრალო გაუგებრობა მოხდა.. დიან, ძველი მეგობრები ვართ... როგორ გყავთ პატარა ვიქტორი? კი, ამ ასაკში უველაზე საყვარლები არიან ბავშვები... სასაცილოდ მიამუნობენ... მშვიდობით, მეგობარო!.. (მოხუცს.) უველაფერი მოგვარებულა.

მოხუცი (ლიბლით). მოგვარებულა და მერე რა მარჯვედი მომილოცავს, ბატონო, მე აქ აღარაფერი მესაქმება, წავალ.

ბენაპი. გზა მშვიდობისა!

მოხუცი. თუ შეიძლება, ერთი პატარა სათხოვარი მაქვს.

ბენაპი. ბრძანეთ.

მოხუცი. ვერნიკელის საქმის გაგრძელება გადამაწერინეთ, თუ შეიძლება!

ბენაპი. პატივცემულო ბერიკაციო, ასეთი რამ უზრდელობად მიმაჩნია.

მოხუცი. ბატონებო, მივდივარ კრინტის დაუძრავად.

ბენაპი. მოიცათ. მეც მაქვს ერთი ხათხოვარი (კუთხეში გაინაკორებს და წასტურჩულ-ებს.) პატოვი დამდეთ. აქედან ისე გაბრძანდით. ზურგი არ მიჩვენოთ.

მონუსი. რატომ?

ბენაპი. რე ზურგს შემომაქცევთ, თავს ვერ შევიკავებ და პანტურს გითავაზებთ!

მონუსი. შესიხს სიამოვნებით. დიდი სიამოვნებით (უკან-უკან იხევს და აცქარებოკიდევ ბულივიო გაბრძის.)



მეორე სცენა

კასტელ-ბენაიკი და ტოპაზი

ბენაპი. ეს არის ხული!

ტოპაზი. ჰო, ხული ეს არის!

ბენაპი. რაცა კი ასეთი ჩიტი მოგიფრინდება. უთხარი, რომ მე აქა ვარ. ნახვამდის, ძვირფასო ტოპაზი. (სუჩის ოთახში გადის.)

ტოპაზი ერთხანს მარტო რჩება, მერე შემოდის მიუსი.

მესამე სცენა

ტოპაზი და მიუსი

მიუსი (გულითადად). გამარჯობათ, ძვირფასო მეგობარო... გავბედნიერდი თქვენი ხილვით, უწომოდ გავიხარე...

ტოპაზი. სალაში, ბატონო დირექტორო.

მიუსი. რამდენჯერმე ვეწვიეთ. მაგრამ არ დამხვდით... ჩინებულად შესიხს, ძალიან მოუცლელი ბრძანდებით... უამრავი საქმე გაქვთ, თანაც რა დიდებულნი...

ტოპაზი. დიახ, თანაც რა დიდებულნი... მაშ, თქვენც გაიგეთ?

მიუსი. რა თქმა უნდა, უოველ დღით. რვა საათი რომ მოახლოვდება, სასიამოვნო მდელვარება შეუფლდება... ვხედავ, როგორ მიგუგუნებს ჩემი კაბინეტის განწვრით კუჩის საგველო მანქანა. ისინი პარალელურად მოდიან. ერთნაირი სიჩქარით, ერთმანეთს არც წინ უსწრებენ, არც გზას უჭრიან... სამი ქაგრიხი ნაწად შრიალეებს და სამ რადიატორზე ელავს თქვენი სახელი — „ტოპაზის სისტემა“. მოდა, ძვირფასო მეგობარო, რაცა ისინი ჩემს ფანქარას უსწორდებიან, მოწინებით ვესალმები...

ტოპაზი. ამოდ ესალმებით, ბატონო დირექტორო.

მიუსი. ოჰ! ჩინებულად ვიცნობ თქვენს თავმდაბლობას, მაგრამ მეგობრებს რე აგვიკრძალავთ. თქვენით ვიამაყოთ. ნეტავ იცოდეთ, რა ხშირად გიგონებთ. გუშინ, შუა პედაგოგიურ საბჭოზე, მანწავლებლებს გამოვუცხადე. ჩილდოების დარიგებისას თავმჯდომარედ ტოპაზის მოწვევა გადავწყვიტე-შეთქი. ნეტავ გენახათ, როგორ აღფრთოვანდნენ: ახლავე გაიქცით და დაითანხმეთო.

ტოპაზი. მე თავმჯდომარედ?

მიუსი. უხათუოდ. ბრწყინვალე სიტყვას წარმოთქვამთ, ოდნავ მდელვარედ. ეტვიც არ შეპარება...

ტოპაზი (ძალიან აღელდა). არა, არა, უოვლად შეუფლდებელია... საქმე ის არის, ბატონო დირექტორო, რაც ჩვენ შორის სეროოზული გაუგებრობა მოხდა, მას შემდეგ... მე... ვიცი, პატოოსანი კაცი ბრძანდებით და გავიმზნელთ მთელ ჩემს სიშართლეს... შემომფიცეთ, რომ საიდუმლოს შემიხანავთ!

მიუსი. ვინაიდან ასეთ დიდ ნდობას მიცხადებთ, რომ საიდუმლოს მანდობთ, გუფიცებით, ეს საიდუმლო ჩემს გულში დამიარჩება.

ტოპაზი. მას შემდეგ, რაც თქვენ დაგემშვიდობეთ, მე ხახტიკად უპატოოსნო კაცი გავხდი, ბატონო დირექტორო.

მიუსი. როგორ გუკადრებათ!

ტოპაზი. მე მხოლოდ ერთი ვერაგი თაღლითის დაქირავებული კაცი ვარ. უაღბისმკმნელი.

მიუსი. რას ბრძანებთ, ბატონო ტოპაზი?!

ტოპაზი. გარწმუნებთ...

მიუსი. რას არ იტვიოთ ხოლმე, ჩემო ძვირფასო მეგობარო! სხვათა შორის, თქვენთან საუბარი იმითაც არის სასიამოვნო; პარადოქსები რომ გჩვევიათ. მაგრამ ამ ზუმრობას ვერ აუვებთ... თქვენ რომ კასტელ-ბენაიკის საქმეებს განაგებთ!



ტოპაზი. მეც მაგას ვჩივი...

მეუღლე. მაშინ ასე გეტყვით: თქვენ ხართ საყოველთაოდ ცნობილი, გავლენიანი კაცის ნიღაბი... (იციინის.) ესე იგი, არავითარი საფრთხე არ გეშუქრებათ...

ტოპაზი. ქუჩის საგველი მანქანები მე რომ არ გამომიგონია, ამის მიხედვრად დიდი გულბარუნდა. ეს აღმათ ბევრმა იცის და არც მაღავეს.

მეუღლე. ერთი მე გამიბედოს ამის თქმა ვინმემ და.. პირში მივაბლი: სკუჩხები ნეტადილით მინახავს ის გეგმები და ესკიზები, ბატონი ტოპაზი საქლასო დაფაზე განუწყვეტლად [ჩუჩუ] ზედამეტვი.

ტოპაზი. დაამტკიცებთ, რომ საკუთარი თვალით ვინახავთ.

მეუღლე. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ასე იყო. ყოველ შემთხვევაში, სადაც გნებავთ და როდესაც გნებავთ, დავიმოწმებთ, რომ ასე იყო. ჯამაგირი დიდი გაქვთ?

ტოპაზი. ძალიან დიდი.

მეუღლე. რა შესანიშნავი პასუხია — „ძალიან დიდი“... გასაოცარი ადამიანი ბრძანდებით და ეს დიდი ხანია ვიცი. ჩემს ოჯახურ გარემოში, ღმერთმა უწყის, რამდენჯერ მითქვამს: ეს ქაბუკი ისე ნიჭიერია, ჩვენთან დიდხანს არ გაჩერდება, წინ წაიწვეს-მეტვი... ქალბატონ მიუშს იმასაც ვეუბნებოდი: ტოპაზის წინსვლას წინ არ გადაველოებო, მადლიერებით გავუშვებ-მეტვი. ძვირფასო ტოპაზ, სწორედ ჩვენი გულითადი მეგობრული ურთიერთობის გამო იმ დღეს ჩაგებლაუქვთ, უარი არ გითხარით გათავისუფლებაზე. ახლა კი, ძვირფასო მეგობარო, მინდა მოგელაპარაკოთ ჩემს ერთ ფრიად ამადღევებელ, საგანგაშო საკითხზე. ძვირფასო ტოპაზ, მე მამა ვარ, უბედური მამა... უსაშველოდ უბედური!..

ტოპაზი. ერნესტინა ავად გაგინდათ?

მეუღლე. საუბედუროდი.. მამ, მინი ბედი ისევ გაინტერესებთ, ჩემო კეთილმო ვაი რომ, ერნესტინას ავადმყოფობა მოურჩენელია!..

ტოპაზი. ფილტვები აწუხებს?

მეუღლე. არა, გული.

ტოპაზი. აჩვენეთ სპეციალისტს.

მეუღლე. ახლა სწორედ სპეციალისტთან მოვედი, დიახ.. არცთუ ისე დიდ ხნის წინათ, როცა თქვენ მიუშის პანსიონის სიამაჲე, მეცნიერული ძიებებით გატაცებული დერეფანში მიმოდიოდით, ღრმა ფიქრი ხელს გიშლიდათ ირავლივ მიმოგებდათ და შეგემჩნიათ იმ ყმაწვილქალის ცეცხლმოკიდებული გული...  
ტოპაზი. თქვენი ქალიშვილის გული?

მეუღლე. იმ გულში ხიყვარული შეფრინდა, მე კი, ბრმა მამამ, ვერ დავინახე.. თქვენი წავსლის შემდეგ კი მინი სახე გულს მიკლავს. ბუნხართან საათობით ზის და ოცნებობს... ნელანელა ღნება.. გუშინ კი უველაფერი გამიმზიდა... აი, უბედური მამის აღსარება! (ცრემლებს იშშენდა.)

ტოპაზი (უცებ გაცხარდა). იცით, ბატონო მიუშ, რას გეტყვით?..

მეუღლე. არ მინდა, ნურაფერს შეტყვიოთ.. აქ არის თვითონ, კართან იცდის, გული ელევა, სანამ დაგინახავთ.

ტოპაზი. კი მაგრამ, როცა მე ქალიშვილის ხელი გთხოვეთ, გამომაგდეთ...

მეუღლე. ქალიშვილის ხელი მთხოვეთ თქვენ?

ტოპაზი. დიახ.

მეუღლე. თანახმა ვარ! (ისე წამობტა, თითქოს ზამბარაზე იჭდაო, და გარეთ გავიარდა.)

ტოპაზი. ბატონო მიუშ...

მეათე სცენა

ტოპაზი, ერნესტინა, მბეჭდავი ქალი

ერნესტინას თმა ვაჭურად შეუკრეჭია, გაბუდრულია და ნაირნაირად შეღებილია. მდიდარი კაცის მოსაწონებლად გაპრანჭულია და მორთულ-მოკაზმულია. შემოდის თავდახრილი, მკერდი უთრთის.

მრნესტინა. გამარჯობათ!

ტოპაზი. გაგიმარჯოთ, მადმუაზელი!

მრნესტინა (ღიმილით უმზერს, ობრავს, ჯდება). ძალიან მიხარია. ვიცოდი, ბოლოს და ბოლოს. უველაფერი მოგვარდებოდა.

ტოპაზი. რას გულისხმობთ?

მარნისტინა. მამაჩემი ხომ დაგეთანხმათ?

ტოპაზი. რაზე?

მარნისტინა. რაც სთხოვეთ... მართალია, ასე მაღე მე არ უნდა დავთანხმებულიყავი, მაგრამ არ მინდა ზედმეტად დაგთანჯოთ. მეც თანახმა ვარ.

ტოპაზი. გეშუდარებით, მადმუაზელ, არ გეწყინოთ, რახაც გეტყვით...

მარნისტინა. ამიერიდან რაც არ უნდა მითხრათ, აღარ გაგიჯავრდებიან...

ტოპაზი. დიახ, ოდესღაც ბატონ მითუმს თქვენი ხელი ვთხოვე, მაგრამ მთელი მტკიცებითაა შეშდევ ამ თხოვნის გასამეორებლად აღარც შემთხვევა მქონია. აღარც სურვილი.

მარნისტინა. ვერ გავიგე?!

ტოპაზი. მადმუაზელ, რაა გაუგებარი? თუ თავს გაანძრევთ... გიმეორებთ აღარ ვაპირებ თქვენს შერთვას!

მარნისტინა. ანრი... ანრი...

ტოპაზი. მე აღბერი მქვია.

მარნისტინა. აჰ! (გულწასული ტოპაზის მკლავზე გადაესვენება. ტოპაზი ჭერ დაიბნევა, მერე ერნესტინას სივარძელში ჩასვამს. ერნესტინა ტოპაზს ებლაუჭება, თან ისე კვნესის, თითქოს მამაკაცის ძალდატანებას იგერიებდეს.) აღბერ, თავი დამანებეთ! ბოროტად წუ იუვენებთ, მართო რომ ვართ. (თვალებს მინაბავს და იზღუდს გასახსნელად ხელს გაჰკრავს).

ტოპაზი. ქალიშვილო, უაზრო კომედიას თამაშობთ! სულელი არ გახლავართ. ახლავე მოწესრიგდით... (ერნესტინა წამოხტება. კარზე კაკუნია.) შემოდით! (შემოდის მბეჭდავი ქალი და ტოპაზს მოსაწვევ ბარათს გადასცემს.) კეთილი, დარჩით! ცოცხა ხანს მომიცადეთ! (ერნესტინას.) მადმუაზელ, საჩქარო საქმე თქვენთან საუბრის გაგრძელების საშუალებას არ მაძლევს, შემდეგისათვის გადავდოთ.

მარნისტინა. ზვალ?... სად?

ტოპაზი. საქმე ის არის... რომ ზვალაც აქ უნდა ვიყო.

მარნისტინა. აქ მოვალ, აი, გასაღები მომეცით, შემოვალ და დაგედოებით. ზვალამდე...

ტოპაზი (ქალს). გააცილეთ!

მარნისტინა. მაგდებთ? უზრდელო, ხეპრევი (სილას გაართყამს და წავა. ქალი გაჰყვება.)

მეთერთმეტე სცენა

შემოდის კასტელ-ბენაკო, შემოჰყვება სუზი

ბენაპი. (დაინახავს, რაც აქ მოხდა და სუზის მიუბრუნდება). ხედავთ, რა ხდება აქ? როდის უნდა მოედოს ამას ბოლო?

ტოპაზი. ნება მიბოძეთ, აგიხსნათ...

ბენაპი. ახსნა-განმარტება ხაპირო აღარ არის, ეს-ეს არის, ყველაფერი დაწვრილებით მიამხებს, რაც ჩემს აქ არყოფნისას მოხდა. უმჯობესია, დავშორდეთ ერთმანეთს. აი, ინებეთ გამოსათხოვარი საჩუქარი (გადასცემს პატარა კოლოფს.)

ტოპაზი. რა არის?

სუზი. აკადემიური წარჩინების ნიშანი, რეჟიმ გიშოვათ.

ტოპაზი (აღელდა). ეს რა... ოფიციალურად?

ბენაპი. ოფიციალურზე უკეთესად.

სუზი. ზვალ თქვენს სახელს დაჯილდოებულთა სიაშიც წაიკითხავთ.

ტოპაზი კოლოფს გახსნის და აკადემიურობის ნიშანს ალტაცებით დასცქერის. ღრმად ჩაფიქრდება.

ბენაპი. ახლა რას იტყვით, ბატონო ტოპაზ, მასწავლებლის კარგი ადგილიც რომ გიშოვოთ, ვთქვათ, ორანის კოლეჯში? წახვალთ? სამთვიანი შვებულება, მშვენიერი ქამაგირი, ამას მიუმატებ ხუთი პროცენტი საკოლონიო... ჰა, მოგწონთ?

ტოპაზი. არა, ჩემო პატრონო, არა, გამადლობთ!

ბენაპი. ხედავთ, არ მოხწონს იქნებ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ პირი გიშალეთ და პირგასამცლელოდაც გნებავთ მცირე თანხა?

ტოპაზი. არა, პატრონო... არ მინდა პირგასამცლელი მცირე თანხა.

ბენაპი. მაშ, პირგასამცლელი დიდი თანხა გნებავთ? (სუზის.) ვეთაყვა, იქნებ ეს კაცი

არც ისე ბრყვია, როგორც ჩვენ გვეჩვენება? (ტოპაზს.) თქვენი პოზიცია ჩემ მიმართ ერთობ სუსტია. თუ მოვინდომებ, მათხოვარვით შეშველ-ტიტველს გაგაგდებთ აქედან ისე, რომ ოდნავადაც არ შემრცხვება. ნურც ის გგონიათ. რაიმეს დამაკლებთ, თუ უველაფერს იყრან-ტალებთ, რაც იცით და არ იცით. შანტაჟით მე ვერ შემაშინებთ, მაზეში თუთოაწვე გაებმე-ბით. გასაგებია? მეორედ აღარ გამიბედოთ შანტაჟი რაც გნებავთ, პირდაპირ მთხოვეთ და უველაფერს უბრალოდ და მეგობრულად გაგიკეთებთ. ახლა კი შეაყოლოთ!

გერმანული  
ბიბლიოთეკა

ტოპაზი, მე აქ მინდა დარჩენა.

ბენაპი, რისთვის?

ტოპაზი. თავის გამოსაცდელად.

ბენაპი. ჩემი აზრით, უკვე გამოსცადეთ.

ტოპაზი, არა, ჩემო პატრონო. აქამდე თითქმის არაფერი მესმოდა, ახლა რაღაც-რაღაცებს ვხვდები.

სუზი. მაინც რას?

ტოპაზი. ცხოვრება ისეთი სულაც არ უოფილა, მე რომ მეგონა. პოდა, ეტყობა, თქვენა მართ მართალი...

ქალი (შემოვა და წინ წამოდგება). იქ ბატონი გელოდებოთ, რა გადავცე?

ბენაპი. ვინ ბატონია? (ქალი ბარათს გადასცემს.) რებიზულე?

ტოპაზი. თუ გნებავთ, მე მივიღებ...

ბენაპი, რისთვის? საქმის გასაფუჭებლად?

სუზი. ერთბელაც ენდეთ.

ბენაპი. სახიფათოა, ძვირფასო.

სუზი. გემუდარებით სცადოს!

ბენაპი. კეთილი, სცადოს, ნიშანი გაიკეთეთ, რწმენას მოგიმატებთ!

სუზი. მომეცით! (იისფერ ბაფთას ტოპაზს ღილაკილოში დაუმაგრებს.)

ბენაპი. შედეგი რვა საათისთვის დამირეკეთ. მაქსთან ვიქნები. წავიდეთ ძვირფასო...

სუზი. მო, მართლა პროკურორი აღბაო უკვე გველოდება.

ტოპაზი (დაფრთხა). პროკურორი? რატომ?

ბენაპი. სადილად, ეშმაკმა დალაზვროს! (სუზისთან ერთად გადის.)

ტოპაზი (მარტოდ დარჩენილი ჩაფიქრდება, მერე კვლავ გახსნის კოლოფს, ამოიღებს ფურცელს და კითხულობს.) სახალხო განათლების მინისტრი და ასე შემდეგ... ბატონ აღხერ ტოპაზს, ინჟინერს, განსაკუთრებული დამსახურებისათვის. (თავს გადააქნევს, მერე მტკიცედ შებრუნდება ქალისკენ.) ხთხოვეთ ბატონ რებიზულეს! (ქალი გადის, ტოპაზი მაგიდას მიუჭრდება და ელოდება.)

ფართა

მართხა მოსმეიდაზა

იგივე დეკორაცია. დღის ოთხი საათია

პირველი სცენა

სუზი და კასტელ-ბენაკი

სუზი და კასტელ-ბენაკი სავარძელში სხედან კუშტად, ვლიცას ელოდებიან. ორივე სიგარეტს ეწევა.

ბენაპი (წამობტება და საათს დახედავს). თავხედობაც ამას მჭვია! უკვე ხუთის ნახევარია, მე კი ვუთხარი, ორზე მოვალ-მეთქი.

სუზი. თუ სადმე გააჩერეს, დაერევა მაინც.

ბენაპი. შენ მიმართ, ძვირფასო, სასაუვედურო არაფერი აქვს. არ იცის, ჩვენს უოველ-დღიურ ანგარიშგებას აშუამად შენც რომ უნდა დაესწრო.

სუზი. როგორ? უკვე რვა თვეა, აქ მუშაობს და უოველთვის ვესწრები.

ბენაპი. ესწრებით, მაგრამ ვითომ შემთხვევით მოდიხართ, ცნობისმოყვარეობით... ჩინებულად იცის, თქვენი დასწრება სავალდებულო რომ არ არის.

სუზი. მართალია... წავიდე? (წამოდგება.)

ბენაპი (შეგებით). ვერ შემოგხედეთ, სორემ, ხუდაც არ არის სასურველი, თითქოს ელ-  
ოდებით.

სუზი. ესეც მართალია. წავალ. (კართან მისული ანაზღად შემობრუნდება, მჭრდავი სი-  
ცილით.) მაშ, გენიამოვნებათ ჩემი წასვლა, არა? არ წავალ. არც ისეთი ხუდადი ვარ, ჩემო  
ძვირფასო. (ველაც ჩამოგდება.)

მარსელის  
ბიზლირისა

ბენაპი (გაცვიფრებით). რას ნიშნავს, არც ისეთი ხუდადი ვარო?

სუზი. გინდათ მაროკოს საქმე დამიშალოთ?

ბენაპი (გაოცებით). რა მაროკოს საქმე?

სუზი. ხუდადურად ნუ გაიოცეთ... ვერ მომატულებთ.

ბენაპი (გულწრფელად). არ მესმის, რას მიჩივით?

სუზი. ეს უსინდისობაა!.. ჩემი კუთვნილი საკომისიო ვნებავთ მიითვისოთ? ვერ მოგარ-  
თვით. გეთაუვა!

ბენაპი (მხოვს აჩეჩავს). გეფიცებით, ძვირფასო, არაფერი მესმის?!

სუზი. ესე იგი, მაროკოში საკონცესიოდ მიწები რომ აიღეთ, არ იცით, ხომ? იქნებ არც  
ის იცით, იმ მიწებზე მარმარილოს და ტუვიის საბადოები რომ არის, საცობების ტუეებიც?

ბენაპი. პირველად მესმის ვინ გითბრათ?

სუზი. რა დიდი მიხვედრა უნდა იდეპუტატი მარსელ კოლონიათა სამინისტროს ვიდაც  
წარმომადგენელთან ერთად უოველ დილით დაბრძანდება აქ... (ველზე დაკიდებულ რუკა-  
ზე ანიშებს.) რატომ გგონივართ ისეთი ბრმა, თითქოს ამ რუკაზე ლურჯი ფანქრით შემოხაზ-  
ული ეს კვადრატი ვერ შეცნობნე?

ბენაპი (რუკას გულწრფელი გაოცებით ავირღებთ). მე ეს აქამდე არც მინახავს?!

სუზი (ნერვულად). ოჰჰ... ეველაზე მეტად თვალთმაქცობა მეჩავრება!

ბენაპი (გაგულისებულის). ჩემო ძვირფასო, მე კი ის მეჩავრება, უსაფუძვლოდ რომ მსა-  
ყვედურობენ.

სუზი. მაშინ ის მაინც გამოგებიანეთ. რატომ არ გინდათ, დღევანდელ ანგარიშგებას და-  
ვესწრო?

ბენაპი. სულ უბრალოდ. მას შემდეგ, რაც ბოპაშმა უჩიმოდ გაჩარხა რამდენიმე საქმე,  
გათავებდა და გაუოოჩდა, როცა მარტონი ვრჩებით, მის საქციელს როგორღაც ვითმენ, მა-  
გრამ თქვენმა დახწრებამ შეიძლება თავმოყვარეობა გაუხელოს და... მოთმინება დამაკარგვი-  
ნოს, თავი ველრ შევიკავო და აქედან სულ კინწისკვრით გავაპინტრიშო. არ მინდა გავაუბე-  
დურო.

სუზი. (დამცინავად) ო, ჰო, ჰო, ჰო! როგორ გეცოდებათ!

ბენაპი. დიახ, შეცოდება.

სუზი (მკვასნედ). უკვე გეშინიათ მისი!

ბენაპი. დაუკვირდით, რას ამბობთ! ჩემი ხელქვეითის გეშინია?

სუზი. უოველ შემთხვევაში, ის მაინც ხომ აღიარეთ, იმ თანამშრომელს თქვენი რომ  
აღარ ეშინია?

ბენაპი. ფაქტს ვერ უარვუოფ — აღარ ეშინია. (აგულისხმულად.) აქვე დავძენ: ეს მხოლ-  
ოდ თქვენი ბრალია!

სუზი. ჩემი ბრალია? მე რა შეაში ვარ?

ბენაპი. ვითომდა მის სახელმძღვანელოდ აქ ხშირად შემოდისო... ბოლოს ისე დაკარ-  
გეთ სიფრთხილედ, იმასაც კი ურჩევდით, როგორ გამოწურობილიყო.

სუზი. ამით თქვენს ინტერესებს ვიცავდი, ცუდად ჩაცმულ დირექტორს რა ფახი აქვს.

ბენაპი. საშაგეროდ ხელა. დილით როცა მჭირდება ხოლმე, მეუბნებიან: „ბატონი დი-  
რექტორი თავის თერძთან გახლავთ“. ან „ბატონი დირექტორი საცურაოდ აუჭმია“. ეს შეიძ-  
ლება სახაცილოდაც არ მუოფნოდა, უარესი რამ რომ არ ჩაგვედინათ...

სუზი. რეთი!

ბენაპი. დიახ, დიახ, უარესი რამ ჩაიდინეთ

სუზი. მაინც რა?

ბენაპი. კამა ახწავლეთ.

სუზი. რაცი რამდენჯერმე სადილად მოვიწვიე?

ბენაპი. რატომ, რამდენჯერმე და არა — კვირაში ორჯერ! გააგებიანეთ, რას ბჭვია ნამდვი-  
ლი კამა და ახლა, ეშმაკსაც წაუღია, მამლარი კაცის კკუა და ენერგია გაუჩნდა. დედაჩემის  
მაიმუნის ამბავი გამეორდა ზუსტად, როცა დედამკომ შიშპანზე იყიდა, იყო გამხდარი, გაუბე-  
დურებული, მაგრამ იმაზე მორჩილი და ადერსიანი მაიმუნი მე არ მინახავს. მერე რაღას არ

აქმედენ. ეს კოქოსიო. ეს ბანანიო, ლომივით გაღონიერდა და მოახლე ქალს ცხვირ-პირი დაუნაყა. მის დასაშოშმინებლად მებანძრეთა გამოძახება დაგვიკირდა... (კვლავ ამოიღებს სი-ათს და დახედავს.) ამჟამად კი გახედნა მოუხდება. (სუბი უცნაურად უცქერს. ბენაკი, ჭურჭზე ხელბეჭდოვანობილი, ერთხელაც გაივლ-გამოივლის კაბინეტში და უცებ განრიხდება.) რა-ებს ბედავს არაარაობა... ეს უბადრუკი მასწავლებელი ამას ვიფიქრებდი?.. ამას ვიფიქრებდი?.. დიახ, გახედნა მოუხდება!

ტოპაზი მოულოდნელად შემოდის.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მეორე სცენა

იგივენი და ტოპაზი. ტოპაზს მოხდენილად აცვია, უკეთია კუსრქიანი სათვალე, სუფთა-დაა გაპარსული. მტკიცედ დააბიჯებს.

ბენაპი (გულცივად და ქედმაღლურად). სამწუხაროდ, გაუწუებთ, რომ ხუთს თხუთმე-ტილა აკლია. ორ საათზე მეტია გელოდებით. ეს არ შეესაბამება...

ტოპაზი (შებედავს. მაგრამ უურადლებას არ მიაქცევს, გვერდით ჩაუვლის, სუბის თავს დაუქრავს და მაგიდას მიუჯდება. წიგნაკს ამოიღებს. ცივად ამბობს.) მადროვეთ ერთი წუთ-ით! (რალაცას ჩაიწერს და წიგნაკს კვლავ უჭრაში ინახავს. სუბი და კასტელ-ბენაკი ერთმა-ნეთს გადახედავენ. კასტელ-ბენაკი სუბის ანიშნებს: „ნახე, რას ვუზამ“. ) ეხეც ასე. მოხარუ-ლი ვარ თქვენი ხილვისა რამ შეგაწუხათ?

სუბი. უკვე ოთხი ივლისია, დროა სექტემბრის ანგარიში გავასწოროთ.

ტოპაზი (წამოდგება). ქალბატონო, თქვენ სინაზისა და სინატიფის განსახიერება ბრძან-დებით, ბოლო ანგარიში ერთობ მშრალი და უბეში რამ არის. გვედრებით, მაგ სათნო და ნარწარა ხმას ამგვარი რამეებისათვის ნუ დახარჯავთ, თორემ ის საცოდავი ციფრები, რომ-ლებიც აქ უნდა ვახსენოთ ბოლშე, სასაცილონი გახდებიან. (ხელზე აკოცებს და თავაზიანად მიაცილებს მარცხნივ, წინა მხარეს მდგარ სავარძლამდე, ჩასვამს და სურათებიან უურნალს მიაწოდებს.) ინებეთ უურნალი „ფრანგული მოდა“, ბოლო ნომერი... ვისარგებლეთ თქვენი რჩე-ვით და გამოვიწერე. (მიატოვს დაბნეული სუბი და კასტელ-ბენაკს მიუბრუნდა.) რით შემოი-ღია გემსახურით? ციფრებით?

ბენაპი. დიახ, ჭერ ციფრებს მივხედოთ, მერე კი ჩემს აზრსაც მოგახსენებთ.

ტოპაზი. სიამოვნებით მოგიხმენთ. (აიღებს უწყისს.) სექტემბრის თვის საერთო ჯამით თქვენი მმართველს — სამოცდახუთი ათას სამახორმოცდაშვიდი ფრანკი. (ფურცელს მია-წოდებს.)

ბენაპი (სუბის წიგნაკს ამოიღებს და ფურცლებს შეადარებს). ემთხვევა. (კვლავ ათვალე-ერებს ფურცელს.)

სუბი (კასტელ-ბენაკს უკან დაუდგება და ისე ჩახედავს ფურცელს). მაროკოს საქმეც აქ შედის?

ბენაპი. მართლა, ეს რაღა საქმეა?

ტოპაზი (ცივად). ჩემი, საკუთარი.

ბენაპი. საკუთარიო?

ტოპაზი. დიახ, თქვენ არ გეხებათ.

სუბი. პატონო ტოპაზ, ვერ გავიგე...

ტოპაზი. მგონია, გარკვევით ვთქვი?

ბენაპი (მრისხანებამ სულთქმა შეუქრა). ესე იგი?...

ტოპაზი. დაბრძანდით და მოგახსენებთ. (კასტელ-ბენაკი წამით შეყოყმანდება და დაქ-დება. ტოპაზი ვერცხლის პორტსიგარს ამოიღებს და კასტელ-ბენაკს შესთავაზებს.) მოხწიეთ!

ბენაპი. გმადლობთ!

ტოპაზი (გააბოლებს. შემდეგ მეგობრულ საუბარს გააბამს). ძვარფასო მეგობარო, ახ-ლა კი ჩაგაბარებთ პატარა ანგარიშს. ამ ნახევარ წელიწადში სააგენტომ შვიდას ოთხმოცდა-ხუთი ათასი ფრანკი სუფთა მოგება მოგცათ. კანტორა ათი ათასი დაგიჯდათ, ავეჯიც — ოცი ათასი, ხუთ ოცდაათი ათასი, შეადარეთ ეს ორი თანხა — შვიდასოთხმოცდახუთი და ოც-დაათი ათასი.

ბენაპი. ვერ გამიგია, ამ შედარებას რა აზრი აქვს?

ტოპაზი. ძალიან დიდი. ეს შედარება მოწმობს, რომ თქვენ ბრწყინვალე საქმე გააკეთეთ, თუნდაც იგი აქვე შეწყდეს.

ბენაპი. რატომ უნდა შეწყდეს?

ტოპაზი (ლიბილით). განვიჩაბე, ეს კანტორა საკუთარ გამგებლობაში დავიტოვო და დამოუკიდებლად ვიმუშაო ჩემთვის. ამიერიდან ეს სააგენტოც და მისი მოგებაც მთლიანად მარტო ჩემი იქნება. თუ თქვენთან რამე საქმის დაჭერა დამჭირდება, საკომისიოდ სიამოვნებით შემოგთავაზებთ ამ პროცენტს... აქ დავუხვავთ ქვარი ჩვენს საუბარს (კასტელ-ბენაკე და სიუზიმ ერთმანეთს გადახედეს.)

ბენაპი (ნაიალადეკად). მე უოველთვის გეუბნებოდით, ჩვენი შეგობარი ტოპაზი ხუმა-რაა-მეტეი.

ტოპაზი. მით უკეთესი, თუ ეს ამბავი თავშესაქცევად მიგაჩნისო... რატომღაც ამას იმე-დი არ მქონდა.

სუზი. ბატონო ტოპაზ, სერიოზულად გვეუბნებით?

ტოპაზი. დიახ, ქალბატონო, საქმეში ხუმრობა არ მიყვარს.

ბენაპი. ესე რგი, თავს ამ სააგენტოს მფლობელად აცხადებთ?

ტოპაზი. გაბლავართ კიდევაც, სააგენტოს ჩემი საბელი ჰქვია, ხელშეკრულებაც ჩემს სახელზეა გაფორმებული, უოველგვარი კანონით საკუთარ სახლში ვიმყოფები...

ბენაპი. ეს ნამდვილი ძარცვა-გლეჯვაა.

ტოპაზი. სასამართლოში მიჩივლეთ.

სუზი (ალარ იცის, აღშფოთდეს, გაიკვიროვს თუ აღფრთოვანდეს). ოჰჰ!

ბენაპი (გაცხარდა). ბევრი არაშადა მინახავს, მაგრამ ამგვარი გულცივი ცინიკოსი — არსად შემხვედრია.

ტოპაზი. ნუ შემლიქვნელდებით, ჩემზე არ მოქმედებს.

სუზი. რეჟი, ამდენს როგორ ითმენთ?.. თქვით რამე!

ბენაპი (საუფლოს გაიხსნის). ჰოი, ღმერთო...

ტოპაზი. რაღა თქვას? წარმოიდგინეთ თქვენი თავი მის ადგილას.

ბენაპი (მცირე პაუზის შემდეგ). ტოპაზ, ეს რაღაც გაუგებრობაა.

სუზი. თქვენ ვერ გაბედავთ ასე მოიქცეთ...

ტოპაზი. უკვე გავბედე, ქალბატონო! განა არ ნახეთ?

ბენაპი. დაფიქრდით, მე რომ არა, დღეცაც მიუშის პანსიონში იქნებოდით. ყველაფერი მე შეგასწავლეთ.

ტოპაზი. მოდა, ამისთვის დიდი გასამრჩელოც მიიღეთ — შეიდას ო.ი.ხმოცდაბუთი ათასი ფრანკი. არც ერთ მოწაფეს ჩემთვის ამდენი არ გადაუხდია.

ბენაპი. ვერა, ამას ვერ დავიჯერებ. პატიოსანი კაცი ბრძანდებით. (ტოპაზი იცინის.) პატივს გცემდით... მიყვარდით კიდევაც... დიახ, მიყვარდით... თქვენ კი რაღაც ხელის კუჭყას გამო ასე მექცევით... ჩემთვის ეს მეტად მძიმე გადახატანია, თქვენთვისაც... სუზი, ხომ მართალია? უთხარით, რომ მისთვისაც მძიმე იქნება... ინანებს... (სუზი კასტელ-ბენაკს ზიზლით შეხედავს, ბენაკი, შთაგონებით ამბობს.) უური მიგდეთ, ამიერიდან ამ პროცენტს მოგცემთ.

ტოპაზი. დიდი მადლობა მომიხსენებია... იცით რა, ძვირფასო რეჟი, საქმეში გნახეთ და კარგადაც გაგიცანით, თქვენისთანა კაცი აღარ მაინტერესებს. მართალია, თაღლითი ბრძანდებით — ვალიარებ ამას, მაგრამ შეტისმეტად წვრილმანი თაღლითი. გაქანება გაკლიათ, კუჩის საგველი თხუთმეტი მანქანა, ოცდაათი ბადურა ხუფი წყალგამტარებისათვის, ათი დუჟინი მომი-ნანქრებული საფურთბებელი... ფიფუ!... ჩიტ ბრდღენად არ ღირდაო. რაც შეეხება ზოგიერთ გამოგონებას, ვთქვათ, გორგოლაქებით მოძრავ საპირფარეშოს, ეს ხომ ნამდვილი საქმე არ არის, ჩემო ძვირფასო? მხოლოდ წმინდაწყლის პოეზიაა, წვრილმანებში ჩაეფლეთ და გამუ-დმებით რაღაცას ჩაღიჩობთ.

ბენაპი. შიმპანზეს ტუუპისცალია ზუსტად, დიახ.

სუზი. სულ ეს არის თქვენი სიტყვა?

ბენაპი. მეტი რა ვუთხრა ყაჩაღს, ავაზაკსა და პანდიტს? (ტოპაზს.) დიახ, ავაზაკი ხართ!

სუზი (მხრებს აიწურავს). ვაჟაკი შეგონეთ!

ბენაპი (სუზის მოუბრუნდება და უტიფრად მიხლის). გაჩუმდით, ღვთის გულიხათვის!.. მგონი ერთად შეშკარით პირი... შენ ურჩიე!..

სუზი. კარგად იცით, რომ ეს ტუუილია.

ბენაპი. მამ რატომ გაბედა? (ტოპაზი მშვიდად მიუჯდება მაგიდას, რაღაცას სწერს, ბართებსა და სხვა რამეებს არჩევს.) გამოტყდით, თქვენი ხელიც რომ ურცეია.

სუზი. იექვიანეთ, რამდენიც გნებავთ!

ბენაპი. თქვენი ნებართვა არა მჭირდება, რახაც ვხედავ, კიდევაც მჭერა. გადაწვეთი-

ღებაც კარგა ხანია მივიღე.

სუზი. მეც.

ბენაპი. გგონიათ, რამეს შეგარჩენთ? ორ წელიწადში ცოტა ფული კი არ დაგხსარა?

სუზი. ამაზე მეტი უხამსობა შეუძლებელია.

ბენაპი (დამკინავად). უხამსობა!.. უხამსობა!.. ამომივიდა უელში თქვენი უხამსობა!

ტოპაზი. (კივად). თუ თქვენ უფირილი მოგინდათ, საამისო ადგილი აქ არა მკაცს, ხსვა-  
გან მოძებნეთ!

ბენაპი (ვითომ ვერ გაიგონა, ხმას კი დაუწია). როდესაც გაგიცანით, კურდღლის კურ-  
კი გეცვათ.

სუზი. უწრდელი...

ბენაპი. მაშის ძველ ქუდს აბრუნებდით და ისე იხურავდით.

ტოპაზი. გიკრძალავთ ქალთან ასეთ ლაპარაკს. მიბრძანდით!

ბენაპი. კეთილი. იცინის ის, ვინც ბოლოს იცინისო. მალე გაიგებთ, ვინცა ვარ.

ტოპაზი. ეს მუქარა შენთვის შეინახე, არსად დაგეკარგოს.

ბენაპი. აქედან პირდაპირ პროკურორთან მივდივარ.

ტოპაზი. საკვირველია.

ბენაპი. რაც შეგებებათ თქვენ, ქალბატონო, ვიცი, კარგა ხანია დამკინით.

სუზი. ამაში გეთანხმებით.

ბენაპი. ჰოდა, შეგაცვლევინებთ საქციელს. მალე გეხტუმრებით და ჩემს გადაწყვეტი-  
ლებას მოგახსენებთ.

სუზი. თქვენ ქალთან ასე უხეში ლაპარაკი მხოლოდ იმან გადაწყვეტინათ, რომ მა-  
შაკაცის გეშინიათ. მეზინდებით.

ბენაპი. ხუზი...

ტოპაზი (მიუახლოვდება კასტელ-ბენაკს). წაბრძანდით!

ბენაპი. იქნებ გგონიათ...

ტოპაზი. მიბრძანდით-მეთქი!

ბენაპი. კეთილი. რაკი ფიზიკური ძალის გამოყენებას მოვერიდე...

ტოპაზი. სცადეთ. ნუ გრცხვენიათ.

ბენაპი. მე მტვირთავი მუშა არ გახლავართ!

ტოპაზი. აგრე გგონიათ.

ბენაპი. იცოდეთ, ბაქიაობას ძვირად დავიხვამთ, როცა კი მომესურვება, ახლა კი სიც-  
ილის მეტი არაფერი დამრჩენია. (სახეღამანქული იცინის.) ხა, ხა, ხა!.. ხა, ხა, ხა! (ხარხარით  
გადის.)

მესამე სცენა

სუზი და ტოპაზი

ტოპაზი. წარმომიდგა მთელი თავისი მშვენიერებით. არაფერია, მალე ისევ გეწვევით  
უღიმღამო ბოდიშებით და თქვენც, ცხადია, ღიმილითვე შეიგებებით, კვლავ ფუფუნებით რომ  
იცხოვროთ.

სუზი. ძალიან თავხედობთ, ზომაზე მეტად. (ჩამოჯდა.) ვატყობ, კეთი-გონება სულ დაგე-  
ბნათ. რაკი გადატრიალება მოახდინეთ, გგონიათ, ძალიან გონიერი ხართ?

ტოპაზი. ახეა თუ ისე, დამოუკიდებლობა მოვიპოვე.

სუზი. ეს დროებითი დამოუკიდებლობა ძვირად დაგიქდებათ.

ტოპაზი. რატომ?

სუზი. სააგენტოს თავისთავად ჩაღის ფახი აქვს. იგი ამდენ მოგებას კასტელ-ბენაკის  
წყალობით იძლეოდა.

ტოპაზი. ამიერიდან ჩემი წყალობა არ მოაკლდება.

სუზი. თქვენი წყალობა... (იცინის.) მართო თქვენ რას გააკეთებთ?

ტოპაზი. უმჯობესია, ჯერ გეკითხათ, რა გავაკეთე. სამი თვეა მხოლოდ ჩემთვის ვმუშა-  
ობ. საკირო ხალხს ვხვდები და ფულიც დავახვავე. აი, როცა მომცემს მაროკოც...

სუზი. ეს მართლა სერიოზული ამბავია?

ტოპაზი. უადრესად. კონცხია ათას ხუთას ჰექტარზე, სააქციო საზოგადოება, ოთხი ათ-  
ასი საუწყებო აქცია მე მეკუთვინის. ნახეთ! (აჩვენებს ქალაღლებს.) ერთ თვეში აქციებს ბა-  
ზარზე დავატრიაღებ.

სუზი. ესე იგი, დაკავშირებული ხართ მინისტრებთან?

ტოპაზი. ჯერ არა. ერთი ხენატორია, ერთი ბანკირი, ერთი უახაბი, ერთიც ბენიშელას ტომის ბელადის პირველი მოცვეკვავე ქალი. სხვათა შორის, ეს მეტად სუფთა საქმეა. მართალია სხვა კოლონიური საქმეების მსგავსად, ესეც უქრთამოდ არ კრუდება მაგრამ კანონიერების თვალსაზრისით უველაფერი მოგვარებულია. მეტე ამას სხვა ახალი საქმეებიც მიმეცება.

საქმის  
გინგლირისა

სუზი. ძალიან გამოიკვალეთ.

ტოპაზი. უკეთესობისკენ?

სუზი. ალბათ, ოღონდ ჩემთვის არა.

ტოპაზი. რატომ?

სუზი. ეს სააგენტო მეც მაინტერესებდა. კასტელ-ბენაკის გაძარცვით მეც გამძარცვეთ. ყოველი საქმიდან რვა პროცენტს ვიღებდი.

ტოპაზი. შეგიძლიათ შეინარჩუნოთ.

სუზი. რა გზით?

ტოპაზი. ჩემი დიდი მოამაგე ხართ. ამის გარდა, თქვენი რჩევა-დარიგება კვლავაც მჭირდება.

სუზი. უკვე დიდი საქმოსანი შეგონეთ.

ტოპაზი. მაკლია რაღაც.

სუზი. კერძოდ?

ტოპაზი. წარმატების უველაზე მკაფიო დამამტკიცებელი— ლამაზი საყვარელი, საზოგადოებაში ცნობილი ქალი. რომელიც ჩემს მეგობრებს გემოვნებით მოწყობილ ბინაში მიიღებდა და ჩემთან ერთადაც გაისეირნებდა ხოლმე.

სუზი. ძვირფასო ტოპაზ, ხომ არ ჩქარობთ?

ტოპაზი. რატომ გგონიათ?

სუზი. მე კარგად ვიცი, როგორ ქმნიან ტოპაზებს, ამიტომ მათი ფასიც კარგად ვიცი. თქვენ, მართალია, ერთობ მოურიდეზლად მელაპარაკებით, მაგრამ რჩევას მაინც მოგცემთ.

ტოპაზი. დიას, მეც სწორედ რჩევას გთხოვთ. მაინტერესებს თქვენი აზრი, რამდენად სწორია ჩემი არჩევანი.

სუზი. თუ არჩევანი უკვე გააკეთეთ, რაღა დროს რჩევაა?! (პაუზა). ვინ არის?

ტოპაზი. გამოიცანით.

სუზი. ვიცნობ?

ტოპაზი ძალიან კარგად.

სუზი. შავგვრემანია თუ ქერა?

ტოპაზი. შავგვრემანი.

სუზი. დაბალია?

ტოპაზი. საშუალო სიმაღლისაა.

სუზი. ლამაზია?

ტოპაზი. ძალიან. ლამაზადაც იცვამს. გუშინ, მაგალითად, იშვიათი გემოვნებით იცვალა — ღია ფერის ბეწვშემოვლებული წითელი ხავერდის მოხასხამი... დიას, ბრწყინვალე ქალია.

სუზი. იქნებ დაგცინით?

ტოპაზი. ეს ჯერ არ ვიცი.

სუზი. იქნებ თქვენი მომავლის იმედი არა აქვს?

ტოპაზი. შეცდება.

სუზი. ვიდრე წინადადებას მისცემთ, გირჩევთ გამოსცადეთ, ვაითუ თქვენი წინადადება არ მოეწონოს და...

ტოპაზი. ასე გგონიათ?

სუზი. დიას, მგონია, ცივ წყალს გადაგასხამთ და ჭკუაზე მოგიყვანთ.

ტოპაზი. აქ კი, ჩემი აზრით, სცდებათ. ახლავე მინდა მოველაპარაკო.

სუზი. მით უარესი თქვენთვის.

ტოპაზი. ახლახანს მიატოვა საყვარელმა. პოდა. იქნებ ჩემი ერთი სიტყვაც იყოს საკმარისი, რომ კისერზე ჩამომეკლოს.

სუზი. ოჰო, ნამდვილი დონ-უუანი გამხდარხართ. პრეტენზიები გაგჩენიათ. აბა, სცადეთ იმ ერთი სიტყვის თქმა.

ტოპაზი. ვცდი.

სუზი. ოღონდ ახლავე, რომ გავერთო.



ტოპაზი. კეთილი. (ყურმილს აიღებს.) ალო!.. 48-54.

სუზი, როგორ? ოდესას ურევავ?

ტოპაზი. დაბ. ბარონმა მარტენმა გუშინ მიატოვა ოდესა. გუშინვე შემხვდა, უნდა ერთად გვახელით და მომეჩვენა, რომ...

სუზი (ყურმილს გამოართმევს და დადებს). რა სისულელეა! ნუთუ სულ ალარა მცემთ პატივს? რად დაგჭირდათ ასეთი კომედიის გათამაშება? რისი იმედი გაქვთ?

ტოპაზი (მოულოდნელად შეიცვლის ხმას და გამომეტყველებას). არაფერი. რისა იმედი უნდა მქონდეს? თქვენ მნახეთ, როცა ძალიან ღარიბი და უჭკუო ვიყავი. ამიტომ ვერასოდეს მოგიინადირებთ. თქვენთვის მარად სიმპათიურ იდიოტად დავრჩები.

სუზი (ჩურჩულით). მარად იქნებით სიმპათიური.

ტოპაზი (მწარედ). მაგრამ მაინც იდიოტი.

კარზე აკაცუნებენ ოთახის მხრიდან.

სუზი. რა ამბავია?

მსახური (შემოდის). ბატონი დაბრუნდა. ბ

სუზი. ახლავ თვითონ ვნახავ. (მსახური გადის.)

ტოპაზი. ნუ შეხვალთ იქ!

სუზი. ხაჭირია. ანგარიშს გავუსწორებ. ფინანსურ ანგარიშს. ჩვენი განხეთქილება ასე ფერო მალე გაირკვევა. როცა წავა, შეგატყობინებთ. (ხელს გაუწოდებს, ტოპაზი სიყვარულით კოცნის, სუზი ნახად იღიმება და მიდის.)

ტოპაზი (მარტო რჩება. გამარჯვებულის იერი დაჰკრავს. შემოდის მბეჭდავი ქალი და საეზიტო ბარათს გადასცემს. ტოპაზს იერი შეეცვლება, წამით შეყვინდება და მერე იტყვის.) ხობოვეთ!

მეოთხე სცენა

ტოპაზი და ტამიზი

შემოდის ტამიზი, არ შეცვლილა, ადრინდელივით ძველი სერთუკი აცვია, იღლიაში ქოლგა ამოუჩრია, თასშიანი პენსნე უკეთია.

ტოპაზი (მიეგებება ოდნავ შეცბუნებული და ამხვე დროს განარბებული). ტამიზ...!

ტამიზი. ტოპაზ... (ერთმანეთს კარგა ხანს ეხვევიან და იციინიან.) ჩამოგიპარხავს! (ტოპაზს უწვერო ნიკაპზე აჩვენებს.)

ტოპაზი. ასე მოითხოვა საქმემ... ძალიან გამოცვლილი გეჩვენები?

ტამიზი. „კომედი ფრანსეზის“ მხახიობს დამგვანებინარ.

ტოპაზი. გამახარე, რომ მომინახულე.

ტამიზი. ადრევე გაგაზარებდი. მაგრამ აქ შემოსვლა არ მაღირსეს. ექვსჯერ მოვადექი შენს კარს და დაკეტილი დამხვდა. მბეჭდავი ქალები შეუბნებოდნენ, დირექტორი არ არისო. მე ვუბარებდი, რომ გეწვიე... ალბათ გეუბნებოდნენ, ბოლოს ისიც კი ვიფიქრე, იტყობა, ჩემი მიღება არ სწადია-მეთქი. გამოგიტყდები, ცოტა გულიც კი დამწყდა.

ტოპაზი. რა თქმა უნდა, დაგწყდებოდა, ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ.

ტამიზი. მით უმეტეს, რომ ფრიად სერიოზულ საქმეზე მინდოდა შენი ნახვა.

ტოპაზი. რით შემოძლია გემსახურო?

ტამიზი (ჩამოკდება). ხომ იცი, მე შენი მეგობარი ვარ, ძველი ალალე მეგობარი. ყველაფერს მუდამ პირუთვნელად გეუბნებოდი. მაგრამ რაც ახლა უნდა ვითხრა, ფრიად სერიოზულია, რადგან შენი სახელის გატეხასთან არის დაკავშირებული...

ტოპაზი. ჩემი სახელის გატეხასთან?

ტამიზი. დიახ. ვული მტკიცა, ამას რომ გეუბნები, მაგრამ ბევრჯერ გავიგონე, შენს კომპანიონზე რომ ამბობდნენ, გაქნილი სპეკულიანტიაო... და ერთმა ფრიად პათოსანმა კაცმა ისიც მაგრძნობინა, ტოპაზიც, მისდა უნებურად, რაღაც საექვო საქმეებშია გარეულიო.

ტოპაზი. საექვო საქმეებშიო?

ტამიზი. დიახ, იმ ფრიად პათოსანმა კაცმა ისიც მოთხრა, ამ ამბავმა კარგა ხნის წინათ საკმაოდ სოლიდური გაზეთის ფურცლებზე გაეონაო, იმ გაზეთის ამონაჭერი გადმომცა კიდევაც. (საფულედან ამოიღებს გაზეთის ნაგლეჯს და ტოპაზს გაუწოდებს.)

ტოპაზი (გამოართმევს). მერედა, შენ ამის თაობაზე რა იფიქრე?

ტამიზი. აგე, შენს განაფრთხილებლად მოვედი, დაუკვირდი, ის ვაჟბატონი რა საქმეებს განარბვინებს... გაზეთსაც გაუგზავნე ბარათი. სწორ გზაზე დააუენე.

ტოპაზი. გმადლობ, ტამიზ, გმადლობ, მეგობარო. ოღონდ იცოდე, რასაც აქამდე ვაკეთებდი, ყველაფერში კარგად ვიყავი გარკვეული.

ტამიზი (გაიხარა). და საეჭვოდაც არაფერი მიგაჩნია?

ტოპაზი. არაფერი. ყველა ეს საქმე ჩვეულებრივი თაღლითობაა. ლამაზად გადენიანი ხალხის ქრთამით მოხუცდვარე, მოხელეთა გახრწნილებასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე.

უჩინებელი

ტამიზი (ტოპაზს ჯერ შეძრწუნებული მისჩერებია, მერე უცებ გაეხიზნა). ასეთი ეშმაკური ხუმრობა როდის ისწავლე?

ტოპაზი. არ ვხუმრობ.

ტამიზი (ხარხარს უშატებს). ჩინებული გაკვეთილი ჩამიტარე... ვალიარებ, დავიმხაზურე... ახია ჩემზე! თუმცა მეც რა მექნა! შენი ამბავი ისე დარწმუნებით მითხრეს, მერე ეს გაზეთიც შემომაჩერებს ხელში. (სიცილით უცქერის ტოპაზს, ბოლოს კვლავ ალაპარაკდება.) არ ვიცო, რისი ბრალი იყო. მსახიობს რომ დამგვანებობარ თუ სხვა რამის გამო, კინაღამ დაგიჭრე.

ტოპაზი. მართალს გეუბნები. მართალს! ყველაფერი — რასაც აქამდე ვაკეთებდი და ვაკეთებ, უკანონოა. ხაზოგადობა სწორად რომ იყოს მოწუობილი, მე ციხეში უნდა ვიქდე.

ტამიზი. რას გეუბნები, ტოპაზ?

ტოპაზი. ნამდვილ ხიმართლეს, მეგობარო.

ტამიზი. კეთაზე შეიშალე?

ტოპაზი. არა!

ტამიზი (წამოდგება აცახტებული). ესე იგი, მართალი მითხრეს. ტოპაზი უსინდისო გახდაო?!

ტოპაზი. ძვირფასო მეგობარო, ნუ მიბღვერ! ვიდრე განაჩენს გამოიტან, თავდასაცავად ორიოდე ხიტყვა მათქმევინე.

ტამიზი. შენ. შენ. რომელიც სინდისის განსახიერება იყავი, შენ, რომელსაც პატიოსნება მანად გქონდა გადაქცეული...

ტოპაზი. დიახ. ათი წლის მანძილზე ჩემი ძალ-ღონით, ვაუკაცობით, რწმენით და შესაძლებლობით ვასრულებდი ჩემს მოვალეობას რათა ხაზოგადობისათვის რაიმე სარგებლობა მომეტანა. ათ წელიწადს ოვეში რვაას ორმოცდაათ ფრანკს მაძლევდნენ. ხოლო ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში გამომაგდეს მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენს პატიოსან მიუშს ვერ მივუხვდი — უსინდისობის ჩადენას რომ მიზოვდა. ოდესმე აგიხსნი, ბედმა აქ როგორ შემომავლო და უნებურად რამდენიმე საქმე უკანონოდ როგორ გავაკეთე. მოდა, სწორედ მაშინ, დასჯას რომ ველოდი. დამაჩილდოეს აკადემიური წარჩინების ნიშნით, რომლის მიღებასაც მანამდე პატიოსანი კეთილსინდისიერებით ვერ ვეღირსე.

ტამიზი. აკადემიური წარჩინების ნიშანი მიიღე? (აღელდა.)

ტოპაზი. დიახ. შენ?

ტამიზი. ჯერ არა.

ტოპაზი. აი, ხომ ხედავ, ჩემო საბრალო მეგობარო, გადავუხვინე თუ არა პატიოსნების სწორ გზას, მაშინვე გავხდი მდიდარი და პატივცემული.

ტამიზი. ეს სოფიზმია. შენი უსაქციელობა ჯერ არ გაუგიათ და პატივს იმიტომ გცემენ.

ტოპაზი. მეც ასე მეგონა, მაგრამ ვცდებოდი. ეს-ეს არის ლაპარაკობდი ერთ ფრიად პატიოსან კაცზე, რომელმაც ჩემი ამბები ჩაგიკენჭა. დაგნიძღვებში, ის კაცი მიუში იყო!

ტამიზი. მო, მიუში იყო. რომ მოგესმინა რა უშვერად გახსენებდა, სირცხვილით დაიწვებოდი.

ტოპაზი. ის ფრიად პატიოსანი კაცი აქ შეწვია. ყველაფერი გულახდილად ვუამბე. მან კი სამი რამ შემომთავაზა: თავისი თავი უაღბ მოწმედ, თავისი ქალიშვილი ცოლად და თავმჯდომარის ადგილი ჩილდოების გაცემის ცერემონიალზე.

ტამიზი. თავმჯდომარეობა?... ეს ვითომ რატომ?

ტოპაზი. იმიტომ რომ, ფულიანი კაცი გავხდი.

ტამიზი. გგონია, შენი ფული აინტერესებდა?

ტოპაზი. დიახ, ჩემო გულუბრყვილო ბიჭო. იმ გაზეთმაც, ვითომ წნეობას რომ იცავა, ოცდახუთი ათასის გამოძალვა მომიხდომა. სულ ეს იყო იმ გაზეთის მწყობის ტკივილი. მპ, ფული... შენ ფულის ფასი არ იცი... თვალი გაახილე, მიმოიხედე ირგვლივ, შენი თანამედროვენი როგორ ცხოვრობენ... უსოველის შემძლეა ფული და ყველაფრის უფლებას გაძლევს... ვთქვათ, მოგინდა თანამედროვე საბლი, ნამდვილზე უკეთესი ხელოვნური კბილი, სახსნილოს მირთმევა პარასკეობით, შენი ქება-დიდებას სტატია გაზეთში. ანდა — ლამაზი ქალის ჩაკოტ-

რიალება შენს ლოგინში. განა ყოველივე ამას კეთილი სურვილით, თავაზიანი თხოვნით ან ერთგულებით მოაღწევ? ვერა! საქირთა მხოლოდ გამოაღოთ სეიფის კარი და წარმოთქვათ ორი სიტყვა: „რამდენი გნებავთ?“ (სეიფიდან გამოიღებს ფულის დასტის.) პეხედე ამას! შემოდლა ეს ფული ჭიბეში ჩავიდო, მერე კი ჩემი სურვილისამებრ ვაცვლევინო ფორმა და ფერი ფუნება, მშვენიერება, ჯანმრთელობა, სიყვარული, ხაბელი, ღირსება, ზელისუფლება... უკვლაფერი ხელში მიჭირავს... ნუ გიყვირს, ჩემო ხაწყალო ტამიზ, გაგამხელ სურვილსუფლებს რცნებეთა საწინააღმდეგოდ, პოეტთა საწინააღმდეგოდ და, შეხადლოა, საკუთურს უკუქმედებისა წინააღმდეგოდაც. მე ბევრი რამ შევიცანი, ტამიზ, ადამიანებში ბოროტება მეფობს, ქვეყანას ძალმომრეობა მართავს და ეს ტკიცინა ქალაღლები ზელისუფლების თანამედროვე ფორმის გამოხატულებად გვევლინებიან. ამათ აბარიათ ძალაუფლება.

ტამიზი. კიდევ კარგი, სკოლას ჩამოშორდი თორემ დღესაც რომ ზნეობას ასწავლიდე... ტოპაზი. მერედა, იცი, ახლა ჩემს მოწაფეებს რას ვუქადავებდი? (თითქოს კვლავ სკოლაშია და მოწაფეებს ნოდვრავს როგორც პირველი მოქმედებისას). „უმაწვილებო, ანდაზები, რომლებსაც ამ კლასის კედლებზე ხედავთ, ოდესღაც გამოხატავდნენ აწ გარდასულ სინამდვილეს. აშეამად, შეიძლება ითქვას, ეს ანდაზები ემსახურებიან ხალხის თვალის ამხვევებს, ვიდრე უფრო მოხერხებული გაიძვერები ნადავლს იყოფენ. ამიტომაც ჩვენს დროში ანდაზების სიბრძნის უარყოფა ნიშნავს გამდიდრების გზაზე დადგომას...“ შენს მასწავლებლებს ოდნავი წარმოდგენა რომ ჰქონდეთ სინამდვილეზე, სწორედ ამას გასწავლიდნენ. იქნებ მაშინ ასე საცოდავი და ღატაკი აღარ უოფილიყავი.

ტამიზი. იქნებ ხაწყალი ვარ, მაგრამ ღატაკი — არა.

ტოპაზი. შენ ისიც არ იცი, რომ ღატაკიც ხარ.

ტამიზი. რას ამბობ, რას?... მართალია, არა მაქვს იმდენი სიმდიდრე, ხელი ფართოდ გავშალო და ვისიამოვნო, მაგრამ განა ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს?

ტოპაზი. კიდევ ერთ საქმაოდ სახაცილო იმედსაც მოგცემ: მდიდრები ანტელიგენციონადმი ერთობ ზელგაშლილობას იჩენენ. ისინი გვითმობენ სწავლა-განათლებას, შრომის სიხარულს, მოვალეობის პატიოსნად მოხდის ბედნიერებას, თავისთვის კი მხოლოდ მეორეხარისხოვან სიამოვნებას იტოვებენ. როგორცაა: ბიზილალა, თევზეული, შამპანური, კარგად მოწყობილი და გამთბარი მყუდრო ბინა და ამისთანები. სულ უქმად არიან და უმუშევრობის მაინც არ ეშინიათ.

ტამიზი. შენ არ იცი, რომ მე მართლაც ბედნიერი ვარ.

ტოპაზი. ათასჯერ ბედნიერი იქნებოდი, კაცობრიობის კულტურული მიღწევების სიკეთით რომ შეგეძლოს სარგებლობა, და მაინც პროგრესი შენისთანა ნათელი გონების ადამიანებს ემყარება.

ტამიზი. იტყვი ხოლმე უცნაურს... შენ მაინც იცი კარგად, ერთი პატარა რამეც არ გამომიგონია.

ტოპაზი. ეგ ვიცი. შენ ღმერთებისათვის ცეცხლი არ მოგიტაცნია და ადამიანებისათვის არ მოგიტანია. მაგრამ საკუთარი ზელებით კი იცავ ამ ცეცხლს, რომ არ ჩაქრეს. მოდა, გული მტკივა, როცა მაგ ზელებზე დამწვრობის წყლულებს ვხედავ. ეს იმიტომ, რომ შენ ვერ მოახერხე ნაცრისფერი კურდღლის ტყავის ზელთათმანის ყიდვა. სამი წელიწადია მაღაზიის ვიტრინაში რომ ესხუვარულები.

ტამიზი. ეს მართალია, ზელთათმანები სამოცი ფრანკი ღირს და... ხომ არ მოვიპარავ?

ტოპაზი. შეიგნე, ტამიზ, ის ზელთათმანი თვითონ შენ მოგპარეს. აბა, თუკი დაიმსახურე, რატომ არ გაქვს? იშოვე ფული, იშოვე და...

ტამიზი. შენსავით? უმორჩილესად გმადლობ! უკვლაფერს რომ თავი დავანებოთ, მე არა მყავს შენსავით წამქეზებული.

ტოპაზი. მე ვინ მაქეზებს?

ტამიზი. ვიცი, შენს თეორიებს რაც ახაზრდობს. გიყვარს ქალი, რომელიც ბევრ ფულს გთხოვს...

ტოპაზი. მთხოვს და მართალიც არის.

ტამიზი. ადრეც გითხარი, ეტყობა, კაბარეს მომღერალ ქალს გადაეკიდე-მეთქი... იქნებ ისეთი მომღერალიცაა, რომელიც არ მღერის, ასეთი ქალი ერთობ ძვირი უქდება კაცს.

ტოპაზი. ღარიბი კაცის მოუვარუდი ქალი გინახავს შენ?

ტამიზი. მაგრამ ნურც იმის მტკიცებას მოკუვები, უკვლა ქალი ფულის ხარბი და ანგაზიშინებიათ.

ტოპაზი. ასეა თუ ისე, ხსინი მაინც უფრო ფულიან კაცს ეტანებიან, ბევრის შოვნის შინა

რომ აქვს... ბუნებრივია. ჯერ კიდევ უძველეს დროში, როცა მამაკაცები ნანადირევს გლეჯდნენ და უკეთესი ნაპრის დახაორევად იბრძოდნენ, ქალები მათ შორიდან უთვალთვალდებდნენ... და როცა მამრები იშლებოდნენ, იცო, რას შვრებოდნენ? სიუვარულით სავსე თვალბით მას მისდევდნენ. ვისაც ყველაზე დიდი ხორცი მიჰქონდა.

ტამიზი. ტოპაზ, ნუ წაბილწავ ყველაფერს. მართალიც რომ იყო, მაინც არ მინდა ამის დაჭერება... ერთსაც გეტყვი: თუ მთლიანად არ გახრწნილხარ, მოიკარგე შენს სუფთა და გაიქცე... მიატოვე შენი დამღუპველი ქალი.. ახლაც წავიდეთ. მე წამომსყვიტე! წაგაგარჩენს!

ტოპაზი. ხომ არ გაგიუდის გადარჩენა მე კი არა, შენ გჭირდება. მიუშის პანსიონიდან წამოსვლა და ჩემთან მუშაობა არ გინდა?

ტამიზი. მხოლოდ მაშინ, როდესაც პატიოსნად იმუშავებ.

ტოპაზი. ამიერიდან ახეც იქნება, ოღონდ არა შენებური თვალსაზრისით. ფული რომ იშოვო, ვილაყას უნდა წაართვა...

ტამიზი. თუ მხოლოდ ასეა, ქვეყნად პატიოსანი კაცი აღარ დარჩენილა და ეგ არის!

ტოპაზი. სცდები! ერთია დარჩენილი — შენ! მაგრამ ხვალაც მესტუმრე და მოვიფიქროთ. ეგებ შენი შეცვლაც მოხერხდეს.

ტამიზი. არა, არა!.. მით უმეტეს, თუ ამგვარი კაცი მელა დავრჩა. იქნებ ამისთვის პენსიაც დამინიშნონ.

სუზი (კარს შემოაღებს). ტოპაზ, არ გცალიათ?.. გელოდებით. კახტელ-ბენაკი კუდამოძუებული წავიდა. (გაილიძებს და მიიშალება. პაუზა.)

ტამიზი. ამ მზეთუნახავმა გაგპარხა?.. კარგია, კარგია!

ტოპაზი. მოხვალ ხვალ დილით თუ არა?

ტამიზი. მოვალ, ხვალ ხუთშაბათია, არა?

ტოპაზი. მაშ, ხვალამდე, მეგობარო, ახლა კი, მაპატიე...

ტამიზი (მოწყალეებით). მიდი, მიდი, მიპატიებია...

ტოპაზი გადის. მარტოდ დარჩენილი ტამიზი კაბინეტს ათვალთვრებს. თავს გადააქნევს ხოლმე. ტყავის სავარძლებს სინჯავს. მერე ტოპაზის მაგიდას მიუჭდება და ისეთ პოზას მიიღებს. მისი აზრით, საქმიან კაცს რომ შეეფერება. ტამიზის გვერდით ტელეფონი აწკრიალდა. იგი შეშინებული წამოხტა.

ძალი (შემორბის და ყურმილს იღებს). დიახ, ბატონო მინისტრო... (ტამიზი გონმიუცემლად მოიხდის ქუდს.) არა, ბატონო მინისტრო, ბატონი დირექტორი გასულია... ხვალ დილით, ბატონო მინისტრო.. კეთილი, ბატონო მინისტრო, გადავცემ... (ყურმილს დადებს და დავალებას უბის წიგნაკში ჩაიწერს.)

ტამიზი. ერთი ეს მოთხარით, ქალბატონო. მოსამსახურეთა დიდი შტატი გყავთ?

ძალი. მხოლოდ ხუთი მბეჭდავი ქალი.

ტამიზი. აი, ის... ბატონი დირექტორის მდივანი სად ზის?

ძალი. მდივანი არ ჰყავს.

ტამიზი. არა?! ჯერ არ ჰყავს მდივანი?!

ქალი საწერ მაგიდას ალაგებს. ტამიზი ჩაფიქრებული გადის.

ფარდა ნელა ეშვება.

**მარსელ პანიოლი** (დ. 1896 წ.). დრამატურგის პირველი პიესა, მწვავე სატირა — „დიდებით მოვაჭრენი“, დაიდგა პარიზის სცენაზე. ამ პიესაში გამათრაზებულნი იყვნენ ადამიანები, პირველი მსოფლიო ომის დროს ზურგში რომ მოკალათდნენ და მებრძოლთა გმირულ თავდადებას საკუთარი ეგოისტური მიზნებისათვის რომ იყენებდნენ, ჭიბუების გასასქელებლად.

1928 წელს „ტოპაზმა“ დრამატურგს დიდი სახელი მოუხვეჭა მსოფლიოში. ეს პიესა თითქმის ყველა ქვეყანაში დაიდგა.

თვითონ სახელი „ტოპაზი“ საფრანგეთში სალანძღავ სიტყვად იქცა. იგი გახდა სინონიმი მექრთამის, კარიერისტის, საზოგადოებრივი მდგომარეობის პირადი გამდიდრებისათვის გამოყენებისა, ბნელი საქმეების ჩაწყობისა.

მარსელ პანიოლიმ რამდენიმე პიესა დაწერა — „ქაზი“, „მარიუსი“, „სეზარი“, „იუდა“ და სხვა. ბოლო ხანს კინომ გართავა და ამ დარგში იმოღვაწევა.



თარგმნა თამაზ ბარჯაქაძე

\* \* \*

თუნდაც სხვამ შესვას შენი სინაზე,  
 ოღონდ მე დამრჩეს, ოღონდ მე დამრჩეს  
 თმების სურნელი, როგორც მიმოზა,  
 თვალები, დაღლილ ტკივილს რომ აჩენს.  
 ხანდაზმულობა რა ძვირფასია!  
 წარსულში ამ მზეს როგორ ვპოვებდი,  
 თითქოს სხვაგვარი კაბა გაცვია,  
 მეც სხვანაირი გავხდი პოეტი,  
 და ახლა ვიტყვი: უკვე წავიდა  
 ის ხულიგნობა, მღვრიე თამაში,  
 თითქოს ყველაფერს ვიწყებ თავიდან  
 ამ გადაბურულ ოქროს ყანაში.  
 ქედუხრელობით, ეინით ვცხოვრობდი,  
 იმ სისხლის ჩქროლას წარსულში ვტოვებ.  
 ო, ეს ბადაგიც! შევსვი ბოლომდი,  
 ვით ერთ დროს სევდა და სიმარტოვე.  
 მოვა ტირიფი და ჩემს სარკმელში  
 შემოუძღვება სექტემბრის დაღლილს.  
 რა შეაკავებს ქარებს დაგეშილს,  
 როცა ლოდინით სავსეა სახლი.  
 ადრე რომ ფართო თვალით ვუმზერდი,  
 დღეს შეგუება არ არის ძნელი.  
 თითქოს სხვაგვარი მოსჩანს რუსეთი,  
 სასაფლაონი, ქოხები ძველი,  
 და ცხადად ვხედავ, რომ შენ ერთადერთს  
 არ შეგიძლია აქ მიმატოვო,  
 და მინდა კვალავაც დიდხანს გხედავდე  
 დავ, მეგობარო და ქალბატონო!  
 რომ შევძლო შენთვის სიმღერა წრფელი  
 ბილიკ და ბილიკ, ქარში, ღამეში,  
 ვიცხოვრო შენით, ვისუნთქო შენით,  
 შენი თვალების სიანკარეში.

\* \* \*

ველარ გაფანტავს ახლა ნალველი  
შორეულ დღეთა ღიმილს მადლიანს;  
ოდეს ჰყვოდნენ თეთრი ცაცხვები,  
ოდეს ბულბული სტვენდა განთიადს,



მაშინ ყველაფერს სიახლედ ვკვრეტდი,  
გრძნობებმა გულის ურეოლაც მაგემეს.  
ახლა კი სიტყვაც, ცვარ-ნამის წვეთი, —  
გულამღვრეული სწყდება ბაგეებს.

მთვარიან ღამის ნაცნობი მზერა  
ველარ აავსებს ჩემს სულს სიამით,  
ტყეებს... ფერდობებს... მოწყობილ სერებს —  
იარებს უხსნის გრილი ნიავი.

ჯანგატეხილი, სუსტი, მდაბალი,  
გადატბორილი რუხი ხმელეთი —  
ო, მიყვარს, თორემ ცრემლით დამბალი  
სიტყვებით ხშირად რად ვიმღერებდი.

ცხვრების ბლავილი, ქოხმაზი ძველი,  
და შორს, სივრცეში, სადაც ქარია,  
კუდის ქნევით და თვალებით სველით —  
გუბესთან კვიცი დგას რა ხანია.

ესაა, რასაც სამშობლოდ ვუხმობთ,  
რის გამოც ვსვამთ და ცრემლი გვდენია...  
ბედნიერ მერმისს შევხარით უხმოდ  
და ეს ლოდინი ყველაფერია.

მიტომ ვერ წაშლის ახლა ნალველი  
გარდასულ დღეთა ღიმილს მადლიანს,  
ოდეს ჰყვოდნენ თეთრი ცაცხვები,  
ოდეს ბულბული სტვენდა განთიადს.

1924

\* \* \*

მანალვლიანებს შენი თვალები, —  
რა ტკივილები, რა მწუხარება!  
და დამრჩა შენგან ტირიფის ცრემლი,  
სეკტემბერი და გაავდარება.

როგორ დაღეწეს უცხო ტუჩებმა  
შენი სხეულის სითბო და თრთოლა.

ო, ჟინჯღღავს ჩემი ცივი სულიდან  
იმ საყვარულის ჳიაკოკონა.

მავრამ ეს რაა! შორს ჩემგან შიში,  
სხვა სიხარული გამიღებს კარებს.  
ხრწნა და სინესტე ძვალსა და რბილში  
ვერ დაადუმებს სიცოცხლის ზარებს.



აკი მე ჩემთვის ვერ გაგიმეტე  
თბილი ღიმილი, ცხოვრება წყნარი.  
ო, შეცდომებში როგორ ვიმეფე,  
ო, ასე უცებ ვით მოვასწარი.

ეს სასაცილო ცხოვრებაც დაგვდლის,  
ასე იქნება. წარვლიან წლები.  
ვით სასაფლაო, სავსეა ბალი  
არყის ხეების დამსხვრეულ ძვლებით.

დავიყვავილებთ ყველანი ასე,  
ველარ ვიმღერებთ ბალის სტუმრები...  
თუკი ყვავილი თრთოლვით ვერ გვაგსებს,  
მაშ, რისთვის სევდა განუკურნები?

1923

\* \* \*

დავდივარ, დამაქვს პირველი თოვლის,  
ვით შროშანების, თეთრი ბრიალი.  
ლურჯი საღამო... და ჩემს ბილიკზე  
ვარსკვლავთა სანთლის ჩუმი ციალი.

ეს ქარია თუ მამლის სიმღერა?  
სინათლეა თუ სიბნელეს ვხედავ?  
იქნებ მდელიოზე ზამთრის მაგიერ  
თეთრი გედების გუნდები სხედან.

მშვენიერი ხარ, თეთრო სიმშვიდევ!  
სისხლს მითბობს ყინვა მსუბუქი ღენთით!  
ო, როგორ მინდა, ტანზე მივიკრა  
არყის ხეების შიშველი მკერდი.

ულრანო ტყეო, ტყევ დაბურულო!  
გადათოვლილი მინდვრის სილაღევ!..  
ო, როგორ მინდა, ხელი მოვხვიო  
ტირიფს და, გრძნობის მორევს მივარღვევ.

\* \* \*



აღარ მოგიხმობ სევდით და ცრემლით,  
გაქრა ყოველი, ვით ვაშლის ფიფქი,  
დამჟკნარი ვნება არაფერს ელის,  
არაფერია იმ წლების იქით.

წარსულს შემორჩა ბრძოლები ცხარე  
და გულში ცივი ქრეოლვა ტრიალებს  
და არყნარებით ნაქარგი მხარე  
ვერ გაგიტყუებს მოხეტიალეს.

სულო დაღლილო, შენ ძველებურად  
ველარ აანთებ ბაგეს ვნებიანს,  
ო, მგრძნობიარე თვალების შფოთი  
და სიხასხასე მომნატრებია.

ახლა კი წლებმა ძუნწიც გამხადეს,  
ნუთუ სიზმარი არის ცხოვრება?  
თითქოს მაგიყებს ცისკრის წკრიალზე  
ვარდისფერ მერნის გამოქროლება.

დრო კი ყველაფერს ნისლში გაახვევს,  
სპილენძს ჩამოღვრის ნეკერჩხლის ტოტი...  
კურთხეულ იყავ, შენ დამანახე  
ეს აყვავებაც და ეშაფოტიც.

1922 წ.

□





გერმანულიდან

თარგმნა ლია ჯაყელმა

### მთვარიანი ღამე

სამხრეთგერმანული, სავსემთვარიანი  
ღამე — დაბრუნება ზღაპართა,  
კოშკებს საათები ჩამოსწყდნენ ზრიალით,  
თითქოს ზღვის სიღრმეებს ჩაბარდნენ...  
მერე შრიალია და მერე გვიანი  
მზირების ძახილი სივრცეს ახმიანებს  
და დგება სიჩუმე... და უცებ ერთი  
იღვიძებს ვიოლინო (სად — უწყის ღმერთმა!)  
და ჩუმად ამბობს:  
ქერათმიანი...

### წინათგანობა

როგორც აფქო, სიშორეებგარემოსილი,  
უკვე ვგრძნობ ქარებს, რომ აღსდგნენ და ჯერ არ  
მოსულან.  
ჯერ სიმშვიდეა: არ კრიალებს არსად ქარები,  
მძიმეა მტვერი და ფანჯრებიც არ კანკალებენ;  
თვლემენ ბუხრებიც, მე კი უკვე ზღვა ვარ და მითრთის  
დიდ გრიგალებთან შეჭიდებულს ყოველი ზვირთი —  
ვიფოფრები და ჩემსავ თავში ჩამოქცეული  
კვლავ ავიშლები და ვარ ეული  
ამ ქარიშხლებში.

### ლოცვა

ო, ღამევ, წყნარო, შენში დამცხრალ-გადაწნულია  
საგანთ სიჭრელე და სიმრავლე მათი უღევი.

ფერი ქათქათა შერევიან მუწამულიანს —  
 ერთი სიჩუმის ერთ წყვილიადში აზიდულები  
 შენნი არიან. დღისას უკვე აღარა პგვანან.  
 მეც მაგ ერთობას მაზიარე, მიმიღე. განა  
 ჩემი გრძნობები ჯერ სინათლეს ვერ შელევნიან?  
 და თუ ჩემს სახეს ჯერაც კიდევ რამ შერჩენია  
 შენს წიაღ ყოფნას ასე რომ მიშლის,  
 აი, ხელები. დახედე და განსაჯე ისე:  
 განა ისინი, ვით ხელსაწყო ან რამ საგანი,  
 არ დაწყობილან. ნდობით შუქით რომ დაჰფენიათ?  
 ვით ეს ბეჭედი. ჩემს თითზე რომ განაგრძობს



ციმციმს,

ხელიც ცალკეა. საგანია ღამეში ისიც...  
 ხელები. შორით განათებულნი, თითქოს გზებია,  
 რომლებიც მხოლოდ სიბნელეში განშტოვდებიან.

### პოეზი

მშორდები, წამო. და მტოვებ აგრე —  
 დაჭრილს მაგ შენი მალი ფრთის დაკვრით.  
 მე კი რა ვუყო ჩემს დაღლილ ბაგეს?  
 რა ვუყო ჩემს დღეს? რა ვუყო ღამეს?

სახლი არა მაქვს, სადგური სადმე,  
 არც გულისწორი არ მყავს არავინ.  
 დაუზოგავად ვეძლევი საგნებს —  
 მე ვამდიდრებ და თვითონ მფლანგავენ.

\* \* \*

როცა ოდესმე ამ ცხოვრების ორომტრიალში,  
 ბაზრის, მოედნის და დღეების ღელვა-გნიასში  
 ჩემი ბავშვობის მოყვავილე და ჩუმ სიფითრეს —  
 იმ ფიქრთან და დინჯ ანგელოზს გადავივიწყებ:  
 მის მლოცველ ხელებს, ხელებს დამლოცავთ,  
 მის მადლს, სამოსსაც...  
 უიდუმალეს, ჩუმ სიზმრებში,  
 ყოფით დაღალულს  
 გამახსენდება ანგელოზის  
 ფრთები მაღალი,  
 შეერთებული მის ზურგსუკან  
 თეთრ კვიპაროსად.

სიუჰარული

პო. მენატრები, საკუთარ თავს ხელიდან ვუსხლტი,  
ვეკარგები და შენთვის ვირთვები...  
ვგრძნობ, ვერ უარვყოფ — ეჭვითა და ნალველით



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

იმას, რაც შენგან მოდის ჯიქურ, დაბეჭითებით.

ადრე კი, ადრე... ერთიანს, მთლიანს  
არა მემახდა — არც არაფერს არ უმუხთლია.  
ჩემი დუმილი, ჰგავდა ქვის დუმილს,  
რომლის თავზეც მობუტბუტე ნაკადულია.

მაგრამ რალაცამ ამ გაზაფხულზე  
საბრალო, თბილი ჩემი სიცოცხლე  
ბნელ და შეუცნობ წელიწადის ხეს  
ჩამოსტეხა და ვილაც უცხოის რელს  
მიაჩეჩა... მასთან გარიყა,  
ვინც არც კი იცის, გუშინ რა ვიყავ.





რამდენიმე სიტყვა

7. ავებარდი

„... ნოვარი, ქნარი, ვით მბუბნი ქნარი,  
თუ ავებარდი შენ შუქი ძნობდა.“

მამყვა ზანათაშვილი<sup>1</sup>

„ავებარდი“ სანს თეზისობის უხრს ავროპული ხელოვნების, ნეკრობი მოყოლილებთან, ვარსკვლავის ნიშნის ამახ, ყოველგვარი სიყვარული განმარტების ვარსკვლავი, ნარტირებულთა ექვსში (Q-400, H-95, K-300, A-75, H-1429, A-1473).

დანარტირ სანს (S-2498, H-416, H-1658) ავლთა: ის ვუ-რცელი, სანს შეიძლება იგი ყოველთვის.

ითანე ზურაფობის განმარტებით: „ავებარდი სანს ერთის ქოთბითა ვარსკვლავისა; და ავრთვე სხობობში რომ ვარსკვლავს დასვენ ამ სანს (\*), ამა ნიშანსაც ენდება სანსი ესე.“<sup>2</sup>

ქორიბუღო მსგობრან აქნარს ჩანს, რომ „ავებარდი“ არის მნათობი, მაგრამ ვერძოგ რომელი?<sup>3</sup>


• ჩემი აზრით „ავებარდი“-ი კომპოზირია (ნარტირება სომხ-ური):

აფი + ა + რარა<sup>3</sup> > აფერარა<sup>4</sup>

ეს სიყვარული არის მხოლოდ ქორიბუღი (ანს სომხურ ში, ანს სხვა რომელიმე ენაში)

\* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ №№ 2, 3, 4, 5, 1988 წ.

იგი ქართული ენის ამოყვანის, სომხური განსჯა-  
ბის მხარეს მხარდობის (აქი - "ყვი") რაღაც შეხება საზო-  
გოებთან (ქართვ), ყველა იმ მნიშვნელობა, რაც მას სომხურ  
აქვს, აქ ყარვანა.



რას ნიშნავს აქ ეს ქართვ ("მარძ")?

"მარძ"-ის რამდენიმე სასადავო, ყინბარეს ყოველი, ყნდა  
გაიჩვენებს სიყვანა "მინს" ნარმოცობა, მისი თარგმანის  
სახე და "მარძ"-ის მიმართება მასთან, ვინაიდან (როგორც მკითხ-  
ველი ამით ქვემოთ დარწმუნდება) "მარძ"-ი ფონეტიკური ვარ-  
იანობა "მინს".

1908 წელს ნ. მარძა მინს ქართული და ქართველური სახე-  
ლოები არაა. "მინს"-ისა (მინს) და ები. "მარძ"-ის (შშშ) შეხა-  
ყვანებზე აქვს და მათი ნარმოცობა ამჟამად ნარმოცობა:  
\*მინს > ქ. მინს, \*მარძ > მინს. მინს, \*მარძ > მინს. მინს.

1928 წელს ნ. მარძა ეს ამსახლება ყარყო, ამჟამად მან  
ქართული "მინს" ძირად ვამარჯვებდა "მინს", რომელიც მოცემ-  
ულია სავანო სიყვანაში "ლო-მინს-გ" (სიყვანა), და ამ "მინს"-ის  
მიღობა, ყნდა მიჩნდა ქართ. მინს, - სიყვანის სასახისა, ქართული-  
სათვის დამახასიათებელი, თანამართლებს თარგმანის ვინა (მინს > მინს).

ამავე, 1928 წელს ნ. მარძა ეს ამსახლება ყარყო და მინს.  
"მინს-გ" სავანოში სიყვანა ქართ. მინს არსებობდა "მინს".  
ეს "მინს", მისი სხვათა, ვამარჯვებულა არამარტო შედარებითი  
კრამარჯვის ვინა, არამედ სავანო-სიყვანისა: "მინს"  
(იხი, როგორც "მინს") მივითარებთ სიყვანის სიყვანის "მინს",  
თარგმანს ნარმოცობის მიხედვით "მინს", "მინს" და ქართული  
ქვეყანა სხვათა "მინს".

იგი ვამარჯვებდა (როგორც ქართ. მინს-ს და მინს-ს  
ყარყოში შეხებას დარწმუნა, რომ ქართ. მინს, მინს. მინს და  
სხვა მინს მოლოცობისა ვინა (მინს) მინს. "მინს-ს", "მინს-  
ლო-ს", "მინს-ს", სხვა. "ლო-ს" და ქართ. "მინს"-ს  
მიხედვით სიყვანა "მინს" ქართული და ქართველური სახელოების სიყ-  
ველი ფონეტიკა (ქართ. მინს, მინს. მინს, სხვა. მინს) და ამ ვინა-  
მისი მოლოცობის მინს-ს (მინს, - სხვა) მინს-ს სიყვანის მიხედ-  
ვით და მათთან (ამ ვინა-ს) ვამარჯვებდა ვინა "მინს"-სა-  
ხელოებისა ფონეტიკური მინს-ს სიყვანის სიყვანის ვინა:  
"მინს" სახელი თარგმანის მიხედვით თარგმანის მიხედვით სიყვანის  
სიყვანა, ე. ი. მიხედვით, ან სხვათა სიყვანის ყნდა ყარყო და

მხოლოდ შედეგში. ქართულში მისი აღმნიშვნელი უნდა იყოს, ადამ-  
ბერი-სურათებისა და მთავარს აღმნიშვნელი უნდა იყოს. მის  
თავდასაბუთებლად ვამაყობდებით და მნათობის მნიშვნელობა უნდა  
აქონდეს, ამიტომ ეს უნდა იყოს ქართულში თანდასაბუთებელი  
ფორმა. შეიძლება მართლაც იყოს მნათობის მნიშვნელობა, მაგრამ  
ფორმა ვამაყობდებით, ამიტომ შეიძლება იყოს მნათობის მნიშვნელობა  
უნდა იყოს.<sup>12</sup>

ანტ. ჩიქობავა, ერთობლივად აღნიშნულ რა ქართ. მნიშ-ს, ქრ. ბერძნულ-  
ბერძნულ და სხვ. მნიშ-ს, მნიშვნავს: „სხვა. მთვ იმის მნიშვნე-  
ლობა, რომ მნიშ-ს ძირითადი თანხმობისა შორის ხმების უნდა ყოფ-  
იყოფიან; ეს ხმების მომდევნო სურათების ხმებისა (-ი, -ა, -ო// -ყ)“  
გვეხსენებოდა დასაბუთებით.<sup>13</sup>

3. მარტოველითა და ვერცხლითა მარტ-ის სხვა-  
დებობა ვარაუდობს: „შესაძლებელია ადამბერი „ამბა“ და ქართ. „მბ“  
ორივენი სიწყობით (ა+მ+ბა, მ+ბე) იყოს, რეზულტად ვერცხლითა ფორ-  
მითა მოტეხული; ე. ი. ამ სიწყობითა შინაგონისა და მთავრად იმის „შემა-  
ტეხელი“ ბერძნული დასაბუთებითა აქონდეს, - შინაგონი ძირს აქვდა რა+აბ-  
თა ვერცხლითა ანტ. ჩიქობავას, ბერძნული სიწყობითა. ესე ადამბერი  
მარტოველითა მარტოველითა (ვამაყობდებით სხვა. „მთვ“-ის სიწყობითა), მარტ  
„მნიშ“ ქართული და ქართულთა სხვაობის ძირითადი ფორმა (ვამ-  
აბუთებელი ვერცხლი) იქნება: ქართ. „მნიშ“, სხვა. სხვა. „მთვარ“ [„მნიშ“ = „მნიშ“  
= „მნიშ“; „მთვარ“ = (სხვა. მთვ) = „მთვარ“ = „მთვ“].

„მნიშ“-ის მარტოველითა ვარაუდობს (მნიშ > მნი) ვერცხლითა  
შემატებითა [იხივ, როგორც ვლინობის ვარაუდობს (სხვა. მნი > მნიშ) ვ-  
ერცხლითა] მოვიღებთ ფორმას „მნიშ“, როგორც ეს ფორმა სხვა-  
დებობითა იქნება შინაგონითა (მნიშ > მნიშ), ვლინობითა, - მოტეხილი  
(მნიშ > მნიშ).

„მნიშ“-ის ფორმითა ვარაუდობთ იქნებოდა: მნიშ, ვარ-  
ნიშ, მნიშ, მნიშ, ვარნიშ.<sup>17</sup>

ყველა ამ ფორმის მოვალეობა სურათების, ვარაუდობს:  
მნიშ (აქვდა ნიშნობა უნდა იყოს ქ. მარტოველითა/ვარაუდობს/ვარაუდობს-  
ლობა).

მნიშ (სხვა. „მთვარ“).  
ვარნიშ (სხვა. თა. „მთვარ“).

მნიშ/ვარნიშ (ქ. ვარაუდობს, „მნი“), რომელითა თავდასაბუთებელი  
მნიშვნელობა (იხივ, როგორც სხვა. „მნიშ“-ის, რომელითა მნიშ-  
ვნელობა ანთად ეხერ) ანთად: „ვამაყობდებით, მნიშვნელობა, მნათობ“.

ახლოს, რაჟი ყველა ვამაყობს რაიმე „მნიშ“-ისა [„ვამაყობდებით, მნიშ-  
ვნელობა, მნათობ“ (მნიშ-ის-ვა > მნიშ-ის-ვა > მნიშ-ის-ვა > მნიშ-ის-ვა/

\*Ձարժ-ոճ-ըս > ձարժ-ոճ-ըս > ձարձ-ոճ-ըս > ձձ-ոճ-ըս/ձձ-ոճ-ըս], ըստ փիլոս. Գրեյնի  
ոտիչան, որով չորժարձովը «սըլլարժ-ձ», «ձարժ-ն» ենթան «զարձնչըլլա»  
տղուտ «սըլլարժ-ն»<sup>18</sup> չո ողորդ, որև «չպրոան զարձնչըլլա, չորժարձ»



Ձարժ-ն<sup>19</sup>, զուտակեա նայլոնըլլա «զարձնչըլլա» (զարձնչըլլա  
ըլլա՞) թձոնա,<sup>20</sup> սեղա յրազոկուցուը ուղորդել, որուը թիւլոն թըլլա  
նորպչա; էլ ձի զարապըու, նեուիչը սժ նորպչըսն նանհաղըն պեղա  
ոյուն լըրոնըլլա: «զարժոս» ըս «սարձնչո»

### զարժոս

«զարժոն» Ե. թարևըլլա յըրոնըլլա սնչոն: ձարձ  
(>զարձ) > ձարժ > ձարժ-ոճ-ըս > ձարժ-ո-ըս (նայլ ձարձ/ձարժ  
«ձարձնչըլլա նապարտան լըրոնըլլա լըրոնըլլա ըս չուննը-  
լլա թձոն»)<sup>21</sup>

Գրուի «զարժ-ոճ-ըս» Ե. թարևն զարձնչըլլա նոն-  
լլա «զարժ-պն-ի» ու; սիւր, ըն պչարնչըլլա (զարժ-պն-ի)  
թձոնըլլա Գրուի (1862), պոնըլլա Վարձիլա (XIII)<sup>22</sup>

սնչ, որով ձարժոն տալաճիւլը նայլ ձարժոն-ն  
սըլլա պարաղըլլա:

Ե. թըլլալըլա-ձըլլա ձարժոն լըրոնըլլա նայլոնըլլա  
նանհաղըն տըլլոն; մն սժ լըրոնըլլա պչըլլա թարևն թըլլա  
ոնըլլա լըրոն: լըրոն-ըս > լըրոն-ըս > ձարժ-ըս (լըրոն չար-  
նըլլա զաթըլլա);

զարժոս, թոն սձոն, սնչըս նանհաղըն, որուըլլա ողորդ-ն,  
սըլլան-ըս, սըլլան-ըս, զըլլա-ըս, - յ. ո. ձիւլըլա-ըս ունըլլա  
լըրոնըլլա ու-ն թիւլըլա,<sup>23</sup>

զարժ-ըս, յ. ո. ձարժոս (<լըրոնըլլա)<sup>24</sup> սըլլոնըլլա, նայլ-  
ըլլա.<sup>25</sup>

Էլ ձի սձոն, ձարժոն պչըլլա ձարժ («ձըլլա»)<sup>26</sup>

ձարժ-ըս > ձարժ-ըս - թձոն նայլըլլա, թձոն նայլըլա  
սըլլա. [ձարժ-ն (>զարժ-ն), որով լըրոնըլլա «ձըլլա» թըլլալըլա  
զարձնըլլա, սժոն ձըլլա ու. ձըլլա]

Մեծնի



Գրեցաք յնա՞ն «տե՛ն» թա «մե՛ն» քո՞նք, հո՞-  
ղորդ X Ն-ն թա՞նք, զորո՞րքն թա՞նք, յն՞քն  
նոյ տա՞նքն «ԱԵՏՕՏ»-ն թա՞նքն «տե՛ն, հո-  
ղորդ, - «մե՛ն», զորո՞րքն «ԱԵՏՕՏ»-ն թա՞նքն «տե՛ն»  
թա՞նքն «մե՛ն»<sup>30</sup>

Ի՞նչ պե՞տ ճի՞շտն յն՞ք!  
Քո՞նքն թա՞նքն յն՞քն յն՞քն, ի՞նչ «մե՛ն» ո՞րքն,  
ի՞նչ տե՛ն»?<sup>31</sup>

Ս. Ճի՞շտն թա՞նքն թա՞նքն յն՞քն յն՞քն  
(«մե՛ն» թա՞նքն «տե՛ն»)<sup>31</sup>

Յանքն, ի՞նչ թա՞նքն, ո՞րքն, յն՞քն, յն՞քն,  
նոյ տա՞նքն թա՞նքն յն՞քն յն՞քն յն՞քն «մե՛ն»  
«տե՛ն» թա՞նքն յն՞քն յն՞քն»<sup>32</sup>

Նա՞նքն «տե՛ն» թա՞նքն յն՞քն յն՞քն  
նոյ տա՞նքն; յն՞քն յն՞քն յն՞քն, յն՞քն յն՞քն  
նոյ տա՞նքն, - «մե՛ն» ո՞րքն, յն՞քն, յն՞քն, յն՞քն, յն՞քն  
նոյ տա՞նքն (նոյ տա՞նքն յն՞քն յն՞քն յն՞քն)»<sup>33</sup>

Նա՞նքն յն՞քն, յն՞քն յն՞քն յն՞քն յն՞քն  
նոյ տա՞նքն (նոյ տա՞նքն յն՞քն յն՞քն) «տե՛ն» յն՞քն»<sup>34</sup>

Նա՞նքն «մե՛ն» թա՞նքն յն՞քն յն՞քն, յն՞քն  
նոյ տա՞նքն յն՞քն յն՞քն յն՞քն «մե՛ն» թա՞նքն  
նոյ տա՞նքն «մե՛ն» յն՞քն»<sup>35</sup>

Ս. Ճի՞շտն, յն՞քն «տե՛ն» թա՞նքն «մե՛ն»  
նոյ տա՞նքն յն՞քն յն՞քն յն՞քն, յն՞քն յն՞քն, «մե՛ն»  
նոյ տա՞նքն յն՞քն յն՞քն յն՞քն (նոյ տա՞նքն), յն՞քն  
նոյ տա՞նքն յն՞քն յն՞քն (նոյ տա՞նքն)»<sup>36</sup>

Գրե՞ք «մե՛ն» թա՞նքն յն՞քն յն՞քն յն՞քն»<sup>37</sup>

Ս. Ճի՞շտն յն՞քն յն՞քն յն՞քն յն՞քն, յն՞քն յն՞քն  
նոյ տա՞նքն յն՞քն յն՞քն յն՞քն (նոյ տա՞նքն, յն՞քն  
նոյ տա՞նքն) «մե՛ն» յն՞քն յն՞քն (նոյ տա՞նքն)»<sup>38</sup>

Ի՞նչ թա՞նքն յն՞քն «մե՛ն» յն՞քն?»







Կարգա շրջան «Ձնուհ»-ն, մեկ ժողովուրդի և յարևանքի հարաբերության  
զարգացման համար հայկական դեմոս (խառնուրդի հայկական, տձ, -1884)  
և հետո ոչ ոչ հարաբերակցության իրականացում (պեճակ ուրմե «Ձնուհ»);

Երևանում հրատարակված համար հայկական պարսկական լեզուի հարաբերակցության  
հարաբերակցության հարաբերակցություն (Տ-2696, Տ-2727), հարաբերակցության և յարևանքի  
հարաբերակցության, նրան «Ձնուհ», յն հարաբերակցության սեղանի և յարևանքի իրականացում  
զարգացման համար հայկական համար զարգացում:

10. պե. սձն, մսն/մցն, քանակ մն/մսն, հար. մսն/մցն/մսն/մսն  
հար.

11. սման սնուհիս զարգացում, ուրուհի մեկ տարակցության «Ձ» (Ձն-ի, Ձյու-  
հար-ի և մույ-ի), հարաբերակցության ոչ չարաբերակցության մեկուկուս խառնուրդի,  
սպորտիս ժողովուրդի; և յարևանքի, զարգացում սմ և յարևանքի իրականացում  
տարակցության (Բ. Ա. Կաստոբ, ՅՍԿԻ, Մ, -1964, թ. 134).

12. ոչ. չարաբերակցության, ՅՍԿ, I, տձ, -1960, թ. 129

13. սմ. հարաբերակցության, իրականացում-խառնուրդի իրականացում հայկական,  
տձ, -1938, թ. 207.

սմ. հարաբերակցության մեկուկուս և յարևանքի իրականացում «Ձյուհի»  
հարաբերակցության և յարևանքի հարաբերակցության յարևանքի իրականացում (հարաբերակցության  
մսն/մցն, սնուհիս: Յ-Ձն)

զարգացում սնուհիս զարգացում, - նչ. «Ձյու-ի» «Ձ» իրականացում ոչ ոչ  
սմ տարակցության զարգացում (Բ. Ա. Կաստոբ, ՅՍԿԻ, Մ, -1964, թ. 134)

14. զ իրականացում, իրականացում պարսկական և յարևանքի իրականացում սնուհիս-  
հար (հարաբերակցության իրականացում-իս), տձ, -1941, թ. 114, նիստ:

զարգացում սնուհիս հար. իրականացում (զարգացում իրականացում և յարևանքի  
պարսկական) «Ձ-ի» իրականացում իրականացում; իրականացում սմ և յարևանքի  
(իրականացում) «Ձ» իրականացում (Բ. Ա. Կաստոբ, ՅՍԿԻ, Մ, -1964, թ. 133-  
134).

սպորտիս սմ իրականացում իրականացում, իրականացում սնուհիս զար-  
հար հար. իրականացում-իս յարևանքի հար. իրականացում (իրականացում), և յարևանքի  
զարգացում-իս, - հար. - սնուհիս - նն. զարգացում, - իրականացում իրականացում «Ձ-ի»

15. իրականացում: հար. մսն/մցն (մույ-ի):

16. Կարգա շրջան իրականացում «Ձնուհ»-ի (սն զարգացում, յարևանքի իրականացում զար-  
կարգացում, իրականացում իրականացում և յարևանքի իրականացում իրականացում),  
և սմ. «Ձյուհի»-ի և սնուհիս «Ձյուհի» (սմ տարակցության զարգացում ոչ  
չարաբերակցության զարգացում) իրականացում իրականացում իրականացում (սմ), ոչ ոչ, հար  
սնուհիս, և յարևանքի իրականացում (-սն, -սն, -սն) յարևանքի իրականացում սնուհիս  
պարսկական



ქართულთა ფიქონ „მზეში“ „ვანსკვლავი“ რომ არ იყავით...  
მთელი, ვანსკვლავი, სხვა იმდენი მზე?  
ამისა მხედრობა, „მანძ“-ის ენაგონი, ხან „მზეს“ თანა...



ეს „ვანსკვლავი“ არა უფრო, რომ მისი თარგმანი...  
„ვამა მუჭე მუჭო“

21. H. H. Marr, Избранные работы, т V, стр. 489.

22. წ. მულოქვა-მეტი, სომხური-სომხური მრეცხი: მარქსი-  
ული ენათმეცნიერებისათვის, 1934, ს. 161.

23. წ. მულოქვა-მეტი, იგივე ნიშნა, ს. 161

24. \*მძე (< მძე), რომ ეთიოპიური სომხი სხვადასხვა,  
მკვლევართა არს განმარტების სფეროებში სომხური მძე,  
მძე/მძე-სა და ეთიოპიური მძე-ის სავსებელი

(წ. მულოქვა-მეტი, იგივე ნიშნა, ს. 161-164)

25. მულოქვა-მეტი, ს. 161-163

26. „ვანძი“ ფაქტ (მთავრად უფრო ითქვამს) ბ. მანს „ვანძი“  
„მზე“ მთავრად, მანამ ს. მ. იმდენი ვანძი, რომ თვით „ვანძი“-ის  
მზე მთავრად არ იყავი, არა ვანძი, არა „ვანძი“, „ვანძი“  
და „ვანძი“ - ვანძი-მთავრად არა.

„ვანძი“-ის (ქართული) ეტიმოლოგიისათვის იხ. ს. მ. მანს  
ს. მ. მანს, ს. მ. მანს, IV, ს. 317-318; ს. მ. მანს, ქართული ენა და ეტიმოლოგია  
ს. მ. მანს: ს. მ. მანს ს. მ. მანს ენა, იტიმოლოგია  
ს. მ. მანს და მ. მ. მანს ს. მ. მანს იტიმოლოგია, V-VI,  
ს. მ. მანს, - 1940, ს. 98-99.

27. X ს-მდე ქართული მხედრობის „სომხი“ არა ხან,  
იგი ეტიმოლოგია იტიმოლოგია ეტიმოლოგია (955-1028)

სომხები ვანძი-მთავრად - 4-7, 12-14 (A. P. Шанидзе, Названия  
„орла“ в грузинском языке: Исследования по истории ку-  
льтуры народов востока, Сборник в честь ака. елиха Н. А.  
Орбели, М.-Л.-1960, с. 143).

28. „მძე“- მთავრად 24-28; ს. მ. მანს 17-37 [ს. მ. მანს (897), ს. მ. მანს  
(936) და ს. მ. მანს (973) მთავრად]; ს. მ. მანს აეცი, ს. მ. მანს,  
aquila, ს. მ. მანს, - ს. მ. მანს [ქართული მთავრად მთავრად ს. მ. მანს  
ს. მ. მანს მ. მ. მანს ს. მ. მანს მთავრად (897, 936 და 973).









դրս, Հենեարիկ, Ի տպարանի Մխիթարեանց - 1889); Խուկուցի  
 орлы (առ ի I, թ. 34-23), орловъ (առ ի II, թ. 49-32) - (Немези  
 епископъ Емесскій, О природе чело века, Переводъ  
 греческаго Θεодора Владимирскаго, Погоевъ - 1902)

35. սրննու (օրն) - (19, 4 շմբեթ) սրննան որսուցիչ թռչնատես  
 էլնան զանազաններ, և ունի լուրջ սրտով համարան ևս նյութային  
 ջանքերով զանազաններ, նյութով ճանաչողովն այսին փառն-  
 սուրն. ծաղրով այստեղ սրնն են չորմու (և ծ, ր. IV, 1, 16, - 1965)

զնու (օրն) - շնու սրնն համարան և՛ ձևապատկեր սրննն պե-  
 րան; համարան ծաղրովն էլ չորմու ժող սրնն ևս պան չորմու - այստեղ,  
 համարան չպե սրտային ևս շնու զան չորմու ևս չորմու ևս, ևս շնու  
 փառն (և ծ, ր. IV, 1, 16, - 1966)

Կարծես թույլ թույլ սրնն «զնու» Խուկուցի թռչնատես Беркут (Ե.  
 Խուկուցի, Խուկուցի թռչնատես Խուկուցի սրննատես, 1961, Ե.  
 Խուկուցի, Խուկուցի - Խուկուցի թռչնատես, 1984); Երևանի  
Беркут-ն և՛ թռչնատես պլուվիան արժիլ - Aquila ful-  
va (Полный русско-армянский словарь, составленный  
 доктором философии А. С. Гарибяном, т. I, Тифлис -  
 1903. սրնն «Aquila» չորմու թռչնատես; պեթսսսսս «Aquila»);  
 163 թռչնատես Беркут-ն և՛ թռչնատես Բարիբյան (А. С.  
 Гарибян, Русско-армянский словарь, Ереван - 1968; Շայ-պլուվի-  
 ան արժիլ, Երևան - 1984)

Խուկուցի - Խուկուցի թռչնատես Беркут-ն թռչնատես «ժող  
 սրնն», «զնու» թռչնատես Орлан-ն (Խուկուցի - Խուկուցի թռչն-  
 ատես, 1983); և՛ թռչնատես Aquila fulva թռչնատես թռչն-  
 ատես «և՛ թռչնատես թռչնատես» (Թռչնատես, Թռչնատես  
 թռչնատես թռչնատես, 1973)

այս «զնու» թռչնատես, Խուկուցի Орлан-ն, թռչնատես  
 և՛ թռչնատես թռչնատես թռչնատես (А. С. Гарибян,  
 Русско-армянский словарь, Ереван - 1968; Շայ-պլուվի-  
 ան արժիլ, Երևան - 1984)

և՛ թռչնատես «թռչնատես» և՛ թռչնատես «զնու»  
 «սրնն»

36. А. Г. Шанидзе, Названия «орла» в грузинском яз-  
 ыке, Исследования по истории культуры народов вост-  
 ока, Сборник в честь академика И. А. Орбели, М.-Л.-  
 1960, թ. 143.

37. Շր. Կճարան, Շայ-պլուվի արժիլ արժիլ արժիլ,  
 Հ. I, Երևան - 1971, թ. 320.





Քյոնիգ-ը), որի ֆունդամենտը յեղծված էր Նախնին Լեւոնյանի, շատեր  
թույն էր ստան թամպակի Նախնին Լեւոնյանը:

«Ճարժուժ-ը»/«Ճարժուժ-ը», որոշույն Լեւոնյանի Նախնին,  
Վերջերս օրինակներով 1X և-ին (Նախնին Լեւոնյանի ֆունդամենտ  
ընթաց, II, տժ., -1966, թ. 72, 73, 214), որոշույն Լեւոնյանի թամպակի,  
XVI-ին [Երազմանի Նախնին Լեւոնյանի, I, (XV-XVIII),  
տժ., -1940, թ. 358], որոշույն թույն, -XVIII-ին (Յանյանի, սրբիկ  
Լեւոնյանի Նախնին Լեւոնյանի, տժ., -1941, թ. 41, 43).

Ֆունդամենտ «Ճարժուժ-ը» զանազան յայտարարում:

1. Ճարժուժ-ը, Ճարժուժ-ը - Նախնին զանազան (Նախնին  
Լեւոնյանի Ֆունդամենտ ընթաց, II, տժ., -1966, թ. 72, 2).
2. Ճարժուժ (44, 2 ընթաց) զանազան թույն Լեւոնյանի; որոշույն  
Լեւոնյանի; Լեւոնյանի, Լեւոնյանի (Լեւոնյանի)
3. Ճարժուժ - զանազան Լեւոնյանի (Լեւոնյանի. 44, 2 ընթաց),  
Լեւոնյանի, Նախնին զանազան Նախնին Լեւոնյանի Լեւոնյանի,  
Լեւոնյանի (Լեւոնյանի).
4. Ճարժուժ-ը-ը Նախնին զանազան Ֆունդամենտ Լեւոնյանի  
Լեւոնյանի, Նախնին զանազան Ֆունդամենտ (Լեւոնյանի. I, տժ., -1950).
5. Ճարժուժ-ը-ը 44, 2 զանազան Նախնին զանազան թույն-  
Լեւոնյանի Լեւոնյանի, որոշույն Նախնին զանազան Նախնին զանազան  
Լեւոնյանի (Լեւոնյանի); Նախնին Լեւոնյանի (Լեւոնյանի զանազան զանազան,  
ֆունդամենտ զանազան Նախնին Լեւոնյանի, I, ընթաց 1, տժ., -1970,  
թ. 269)
6. Ճարժուժը - զանազան Լեւոնյանի, որոշույն զանազան  
Լեւոնյանի.
7. Ճարժուժը - զանազան Լեւոնյանի, որոշույն զանազան Նախնին  
Լեւոնյանի զանազան զանազան զանազան զանազան զանազան զանազան  
Լեւոնյանի. զանազան զանազան զանազան զանազան զանազան զանազան  
Լեւոնյանի (Լեւոնյանի, զանազան զանազան, տժ., -1969).

«Ճարժուժ-ը» թ. Նախնին զանազան զանազան զանազան զանազան  
Լեւոնյանի: «Ճարժուժ-ը» զանազան զանազան զանազան զանազան  
Լեւոնյանի (Լեւոնյանի).

Ֆունդամենտ զանազան զանազան զանազան զանազան զանազան  
Լեւոնյանի, զանազան զանազան զանազան զանազան զանազան զանազան  
Լեւոնյանի, զանազան զանազան զանազան զանազան զանազան զանազան  
Լեւոնյանի, տժ., -1966, թ. 298)

Լեւոնյանի զանազան «Ճարժուժ-ը» զանազան զանազան զանազան  
Լեւոնյանի (Լեւոնյանի. 44-2; զանազան 51-17), զանազան զանազան - scyphus (Լեւոնյանի.





հղուելով ածական, ստեղծող ոգիչը, այս ճեմարան  
(ու. Յ. Եմբ. Յ, Յրգեկրպակներ Յստեղծարարական  
և ստեղծող Յր հոգի - 1957, ՅՅ 231)

Ե. Ձևեր «Յնուր» նախադաս Յստեղծողական  
Յնուր ստեղծող-ը: « և Յնուր ստեղծող, և Յնուր A-տա  
ստեղծող A-տա, նախադաս Յնուր ստեղծող և Յնուր A-տա  
ստեղծող A-տա » (H. H. Mapp, Աշխատանքային Յր, I, Ա-1933,  
ՅՅ 74).

55. Ն. Նախադաս Յստեղծող («ստեղծող») Յստեղծողական  
և Յստեղծողական (С. М. Хаидakov, Очерки по лексике лакс-  
кого языка, М., - 1961, ՅՅ 14)

«ստեղծող» ստեղծողական Յստեղծողական Յնուր «Յնուր»  
«Յնուրական» Յնուրական Յստեղծողական Յնուրական (այստեղծողական bāz/bāj,  
և bāz/bāza, Յնուրական bāzī, Յնուրական bāz, Յնուրական bāz/bāiz,  
և բազ), Յնուրական Յնուրական Յնուրական «ստեղծողական»  
Յնուրական Յնուրական «ստեղծողական»

56. « և Յնուրական Յնուրական Յնուրական (Յնուրական, և Յնուրական! - ստեղծողական  
և Յնուրական ստեղծողական Յնուրական), ստեղծողական Յնուրական Յնուրական  
և Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական

Յնուրական Յնուրական Յնուրական: p (> b = φ) > h.


Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական  
և Յնուրական Յնուրական pater և Յնուրական Յնուրական ստեղծողական, և Յնուրական  
բայր (> bայր = φայր), ստեղծողական, - հայր.

Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական  
և Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական  
և Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական  
և Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական

և Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական  
և Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական  
և Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական  
և Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական

և Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական  
և Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական  
և Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական  
և Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական Յնուրական

Непогатый источник истории Кавказского мира, ИАН-1917, №5, VI серия, стр. 323).



სხვათაშორის, თბილისში აღიწერა 1772 წელს შიყილია ვიყილია შიყილია (იხ. "სხვათაშორის" II, თბ., -1964, გვ. 381)

აქვე აღიწერა ვიყილია თბილისში სიყველა ვიყილია რომელიც "თბილისში" შეესაბამება:

სხვათაშორის ამ რომელიც თბილისში აღიწერა:

1. თბილისი (გ. ვიყილია, ავ. ვიყილია).
2. თბილისი (ვიყილია, თბილისი).
3. თბილისი (ვიყილია).
4. თბილისი (თბილისი).
5. თბილისი (ავ. თბილისი, ავ. ვიყილია).
6. თბილისი/თბილისი (თბილისი).
7. თბილისი (თბილისი).
8. თბილისი (თბილისი, გ. თბილისი, თბილისი).
9. თბილისი (გ. თბილისი).
10. თბილისი (თბილისი).
11. თბილისი (ავ. თბილისი).
12. თბილისი (თბილისი).
13. თბილისი (ავ. ვიყილია).
14. თბილისი (ავ. ვიყილია).
15. თბილისი (თბილისი, თბილისი).

(იხ. თბილისი ვიყილია, თბილისი, თბილისი, -1955, გვ. 329, 3; გვ. 7, 315; ვიყილია თბილისში აღიწერა, II, თბ., -1964, გვ. 84-85, სფ. 9; ავ. თბილისი, თბილისი, II, თბ., -1937, გვ. 52, 303; თბილისი, თბილისი, -1902, თბილისი, თბილისი, -1866, გვ. 536; თბილისი, თბილისი, -1913, გვ. 194, 253; თბილისი, თბილისი, -1917, №5, VI серия, თბილისი, თბილისი, -1956; თბილისი, თბილისი, თბილისი, თბილისი, -1962, გვ. 177).

ეს იხ. თბილისი (თბილისი თბილისი), თბილისი თბილისი თბილისი თბილისი...

თბილისი, თბილისი თბილისი, "თბილისი" თბილისი თბილისი თბილისი თბილისი თბილისი...





տոմ-ը - 1. երևի լավագույն ձևաբանական հարցերի  
ուսման, համեմատման մեջ սեփականում, և հարցեր (հարցերի  
հարցեր (և ընդհանուր, զգեստ... ) 2. զգեստ ուղղությամբ, հարցեր 3. հարց-  
հարցերը հարցերը տալիս լավագույն հարցեր (սեփականում) հարցերը  
հարցերը են հարցերը հարց (հարցեր, Խ. IV, տ. 19, - 1959):  
մասնավորապես, հարցերը տոմ և մի մեծ հարցերում  
արհի, - մեծությամբ չհարցերը.

Таварэ - 2. (հարցեր) - հարցերը հարցերում Միջազգային  
հարցերը են հարցերը (Азәрбајҹан дилинин диалектологичи  
лугати, Баки-1964).

լավագույն - հարցերը հարցերում, Միջազգային հարցերը, և հարցերը  
հարցերում հարցերը; սեփականում են հարցերը հարցերը հարցերում, - մեծ  
հարցերում, հարցերը ոչ սեփականում (Ժամանակակից Հայոց Լեզվի  
Բացարձակապես բացարձակ, Լ. IV, Եր. - 1980).

տալիս - 1. հարցերում հարցերում (Ե. հարցերում հարցերում, հարց-  
երկրում հարցերում, տ. 19, - 1978) - [«տալիս» սեփականում հարցերում  
հարցերում 2. հարցերում հարցերում (Մ. հարցերում, հարցերում, II, զան. IV, տ. 19,  
1913)]; տալիս «տալիս» չեն հարցերում հարցերում հարցերում, մեծ  
հարցերում զուգահեռաբանում, հարցերում սեփականում «տալիս» հարցերում  
հարցերում.

հարցերում մեծ հարցերում հարցերում (Մ. տալիս, տ. տալի-  
սիս, և. լավագույն), հարցեր, զգեստի հարցերում մեծ հարցերում մեծ  
հարցերում հարցերում հարցերում հարցերում (և. տալիս,  
և. լավագույն - «հարցեր»), մեծ հարցերում տալիս հարցերում արհի  
և հարցերում?!

մեծ հարցերում հարցերում մեծ հարցերում ոչ հարցերում; ոչ  
սեփականում հարցերում հարցերում:

«հարցերում տալիս» «հարցերում» հարցերում...  
«հարցերում» - հարցերում հարցերում հարցերում հարցերում հարցերում,  
«հարցերում», հարցերում տալիս հարցերում հարցերում. «մեծ հարցերում»  
հարցերում հարցերում.

հարցերում «տալիս» տալիս հարցերում հարցերում, հարցերում  
հարցերում «մեծ հարցերում» հարցերում «հարցերում» հարցերում հարցերում.  
«մեծ հարցերում» տալիս «մեծ հարցերում» հարցերում հարցերում հարցերում հարցերում  
հարցերում, հարցերում տալիս «մեծ հարցերում» հարցերում հարցերում  
հարցերում հարցերում, հարցերում «մեծ հարցերում» հարցերում հարցերում հարցերում  
հարցերում, տալիս հարցերում հարցերում հարցերում, «հարցերում տալիս»  
հարցերում հարցերում արհի (ոչ. հարցերում հարցերում, հարցերում-  
հարցերում հարցերում հարցերում, I, Խ. 1930, զ. 212-213).

ուց. քաջանիմացուան սնտուտ ժ. մարց-ո (> մարց-ուտ), ժյհ-  
ջո՛ւ-ն, սնց « մարցո »-ն ցտեղյորայիկ նայնալլալտո պնթա ոյտո  
տաշտահոնցլուաթ տտեոն սոմեհիմցնլուտ պնթա ցտցուրույրո ( ուշա. /  
ժՅ 213)

սոն. հոխմալլա սո ոնուտյմն ժ. « մարց »-ոն և ժ. ժ. « մարց-ուտ »-  
պնթոյրո ժյնարցչոնտան: « Ենթոմ ժոնոտ մարց- Ես ժյհ- յոնո  
Ես ոջոյլ սո պնթա ոյտո (սոն. հոխմալլա, Կանցր- ժյնարցչո- Կի-  
տայրո ժյնարցչոնո լոյլիկոյտն, տժ. - 1938, ժՅ 253-254)

Էյտո Եիժա ինժնոտ, սոխո նամալլուաթ ժոլոյնպլուոս  
մարցոնալլա, ժաչիս սոն « տաշտոյրոն ժյնոն հոխարցչոնո »  
(հոխարցչո սոն ուց. քաջանիմացուտ ցոխոմն), սիսլա սնց:

\* մարց-ո > մարց-ո > սոխո-

նայնալլուտն, \* մարց-ո (> մարց-ուտ), հոտ յոնոյտն  
նամալլուաթ տտչոն սոմեհիմցնլուտ նոյրչա ոյտո Կոտայրոն,  
սոն ժոնոմն տտչոն նոմնարո ժյնարցչոն մարկիլ (< մ-  
արցոլտ-ո) - (ժոն: մանցլո > մանգլալ) - (« մանցլոն » յոնոմնո-  
ջոնալոն ոն. ուց. քաջանիմացուտ, նախալլուտն յոնոմնոյիկ ոնրո-  
հոտ, II, րթ. - 1935, ժՅ 27-29)

յոնո նոյրչոտ: սոխո (< մարց-ո < \* մարց-ո) Ես, սոն մարթո  
յն, սժյարաթ լուտալլոյն, հոտ յոնոյտն Կոտայրոնալլուաթ Եսնա-  
նոտյնլուտ ցտցուրոս ժ > ժ Ես ջոխոմն ժ-ն, հո Ելոյնթ սննո-  
տյնն ոննոխոլլուաթ տիժոն Ես, հոյ (Ե. մարոն տաննթա) նոմնարո  
ժյպոյնլոն սոտոնոյնթա յոնոն.

նայնուտն պնարթոյրոնալլուաթ յն ցտեղյորայիկ տաշտահոնթա  
(ժ > ժ > ժ > ժ Ես ջոխոմն ժ-ն) պնթոս;

յոնոյիկ, հոյ ժյնալլուաթ սո տաշտահոնթոյն ժոչոնոն  
սոն haldi > aldi, յնց, ժոնոյոթ ոժ ժյնալլուաթ, սո haldi-ն  
Է-ն ժոչոնթա h-թ Ես haldi-ն Եննարյ ցոնոն h-ն  
սնթոյտն հոտյոնոյն ժոչոնոյն ժոյտն ջոյպլոննթա.

ժ. ժյնոխիմացուտ haldi-ն Ես ժյննոնպլուտ aldi-ն պնոյի-  
ժոյնոն նոյպոյնլոյն սնչոն: « ժյննոնպլուտ յոնոն, Եսնամալլուաթ  
ժոյնոյն ոտիչան հոտ, ժոյնոնթա h-ն ջոնոյրոյն նոնոն Են  
նոյրչոն տաշտո (Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные  
надписи, М., - 1960, ժՅ 86).

ԵՕ. պնարթոյրոն « Ը » Եսնոն յոնոյնթա;

ժ. ժյնոխիմացուտ նայնոն մարթոյնթա ժոննոյն: « տաշտո  
պնարթոյրո յն նամալլուաթ սնտուտ Եսն յոնոնոյն յնոս ջոյպոն,  
ժյնալլուաթ Եսնոյնթա, հոտ մոննո պոյոթ ոյտ նոնարոյի յնոյնոն.

սրբան սգիչարձո, հոմաբարձուսը սն թրջարան շարձարանի թղթի  
(Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, М., - 1960, стр. 46)



Բացարձակապես չո կերպով թեոքոք ուն, հոմա պիւհր. «Տ» պարզապէս  
ժընկեմիցա «Շ»-ը յրոնն սգիչարն (պիւհր. ՏԱԵ = նոձ. ՇՕՎ;  
պիւհր. Տարա = նոձ. Շօր<sup>h</sup>-k<sup>h</sup>; պիւհր. Տիագաշինեի հիւն =  
նոձ. Տիագաշա-տար<sup>h</sup>: պիւհր. ՏԱԴԻ = նոձ. ՇԱԴ)... Ժընկեմիցա,  
սժ թըրան (Տ) ժընկեմիցա սգիչարն «Շ»-ը նկատարա թրջոք; յէ, թոս  
պիւհր նշանակաւ, հոմա ժընկեմիցա «Տ» թրջոքոքս զձոթոթո  
Բարձր թըրան, հոմա «Տ» (И. М. Дьяконов, Материалы к  
фонетике урартского языка: Вопросы грамматики и  
истории восточных языков, М.-Л.-1958, стр. 36)

սժ սրբա ժընկեմի: նշանակաւ պիւհր. ՏԱԴԻ-նոձ ՏԱԴ  
ՇԱԴԱՐ<sup>h</sup>-ո (ՇԱԴ-ԱՐ<sup>h</sup>) պիւհր սրբոս, թրջոք նոձ ՇԱԴ (ՏԱԴԻ-  
ՀԻԻԻԻԻ; ՆՏԱԴ-ո-ՏԱՐ:ԻՏ թըրան թրջ; ՏԱԴ-ԵՂ).

61. Ժոն: պիւհր. Zabaḫa = հիւ. Javax-et<sup>i</sup>, - պիւհր.  
b = հիւ. v (ոն. И. М. Дьяконов, Материалы к фонетике...  
стр. 30):

նշանակաւ, հիւսպոթո սրնն թըրան «Տաձաւոք», հոմա  
«Տաձաւոք», հոմա հոսպոթո, թրջոքն: - Ժ «Տաձաւոք» չո սրն, «Տա-  
ձաւոք» չսրն!

նոձ սրն թըրջոքոքն յէ ոձոք, հոմա յոթոթոն «Տաձաւ»-ն նոձ-  
ոննոն հիւսպոթոն թրջ «Տաձաւ»-ո?

Ժոն պիւհր: հիւսպոթո Տա-ն նոձ Տա-ն թրջոթոն  
ժըր սրնն զձոթոթո, զպիւհր չո սրնն թըրան թրջոթոն [ժոն: Տա-ո  
Տա-ո; Տաձաւ-ո (< Տաձաւ-ո); սժոթոթոն (< Տաձաւ-ո)].

յն, հոս թրջոք սրնն, թեոքոք ոձ ժըրան, պիւհր «Տաձաւ»  
նշանակաւ սրնն սրնն թըրան նշանակաւ sabax (•ԹԹԹ).

62. Ժոն: պիւհր. Zabaḫa = նոձ. Javax-k<sup>h</sup>, - պիւհր.  
b = նոձ. w (ոն. И. М. Дьяконов, թըրան նշանակաւ, թըրան թըրան), հիւ,  
հո թրջոք սրնն, թըրան հիւսպոթոն թըրան (հիւ. Տ = նոձ. Է).





ი. ვ. გოეთე და ე. ა. პოფმანი

**წ**ინამდებარე შრომა მიზნად ისახავს გოეთესა და პოფმანის მხატვრული შემოქმედებისა და მსოფლმხედვის უმთავრეს ასპექტთა გააზრება-განალიზების ცდას ლიტერატურისმცოდნეობის უაღრესად რთული და ერთობ საფრთხილო პრობლემის — რეალიზმისა და რომანტიზმის ურთიერთმიმართების ოვალსაზრისით. სახელდობრ, ჩვენი ამოცანაა რომანტიზმისა და რეალიზმის, როგორც ერთმანეთთან ღრმად და არსებითად დაპირისპირებულ ლიტერატურულ „კატეგორიათა“ კრიზისში მოვიხილოთ და განვჭვრიტოთ უდიდესი რეალისტის — გოეთესა და მისი ტოლფასი რომანტიკოსის — პოფმანის შემოქმედება — მსოფლგაგებასთან დაკავშირებული უძირითადესი კონცეფციები, ხასიათები, შტრიხები.

ვიღრე გოეთესა და პოფმანის პოეზიისა და მსოფლმხედვების რეალიზმ-რომანტიზმს ურთიერთდამოკიდებულების კუთხით უშუალოდ განვიხილავდეთ, წინასწარ გვინდა ერთი განცხადება გავაკეთოთ: ეს უმწვავესი და უძნელესი პრობლემა შესაძლოა წინამდებარე ნარკვევში ჩვენ მხოლოდ საკითხის დასმის სახით, ზოგად ხაზებში, ესკიზურად წარმოვიდგინოთ ანუ მხოლოდ მოვხაზოთ ის ძირითადი რეალი საკითხებისა, რასაც ეს პრობლემა აღძრავს, თანაც შეძლებისდაგვარად დავსახოთ ამ მიმართულებით მომავალი კვლევის გზები. ასპექტები, ტენდენციები და, რაც მთავარია, კონკრეტული პერსპექტივები.

რეალიზმ-რომანტიზმის ურთიერთმიმართების ეგზომ როულსა და თითქმის შეუსწავლელ პრობლემაში გარკვეული სინათლის შესატანად, ვფიქრობთ, შემწეად და ერთგვარ „გზისმკვლევად“ ახევ გოეთეს „მწესავით ნათელი“, თუმცა მეტად წინააღმდეგობრივი შემოქმედება მოგვევლინება, მისი მოსაზრებები ესთეტიკის, ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველების სფეროში, ერთი სიტყვით, მისი მაქსიმები, რეფლექსები, თეორიული დებულებები, საუბრები, წერილები, და, რაც მთავარია, მისი მხატვრული ქმნილებები. ხსენებული პრობლემის გასარკვევად საკმაოდ ბევრს მოგვეცემს გერმანული რომანტიზმის

უდიდესი წარმომადგენლის — ე. თ. ა. პოფმანის უკიდურესად დახლართული, ზოგჯერ დამარეტიანებელი, მაგრამ უთუოდ საინტერესო ლიტერატურული შემოქმედება და ესთეტიკური შემეკვიდრეობა, აგრეთვე ის უამრავი მასალა, რაც რეალიზმისა და რომანტიზმის გარშემო არსებობს, რომ არაფერი ვთქვათ გოეთესა და პოფმანის ირგვლივ არსებულ აურაცხელ კრიტიკულ-პუბლიცისტურ ლიტერატურაზე.

რეალიზმ-რომანტიზმის ურთიერთდამოკიდებულების გოეთე-პოფმანის მიხედვით განხილვა-გამუქებისას ამოსავალ წერტილად მივიჩნევთ დებულებას, რომლის მიხედვით, ყველა ეპოქის დიდ შემოქმედთა მხატვრულ შემეკვიდრეობაში ტიპური ლიტერატურული მოვლენაა რეალისტურ და რომანტიკულ საწყისთა თანაარსებობა და იმავდროულად ურთიერთბრძოლა, რომელიც უეჭველად ერთ-ერთი მათგანის მოჭარბებით, გამარჯვებით სრულდება იმის მიხედვით, თუ რომელი „კატეგორიის“ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე — რეალიზმისა თუ რომანტიზმისა. მაგრამ რეალისტურ-რომანტიკულ საწყისთა „მოჭარბება“ — გამარჯვების მომენტი მხატვრულ ნაწარმოებში მათემატიკური სიზუსტითა და კატეგორიულობით, ერთი შეხედვით მკაცრი ლოგიკურობით კი არ ვლინდება, არამედ ფრთხილად, ფაქიზად, შეიძლება ითქვას იდუმალად, პოეტური ნიუანსების აშკარა გათვალისწინებით. ამავე დროს ფრიად დიალექტიკურად, წინააღმდეგობრივად, ქვეშეცნეული ლოგიკური სიმკაცრითაც. მხატვრულ ნაწარმოებში რეალისტური და რომანტიკული ელემენტები მშვიდად, აუმღვრეველად, უბრძოლველად, ცალმხრივად და სწორხაზობრივად კი არ თანაარსებობს, არამედ კონფლიქტებით, ბრძოლა-დაპირისპირებით, შინაგანად უკომპრომისო, მძაფრი გიდილით, ნაკლოვანი და სუსტძალოვანია ის რეალიზმი, ანუ ის რეალისტური ნაწარმოები, რომელიც სწორხაზობრივად, კონფლიქტების გარეშე, უშფოთველად ავითარებს რეალისტურ საწყისებს და არავითარი კოლიზია არ გააჩნია თავის საპირისპირო რომანტიკულ პოლუსთან. ასეთ ნაწარმოებს არც აქვს საერთო დიდ ლიტერატურასა და დიდ პოეზიასთან რომანტიზ-

მის არც ისეთი მხატვრული ნიჭით ვარგა. რომელშიც მხოლოდ რომანტიკული საწყისი გაქვევებულია. გაუიწულად, რეალისტურთან უოველნაირი დაპირისპირების გარეშე არსებობს და მარტო ქმედებს. მისი ქმედება კი რეალურ სინამდვილესა და იდეალურ წარმონახავს შორის შეუსაბამობა-შეუთავსებლობის გამო მხოლოდღა ურვა, სევდა და წუხილია. ლტოლვა ოცნების ანუ იდეალური სინამდვილისადმი — ე. წ. Sehnsucht-ი — გერმანული რომანტიზმის (და საერთოდ რომანტიზმისაც) ტიპური თვისებაა, ოღონდ ესაა, რომ ამ თვისებას თეორიული თვალსაზრისით პირველად გერმანელმა რომანტიკოსებმა მიაგნეს და ესთეტიკურ კატეგორიად აქციეს.

რეალიზმისა და რომანტიზმის ლიტერატურული ცნებები, ერთის შეხედვით, თითქოს გარკვეულია, ნათელი და ნაკვლევი. (ჩვენ ვერ ვიტყვი იმას, რომ ამ მხრივ არა იყოს რა გაკეთებული ლიტერატურისმცოდნეობაში) მხოლოდ ესაა რომ ფუნდამენტური, პროგრამული, ეტაპური მნიშვნელობის გამოკვლევები ამ ცნებებთან დაკავშირებულ პრობლემებზე ნაკლებად გვეგულება როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ამ ნაკლებად სავუღვებელ შრომათა შორის პირველ რიგში გვინდა მოვიხსენიოთ ცნობილი ქართველი გერმანისტის ოთარ ჭინთიას მისი სიცოცხლის ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნარკვევები რომანტიზმისა და მოდერნიზმის, კლასიციზმისა და ბაროკო-შვილის შესახებ. მეტადრე 1978 წელს ეურნალ „მნათობში“ დაბეჭდილი ნარკვევი „დღევანდელი ხელოვნებათმცოდნეობის ზოგიერთი მწვავე საკითხისათვის“. ხსენებული ნაშრომები, ისევე როგორც მკვლევარის მთელი მეცნიერული მოღვაწეობა სპეციალური კვლევის საგანია და ამჟერად ეს საქმე ჩვენს მიზანს არ შეადგენს. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ რეალიზმისა და რომანტიზმის წინამდებარე ნარკვევში წარმოდგენილი კონცეფცია გარკვეულწილად მეცნიერის ღრმა და საინტერესო მოსაზრებებს ითვალისწინებს. ჩვენი აზრით, რეალიზმი და რომანტიზმი რეალური სინამდვილის მხატვრული ასახვის თავისი არსითა და შინაგანი ბუნებით ერთმანეთთან დიალექტიკურ წინააღმდეგობაში მოსული პრინციპთა სისტემებია.

რეალიზმი, უწინარეს ყოვლისა, სინამდვილისადმი ცნობრებისეულ, ობიექტურ, ქანსად დამოკიდებულებას გულისხმობს. იგი სინამდვილის მექანიკური რეპროდუქცია კი არ არის, არამედ, მრავალხაზობრივად და მრავალმნიშვნელოვნად „სიმართლის თქმა“ აღსანიშნავია,

რომ რეალისტური ასახვის მრავალფეროვანი ფორმები არსებობს. ფორმალურ მრავალფეროვნებით რეალისტური ასახვა უკიდურეს რეალურ სინამდვილეს ემსგავსება. რეალისტურ ხელოვნებას ასახვის ფორმებს რეალისტური სინამდვილე კარნახობს. დამატებით რეალურად კანონიზებული მოდელები, რეალისტური ასახვის ფორმათა მრავალხაზოვნება ფანტასტიკურ, ზოგჯერ პირობით ხერხებსაც გულისხმობს, ოღონდ ფანტასტიკას რეალისტი ხელოვანი იმ დოზით იყენებს, რომ „ფეხბეჭეფი სიიდაგი არ გამოეცალოს“. ამის ვაკეთება მხოლოდ რეალისტ შემოქმედს ძალუძს. რეალიზმის მთავარი არსის განსაზღვრისას სახელმძღვანელო მაქსიმალ გვექონდა თანამედროვე გერმანელი უთვალსაზიროესი მწერლის ბერტოლტ ბრეტის რეზიუმი: „რეალისტური მეთოდის გავრცობილობა და მრავალფეროვნება“.

აქედან გამომდინარე ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად როეუ გაროდის კონცეფცია, რომ უველა „ჭურის“ მხატვრული ნაწარმოები თუ მწერალი, რაგინდ უკიდურესად რომანტიკულ ტენდენციასაც არ უნდა გამოხატავდეს იგი, მხოლოდ და მხოლოდ რეალისტურად და რეალისტად მიიჩნევა; რომ არსებობს ე. წ. „უნაპირო“ რეალიზმი, საკითხის ასეთი გაგება ისევე უკიდურესობაა, როგორც მკაცრი და შეუვალი მიჯნის გაფლება რომანტიზმისა და რეალიზმს, რომანტიკულსა და რეალისტურს შორის.

ხელოვნების უოველნაირი ქმნილება, იქნება ეს რომანტიული თუ რეალისტური, ასახავს ობიექტურ სინამდვილეს. მხატვრული ნაწარმოები არის დიალექტიკური არეკვლა ობიექტურად მოცემული სინამდვილისა, თანაც არა „გაქვევებული, არამედ ადამიანური და ადამიანისაგან განცდილი, აზრობრივად დაძლეული და ესთეტიკურად ფორმირებული“ ობიექტური სინამდვილისა (პ. გ. ვერნერი). ბრინკმანის მცდარი აზრით, კოეზიის სპეციფიკა ხულაც არ არის სინამდვილესთან ურთიერობა, ამ თვალსაზრისში აშკარად შეიმჩნევა აპოლიტიკური და აისტორიული გაგება ხელოვნებისა. მართებულად აკრიტიკებს ამ თვალსაზრისს პ. გ. ვერნერი, რომლის აზრით, ხელოვნება ზედნაშეწერი მოვლენაა და ხელოვნების ქმნილებასა და მწერლის მსოფლხედვაში სინამდვილის არეკვლა ეხმაურება ისტორიულად განსაზღვრულ იმ ეპოქის იდეოლოგიას, რომელშიც ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები იქმნება. პ. გ. ვერნერს სავსებით სწორად შიარნია, რომ ხელოვნება, რეალისტური იქნება იგი თუ რომანტიკული, ობიექტური სინამდვილის ელემენტებს

შეიცავს. თუმცა ობიექტური სინამდვილის ეს ელემენტები სულაც არ არის უველა შემთხვევაში საკმარისი. რათა ხელოვნების ქმნილება რეალისტურად ჩავთვალოთ. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ჰ. გ. ვერნერის იმ აზრს, რომ რეალიზმი არ არის უველა დროის მხატვრული ასახვის მეთოდი. ჩვენი აზრით, რეალიზმი სწორედ რომ უველა დროისა და ეპოქის სინამდვილის მხატვრული ასახვის მეთოდია, ოღონდ გააჩნია საზოგადოებრივი განვითარების რომელიმე საფეხურზე მყოფი რეალიზმის ნაირსახეობა გვაქვს მხედველობაში. ანტიკური, ბიურგერული (რენესანსული, კლასიციზტური, კრიტიკული) თუ სოციალისტური.

ასე რომ, რეალიზმი ოდითგანვე ანუ ლიტერატურის ჩასახვის დროიდანვე არსებობს, მხოლოდ სახელდებული არ არის ასეთად. რატომღაც რეალიზმი მხოლოდ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილ ლიტერატურულ მიმდინარეობას ეწოდება. რეალიზმის გვერდით ასევე ოდითგანვე არსებობს მისი ანტიპოდური ლიტერატურული მოვლენა — რომანტიზმი, რომელიც რეალიზმის დარად. აგრეთვე სახელდებული არ არის ასეთად; რომანტიზმიც მხოლოდ ერთი ეპოქის ლიტერატურას ეწოდება (XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი საბოლოო ათწლეულისა). მართალია, კლასიკური სახით რეალიზმი მე-19 საუკუნის 80-40-იან წლებში, ხოლო რომანტიზმი მე-18 საუკუნის მიწურულსა და მომდევნო საუკუნის გარეგანულად განვითარდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეალიზმი-რომანტიზმი მხოლოდ ხსენებულ ლოკალურ ჩარჩოებში უნდა მოვაცვიოთ და მათი უფართოესი მნიშვნელობით გააზრება არ შეიძლებოდეს.

პრინციპულად რომანტიზმი არის ლიტერატურული მოვლენა, რომელსაც სინამდვილისადმი მოწყვეტილი, სუბიექტური, იდეალისტური დამოკიდებულება ახასიათებს. ამგვარი დამოკიდებულება სინამდვილისადმი მხატვრულ ნაწარმოებში ნიშნავს უპირატესად ადამიანის აწარმოებულ, იდეურ-ემოციურ სამყაროზე „ინტერესის“ გამახვილებას, რომანტიზმის ძირითადი თვისებაა გადაუწყვეტელი კონფლიქტი იდეალსა და სინამდვილეს, „სულსა“ და „საქმეს“, აზრსა და განცდას, გონსა და გრძნობას შორის. მართალია, კლასიკურ-ნაივურ-რეალისტური პოეზიის წარმომადგენლებიც, მსგავსად რომანტიკოს-სენტიმენტალისტებისა, გარკვეულწილად ასახავენ წინააღმდეგობას ოცნებასა და სინამდვილეს, სულსა და მატერიას შორის. მაგრამ რეალისტებისაგან განსხვავებით, რომანტიკოსისათვის ეს კონფლიქტი უფრო მწვავეა, მტკივნეული, დაუძლეველი, სწორედ ტრაგიკული, თანაც რომანტიკოსი ცდილობს ეს კონ-

ფლიქტი იდეალის, ოცნების, სულის, გონის სასარგებლოდ გადაწყვიტოს, რეალისტთან კი უფრო მიწა, ბუნება, გონებით საზღვარმარტნილი გრძნობადი მხარე იმარტვებს.

რეალიზმისა და რომანტიზმის შესახებ სრულ, საინტერესო და სწორედ უველაფერად გამოთქვამს გოეთე, როცა აქვს უფრო და რომანტიკული პოეზიის გაგება, რაც ახლა მთელს სამყაროს გადასწვდა და ეგზომდიდ კამათსა და განხეთქილებას იწვევს. დასაბამიერად ჩემგან და შილერისაგან მომდინარეობს. პოეზიის მაქსიმად მე ობიექტური წესი მივიჩნევ და მოვისურვებ მნიშვნელობა მხოლოდ ამ ობიექტურობისათვის მიმეცა. შილერი კი, რომელიც სავსებით სუბიექტურად ქმნიდა ხოლმე, მისაღებად თავისნაირობას მიიჩნევდა და ჩემგან თავდაცვის მიზნით დაწერა სტატია „ნაივური და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ“. იგი მარწმუნებდა, რომ მე, ჩემდაუნებურად რომანტიკული ბუნების ვიყავ და ჩემი „იფიგენია“ მოკარბებულ გამოწაგონთა გამო არავითარ შემთხვევაში ანტიკურობის თვალსაზრისით კლასიკური არაა, ისე სახურველი კი იქნებოდა, ასე ყოფილიყო. შლეგელემმა აიტაცეს ეს იდეა და ისეთნაირად განავითარეს, როგორადაც, იგი ახლა მთელს სამყაროს მოედო და უკვე ყოველი კაცი კლასიციზმისა და რომანტიზმის შესახებ ლაპარაკობს, რაც ამ ორმოცდაათი წლის წინ აზრადაც არავის მოსვლია.“

გერმანელ რომანტიკოსთა ინტერესების სფეროში ნაკლებ შედის გოეთე-შილერის კლასიკისათვის დამახასიათებელი ჭუმანისტური ძიებები, რაც, უწინარეს ყოვლისა, მშვენიერებისა, ანუ „მშვენიერი ადამიანის“ შესახებ მოძღვრებაში იჩენს თავს. რომანტიკოსებს უმთავრესად იდეალსა და სინამდვილეს შორის არსებულ კონფლიქტთა ესთეტიკური ასპექტი იტაცებთ. მათი ამბოხი ინდივიდუალისტურ-სენტიმენტალურია, ადამიანის განცდები, გრძნობები, სწრაფვები კი მათ პოეზიაში — ესთეტიზირებულია, გერმანელ რომანტიკოსთა მსოფლხედვაში უკანა პლანზე იწევს ჭუმანიზმის გოეთე-შილერისეული გაგება.

რომანტიზმის „კლასიკური“ თეორია ძმებმა შლეგელემმა შექმნეს. მათი ესთეტიკური კონცეფციით, რომანტიკული პოეზია უპირისპირდება ანტიკურს, კლასიკურ ანუ რეალისტურს. ჭეშმარიტი პოეზიაც, მათი აზრით, მხოლოდ რომანტიკული ანუ რეფლექსიებზე აგებული პოეზიაა. ანტიკური ხელოვნების ნიმუშთა მხატვრული ფორმა, მათივე გაგებით გრძნობად-პლასტიკურია, რომანტიკული ხელოვნება კი სულიერ-ფერწერულის პრიმატს გეთავაზობს. რომანტიკულ პოეზიას შლეგელეები ქრისტიან-

ნულ-შუასაუკუნეობრივს უწოდებენ. ნაივურს კი — წარმართულ-ანტიკურს. ფრ. შლეგელის აზრით, თანამედროვე ანუ რომანტიკულ-ქრისტიანული პოეზია იმით განესხვავება წარმართულ-ნაივურ-ანტიკურ პოეზიას, რომ იგი ანარქიისა და სუბიექტივისტური ეზოთერიკის გამოხატულებაა. თუმცა ა. ვ. შლეგელი ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე პოეზიის პრობლემა „ნოდერნული არსების ანტიკურ არსებასთან გაერთიანებაა“. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გრძნობისმიერი და გონისმიერი საწყისების ამგვარი გაერთიანება, როგორც ამას მართებულად ამბობს იოაკიმ მიულერი, უფრო რომანტიკულ-იდეალისტურ Wollen-ს ემყარება და მკვეთრად ემიჯნება სინამდვილისა და ბუნების ნაივურ-რეალისტურ განცდას.

რომანტიკული პოეზია პოეტისეული განცდის მხოლოდ ავადმყოფურ-იდეალისტური გამოვლენა როდია. რომანტიკოსი მწერლები თავიანთ არსებაში როდი გამორიცხავენ ჯანსაღ-რეალისტურ მომენტებს, არც რეალისტები გამორიცხავენ — რომანტიკულს. ყველა დროის დიდი შემოქმედის მხატვრულ კმნილებაში შეიმჩნევა რომანტიკულ და რეალისტურ საწყისთა ურთიერთშერწყმისაკენ სწრაფვა. მილერს იდეალური პოეზიის ხატად ნაივურისა და სენტიმენტალურის ერთქმნა მოჩნდა. იგივე მილერი ამბობს: „გაუცნობიერებლის კეთილ-გონივრულთან გაერთიანება კმნის პოეტ-ხელოვანს“. სუბიექტურ-ობიექტურის რელაცია-თანაფარდობაზე მიუთითებს გოეთე თავისი სიცოცხლის მიმწუხრისას ჰუმბოლდტისადმი მიწერილ წერილში: „ცნობიერი და გაუცნობიერებელი ისევე ეგუება ერთმანეთს, ვითარცა ფურცელი და კონვერტი“. როგორც ი. მიულერი აღნიშნავს, გოეთეს ეს აზრი კლასიკური ხელოვნების უმთავრეს პროგრამას გამოხატავს და იგი არავითარ შემთხვევაში დიამეტრულად არ უპირისპირდება რომანტიკოსთა თვალსაზრისს შემოქმედებითი პროცესის შესახებ: რომანტიკოსებიც ხომ არაერთხელ ხაზს გაუსვამენ იმას, რომ არსებობს ურთიერთშემოქმედება ფანტაზიის ძალასა და ხელოვნებისმიერ გონს, გრძნობასა და ინტელექტს შორის. მაგრამ რომანტიკოსთა შემოქმედება-აზროვნებაში მთავარი ისაა, რომ ისინი ფიქტებს კვალზედ ხაყოველთაოდ ცნობიერებისა და ობიექტურ სამყაროს უკვლად სუბიექტივისტურად, „მე“-ს კმედებად იაზრებენ. რომანტიკოსთა ამგვარ ეგოცენტრულ გულწვიადობას დასცინის გოეთე ფაუსტის II ნაწილის II აქტში ბაკალავრის პირით, აგრეთვე ჟან-პაულ რიბტერი თავის „ტიტანში“ ხატავს სრლიფსისტური ფილოსოფიის ტრაგიკულ მსხვერპლს — ბედკრულ მოპეს. რომანტიზმისათვის დამახასიათებელია

ცხოვრებისაგან ეზოთერული სიშორე, აბსტრაქტულ-გამოგონილი, იმაჟინურ-ფანტასტიკური, ობსკურანტული ტენდენციები.

რომანტიკოსთა შემოქმედებაში რეალი ანუ ოცნებითი სინამდვილე უპირისპირდება, რეალურ, ობიექტურ სინამდვილეს. რომელიც სუბიექტისაგან გაუსუფლებლად გამოიწვევს. რომანტიკოსისაგან წარმოსახული იდეალი რეალურია, „უზორცო“ და „უსხეულო“. რომანტიკოსის პათოსი, საზოგადოებრივი კი არ არის არამედ ინდივიდუალური, რომანტიკოსი მოღვაწე არ არის, არამედ მკვერტელი, მისი ღოჭუნგი უფრო გრძნობაა ანუ გულისტკმას აუოლა, რომანტიკული სიწრფელე, ბრანდესი რომ Innigkeit-ს უწოდებს, და არა გონება. რომანტიკოსის ესთეტიკური პრინციპია არა წესრიგი და რეგლამენტაცია, არამედ თავისუფლება და თვითნებობა, რომანტიზმის ძირითადი დამახასიათებელი თვისებებია: ირაციონალიზმის და გრძნობის კულტი, შემოქმედის „თავისუფლება“, ხალხურობისა და ისტორიზმის იდეალისტური გაგება, მუსიკის კულტი, რომანტიზმმა ახალი ესთეტიკური კატეგორიები შემოიტანა ესთეტიკაში უკვე ადრე არსებული მშვენიერისა და ამაღლებულის, ტრაგიკულისა და კომიკურის გარდა. ესენია კატეგორიები ფანტასტიკურისა და ლტოლვისა (Sehnsucht).

რეალისტს ძალუძს გულით ნაგრძნობის გონების პრიზმაში გადახარშვა, რომანტიკოსს კი თავის ინდივიდუალურ გრძნობა-სენტიმენტში, გულთაობა-გულწრფელობაში თავგზა ებნევა, იძირება და ძალა არ შეესწევს გრძნობა-გულისხმის უნაპირო, უსაზღვრო ღეღვა-ძაბილი გონებისმიერი დინჯი განსჯით მოთოკოს, დააცხროს. მოათვინიეროს, ამიტომაც რომანტიკულ ნაწარმოებში ფანტასტიკის, ზღაპრულ-იდუმალის, გაუცნობიერებლის მოჭარბება შეიმჩნევა. რომანტიკოსს უჭირს გრძნობა-გონების ნაწავი, ზომიერი, მარმონიული, სიმეტრიული ანუ კლასიკურ-რეალისტური ნაწარმოების შექმნა, უფრო ზუსტად, არ ძალუძს.

მოფშანი კრიტიკულად განწყობია იმ სავალალო ფაქტს, რომ მის რომანტიკოს ხელოვან-გმირს-კრაისლერს აკლია წონასწორობა ფანტაზიასა და „ფლეგმას“ შორის, რაც ხელოვანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო ფაქტორია. უამისოდ მას არც ცხოვრება და არც შემოქმედება შეუძლია, აი, რას ამბობს მოფშანი კრაისლერზე: „მეგობრები ამტკიცებენ, ბუნებას იმისი სტრუქტურის შექმნა ახალი რეცეპტის მიხედვით უცლია, მაგრამ ცდა არ გამოხვლიათ, რადგან მის უკიდურესად გაღიზიანებულ სულში, გამანადგურებელ ცეცხლამდე აღგზნებულ ფანტაზიაში იმავე ბუნებას მეთისმეტად მცირე ფლეგმა შეურევია და ამით ის წონასწორობა



დაურღვევია. ზელოვანს რომ ეგზომ სვირდება. რათა ამქვეყნად ეცხოვრებოდეს, თანაც თავისი ნაწარმოებების შექმნა ძალუძდეს“.

გოეთეს — მსოფლიო პოეზიის ამ სრულძალოვანი კორიფის, გენიალური მხატვარ-მოაზროვნის რეალიზმისა და რომანტიზმის შესახებ თვალსაზრისი მკაცრად, შეუვალად და ურყევად ჩამოყალიბდა. ეს თვალსაზრისი მას არაერთგზის გამოუთქვამს და თავის მხატვრულ „პრაქტიკაში“ განუზოროცილებლია. თავის პოეზიის რეალიზმ-კლასიციზმსა და რომანტიზმისადმი გოეთე პროგრამულად აყალიბებს გამოხატვაში: „ახალი აზრი გამიჩნდა, რაც საქმის ვითარებას ცუდად როდი შეესატყვისება. კლასიკურს მე ვუწოდებ ჩანსადს, რომანტიკულს კი — ავადმყოფურს. „ნიბელუნგები“ და ჰომეროსი კლასიკურნი არიან, რაკი ორივე სალია და ფარსაგი. ახალი ლიტერატურის უმეტესი ნაწილი რომანტიკულია არა იმიტომ, რომ იგი ახალია, არამედ იმიტომ, რომ სუსტია, უნიათო და სნეული. ძველი ლიტერატურა იმიტომ კი არ არის კლასიკური, რომ იგი ძველია, არამედ იმიტომ რომ იგი ძლიერი, მხნე, ცოცხალი, ლალი და ჩანსადია. თუკი ჩვენ ამ თვისებების მიხედვით განვასხვავებთ ერთმანეთისაგან კლასიკურსა და რომანტიკულს, მხოლოდ ამ შემთხვევაში გავერკვევით ამ საკითხში“.

ამ აზრს გამოთქვამს უკვე ხანდაზმული ბრძენი, უტყუარი პოეტური ალღოს მქონე, შემოქმედების ზენიტზე მდგომი გენიოსი შეუძლებელია უგულვებელყოფა პოეზიისა და აზროვნების ტიტანის ამ მკვეთრი, სხარტი, ნათელი და, რაც მთავარია, სწორი და მართებული თვალსაზრისისა. ძნელად წარმოსადგენია უფრო პოზიტური გაგება ამ უთუოდ ძნელი პრობლემისა.

გოეთეს პოეზია გაღრმავებული და განმტკიცებულია სხვა ადგილას, როცა უდიდესი კლასიკოსი თავისი დროის ახალი თაობის ლიტერატურულ შემოქმედებაზე ლაპარაკობს: „ეს პოეტები ყველაფერს იმნაირად წერენ, თითქოს სნეული იყვნენ, მთელი სამყარო კი ლაზარეთი იყოს. ესენი ლაპარაკობენ მიწიურ ვაივაგლაზზე, იმიერი ცხოვრების სიხარულზე, უამყოფილონი არიან და ამ უკმაყოფილებაში ერთმანეთს სულს უწამლავენ. ეს არის ბოროტად გამოყენება პოეზიისა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, იმისთვის არსებობს, რომ ცხოვრების წვრილ-წვრილი დავიდარაბანი ჩააცხროს და ადამიანი ამ ქვეყანაზე, თავისი მდგომარეობის შესაბამისად, კმაყოფილი იყოს. მაგრამ ახლანდელ თაობას ეშინია ქვეშარტი ცხოველყოფილობისა და თავს მშვიდად და პოეტურად მხოლოდ სისუსტეში გრძნობს. შესაბამისი სიტყვა კი მოვინახე ამ ბატონთა გასაჩქარებლად“.

მე მინდა მათ პოეზიას „ლაზარეთის პოეზია დავუძახო“.

თავისი თანამედროვე, ბოდოვიკისდარი ტრაგიკული პოეტების შესახებ, გოეთე ამბობს: „სული და პოეზიის გარკვეული ფორმენტი ამ უახლეს ტრაგიკულ პოეტებს უჭქქქუ უჭქქუ უჭქქუდეთ. მაგრამ მათ ის სვირტე ქრულს-ქრულტრულს სიადვილით ასახვა არ ძალუძთ. ისინი მიილტვიან რაღაცისაკენ, რაც მათ ძალებს აღემატება და მე მინდა ამ თვალსაზრისით მათ აჩქარებულ ტალანტები (forcierte Talente) ვუწოდო“.

გოეთეს გაგებით, ვიდრემდე პოეტი მხოლოდ თავის სუბიექტურ განცდებს ასახავს, მას პოეტი არ ეთქმის, მაგრამ როგორც კი იგი სამყაროს გათავისებისა და მასზე აზრის თქმას ისწავლის, აი, მაშინ კი არის იგი პოეტი. სუბიექტივიზმი საკმარისად მოსდგამთ რომანტიკოსებს, ეს უსაზღვრო სუბიექტივიზმი, რაც რომანტიკოსთა ერთ-ერთ არსებით ნიშნად უალიბდება, საბოლოოდ მათი პოეტური შესაძლებლობების პარალიზებას იწვევს. მათი ზელოვნება დაუსრულებლის შთაბეჭდილებას ახდენს და უსასრულობა ე. წ. Unendlichkeit, როგორც ამას რომანტიზმის თვალსაჩინო მკვლევარი ფ. შტრინგი ადგენს, რომანტიკული შემოქმედების მთავარი დამახასიათებელი მოდუსი ხდება იმდენად, რამდენადაც Vollendung ანუ სრულქმნილება კლასიკა-რეალიზმის განმსაზღვრელი თვისებაა.

გოეთეს თვალსაზრისი კლასიკა-რომანტიზმის შესახებ და საერთოდაც არასოდეს არ არის აბსტრაქტული, განუენებული, აპრიორული, არამედ იგი ყოველთვის ცდისეულია, ემპირული, ბუნების კანონზომიერებიდან მომდინარე. იგი ამბობს: ბოტანიკოსებს აქვთ მცენარეთა ერთი სახეობა, რომელსაც ისინი Incomplete-ს ეძახიან. Incomplete შეიძლება არასრულყოფილ ადამიანსაც ეწოდოს. ესენი ის ადამიანები არიან, რომელთა ლტოლვა და სწრაფვა ვერ შეესატყვისება მათსავე საქმეს“.

ასეთ არასრულყოფილ, დაუსრულებელი ტიპის ადამიანებს განეკუთვნებიან, გოეთეს აზრით, რომანტიკოსებიც, რომელთა უტყუარი ტალანტის განვითარებას უთუოდ ზელს უშლის დაუოკებელი ფანტაზია. რომელიც მათ გამოგონილი, ოცნების სამყაროსაკენ უგზო-უყვალოდ მიაქანებს. რომანტიკოსს ტებს და აძაბუნებს ამქვეყნიური ცხოვრების წინააღმდეგობებით სავსე ორომტრიალი და თუკი მათ შემოქმედებაში ნათელი წერტილი გაიელვებს, ეს სწორედ ჩანსადი-რეალისტური საწყისია, რომელიც თავდაუზოგავად, განუკითხავად ებრძვის და ეოშება ავადმყოფურ-რომანტიკულს და მის დამარცხებას ლაშობს. რაც უფრო დიდია მწერალი თავისი მხატვრული თუ იდეური პოტენ-

ცით, მით უფრო დიდია მასში პოზიტიური ანუ რეალისტური ხაწყისი.

მნელია თქმა იმისა, რომ გოეთეს რამე ეშლებოდა, როცა სრულიად უბოდიშოდ და უცერემონიოდ, ნათლად და ამომწურავად უველაფერ კლასიკურს — ჭანსაღს არქმევს, ხოლო უველაფერ რომანტიკულს — ავადმყოფურს. გოეთესეული სიმართლე არის მკაცრი, მიუდგომელი, ობიექტური, როგორც თვითონ ცხოვრება, სიმკაცრე. მიუდგომლობა და ობიექტურობაა სწორედ რეალიზმის ნიშნები. ჩვენი დაკვირვებით, სუსტძალოვანი რომანტიკული საწყისი დიდი რეალისტების შემოქმედებაშიც შეიმჩნევა. რეალისტი იმდენადაა რეალისტი და სრულძალოვანი, რამდენადაც მას ძალა შესწევს რომანტიკულ. უკიდურესად სუბიექტურ შემოტევებს გაუშკლავდეს. ამ მხრივ საგულისხმობა ისევ გოეთეს შემოქმედება. მაგრამ უაღრესად საინტერესო და საჭიროა იმის დადგენაც, თუ როგორ შეესატყვისება გოეთეს პოეზია მწერლისავე საკმაოდ მკაცრად შემუშავებულ თვალსაზრისს რომანტიზმისა და რეალიზმის შესახებ, როგორ თანაარსებობენ და უტყვენ ერთმანეთს გოეთეს მრავალწახნაგოვან, ურთულეს და უოვლისმოძველ შემოქმედებაში რომანტიკული და რეალისტური ელემენტები. ამისათვის აუცილებელია გოეთეს შემოქმედების თუნდაც უზოგადესი ასპექტების მოხაზვა.

გოეთეს შემოქმედების ახალგაზრდული ანუ შტურმერული და კლასიკური (ე. წ. ვაიმარული კლასიციზმის და XIX საუკუნის) პერიოდები ორგანულად შეიცავენ რომანტიკულ-რეალისტურ საწყისთა არსებობა-ბრძოლის გარკვეულ თანაფარდობას. „შტურმერულ“ პერიოდში უდიდესი შემოქმედის პოეტურ ქმნილებებს უმეტესწილად რომანტიკულ-ბუნებრივი სულისკვეთება გამსჭვალავს, მაგრამ იმავედროულად ამ სულისკვეთებას ჭანსაღ-რეალისტური ტენდენციაც თანახლავს. სახელდობრ, გოეთეს ერთ-ერთი უველაზე ტიპური შტურმერული ნაწარმოებია „ვერთერი“, რომელსაც იმთავითვე საყოველთაო აღიარება ერგო წილად, ასეთნაირად მოიცავს რომანტიკულ-შტურმერულ და კლასიკურ-რეალისტურ ხაწყისებს: ვერთერის მკვეთრი დაპირისპირება არისტოკრატიულ-ბიურგერულ საზოგადოებისადმი მოკლებულია პოზიტიურ დირებულებას და სოციალური და პოლიტიკური პოზიციების უგულვებელყოფით ხორციელდება. ვერთერის ამბოხი მის ეგოისტურ-ინდივიდუალისტურ მიზანსწრაფვებს არ სცდება და მას ობიექტურ, ჭანსაღ ჰუმანიზმთან არაფერი აქვს საერთო. აკი ამბოხს კიდევ ეგოცენტრული მიდრე-

კიდებებით აღსავსე გმირი: „რაკი ჩემი თავით ესოდენ გართული ვარ და გულიც ასე მღელვარედ მიცემს, სხვებს საამოფრთხილ მივუშვებდი მათს გზაზე, ოღონდ თავის მხრივ ამ სხვებმაც დამანებონ ჩემი გზით სწრაფად წახვიდნენ“ (ქართულიდან). მთელი „ვერთერი“ ნელს ღრმად მოხუცმა გოეთემაც სწორად განსაჯა ვერთერის ხასიათი, როცა ერთ წერილში წერდა: „კაცს არ უნდა ჩავუნშოთ ინდივიდუალური თვისებები. დამრიგებლებმა მწრუნველად უნდა გამოავლინონ ცალკეულ სუბიექტთა თანდაყოლილი მიდრეკილებები. მაგრამ თავის მხრივ, არც ინდივიდუალობა უნდა იფხორებოდეს ესოდენ შედიდურად. ვერთერი სწორედ იმიტომ დაიღუპა, რომ თავის გულს ისე უყურებდა, როგორც სნეულ ბავშვს და სრულ თავისუფლებას აძლევდა მას“. რეალისტური საწყისი კი ვერთერში, რაც ბუნებისაკენ რუსოისტულ ლტოლვაში, ხალხის მასებისადმი თითქოსდა დემოკრატიულ სწრაფვაში იხატება, ბოლომდე ჭანსაღ, ჭეშმარიტ, ძალმოსილ ხასიათს ვერ აღწევს. ბუნებისადმი ვერთერის მინებება მოკლებულია აქტიურ, ქმედით ძალას და იგი პასიურ, ინფანტილურ გაგებას ბადებს. მისთვის უცხოა ბუნების დიალექტიკური განცდა, კერძოდ, ის, რომ თუმცა ერთიანად აღებული ბუნება მარმონიისა და სიმშვიდის სასუფრველია, მაგრამ მისი შემოქმედებითი მეთოდი ფაუსტურ და მეფისტოფელურ „საწყისთა“ ერთიანობაში მდგომარეობს ანუ იმაში გამოიხატება, რომ ბუნება მუდამ აშენებს და არღვევს და „სიკვდილი ფანდია, მისი სიცოცხლის გასამრავლებლად მოგონილი“ (გოეთე).

ვერთერის დემოკრატიზმიც მოჩვენებითია და არა ღრმა და ნამდვილი. რაკი მას „მალაღი“ საზოგადოების ძალმომრეობა და უსულგულობა სიცოცხლეს უწამლავს, ხალხის მასებში, ხელოვნებასა და გლეხებში პოულობს ბუნების აღამიანებს, ენერგიულ, ლამაზ, მგრძნობიარე, მოღიან და ქმედითი ხასიათის მქონეთ, არისტოკრატიულ-ბიურგერულ საზოგადოებასთან ვერთერის დაპირისპირება, როგორც ენგელსი აღნიშნავდა, „მეოცნებე მტირალას“ კვნესა ოუა, ამ კვნესას კი მასში სინამდვილესა და ილუზიას შორის ჩამოწოლილი უფსკრულის შეგრძნება იწვევს.

ვერთერს ძალა არ შესწევს უოფიერების ნამდვილი არსის შესაცნობად და შესათვისებლად ანუ საბრძოლველად. ბრძოლას ამტანობა სჭირდება, გმირობა და სიმამაცე. მას კი არ ძალუძს იყოს გმირი, შეუპოვარი, უჭიათი, მკაცრი და

შემტვეი ვერთერი ვიწრო პირადული ინტერესებით შეპყრობილი ფილისტერია და უნებისყოფო, ღირიული პიროვნება. ცხოვრების ვერთერისეული ჭანსალი პოზიტიური გაგება მხოლოდ იმის აღიარებით გამოიხატება, რომ იგი ცალკეული არსების ყოფნას სრულიად უმნიშვნელო რამედ თვლის და წუხს იმაზე. „როდენ მცირე შესაძლებლობა მიხცემიათ ადამიანებს, რათა ერთმანეთისათვის რაიმე იყვნენ“. გოეთეს პოზიცია თავისი გმირისადმი — განწირულება ცხოველმყოფელი ქმედებისათვის უვარგისი ადამიანისა. — ნათლად მიუთითებს მწერლის იმ დიდ რეალისტურ საწყისზე, რომელსაც მისი შემოქმედების შემდგომ ეტაპზე აშკარად ეწერა გამარჯვება.

თავისი შემოქმედების ვაიძარულ-კლასიციტურ პერიოდში გოეთე ხელს იღებს მტურმერულ-ბუნტარულ ამბობზე და რეალურ სამუაროსთან რეზინაციის, შეგუება-შერიგების, კომპრომისის გზას ადგება. გოეთეს მრავალრიცხოვან ნაწარმოებებთანაა ამას მკაფიოდ ადასტურებენ განსაკუთრებით „იფიგენია თავრიდში“ და „ფაუსტი“.

„იფიგენიაში“ აშკარაა ანტიმტურმერული ტენდენცია. ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირი ქალი. მტურმერთა თვალსაზრისით, ვითომცდა გენისათვის ნიშანდობლივ, სინამდვილეში კი სავსებით უსაგნო და უზაყოფო შეამბონურ განწყობილებას კი არ მისცემია და თავისი წინაპრის — ტანტალოსის დარად ინდივიდუალისტური ქედმაღლობის სენს კი არ აუტანია, არამედ ტანტალოსის ცოდვისაგან თავისი გვარის განწმენდაზე წრუნავს და სიმშვიდის, მოთმინების, სათნოების გზას ირჩევს. მოწყალება-სა და სიკეთეს შთააგონებს იგი არა მხოლოდ თავის ძმას — დედის მკვლელობისათვის ერინების მიერ დევნილ ორესტეს, არამედ ბარბაროსული ადათის მიმდევარ თავრიდის მეფე თაოსსაც. მაგრამ იფიგენია-გოეთეს რეზინაციის არსი ქრისტიანული მორჩილება-თვინიერება კი არ არის, (თუმცა ერთის შეხედვით ეს ასე მოჩანს), არამედ ამ მორჩილება-თვინიერებას კეთილშობილი, უადრესად ადამიანური სულის თავისუფლებაც ახლავს თან. იფიგენია როდია ვერთერისებურად მხოლოდ გულისთქმას აყოლილი სუსტი და უმწეო არსება, რომელსაც გონებასთან შეურიგებელი კონფლიქტი აქვს, არამედ, „მისი გული მაღალი აზრითაა განათებული, ძლიერი ნებისყოფით და კეთილშობილური მიზნით აღტკინებული“, გრძნობა-გონების მაღალი ერთიანობა გოეთეს „იფიგენიაში“ ლესინგმა მოგვცა თავის ორ შედევრში: „მინაფონ ბარნებელმსა“ და „ნათან ბრძენში“. რომანტიკული ანუ სისუსტით აღბეჭდილი გოეთეს „იფიგენიაში“ არის ის არსებითი ნაკლოვანება.

რაც საერთოდ ახასიათებს „ვაიძარულ კლასიციზმს“ და რაც უველაზე უკეთ გოეთემ იცოდა. „იფიგენიაში“ გოეთემ მხოლოდ აბსტრაქტულ-განყენებულად ანუ ანტიკურ ფორმის გამოყენებით ჩამოაყალიბა თავისი მემანესტური იდეალი. კონკრეტულად კი კონკრეტულად აკლდა. იგი კრიტიკულად აღბეჭდვით აბსტრაქტულობას. ეს კრიტიციზმი უველაზე უკეთ მოჩანს „ფაუსტის“ ელენეს მოტივში. გოეთეს არ აკმაყოფილებს თავისი კლასიციტური ექსკურსები და საბოლოოდ მეცნიერულ-საბუნებისმეტყველო ძიებებს ანიჭებს უპირატესობას.

უველაზე სრულად და მონუმენტურად რეალისტურ-რომანტიკულ საწყისთა მძაფრი ბრძოლა-ჭიდილი „ფაუსტში“, უველა დროისა და უველა ქვეყნის კუთვნილ სწორუპოვარ მხატვრულ ქმნილებაში. რეალისტური ხელოვნების უდიდეს და განუმეორებელ ნიმუშში ირეკლება. პოზიტიურ-რეალისტურისა და ნეგატიურ-რომანტიკულის გოეთესეული თემა ამ ნაწარმოებების სიუჟეტურ-შინაარსობრივი სტრუქტურისა და ჩდეურ-მსოფლმხედველობრივი ძიებების უძირითადეს, გენერალურ ხაზში, ფაუსტურისა და მეფისტოფელურის დაპირისპირებაში იხატება სიმბოლურად.

ფაუსტური ადამიანის ცნებას ზოგადსაკაცობრიო შინაარსი აქვს, რაც ადამიანის სრულქმნილადმი მოთხოვნილებას, ბედნიერების წყურვილს, სილამაზისა და ჭეშმარიტების მაძიებლობას გულისხმობს. ფაუსტური ადამიანის კონკრეტული ნიშნებია მისი გენიალობა და დემონურობა, რაც უთუოდ ადამიანის პოზიტიურ-შემოქმედებით უნარზე მიანიშნებს და არა მისტიკურ-წებუნებრივ შინაარსზე.

მეფისტოფელურში მუდამ ნეგატიური, ნიჰილისტური, უველაფრის გამაარაფრებელი, უნაყოფო და უპერსპექტივო, გულცივობისა და სულის სიმდაბლით აღბეჭდილი საწყისი მოიხილება.

მაგრამ საგულისხმოა ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ არც ფაუსტში და არც მეფისტოფელურში ცალმხრივად, სწორხაზობრივად, იწოლირებულად არ არსებობს ცალკერძ რეალისტური და ცალკერძ რომანტიკული ელემენტები, არამედ ერთდროულად მყოფობენ და განიცდიან თავიანთ არსებობას იმ გაგებით, რომ შინაგანი ბრძოლა აქვთ ერთმანეთთან. აკი თავად ამბობს ფაუსტი:

„ამი ორი სული ცოცხლობს მუდამ ამ ჩემს გულ-მკერდში, ორივე ლამობს ურთიერთისგან გათიშვას, გაურახს.

ერთი ესწრაფვის უხეშ ტრფიალს, ტლანქსა  
განცხრომას,  
ებლაუჭება ხორციელსა მძლავრი ხელებით,  
ხლოვ მეორე ესწრაფება ზენარულ  
გრძნობას,  
გატაცებული დიდ წინაპართ  
სასუფეველით".<sup>1</sup>

იგივე იოქმის მეფისტოფელზეც, ამ უსულ-  
გულო, უგრძნობ, ბორცვებისათვის დაბადე-  
ბულ ადამიანზე, რომლის შესახებ თ. მანი ამ-  
ბობდა, რომ იგი არსებითად ესთეტიკა. ე. ი.  
გრძნობად-არაინტელექტუალური არსება, ამდე-  
ნად „ბარბაროსი“. ანტიკულტურული სუბიექ-  
ტი, რომელსაც ეს ორი ფორმულა დაუდვია  
თავისი ცხოვრების საფუძვლად: „სრულიად  
მიენდე ვნებას“. და „ხელი ჩასქიდე, რაც შენა  
გულს ნებავს, მხოლოდ ანებე თავი მორცხვო-  
ბას“. მეფისტოფელი არის პიროვნება, რომე-  
ლიც აცხადებას:

„მე ვარ ის სული, ვინც უარყოფს მუდამ  
უველაფერს,  
და მაქვს ამისი, უეჭველად სრული უფლება:  
რადგანაც არსი უოველგვარი, რაც ჩნდება  
ქვეყნად  
ღირსია იმის, რომ არ ასცდეს განადგურება.  
ამიტომ სჯობდა ამაო ღელვას,  
რომ არაფერი არ უოფილიყო.  
რასაც თქვენ უხმობთ სიკვდილს და რღვევას,  
თვლით ბორცვებად და ნამდვილ ცოდვად,  
მე მიმაჩნია ჩემ სამფლობელოდ“.<sup>2</sup>

საოცარი ის არის, რომ მეფისტოფელის უო-  
ლისგამაარაფრებელ სახეშიც თავისებურად  
შეიმჩნევა რომანტიკულ-რეალისტურ საწყისთა  
შორის დიალექტიკური დაპირისპირება. ეს ფაქ-  
ტი თუნდაც იმით დასტურდება, რომ მეფისტო-  
ფელი თავს მთელის იმ ნაწილად აცხადებს, ვი-  
საც ნიადაგ ცუდი უნდა, უნებურად კი კეთილს  
ჩადის, რომანტიკოსსა და რეალიზმს შორის გაო-  
რება-დუალიზმი ახასიათებს როგორც პოზიტა-  
ურ, ისე ნეგატიურ საწყისს. მოწყვეტილად,  
განყენებულად და ცალმხრივად არც რომანტი-  
კული საწყისი ვითარდება და არც რეალისტუ-  
რი, ისინი ერთმანეთში გადახლართული, ერთმა-  
ნეთის განმავითარებელი და ერთმანეთთან წინა-  
აღმდეგობრივად დაპირისპირებული საწყისები  
არიან. რეალისტურ-რომანტიკულ საწყის-ელე-  
მენტთა არსებობის აუცილებელი უროიერო-

განპირობებულებაა სწორედ უველა ჭეშმარიტი  
დიდი ქმნილების პოეტური დიალექტიკა. ამას  
დიდებულად და მკაფიოდ ცხადყოფს დიდი  
გოეთეს შემოქმედება და შეტადგ/ მისი გენია-  
ლური „ფაუსტი“. მაგრამ გოეთეს/ შემოქმედება-  
ში კლასიკურ-ჯანსაღსა და უფრო უფრო ძლიერი  
ტენდენცია ახალგაზრდობისაა. რომანტიკული  
საწყისი მასში თუმც საკმარისად  
ბობოქრობს და იბრძვის, მაგრამ იგი საბოლო-  
ოდ ვერას აკლებს უდიდესი კლასიკოსის ფესვ-  
მაგარ, მტკიცე და ნათელ რეალისტურ საწყისს.

შილერი წერილებში გოეთესადმი შენიშნავს,  
რომ პოეტსა და ხელოვანს ორი რამ მოეთხოვე-  
ბა: ჭერ ამაღლდეს უოველდღიურ სინამდვილე-  
ზე და მერე კი არ მოწყდეს გრძნობად სამყა-  
როს, თავის გამონათქვამს შილერი ასე განმარ-  
ტავს: უოფიერების უსიამოვნო და უფერულ  
პირობებში, ჭები ხელოვანი, შესაძლოა,  
თავის ნაწარმოებებში განუდგეს გარემომცველ  
სინამდვილეს, გრძნობად სამყაროს და გაზდეს  
განყენებული პიროვნება; ეს მით უფრო ზდება,  
თუკი ხელოვანის გონება მდგრადი კი არა, ფან-  
ტასტიკურია. მეორეს მხრივ, ამის საპირისპი-  
როდ ხელოვანი ზედმეტად მიემხრობა ხოლმე  
გრძნობად სამყაროს, ადვილად მიემხრობა  
მხოლოდ იმას, რაც სინამდვილეს განეკუთვნება  
და თუ ამასთან მისი ფანტაზია ღარიბია, ამ სი-  
ნამდვილის მონური და უხეში მიმბაძველი ზდე-  
ბა. აქედან მომდინარეობს გოეთეს ეპოქის გერ-  
მანული ლიტერატურის ორ ნაკადად დაყოფა:  
ერთის მხრივ გოეთე-შილერისა და რომანტი-  
კოსთა, მეორეს მხრივ კი იფლანდის, შროედერ-  
რის, ლაფონტენისა და კოცებუს ტიპის მწე-  
რალთა მხოლოდ გასართობ, თავშესაქცევი, ნამ-  
დვილი ლიტერატურისაგან შორს მდგომ ნაწარ-  
მოებებად. როგორც სწორად აღნიშნავს გ-  
ბრანდესი სინამდვილისაგან მოწყვეტამ საძაგე-  
ლი ფორმა მიიღო რომანტიკოსებთან, თანაც  
არც ის უნდა იქნეს დავიწყებული, რომ კოცე-  
ბუ და მისი მსგავსი მწერლები ისევე საწინა-  
აღმდეგო პოლუსია გოეთესა და შილერთან მი-  
მართებაში, როგორც რომანტიკოსები. ჭეშმა-  
რიტი, მთლიანი, სრული, ძალმოსილი რეალიზმი  
გოეთესა და შილერის შემოქმედებაში უნდა  
ვეძიოთ, თანაც ისიც უნდა დავსძინოთ რომ  
შილერი გოეთესთან შედარებით უფრო ძნე-  
ლად არის რეალისტი, ვიდრე რომანტიკოსებთან  
მიმართებაში. შილერის რომანტიკოსებთან და-  
მოკიდებულება ერთობ საინტერესო და რთუ-  
ლი პრობლემაა, რაც სპეციალური კვლევის სა-  
განია.

სინამდვილისაგან მოწყვეტის უადრესად რომ-  
მანტიკულ თვისებას თვალსაჩინოდ წარმოად-  
გენს ე.თ.ა. მოფმანის შემოქმედება. მაგრამ მწე-  
რლის პოეტურ შემოქმედებაში უკიდურესად

1. იოჰან ვოლფგანგ გოეთე — ფაუსტი,  
„საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1962, თარ-  
გმანი დავით ონიაშვილისა.  
2. იქვე.

და მძაფრად წარმოჩენილ რომანტიკულ ფესვს, პოზიტიურ-რეალისტური ტენდენციებიც ძლიერ გამსჭვალავს. გოთოეს, როგორც მწერალსა და პიროვნებას ფაქტიურად მოფმანთან შეხების წერტილი არ მქონია. გოთოეს საკუთრივ მოფმანის შემოქმედების შესახებ მწერლის სიცოცხლეში აზრი რატომღაც არ გამოუთქვამს. მხოლოდ მოფმანის გარდაცვალების შემდეგ დაძრამან სიტყვა. საამისოდ გოთოეს საბაბი მისცა ინგლისის 1827 წლის ივლისის თვეში ეურნალში („უცხოური მასალების სამთვლიური მიმოხილვა“) გამოქვეყნებულმა რეცენზიამ მოფმანის შესახებ. ინგლისელი რეცენზენტი მოფმანის დიდ ტალანტს, რასაკვირველია, არ უარყოფდა. მაგრამ მისი პოეზიის ძირითად თვისებად ავადმყოფურ საწყისს მიიჩნევდა. ინგლისელი კრიტიკოსის ამ აზრს გოთოემ სოლიდარობა გამოუცხადა, თან დასძინა: „რომელ პატიოსან, ეროვნული განათლებისათვის გულშემატკივარ პიროვნებას არ შეუძინებია მწუხარედ, რომ იმ სწეული კაცის ავადმყოფური ნაწერები წლების მანძილზე გერმანიაში ეფექტს ახდენდა, და ამნაირ დაბნეულობებზე აგებულ პოეზიას შთააგონებდა ეს ნაწერები სიახლის მოყვარულ ხულებს“.

გოთოე მოფმანის შემოქმედებას სულით ავადმყოფის ბოდვად მიიჩნევდა. იგი ვერ ხედავდა და არც ეძიებდა მასში პოზიტიურს, ჭანსაღს, რეალისტურს, რაკი ეს საწყისი მიმალული, დაჩრდილული, ძლეული იყო მოფმანის შემოქმედებაში ფესვგადგმულ რომანტიკული საწყისისაგან. მოფმანის, როგორც მწერლის უდიდესი აღიარების მიზეზი კი, ჩვენის აზრით, ის დიდი რეალისტური წყარო და სათავეა, რამაც რომანტიკულ ძირთან სამკვდრო-სასიცოცხლო ტილილში იქნებ დამარცხება კი იწვნია, მაგრამ მაინც ძლიერად, იდუმალად, ღრმად და მომაჯადოებლად გამოჩნდა მის მრავალნიშნა და მრავალწახნაგოვან შემოქმედებაში. სირთულითა და მრავალფეროვნება-მრავალწახნაგოვნებით მოფმანის შემოქმედება გოთოესას არ ჩამოუვარდება და მსოფლიოს უდიდეს რომანტიკოსთა მცირერიცხოვან პლეთადას განეკუთვნება (ამ მცირერიცხოვანთა შორის უპირველეს ვგულისხმობთ ჰიუგოს, ბაირონს, ნოვალისს, შელის.)

ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ, რომანტიკულსა და რეალისტურს შორის კონფლიქტი მეტნაკლებად ყველა ეპოქის ღირსშესანიშნავ მხატვრულ ნაწარმოებში იგრძნობაო. მაგრამ მოფმანის პოეზიაში ორ საწყისს შორის დაპირისპირება ღანის მისი შემოქმედების სპეციფიკურ თავისებურებად ჩამოყალიბდეს. საოცარი ის არის, რომ მოფმანის პოეტურ ქმნილებებში მეტად მძაფრად, იქნებ რამდენადმე უფრო აქტიურად, ვიდრე სხვა მწერლის შემოქმედებაში ებ-

რძვიან ერთმანეთს მიწიერი და სულიერი, გონისა და გრძნობის, რომანტიკული და რეალისტური ფესვები და პრინციპები. ალბათ ამიტომაცაა, რომ თითქმის არ უოფოლა არც ერთი სხვა გერმანელი მწერალი, რომლის შესახებაც ამდენი ურთიერთსაწინააღმდეგე შეფასებები გამომხატველი გამოცვლევა დაწერა. ამდენი დენიც მოფმანის შესახებ დაიწერა.

მოფმანის პოეზიაში არნახული სიმწვავეითა და მღელვარებით უპირისპირდება ერთმანეთს რეალურ-ნამდვილი და ზღაპრულ-ფანტასტიკური სამყაროები. მოფმანის ერთი მკვლევარი ს. იგნატოვი ნამდვილ-ილუზიურის დაპირისპირებას „რეალურ ფანტასტიკასა და ფანტასტიკურ რეალობას“ უწოდებს. მაგრამ მოფმანი, როგორც რეალისტი და ფანტასტიკოსი ცალცალკე, ერთმანეთისგან იზოლირებულად კი არ არსებობს. როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მგონია, არამედ მისი პოეტური ინდივიდუალობა თუ შემოქმედება ერთდროულად მოიცავს რეალისტურსაც და ფანტასტიკურ-რომანტიკულსაც. რეალურ სინამდვილეში მოქცეული ხელოვანი ტრაგიკულ პიროვნებად იქცევა და ეს ფაქტი მას კანონზომიერ მოვლენად ესახება. როგორც მანს მაიერი ამბობს, მოფმანის ხელოვანთა სამყაროში არც ხელოვნებასა და არც სიყვარულს არ უწერია აღსრულება. ოლონდ პ. მაიერი იმას კი არ ამბობს, რომ ეს აღუსრულებლობაა სწორედ მოფმანის ხელოვანისეული რომანტიკული „სისუსტე“. მოფმანის ხელოვანი სამყაროს ტრაგიკულად აღიქვამს, რისი ლოგიკური შედეგაცაა თვითმკვლელობა, შესლილობა, განდევილობა, ეკლესია, რომლებიც ამიერ, რეალურ სამყაროში დამკვიდრებულან, ხოლო იმიერი ანუ მითიურ-ზღაპრულ-ფანტასტიკური სამყაროს — პოეზიის ანუ ატლანტის, ჯინისტანის ქვეყანაში გაქცევას ნიშნავს. რეალურსა და ფანტასტიკურს შორის ურთიერთდაპირისპირება, პ. მაიერის გამოთქმით „სინამდვილის გაუსნებოვნებას“ კი არ ემსახურება, როგორც ამას ნოვალისის პოეზიაში აქვს ადგილი, არამედ ამ პუნქტში მოფმანის ე. წ. „ეპიური დუალიზმი“ გერმანულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რთულ არსს გამოხატავს.

მოფმანის მიხედვით, დუალიზმი ნიშნავს ურთიერთდაპირისპირებას ორ კოლარულ სამყაროს — უოველდღიურ-რეალურსა და პოეტურ-ფანტასტიკურს შორის. რომანტიკულ-რეალისტურის ამგვარი დაპირისპირება მოფმანის პოეზიაში, რასაც ფილოსოფიის ენაზე იდეალისტურ-მატერიალისტურის ურთიერთდაპირისპირება მქვია, ლიტერატურულ-მხატვრულ სფეროში ადექვატური მოვლენაა ე. წ. „ორპლანნიანობისა“. რეალისტური ანუ უოველდღიური მოფმანის პოეზიაში წინა პლანზე გვევლი-

ნება ანუ აშკარად და ხილვად, უკანა პლანზე კი ფანტასტიკურ-ოცნებითი სინამდვილე მოჩანს ხოლმე

მოფშანის პოეზიისათვის დამახასიათებელი მკვეთრად გამოხატული კონტრასტულობა არ ეწინააღმდეგება ამას, რომ ეს ორი „სინამდვილე“ — რეალური და ოცნებითი ერთმანეთისაგან იყოს გამოიყნული. „ორთოდოქს“ რომანტიკოსთაგან განსხვავებით მოფშანიხეული ბელოვანის სინამდვილე უფრო მეტი კონკრეტულობით და პლასტიკურობით გამოირჩევა. რეალურ სინამდვილეში ფანტასტიკური მომენტები იჩენს ხოლმე თავს, ხოლო ფანტასტიკურ-ოცნებითში — რეალური, რეალური სამყარო-სინამდვილე მოფშანისა ზღაპრად იქცევა. ხოლო ზღაპარი — რეალურ სინამდვილედ. ზღაპრული ელემენტი რეალურ სამყაროში იჭრება, ხოლო რეალური კი ზღაპარში.

კრაისლერისა და კატა მურის ანუ ბელოვანისა და ფილისტერის სამყაროები ერთმანეთს იწვევარადაც განაპირობებენ, რომ იდეალურ-რომანტიკული პლანი, რასაც კრაისლერის სამყარო შეესაბამება, უოველდღიურ სინამდვილედ იცვლის სახეს, ხოლო ჩვეულებრივ-უოველდღიურ პლანში კატა მურის სამყარო ფანტასტიკურ-რომანტიკულ სინამდვილედ იქცევა. სულთა სამეფოსადმი ანუ ჯინისტანისადმი სევდა მოფშანისათვის არსებითია და ძირითადი. მისი გაგებით, იდეალური ანუ ოცნებითი სამეფო რეალურ სინამდვილეში კი არ იმყოფება, არამედ პოეტის სულის შიგნით. მიღმურ-ზეციური სინამდვილის, საოცრებათა და მშვენიერებათა ადამიანური ენით გამოთქმა კი ძნელდება. ბალთაზარისა და ანხელმუსის პოეტურ სულთა სამეფო ჩვენს წინაშე რომანტიკულ ფოიერვერკად წარმოიხაზვის. ამ სამყაროს აკლია კონკრეტულობა და პლასტიკურობა. ატლანტი, პროსპერ ალბანუსის შავიერი წალკოტი, ურდარგარტენ-იდეალური სამყაროს ძალაღმოდუნური სურათებია. მაგრამ ეს კია, რომ ამ სამყაროს ახახვისას მოფშანი ხშირად წყდება მიწას იქ, სადაც მოფშანი მიწას წყდება, იგი შედარებით სუსტი მხატვარია, ხოლო როგორც კი იგი მიწას შეეხება, უმაღლ თვალში გვეცემა პოეზიის ფერადოცნება, თვალისმომკრული სინათლე, სურნელება. მაგრამ მოფშანის მიხტიკურ-აბსტრაქტულ სამყაროსაც ახლავს თავისი ნათელი და ბნელი მხარეები მზისა და სინათლის შუქთა ციმციმს აქ ბუნების „ღამეული მხარეც“ მომყვება ხოლმე. მოფშანი მიხტიკურ-მიღმურ სამყაროსაც რადაცხაირი „ნაიფურობით“ სწვდება, როგორც მ. ვალცელი აღნიშნავს, იშვიათად აქვს რომანტიკოსს ქვეცნობიერის ასე განსხვავებული და ხილვადი ფორმით ჩვენების უნარი, როგორც ამას მოფშანის პოე-

ზიანი ვხედავთ. მის შემოქმედებაში რეალური-რეალურის ერთმანეთისგან გამოქვანა-გაოიშვქარს. მისი პოეზია ორი დაპირისპირებული საწყისის ერთქმნაა. საოცარი და რეალური სამყარო ერთმანეთშია გადართული. აი, როგორ ხინის ცნობილი პოეტური ტექსტის „საოცარის“ არსებობას ზღაპრულად წარმოგვიჩვენებს: „მოფშანის შემოქმედებაში საოცრების ელემენტი ძალიან ნათლად, ბევრად უფრო ნათლადა წარმოდგენილი, ვიდრე თვით ნოვალისის პოეტურ კმნილებებში. თუმცა მოფშანისეულ „საოცარ“ ელემენტს სულ ხხვა ხასიათი აქვს, რაც მხოლოდ მისთვისაა არსებითი, მე მას საოცარ სინამდვილეს დაეუძახებდი, რადგან იგი ადამიანს მუდამ გარს აკრავს, რეალურ ცხოვრებაში იმყოფება. საოცარი და რეალური სამყაროები ერთმანეთს არ სცილდებიან, როგორც ამას ხხვა რომანტიკოსებთან. ჭოქვათ ნოვალისთან აქვს ადგილი. ისინი ორივენი ერთში არსებობენ. საოცარის მოფშანისტულ გაგებას ახასიათებს ის, რომ ატლანტა დრეზდენის ქალაქგარე კიშკართან იმყოფება და ჩვეულებრივ ადამიანებს იგი არკივარაიუს ლინდჰორსტის აგარაკად ესახებათ“.

მოფშანის პოეზიაში საოცარისა და ფანტასტიკურის წყარო რეალური სინამდვილეა, რაკი ადამიანი საოცრებათა შორის ცხოვრობს, საოცრებათა გარემოცვაშია. ამდენად საოცარი სადღაც ცხოვრებისეული მოვლენაცაა. საოცარისა და ფანტასტიკურის ბილვა რეალურ სინამდვილეში, მოფშანის მიხედვით, მხოლოდ ბელოვანს ძალუბს. უოველდღიური ცხოვრებით დაღლილი და გაუხეშებული ადამიანები კი ვერ ხედავენ „ფერიათა სამყაროს“, რადგან ისინი „სულთამხილველნი“ არ არიან. ასეთებად ან ბავშვები გვეგულებო ან „ბავშვივით პოეტური სულისანი“. მოფშანის ბელოვანი „ნამდვილ“ რეალობას ანუ „ოცნება-ფერიათა“ სამყაროს მხოლოდ შემოქმედებით ექსტაზში ხედავს. ხშირად ოცნება-ფერიათა სამყარო რეალურ ბილულ სინამდვილეში აღირევა ხოლმე, რაკი პოეტი თავისი სოციალური არსით ობიექტურად არსებული სინამდვილის მკვიდრია. რეალურისა და ფანტასტიკურის აღრევა ამ სამყაროთა შორის კონფლიქტს იწვევს და მოფშანის გიბრი ერთი სამყაროს რეალობიდან მეორე სამყაროს რეალობად მოულოდნელი გარდასვლა-გარდასახვით ხშირად კომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ხოლმე, ბელოვანს ძალუბს ერთდროულად პოეზიის სამყაროს არა მხოლოდ ხილვა, არამედ მითი აღვსება და მასში ცხოვრება; და კიდევ, რეალური სინამდვილის გარდაუვალ პოროტებად აღქმაც, ფილისტერისათვის, მოფშანის მიხედვით, ოცნება-ფანტომათა მხარე არ არსებობს, ხოლო იმათ კი, ვისთვისაც

იგი არსებობს, ფილისტერის მოსუღელთა ფან-ტასტიკოსად ივლის, დაკინვის საგნად აქცევს ანდა შეშლილად აცხადებს.

თანამედროვე ცნობილი მწერალი ფრანც ფიუმანი სწორად აღნიშნავს. პოფმანი იმი-ტომაა შეუღარბელი მოვლენა ლიტერატურაში, რომ შეტად მძაფრა კრიტიკოსიცააო, პოფმანის ფრანგი მკვლევარი ეან მისტლერი ამბობს: გერმანია ეოველ საუკუნეში ბადებს ორ ან სამ კრიტიკული ტყუის შემოქმედს, XIX საუკუნე-ში ასეთი კრიტიკული ტყუა სამ კაცს მქონდა: ნიკშეს, ჰაინეს და პოფმანს. ჩვენი აზრით, სწორედ ეს კრიტიკული და ფიზიკული ტყუაა პოფმანის „რეალიზმს“ რომანტიზმთან მძაფრ ტუილსა და ბრძოლაში დიდპოეტურ ძალმო-სილებას რომ სძებს.

პოფმანს რეალისტ შემოქმედთა მამართ მკვეთრად გამოხატული პოზიტიური თვალსაზ-რისი გააჩნია. მოთხრობაში „მომდერალთა ას-პარეზობა“ პოფმანი შესანიშნავად უპირისპი-რებს ერთმანეთს რომანტიკოს და რეალისტ შემოქმედთ — ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენსა და ვოლფრამ ფონ ეშენბახს. პოფმანის ოფტერ-დინგენი ტიპიური რომანტიკოსი ხელოვანია, განმარტოებულია. ეული, საყუთარ რეფლექსებ-ში ჩამირთულ-ჩაღრმავებული, ერთი შეხედვით, ოფტერდინგენმა უსაზღვრო მარტოსულობაში და იღუშალი შემწე-ოსტატის დახმარებით თით-ქოს სწორუპოვარი ვოლფრამიც დაჩრდილა, იმდენად დაბვენილი, რაფინირებული ფორმით სრულმყოფი თავისი ხელოვნება. მაგრამ რამდენა-დაც ნათიფი და ესოეტოკური ხდება ჰაინრიხის პოეზია, ნით უფრო უტიფრობს და ქედმაღ-ლობს იგი, როგორც ადამიანი, თუმც ჰაინრიხმა „მაღალი პოეზიის“ დერიტას კი მიაკვლია. მაგრამ საშავიეროდ მეგობრობისა და სიყვა-რულის შეგრძნება დაკარგა აი, რას ეუბნება მის რეალისტური პოეზიის ჭეშმარიტი წარმო-მადგენელი ვოლფრამი: „ვერანაირი მეგობრო-ბა, ვერანაირი სიყვარული შენს სულში სამკვი-დროს ვერ მპოფებს, რადგან შენ ჩვენზე უფრო დიდი პოეტა ხარ“. ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგე-ნი გულზევიადად განუცხადებს ნაიფურ-რეალისტ-ური პოეზიის სიმბოლოს—ვოლფრამს: „კარგია თუ შეიგნებ, სხვა დიდოსტატებზე ჩემს აღმა-ტებას მე მარტოდმარტომ გავიოავისე და გავი-

შინაურე ის სიმალდე, რომლისკენაც ამოდ მიილტვით. თქვენ არ უნდა გაძაფრდეთ ჩემზე თუ ვალიარებ, რომ თქვენი უმწვერ რომელია საკმაოდ სულელური და მოსაწყენი მტონია“.

ამ სიტყვებში აშკარაა ტიპიური რეალისტური-სი ხელოვანის ცნობიური, უკნულმყოფი ტანცია ჩვეულებრიობისაგან, რასაც პოფმანი კრიტიკულად განწყობია. ეს კრიტიკული გან-წყობა კი იმაში იხატება, რომ ჰაინრიხისა და ვოლფრამის პოეზიის დაპირისპირებისას მწერ-ლის უსაზღვრო სიმპათია ვოლფრამისაკენ იხ-რება. სავარაუდებელია, იგივე სიმპათია ექნე-ბოდა პოფმანს რეალისტურ-კლასიკური პოე-ზიის უბადლო წარმომადგენლის — გოეთეს მიმართაც, პოფმანმა ერთ წერილში გააკრიტიკა გოეთეს გადამუშავებული „რომეო და ჯულიე-ტა“, ხოლო მისი „ეგმონტი“. შექსპირის ტოდ დრამად მიიჩნია. შექსპირის მიმართ პოფმანის დამოკიდებულება კი ცნობილია ლიტერატურის ისტორიაში. იგი შეუვარებული იყო შექსპირის სიკოცხლის მადგინებელ გენიაზე. რომანტიკო-საგან ჰაინრიხს აღნიშვნისამებრ, არავის ისე ნათ-ლად არ გაუგია შექსპირის გენია, როგორც პოფმანმა გაიგო.

პოფმანს ჭეშმარიტი პოეზიის ფესვად სწორედ რეალიზმისა და რომანტიზმის მარადიული ურ-თიერთბრძოლა მიაჩნია, მისი აზრით, ჭეშმარიტი პოეტია რომ გახდეს, არ კმარა იყო ჭკვიანი, განა-თლებული, მახვილგონიერი, როგორც „სერაპი-ონელი ძმების“ ერთი პერსონაჟი — ლეანდრეა, ერთ-ერთი „სერაპიონელი“ ძმათაგანი—ოთმარი — ასე ხსნის ლეანდრეს ტიპის შემოქმედთა არსს: „ყოველივე, რასაც იგი (ლეანდრე) კმნას „გამოგონილია, წინასწარ გააზრებული-აწონი-ლი, მაგრამ არა ნამდვილხილული, გონება მის ნაწერებში ფანტაზიას კი არ იმორჩილებს, არამედ სულაც ფანტაზიის მაგივრადაც ქმე-დებს მისი მექანიკურად მოხსნის გზით... ხელო-ვნების ქმნილებები კი, რომლებშიც გონი და გრძნობა ხმას ვერ უწყობენ ერთმანეთს, მომა-კვდინებელ მოწყენილობას იწვევენ“.

გონებისა და გრძნობის, რეალიზმისა და რომ-მანტიზმის უსასრულო და მარადიული ურთი-ერთჭიდილი და ურთიერთგანპირობებულობაა სწორედ უველა დიადი მხატვრული ქმნილების პოეტური კანონი და ლოგოკა.





თარგმნა ირაკლი ჯაპახიძემ

პართულ სიტყვას ათას სიტყვაში გამოვიცნობ

საქართველოს ბახხენება

სულბათ უოველ ადამიანს ეგულება ამკვეუნად საიდუმლო და საუვარელი კუთხე, რომელსაც იშვიათად ეწვევა ხოლმე, თუმცა უოველთვის ახსოვს და სიჭმარშიც ხშირად ხედავს. ცხოვრობს ადამიანი საკუთარ სახლში. მშობლიურ მიწაზე, იქ, სადაც უნდა ცხოვრობდეს: აკეთებს თავის საქმეს, იქანცება, ღამით კი, ძილის წინ წუვდიადს უღიმიის და ოცნებობს: „ეხლა შეუძლებელია, მაგრამ ოდესმე ისევ იქით გავემგზავრები...“

ასე ვოცნებობ საქართველოზე და ძილში ქართული საუბარი ჩამეხმის. უცხო და სასიამოვნო ენის ცთუნება ბიბლავს და აღიზიანებს მდუმარებაგეებს. მაგრამ როგორ შევაჩვიო ჩემი ხლავური ხორბი თანხმოვანთა შეუთანხმებლობას, როგორ ჩავატეო შიგ ხანგრძლივი ხმოვნები? ადბათ, ძილში თუ დავძლევ ენაბრგვნილობას და აღმომბდება უივილი, რომელიც მანამ გროვდება უელში, ვიდრე სიმღერად არ იქცევა.

არა მგონია, ვინმე იუოს ისე დაახლოებული სიმღერასთან, როგორც ქართველები. სიხარულსა და სიმღერას შორის, სევდასა და სიმღერას შორის, სიყვარულსა და სიმღერას შორის ზღვარი წაშლილია და ქართველი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არ მღერის, როცა სამღერლად ემზადება.

ერთბელ შემოდგომაზე კახეთში გზა დაგვებნა და მოხუც გლეხკაცს ვკითხეთ, საით წავსულიყავით. თავის სახლზე მიგვანიშნა და გვიბრძანა: „აქეთ!“ შევაბიჯეთ ეზოში, სადაც ჩურჩხელა უკვე შრებოდა და კომშის ტოტებზე მთვლემარე ქათმები ხანგამოშვებით კაკანებდნენ. აქვე, უკვე ჩამოლამებული ცის ქვეშ დიასახლისმა და მისმა ორმა ქალიშვილმა უცებ გაშალეს სახელდაბელო სუფრა.

როველი ახლა იწყებოდა. მაგრამ ქვევრები უკვე აევხოთ მაკრით. რომელიც სწრაფად იხმევა და ასევე სწრაფად ათრობს. დაქაშნიკებალა მოვასწარით და უველამ მრავალხმიანი სიმღერა

წამოიწყო. თითოეულმა ხმამ ზუსტად იცოდა თავისი ადგილი და საკირო სიმალღეს ინარჩუნებდა. ამ სიმღერაში ოდნავ შეუთანხმებლობასაც ვერ შეამჩნევდით. ჩემთვის აუხხნელი მკაცრი დისციპლინა წარმართავდა ამ მრავალხმიანობას.

და მე მომეჩვენა, რომ ამოვბსენი დიდი ხნის ნანატრი საიდუმლო ენისა და შევიცანი ამ სიმღერის დიდებული აზრი: მასში იყო სიკეთე, ბეჭრი სიყვარული, ცოტა სინანული, მოკრძალებული მადლიერების გრძნობა მშობლიური მიწისადმი. მოგონება და იმედი, და უველაფერი, რაც კი შეიძლება ადამიანმა ინატროს ასეთ მშვენიერ მოვარიან ღამეს.

კომეზია — უპირველეს ყოვლისა\*

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!  
მეგობრებო, სიკვდილამდის მექნება  
მხოლოდ ერთი სიხარულია შეგნება:  
ბთეზია — უპირველეს ყოვლისა!

ასე მოგვმართა მან სიცოცხლის იმ მშვენიერ უამს, როცა შემოქმედის სული სიყმაწვილესა და სიმწიფეს ერთნაირად განიცდის და ორი ასაკის უპირატესობით ისე სარგებლობს, როგორც საერთო სიკეთით. — რომელიც გაწონასწორებულია მგრძნობიარე გულსა და ცივ გონებას შორის, შთაგონებასა და ოსტატობას შორის. ირგვლივ უდიდესი ქვრები ხდებოდა, აწმყო აღიქმებოდა არა როგორც გახანგრძლივებული დრო, არამედ როგორც ქარების შეხლა წარსულისა და მომავლის გზაგასაყართან. ამ ქართა ენერგია დროშებს აშრილებდა, ღოყებს აგრილებდა, წინასწარ საზღვრავდა ლექსის ფორმასა და შინა-

\* გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავის ვამო.



არსს. აღზნებული და აღტაცებული პოეტი ხა-  
რობდა. ამ დროისათვის მან ბევრი განიცადა და  
ბევრის დაწერაც მოახწრო:

გათენდა. ცეცხლის შუე აენთო, აცურდა...  
დროშები ჩქარა!  
თავისუფლება ხულის იგე მოწვეურდა,  
ვიმ დატრიალ ირწმების გუნდს—წყარო ანგარა...  
დროშები ჩქარა!

დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,  
ვინც თავი გასწორა, ვინც სისხლი დაღვარა,  
ნათ ხსოვნის გვეყანა სანთლებად აინთებს...  
დროშები ჩქარა!


დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,  
ვინც ნედგრად დახედება მტრის რისხვა-  
მუქარას...  
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!  
დროშები... დროშები... დროშები ჩქარა!  
(1917)

ჩერ კიდევ ცხრაასცამეტში დაიწერა და მას  
შემდეგ ქართული კლასიკური ლირიკის კუთვნი-  
ლებად იქცა „მე და ღამე“. „კლასიკური“ — თი-  
თქოს ამალლებულად და გაუცხოებულად ეღერს,  
თითქოს ჩვენს გარეთაა, განცალკევებულ უკვ-  
დავეებაში, ეღერს როგორც ხაზეიმო „არსად“,  
იგულისხმება კი სწორედ „უველგან“, სივრცის  
რეალურ მატერიაში, ადამიანთა ცოცხალ სხეუ-  
ლებში. ღამე — პოეტური მოქმედების დრო და  
ადგილი, განქვრეტის საგანი და თვითონ განქვ-  
რეტა, ღამე — სამყაროს ხატება, მიახლოებული  
მწერასთან და სმენასთან, მე — იგივე ღამე,  
მე — იგივე მოციმციმე სამყარო, იგივე ჩვენს  
შორის არსებული გაუქარვებელი ტანჯვა, — დე-  
დააზრი ჩემი ხელობისა, რომელიც არც მასვე-  
ნებს და არც თავის დაცვის საშუალებას მაძ-  
ლევს. შეიძლება ასე ითქვას, მაგრამ ეს სრულე-  
ბითაც არ მგავს ჯადოქრობას, რომელიც შეიძლე-  
ბა ვერ მოიხელთოს ამ ლექსის არაქართველმა  
მკვლევარმა. შევეცადები სხვაგვარად გაუწ-  
ყოთ:

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში  
მოკამკამემ,  
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა  
ღამემ.

თითქმის ასე ეღერს რუსულადაც, მაგრამ შე-  
უხაბამობის როგორ უფსკრულს იტევს ეს „თით-  
ქმის“! თუმცა მან თქვა „მე და ღამე“, ერთხელ  
და სამუდამოდ მიისაკუთრა ღამე და თვითონაც  
მიეკუთვნა მას. მოდით, მოვძებნოთ იგი თბი-

ლისის ქუჩებში, ეზოებში და ჩიბებში ჩამოწო-  
ლილ ღამეში.

ცხრაასთხუთმეტში დაიწერა „მწერა“ მამრა-  
ლო, ბედნიერი, ჩერვიული მწერა!  ქართულად  
შეტყველი უოველი ბაგე გაიმეორებს ამ სახელს,  
რადგან სხვაასთან, დიახ — სხვაასთან მან  
ჯვარი იმ ავდრიან ღამეს და...  
უტოვა ხანუგეშო, გარდა საკუთარი ლექსებისა  
და შექსპირისა, რომელსაც ერთადერთს შეეძლო  
ამ მწუხარებას შესიტყვებოდა.

ღამე, მერი, დროშები, დაუნდობელი სამყა-  
რო, სიყვარული, ისტორიული მოვლენები —  
აღიქმება და აისახება გულის თანაბარი კარნა-  
ხით, მხოლოდ და მხოლოდ მიხთვის ცნობილი  
ხერხებით.

თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ  
გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ,  
მარად მანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:  
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

ასე დაწერა ჩერ კიდევ ახალგაზრდამ, თუმცა  
უკვე საკმაოდ გამოცდილმა იმისათვის, რომ  
მთელი თავისი ვნება და შემართება განესაზღვრა  
და ექცია სათავედ საკუთარი ბედისა, თავისი  
პიროვნებისა, რომელიც უძვირფასესია საქარ-  
ველოსათვის და ხალხთა საერთო კულტურისათ-  
ვის. ხომ არ შეინიშნება ამ განსაზღვრებაში პრო-  
ფესიული კარჩაკეტილობა და შეზღუდულობა?  
აღბათ არა, რადგან როცა ამას წერდა, მას  
ერქვა გალაკტიონ ტაბიძე, მალე კი გალაკტიონი  
შეარქვეს და დღემდე ასე ეძახიან. ვინაიდან სამ-  
შობლოში მისი სახელი განმარტებას არ საჭი-  
როებს, იგი ერთადერთია და მე ბედნიერი ვარ,  
რადგან ბევრჯერ მიხილავს — როგორ აღიქვამს  
ამ სახელს საქართველოს სხვადასხვა მკვიდრი,  
როგორ ბრწყინდება და მრავლისმეტყველი ხდე-  
ბა მათი სახეები ამ ხანუკვარი სახელის გაგო-  
ნებისას. ბედნიერი ვარ, რომ არხებობს ასეთი  
სიყვარული ხალხისა თავისი პოეტისადმი, თავისი  
პოეზიისადმი. მე მხოლოდ ამ სიყვარულზე მინ-  
დოდა შელაპარაკა, რათა მასში ჩამეთრია, შე-  
მეტყუებინა ახალი ტყვეები, როგორც ოდესღაც  
მე ჩამითრიეს და შემოიტყუეს კეთილმა ადამიან-  
ებმა, ხოლო შემდეგ კი თვითონ გალაკტიონმა,  
როცა ხული გახსნილი და გამწადადებული იყო  
სიყვარულისათვის. უველამ ვიცით, რომ დიდი ქა-  
რთველი პოეტების მრავალი ქმნილება შესანიშ-  
ნავად ითარგმნებოდა რუსულ ენაზე, მაგრამ ამას  
ვერ ვიტყვი გალაკტიონ ტაბიძეზე, რომლის სა-  
თუთი და ჭირვეული მუსიკა ოდნავი შეხებისთა-  
ნავე იმსხვრევა. ვერ ვიტყვი რაშია საკმე. ხან-  
დახან მგონია, რომ თვითონ ლექსები ცოცხლდე-  
ბიან და გეწინააღმდეგებიან, რათა მშობლიური  
ენის ბუნებრივი და შეუვალი მარშონია არ და-

არღვეს, რათა გარდაუვალი დანაკლისი არ გა-  
ნიცადონ.

დაბეჭილებით წაკითხვა უფრო ადვილი და სა-  
სიამოვნო გახდება ჩვენთვის. თუკი თავიდანვე  
გულითად სიყვარულს მივაგებთ პოეტს. მის  
მშფოთვარე და რთულ ხასიათს, ვრცელ და მრავალ-  
ფეროვან შემოქმედებას, რომელიც ასე ძვირ-  
ფასია მათთვის, ვინც პოეტის ენაზე ლაპარაკობს.  
ამაში კი მათ სიტყვაზე უნდა ვენდობ.

ასე გენდეთ, ბატონო ხანდრო, კახელი ბერი-  
კაცი. თქვენი ხელები ზომ ისევე შეგვიძლია გა-  
დავიკითხოთ, როგორც წიგნი მდიდარი მიწისა  
და ხანგრძლივი შრომისა. მადლობა იმისათვის,  
რომ მიგვიწვიეთ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ.  
რომ მოხეტიალე მგზავრები გახლდით, მადლობა  
იმისათვის, რომ მთვარე დაძნალოდა ვენახს, და  
რომ ზოგიერთი სწავლულისათვის რთული ლექ-  
სები გალაკტიონისა — თქვენთვის ასე გასაგები  
აღმოჩნდა.

თქვენ, ძვირფასო შეპურებო, სამოთხესაგვი  
ქვესკნელში რომ მთელი ღამე აცნობთ პურს, —  
მენანება, რომ „მერის“ ჩემეული თარგმანი ვერ-  
აა ისეთი სრულყოფილი, როგორც ის თბილი  
პური, რომლითაც ამ ნაღვაწისათვის გამიმასპინ-  
ძლდით.

თქვენ, უბადლო ლადო გუდიაშვილო, როგორ  
მიყვარს თქვენი სახლი. მხოლოდ ამ ბოლო დროს  
შევამჩნიე როგორი ლამაზია იგი. ადრე საერთოდ  
ვერ ვამჩნევდი სახლს. სულ იმით ვიყავი გარ-  
თული, როგორ დახეირობდით თქვენს საუცხოო  
ნახატებს შორის, როგორ მოკრძალებით გვაც-  
ნობდით მათ სახელწოდებებსა და შინაარსს, რო-  
გორი მშობლიური მწერით ამხნევდით ფერთა  
შერწყმასა და შებამებას. თქვენმა მეხსიერებამ და  
თქვენმა ხელოვნებამ ბევრი რამ შემოინახა გა-  
ლაკტიონის შესახებ.

თქვენ კი ველარც გიპოვნით, ღამის დარაჯო.  
თქვენს კაცობთან ვთბებოდით. თქვენ არაერთ-  
ხელ გიხილავთ გალაკტიონი. იგი ამ ქუჩებში და-  
ეხებებოდა და ეადვილებოდა უბრალო საუბარი,  
როგორც ბრძანეთ: „ჩემთან და ჩემნაირებთან  
საუბარი...“ მე კი თქვენნაირი აღარავინ შემბვე-  
დრია, თუმცა სხვებიც ყვებოდნენ მსგავს ამ-  
ბებს...

და აი. ყველა მოხსენიებულ და მოუხსენიებელ  
პიროვნებას ვულოცავ უდიდეს სიბარულს, დიდი  
პოეტის, დაბადების დღეს, პოეტისა, რომლის სი-  
ცოცხლეს გრძელდება; სიკვდილი მისი არც არ-  
ხებობს. — არსებობს დაბადება და ლექსები.

თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,  
მე მოეკვდები, როგორც პოეტს შექფერის,  
სიმღერები ხალხის და ბრძოლისა;  
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

გახული წლის შემოდგომაზე კარველად ვეს-  
ტუმრე ისეთ თბილისს სადაც აღარც ჩიქოვანი  
დამხვდა და აღარც ლეონიდე სიყვარულით და-  
წეპირებული ქალაქი უსრულყოფილებული და  
გაფერმკრთალებული ქუჩის სიყვარულს გამო —  
უცხო მომეჩვენა, როგორ შეცვლილა მეტეხის  
ხელი

რუსთაველის გამზირზე კადრები ზამთრის მო-  
ლოდინში გავარდისფერებულყვენ.

მხრებში მოხრილმა ქალმა ფარდა გადასწი-  
და მზე შემოუშვა აყვავებულ ნახატებთან, გა-  
ნიერ ქურჭელში მოთავსებულ მეტეხმეტად უვი-  
თელ ვარდებთან. ოთახის დიდ ნათელში შემოა-  
ბიჯა კობტად მოხრილმა სილუეტმა ქალარა. ულა-  
მაზესი ლადო გუდიაშვილისა. შემოაბიჯა და  
აღმაცერად გაზედა თავის ქმნილებებს. ფაქიზი,  
თავისებური მშვენიერებით თუ სიმანინჯით სრულ-  
ყოფილი მისი ქმნილებანი კედლებიდან ევედ-  
რებოდნენ, იკრიბებოდნენ და ტრიალებდნენ  
მხატვრის ირვვლივ და მაინც მის ნებას ეპორ-  
ჩილებოდნენ, და ისიც უხერხულად გვიხსნიდა  
მათი კეთილი შინაარსის უბრალო მნიშვნელობას.  
სასწაულები გრძელდებოდა და ფართო სივრ-  
ცეში გრძელდებოდა აგრეთვე წინანდელ თანა-  
მონაწილეთა მშვენიერი სიციცხლე. სადღაც, ამ  
ქერქვეშ ჭერ კიდევ გაისმოდა საოცარი ბუტ-  
ბუტი პერედელკინოელი სტუმრისა. რვა წელი  
გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად მოუ-  
სიყვარულენ აქაურები მას.

სული ჩემი ბრუნდებოდა მწუხარებიდან, რო-  
გორც ხანგრძლივი მოგზაურობიდან, და განა-  
ოდესმე განუდგება იგი მეტეხს?

თბილისი — ასე ერქვა ამ ქალაქს და მე ის-  
ლა დამჩენოდა, — კვლავ დედამიწის ნებისმიერ  
კუთხეზე მეტად მყვარებოდა იგი. რაც შეეხება  
დედამიწის ნებისმიერ კუთხეს, ჩემი სმენა უფრო  
განიცდის სიყვარულს, ვიდრე მწერა. მწერის-  
მიერი მეხსიერება ნელნელა ივიწყებს სახეებსა  
და პეიზაჟებს, ხოლო უცხო ენა კვლავ ცოცხ-  
ლობს ჩემში, თავს არ იშოგავს და მაწვალებს  
სიახლოვითა და მიუწვდომლობით. არცერთ უც-  
ხო სიტყვასთან არ მქონია ისეთი ხანგრძლივი  
სიახლოვე, როგორც ქართულთან. იგი განუწყ-  
ვეტლივ მესაუბრებოდა და მიმღეროდა, აცთუ-  
ნებდა სლავურ ხორხს დამშვრალიყო უკანასკნელ  
ამოსუნთქვამდე, რათა განეხლებინა თანამოვან-  
თა შეხლა და შეუთანხმებლობა, და ბოლოს დამ-  
ცხრალიყო გრძელი „ი“-ს სავანეში. როგორ მაწ-  
ვალებდა ეს მოუზღველოებელი მუსიკა? საშველი  
კი არხად ჩანდა, რადგან ონკანის წყალიც კი  
ქართულად მესაუბრებოდა.

მაგრამ დადგებოდა იდუმალი ღამე გარჯისა  
და ცოტა ხნის წინათ ჩემზე ძლიერი სიტყვების



... უბრალოების საიდუმლო მარტივია. ჩიქო-  
ვანის საქმიან თუ სასხვათაშორისო საუბრებში,  
აგრეთვე ლექსებში — პოეტის მიერ ნაგულისხ-  
მევი საგანი და საგნის დასახასიათებლად გამო-  
ყენებული სიტყვა ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს.  
მათ შორის ვერ იპოვით სხვაობას, სიცარიელეს,  
და ამაშია მსმენელისა და მთარგმნელის ბედნი-  
ერება. მსჯელობის ბუნდოვანებამ და მაცთურმა  
მრავალმნიშვნელოვნებამ კი შეიძლება ვახაჭირ-  
ში ჩაგაგდოს.

მაგრამ არ მინდა ვილაპარაკო ლექსებზე, თარ-  
გმანებზე, ამაში სხვა განსწავლულები გაერკვე-  
ვიან. მე ვარჩევდი გარუმებას, სიყვარულს, გაზ-  
ხენებას და დამწუხრებას, და ამით გამოვცხმა-  
ურებოდი მის მიწვევას სიჩუმეში, რაც ასე აუ-  
ცილებელია ჩურჩულისა და ხუტბუტისათვის:

ეგ საუბარი შევწყვიტოთ წუთით,  
წვიმა იხმენს და გადასცემს ვისმეს,  
ხილთან ირხევა რტოები თუთის  
და შენ გისველებს აწეულ კისერს.

კიდევ ერთი თოვა მახსოვს ჩვენს შორის, რა  
სისხამი გაზაფხული და ურიაშული იდგა? თოვ-  
ლი ჭერ კიდევ არ წასულიყო და ჭერ კიდევ არა-  
ვინ დამეკარგა ამქვეყნად. შეღამების ნაცნობ  
სილურჯეში, რომელიც პირთამდე აეგსო თოვლს,  
ანდერსენის ფანარის შუქზე უცებ გამოანათა  
საყვარელმა სახემ, იერა შეიცვალა, გამიღიმა და  
მომესალმა. შემდეგ გზა დამეკარგა — ბილიქსა  
და ნამჭერს შორის, თოვლით დახუნძლული ხე-  
ების გასწვრივ, საბლისკენ და სახლში; თბილ  
წინქარში ერთმანეთში აირია ხვევნა, წამოძახი-  
ლი, ქუდები.

— ხიმონი და მარკია (ეს ჩიქოვანებია!) პავ-  
ლე და ზოია (ეს კი — ანტოკოლსკები!).

რას წარმოადგენს ჩემთვის ეს ოთხეული?  
როგორ განათლავს მათ აუტანელი ტკივილით გა-  
რინდული ხული?

ვიდრე იქ ღვინოსა და ეოლოს ჩაის გეანლებო-  
დით, ლექსებს ვკითხულობდით და ცხოვრების  
წვრილმან გაჭირვებებზე ვჩიოდით, — ნეტავ თუ  
მიმახვედრა ასაკობრივმა წინათგრძნობამ, რომ  
ხუთეულის ეს უღარდელი ტრაპეზი ბედნიერება  
გახლდათ, წამიერი ძვირფასი ძღვენი გარემოე-  
ბისა, რომელიც აღარასოდეს განმეორდებოდა?

ცხრა მუხა, ცხრა მთა და ცხრა წყარო,  
ეპოვე და ცხრა მთაზე გავწიფე მუხლები,  
თუ შემხვდა სიკვდილი უწყალო,  
ჩემს ცხედარს ასწევინ ქარმაგი მუხები.

რა თქმა უნდა. მეც ასე ვფიქრობ. მაგრამ აი  
ის გადის პარმადიდან, გადის და კიბეებზე ეშვე-  
ბა, უკან იხედება, იღიმის, მიაბიჭებს სამუაროს

ცისფერ ხიდრმეში. უკვე ვერავითარი აღერსით  
ვეღარ შეაჩერებ და თოვლი, ვარსკვლავები, ხე-  
ები ჰფარავენ მას — ხამარადისად მერე როგორ  
ავფრინდები, ავალ, ავჩანჩალდები, ავთრევ ტანს  
ამ კიბეებზე, იმ ოთახებში, რომლის დიდი ფან-  
ჯრებიც ცირკის მოედანზე დაქუჩურდნენ, როგორ  
შევჩვევი ტირილის ჩიბრმევებს?

იმ ხუთეულიდან, მაგიდას რომ ვუსხედით,  
ორნილა დავრჩით და ხარბად შევცქერით ერთ-  
მანეთს.

ხანდახან ახალგაზრდები მაკითხავენ, რა უნდა  
ვუთხრა? მათ უკეთ უწყიან, როგორ დაუკავში-  
რონ ერთმანეთს კალამი, მელანი და ქალაღი.  
ერთი კი უნდა ვურჩიო: დაუღალავად და დაუ-  
ცხრომლად მოეაღერსონ იმათ, ვინც უყვართ.  
კავშირებით კილოში ბევრი სევდაა; მას ახლა  
სამოცდაათი შეუსრულდებოდა, თუმცა მე არა-  
ფერს ვამბობ.

არ შეარხიო ავდარში წარბი,  
ნურც აჩხრიალე მწვიმაში სიცილს,  
ამ თქორში ყველა შინისკენ გარბის  
და საბაასოდ ვერავინ იცლის.

ირხევა სველი ფოთლები თუთის,  
ეგებ მთის გაღმა ლაღანებს პური?  
ეგ საუბარი შევწყვიტოთ წუთით  
და წვიმის მხაპუნს დავუგდოთ ყური.

ანა კალანდაძის\*

საუბარი ანა კალანდაძეზეა, იმ საზეიმო დღე-  
ზე, რომელსაც მისი დაბადების დღე ჰქვია, თუმ-  
ცა ჭერ — მთაწმინდის კალთაზე აუვავებული ნუ-  
შის ყვავილების ადრინდელ უბრალო დაბადების  
დღეზე, ადრეულ მარტზე ვისაუბროთ. აჰ, რა  
გაზაფხული იწყებოდა! ადრე გამეღვიძა, რადგან  
მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან რაფაზე შემო-  
მსხდარი ბავშვები მზეზე ხარკეს ათამაშებდნენ  
და ჩემს ხარკმელს უმიზნებდნენ. რადიო გრია-  
ლებდა: „ჩემო ჩიტუნია...“ იწყებოდა დღე, რო-  
მელსაც ანასთან მივყავდი. მცხეთის გზაზე ჩორ-  
რები გაზაფხულს შეგზაროდნენ და ირგვლივ სა-  
ვსე იყო ბაიები. მოუსვენარ, უვნებელ, თვალგამ-  
კრიახ სიმონს აგარაკი ჰქონდა იქვე, თუმცა რა-  
ღა აგარაკი; სახლი არ იდგა, მაგრამ უხვად იყო  
მიწა და ცა; მდინარის იქით კი, მთაზე, კარგად  
მოჩანდა ძველი ქვის ნანგრევები, ვაზი გამოფხიზ-  
ლებულიყო ზამთრის ძილისაგან და უკვე ზრუ-  
ნავდა უხილავ ღვინოზე. უმაღლესი ნიჭით დაჭი-  
ლდობულ ადამიანებს გააჩნიათ უნარი, გვაჩუ-  
ქონ საკუთარი თავიც და სხვებიც. გაზაფხულის  
დღე კაშკაშებდა, სიმონი მკვირცხლი და ჯანმრ-  
თელი იყო; საჩუქრები ჭერ არ გამოლეოდა და

\* პოეტის 50 წლისთავის გამო.

წამოიძახა: „კაცო, შენ არ იცნობ: ანახ, მაგრამ გაიცნობ: ანა მშვენიერია! ხალამოს მე უკვე ვიცოდი, რომ ანა მშვენიერია, დიდი პოეტია და მისი ენა, საკუთარი, მხოლოდ მისთვის მისაწვდომი, თავის ტევადობითა და ელერადობით, ტოლს არ უდებს მთელ ქართულ ენას. დღის მიწურულს მოვიდა პატარა ანა. პატარას იმიტომ ვამბობ, რომ მისმა გარეგნობამ, მისმა ხუსტმა ნაკვეთებმა, მეტად სერიოზულმა მოკრძალებამ და სიჩუმემ გამოაცა და გული ამიჩუყა. ასეთები არ ფაციფუცობენ, ზუსტად აზროვნებენ და დაპარაკობენ, ზედმეტს არაფერს აკეთებენ.

შემდეგ მოსკოვში, ბედნიერ სიმარტოვეში ვთარგმნიდი ანა კალანდაძის ლექსებს. რომლებმაც შეადგინეს მისი პირველი ძალიან პატარა წიგნი რუსულ ენაზე და რომელიც თბილისში გამოიცა. გმადლობთ, ანა, დიდად ვისიამოვნებოვანე მწვანე შპალერიან ვიწრო ოთახში დაცურავდნენ ხეთის, მიდიის, ურარტუს ღრუბლები, შრიალებდა კუნელი, დანავარდობდნენ სახელები: ბეთანია, შიომღვიმე, ორწუაღი... ანა ჩანდა აშკარა და პეროვნად წმინდა, რამდენ საქართველოს იტევს ანახ პიროვნება! ჭერ კიდევ არ დამცხრალა მისი გატაცება მშობლიური ენით, რომელიც აქეზებს ლექსთაწყობისა და სპეციალური ფილოლოგიის მკვლევარებს. პოეტს ტანჯვისაკენ უბიძგებს და ჩვენ კი ნეტარებას გვიპირდება. ანა, ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც ბშირად წარმოიდგენს საკუთარ თავს მცენარედ: ბალახად, ჭადრის ტოტად, მაგნოლიის ყვავილებად, უსახელო ღეროდ, ვინ იცის, იქნებ თვითონაც აქედან მოდის, უწმინდესი მიწის მცენარეებიდან, რომლებიც არ იცნობენ ბორბტებასა და ანგარებას, იციან მხოლოდ ამწვანება თვალის გასახარად და დაუღვარი გამვლელის ფეხქვეშაც კი მწვანედ ელვარებენ, — გამარჯვებულნი და სულგრძელნი, დაე მარადის იყვავილონი ერთი წლის შემდეგ, თბილისში ისევ მოვიდა ანა: ხელში იის თაიგული ეჭირა და თქვენ შეიძლება მეტაფორად ჩათვალოთ, — თუმცა ჩემთვის სულერთია, — ანა და იები ტუპუბივით მგვანდნენ ერთმანეთს და ძნელი იყო მათი გარჩევა.

ღიახ, მე ვთარგმნიდი ანახ და ვტკბებოდი, მაგრამ მაშინაც ვხვდებოდი და ეხლაც ვიცი, რომ ვერ გავუთანაბრდი პოეტს, რომელზედაც მთელი სულითა და გულით ვზრუნავდი, მე ვიყავი უმცროსი და ვიყავი უარესი, მაგრამ წლები გავიდა, მე უკეთესი გავხდები, ანა, დავუბრუნდები თქვენს ლექსებს, რათა პირვანდელ უშუალოებას მოკლებულნი, კი არ დაობლდნენ სხვა ენაზე, ჩემს მშობლიურ ენაზე, არამედ დიდებულად და სასიამოვნოდ აუღერდნენ.

ნახვამდის, ანა, თავს გიხრით, მადლობას გიბდით, გილოცავთ; იბედნიერეთ თბილისში — თქვენთვის, სიმონისათვის, გოგლასათვის, და სა-

ჩუქრად მიიღეთ თქვენთვის სტრიქონი: „დიდება მარად, მრავალუამიერი“

ლექსი რომელიც ითარგმნება

ლექსი, რომელიც ითარგმნება, გარკვეული რთულ, სამგზის სიცოცხლეს, სიხალისეს, მშობლიურ ენაზე და შემდეგ თქვენს ენაზე აქცარედში. ძველ სიმწუხურესა და ელერადობას მოკლებული — უენო და უსულო გვეჩვენება. და ეს უველაზე სახიფათო, უველაზე საგანგაშო მომენტია ლექსის ცხოვრებაში. როგორ მოექცევა მთარგმნელი? შეძლებს მკვდრეთით აღადგინოს, მიანიჭოს ანალი სიცოცხლე, თუ ასევე უსულოს დატოვებს?

უოველთვის მეჩვენებოდა, რომ აქცარედული თარგმანი როგორღაც გაშიშვლებულია და უმწეო, იგი მშობლებისაგან უუურადღებოდ მიტოვებული ბავშვია. ახლა მთარგმნელზე, უცხო აღამიანზეა დამოკიდებული — იშვილებს თუ არა ამ ბავშვს, მთელი გულით მოუვლის და მოეფერება, თუ ასევე უსუსურ ობლად დატოვებს სხვა ენაზე.

ამიტომ ვფიქრობ, რომ თარგმანი ორ პოეტს შორის უდიდესი ნდობის გამოვლინებაა, როცა ერთი მათგანი მეორეს აზიარებს თავის უძვირფასეს საიდუმლოს; თანაც იმ მეორემ უნდა გამოიჩინოს დიდი თავაზიანობა, გამჭრიახობა და ფანტაზია, რათა აქცარედის კონტურების მიხედვით აღადგინოს ლექსის ნამდვილი სახე ისე, როგორც მეცნიერი აღადგენს თავისქალის საშუალებით უძველესი მშვენიერი სახის ნაკვეთს.

აღბათ, თარგმნის მიზანი ერთია — თარგმნელი ლექსი ბუნდოვნად კი არ უნდა მიგვანიშნებდეს მის საწუის ღირსებებზე, არამედ იგი უნდა გახდეს სხვა პოეზიის სრულუფლებიანი წევრი, სხვა ენის დღესასწაული.

თუმცა უოველთვე ეს აშკარაა და დაობენ მხოლოდ სიზუსტის საზღვრებზე, რომელიც ჭერ ვერ დაუდგენიათ.

მინდა დავიმოწმო ჩემს მიერ თარგმნილი ლექსები ქართველი პოეტებისა, არა იმიტომ, რომ სანიმუშოდ ვთვლი, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მათში უკეთ ვერკვევი, ვიდრე სხვებში. შეიძლება უფრო წარმატებით თარგმნილებშიც კი უნდა ვალიარო, რომ არახოდეს მიცდია დამეცვა ლექსის გარეგნული ფორმა: ზომა, გარიტმის ბერბები, — ვინაიდან მწამს ის ჭეშმარიტება, რომ უოველ ენახ თავისებური ელერადობის კანონი გააჩნია, მინდობილი ლექსებისადმი სიყვარულითა და თანაგრძნობით გამსჭვალული — უოველთვის ვცდილობდი მექცია ისინი თანამედროვე რუსულ ლექსებად. თანამედროვე რუსი მკითხველების მახლობელ ლექსებად.

ვცდილობდი რა, შემენარჩუნებინა ნახი, ცვალებადი, მთართოდავი პოეტური ენა ანა კალან-

დაძისა. შეხანიშნავი უცნაურობანი მისი კონსტრუქციებისა, ხშირად ვიუენებდი თავისუფალ მსუბუქ საზომებს. საფუძვლად ვიღებდი იმ სტრიქონებს, რომელთა მთლიანობის დარღვევის უფლებაც არ მქონდა: „ო, არის რაღაც უხაზომოდ დამაფიქრელი...“, „ჩამოვფრინდები შენს ლურჯ რტოებზე, ჩამოვფრინდები, იახამანო!“ — და მთელ ლექსს მათ ვუთახნებდი. გარდა ამისა, ახეთი დაუოვნებელი რიტმით მიხდოდა ხაზი გამებვა პოეტის ფიქრიანობისათვის, გულისთადა გაურკვეველობისათვის, მისი ხულის არაჩვეულებრივი სილადისათვის; და პირიქით, — ვცდილობდი მძაფრი, პატრიოტული, სასიყვარულო გრძნობის დამაბუღლობა გადმომეცა მოკლე, მტკიცე სტრიქონებით, მკვეთრი რითმებით.

კალანდაძის კვალდაკვალ ზუსტად ვიმეორებდი რჩეულ გეოგრაფიულ სახელებს; ესეც მისი პოეტური ხასიათის თვისებაა, საქართველოს მხურვალე ერთგულების დამადასტურებელი.

ხანდახან ლექსი ჩამითრევდა და მეტი თავისუფლების უფლებას ვაძლევდი საკუთარ თავს. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ამენაზლაურებში: თარგმანშემიერი აუცილებელი დანაკლისი.

ქართულმა მკითხველმა იცის, რომ სიმონ ჩიქოვანის მშვენიერ ლექსში „სვანეთის გზაზე“ არ არის სტრიქონები, რომლებიც თარგმანში გაჩნდა: «Теперь и сам я думаю — ужели по той дороге, странник и чужак, я прохо- дил...», მაგრამ არა მგონია, ამ განხაზღვრებით — «странник и чужак». რომელიც საკუთარი სურვილით ავირჩიე, რუსი მკითხველი მომეტყუებინოს, — მიხდოდა ერთხელ კიდევ შემებხენებინა მისთვის, თუ როგორი უცნაური და ჭირვეულია პოეტის შინაგანი სამყარო.

დამჭირდა და ცოტათი გავამარტივე ლექსი „ცხრა მუხა“, რათა მიხაწვდომი გამხდარიყო რუსული წარმოსახვისათვის, რომლისთვისაც უცნობია მოკრძალება ხაიღუმლო რიცხვისადმი — ცხრა, და რომელიც ცუდად იცნობს დეკების ხასიათს.

იმ მიზნით, რომ მკითხველმა მკაცრად არ შეაფასოს კვეცნობიერი სახეები, არ მოითხოვოს რეალობის სიზუსტე, ლექსის ბოლოს და ვურთე აღმოსავლური ზღაპრულობისა და გრძნეულების მიმანიშნებელი სტრიქონი: «В глаза чудес, исполненные света, всю жизнь смотрел я, не устав смотреть».

მე მგონია, ხანდახან მთარგმნელს უფლება აქვს, გაითვალისწინოს არა მარტო ენათა განსხვავება, არამედ პოეტურ ფსიქოლოგიათა და ხალხის ხასიათებს შორის განსხვავებაც და გამოტოვოს ესა თუ ის დეტალი.

ჩიქოვანის ლექსში „ღრუბლებს ჩაუთქვი“ არის ახეთი სტრიქონი: „ეშხით ამივხე გულის ქიხები“... სრულიად ვენდობი ძვირფას პოეტს და

ეტიც არ მეპარება, ქართულად ეს სიტყვები ძალზე პოეტურია და ზომიერი. მაგრამ პირდაპირ თარგმნილი რუსულად, ძალზე უხეშად, თითქმის ვულგარულად ედერს, და შეგიპარდი ავტარე მათ. მითუმეტეს, რომ ქალის მშვენიერება და პოეტის განცდები ისედაც უხეშად ედერს.

ასე და ამგვარად სიტყვების შენებისაგან ემუქრება ორგვარი საფრთხე, ორგვარი მიმძლავრება: გაწვიადება ან პირიქით. მე მგონია, ლექსის ინტერესებისათვის ზომიერად ორივე დასაშვებია, თუმცა შეუძლებელია მათემატიკური სიზუსტით გამოიანგარიშო თუ რამდენად ალბათ ამის განხაზღვრა მხოლოდ პოეტს ძალუძს, რომელიც ერთ შემთხვევაში ასე იქცევა, ხოლო მეორეში — სხვაგვარად. სარწმუნოდ შეჩვენება მხოლოდ ერთი: მთარგმნელის თავისუფლება უნდა გაგრძელდეს მანამ, ვიდრე ავტორის თავისუფლებას არ დააზარადებს. თარგმნისას ბელუბლებელი უნდა დარჩეს პოეტის მთელი შინაგანი სამყარო, მისი აზროვნების სიმწყობრე და არსებითი კონკრეტული დეტალები პოეტური მასალისა. ცოდავად ჩამეთვლებოდა და არც იყო საჭირო შემეცვალა ჩიქოვანის სტრიქონები: „მერმე გაქვიდე ციციხლოან თავშალი...“, „ცხრა მთაზე გავწაფე მუხლები...“, „მსურდა ორწყალთან აგრე მენახე, გადაწეკილი, მშვენიერა ნაზი...“ მათში პოეტური აზრიცაა და აშკარა რუსული ელერადობაც იმდენად სრულყოფილია, რომ გადასხვაფერებას არ საჭიროებს. ეს ის შემთხვევაა, როცა ქართული გრამატიკა ამდიდრებს რუსულ ტექსტს. ვიმედოვნებ, ლექსს „ორმები კალოზე“ გააჩნია დამოუკიდებელი რუსული ელერადობა, და მაინც იგი ქართული ლექსია — არა მარტო მასში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელების გამო, არამედ ერთი შეხედვით უცნაური, მშვენიერი ქართული ბატოვანი მოქცევის გამო: „მზე ირმებზე დავკიდე და დავსროალებ, ბოხბისფერი პატარძალი მშველის.“ და ალბათ მთარგმნელი ფრთხილად უნდა მოეპყროს ასეთ ნაციონალურ თავისებურებათა გამოვლინებებს.

უნებლიეთ ჩავერთე რა კამათში. მგონია, არც ერთ მხარეს არ შევწინააღმდეგებებივარ. უბრალოდ მიხდოდა ამხანაგებისათვის გამეზიარებინა ჩემი შეხედულებანი თარგმანზე და დამემტკიცებინა ჩემი ღრმა სიყვარული ქართული პოეზიისადმი, რომელმაც ბევრი სიხარული მომანიჭა.

ქართული პოეზია ურველთვის ჩამთან იძნება\*

მეც გამოვთქვამდი თვალსაზრისს მხატვრული თარგმანის შესახებ, მაგრამ თვალსაზრისი არ გამაჩნია, გამაჩნია თვალთახედვა, გამაჩნია ხელები.

\* 1962 წ. 15 მარტს წარმოთქმული სიტყვის სტენოგრაფია.

რომლებითაც ვწერ, გული, რომლის შემწეობითაც ვმუშაობ. — და უფრო შორს ვეღარ წავალ. აქ ბევრი ითქვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა თარგმნო, ეს სახარებლოა, ეს საუბრადღეობა და მაინც არ ვიცი, როგორ უნდა ვთარგმნო, რომ ვიცოდეთ, უფრო მეტი მშვენიერი თარგმანი გვექნებოდა გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა.

კიდევ მინდა შევეხო ერთ აუცილებელ მომენტს — საქმიანობას. მოდიო, ჩვენს თათბირ განვიხილოთ არა მარტო როგორც მწერალთა კავშირის სამუშაო პროგრამა, არა როგორც ჩვენს საზოგადოებრივი ცხოვრების ღონისძიება, არამედ დავფიქროდეთ, რამ მიგვიყვანა ერთმანეთთან, რამ შეგვანგებდრა ერთმანეთს ერთსა და იმავეზე სახალბროდ. მხედველობაში მაქვს ხელოვნება, ის, რაც მუდამ გვახლოებს, ხოლო ამის მეტი ჩვენ არაფერი გაგვაჩნია.

თარგმანს განვიხილავ, როგორც სიუვარულს ერთი ადამიანისა მეორისადმი: ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ მიუვარდა პოეტები, რომელთაც ვთარგმნიდი და სიმონ ჩიქოვანისა და ანა კალანდანიძის ლექსების უკან მათ სახეებს ვხედავდი, არამედ იმიტომ, რომ უოველოთუბს მჭეროდა მათი, როგორც პოეტებისა, და ძალიან მიუვარდა ისინი.

აქ ითქვა აწკარედის შესახებ, ალბათ, ეს მკაცრი სიტყვები ხამართლიანია, მაგრამ ვფიქრობ, არ არის აუცილებელი ერთმანეთს გავუზიხლოთ როგორც ვმუშაობთ, მოდიო, ერთმანეთს მუშაობის შედეგები გავუზიაროთ და ეს შედეგები იტყვიან თავიანთ სათქმელს.

არ ვაპირებ ვუსაუვედურო პასტერნაკს იმის გამო, რომ აწკარედს იყენებდა, რადგან იგი ჩააწვდა დიდებულ ქართულ პოეზიას და მკრებელობა აქნებოდა მისი გამტყუნება, მე ურთხილად ვექცევი აწკარედს მე მგონია, აწკარედი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უმწეო ბავშვია, რომელმაც დაკარგა სიცოცხლე მშობლიურ ენაზე და ახალი სიცოცხლე კი ჩერ არ ღირსებია ჭრჭერობით იგი ბავშვია, რომელსაც როგორც გინდა ისე მოექცევი, და მხოლოდ კეშმარიტ ბელოვნებას ძალუძს წამოაყენოს, გაატაროს, იშვილოს ეს ბავშვი, აქციოს იგი არა მარტო საკუთარ შვილად, არამედ არჩუქოს მთელს მსოფლიოს, რათა მთელმა მსოფლიომ ჩაიკრას გულში.

არავის მივცემ უფლებას დასცინოს, ცუდად მოექცეს ამ ბავშვს დაე, მუდამ მშვენიერი იყოს ბავშვი.

მე მგონია, მთარგმნელს უნდა ახასიათებდეს კიდევ ერთი აუცილებელი თვისება, — ის უნდა იყოს შეპურობილი, ატანილი, ამას დაეინებოთ ვამტკიცებ და ვამბობ არა ჩემზე, არამედ სხვებზე, ამხანაგები, რომლებიც მონაწილეობენ ამ თათბირში, არიან არა მარტო საკუთარი საქმის

მცოდნე ადამიანები, არამედ აქვთ უნარი აწკარედიდანაც კი შეიცნონ პოეზია, ჩვენს პირობებში ეს აუცილებელი ტექნიკური ბერძნული მხატვრული თარგმანისათვის, აწკარედის საშუალებით მხოლოდ კეშმარიტი პოეტი შეიძლება ლექსის აწრს.

### უარყოფითი

ვლადიმერს მხოლოდ აუთუბილიტეტს უკან უკეთ ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ნამდვილი პოეტი აღადგენს ლექსის იერს, ისევე, როგორც ლამაზი სახის იერს, საკუთარ თავს ვამოწმებ არა იმიტომ, რომ სამაგალითო მთარგმნელად მიმაჩნია თავი, არამედ უბრალოდ ეს საქმე უკეთ ვიცი, უნდა ვლადიმერს იმაზე, რაშიც უკეთ ერკვევი, საკუთარ გამოცდილებაზე, და მე ვიმოწმებ ქართულ ლიტერატურას არა სხვა ლიტერატურის საწინაოდ, არამედ ისევ და ისევ იმის გამო, რომ მას უკეთ ვიცნობ მე შეგნებულად შემოვიფარგლე მხოლოდ ქართული პოეზიის თარგმნით, მინდა მთელი გულისხური ამ ენაზე შევაჩერო, ქართულ სიტყვას ათას სიტყვაში გამოვიცნობ, საკუთარი თავი მივაჩვიე ამას და მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენ ვსაუბრობთ თარგმნის თავისუფლების საზღვრებზე, ვფიქრობ, რომ მათემატიკური სიტუაციით შეუძლებელია სათანადო საზღვრის დადგენა, უოველოთვის შეგვიძლია ვთქვათ, რისი გაკეთება შეიძლება ასე თუ ისე, ჩვენ მოვიპოვეთ ზუსტი და არა ზუსტი თარგმანები და მე ვიცი რახაც ვაკეთებდი, ჩემი აზრით, კეშმარიტად ზუსტი თარგმანი მიიღწევა რომელიღაც უზუსტობებით, ვინაიდან ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას დანაკლისი გარდაუვალია, ვერასოდეს ვაბერბმდი ქართული სიტყვების ელერადობის აღდგენას და მაშინვე განზრახ ვარღვევდი ზომასა და წყობას ქართული ლექსისა, რადგან ის, რაც ელერს ქართულ საწომში, არ ელერს რუსულში.

ისევ ვამბობთ, ვთარგმნიდი იმ ლექსებს, რომლებიც მომწონდა, სხვაგვარად ვერც ვიმუშავებდი, მაგრამ არის მომენტები, რომელთა ზუსტი აღდგენაც შეუძლებელია, ოდესღაც უკვე აღვნიშნე, როგორ ვთარგმნიდი სიმონ ჩიქოვანის ლექსებს, იქ იყო ისეთი ადგილები, რომელთა აღდგენაც ზუსტად ვერ შევძელი, რადგან მიუხედავად დიდი ნდობისა სიმონ ჩიქოვანისადმი და უდადესი სიუვარულისა მისი პოეზიისადმი, — ვიცოდი რომ, ქართულად ეს მშვენიერია, მაგრამ რუსულად ასევე ვერ აღდგებოდა, გალაკტიონ ტაბიძის თარგმნის დროსაც, სიტყვები: „ცამეტის წლის ხარ“, რუსულად არ ელერს პოეტურად და არ შეიძლება ასე წარმოითქვას რუსულ ენაზე.

პატივს ვცემ ბევრ ამხანაგს, რომლებიც მსაუვედურობდნენ გალაკტიონის თარგმნის თავისუფლების გამო, საქმე იმაშია, რომ გალაკტიონის ეკუთვნის საქართველოს, მაგრამ უველა ქართველ

ლი არაა ვალდებული იცოდეს, რა შეიძლება დაემუქროს გალაკტიონს. ის, რასაც ჩვენ ვიძღვევით ქართული პოეზიიდან, ძალიან ბევრია, მაგრამ არა საქართველოსათვის, არამედ რუსეთისათვის. მსურს გალაკტიონ ტაბიძის ლექსები მივიტანო რუს მკითხველამდე და მიმაჩნია, რომ ეს შესაძლებელია. მე არ ვაგდებდი არცერთ სტრიქონს, არ ვიჩენდი დაუდევრობას და თუ რამეს ვაკეთებდი ჩემებურად, მხოლოდ იმიტომ რომ მინდოდა გამემუღავნებინა გალაკტიონი რუსულად ისე, როგორც მესმოდა ქართულად. როცა ღამე თბილისის ქუჩებში დავდივარ, მეჩვენება, რომ გალაკტიონის ჩრდილიც ჩემთანაა. ვიცი მისი ლექსი, მესმის მისი აზრი, იგი ლოგიკას არ უპირისპირდება, მაგრამ უოველთვის ეურდნობა მუხიკას, რომლის ზუსტად აღდგენაც არ ძალმიძს, — ნუ მოხვთ შეუძლებელს. მხოლოდ ის შემიძლია ვუთხრა რუს მკითხველს, რომ ქართულად ეს ღვთაებრივად უღერს, მინდა რუსი მკითხველი სიტყვაზე შენდოს, რომ გალაკტიონი უდიდესი პოეტია. და ამისათვის ცეკვაც რომ დაეძღვებ. ცეკვებს.

მე ვთქვი, რომ ხანდახან თვითონ სამუშაო გვიზიდავს თავისუფლებისაკენ. როცა სიმონ ჩიქოვანის „ცხრა მუხას“ ვთარგმნიდი, მეშინოდა, რომ ამ „ბავშვს“ არ შეიუვარებდა რუსი მკითხველი. ჩვენში რიცხვ ცხრას არ ანსხვავებენ. შეგნებულად დავურთე ლექსის ბოლოს სტრიქონები, რომელიც არ ეკუთვნის სიმონ ჩიქოვანს, მინდოდა, მკითხველი მიმხვდარიყო, რომ პოეტი მას ეთამაშება. მსურდა რუსი მკითხველისათვის გამეადვილებინა ამ ლექსის აღქმა.

მაგრამ არის რაღაც სიზუსტე, რომლის დარღვევის უფლებაც არ გვაქვს და ამ სიზუსტისათვის უნდა შევცვალოთ ზომა და უნდა მოვძებნოთ გზები, რომლებიც ხელუხლებელს დატოვებენ ქართულ კონსტრუქციებს შაშინ, როცა ისინი მშვენივრად უღერენ რუსულადაც.

ხანდახან სიმონ ჩიქოვანის, ანა კალანდაძის ლექსებს ვთარგმნიდი არაშესაბამისი საზომებით, რათა გადმომეცა ის გულითადი არათანამიმდევრობა, რომელიც იქ იყო და მიმეტანა იგი რუს მკითხველამდე.

დახასრულ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ბევრი სამუშაო გვაქვს. მაგრამ მე ქართულ პოეზიას ჩემად ვთვლი და მანამ ვერ მოვისვენებ, ვიდრე არ ვთარგმნი უველაფერს, რაც უნდა ვთარგმნო.

ქართული პოეზია უოველთვის ჩემთან იქნება. და მე კვლავაც მოვემსახურები ხელოვნებას, რომელიც უველას გვაახლოებს, გვაბედნიერებს და გვაღამაზებს.

თავდაპირველი ელერადობის  
საიდუმლოება

იყო ადრე, იქნება კვლავაც არის ამჟამამადაც, ამ — მესამე — ეამს ანუ საათს დღის დასაწყისიდან

სიდან და მაინც დღის დასაწყისამდე, რადგან ჭერ კიდევ გრძელდება ივნისის ღამის წამიერი გაელვება, — თქვენ ხომ მას გააბნევადივებთ და გამოიყენებთ სიზმრის მთელ მანძილზე, თქვენ, ნებიერებო და ბედნიერებო, რომლებმაც არც კი იცით რაზეა საუბარში? [ტექსტი] გამოიყურება: დიდი, ცარიელი, [ტექსტი] ცხელი და მძიმე შუბლი ხელისგულში იმალება და მაგიდისაკენ იზნიჭება. ეს ასე გამოიქმის: „მე მიუვარდა ეს სამუშაო უველა სამუშაოზე მეტად... ვემსახურებოდი მას, როგორც შემეძლო... მაგრამ აღარ შემიძლია... ნუთუ სამუდამოდა ვარ გადასახლებული სათუთ კატორღაში სხვისი სულით, სხვისი სიუვარულით, სხვისი წარმოდგენისა უველაფერზე, რაც კი არსებობს?... ნურას უკაცრავად, კმარა...“ და უველაფერი ეს გულწრფელია, უველაფერი ეს ტყუილია, მეგობრებო. რადგან არ ვიცი, არ მსურს და არც არანდროს მიცდია სიცოცხლე ამის გარეშე; მაგრამ თუ თქვენ მართლა არ იცით, რომ საუბარი იხევ იმაზე: იდუმალ, სახელოვან, უკიდურესად ბედნიერ თარგმნის საქმეზე, — მე ვიამბობთ როგორ იწყება ეს, როგორ იწყებოდა ჩემთვის. აი შენ ახალგაზრდა ხარ, მსუქანი და ლოუებლაუდაუა, საკუთარ უვენებლობას მტკიცებულად განიცდი, მორცხვობას ქედმაღლობად ასაღებ და ასე უოველმნრივ შემკული, ჩამოდიხარ სხვა ქვეყანაში, — დავარქვათ მას: საქართველო, — კეთილი თვალთ შეშუპურებ, აუურადებ, უკან მიემგზავრები და ხვდები, რომ ხამუდამოდ გაები ზაფანგში მისი ნაზი საუბრისა, გასაუბრებისა, მოსაუბრებისა, ზაფანგში მისი უცხო, მშობლიური ენისა, რომელმაც ჩაბერგა შენი ხორხი ჭავრით, ქუბილით, სიმწრით, მაღალი და მომხიბლავი ხმის მტკვნებით. ასე იღარდებ მთელი ცხოვრება, რადგან შენი ტუჩებისა და უელისათვის იგი მიუწვდომელია. ლაპარაკია თარგმნაზე და უკვე დროა ვახსენოთ რომელიმე ამომწურავი, უველაფრის ამხსნელი ტერმინი, მაგრამ მე ვერ ვერკვევი ლიტერატურათმცოდნეობაში. ვერ შევიწწავლე იგი, ხომ არ დავიწყო სიტყვი „თავგანწირვა“. თავგანწირვა ამ ხელობისათვის, ამ ენისათვის, ამ კაცისათვის — შენს მიერ თარგმნილი პოეტისათვის, რომელიც შენი ძმა უოფილა, ზუსტად ისეთივე, როგორიც შენა ხარ, — თუმცა უკეთესი, უფრო ძვირფასი და სულაც არ გენანება დაახარჯო მას შენი სიტყვა, სიცოცხლე და სული. აი ის გვერდით გიზის, საუბრობთ წვრილმანებზე, ეხიუვარულებით ერთმანეთს. მსგავსები, სამუდამოდ დაძმობილებულები. მაგრამ ის გადის პარმალიდან, შეაბიჭებს თოვაში, ღმერთო, დიდებულო, როგორ უძლებს ამ ზოვლის სიმძიმეს მისი სუსტი მხრები, მისი უბრალო პალტო, რომელიც სრულიად შედმეტია საქართველოში, სადაც ზამთრის ბაღებშიც კი იგბი ჭვე-



ვიან. განვიცდიათ კი თქვენ ის, რაც მე განვიცა-  
 დე: იგი უბრალოდ პარმადიდან ეშვებოდა. უკან  
 იყურებოდა. ხელს მიქნევდა, და აქ სხვა არაფე-  
 რი იგულისხმებოდა. ეს იყო ხიმონ ჩიქოვანი, მე  
 არ შემეძლო მის გარეშე გაძლება. თუმცა არც  
 ამის საშიშროება შემუქრებოდა. იგი უბრალოდ  
 ეშვებოდა პარმადიდან. მაგრამ მე დანამდვილე-  
 ბით ვიცი, რომ ველარასოდეს ვნახავდი მას.  
 იმ თოვის შემდეგ, რომელმაც ის წაიყვანა. დაი-  
 წყო ჩემი ცხოვრების სხვა ასაკი, რომელიც  
 უფრო მტკივნეულია, უფრო ხევდიანია. მაგრამ—  
 ახალგაზრდობაზე უმჯობესი. ეს ასაკი მოსახერ-  
 ხებელია თარგმნისათვის. სიმონ, სიმონ ივანეს  
 ძევ, ჩემო სიყვარულო, სიხარულო, გმადლობთ,  
 იმისათვის, რომ ჩემს არსებაში თქვენ ჩემზე  
 დიდი ადგილი დაიკავეთ. მე თქვენ გადმოგთარგ-  
 მნეთ. გადმოგახაზლეთ ჩემს არსებაში. გადმო-  
 გახაზლეთ კიდევ სხვა გარემოში. მომავალში,  
 რასაც უკვე ჩემი თოვაში გამგზავრებაც ველარ  
 შეუშლის ხელს. აი თქვენ ტერმინიც: პწკარედა.  
 ეს ასე იწოდება: ლექსი ცოცხლობდა, ზეიმო-  
 ბდა, ჩურჩულებდა თავის ერთადერთ მშობლი-  
 ურ ენაზე, და აი ის ძალდატანებით მოაკვდინეს.  
 განართხეს შენს მაგიდაზე — შიშველი, უსულო,  
 უსუსური: ის პწკარედა, შენ — მთარგმნელი:  
 ეხლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული: შე-  
 გიძლია მიაყენო მას დიდი ზიანი და გაუხანგრძ-  
 ლივო სიკვდილის დღეები. ანდა მინიჭო მეორე  
 ღირსეული სიცოცხლე. და თუ კი შენ ვერ მის-  
 ცემ მას ყველაფერს, რასაც ითხოვს: მუსიკას,  
 რომელიც ადასტურებს მისი სიყვარულის საგანს,  
 უფრო მეტ თავისუფლებას შენი ენისა, ვიდრე  
 თვითონ გაგაჩნია; თუ კი ვერ მისცემ. მაშინ შენ  
 მთარგმნელი კი არა. მძარცველი ხარ, მტაცებე-  
 ლი. გამჭურდავი კაცობრიობისა, რომელიც ერ-  
 თადერთი და სრულუფლებიანი პატრონია უოვე-  
 ლი მშვენიერი ლექსისა და მუსიკის. ხოლო რო-  
 გორ გააკეთებ უოველივე ამას. როგორ აიძულებ  
 პწკარედს — წამოცდეს თავდაპირველი უდე-  
 რადობის საიდუმლოება, როგორ შეათანხმებ  
 ერთმანეთთან ძვირფას შინაარსსა და ახალ  
 პანგს. — ეს მე არ ვიცი...

ტიციანის ცხოვრება ბრძოლებში\*

კაცმა, რომელმაც ლექსად დაწერა, რომ ის  
 კი არ თხზავს ლექსს. კი არ წერს ლექსს, არამედ  
 ლექსი თვითონ წერს მას. როგორც უოველთვის,  
 სიმართლე თქვა. ტიციან ტაბიძე მართლაც პოე-  
 ზის გამონაგონია, მისი შედეგია. ხრულიად  
 უნაკლო ყველა ღირსების გამაერთიანებელი. მას  
 ჩვენ ცხადად და მშვენივრად წარმოვიდგინო

თეთრ სივრცეში. წარმოვიდგინო მისი ნაკვთების  
 სილამაზეს. მის სიკეთეს, მის უტკობ მხაკს სა-  
 ლილეში და ვარდს ხაგეებზე, რომლებიც არა-  
 სოდეს განიხვებოდნენ ძაგების ან სიკეთელის  
 წარმოსათქმელად. ამ ადამიანს თითქონ სურს  
 გვაჩვენოს, თუ როგორი უნდა იყოს მისი მოგო-  
 რია კაცობრიობის პოეტი. სწავლა მისთვის უტ-  
 ლებას ერთმანეთს შევუთავსოთ გენია და ბო-  
 როტმოქმედება. გვარწმუნებს, რომ გენია დიდ-  
 სულოვნებაა, კეთილშობილებაა, სიკეთეა.

დღეს ბევრჯერ მოიხსენიეს ხორის პასტერნა-  
 კის ძვირფასი სახელი, და სული ისევ მას უბ-  
 რუნდება, რადგან ამ ორი ადამიანის შეხვედრა,  
 შესანიშნავებისა არა მართო იმიტომ, რომ ენა  
 რუსეთისა და ენა საქართველოსი ყველა სინაზი-  
 თა და სიძლიერით გაერთიანდნენ, არამედ იმი-  
 ტომაც, რომ მათი ცხოვრება, მათი საჭირო და  
 სახელოვანი მეგობრობა გვიტოვებს ხსოვნას  
 ადამიანებზე, ჩვენს ადამიანურ წარმომავლობა-  
 ზე, — დიან ეს შეხვედრა შესანიშნავი საბუთია,  
 რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანები მაინც  
 მშვენიერები არიან და არ უნდა დავადანაშაუ-  
 ლოთ ისინი სისასტიკეში. პირიქით. უნდა გავი-  
 ოცოთ მათი ვაჟკაცობა, ნებისყოფა და ერთმა-  
 ნეთის გადარჩენის უნარი.

ნინო ტაბიძისა და პასტერნაკის მიმოწერა მო-  
 მავალი თაობებისათვის დარჩება როგორც საბუ-  
 თი ადამიანური ზნეობისა და ადამიანის გონების  
 უდიდესი დამაბვისა. სამუაროს უფსკრულსა და  
 უფსკრულს შორის ორპირი ქარი მჭრის და ხან  
 ერთ ხანთელს აჭრებს, ხან მეორეს. ნატაშა პას-  
 ტერნაკ, ძვირფასო, აი ტიციანის შვილიშვილი.  
 აი ხორის პასტერნაკის შვილიშვილები, რომელ-  
 თა იღუმალებით მოცული მშვენიერი სახეებიც  
 გვირდებიან, რომ ეს სანთელი ჩაუქრობელია:  
 რომ მისი ნათება დიდხანს და დიდხანს იცამ-  
 ციმებს. იქნებ ზოგიერთი საბრალო და მწირი  
 ადამიანის ცხოვრებაში სიკვდილია ყველაზე არ-  
 სებითი მოვლენა. პოეტი სხვაა. იგი წამით გვაგ-  
 რძნობინებს უკანასკნელ ხანმოკლე ტკივილს,  
 და მერე განუწყვეტლივ აფხიზლებს ჩვენს გო-  
 ნებას, რათა გადაგვარჩინოს. ტიციანის სიცოცხ-  
 ლეს აგრძელებენ მისი შვილიშვილები. გამო-  
 ულეველი მიხაკები, კაცობრიობის უვავილნარები,  
 აგრძელებს ყველა ჩვენთაგანი. ვისაც სიკეთე  
 უუვარს, პოეზია უუვარს. ეს ორი სახლი კიდევ  
 ბევრს მოეაღერებდა; ტიციანის სახლში თბილი-  
 სში ერთხელ კიდევ ვნახავთ ფიროსმანის ნახა-  
 ტებს, პასტერნაკის ნაჩუქარ პიანინოს და პერე-  
 დელინოს სახლიც ყველა სულის სიმამაცეს დაგ-  
 ვავალდებულებს. წავიკითხავ ორ ლექსს. ერთს  
 ტიციან ტაბიძისას — „მეშ გამარჯვება“:

თუ ჩემი მშა ხარ, ერთიც მიმღერე  
 და დავუჩოქებ მიწას მუხლებით.

\* ტ. ტაბიძისადმი მიძღვნილ სალამოზე წარ-  
 მოთქმული სიტყვა ლიტერატორთა ცენტრალურ  
 სახლში: 29. X. 1976 წ.

— მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე, დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.

ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს, ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს, სანამდე უნდა, რომ მზედ ედინოს გაეარვარებულ ოქროს თაველებს!

სხვა რომ მოკვდება, მისთვის რა არი: წავა, გაჭრება, როგორც სიზმარი, მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს, რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს.

ნეტა, სადა აქვს ამ ზვირებს ბოლო, ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი, სჯობს აღარ გჭონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი!

— სხვა საქართველო მაინც სად არი? რომელი კუთხე, რომელ ქვეყნისა? ვის თუთქავს ასე ცეცხლის ღადარი, ქვეყნად სამოთხე სხვას ვის ელირსა?

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა, და საქართველოს მედგას უღელი;

— მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე, დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი...

და მეორეს ჩემსას:

Сны о Грузии — вот радости!  
И под утро так чиста  
виноградная сладость,  
осенившая уста.

Ни о чем я не жалею,  
ничего я не хочу —  
в золотом Свети-Цховели  
ставлю бедную свечу.

Малым камушкам во Мцхета  
воздаю хвалу и честь.  
Господи, пусть будет это  
вечно так, как ныне есть.

Пусть всегда мне будет в новость  
и колдует надо мной  
милой родины суровость,  
нежность родины чужой.

Что же, дважды будем живы —  
двух невероятных стран  
речь и речь нерасторжимы,  
как Борис и Тициан.

ერთხელ დავამბოროში

... დიახ, დეკემბერში, დეკემბრის სითბოში, დეკემბრის ცხელ დღეს რამდენიმე კაცი მაგიდას

ვუსხედით და ერთმანეთს ტკბილად ვესაუბრებოდით. ერთმა მათგანმა თვალბეჭე ხელი აიფარა და გავიდა. იგი ცრემლებს მალავდა. მაგრამ ცრემლებს შორის, რომლისაც რაც ვენოდა, დაინახა საუცხოო ნათელი დღე, ცისა და მიწის მშვენიერება, ძაღლთან მუთაჩაზე ბავშვები, მოკლედ, ატირდა ადამიანი, რაზედმეც ვერ ვცოდნობოდა, რითი მომხატვროდა ადამიანებსა და ბუნებას მათი სიკეთისა და სილამაზისათვის.

ალბათ იკითხავთ: ნუთუ ხდება ასე. — თბილი დეკემბერი, მოულოდნელად ამწვანებული მიწა, მხოლოდ კეთილი ადამიანები და მხოლოდ ძაღლთან მოთამაშე ბავშვები? დიახ, ასეც ხდება. ის პიროვნება კი მე გახლდით და იმ დეკემბრის დღის უველა დამსწრემ იცოდა, რომ უველაფერი ეს სრული ხიმართლე იყო. ალბათ იკითხავთ: იქნებ ეს საქართველოში მოხდა? იქ იცის თბილი დეკემბერი და იქ მიმართავენ ერთმანეთს კეთილი და გრძელი სიტყვებით, რომელსაც სადღეგრძელოს ეძახიან. დიახ, იქ მოხდა უველაფერი ეს. და აი რა მაუწყა ჩემმა მეგობარმა კოლეგამ:

— ნამდვილი სადღეგრძელო — ეს არის სულის დაკვირვებით დადასტურებული სიტყვები იმ ადამიანის სიკეთეზე, რომელზედაც ფიქრობ და ლაპარაკობ. ესაა შენი მგზნებარე ხიტყვა სხვის სასარგებლოდ, სხვების სასარგებლოდ. მჭერა უველაფრის ამის. მინდა, რომ კაცმა ბავშვები მხოლოდ კეთილი სიტყვის წარმოსათქმელად გახსნას, თუ კი მას ღამე არ სძინავს და მკრთალ ქერს შესცქერის, მხოლოდ იმიტომ რომ, თავი მოუყაროს სასხვისო კეთილ აზრებს. გრძნულებასავით ძლიერ აზრებს, რომლებიც აუცილებლად დაიცავენ ვიდაცის სიცოცხლეს. ხოლო ამისათვის უველაფერი ხდება: სტუმრად მოდის ნაძვის ხე, ბავშვები იქანცებიან სასწაულის მოლოდინში და არ იციან, რომ სასწაული უკვე მოსულია. ნაძვის ხეს ქერ კარი არ შემოუღია, მაგრამ უკვე სალამს უგზავნის მათ.

აღიხა ისევ და ისევ სასწაულების ქვეყანაშია, ისევე, როგორც თქვენსა და ჩემს ბავშვობაში იყო. „აღიხა სასწაულების ქვეყანაში“ — აი კიდევ ერთი საჩუქარი. ფირმა „მელოდიას“ მიერ საახალწლოდ გამოშვებული ფირფიტა ახალ საოცრებად მომევიღინა და თითქოს შორეული ბავშვობა განმიახლდა. ისევ ძველი ზღაპრის მომხიბლავ ტალღებში ჩავიძირე, ამაში დამეხმარა სიმღერების ტექსტისა და მელოდიის ავტორი ვლადიმერ ვისოცკი.

მიმაჩნია, რომ ახალი წელი უველაზე შესაფერიხი დროა იმისათვის, რომ ადამიანებმა ერთმანეთი დაახაჩუქრონ, ერთმანეთს მოესიუვარულონ და ბედნიერება უსურვონ.



მუგო ფონ მოფმანსტალის „ლორდ ჩანდოსის წერილი ფრენსის ბეკონისადმი“ ფრენსის ბეკონისადმი

მუგო ფონ მოფმანსტალის 1602 წელს შექმნილი ნაწარმოები „ლორდ ჩანდოსის წერილი ფრენსის ბეკონისადმი“ წერილის ფორმით შესრულებულ ეხსენს წარმოადგენს. რომელშიც ცნობილი ავსტრიელი მწერალი აყალიბებს თავის დამოკიდებულებას თანამედროვე პოეტიკის მიმართ. ნაწარმოები გამსჭვალულია იმ სულისკვეთებით, რომელსაც მოეცვა საუკუნეების გახაჯარის დასავლეთ ევროპა და რომელმაც შექმნა მოდერნის ლიტერატურის მსოფლმხედველობა. ამდენად მოფმანსტალის „წერილი“ საინტერესოა შკითხველისათვის, როგორც XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ავსტრიის ლიტერატურული ინტერესებისა და ესთეტიური იდეალის გამოხატველი საბუთი.

წერილის ფიქტიურ ადრესატად ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსის და სახელმწიფო მოღვაწის ფრენსის ბეკონის არჩევა შემთხვევითი არ არის. ფრენსის ბეკონი ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია, უპირველეს უკვლისა, როგორც 1620 წელს დაწერილი „ახალი ორგანონის“ („Novum Organum“) ავტორი, რომელშიც იგი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, უპირისპირდება არისტოტელეს „ორგანონს“. ბეკონის აზრით, სქოლარულ-არისტოტელური მოძღვრების ძირითადი ნაკლია ლოგიციზმი და ფორმალიზმი. ამიტომ მოითხოვს იგი მეცნიერების განახლებას ადამიანის მიერ ბუნებაზე ბატონობის გაძლიერების გზით. ბეკონს ახლებურად ეხმის ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება, მისი აზრით, ადამიანმა რაციონალურად უნდა გამოიყენოს ბუნება, ადამიანის კვლევის საგანი მართკ „გონისმიერი სამყარო“ (Welt des Geistes) კი არ უნდა იყოს. არამედ იგი უნდა იკვლევდეს „ბუნების სამყაროს“ (Welt der Natur), რეალურ საგნებს. მხოლოდ მათზე დაკვირვებითა და მათი შესწავლით და აგრეთვე გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება შეიქმნას ცნებათა სისტემა. ბეკონი „ახალ ორგანონში“ აყალიბებს თავის თეორიას ცთომილებების ანუ იდელების შესახებ, რომლებიც

საფრთხეს უქმნიან ადამიანის ცნობიერებას. მათ მიერ სამყაროს აღქმას. ერთ-ერთ ასეთ ცთომილებად ბეკონი ასახელებს ენის არასრულყოფილებას და არასიზუსტეს, მის უუნარობას, ზუსტად ასახოს სამყარო. ბეკონის მიზანია შეიმუშავოს მეთოდი, რომელიც მეცნიერს საშუალებას მისცემს რაციონალურად გადაამუშავოს ცდით მიღებული ფაქტები. ბეკონი მოთხოვნას უყენებს ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს, რომ მათ თავად საგნები უნდა შეისწავლონ და არა მათ საფუძველზე შექმნილი ცნებებისა და პრინციპების კონსტრუქციები.

მოფმანსტალის „წერილის“ ფიქტიური ავტორი — ლორდი ჩანდოსი გამოგონილი პიროვნებაა, მაგრამ მკვლევართა ერთი ნაწილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ იგი უნდა იყოს ბეკონის ეპოქის ახალგაზრდა მწერლის ფილიპ სიდნის პროტოტიპი (ლორდ ჩანდოსის სახელიც ფილიპია), რომელიც ავტორია 1588 წელს შექმნილი ეხსეების კრებულისა „An Apology for Poetry“.

მოფმანსტალის მიერ წერილის ადრესატად ბეკონის არჩევა გვაფიქრებინებს, რომ იგი საერთოს ხედავდა თავის პოეტიკასა და ბეკონის ფილოსოფიას შორის. ყველაზე თვალშისაცემი საბუთი ამისა არის სწორედ ის ნომინალისტური ენობრივი სკეპსისი, რომელიც ერთის მხრივ ბეკონის „ახალ ორგანონში“ ცნებათა სისტემის კრიტიკის ამოსავალ წერტილადაა ქცეული, მეორეს მხრივ კი ამოტივტივდება ჩანდოსის წერილში, როგორც პიროვნების შინაგანი ერთიანობის დარღვევის უპირველესი გარეგანი სიმპტომი...

მთავარი იდეა მოფმანსტალის „წერილისა“ ის არის, რომ კრიზისი, რომელიც თავიდან გამოვლინდა ლიტერატურაში წამიერი შთაბეჭდილებების იმპრესიონისტულად გამოხატვაში, შემდეგ გადაიზარდა სწორედ ენობრივი გამოხატვის კრიზისში, რადგანაც სიტყვებს აღარ გააჩნდათ მყარი, მუდმივი მნიშვნელობა, რადგან მათ უკან აღარ იდგა არაფერი მყარი, მუდმივი. „მე საერთოდ დავკარგე გადაბმული ფიქრისა და

ლაპარაკის უნარი... განუენებული სიტყვები... დამძალი სოკოებივით იქსაქსებთან ჩემს ბაგეზე... უველაფერი ნაწილებად დამეშალა, ის ნაწილები კიდევ ნაწილებად იშლება და უველაფერი ამოსხლეტილია ცნების მომცველი გარსიდან. განზოგადებული სიტყვები დაცურადდნენ ჩემს ირგვლივ, თვალბად იქცეოდნენ, ისინი ჩემზე არიან მოჩერებულნი და მეც მაიძულებენ მათ მივაჩერდე. ისინი მორევივით არიან, მათში უურებისაგან თავბრუ მეხვევა... ენა, რომელზედაც მევალდებულეა არა მარტო წერა, არამედ ფიქრიც... ენა, რომლის არცერთი სიტყვა არ ვიცო, ენა, რომლითაც მომმართავენ მუნჯი საგნები".<sup>1</sup>

კომპოზიციურად წერილი ხამი პირობითი ნაწილისაგან შედგება. მისი შუა ნაწილი გამოხატავს ავტორის სულიერ კრიზისს, ხოლო დასაწყისი და დასასრული შესაბამისად კრიზისის წინამორბედ და შემდგომ მდგომარეობას და ამდენად ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო იდეების მატარებელნი არიან. პირველ ნაწილში ხორციელდება XIX საუკუნის რომანტიკული იდეალისტური მთლიანობის მსხვრევა, ხოლო დასასრულში ავტორი აფიქსირებს ახალ პრობლემებს, რომელთა დაძლევა თანამედროვე მწერლობის მიზანს წარმოადგენს.

„წერილში“ თანამედროვე მწერლობის პრობლემები დაუვანილია ცნებითი აზროვნების (Begriffliche Denkweise) გაქრობამდე, როდესაც ობიექტური რეალობის მთლიანობაში აღქმა შეუძლებელი ხდება, იგი ელემენტებად იშლება და მისი აღქმა მხოლოდ ნაწილ-ნაწილ ხდება შესაძლებელი. ჩანდოსი ცდილობს კარგად დააკვირდეს საგნებს, რაც შეიძლება მიუახლოვდეს მათ, რათა უკეთ გაიგოს მათი არსი, მაგრამ არაფერი გამოხდის, უველაფერი ხელიდან უსხლტება, იგი ცდილობს შეიგრძნოს მათი საგნობრიობა, იქნება ეს სარწყავი, მცნდორში მიტოვებული ფარცხი, ძალი მზეში, უბადრუკი სასაფლაო, ხეიბარი, პატარა გლეხური სახლი თუ სხვა, უველა ამ საგანმა, რომელთაც ჩვეულებრივ ადამიანი დიდ უურადლებას არ უთმობს, შეიძლება მისთვის უცებ „შეიძინოს ამაღლებული და ამაღელვებელი ელფერი, რომელთა გამოსახატავად უველა სიტყვა მეტისმეტად დარბილული მეჩვენება".<sup>2</sup>

იმ მთლიანობას, რომლის შექმნაც მხოლოდ აბსტრაქტირებითაა შესაძლებელი, ჰოფმანსტალთან ენაცვლება ერთმანეთთან დაუკავშირებელი საგნების ერთიანობა. გენერალური, გლობალური სფეროების დაშლა არღვევს მუდმივობის,

სამუაროს უცვლელობის შეგრძნებასაც, რადგან მერყეობის სტაბილიზება მხოლოდ ცნებების და მათი სიტყვიერი შესატყვისების საშუალებით შეიძლება. დროის პრობლემა ჰოფმანსტალთან ისევე დგას, როგორც ცნებითი იმპრესიონისტების მსოფლმხედველობაში, ეს უკანასკნელნი თავიანთ თავს უსიროსპირებდნენ უსაგნო, უაზრო სამუაროს, რომელშიც ასევე დაკარგული იყო საგანთა შორის კავშირი. ასევე დანაწევრებული იყო სინამდვილე, გარდა ამისა, ამ სამუაროსაც დაკარგული მქონდა აბსოლუტურობის, მთლიანობის შეგრძნება და მხოლოდ წარმავალ დროსდა ემორჩილებოდა. ადამიანის „მე“ სხვა აღარაფერია, თუ არა წამიერი შთაბეჭდილებების ნაქრები, გრძნობათა კომპლექსი. მას აღარ შესწევს უნარი გაიხედოს ამ წამს იქით, რადგან იგი მხოლოდ წამში ცხოვრობს, ამის გამოა, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება სინამდვილის სიტყვებით ვადმოცემა, რადგან ნამდვილი, მარადიული და მშვენიერიც, ღვთაებრივიც ჩანდოსისათვის აბსოლუტურის შესატყვისებია. ადამიანს მხოლოდ საკუთარი თავის ვაგებალა შეუძლია, და საკუთარ თავშიც მხოლოდ იმას შეიცნობს, რაც იმ წუთას ხდება, როგორც კი იგი ჩაივლის, მისთვისაც უცხო ხდება გარდასული მომენტი, ჩანდოსისთვის ამ წამის გამოსახატავად არებობს მხოლოდ უტოპიური ენა, რომელსაც შეუძლია ცალკეული საგნების, ცალკეული მომენტების დასახელება, მაგრამ აღარ შესწევს ძალა დააფიქსიროს მუარი, აბსტრაქტირებული ცნებები. ასეთი ენა „არც ლათინური, არც ინგლისური, არც იტალიური თუ ესპანური, არამედ ესაა ენა, რომლის არცერთი სიტყვა არ ვიცო, ენა, რომლითაც მუნჯი საგნები მელაპარაკებთან და რომლითაც აღბათ ოდესმე საფლავში რომელიმე უცნობი მხაჭულის წინაშე მახუხს ვაგებ".<sup>3</sup>

ენობრივი სკეპტიციზმის პრობლემა ჰოფმანსტალის აღმოჩენილი არ არის, გარდა იმისა, რომ ამ იდეითაა გამსჭვალული ბეკონის მსმწლით აღრე შექმნილი „ახალი ორგანონი“. იგი მოგვიანებითაც პოულობს ასახვას მთელ ევროპულ ფილოსოფიაში. ამ პრობლემას უკავშირდება ფრიდრიხ ნიცშეს შენიშვნა მის „სიმართლესა და სიცრუეში“, სადაც იგი ამბობს, რომ ენას არ შეუძლია რეალობის ადექვატურად გამოხატვა, რადგან იგი ცნებების უნივერსალურ სიბრტყეებზე მოძრაობს.

ენობრივი სკეპტიციზმი, ენის „დაკარგვა“ ჩანდოსში იწვევს კონტაქტის დაკარგვას გარე სამუაროსთან, სხვა ადამიანებთან, რადგანაც ენა ვედარ ასრულებს თავის უპირველეს, კომუნიკაციურ ფუნქციას, დააკავშიროს ერთმანეთთან ადამიანები. ენობრივი დამოკიდებულების რე-

1. Hugo von Hofmannsthal: Der Brief das Lord Chandos an Francis Bacon. in: HvH: Prosa II. Frankfurt a. M. S. 13.  
 2 იქვე, 83-14.  
 3 იქვე, 83-20.

ლატივირება იწვევს იმ საზოგადოებრივი ურთი-  
ერთობების რელატივირებასაც, რომელსაც ის  
გამოხატავდა. „მე ვცხოვრობ თითქმის დაუჭე-  
რებელი სიცარიელით აღსავსე ცხოვრებით და  
მიჭირს ჩემი შინაგანი გაქვავების, ჩემი ცოლი-  
სა და ახლობლების მიმართ გულგრილობის და-  
მალვა“<sup>4</sup> — წერს ჩანდოსი და ამ სიტყვებით  
ამჟღავნებს გულგრილობას უველაფრისადმი,  
რაც მის „მეს“ არ ეხება, მათ შორის გულგრი-  
ლობას ყოველივე საზოგადოებრივისადმი, პო-  
ლიტიკისადმი, ეს ის განწყობაა, რომელიც ახა-  
სიათებდა იმპრესიონისტულ მსოფლმხედველო-  
ბას.

ჩვენ ვახსენეთ წერილის სამნაწილიანი აგე-  
ბულება. ჩანდოსის კრიზისი, რაც უკვე ცნებად  
იქცა ლიტერატურის თეორიაში, თავისი ერთი  
შეხედვით უარყოფითი ელერადობის მიუხედა-  
ვად, „წერილში“ გააზრებულია როგორც დადებ-  
ითი, სახარგებლო ფაქტი, რადგან იგი კრიზისის  
გადალახვით მთავრდება. ჩანდოსის კრიზისი  
ობიექტისა და სუბიექტის დამოკიდებულების  
კრიზისია და მისი ერთ-ერთი, უველაზე დამახა-

სიათებელი სიმპტომა ენის დაკარგვა გარდა-  
ამისა. ავტორის წინაშე მთელი სამწევრიტ დებას  
გადაბმული აზროვნების უუნარობისა და დროის  
წარმავლობის პრობლემა, რომელიც აწინავედ-  
რაც მასში ბადებს ნიჰილიზმის „სუბიექტურ“  
ინდივიდის იზოლირების, ფასეულობათა დევალ-  
ვაციის გრძობებს. უველაფერი ეს საერთოდ  
შეტნაკლებად დამახასიათებელია XIX საუკუნის  
დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ევ-  
როპული ზელოვნებისათვის და კერძოდ ავსტ-  
რიელი იმპრესიონისტების ლიტერატურული და-  
ჭვუფებისათვის. რომლის ერთ-ერთი წარმომად-  
გენელი ახალგაზრდა პუგო ფონ პოფმანსტალიც  
იყო.

„ლორდ ჩანდოსის წერილი ფრენსის ბეკონი-  
სადმი“ არა მარტო ესხება მწერლობის დანიშნუ-  
ლების, შესაძლებლობებისა და საზღვრების შე-  
სახებ, არამედ თავად არის მხატვრული ნაწარ-  
მოები, რომელიც თავისი აგებულებით ებმიანუ-  
ბა გოეთეს წერილების ფორმით დაწერილ რო-  
მანს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ და ამგ-  
ვარად წინასწარვე ეცხადებს ახალგაზრდობის  
სულიერი კრიზისის გამოხატვის სურვილს.

4 იქვე. გვ. 17.





გიორგი გვაზავა და ფრანგი ტრაგიკოსების „ქართული“ ტრაგედიები

ქართული მთარგმნელობითი სკოლის ტრადიციები ბიბლიისა და სახარების მთარგმანებიდან მოყოლებული თანდათანობით იხვეწებოდა და უაღიბდებოდა ეროვნულ საუნჯედ, რომელიც დღესაც მშობლიური ლიტერატურის განვითარებას ხმარდება. როგორც აღნიშნავს ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და მხატვრული მთარგმანის თეორეტიკოსი ა. ფედოროვი, მთარგმანი სხვა სამუაროში გასახედი ფანჯარაა. უფანჯრო სახლი აღარ არის სახლი, ასევე ვერ იარსებებს ორიგინალური ლიტერატურა „უფანჯრობოდ“ — მთარგმანების გარეშე. მით უფრო, რომ მხატვრული ლიტერატურა ხალხების ურთიერთგაცნობის საუკეთესო საშუალებაა.

ქართველი კაცის თვალსაწიერის გაფართოების საქმეში სხვა მთარგმნელებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი ბუქიანის ძე გვაზავამ, იგი დაიბადა 1889 წლის 23 აპრილს ცხაკაის რაიონის სოფ. ნოქალაქევში, უმაღლესი იურიდიული განათლება პარიზში მიიღო, სამშობლოში დაბრუნებულმა კარგი ადვოკატის სახელი მოიხვეჭა, მაგრამ მისი ქეშმარიტი მოწოდება პოეზია და პუბლიცისტიკა იყო.

ბ. გვაზავამ 1905 წელს შექმნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. 1907 წელს გამოცა „გრუზინსკაია მიხლის“ პირველი ნომერი, მიმართული მეფის თვითმპყრობეღური რეჟიმის წინააღმდეგ. გაზეთი აშუქებდა საქართველოს ავტონომიის საკითხს, რისთვისაც დაუცხრომლად იბრძოდა თვით დიდი ილია. ამასთან დაკავშირებით გვაზავა დააპატიმრეს ერთი წლით. ციხეში უოფნისას მან ბერძნულიდან მთარგმნა სოფოკლეს „ანტიგონე“. რომელიც 1912 წელს დაისტამბა. ამავე წელს ბ. გვაზავა დაქორწინდა ნინო ჩერქეზიშვილზე. ეს გვარი მე-18 საუკუნიდან მანავის ციხე-სიმაგრის დამც-

ველთა შორის იხსენიება, გვაზავების გვარმა კი მე-10 — მე-12 საუკუნეებში საქართველოს მისცა სახელგანთქმული ხელოვანები. მათ შორის ოქრომკედლები. ამჟამად ტრადიციას აგრძელებს პოეტის ვაჟი — შესანიშნავი მხატვარი, მოქანდაკე და ხელოვნებათმცოდნე ქაბლეთ გვაზავა. იგი პარიზში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გიორგი გვაზავას ლირიკული ლექსები და პოემები იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „კვალში“, „ივერიაში“, „განთიადში“, „თემში“, და „ეროობაში“; ცალკე წიგნებად დაიბეჭდა პოემები: „ლილო“ (1895 წ.), „ბატონიშვილი ლევანი“ (1896 წ.), „ჭაბა ჭიანი“ (1897 წ.), „შაღვა ოდიშელია“ (1905 წ.), ლექსთა კრებულები: „ლანდი“ (1904 წ.) და „ჩემი ლექსები“ (1989 წ.).

ლირიკულ ლექსებში პოეტი გვიზიარებს თავის გულისტკივილს და სიხარულს, მისი ფიქრი ძირითადად საქართველოს ეროვნულ-სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებას დასტურიალებს, ვერ შეგუებია იმას, რომ თანასწორობისა და / თავისუფლების დემოკრატიული იდეები გაჭირვებით იკაფავს გზას ხალხში ლექსებში მელანქოლიას ოპტიმისტური განწყობილება ცვლის. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მოქალაქეობრივი პათოსით აღღერებული ლირიკა, რომელშიც თანამემამულეთა მანკიერი თვისებებია მხილებული ერის გამოფხიზლების / მიზნით.

იგივე სოციალური და ეროვნული მოტივებია ხორცშესხმული ბ. გვაზავას პოემებში, წარმოჩენილია ორი საუკუნის მიჯნაზე (მე-18 და მე-20 საუკუნეები) მოღვაწე მოწინავე ქართველი ინტელიგენციის სახე და მის წინაშე მდგარი პრობლემები.

ღროის მოთხოვნას ეხმაურება აგრეთვე პოეტის მანვილი, სამშობლოს ბედზე ფიქრობ-

დატვირთული პუბლიცისტური სტატიები და ნარკვევები.

გ. გვაზავას პიროვნების, მისი შემოქმედების სტილისა და მუშაობის ხასიათის შესახებ ნათელ წარმოდგენას ქმნის ფრანგი გრაფოლოგის, რემონ ტრიას საფუძვლიანი ნარკვევი სათაურით „ბატონ ერეკლე გვაზავას სტილი“. იგი გამოქვეყნდა ფრანგული გაზეთის „ეტაუდის“ ფურცლებზე 1964 წელს.

„გიორგი გვაზავას ნათელი, მტკიცე, გაბედული, მყარი და თანმიმდევრული სტილი, — აღნიშნავს რემონ ტრიას, — ბრძოლის ხასიათს ატარებს. ბრძოლისა, რომელიც გრძელდება მიუხედავად დიდი დაღლილობის შესამჩნევი კვალისა. მისი ნებისყოფა ამოუწურავია და განმტკიცებული კრტიკული გრძნობით, რაც მონდომებას აძლიერებს და აზანგარდნივებს.“

იგი შეტად მომთბოვნია და ვერ ეგუება რაიმე დაბრკოლებას. მუშაობისას ისე შედმიწევნით იცავს სიწესტეს, რომ მიზნის მისაღწევად არ ზოგავს არც დროს და არც საკუთარ თავს.

გვაზავა არ არის შემგუებელი ხასიათის, ეს არის მონოლითური პიროვნება, ვისთვისაც წარმოუდგენელია უმცირესი გაორება ან ცვალებადობა, როგორც აზროვნებაში, ისე მოქმედებაში. ამასთანავე ის არის ერთიანობილი ადამიანი და ისეთი ალტრუისტი, რომ ხშირად გვანკვიფრებს მოულოდნელი საქციელით.

ეს არის პატიოსანი, გულწრფელი ბუნების კაცი, რომელიც ბოლომდე ამბობს სათქმელს, არაფერს მალავს...

მისი მეცნიერულ უაიდაზე ჩამოყალიბებული აზროვნება მტკიცედ ემყარება ლოგიკას, მაგრამ ნააზრევში მაინც ჩაბნის ინტუიციური კონტროლი. შესანიშნავი მეხსიერება აქვს ორიენტირებზე დაურდობის წყალობით.

დასკვნა: გიორგი გვაზავა ხასიათით ქედმაღალი, შეუპოვარი, მომთბოვნე და მკაცრია, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყოს მისი გამონათქვამის გულწრფელობაში, მთელი მისი პიროვნების ღრმად პატიოსნებაში“.

1921 წლიდან გ. გვაზავა ცხოვრობდა პარიზში, იქვე აქვეყნებდა სტატიებსა და თარგმანებს ქართული ლიტერატურის საკითხებზე. გარდაიცვალა 1941 წლის 20 იანვარს.

ქართული ლიტერატურის ინტერესებს, ერის წინაშე დასახულ საქირბოროტო პრობლემებს უკავშირდება გ. გვაზავას, როგორც მთარგმნელის მოღვაწეობა, იგი საფუძვლიანად ფლობდა ბერძნულ, ლათინურ და ფრანგულ ენებს. სათარგმნელად ირჩევდა თავისთავად მნიშვნელოვან და ამასთანავე ქართველი საზოგადოებისათვის სასარგებლო ნაწარმოებებს.

გიორგი გვაზავამ თარგმნა დიდი ფრანგი ლი-

რიკონისა და სატირიკონის, რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის წარმომადგენლის პიერ უან დე ბერანტეს ორმოცი ლექსი, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული, გაბატონებული კლასების დაუნდობლად მებრძობელი და ამავე დროს სამშობლოს უმტყუარე ქაბთბარი ეს ლექსები სავსეა „ქართული“ ეროვნულ-სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხის სულისკვეთებას. გვაზავასეულ თარგმანებში ძირითადად შენარჩუნებულია დედნის იდეურ-მხატვრული თავისებურებანი (გიორგი გვაზავა, „ბერანტე ქართულად“, თარგმანი, ტფილისი, სტამბა „ცნობის ფურცლისა“, სათავადაზნაურს ქარვახლა, 1899 წ., 128 გვ.).

სოფოკლეს „ანტიგონეს“ მაღალწნეობრივი იდეები, ერთი შეხედვით, სუბტი, მაგრამ გმირული სულის მქონე გოგონას პროტესტი ძალმომრეობის წინააღმდეგ გულგრილად არავის ტოვებს. მთარგმნელს კარგად შეურჩევია ეს ტრაგედია თანამემამულეთა გასამხნეებლად, მათში თავისუფლებისთვის ბრძოლის სურვილის გასაღვიძებლად (სოფოკლე „ანტიგონე“, თარგმანი ლექსად ძველი ბერძნულიდან გიორგი გვაზავასი, თბილისი, სტამბა „სორაპანი“, 1912 წ., 86 გვ.).

ესქილეს „მიჩაქვულმა პრომეთემ“ პოეტის უურადადება მიიპყრო იმით, რომ პრომეთე და ქართველი ერის საუკეთესო თვისებების გამომხატველი გმირი ამირანი მარადიული ორეულები არიან (გ. გვაზავა, „მიჩაქვული პრომეთე“ ესხილისა, დ. ხელაძის გამოცემა, პარიზი, 1985 წ., 58 გვ.).

„მიჩაქვული პრომეთე“ და „ანტიგონე“ ბერძნული ორიგინალებიდანაა თარგმნილი და ქართულად სახიამოვნოდ იკითხება.

პროსპერ ეოლიო დე კრებიონის „რადამისტისა და ზენობიას“ და უან რასინის „მითრიდატეს“ გვაზავას მიერ შესრულებული თარგმანები საქართველოს გმირული წარსულის მნიშვნელოვან პერიოდს აცოცხლებს (ეოლიო დე კრებიონი, „ფარსმან მეფე ივერიისა“, თარგმანი, პარიზი, 1929 წ., 68 გვ; გიორგი გვაზავა, „მითრიდატი“ რასინისა, პარიზი, 1934 წ.).

გ. გვაზავამ დაგვიტოვა აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ საინტერესო ფრანგული თარგმანი პროზად, რომელიც მოიწონეს როგორც ჩვენში, ასევე საფრანგეთში. ლექსის პროზად გად-

1 იხ. ნ. იორდანიშვილი, ვეფხისტყაოსნის გ. გვაზავასეული ფრანგული პროზაული თარგმანი. — კრებული: ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბილისი, მეცნიერება, 1986, გვ. 41-74.

მოცემისას პოეტი ეყრდნობოდა ძველი ფრანგული ლიტერატურიდან მომდინარე ტრადიციას. ეს თარგმანი ორჯერ გამოიცა — 1937 და 1988 წლებში.

ამგვარად ქართული ლიტერატურათმცოდნეობაში პირველად განვიხილავთ „რადამისტისა და ზენობიას“ და „მითრიდატეს“ გვაწავასეული თარგმანების ავტორიანობას. (ამ საკითხს ძალიან მოკლედ შეეხო ნ. იორდანიშვილი ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ნაშრომში.).

ყოლიო დე კრევიონის — კრევიონ უფროსად წოდებულის შემოქმედება კლასიციკური ტრაგედიის დაცემის პერიოდს მიეკუთვნება. მის პიესებში თავი იჩინა მელოდრამატიზმმა. გარეგნული ეფექტებით გატაცებამ. ამით დაზარალდა ტრაგედიის შინაგანი ლოგიკურ-ფსიქოლოგიური მხარე. პერსონაჟების ხასიათების განვითარების ნაცვლად კრევიონი ურადლებას ამახვილებს ფაბულის მიმზიდველობაზე და მეტისმეტად შემაძრწუნებელ სცენებზე. ტრაგედიაში „იდომენე“ ერთმანეთს სოცავს ერთ ქალზე შეუვარებული მამა და შვილი. საკუთარ ვაჟზე შეუვარებული დედოფალი პიესაში „სემირამის“ კლავს მეუღლეს. ბიძა კლავს ძმისწულს და შემდეგ მის სისხლს ასმევს მოკლულის მამას ანუ საკუთარ ძმას ტრაგედიაში „ატრე და ტიესტი“. ავტორი ამჟღავნებს იმით, რომ ამ სცენის მაყურებელ არისტოკრატ ქალებს გული მისდიოდათ დარბაზში. იგი ამბობდა: „კორნელია დაიპყრო ზეცა, რასინმა — დედამიწა. დარბაზი მხოლოდ ჯოჯობეთი და მეც ანგარიშშიუცემლად გადავეშვი შიგ.“

ზემოთ აღნიშნული ნაკლი არ შეიძლება მიეწეროს კრევიონის მთელ შემოქმედებას. საუურადღებოა მისი დადებითი მხარეები: მოქმედი გმირების ერთი ნაწილი მხატვრულ სიმართლეს ასახიერებს. ხასიათდება ჩამოყალიბებული პიროვნული თვისებებით. დაბვეწილია ლექსის ფორმა და ენა. ამით კრევიონი გამოიჩინა მრავალრიცხოვან მიმდევართა შორის. 1731 წელს იგი აირჩიეს საფრანგეთის აკადემიის წევრად.

ლუი მეოთხემეტის მეფობის უკანასკნელი 36 წლის მანძილზე პარიზის მონოპოლიურ დრამატულ თეატრში „კომედი ფრანსეზში“ ასამდე ტრაგედია დაიდგა, თითოეული სულ რამდენჯერმე იქნა წარმოდგენილი. მათ შორის მხოლოდ კრევიონ უფროსის 3—8 ტრაგედია დამკვიდრდა რეპერტუარში. ერთ-ერთი მათგანი იყო „რადამისტისა და ზენობია“, რომელიც 1711 წელს დაიდგა დიდი წარმატებით. გიორგი

გვაწავას ცნობით, პიესა 116 წლის მანძილზე არ ჩამოსულა სცენიდან, მოუხიბლავს თვით ეოლტერი, სულხან-საბა ორბელიანის პარიზში ეოფნის დროს ფრანგი მაყურებელი კვლავ დიდ ინტერესს იჩენდა ამ ტრაგედიისადმი.!

კრევიონის შედევრად, [მონწილე] ტრაგედია „რადამისტი და ზენობია“ [ქართული] ლიტერატურაში ქართული თემატიკის ხორცშესხმის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშს წარმოადგენს. მასში ასახულია იბერიის მეფის ფარსმან პირველის და მისი ოჯახის თავგადასხვალი, პირველი საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. პიესა გამოირჩევა თემის ლოგიკური განვითარებით, ისტორიულ მოვლენათა არსის შემეცნებით, კომპოზიციური მთლიანობითა და მოქმედ გმირთა ხასიათების ფსიქოლოგიური წვდომით. ფრანგმა დრამატურგმა იბერიის სამეფო კარის ცხოვრების ჩვენებით ლუი მეოთხემეტის წინაშე ბოტბა შეასხა მეფის შეუზღუდველ უფლებებს, მისი პიროვნების სიდიადეს, ბრძოლას ქვეყნის ერთიანობისა და საზღვრების გაფართოებისათვის, ქალისადმი სიყვარულს. ამასთანავე თვალსაჩინო გახდა ტანტის მოცილეობის სავალალო შედეგები და მეფის შეცდომებიც.

ტრაგედია გვაცნობს რომის იმპერიის ეპოქის საერთაშორისო სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას და იბერიის სამეფოს ადგილს იმდროინდელ სამყაროში. ნაჩვენებია რომის დამპყრობლური პოლიტიკა, რომელიც პატონობის სფეროების მოსაპოვებლად არაფერს ერიდება: არც ძალმომრეობას, არც მამისა და შვილების, არც სამეფოების წაკიდებას, არც მოჩვენებით ტკბილ სიტყვასა და „მეგობრულ“ დამოკიდებულებას.

კრევიონ უფროსი მისდევს სამი ერთიანობის დოგმატურ კლასიციკურ კანონს. პიესაში დაცულია დროის ერთიანობა: ამბავი იწყება დილით და მთავრდება დაღამებისას; ადგილის ერთიანობაც არ არის დარღვეული: მოქმედების სარბიელია იბერიის დედაქალაქი არტანისი და, კერძოდ, ფარსმან მეფის სასახლის ფარგლები; დაცულია აგრეთვე მოქმედების ერთიანობა: ერთი მოვლენით — ფარსმანისა და რადამისტის კონფლიქტით არის შექრული სიუჟეტის მთლიანობა.

1 ი. ტაბაღუა, სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში, „მატენე“, 1965 წლის № 3.

2 Oeuvres complètes de Crebillon nouvelle édition, tome second, à Paris chez les Libraires Associés, 1785, p. 7-84.

1 გ. გვაწავას მოქმედ მართა სახელებს ხმარობს ასეთი ფორმით: „ზენობე“, „მითრიდატი“.



საქართველოს პირველი ცნობა კრებიონის „რადამისტისა და ზენობიას“ შესახებ დაიბეჭდა 1884 წელს უურნალ „ივერიის“ მე-4 ნომერში სათაურით „საქართველოს მეფის ძე რადამისტ — მეფე სომხეთისა და კრებიონის ტრაგედია“. სტატია ხელმოწერილია კრიტიკურად, რომელიც ეკუთვნის ალექსანდრე ბუნიას. მასში მოთხრობილია ფარსმანის, რადამისტისა და ზენობიას ისტორია. რუსულ მასალაზე დაყრდნობით ავტორი გამოთქვამს ასეთ აზრს: „იქნება ეს ტრაგედია წარმოსადგენად არ გამოდგეს, რადგან იგი დაწერილია ცრუ-კლასიკურის მიმართულების დროს ლიტერატურაში, მაგრამ საკითხავად რომ კარგი და სასიამოვნო იქნება, ამაზე ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ“.

როგორც ჩანს, ალ. ბუნიამ არ იცოდა, რომ „რადამისტი და ზენობია“ დიდი წარმატებით იდგმებოდა პარიზში. ბოლოს იგი გამოთქვამს სურვილს, რომ ტრაგედია დროულად ითარგმნოს ქართულად.

ფრანგი დრამატურგის აღნიშნულ პიესას ეხება აგრეთვე პროფ. აკ. გაწერელიას სტატია „ტაციტი. პენდელი და საქართველო“, რომელიც დაიბეჭდა „სახალხო განათლებას“ 1947 წლის 1 იანვრის ნომერში. ავტორი აღნიშნავს, რომ რადამისტისა და მისი მეუღლის ზენობიას დრამატული ამბებით აღსავსე ისტორია ბრწყინვალედ აქვს მოთხრობილი I—II საუკუნეების გამოჩენილ რომაელ ისტორიკოსს ტაციტუსს თავისი „ანალები“ მე-12 წიგნში, რაც საფუძვლად დაედო კრებიონის „რადამისტ და ზენობიას“. დასახელებულია სტვისკოვაცოვის მიერ ლექსად შესრულებული რუსული თარგმანი. რომელიც 1810 წელს გამოცა და სცენაზედაც იდგმებოდა. აკ. გაწერელია უურადღებავს ამანვილებს გერმანელი კომპოზიტორის გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის (1685—1759) ოპერაზე სახელწოდებით „რადამისტ“, რომლის ლიბრეტო შექმნილია ფარსმან მეფისა და მისი ვაჟის რადამისტის ისტორიის მიხედვით. გასაგებია, რომ რადამისტის თავგადასავალმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა კომპოზიტორზე, ბიძგი მისცა ემოციური ზემოქმედების დიდი ძალის მქონე, სულის შემძვრელი მუსიკის შეთხზვას. ე. მ. ბრაუდო თავის წიგნში „მუსიკის ზოგადი ისტორია“ (ტომი II, გვ. 67, რუსულ ენაზე) წერს: ლონდონში 1720 წელს გაიხსნა იტალიური ოპერა და ამავე წელს ინგლისურ საზოგადოებაში სენსაცია მოახდინა ამ სცენაზე პენდელის ოპერის „რადამისტის“ დადგამამ.

პროფ. ვ. გვახარიას გადმოუწერია „რადამისტის“ პარტიტურა და ქართულად უთარგმნია

მისი ლიბრეტო. საქართველოს რადიოკომიტეტში პენდელის აღნიშნული ოპერა ნაწყვეტების სახით შესრულდა ქართულად 1971 წლის 20 ოქტომბერს. პროფ. ვ. გვახარიას ეკუთვნის აგრეთვე ნაწყვეტის თარგმანი კრებიონის ტრაგედიიდან „რადამისტი და ზენობია“ იგი შესრულებულია თოთხმეტისა და ოცდაათი ლექსით, გვხვდება მცირე უზუსტობანი, მაგრამ შინაარსი ძირითადად სწორადაა გადმოცემული.

ალ. გრიბოედოვი აპირებდა ნაწარმოების შექმნას ამავე ფაზულაზე. შემონახულია გეგმა მისი ტრაგედიისა „რადამისტი და ზენობია“.

ისტორიული წყაროების მიხედვით ახ. წელთაღრიცხვის პირველ და განსაკუთრებით მეორე საუკუნეებში იბერიის სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ მას ანგარიშს უწევდნენ რომის იმპერატორები. ფარსმან პირველი, რომელიც მეფობდა ახ. წელთაღრიცხვის 35—70 წლებში, რომის მოკავშირე იყო პართიის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი მოღვაწეობდა იმპერატორების ტიბერიუსის, კალიგულას, კლავდიუსისა და ნერონის სიცოცხლეში. ფარსმან პირველის შემდეგ მეფობდა მისი ვაჟი მითრიდატე, რომელსაც 75 წელს (ახ. წელთაღრიცხვით) რომაელებმა მცხეთაში გალავანი გაუმაგრეს. რაც შეეხება ფარსმან მეორეს (ახ. წ. II საუკუნის პირველი ნახევარი), ადრიანე და ანტონინე კეისრების თანამედროვეს, ივ. ჭავჭავაძის მიერ აღნიშნული ისტორიკოსის დიონ კახიუსის ცნობაზე დაყრდნობით მის შესახებ მოგვითხრობს: „...როცა ფარსმან მეფე თავისი ცოლითა, შვილითა და ამალითურთ რომში კეისარს ეწვია, მან დიდი პატივი სცა. კაპიტოლში საღმრთოს შეწირვის ნება მისცა და იმის სამფლობელოების საზღვრები გააფართოვა. ადრიანე კეისარი ფარსმანისა, იმისი შვილისა და სხვა დიდებული ქართველების სამხედრო ასპარეზობას უუურებდა და შემდეგ მარსის ველზე იბერიის მეფის ცხენიანი ჯანდაკება დაადგმევინა“.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ სახელგანთქმული რომაელი მწერლისა და ისტორიკოსის პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსის (ახ. წ. 55—116) ცნობილ „ანალებში“ იბერიელების შესახებ აღწერულ ცნობებს. იგი გამოირჩევა ფაქტების ზუსტი, სხარტი და ცოცხალი გადმოცემით.<sup>2</sup> პროფ. ი. მ. გრევსი, რომელსაც ეკუთვნის მონოგრაფია ტაციტზე, მას ახასიათებს, როგორც საუკეთესო რომაელ ისტორი-

<sup>1</sup> ჭავჭავაძის მიერ ივ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1928, გვ. 159.

<sup>2</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1985 წ., ტ. 9, გვ. 671.

კოსს — ალაღმართალს, მიუღგომელსა და ხა-  
მართლიანს.

„ანალები“ მე-8, მე-12 და მე-18 წიგ-  
ნებში ტაციტუსი ფარსმან პირველისა და  
რადამისტის მეფობის ისტორიიდან შემდეგს  
გადმოგვცემს: მის წელს (ახ. წ.) გარდაიცვალა  
სომხეთის მეფე არტაქსი. ამით ისარგებლა რომ-  
მის მოწინააღმდეგე პართიის ძლიერმა ხაშტუომ  
და სცადა სომხეთის ხელში ჩაგდება. მოხუცმა  
იმპერატორმა ტაბერიუსმა ფარსმან პირველს  
დაავადა: გააძევე პართელები და სომხეთის  
ტახტზე შენი ძმა მითრიდატე დასვიო. ცხარე  
ბრძოლაში იბერიელებმა დაამარცხეს პართე-  
ლების ძლევამოსილი ლაშქარი სომხეთის ტახ-  
ტზე მითრიდატე ავიდა.

ფარსმანი დიდხანს მეფობდა (ახ. წ. 85—70  
წლები) ქართლში. მას ხშირად ეცილებოდნენ  
ტახტს. მაგრამ უველას სასტიკად უხსწორდებო-  
და. ფარსმანს ჰყავდა იმ დროისთვის უველა  
საქმეში საუკეთესოდ განსწავლული და  
თვალტანადობით გამორჩეული ვაჟი რადამის-  
ტი. უფლისწული პატივმოუვარობამ შეიბუ-  
რო, ტახტზე ასვლას ჩქარობდა, შეატყო მამამ  
და შეშინებულმა ფრჩია — ბიძაშენი მითრიდატე  
ჩამოგდო ტახტიდანო. ფარსმანმა და რადამისტ-  
მა ერთად შეუტოეს მითრიდატეს. მოკლეს იგი  
და სომხეთის ტახტი რადამისტმა დაიჭირა. იგი  
ჩვერ კიდევ ვამარცხებას შეიმობდა, როცა  
სომხეთის პართელები შეესივნენ და განდევნეს  
ქართლის ქარი. მიუხედავად ამისა, რადამისტმა  
კვლავ ჩაიგდო ხელში სომხეთის ტახტი. ეს  
შეცდრად ექცეოდა ხალხს, უველას მოღალატედ  
ხახვდა, ამიტომ აუჭანყდნენ მას სომხები. რა-  
დამისტმა და მისმა მეუღლემ — ზენობიამ  
სცადეს აჩანუებულთა აღყის გარდევვა. ცხე-  
ნებს დიდის სისწრაფით მიაკენებდნენ, მაგრამ  
ფეხშიძემ ქალმა ბოლოს ვერ გაუძლო რბო-  
ლას და ქმარს შეებვეწა. მოშკალიო, რადამისტი  
ერთხანს თავს იკავებდა, შემდეგ გაიფიქრა —  
ზენობია სხვას ჩაუვარდება ხელშიო; სატევარიით  
დაჭრა საყვარელი მეუღლე და მდინარე არაქს-  
ში ჩააგდო, თვითონ ქართლისკენ გამოიქცა.

დაკრული ზენობია მწყემსებმა იპოვეს, უმ-  
კურნალეს და სომხეთის ახალ მეფეს — პართი-  
ის მეფის ძმას მიგვარეს.

მოგვიანებით ფარსმანმა რადამისტი მოაკვლე-  
ვინა.

ზემოთ მოთხრობილი ისტორიული სინამდ-  
ვილის მხატვრულად გადამუშავებით კრებიონ  
უფროსმა შექმნა „რადამისტი და ზენობია.“

1 მოკმედების პირველი სცენა იწყება ზენო-  
ბიას საუბრით თავის მოახლე ფენისთან. ზენო-  
ბიას საბელი აქვს შეცვლილი. მკვია ისმენია.  
მინი ვინაობა აქ არავინ იცის. ფენისი ევედრება

ისმენიას, რომ ის თანაგრძნობით მოეპყროს  
იბერთა ძლევამოსილ მეფეს, რომელსაც მის-  
დამი სიყვარულის აღი მოსდებია. სასოწარკვე-  
თილი ქალი იძულებულია გარემოდაცვოს ფე-  
ნისს თავისი ვინაობა, უთხრას, რომ ის არის  
სომხეთის უფილი დედოფალი ზენობია. მინი  
მამა მითრიდატე, რომელიც ფარსმანის ძმა  
იყო, ადრე სომხეთში მეფობდა. მშები ერთ-  
ხანს მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. ფარსმანმა  
რადამისტი მითრიდატეს მისცა აღსაზრდელად.  
დავაუცავებულ უფლისწულს ძლიერ შეუუვარ-  
და ზენობია. მითრიდატემ ქორწინების ნება  
დაართო ახალგაზრდებს. მაგრამ ქორწინებამდე  
ფარსმანი და პართელები ერთად დაესხნენ  
თავს მითრიდატეს. მის ღალატით გამწარებულმა  
მითრიდატემ თავისი ქალიშვილის ხელი ახლი  
პართელთა მეფეს ტირიდატს აღუთქვა. ამან  
ალაშტოთა რადამისტის, რომელმაც სასტიკ  
ბრძოლაში დაამარცხა ბიძა, ზენობიას კი შეპ-  
პირდა. თუ ცოლად გამოიყვები მამაშენს არა-  
ფერს ვავენებო. ჯვარისწერის შემდეგ რადა-  
მისტმა გატება სიტუვა — სიცოცხლეს გამოა-  
ხალმა მითრიდატე. ამ სიხსლიანმა ქორწინებამ  
აჩანყა მთელი სომხეთი, რადამისტი და ზე-  
ნობია ბრძოლით იკაფავდნენ გზას აჩანუებულ-  
თა შორის. ბოლოს ქალს ძალ-ღონე გამოეღია.  
ექვიაანმა რადამისტმა გაიფიქრა, ჩემი საყვარე-  
ლი მეუღლე სხვას ჩაუვარდება ხელში და ამ  
აზრით შეპყრობილმა სასიკვდილოდ გაიმეტა  
თანამეცხედრე, გასიხსლიანებული ქალი არაქსის  
ტალღებს გაატანა.

ზენობია შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს,  
მოგვიანებლთ შეიტყო: ფარსმანმა ხალხი  
აუჭანყა რადამისტს და სიცოცხლე მოუხსწრა-  
ფაო. ცხოვრებაზე ხელჩაქნეულმა ზენობიამ  
შეიქცა ისმენია და სამშობლოდან გადაიხვეწა  
მიდიაში. ათი წლის შემდეგ ამ ქვეყანაში ქარით  
შეიჭრა რადამისტის ძმა არზამი, რომელსაც  
სხვა ტყვეებს შორის ზენობიაც ჩაუვარდება  
ხელში. ქალის სილამაზით მოქალოებულმა არ-  
ზამმა ფარსმანის ციხე-დარბაზში მოიყვანა იგი.

მამას და შვილს — ორივეს გაგიჟებით შე-  
უუვარდა ისმენია. რომელიც მათ დიდ წინა-  
აღმდეგობას უწევს. მიუხედავად იმ პატივისა,  
რასაც ფარსმანზე ან არზამზე დაქორწინება  
პიირდება ისმენიას, იგი ბოლომდე რადამისტის  
ერთგული რჩება. ექვებით შეპყრობილი ფარს-  
მანი ბობოქრობს. ის მიხვდა, რომ არზამი არ  
არის გულგრილი ისმენიასადმი. ამის შემდეგ  
ფარსმანს არზამის უველა დამსახურება არარა-  
ობად ეჩვენება. ქალის ურჩობით აღშფოთე-  
ბული მეფე მისდამი ფაქიზ და სასიყვარულო  
დამოკიდებულებას მკაცრი ბრძანებით ცვლის.  
ისმენია იძულებულია არზამი გამოიყენოს ფარს-

მანისგან თავის დასახსნელად. სომხეთის ყოფილი დედოფალი არწამს ავალებს მოლაპარაკება გამართოს რომის ელჩთან, რომელიც პროკონსულ კორბულონის დავალებით ჩამოსულა არტანისში. თავდაპირველად ელჩი ფარსმანთან სათათბიროდ ჩამოსულ სომეხ წარჩინებულ პიერონს შეხვდა. საუბარში მათ იცნეს ერთმანეთი. ელჩი აღმოჩნდა ფარსმანის ვაჟი რადამისტის, რომელიც ათი წლის წინათ კორბულონის ქარისკაცებს გადაურჩენიათ მამის რისხვისაგან.

ტრაგედიის მოქმედ გმირებსა და მათ მიერ დასახელებულ ადამიანებს შორის ისტორიული პიროვნებები არიან: ფარსმან მეფე, რადამისტის, ზენობიას, ნერონის, კორბულონი, ტირიდატი, მითრიდატე და პიერონი.

გიორგი გვაზავამ კრებიონის პიესას „რადამისტის და ზენობიას“ შეუცვალა სათაური, შეარქვა „ფარსმან მეფე ივერიისა“, დედნის სათაურის ქართული გარემოსთვის შეფარდება არ არის გამართლებული. მაგრამ რადგანაც ამ შეშთხვევაში საქმე ენება ქართულ თემაზე დაწერილი ნაწარმოების თარგმნას, შეიძლება ანგარიში გავუწიოთ მთარგმნელის სურვილს — სათაურიდანვე საცნაური გაეხადა, რომ ფრანგი პოეტის ნაწარმოები საქართველოს ისტორიას ეხება და მიეპყრო დაინტერესებული მკითხველის უურადლება. რაც შეეხება საკუთარი სახელების თარგმნას, გიორგი გვაზავა არ იყენებს ტრანსკრიფციის ამჟამად აღიარებულ მეთოდს, მას ვერც მოვთხოვთ ონომასტიკის დღევანდელი კანონების ერთგულებას. თუ კრებიონმა თავის ტრაგედიაში ქართული საკუთარი სახელები ფრანგულ ყაიდაზე შეცვალა, მთარგმნელი ცდილობს დაუბრუნოს ამ სახელებს ქართული ელერადობა.

„რადამისტისა და ზენობიას“ ქართულ თარგმანს წამძვარებული აქვს წინასიტყვაობა, სადაც გიორგი გვაზავა მადლიერების გრძობით იხსენიებს კრებიონს. მთარგმნელი ვერ მიწვდომია ზუსტ ისტორიულ წყაროებს ფარსმან პირველის შესახებ, მაგრამ მას ხამართლიანად მიაჩნია ფარსმანი საქართველოს ერთიანობის და ძლიერებისთვის შეუპოვარ მებრძოლად. იგი წერს: „მე არ ვიცი ისტორია და ვერ ვიტყვი, თუ რამდენად ერია ფარსმანის ხელმისი ძმის მკვლელობაში, მაგრამ ერთი რა ეჭვის გარეშეა: თვით ფარსმანი იმდენად გატაცებული იყო სამშობლოს სიყვარულით, მისი დამოუკიდებლობის გამაგრების ფიქრით და შებისყოფით, რომ ის არ ზოგავდა არავის,

არც ძმას, არც შვილს, და უღმობლად აბრძობდა ყველას, ვინც კი მომხრე იყო რომის და მლაღატობდა საქართველოს“.

კრებიონი წერს ალექსანდრიული ტექსტით: მოსაზღვრე, ზუსტი, ერთმარცვლიანი რითმებით. მისი ენა დახვეწილობის კვანძებს ქვეყნდება რახინისას. მაგრამ საქმის — „მისი ქვეყნის“ და მალაღმბატურულია გიორგი გვაზავას თარგმნისთვის სწორად აურჩევია შექვემდებარცვლიანი შაირი, რომელიც კარგად ვაჰობატავს კლასიციზტური ტრაგედიის თბრობით ინტონაციას. თარგმანს ამშვენებს მოსაზღვრე, ზუსტი და ქალური რითმები. მისი მოქნილი და დინამიური თბრობა მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობას ემყარება. იგრძნობა აზრის სინათლე ქართული ტექსტი იკითხება ლაღად, მკითხველი არ გრძნობს, რომ თარგმანს კითხულობს. ტრაგედიის შინაარსი ძირითადად სწორად და თანმიმდევრულადაა გადმოცემული ქართულად. გვაზავა თარგმნისას არ იჩენს პედანტურ, მოჩვენებით სიზუსტეს, რასაც საბოლოოდ დედნის ლაღატი მოჰყვება ხოლმე. იგი უშთავრესად ზრუნავს ადეკვატური ემოციური შემოქმედების მიღწევაზე, განწყობილების, სტილის ნათლად გადმოცემას ცდილობს და ამგვარად ქმნის შემოქმედებით თარგმანს.

კრებიონ უფროსს იბერია დასახტული აქვს როგორც არცთუ მდიდარი, მაგრამ მაინც ძლიერი სამეფო, რომელიც ნიკიერი პოლიტიკოსისა და მამაცი მხედართმთავრის ფარსმან მეფის ხელმძღვანელობით უმკლავდება რომისა და პართიის უძლიერეს სახელმწიფოებს. რომის ელჩთან საუბარში ფარსმანი აღნიშნავს, რომ მისი სამეფო არ არის მდიდარი, ამიტომ იგი არ უნდა იყოს სახარბიელო რომისთვის. ამგვარად, იბერიის მეფე ერთი მხრივ ერიდება ხისხლისღვრას, ამასთანვე არც ქედს იბრუნ მოწინააღმდეგის წინაშე. ქართული ტექსტი ამ დიალოგს თანმიმდევრულად და მიმწიდველად გადმოგვცემს, კარგადაა გამოხატული მეფის გმირული სულისკვეთება. მოგვყავს ფრანგული ტექსტის პწკარედი: რას შვრებიან თქვენი ლეგიონები, ეს შედიღური გამარჯვებულები?

ნარტო ელჩებოთუა იბრძვიან?  
იბერიაში მხოლოდ ცენტრისა და მახვილით  
თუ ანდებინებენ ბელა სომხეთში. შეგვდის  
სამხედროსზე  
და არა ფუჭი სიტყვებით, რომაელებს რომ არ  
შეიფერია  
იმ დროს, როცა მე მათევენ ვხას ხელით  
ნიჭოვლად.

შეიძლება მეტიც მოვიმოქმედო, არაფრად  
ჩაეფდო არტაქსიანი  
და წინ აღვუდგე კორბულონს ევფრატის  
ნაპირებამდე.<sup>1</sup>

ახლა ვნახოთ შესაბამისი ნაწყვეტი გ. გვაზავს  
თარგმანიდან:

„უთუ თავის ლეგიონებს უკვე თავი დაანება  
და ქგონია ელჩებითა მომაყენოს მეტი ვნება?  
ცეცხლით უნდა ჭერ აიკლოთ ივერია  
კილით-კიდე,  
თუ თქვენ გინდათ ჩემი ჭარით მე სომხეთში  
არ შევიდე-  
რომეღლებს არ შექმვენიც ტრაბახი და უქნი  
ენა,  
როცა მე ხმლით გზას ვაკაფავ, მიმავალსა  
იქითკენა,  
უფრო შორსაც იქნება, მე სომხეთიცა  
გადავლანო  
და ევფრატის ნაპირებზე კორბულონსა  
შევეჭახო“ (გვ. 31).

ტრაგედიის მიხედვით ფარსმანი ზვიადი, მა-  
ტივმოყვარე მბრძანებელია, რომელიც ქალის  
სიყვარულით აღმოდებულად კი, იჩენს ძალა-  
უფლებისმოყვარეობას. უმწეო ისმენიასგან გა-  
ზედუღად უარყოფილმა მეფემ გადაწყვიტა  
ძალდატანებით ექორწინა მასზე. ფარსმანის,  
როგორც ერთმმართველის დიდი პრეტენზიებია  
დახატული სომხეთის ელჩთან მიერონთან  
საუბარში, რომელიც ოსტატურადაა თარგმნი-  
ლი. მეფის მღელვარება თავდაპირველად  
სწრაფად მატულობს, შემდეგ მძიმედ იშლება  
ტალღასავით. ამ შთაბეჭდილების გადმოცემას  
ხელს უწყობს მაღალი და დაბალი შაირის მო-  
ნაცვლეობა თარგმანში. მხატვრული სამკუ-  
ლეები: ეპითეტები, კონტრასტი, რიტორული  
შეძახილები და შეკითხვები ზუსტადაა გადმო-  
ტანილი. თვალი გადავავლოთ აწყარედს:

ყალბი მიზეზებით აღსავსე თქვენს სიტყვაში,  
რომელიც უფრო რომის ნაკარნახევია, ვიდრე  
გონების,  
ძალიან კარგად ვამჩნევ თქვენს მამოძრავებელ  
ინტერესს,  
დაე ასე იყოს, რაკი გსურთ, ომმა გადაწყვიტოს  
ყველაფერი,  
მაღე შეიტყობთ, ბატონო, რომსა და ჩემს  
შორის  
ვის ჰქონდა უფლება თქვენზე ბატონობისა.

<sup>1</sup> აწყარედი ყველგან შესრულებულია ჩემ  
მიერ (რ. თურნაძე)

მიუხედავად თქვენი შიშისა და ყალბი  
გამონათქვამებისა,  
ჰქონდა თუ არა ვინმეს სურათ უფრო  
კანონიერი უფლებები თქვენზე?  
ახა ვინ უნდა შეცვალოს ჩემი ძმა, ჩემი ვაჟი?  
ვისთვის გადაუციფრდეს უფრო წმინდა  
გინგლირთუქუფლება?

დავუკვირდეთ გვაზავსეულ თარგმანს?

„თქვენი სიტყვა, სამიზეზოდ მშვენიერად  
მონაჩმახი,  
არა ტკუით, უფრო არის რომის მიერ  
ნაკარნახი,  
ესლა თქვენი გულისთქმანი ცხადია და  
გასაჰვრეტი.  
თუ აგრეთა, კარგი, დაე ომი იყოს  
გადამწყვეტი  
მაღე გაიგებთ იმასაც, რაც არის  
გასაგებელი:  
მე ვიქნები, თუ რომია თქვენი კანონის  
მღებელი?  
ვერ გასჭრის მოსაზრებაცა თქვენი ყალბი და  
ცბიერი.  
მართლა ვისა აქვს უფლება ამ ტახტზე  
კანონიერი?  
ვინ უნდა იყოს ნემკვიდრე ჩემი ძმის, ჩემი  
შვილისა?  
ვისა აქვს საღმრთო უფლება გარეშე ყოველ  
ცილისა?“ (გვ. 31-32)

ფარსმანი განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენს  
სამშობლოს მტრებისა და მოღალატეების მი-  
მართ, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი. არწამისა და  
რომის ელჩის ხაიდუმლო მოლაპარაკების ამ-  
ბავი რომ შეიტყო, დაკრილი ლომივით ბორგავდა,  
გადაწყვიტა სიკაცხლე მოესწრაფა არწამისათვის.  
მიუხედავად დიდი სიმკაცრისა, ფარსმანი არ  
არის მოკლებული მამობრივ გრძნობას, ვნების  
მონად ქცეული მეფე ზენობიას ევედრება ნუ  
გამაწირვინებ არწამსო. ფარსმანი სიკვდილს  
ნატრობდა, როცა გააგებინებ, რომ ელჩის  
სახით რადამისტი განგგმირავსო. ამ ამბის შეტ-  
უობამდე იგი ბორგავს, თითქოს სისხლი უუი-  
ვის, ცუდი წინათგრძნობა აქვს, მისი სულიერი  
მღელვარების სურათი სრულყოფილად და  
შთაბეჭდავადაა თარგმნილი. მაღალი და დაბა-  
ლი შაირის მონაცვლეობა მეფის სულის მოქ-  
რობას ასახავს. შენარჩუნებულია ტროპე-  
ბის, მხატვრული ფიგურებისა და ფრაზეოლო-  
გიური გამოთქმების ზემოქმედების / ძალა.  
ტაეებში აქა-იქ გვაქვს ლექსიკური ცვლი-  
ლებები, რაც გამოწვეულია ქართული და  
ფრანგული ენობრივი სისტემების სხვაობით.

საკუთარი დანაშაულით თავზარდაცემული ფარსმანი ცდილობს ნაწილობრივ მოინანიოს დიდი ცოდვა მეორე შვილის გაბედნიერებით. იგი არწამს უთმობს ზენობიას და სომხეთის ტახტისთვის ბრძოლის უფლებას.

პიესაში რადამისტის თავისებურ, სხვებისაგან განსხვავებულ პიროვნებადაა დახატული. თუმცა სიმამაცით და გამბედაობით მამას ჰგავს. ამ უშიშარ ვაჟსაც ბრძოლაში ბადალი არ ჰყავს. მასაც აბასიათებს ქედმაღლობა და პატივმოყვარეობა ფარსმანის მსგავსად. რაც აიხსნება მათი ერთნაირი, გაბატონებული მდგომარეობით. რადამისტს კარგადა აქვს შეგნებული რომის პოლიტიკა, მისი აზრი ამ საკითხზე ლაკონურადაა გადმოცემული ქართულ ტექსტში:

„ეს გარკვეული გეგმაა, არა პატარა ზომისა, ეს საბელმწიფო აზრია, ეგნომ ქებული რომისა: მამა ემბობა, შვილისგან, მობილესაგან მშობელი, და რომი ჰეფობს, არ დარჩა ქვეყანა დაუპყრობელი“ (გვ. 28)

ტახტის მადიებლობამ რადამისტის იმდენად გააბოროტა, რომ სამშობლოს ღალატი გადააწყვეტინა. მაგრამ მამასთან ორთაბრძოლაში მან დაზოგა ფარსმანის სიცოცხლე. რადამისტის ხასიათში კრებიონი ხაზგასმით გამოყოფს მის წრეგადასულ ეგვიანობას. სომხეთის მეფეს ძალიან უყვარს თავისი მშვენიერი და ხათრო მეუღლე ზენობია, მაგრამ სასიკვდილოდ იმეტებს მას, რათა სხვას არ დაუთმოს იგი. ზენობიასთან მოულოდნელი შეხვედრისას რადამისტის აღიარებს თავის დანაშაულს და პატიებას ითხოვს. ამ სცენის ლექსიკური ერთეულები ნაწილობრივ შეცვლილია თარგმანში, მიუხედავად ამისა, მიღწეულია დედნის მხატვრული ეფექტი. ფრანგული ტექსტის აწყარედი ასეთია:

მონანიებას რომ შეეძლოს უმანკოების შეცვლა, მე აღარ გამოვიწვევდი ზიზლსა და შურისძიების გრძნობას. მიუხედავად იმისა, რომ შენი გულისწყრომა სიმართლიანია, ჩემი გამძვინვარება მაინც შენდამა საყვარულით იყო გამოწვეული. შევადაროთ გვაზავასეული პოეტური თარგმანს.

„დამერწმუნე, სინანულს რომ გამართლებას ჰქონდეს ძალო“

ჩემ მხარეზე ექნებოდა შენდობა და დამერწმუნე, შენ მოვედარე. შენადაა შენთვის შენთვის შენთვის და სხვის ვერა, ვერ დავუთმე ჩემს მომლოცვეს და მომლოცვეს

ორიგინალში კონტრასტის ბერბია გამოყენებული. დაპირისპირებულია „მონანიება“ და „უმანკობა“, „მძვინვარება“ და „საყვარული“ მთარგმნელი იუენებს ფუნქციონალურ ექვივალენტებს მაღალი შაირის დინამიური განვიმარების, გრადაციის, გამეორების და მეტაფორის სახით.

საკუთარი დანაშაულის მონანიების შემდეგ რადამისტი კვლავ ეგვიანობს და არწამთან სასიყვარულო ურთიერთობას სწამებს ზენობიას. რითაც გულს უკლავს მაღალი ზენობისა და ქმრისადმი ფანატიკურად ერთგულ ქალს ნაზი და მომზიბლავი ზენობია დიდი სულიერი სიმტკიცითა და გამბედაობით გამოირჩევა. იგი მედგარ წინააღმდეგობას უწევს ვნებით გაბელებულ ფარსმანს, იმორჩილებს არწამისადმი გულში ჩასახულ გრძნობას, ვინაიდან ვერ წარმოუდგენია დაღუპული ქმრის ღალატი ზედმეორედ გათხოვებით. აზრობრივი და სტილისტური პლასტების დაცვისა და ხათანადო ადეკვატების შერჩევის საფუძველზე ზენობიას აღნიშნული თვისებები კარგად იხატება ქართულ ტექსტში.

რაც შეეხება არწამს, ეს ხათრო, რაინდული ხუნების ვაჟაცო, ნიბლავს მკითხველს. მას გულწრფელად უყვარს ზენობია, რადგან სამშობლოს არ ღალატობს ამ საყვარულის გამო. ასევე პირნაოელია იგი რადამისტის წინაშე. არწამის მიმართვა რომის ელჩისადმი შესანიშნავად აბასიათებს მას, როგორც პატრიოტ ქართველს. გიორგი გვაზავა ზუსტად გადმოგვცემს ამ დიალოგის შინაარსს, ინარჩუნებს პოეტური ფიგურების ცხოველმყოფელობას, გვთავაზობს ფრანგული იდიომების მოხდენილ შესატყვისებს, მიზანშეწონილად იუენებს მაღალი შაირის აღმავალ ტემპს არწამის ცხარე პოეტის გამონახატავად. თვალსაჩინოებისთვის გნაზოთ პოეტური თარგმანი:

„რასა ბრძანებთ? ვერ გავიგე, რა რჩევასა მაძლევთ თქვენა? ახ, ბატონო! სულ არ გესმით ჩემი გულის წვა და ტყენა, როგორ? უნდა ველაღატო მამა-ჩემს და ჩემს მამულსა? რომის ჯარი შევეუსო იგერიის შუა-გულსა?!

„საქიროთი თუ ეგ არი — ვულვალთო ჩემსა ერსა —  
დაე, რომც ჩემი მხრიდან ნუ მოელის —  
ნურაფერსა.“

„რადამისტიკა და ზენობიას“ გვაზავსეულ თარგმანს დიდ ღირსებასთან ერთად ნაკლიც გააჩნია. გაპარულია აზრობრივი უზუსტობანი, ზოგიერთ პასაჟში მთარგმნელი ასუსტებს ორიგინალის ექსპრესიულობას, ზოგში კი პიროქით, — ამღიერებს, ე. ი. ტრანსფორმაცია არ ემსახურება თანაბარი მხატვრული ეფექტის მიღწევას.

კრებიონი შედარებით ზოგადად აღწერს მფლელობის ხეყნას, რომელსაც თარგმანის ქვემოთ წარმოდგენილი ტაეპები ფფროს შე-  
მადრწუნებელს ხდის:

„და სიყვარულის მაგიერ გული გავუბე  
ღანიითა“ (გვ. 25).

„რომადელი, რომელსაც შე დავადინე სისხლის  
ღვარი“ (გვ. 60)

უნდა იყოს: ეხოდენი სიყვარულის წილ სიყვ-  
დილი ვარგუნე; რომადელი, რომელსაც სიცოცხ-  
ლე მოუსწრაფა ჩემმა ხმაღმა.

თარგმანში აქა-იქ გვხვდება სტილისტური  
ღაფსუსები, როგორცაა:

„ვიცი ფენის გამარჯვება იმას ბევრი  
მოუღია“ (გვ. 12)

„შე სისხლი მიდის ღვთაური, სხეებთან რა  
შესატოლია“ (გვ. 12)

„როცა გონობა დამეკარგა, სიბნელეში  
გალაგევი“ (გვ. 15)

შენიშნება არქაული ფორმება:

„განიძრახა“, „დამიბრიყვა“, „დაიბყრო“,  
„მისაღებელი“, „მოვებყრა“, „სწვამდა“, „მოპკ-  
ვდა“, „კარბება“, „მომხიბლა“, „კვენესის“,  
„პიტყვები ზედმეტი ღეფიზით „მამა-ჩემს“,  
„მუა-გულსა“, „თე-მოკრილი“.

მიუხედავად ზემოთ მოტანილი შენიშვნები-  
სა, კრებიონი უფროსის „რადამისტიკა და  
ზენობიას“ გვაზავსეული დღეისათვის ერთად-  
ერთი სრულყოფილი თარგმანი მნიშვნელოვანი  
ლიტერატურული ძეგლია, რომელიც ბუნებრი-  
ვად ერწყმის და ამღიერებს ქართულ დრამა-  
ტურგიას.

ქართული ლიტერატურისთვის ძვირფასია  
აგრეთვე ფრანგული კლასიციზმის საუკეთესო  
წარმომადგენლის უან რახინის აღმოსავლურ  
ოქმაზე დაწერილი ტრაგედია — „მითრი-  
დატეს“<sup>1</sup> გიორგი ჭვაზავას მიერ საგანგებოდ  
შესრულებული ჭერჭერობით უნიკალური ქარ-  
თული თარგმანი. ამას გარდა რახინის მხო-  
ლოდ ხამი ტრაგედია ქართულად თარგმნილი:  
„ფედრა“ ითარგმნა ორჭერ, 1958 წელს გამოქ-  
ვეყნდა გიორგი საფულავას თარგმანი, ხოლო  
1988 წელს — ოთარ-ნიკოლაიშვილი დავით  
წერდნიანმა თარგმნა „იფიგენია ავლიდში“ და  
„გოთოლია“.

როგორც ცნობილია, „მითრიდატეს“ ავტორმა  
შექმნა ტრაგედიის ახალი ისტორიული ფორ-  
მა — სასიყვარულო-ფსიქოლოგიური ტრაგე-  
დია, რომელშიც ჩააქსოვა მნიშვნელოვანი იდე-  
ურ-პოლიტიკური შინაარსი, იგი ხშირად ხეს-  
ხულობდა ფაბულას ბერძენი და რომადელი  
მწერლებისგან, ბერძნული მითოლოგიიდან და  
ბიბლიიდან, მაშინ, როდესაც მისი მეტოქე  
სახელოვანი დრამატურგი პიერ კორნელი ის-  
ტორიკოსებს ეყრდნობოდა რახინს იტაცებს  
სიუჟეტის პოეტური მხარე, მოქმედ გმირთა  
ვნებები, მათი ხულიერი ცხოვრება; კორნელი  
მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიული ფაქ-  
ტების ქეშმარიტებას. რახინს „მითრიდატეს“  
ფაბულა აღებულები აქვს ბერძენი პროზაიკოსის,  
ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის პლუტარქეს  
ცნობილი „პარალელური ბიოგრაფიებიდან“  
(ბერძენ და რომადელ მოღვაწეთა ბიოგრაფიე-  
ბი, შექმნილი ერთმანეთთან შედარების გზით).  
ნაწარმოებში ფრანგი დრამატურგის ყურადღე-  
ბა მიუპყრია ნიქიერი მხედართმთავრისა და პო-  
ლიტიკოსის, პონტოს ხელმწიფის — მითრიდა-  
ტე VI ევპატორის ცხოვრებას.

რაც შეეხება პონტოს მოსახლეობას, მის  
უმრავლესობას ხომ ქართველი ტომები —  
ხალიბები, ტიბარენები, კოლხები, მაკრონები  
და ტუბალები შეადგენდნენ. მითრიდატე VI  
ევპატორის მეფობის დროს (ძვ. წ. 121—83  
წლები) ამ ქვეყანამ უდიდეს ძლიერებას მი-  
აღწია, დაიმორჩილა შავი ზღვის ჩრდილოეთი  
და სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონები, უირი-  
მისა და ტამანის ნახევარკუნძულები, მცირე  
აზიის ნაწილი, კოლხეთი, მცირე ხომხეთი, მა-  
კედონია, საბერძნეთი. მითრიდატე ევპატორი  
დიდი გავლენით სარგებლობდა დნეპრის, დნესტ-  
რის და დუნაის ქვედა წელის, ეგეოსისა და ად-  
რიატიკის ზღვების სანაპირო რაიონებში მცხოვ-  
რებ სხვადასხვა მეომარ ტომებზე. იგი შედგარ  
წინააღმდეგობას უწევდა რომის პოლიტიკას

<sup>1</sup> Racine J. (1639-1699), Mithridate, Trage-  
die. — წიგნში: გ. გვაზავა, მითრიდატი რასი-  
ნისა, პარიზი, 1934.

აღმოსავლეთში მეოთხედი ხაუკუნის მანძილზე.<sup>1</sup>

„მითრიდატე“ არნაბული წარმატებით დაიდგა ხაშფო კარის სცენაზე 1878 წელს, პოეტის ხასტიკმა მტრებმაც ვერ დადეს წუნი ტრაგედიას. ამვე წელს რასინი არჩეულ იქნა საფრანგეთის აკადემიის წევრად.

„მითრიდატეს“ გიორგი გვაზავახელი თარგმანი ორიგინალური ქართული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს. მთარგმნელი თანმიმდევრულად გადმოსცემს უკვდავი ტრაგედიის შინაარსს და აგრძნობინებს მკითხველს მის მხატვრულ ღირსებას. როგორც ორიგინალი, ასევე თარგმანი შედგება 5 მოქმედებებისაგან (I მოქმედებაში არის 6 სცენა, II მოქმედებაში — 8 სცენა, III მოქმედებაში — 6 სცენა, IV მოქმედებაში — 7 სცენა, V მოქმედებაში — 6 სცენა.).

რასინის ლექსი მწუობრი თორმეტმარცვლიანი ალექსანდრიული ხაზოვით, ერთმარცვლიანი მოსაზღვრე და ზუსტი რითმებითაა შეთხზული. ქართველი პოეტი, როგორც კრებიონის ტრაგედიის თარგმანისას, ისე ამ შემთხვევაში, თექვსმეტმარცვლიან შაირს მიმართავს. იუენებს ქალურ, მოსაზღვრე და ზუსტ რითმებს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შაირი კარგად გამოხატავს კლასიციტური ტრაგედიის თხრობით კილოს. ქართული ტექსტის ტაქები, თანმიმდევრულად მიჰყვება დედნიხას, გადაადგილება ხდება იშვიათად. მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოითხოვს ქართული ენის თავისებურება.

რასინის ენა საგრძნობლად უახლოვდება ჩვეულებრივ ხასაუბრო, ხალხურ მეტყველებას. მიხთვის უცხოა ხელოვნური მაღალფარდოვნება, ყველა სიტყვა კონტექსტის შესაბამისადაა გამოყენებული. მითრიდატე შეიღებს ესაუბრება შენობით, რაც მიღებული არ იყო XVII საუკუნის არისტოკრატების ურბიერობაში. მეფე უბრალოდ მიმართავს შეიღებს როგორც დედანში, ასევე თარგმანში: „შომიახლოვდით, შეიღებო“, „მოდი, მოდი ჩემო შეიღო“, „ჩემო შეიღო, ნურას მეტყვი“, „ჩემო შეიღო, ნუ ვიგონებო“. ენის ხისადავე, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მხატვრული ხერხების უარყოფას. პიესას ამშვენებს უპრეტენზიო და მიზანშეწონილი ეპითეტები, ორღესული ანტონიმები, მოხდენილი შედარებები, გაპირავნება, ბიპერბოლა, რიტორული მიმართვა, რიტორული შეძახება, რიტორული შეკითხვა, გრადაცია, ინვერსია, პარალელიზმი და კონტრასტი. მთარგმნელის ხასაბელოდ უნდა ითქვას, რომ ქარ-

თულ ლექსში ნაწარმოების პოეტურ ქსოვილს შენარჩუნებული აქვს მთლიანობა.

პიესა ახაზავს მითრიდატე ევატორის ცხოვრების უკანასკნელ დღეს. მოქმედება ხდება ნიშფეაში, კიმერიის ბოხფორის პორად. ტრაგედიის დახაწყისში უფლისწულმა ქსეტიკის მითრიდატეს მეგობარ არბტის მტრებთან დიდი მეფის დაღუპვის ამბავს, რომელიც მან ეს-ეს არის შეიტყო. ქართული ტექსტი სწორად გადმოსცემს ამ ხაუბრის შინაარსს და ინტონაციას. ამის დასადასტურებლად მოგვყავს ფრანგული ტექსტის პწკარედი:

ამგვარად, მეფე რომელმაც ორმოცი წლის მანძილზე მარტომ

დალალა, რაც კი რომს მეთაურები ჰყავდა, მეფე, რომელიც აღმოსავლეთის ბედს წყვეტდა და ამით ბოლოს უღებდა მეფეების დავას ერთმანეთთან.

გარდაიცვალა და მისი სიკვდილით შურის საძიებლად თავის შემდეგ დატოვა ორი უბედური ვაჟიშვილი, რომლებიც ვერ ურიგდებიან ერთმანეთს.

წარმოდგენილ პწკარედს შევადართო შესაბამისი ნაწყვეტი გვაზავას პოეტური თარგმანიდან:

ამ გვარად მეფე, რომელმაც — აგერ

ორმოცი წელია —

რომის ჯარსა და სარდლობას, ყველას

წაწყვიტა წელია,

ვისაც ხელთ ებყრა სასწორი აღმოსავლეთის ბედისა,

ყველას ქედს ახრევინებდა, თვით

მოუხრელი ქედისა,

ებლა მკვდარია, დავრჩით ჩვენ,

ამოსაყრელად შურისა,

ორი ძმა, მსხვერპლი ორნივე გრძნობისა

არა—ძმურისა“. (გვ. 4)

ბერძენი მეფის ასული მონიშე მასზე თავდავიწყებით შეყვარებული მითრიდატეს ხაცოლეა. ეს ქალი გულში ჩავარდნით აგრეთვე ქსიფარესსა და მის ძმას ფარნაევს, რაც იწვევს მათ შორის ხერიოზულ უთანხმოებას. მამასა და შეიღებს შორის მწვავე კონფლიქტის ირგვლივ იურის თავს პიესაში ახახული დანარჩენი მოვლენები.

ცნობა პონტოს მეფის სიკვდილის შესახებ მცდარი აღმოჩნდა. ეს ამბავი თვით მითრიდატეს გაუფრცველებია, პომპეუსთან ბრძოლაში

<sup>1</sup> ვ. გუჩუა, გადაცხედლოთ წარსულს, თბ., მეცნიერება, 1984, გვ. 4-16.

<sup>1</sup> გიორგი გვაზავა ზმარობს ფორმას: „ფარნაკი“.

დამარცხებული. ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყო. მამა მოულოდნელად წაადგა თავს მონიმეს სიყვარულის ხატიებლად ნიშნებაში ჩამოსულ თავის ვაჟებს.

დიდი ფრანგი ტრაგიკოსი ოსტატურად აღწერს მითრიდატეს ხასიათს. მკითხველს თავაღწინ წარმოუდგება ძლიერმოხილი მეფე და გონიერი ხარდალი, გამჭრიახი პოლიტიკოსი, გმირი. რომელიც ტრაგედიის მიხედვით 40 წლის მანძილზე უმკლავდებოდა რომის იმპერიის ძალმომრეობას აღმოსავლეთში. მითრიდატე ასეთივეა თარგმანში. პომპეუსთან ბრძოლაში საგალალო დამარცხებამ ვერ გატეხა მისი ნებისყოფის სიმტკიცე და ვაჟიაცობა. დამარცხებული მითრიდატე რომის საკუთარ ბუნავში განადგურების გაბედულ გეგმას ადგენს და ამასთან დაკავშირებით იხსენებს მანბაღის ანდერძს. რომელიც აფორიზმით ეღერს ქართულად:

„მანიბაღმა გვიანდერძა, ამ დიდ კაცმა ყოველ ომში, რომ რომისა დამარცხება შეიძლება მხოლოდ რომში“ (გვ. 78)

რასინისეული თხრობის სიღინჯება და სიზუსტეში დაფარულია შინაგანი დაძაბულობა, რომელიც აერთიანებს ტექსტს და მოქმედების შთაბეჭდილებას კმნის. მისი დიალოგები, თუ მონოლოგები ამიტომ არ აღუნებს მსმენელის ყურადღებას. მისასაღმებელია, რომ მთარგმნელს დაუძლევი ამგვარი სირთულე. ამას მოწმობს თარგმანის ტექსტი მთლიანად და, კერძოდ, რომის პოლიტიკით აღშფოთებული მითრიდატეს დიალოგი შევიღებთან. მასში შეტანილი მცირე შინაარსობრივი ცვლილება არ არღვევს აზრის მთლიანობას, მაღალი შაირის, გრადაციის, კონტრასტისა და ეპითეტების მიზანშეწონილი გამოყენებით შენარჩუნებულია დედნის ინტონაცია და ხატოვნება:

„მართალია, დამამარცხეს, დავიბიე, წამოვედი, მაგრამ მიცნობთ: ჯერ ვერავის წაუხრია ჩემი ქედი, მიმი, ძრწოლა მე არ ვიცი, არც მცოდნია, არ მაქვს ის ზნე, არ იფიქროთ, გაჭირვებას გამოვეუბნე, გავიხიზნე, ომს აქვს თავის კანონები: ზოგჯერ გწყალობს, ზოგჯერა კი თავზე უნდა დაგატეხოს, ყოველგვარი ფათურაკი“ (გვ. 72)

განხაკუთრებული პოეტური ეგზალტიაცია იგრძნობა ტრაგედიაში გმირის დადებითი

თვისებების ან თავალხაჩინო მოვლენების აღწერისას. მითრიდატეს ისე აქვს განთქმული სახელი, რომ მისი მარცხიც ხაზურველია სხვა მეფეებისთვის.



„მეფეს ვერ ნახავ, მისი გულში წყნად რომ ბიბე...“  
რომ არ შეშურდეს დიდებულს ჩემი დაცემის დიდება, იმ დაცემისა, რომელიც რომსა ყოველთვის ჰქვიალია, მებრძვის და ველარ იხერბებს — ორმოცი წელიწადია“ (გვ. 56)  
ფრანგული ტექსტის პწყარედი ასე გამოიყურება:

არ არსებობენ მეფეები, თუკი ისინი მეფობის ღირსი არიან, რომელთაც ტახტზე მჯდომთ არ შეშურდეთ, და შეიძლება თავიანთ დიდებაზე მეტადაც, ჩემი დაცემის დიდება, რაც რომმა 40 წლის შემდეგ მოახერხა და ვერც მოახერხა.

რასინი კალმის ერთი მოსმით ხატავს პონტოს მეფის გავლენას მტერზე. მითრიდატეს წარბის შეხრა შიშის ზარს სცემს მოწინააღმდეგეს. ეს შთაბეჭდილება დედანში შევიდი ტაეპითაა გადმოცემული, თარგმანში — ხუთი ტაეპით, მაგრამ შენარჩუნებულია დედნის სემანტიკური ინვარიანტი. დაუუკვირდეთ პწყარედს:

ამ სიტყვებზე მან სასახლის კარები გააღებინა, მისი კეთილშობილური მრისხანებით შეკმუხნილი შუბლის დანახვაზე, რომელსაც მრავალჯგის შეუძრწუნებია მათი რიგები, ნეტავი გენახათ, როგორ უკუიქცნენ ყველანი, ჩვენსა და მათ შორის დარჩა ვეიბერთელა თავისუფალი სივრცე და ზოგიერთები, უკვე თავზარდაცემულნი გარბოდნენ იმ ზომალდებისკენ, რომლებითაც მოვიდნენ. ვნახოთ შესაბამისი ნაწყვეტი გვაწავახეული თარგმანიდან:  
„პბრძანა განხმა ცხის კარის, გამოვიდა თვითონ გარე; რა რომ ნახეს შუბლი მისი, ეს მრისხანე შეხრა წარბის, ვბედავ, მტერი უკუ-ეცა, ყველა დაფრთხა.



ველი გარბის,  
ზოგი ეცა ხომალდებსა, ზოგი წყალში  
გაღაცვინდა  
და ჩვენსა და იმით შუა ბრძოლის ველი  
გაიწმინდა.“ (გვ. 146)

პიესის მიხედვით მითრიდატე დიდებით მოსილი ჯშირია, მაგრამ მიხთვის უცხო არ რის ადამიანური სისუსტე. კარმაც მითრიდატეს შეუყვარდა ახალგაზრდა მშვენიერი მონიშე, რომელსაც არ შეუძლია მისი შეყვარება. მეფემ შეიტყო მონიშეხადში ქსიფარესისა და ფარნაკეს გრძნობების შესახებ, ტუფილის თქმა არ ითაკილა და ამ გზით თვით ქალს ათქმევინა, რომ ის ქსიფარესით არის მოხიბლული. ვნება-აშლილმა მითრიდატემ მოხაკლავად გაიშტა ორივე ვაჟი, მაგრამ სისრულეში არ მოუყვანია განზრახვა, თუმცა ფარნაკეს სიტყვებია თანახმად, სიკვდილით დასჯა მკითხველისთვის უცნობი ორი ვაჟი ტრაგედიაში აღწერილ დროზე ადრე.

ისტორიული ცნობების მიხედვით მითრიდატე ევპატორმა მოაკვლევინა თავისი სეზნია ვაჟი მითრიდატე, რომელიც მამას კოლხეთის ტახტის წართმევას უპირებდა.

როგორც ჩანს, რასინს არ სურდა, ვაჟაცი მეფე შვილის მკვლელად გამოეყვანა, მაგრამ არც მთლად აუარა გვერდი ამ საკითხს.

მითრიდატე სიყვარულშიც ძალაუფლების-მოყვარეობას ამჟღავნებს, როცა ძალდატანებით ითანხმებს მონიშეს დედოფლობაზე. ხელმწიფე ცდილობს გულიდან ამოიღოს ეს ქალი და ამით გააბედნიეროს ახალგაზრდები (ქსიფარესი და მონიშე), მაგრამ საბოლოოდ თავს მაინც დამარცხებულად ცნობს საკუთარ ვნებებთან ბრძოლაში. რასინი ფსიქოლოგის აღლოთი ხატავს გაორებას, ტანჯვას, მითრიდატეს სულიერი მდგომარეობა საგანგებოდაა გამოკვეთილი ამ მომენტში, რასაც კარგად იგრძნობს თარგმანის მკითხველი. ვინაიდან ორიგინალის ხემანტიკური მხარის შენარჩუნება, მიჯნებული მხატვრული ფიგურები, დაბალი და მაღალი შაირის მონაცვლეობა მიმზიდველს ხდის ქართულ ტექსტს. გვაქვს მხოლოდ ერთი შენიშვნა: კლასიციზტური ტრაგედიის დახვეწილი ტონისთვის მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია სიტყვა „მიფუგდო“ ტაქში:

„არ სჯობიან ეს დიაცი მას მიფუგდო  
საჩუქრად“ (გვ. 128)

მითრიდატეხაგან განხზვავებით, ნაწი, მორცხვი და მოხიბლავი მონიშე უშკლავდება საკუთარ გრძნობებს, გონების კარნახით მოქმედებს.

იგი მზად არის საკუთარი მშობლების პატივსაცემად გახდეს მითრიდატეს ერთგული მეუღლე. მოგვიანებით, ბრძოლის ველიდან ხელმწიფის მოულოდნელი დაბრუნებით გაოგნებული ბერძენი ასული პოულობს ძალას, გულში რომ ჩაიკლას ქსიფარესისადმი უსუსულო, მაგრამ მითრიდატეს უკადრესტ უმცირესეს შემდეგ, მოტყუებით შეურაცხყოფილ ქალს სიკვდილი უჩვენია დედოფლობას. აღშფოთებული მონიშეს ცეცხლოვანი სიტყვა მეფისადმი გვაზავახეულ თარგმანში ინარჩუნებს ექსპრესიულობას და აზრის სინათლეს. ლექსიკურ-სემანტიკური პლასტების ტრანსფორმაცია უმნიშვნელოა:

„ამ ბედითი სიყვარულის რომ წავშალე  
გულში კვალი-  
როცა ალი ჩავიშრიტე, ჩაქრა მისი  
ნაპერწყალი,  
როცა მისი მიზეზიც კი მოვიშორე თავიდანა,  
თქვენ მომაწყდით ეშმაკურად, მომაბჯინეთ  
ველში დანა,  
მეც გულ-წრფელად გამოგიტყდით, გვიან  
არის უკუ-თქმანი,  
და იმ ჩემსა აღსარებას აწ ვერ წაშლის დრო  
და ხანი.“

ქსიფარესი და ფარნაკე ხასიათით კონტრასტული პიროვნებები არიან, ქსიფარესი პატიოსანი, ქვეყნისთვის თავდადებული ვაჟაცი და ღირსეული სატრფოა, ის არ ჩაგრავს მონიშეს, უანგაროდ ასრულებს მის სურვილებს, ეს უფლისწული არ დალატობს მამას მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უმძიმს მონიშეს დათმობა, მითრიდატეს მიერ მოფიქრებული საბრძოლო გეგმის მოსმენის შემდეგ იგი ქარის სარდლობას თხოულობს რომის წინააღმდეგ დაშკრობაში, რათა ააცდინოს მძიმე ბრძოლები მშობელს. ქსიფარესის სიტყვა ისევე შთამბეჭდავია ქართულად, როგორც ფრანგულად, მთარგმნელის მიერ ჩატარებული ნაწილობრივი ტრანსფორმირება მხატვრულად გამართლებულია (თუ არ ჩავთვლით სტილისტურ დარღვევას: „მართალი ხართ, შურს რომ ეძებთ“).

ფარნაკეს სახით ავტორი ხატავს სამშობლოს მოღალატეს, რომელიც ტახტის მოსაპოვებლად არც ძმას ინდობს, არც მამას და რომაელებს ემხრობა. ის არ ამჟღავნებს რაინდულ თვისებებს სიყვარულში, პირიქით, მონიშეს ეპყრობა როგორც მბრძანებელი და არა შეყვარებული, ძალდატანებით აპირებს მასზე ქორწინებას, ფარნაკეს უსაზღვრო პატივმოყვარეობა და ქედმაღლური ტონი მონიშესთან საუბარში ადეკვატს პოულობს ქართულ ტექსტში. სადაც

ჩანს ლექსიკური ტრანსფორმაციის კვალი, მაგრამ მიღწეულია დედნის მხატვრული ეფექტი:

„დელოფალო! არა გემართებს ეხლა ხანის  
დაყოვნება,  
საქიოთა წასვლა ჩვენი, დავაჩქაროთ  
ქორწინება;  
ამას ითხოვს სამეფო და უფრო მეტად ჩემი  
გული:  
გვმიც უკვე მზადა არის პორტული და  
მოკაზმული,  
საყდრიდანა პირდაპირა აბრძანდებით ნაზე  
თქვენა  
და წიგნყვანს ზღვათა მფლობელს მხიარული  
ტალღის დენა“ (გვ. 24)

აქვე უნდა აღვნიშნოთ თარგმანში დაშვებული ზოგიერთი უზუსტობა.

ვინაშით ერთი პახაფი პოეტური თარგმანიდან:

„მითრიდატმა დამინახა, ეფესი და იონია  
მას ეჭირა, უტურფესი მას ქვეყანა არ ჰქონია,  
მან მომართვა ეს გვირგვინი, ცხადი იყო მის  
განძრახვა,  
ეს კანონი იყო ჩემთვის, ეს შეეძლო  
გადალაზება?“ (გვ. 26)

შესაბამისი აწკარდები ასეთია:

მითრიდატემ დამინახა, ეფესო და იონია  
მაშინ მის ბედნიერ იმპერიასთან იყო  
შეერთებული,  
მან იჩინა ჩემთვის ერთგულების ამ საწინდარს  
გამოგზავნა,  
ეს იყო უმიღლესი კანონი ჩემი ოჯახისთვის.

როგორც ვხედავთ, მთარგმნელს გამოუტოვე-  
ბია მითრიდატეს იმპერიის დამახასიათებელი  
ეპითეტი, ხოლო ეფესოსთან და იონიასთან  
საკუთარი ეპითეტი დაუმატებია. ვარდა ამისა,  
ქართულ ტექსტში გვირგვინი პირდაპირ არის  
დასახელებული, დედანში — მხოლოდ მეტა-  
ფორა მიუთითებს მასზე.

„შედარების („მშვენიერი, ვით არესი“) თვით-  
ნებური დამატებითაა გავრცობილი აგრეთვე  
ქსიფარესთან დაკავშირებული შემდეგი ტაეპები:

„და მიზეზი გამარჯვების, მშვენიერი, ვით  
არესი,  
განცვიფრებულ ჩემსა თვალებს წარმოუდგა  
ქსიფარესი“ (გვ. 148)

როგორც „რადამისტისა და ზენობიას“ გვა-  
ზავახეულ თარგმანში, ისე აქაც გვხვდება ზოგ-  
ჯერ არქაული ფორმები:

„ებყრა“, „მე მჭირია“, „დასაბყრობელად“,  
„განძრახვა“, „გაკირება“, „ჰწილია“, „აბრძანა“,  
„შეკლახავს“; ზედმეტი დეფიზის ხმარება:  
„ეკურატის-პირ“, „წაიგო-რა“, „არა-ძმურისა“,  
„დამღვარ-ვარ“

„მითრიდატეს“ ქართულ თარგმანში დედანთან  
შედარებით ხელს წაეპია გამოტოვებული.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ პიესის მთა-  
ვარი გმირის კიდევ ერთი თავისებურება: რახინის  
მითრიდატე ერთი მხრივ ტირანია, მეორე  
მხრივ — განმათავისუფლებელი იგი ქვეშევრ-  
დომ ქვეყნებს, რა თქმა უნდა, ახვევს  
საკუთარ სურვილებს, მაგრამ ტირანია კიდევ  
მათ რომაელთა სიხარბისა და სიხახტიკისაგან  
ტრაგედიის მიხედვით მითრიდატე მის სამეფოს  
გვირგვინს ფლობს, თვითონვე ამბობს, რომ მის  
მეგობარ ქვეყნებს უშიძით ხანგრძლივ ომებში  
მონაწილეობა, მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელია  
რომისგან თავის დაცვა.

ამგვარად, გიორგი გვაზავას შემოქმედებით  
თარგმანის წყალობით ჩვენს ლიტერატურაში  
დღეს ერთმანეთს ავსებს და აღამაზებს ლევან  
გოთუას ახალგაზრდა მითრიდატე, რომელიც  
ქართველი ტომებისა და ქართული სამეფოების  
შეკავშირებას უყრის საფუძველს, და რახინის  
მრავალგვარად დაბრძენებული და გა-  
ქაღარავებული ქართველთა დიდი წინაპარი.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, კრებიონის და  
რახინის ქართულ თემაზე შექმნილი ორი  
ტრაგედიის „რადამისტისა და ზენობიას“  
და „მითრიდატეს“ გიორგი გვაზავასეულ თარგ-  
მანებში შენარჩუნებულია დედნების იდეურ-ეს-  
თეტიკური ხაზი. ისინი ორგანულად ერწყმიან და  
ამდიდრებენ ქართული მხატვრული ლიტერატურის  
ნაკადს. ეს თარგმანები ატარებენ მათი  
შექმნის ეპოქის ენობრივ ნიშნებს, მაგრამ ამის  
გამო დღეს წინა არ დაედებათ. ამასთან  
დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ ცნობილი  
მწერალისა და მთარგმნელის რომან მიმინო-  
შვილის აზრი: „რა გამოვა, თუ ჩვენს რედაქ-  
ციას გავუკეთებთ ექვთიმე ათონელის, ეფრემ  
მცირის თუ ვხედავთ, ივანე მაჩაბლის თარგმანებს?  
მაშინ ორიგინალური მწერლობაც უნდა ვახ-  
წოროთ, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვუხწორებთ  
რუსთველს ფორმას „დაიჭირავს“!“

შემდგომი დახვეწის მიზნით სასურველია  
შექმნას „მითრიდატეს“ და „რადამისტისა და  
ზენობიას“ ოანამედროვე თარგმანები, ხოლო  
გვაზავასეულ თარგმანები ხავსებით იმსახურებს  
და უნდა გამოიცეს საქართველოში, ვინაიდან  
შემორჩენილი იშვიათი პარიზული ეგზემპლარები  
ვერს აკმაყოფილებს მრავალრიცხოვანი მკითხვე-  
ლის მოთხოვნილებას.

ხვდა რომ არაფერი შეექმნა გიორგი გვაზა-  
ვას, კრებიონისა და რახინის ამ ორი ტრაგედიის  
მშვენიერი თარგმანებიც იქმარებდა მისი სახე-  
ლის უკვდავსაყოფად.



თარგმნა მადეა შავლიაშვილმა

ოსკარ უაილდი

ოსკარ უაილდის მამას, ცნობილ არლანდიელ ქირურგს, არ შეეძლო თავი დიდ არისტოკრატად ჩაეთვალა. მან გზა შეაფთოაქობით გაიკვლია და კარიერა საკუთარი წურჭით გაიკეთა.

შრავალგვარი ტალანტით უზვად დაჯილდოებული კაცი ერთბაშად რამდენიმე საქმეს ებიძებოდა და საქმეც ცვილივით აღნებოდა ხელში. იყო მედიკოსი, არქეოლოგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ბრწყინვალე ლექტორი და არაჩვეულებრივად ნაყოფიერი მწერალი. რა სახის წიგნებს არ ბეჭდავდა: სვოფტზე, ბერანტეზე, მოწყვეტილ ვარსკვლავებზე, საექიმო მეცნიერების ახალ მეთოდებზე, მამლების ჩხუბზე, დაბეჩავებულ ირლანდიაზე. მოგზაურობდა აღმოსავლეთში, იყო სამეცნიერო-სამედიცინო ჟურნალის რედაქტორი, ლამის საჭინბოში აწყობდა ღარიბებისთვის თვალის და უურის საავადმყოფოს და ქირურგიული ტექნიკის სასწაულებით თანამედროვეთა აღტაცებას იწვევდა.

მთელ ევროპაში გაითქვა სახელი. ირლანდიის მეცნიერებათა აკადემიამ ოქროს მედალი მიანიჭა. დედოფალმა ვიქტორიამ ბარონეტის ტიტული უბოძა. შვეციის მეფე ოსკარმა პოლარული ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა ისპერატორმა მაქსიმილიანემ მექსიკაში დაბრუნებამდე გზად დუბლინში შეიარა და სახელგანთქმულ მკურნალს საექიმო რჩევას დაეკითხა.

დიდი სიბრძნე არ უნდოდა იმის დადგენას, რომ ხერ უილიამ რობერტ უილზ უაილდი დუბლინში ყველაზე შესანიშნავ ადამიანად ითვლებოდა. უამრავი ხალხი აწყდებოდა მის სამეცნიერო-პოპულარულ ლექციებს. ირლანდიის ეთნოგრაფიაზე დაწერილი მისი ნამუშევრები დღესაც ინარჩუნებენ ღირებულებას. მკვირცხლმა, დაუღალავმა, ცნობისმოყვარე, გულდია

უმაწვილმა ჩერ კიდევ სტუდენტობისას დაიწყო ხოფელ-ხოფელ ირლანდიული ეროვნული ხიმღერების ჩაწერა და ძველი რელიქვიების, ციხე-კოშკების ნანგრევების თუ თქმულებების შესწავლა.

დუბლინელები თავიანთ სახელგანთქმული თანამოქალაქის დიდ დამსახურებას აღიარებდნენ, მაგრამ მის მიმართ მცირეოდენ პატივისცემასაც არ გრძნობდნენ. ყველა მოგონება ერთბაშად ამტკიცებს, რომ იგი ძალიან ფუხფუხა, უწესრიგო, მოუსვენარი და ქალების მუსუსი კაცი იყო. ძალიან ხშირად ქალებსაც უშვარდებოდათ ეს უხუფთაო, მაიმუნის მსგავსი ექიმი. რას არ ჰყვებოდნენ მის სასიყვარულო თავგადასავლებზე. ჰყავდა ურიცხვი ქორწინების გარეშე ბავშვი. იყო ძალიან ნაწი და მზრუნველი მამა და სრულებით არ ცდილობდა დაემაღლა თავისი დონე უაილდის საგმირო საქმეები. ერთი ასეთი გმირობის ამბავი მთელმა დუბლინმა მაშინ შეიტყო, როცა გახმაურებულ სასამართლო პროცესზე, 1864 წელს, გამოიჩინა, რომ ახალგაზრდა პაციენტი ქალთან მკურნალობისას სასიყვარულო კავშირი დაემყარებინა.

ცოლი, ლედი ფრანცისკა უაილდი, ქმრის შესამიჯნურს საქმეებზე თვალს ხუჭავდა და, როცა სასამართლოზე ჰკითხეს, მეუღლის ღალატს როგორ უუურებთო, ამაყად უპასუხა, ასეთი წვრილმანები არასოდეს მაინტერესებდაო. ისეთი ქალი არ გახლდათ, უმნიშვნელო რამეების გამო თავი შეეწუხებინა.

აი, თქვენ მასთან სტუმრად მიდიხართ და შესახვედელშივე სასამართლოს ბოქაულს წააწყდებით, თურმე ქონების ახაწერადაა მოსული. ვიღაც თავზედი სუბიექტები ხავარძლებში გამოკიმულან.

— კრედიტორები არიან! — გეუბნებათ და

ქია. — ახლა უკვე ისინი ბრძანდებიან ბატონების!

აღელვებული არბიხართ ზევით, რათა ნუგეში სცემთ დაჩაგრულ ქალს: უველაგან უწებრიგობა და ხრული არეულ-დარეულობაა. სასტუმროში დივანზე მიწოლილი ქალი რაღაც ლექსებს ხმამაღლა კითხულობს. ხელში ძველი წიგნი უჭირავს.

— უური დაშიგდეთ, — ამბობს ქალი, — რა ხილამაზია, რა სიმწყობრე:

აი, რას გვასწავლის შენი წამება, ო, პრომეთეოს.

წიგნი ბერძნულია. ლედი ჩენი გატაცებით კითხულობს ბერძნულად.

აღსრულდა სიტყვა მალალ ზევსისა: მიწა ცახცახებს ჩემთა ფეხთა ქვეშ...

ეს ესკილეს „შიკაქვეული პრომეთეა“ ლედი ჩენმა ლათინურიც იცის, ძველბერძნულიც. მან უველა ენა იცის. მაგრამ რა უცნაურადაა ჩაცმული! აღისფერ ბალახონში გახვეული ერთიანად ბაფთებში, მაქმანებში, კუწუბებში ზის. სახეზე სქლად დაუყრია პუდრი და წარმართული კერპივით მედალიონებით თუ გულსაბნევებით მორთულა. ბეჭდები, სამაჭურები, ძვირფასი ქვები ვეებერთელა მკერდზე ბავშვებისა და მეგობრების მინიატურული პორტრეტები გამოუფენია. თუ საღამოს ეახლებით, როცა სასტუმროები გროვდებიან, მაშინ დაფნის მოოქროვილი გვირგვინით შემოგზვდებით. უმჯობესია შებინდებისას მიბრძანდით. მზის სინათლეს ვერ იტანს. მაშინ კი გაგიბამთ საუბარს მხატვრობაზე, პოეზიაზე, ირლანდიის პოლიტიკაზე, თან წარამარა დააყოლებს:

— შესანიშნავია!

არ

— საშინელია, სამარცხვინოა!

უხაზღვრო აღტაცება და უხაზღვრო აღშფოთება — ამ უკიდურესობაში გამოიხატება მისი სტილი. ენთუზიასტობა — მისი სპეციალობა იყო. მალალს, ბრგეს, ერთობ ჩასუქებულს, ფართო, შეშუპებული სახე მქონდა. თითქოს ერთთავად თეატრის სცენაზე იდგა იაფფასიანი მელოდრამის დედოფალი და ჩვეულ როლს თამაშობდა. ტუულიად კი არ იყო, მის მგზნებარე სიტყვებში გულგრილობა რომ მოისმოდა.

ისიც მწერალი გახლდათ და არცთუ ისე უნიკო. სპერანცის გაბმურებულ ფსევდონიმს შეფარებულმა, პაწაწინა კუნძულზე გადაიქუხა მალალფარდოვანი ფრაზებით გაჭედილი ლექსების ტომით, სადაც ირლანდიელთა გმირობას ასხამდა ბოტბას, ირლანდიური ლეგენდების, შელოცვებისა და ზღაპრებისადმი მიძღვნილი მისი წიგნების იზიდავდა პატრიოტთა გულებს. მაგრამ გაკარანჯულ და ბრტყელ-ბრტყელ ფრა-

ზებში ნამდვილ გრძნობას რიტორიკა ცვლიდა.

შესაძლებელია აქვე, სასტუმროში შეგზვდეთ მისი შვილი ოსკარი — განებივრებული და გასათუთებული ბიჭი არ დაიჭროთ, თუ დედამისი გეტყვით, ეს სახელი იშვით დავარქვი. შვეციის მეფე ოსკარს მისი ნათელი იყო. ეს წმინდაწყლის მონაწილეს უწოდებდა. თუ ბეტყვით, დიდებული დანტეს გვარის წარმომადგენელი ვარო, არც ამის დაჭერება იფიქროთ. უბრალოდ, დიდებული და ცნობილი სახელები მისი გატაცებაა. ოდესღაც რევოლუციას უმღეროდა. მაგრამ ძალიან ეამაყებოდა მეფის ნათელიდობა. ირლანდიელებს მოუწოდებდა: „ინგლისელი ტირანების წინააღმდეგ ლესეთ დანები!“ მაგრამ როცა იმ ინგლისელებმა მის ქმარს ტიტული უბოძეს, ჩაჩუმდა. რასაკვირველია ის გამორჩეული ადამიანი — მკვერპეტყველი, მახვილგონიერი, ბრწყინვალე, ენამოსწრებული, მაგრამ, როგორც კი დაშორდებით, თავისუფლად ამოისუნთქავთ.

ცოტა ნაკლებად ნიჭიერი რომ უოფილიყო, ცოტა მეტი გულწრფელობა და უხმაურო გულითადობა მქონოდა. უბრალოდ კარგი ქალი იქნებოდა. თუნდაც სცენები გაემართა ქმრისთვის, ოდნავ მაინც შემკრთალიყო სასამართლოს ბოქაულის დანახვაზე. მაგრამ არა, იქდა დივანზე და ესკილეს კითხულობდა. ხოლო თუ თქვენ პირდაპირი ადამიანი ბრძანდებოდით, ასე იოლად ვერ შეეგუებოდით მის ფერუშარილს, მოოქროვილ გვირგვინს. მის წამოძახილებას: „საშინელია!“, „ღვთიურია!“ — და თვით მაერიც, რომელიც მას ერტყა, როგორღაც არაგულწრფელი მოგეჩვენებოდათ.

ასეთ არაგულწრფელ მაერში, უალბ ღიმილში, ცოლქმურ ლალატში, გაზვიადებულ ეხსტებში, თეატრალურ ქოზებსა და მალალფარდოვან სიტყვებში იზრდება ჩასუქებული, განებივრებული ბიჭი ოსკარ ფინგალ ო' ფლაერტ უილზ უაილდი.

უხალისოდ, აგდებულად უყურებს ფანჯრიდან, როგორ თამაშობენ ბავშვები ფეხბურთს. ამპარტავანი და თავშეკავებულია. ჩერ თორმეტი წლისაა, მაგრამ გოგონებრ კულულებიან თავზე კვირაობით მაინც დაიხურავს ხოლმე ცილინდრს. სკოლის ამხანაგებს, რა თქმა უნდა, კირივით სძულთ ეს დარბაისელი ფრანტი. ერთ საღამოს, როცა სასწავლებლის ბაღში მოწაფეებს საზეიმო ნაბიჯით ამაყად ჩაუარა, ისინი თავს დაესხნენ, ზელ-ფები გაუკოტეს და მალალ გორაზე წაათრიეს. მტვერში გაჯანგ-

ლუღმა, დაკარგულ-დახისხლიანებულმა აღტაცებული მათურების პოზა მიიღო და წამდრებით წამოთქვა:

— რა გასაოცარი ხედი იშლება აქედან! ეს რომ დედამისის დასანახად მომხდარიყო, ექვი არ არის ქალს თვალი ზედ დარჩებოდა: მის აღზრდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ხომ არსებობს ეხეტებისა და პოზების გადაცემა მემკვიდრეობით.

— რა მშვენიერია ესქიდე! — აღტაცებით იძახის დედა და ხასხამართლოს ბოქაულის წინაშე ამპარტავნობს.

— რა მშვენიერი კეიზარია! — აღტაცებით იძახის შვილი და თავის შეურაცხყოფლების წინაშე ამპარტავნობს.

უველაზე საშინელი ის იყო, რომ ერთადერთი ადგილი, სადაც ოსკარ უაილდის დედა ხალხს ხვდებოდა, მისი განთქმული სალონი იყო, და სწორედ ამ სალონში გაიარა მწერლის ბავშვობის წლებმა, იქიდან მოყოლებული რესტორნები, მაღალი წრის უოველგვარი თავშეყრის ადგილები მის საყვარელ სტიქიად გადაიქცა. მათ გარეშე არც ცხოვრება შეეძლო, არც შემოქმედება. უძლეველი ძალით იზიდავდა ის შეკრული, ვიწრო წრე, რომელიც ინგლისში „უმაღლეს საზოგადოებად“ იწოდებოდა. ტყუილად არ ვსტუბით ასე წარამარა მისი წიგნების ფურცლებზე ამდენ წარჩინებულ პირს: ლორდ უოტონსაც, ლორდ მერჩისონსაც, ლორდ კენტერვილსაც, ლორდ არტურ სევილსაც, ლედი ილინგვორტსაც, ლედი უინდერმირსაც და ა. შ., და ა. შ., და ა. შ. ხვდა წრეს ის არსებითად არც იცნობდა. მოგვიანებით, მისი მწერლური დიდების წლებში, მაღალი საზოგადოების სალონებში მას დიდი სიამოვნებით იღებდნენ პერცოვა ვესტმინსტერიც და პერცოვა ნიუკასლიც; ხოლო ტახტის მემკვიდრეს, უელსის პრინცს, მომავალ მეფე ედუარდ VII-ს ლონდონის ცნობილი ლამაზმანის სალონში ხვებოდა, ლამაზმანისა, რომელსაც ორივე ეარშიუებოდა. „უმაღლესი საზოგადოების“ წარმომადგენელთა სახელებს მისთვის ისეთი მომზიბლაობა გააჩნდა, რომ თავისი საუკეთესო ნაწარმოებები წარჩინე-

ბულ ქალბატონებსა და თვით „მის უმაღლესობას“ მონაკოს პრინცესა მიუნდენა ახალგაზრდობის წლებიდანვე პარიზისა თუ ლონდონის არისტოკრატიულ სალონებში იქნით მოფენილ მაგიდასთან ბრწყინვალე ქალღმერთი მასლათით ხიბლავდა მაღალი საზოგადოების ბრბოს. ის მასლათის გენიოსი იყო, სამაგიდო მუსიკის სახელგანთქმული ოსტატი, უმაღლესი წრის უველაზე გაწაფული, დახელოვნებული მოლაპარაკე. ამ დარგში ტოლი არ მოეპოვებოდა.

იმ დროს პოპულარული ეურნალისტის ფრენკ მარისის აღიარებით, დიდი ხნის მანძილზე უაილდთან შეხვედრები მასში დაუძლეველ ზიზღს იწვევდა. მარისს სძულდა მწერლის გასათუთებული ლოყებიც, ამპარტავნული მანერებიც, მეტიმეტად მოხდენილი კოსტიუმიც. მაგრამ, აი, დაილაპარაკა უაილდმა და. — „მე უკვე ვეღარაფერს ვხედავდი გარდა მისი შთაგონებული, ხან ჩაფიქრებული, ხან მოცინარე თვალებისა, აღარაფერი მესმოდა, გარდა მისი რბილი, მუსიკალური ტენორისა. და უკვე ვეღარაფრით ამეხსნა საკუთარი თავისთვის, რა მაღიზიანებდა მასში პირველ ხანებში“! — იგონებს ჭარისი.

„როცა ის ლაპარაკობს, ასე მგონია, მის თავზე შარავანდედს ვხედავ“, — წამოიძახა ერთმა მაღალი საზოგადოების მანდილოსანმა, აი, რა, ჩაწერა მასთან შეხვედრის თაობაზე მწერალმა ეს უოზეტ რენომ (Renaud): „მან დაგვათრო უმაღლესი ლირიზმით. მისი სიტყვები სიმღერახავით ნაზად გაისმა, მისი ხმა საოცრად აქლერდა. ეს ინგლისელი თავდაპირველად ასე მხატვრულ-პოზიორად რომ მოგვეჩვენა, ახლა ჩვენ წინაშე აღავლენდა — თანაც ისე უბრალოდ და გულთადად — კაცობრიობისადმი მიძღვნილ ერთ უველაზე მომზიბვლელ ოდას. ბევრი ჩვენგანი გულაჩუუებული ტიროდა. წარმოდგენაც არ შეიძლებოდა, რომ ჩვეულებრივი, ადამიანური სიტყვები ასეთ დიდებულ ბრწყინვალეებას მიაღწევდა. თანაც, რუ დაგავიწყდებათ, რომ ეს უველაფერი ხასტუმრო ოთახში ხდებოდა და ის ისე ლაპარაკობდა, როგორც ხასტუმრო ოთახშია მიღებული“.

„კაცობრიობის ისტორიაში, — გვიმოწმებს მისი მეგობარი რობერტ შერარდი, — არ არსებობდა ასეთი თანამოსაუბრე. ის ლაპარაკობდა და უველა, ვინც უსმენდა, გაოცებაში მოდიოდა, რატომ არ უსმენდა მას მთელი კვეუნიერბა“!

„უაილდი თავისუფლად ფლობდა მაგიდასთან საუბრის უოველგვარ სტილს, — ამბობს მისი

1 მწერლის უახლეს ბიოგრაფს ჰესკეტ პირსონს ეს ეპიზოდი ნაკლებ სარწმუნოდ მიაჩნია, რადგან თვლის, რომ იმ დროისთვის უაილდი ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი იყო. სამწუხაროდ, ბიოგრაფი ისეთ მდარეზარისხოვანი წყაროს ემყარება, როგორცაა ყვითელი ამერიკული გიზეთის ერთი შენიშვნა, რომლის დარდიმანდულმა სტილმა არ შეიძლება მის სარწმუნოებაში არ დაგაეჭვოთ. აქ უაილდი თითქმის ათლექტად (!) არის გამოყვანილი.

1) Frank Harris, Oscar Wilde. His Life and Confessions, NY, 1916. p. 93.

ბიოგრაფი მეკეტ პირსონი. — შექმნილი სურვილისამებრ გამოეწვია ხან უდარდელი ღიმილი მსმენელისა, ხან ცრემლები, ხაოცრად ცოცხალი მკვერმეტყველებით, თავაწყვეტილი გროტესკებით და უცნაური ფარსით შექმნილ გამოგონებულ, ფანტასტიკურ სამყაროში გადაესროლა, გული აეჩვილებინა, თავშეკავებული ხარხარი გამოეწვია“<sup>2</sup>

ცნობილმა პოეტმა უილფრიდ სკოენ ბლანტი — გამოცდილმა და ბევრის მნახველმა კაცმა, ვისაც ხუთ არ ახასიათებდა გადაჭარბება-გაზვიადებანი, თავის დღიურში ჩაწერა: „უაილდი სრულიად შეუდარებელი მოხაუბრე იყო. ყველაზე სახწაულებრივი, როგორცაო დესმე შევბვედრივარ — უაღრესად ენამოსწრებული, მახვილგონიერი, შეუპოვარი, არ არსებობდა კაცი, ვისაც არათუ მეტყველების ბრწყინვალეობით მისი დაჩრდილვა, არამედ საზოგადოებაში მის გვერდით რაიმეთი თავის წარმოჩენა შესძლებოდა“.

იგივე ბლანტი ესწრებოდა ლიბერალების ყოვლისშემძლე ლიდერთან, შემდგომში პრემიერ-მინისტრ ჰერბერტ მენრი ასკვიტთან გამართულ, მისივე გამოთქმით, „მომზიბველელ საუბრეს“, ხადაც ოსკარ უაილდიც იყო. „იქ მყოფთა შორის, — იგონებდა პოეტი, — ხოლო ბევრი მათგანი მაგიდასთან საუბრის ხელმოვნებას ბრწყინვალედ ფლობდა, რა თქმა უნდა, ის უბრწყინვალესი იყო. სურვილისამებრ პაექრობდა ხან ერთთან და ხან მეორესთან. ხაოცრად იოლად გაბნიდა ყველას. განსაკუთრებით ბეჭერ აგემა დამარცხება მასპინძელს, ასკვიტს, რომელმაც რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა, საპატიმროში გაგზავნა იგი“<sup>3</sup>

მაგრამ იქაც, სატუსაღოს კედლების შიგნითაც, როცა, დაუძღურებულნი, ციხის საავადმყოფოში მოათავსეს, საწოლზე ჩამოქდა და თავისი წარმტაცვი, დახვეწილი საუბრით საპატიმროს პალატა საღონად გადააქცია. ახლა პატიმრებს, ქურდებს და მკვლელებს აჯადოებდა ისევე, როგორც ადრე მაღალი წრის ბატონებსა და მხატვრებს. თითქოს ხალხების შემერეზადა უოფილიყო, საწიემოდ განწყობილ უსაქმო ხალხში უყვარდა ტრიალი თავისი მაგნიტიზმით. ან რა მისი ტემპერამენტის მქონე კაცის საქმე იყო მაგიდასთან ჩდომა და ქაღალდზე კალმის წრიპინი. „მე შექმნილი ცნობილი მწერალი გავმხდარი“

რეყავი, მაგრამ ეს ხომ იოლზე იოლი საქმე იყო“. აცხადებდა ჩვეულო სიყვარულით და მეგობრებს ახსენდებოდათ მისი უამრავი დაუწერელი მოთხრობა, კოცმა, ლექსები და აურაცხელი შეუქმნიელი შემოქმედება. „პოეზიის სამსახურისთვის მუშაობისას პოეტურ ვარ“ — ამბობდა ის სიუჟეტს, რაც კი თავში მოუვიდოდა, სიამოვნებით თავაზობდა ძმას უილიამს. შურნალების და კაზეტების წვრილფება თანამშრომელს, ხანდახან უილიამი ერთ დილას ერთხაშად ხუთ თუ ექვს სიუჟეტს იღებდა

ის მეფეც იყო სალონებისა და მონაც, რადაც განსაკუთრებით, სხვაგვარი ტონით წარმოსთქვამდა ნაცნობი მარკიზებისა და ლორდების ტიტულებს. „ჩვენი წრის ადამიანები“. — ასე უწოდებს მათ პატიმრობისდროინდელ წერილებში. დედასაც, სხვებთან საუბარში, უთუოდ „ბრწყინვალეზად“ (Lodyship) ახსენებს და ისე ჰყვება მასზე, როგორც საგვარეულო მამულებისა და ციხე-კოშტების პატრონზე. „წინაპრებისგან მემკვიდრეობად ამაყი არისტოკრატიული სახელი მივიღე“. — აცხადებს იმავე წერილებში. მაგრამ, რა თქმა უნდა, ბრიტანული მაღალი საზოგადოება, რომელიც მას იღებდა, როგორც ბრწყინვალე ლიტერატურულ ლომს, მასში მაინც უცნოს ხედავდა და ზევოდან დასცქეროდა. ის კი მაინცდამაინც მისკენ მიილტვოდა.

ფლანერობა, დენდრობა მისი პატივმოყვარეობის მწვერვალი იყო. ოთხმოციან წლებში შემოსავლის გულისთვის ღონდონის გაზეთებში თანამშრომლობდა: არის კრიტიკოს-ფელეტონისტი, შავი მუშა. მაგრამ ყოველი ღონით ცდილობდა დამალოს ხელობა და თავს უსაქმურად, ცხოვრების ნებიერად ახალბებს. „საგულდაგულოდ ამორჩეული ვარდის კოკორი სიწმინდესა და უმანკოებაზე უფრო ეშეპტურია“. — ეს მისი გამოთქმაა. „ღამაზად შესკვნილი ბალსტუბი — ცხოვრებაში გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯია“. „მხოლოდ ზერეღე ადამიანები არ მსჯელობენ გარეგნობის მიხედვით“, — უმეორებს ის თავის მოწაფეებს. მოწაფეები კი მუდამ ბევრი ჰყავდა. ის მათ აწწავლიდა, როგორ უნდა ეტარებინათ ვიღეტები, როგორ მოედრიკათ თავი სიღამაზის წინაშე, პირდაპირ აჯადოებდა მათ საუბრით — რაზეც გნებავთ, ვისზეც გნებავთ, მაგრამ ყველაზე მეტად წიგნებზე. წიგნები უყვარდა ისე, როგორც ყვავილები უყვართ, ფერადი ქვებივით არჩევდა და ალაგებდა მათ. დედაც და მამაც გამორჩეული მწიგნობრები ჰყავდა. და თვითონაც თავისი მგობრობიარე ბუნების მთელი მგზნებარება დაბეჭდილ ჭვერდებს მიუძღვნა, მასწავლებელი,

1) The Life of Oscar Wilde by Hesketh Pearson, London 1949 p 207-208.

სიამოვნებათა მოციქული და ნებინი — ეს  
პოეზია უკვე აღარ შეტად მოსწონდა.

„რატომ ვუცხადებთ ამდენ თანაგრძობას და  
ტაკოა ტანჯვას? ამას კი არა, ცხოვრების სი-  
ხარულს, სილამაზეს, ცხოვრების საღებავებს  
უნდა თანავუგრძობდეთ“.

დაუსრულებლად ამტკიცებდა, რომ უკველ-  
გვარ მსხვერპლს, უკველგვარ ასკეტიზმს გადა-  
გვარებასა და ველურობამდე მივყავართ.

— განა უკველივე ის, რისი დაგემოვნებაც  
სასიამოვნოა, დაგემოვნებლისთვის არაა შექმ-  
ნილი? და განა იმაში, რაც დახალევადა ტკბი-  
ლია, მაინც დამაინც შხამია გარეული?

ფიზიკურად ვერ იტანდა ულამაზოებს და  
ლატაკებს, ერთხელ კინაღამ გაიქცა მეგობრის  
სასტუმრო ოთახიდან, რადგან იქაურების  
მოწყობილობა მოხდენილად არ მოეჩვენა.

— კიდევ ერთი წუთი რომ დავრჩე აქ, ავად  
გავხდები!

და ზუსტად ასევე — გაიქცა, როცა რომელი-  
ღაც ჯურღმულში შევიდა, სადაც სიღარიბე იყო  
გამეფებული — კიბეზეც არ ავიდა, ერთი შეხე-  
და და შეძრწუნებულმა ხახწრაფოდ დატოვა  
იქაურობა. პოეტ ვერღენს აღშერთებდა, მაგრამ  
როცა გაიცნო და ნახა, რა ულამაზო იყო,  
საერთოდ უარი განაცხადა ნაცნობობაზე.

— არ შემოდია, — ამბობდა კირვეულად. —  
არა, არაფრით არ შემოდია — მთელი ამერიკა  
შემოიარა, ბევრი ქალაქი იმდენად უღიმღამო  
და უსახური გრძენა, რომ, მისი სიტყვებით,  
„აღბათ ბოროტმოქმედების სურვილს აღვიძებ-  
და“. სინსინატის ერთ მაცხოვრებელს ასეც  
უთხრა: გაუგებარია, თქვენი ბოროტმოქმე-  
დები სახამართლოს წინაშე თავის გახამართ-  
ლებულ მიწეზად რატომ არ ასახელებენ ამ  
ქუჩების, სახლებისა და მოედნების სიმამინჯე-  
სო.

ხურათებით და რითმებით ტკბებოდა, მაგრამ  
პოეტებისა და მხატვრების მიმართ თაყვანის-  
ცემას როგორღაც უცნაურად გამოხატავდა, მათ-  
ზე შეყვარებული უკველნაირად ბაძავდა მათ  
და თუ, მაგალითად, საწერ მაგიდასთან შავკა-  
პიუშონიანი თეთრი ანაფორით ჯდებოდა, მხო-  
ლოდ იმითომ, რომ ასეთ ანაფორას ბალზაკი  
ატარებდა, თუ აბსენტს სვამდა, მაშ ბოდლერს  
ბაძავდა, მაგიდაც ისეთი დაიდგა, როგორც  
კარლილს ჰქონდა. ხმაც კი არ გააჩნდა საკუთა-  
რი, ხმაც მშვენიერი იმიტაცია იყო ხარა ბერ-  
ნარისა, რომის ვარცხნილობა ისეხა მარმარი-  
ლოს ნერონისაგან, რომელიც ლუვრშია მოთავ-  
სებული. მისი რომანი „ღარიბი გრების პორტრე-  
ტი“ ბალზაკისა და გეისმანის განსაცდარი წა-  
ხაძულულობა, მის ზღაპრებში ბევრი ანდერსე-

ნია, მისი ცნობილი პოეზია „მეძვის საბლი“  
ედგარ პოსა და ბოდლერის შეთავსებაა.

სიყვარული მისთვის იმიტომეტიწმინდაა,  
კრიტიკოსები არაერთხელ იმუხრებენ, რომ მი-  
სი ხელოვნების ფილოსოფია მის მიერ, ასე  
ვთქვათ, ქირით იყო აღებული [ქუჩისა და ქორი-  
სისა და სხვა „ხეტეტიებისა“] — მისი ცხო-  
ვრების წინათ აუქანედენ მხატვრობაში უმს-  
გავს და მუშინაურ რუტინას, კრიტიკოსები ფიქ-  
რობდნენ, რომ ეს ეპიგონი და იმიტატორი  
ლიტერატურის მომავალ ისტორიაში უკველზე  
მოკრძალებულად აღვილს დაიკავებდა. მაგრამ  
ისტორიამ სხვაგვარად გადაწყვიტა მან უძველეს  
წარსულში გადაადგილს ოსკარ უაილდის ბევრი  
წინამორბედი, რომელთაც ვითომდა მონურად  
ბაძავდა, მაგრამ მტკიცედ, მრავალი წლებით და-  
ამკვიდრა მთელ ქვეყანაზე მისი სახელი, რომ-  
ელიც ესოდენ საეჭვოდ, დღემოკლედ და  
უღონოდ გრძენებოდათ.

რადგანაც ის, ვის ნაწარმოებებში თანამეფ-  
როვენი სხვათა შთაგონებისა და სტილის მხო-  
ლოდ და მხოლოდ ექონს ხედავდნენ, მისი სიყ-  
ვდილიდან სულ მალე ქთელი სამყაროს მიერ  
აღიარებულ იქნა, როგორც ერთი უკველზე ორი-  
გინაღმურად მოაზროვნე, მოაზროვნე, ვინც  
ლიტერატურაში თავისი სათქმელით მოვიდა.  
ვინც სხვადასხვაგვარი ნიღბის ქვეშ, მსუბუქი  
სოფიზმის ჩენჩოს ქვეშ მკვეთრად გამოხატული,  
განუშეორებული პიროვნება შეინარჩუნა, ნიღ-  
ბები კარგა ხანია ჩამოსცილდნენ, მერე აღ-  
მოჩნდა (ხაწუნბაროდ, გვიან), რომ მათ ქვეშ  
იმალებოდა არა მარტო მახვილი და გესლიანი  
სიტყვის ოსტატი, არა მხოლოდ მრავალგვარი  
ტალანტების მატარებელი, არამედ უდიდესი  
ღირებულების პოეტური ქმნილებების შემოქმედი,  
ვინც უკველზე აშკარა მიბაძვისხაც კი სრულიად  
თავისთავადი რჩებოდა და მკვეთრად გამოხატუ-  
ლი პიროვნებით იქით ასვამდა სხვებს დალა-  
და ბეჭედს.

მის თანამედროვეებს, ვიმეორებ, სრულიად  
სხვაგვარი გრძენებოდათ.

მათ უკველზე შეტად თვალში ხვდებოდათ —  
და არც შეიძლებოდა არ მოხვედროდათ — მი-  
სი პიროვნების სულ სხვა თვისებები, მთლია-  
ნად რომ უმაღლავდა ირგვლივ მყოფებს ქვე-  
მარტ ოსკარ უაილდს, რომელსაც ჩვენ ვიც-  
ნობთ ახლა.

ის მათ მიაჩნდათ მოლაყბედ, რომელსაც ლა-  
პარაჟის მეთი არაფერი შეეძლო და რეკლამი-  
სათვის, საგაზეთო ხმაურისათვის, ლიტერატუ-  
რული ტრიუკებისა თუ ჩხუბისათვის იყო მუ-  
დამ მზად, მართლაც, უნდა ითქვას, რომ მის  
საქციედეში, საუბრებსა და განსაკუთრებით ნა-  
წარმოებებში აშკარად გამოხატვის თქვენი გა-

ოგნების, სახტად დატოვების გამუდმებული წყურვილი. ცდილობს გაგაოცოთ რაიმე ექსცენტრული კაცით. ეფექტური პარადოქსით. რომელიც ჩვეულ წარმოდგენას ნივთებსა თუ მოვლენებზე ერთიანად შეგაცვლით.

III

განსაკუთრებით აშაზრუნად თანამედროვენი მისი ბიოგრაფიის იმ პერიოდს მიიჩნევენ, როცა — უნივერსიტეტის სკამიდანვე — ესთეტიკის როლში დაიწყო გამოსვლა. მეტიმეტად ვულგარული იყო ეს როლი. მეტიმეტად წაგავდა მასხარაობას, თვითრეკლამას, იაფფასიან სენსაციას. თითქოს საგანგებოდ, მთელი ლონდონი თავის ესთეტიკაზე უაზრო მითქმა-მოქმით რომ აეკლო. ექსტრავეგანტური „ესთეტიკი“ კოსტიუმებით ირთვებოდა. ყველა ზომას იღებდა, რათა იხიცი და თავიც კარიკატურების, შარვების, ანეკდოტების და ეპიგრამების სამიზნედ ექცია. „ესთეტიკის მოციქული“. „ესთეტი“ — რადიკალი ჩინად. თანამდებობად. კარიერად. პროფესიად. საზოგადოებრივ მდგომარეობად გადაექცა. „ესთეტიკური“ კოსტიუმი საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად საგანგებოდ იყო გაანგარიშებული. მოკლე შარვალი მუხლებამდე სწვდებოდა, შავი, გრძელი წინდები ეცვა, ოქროსფერი ბავერდის პიჯაკზე ვეებერთელა ყვავილის კოკორი (ხან შროშანი, ხან მზესუმშირა) ჰქონდა დაკოსებული. ამასთან ერთად — მაშინდელი ინგლისური ყოფისათვის ყოველად უჩვეულო და მიუღებელი — მხრებამდე ჩამოშლილი წაბლისფერი კუთულები. უნდა ვიცოდეთ, რა მკაცრი მომთხზველობით ეკიდებოდა მაშინდელი ინგლისური „კარგი საზოგადოება“ მამაკაცის ტანსაცმლის ფორმას მალაღი წრის რაუტებსა, წვეულებებსა, სადილებსა თუ მეჭლისებზე, რომ წარმოვიდგინოთ, რანაირი ლაპარაკი ატუდებოდა ამ ახალგაზრდა „ესთეტიკის“ ქამბაზურ ჩაცმულობაზე.

— რას გულისხმობთ სიტყვა ესთეტიკაში? — წარამარა ეკითხებოდნენ რეპორტიორები და ისიც გაბრწყინებული სახით უბხნიდა, რომ ეს „უდიდესი აღმოჩენაა ცხოვრების უდიდესი მიხტერიისა“. ისინიც იწერდნენ, ზრდილობიანად იღიშებოდნენ, მაგრამ არც ერთ სიტყვას არ იჭერებდნენ.

როცა პროვინციაში თავის ესთეტიკაზე ლექციის წახაკითხად ჩადიოდა, მონსტრუოზული ანონსები იუწყებოდა:

- ის მოდის!!!
- ის მოდის!!!
- ის მოდის!!!

- ვინ მოდის???
- ვინ მოდის???
- ვინ მოდის???

- ოსკარ უაილდი!!!
- ოსკარ უაილდი!!!
- ოსკარ უაილდი!!!



უდიდესი ესთეტი!!!  
უდიდესი ესთეტი!!!

და მისი ესთეტიკის ირგვლივ მუდამ სკანდალის მსუბუქი ჩრდილები დარიალებდა. თითქოს საგანგებოდ ცდილობდა საკუთარი რელიგიიდან კომედია შეექმნა. მაგალითად, ყვებოდნენ, ერთხელ მისი ქირვეული მწერა აღაწფოთა ვიღაც უცნობი მათხოვრის არაესთეტიკურმა ძონძებმა, რომელსაც ბშირად უჭურებდა ფანჯრიდან. და აი, გადაწყვიტა. იმ საცოდავისთვის „იდეალური მათხოვრული კონკეები“ შეეკვეთა — მოხდენილი და თვალწარშტაცია. თავის საუკეთესო თერძთან წაიყვანა, უკანასკნელ მოღაზე გამოაწყო და მერე თვითონ დაუნიშნა ის ადგილები, სად უნდა დაეხვრიტა და ლამაზად, სიმეტრიულად დაეღაქა, რათა ამას იქით თვალში იხეთი არაფერი მოხვედროდა (ქუჩა-შიც კი). რაც უხიაშოვნო შბათქდილებას გამოიწვევდა. ამერიკაში გამგზავრებისას საბაფოს მოხელეებმა ჰკითხეს, ისეთი ხომ არაფერი მიბქონდა, რაზეც ბაჟი უნდა გადაეხადა.

— არაფერი, გარდა გენიოსობისა! — უპასუხა მან.

თვით ეს ტურნეც ამერიკაში. ოსკარ უაილდი ახეთ ტურნეს ვერასოდეს მოაწყობდა. მისგან სკანდალური სენსაციების მოლოდინი რომ არ ჰქონოდათ და ამერიკულ თუ ინგლისურ პრესას ბმაურიანი რეკლამა არ მოეწყუო მისთვის და მისი ესთეტიკისთვის.

ამ რეკლამაში მცირე როლი როდი შეასრულა ცნობილი იუმორისტის იულიამ ჩილბერტის მუსიკალურმა კომედიამ „მოთმინებაში“. სადაც გამოყვანილი იყო „ესთეტების“ მთელი ხანდა, რომელსაც სათავეში მოსულელო არჩიბალდ ბროსვერი ედგა. მასში მავურებელი ოსკარ უაილდს ხცნობდა და გულიანად იციწოდა.

მალე კომედია ამერიკაში გადაბარგდა. რადგან ამერიკელებს „ესთეტები“ თვალთ არ ენახათ, სანახაობას მთელი მარლი ეკარგებოდა. პიესის წარმატებაზე ზრუნვამ ანტრეპრენიორს შესანიშნავი აზრი შთააგონა. მან ამერიკაში დაიბარა ოსკარ უაილდი, რათა მას, რაც შეიძლება ხმამაღლა ექადაგა თავისი „ესთეტიკაში“. დაე, მავურებელმა დასცინოს მის ქამბაზურ კოსტიუმებს. მით უფრო მეტი სიაშოვნებით იგლის იმ კომედიის საყურებლად, სადაც ის არის გამოყვანილი.



მეორე მხრივ, ის მაყურებელი, რომელმაც უკვე ნახა კომედია, მეტი ინტერესით მივცოცხალი ესთეტიკის სანახავად, როცა ის თავის ლექციას წაიკითხავს. ლექციების წარმატება სრულიად უზრუნველყოფილი იყო — ორჯონიძის წარმატება, რომელსაც საფუძვლად უაილდისადმი უღრმესი უპატივცემულობა იყო. მაგრამ მას ეს სრულდებით არ აწუხებდა და 1892 წლის 2 იანვარს ხომალდ „არაზონით“ ჩავიდა ნიუ-იორკში, რომელმაც რეპორტიორების მთელი ხროვა დაახვედრა.

ნიუ-იორკელი მაყურებელი მის პირველ ლექციას სენსაციის, სკანდალისა და ტრიუკების იმედით მიაწვდა. არავის გაუკვირდებოდა, მაგალითად, უაილდი ესტრადაზე რომ გამოსულიყო, თავით დამდგარიყო ან შლაპიდან ერთი წყვილი კურდღელი ამოეძვრინა, ასეთი რეპრეტაცია მქონდა. მოელოდნენ, რომ აუცილებლად იმ გამოთაყვანებულს ემგვანებოდა, რომელიც თავის მუსიკალურ კომედიაში გამოიყვანა ქილბერტმა. მკერდზე დაკოსებულ გიგანტურ უვავილს მიაპყრობს მადმერთებელ მწერას, ბურტუნით აღუვლენს სასაცილო მიმნს მოკლე შარვლებს ან იქვე, მთელი მაყურებლის თვალწინ იების პუდინგს დაამზადებს.

მაგრამ რსკარ უაილდმა თავშეყრილები იმაზე მეტად გააოცა, ვიდრე ისინი მოელოდნენ. მან უდიდესი სიურპრიზი მიაჩვენა დარბაზს. ესტრადაზე გამოვიდა, თან გამოიტანა საკმაოდ მძიმე ხელნაწერი და დიდებული იერით, რამდენადმე გაბღენძილდაც წაუკითხა მათ ძნელად გასაგები ლექცია, რომელშიც თავი მოიწონა შეხანიშნავი ერთეულით, ლამაზი და მრავალფეროვანი ენით. იგი განადიდებდა ხელოვნების აღორძინებას, რომელსაც, მისი სიტყვით, განიცდიდა იმდროინდელი ინგლისი. თავით ფეხამდე არტისტმა შეუმცდარი სცენიური გუმანით გამოიყენა, რომ უოველგვარი ხენსაციის გამორიცხვა ამ შემთხვევაში უველაზე ძლიერი სენსაცია იქნებოდა. ამიტომაც ნაცვლად კლოუნის ტრიუკებისა, რასაც მოელოდნენ, მან საზეიმო ქადაგება წარმოთქვა იმ სასწაულმოქმედებაზე, რასაც ხელოვნება ცხოვრებაზე ახდენს. თანაც თავისი თანამორწმუნეების და ერთგული მკავშირეების შემადგენლობაში შეიყვანა გოეთეც, უილიამ ბლერიც, ჩოსტრიც, ფოკრიტეც, კიტხიც, ჯონ რესკინიც, დანტე გაბრიელ როხეტეც, ბერნ ჯონსიც, უილიამ მორისიც და ათიოდე სხვა, მისი აუდიტორიისთვის სრულიად უცნობი ავტორი.

და თუმცა ამ ამერიკული ბრბოსათვის მოელო ლექცია აბდაუბდად გაისმოდა, მსმენელი დაატყვევა მისმა ლაღმა, მომხიბლავმა ხმამ, ამაყმა, შროიანმა აღნაგობამ და იმ ახალგაზრ-

დულმა მგზნებარებამ. რითაც იგი ამ ხალხისათვის უცხო ღმერთს — სილამაზეს თავის მიმნებს უფალობდა.



მისი ანტრეპრენიორი წესბა, რომ ამ პირველ გამოსვლაში, რომელზედაც რიკის მანძილზე გამყვიროდნენ, რიკის გორც მოხალოდნელ სუფრატორებს უაილდს ისე წესიერად და დინჯად ეჭირა თავი, ეჭვი არ იყო, ჩავარდნა არ ასცდებოდა. მაგრამ ტაშმა, რომლითაც ლექციის შემდეგ დააქილდოვეს უაილდი, და პრესის სასიამოვნო გამოხმაურებამ გადააწყვეტინა მთელ ამერიკაში ლექციებით მოგზაურობა შეეთავაზებინა მისთვის. უაილდმა მიიღო ეს წინადადება და ქალაქიდან ქალაქში, შტატიდან შტატში გადადიოდა. წაიკითხა სამოცი თუ სამოცდაათი ლექცია, რომელთაც გამუდმებით თან სდევდა წარმატება ამავე დროს ხმაური და აურზაური.

უაილდი უოველ ქალაქში სხვადასხვანაირად იქცეოდა. ერთში მახზარაობის ზღვარზე იდგა — უჩვეულო ესთეტიკურ კოსტიუმში გამოწყობილი, რეკლამისტსა და პოლიორს თამაშობდა. მეორეში — წუნდაუდებელ ჭენტლმენს, კარგად აღზრდილ დენდს, მაღალი და დახვეწილი კულტურის ადამიანს, მესამეში — ენთუზიასტ-მქადაგებელს, ვინც ცოდვებსა და შეცდომებში ჩაფლულ ქვეყნიერებას აუწყებდა, რომ მისი საშველი მხოლოდ ხელოვნებაში იყო. შეუცდომელი თეატრალური ინსტინქტით დაქილდობული, ესოდენ განსხვავებულ როლებს ვირტუოზულად თამაშობდა, გუმანი ხვდებოდა. სად რომელი გამოდგებოდა.

საერთოდ ესტრადებსა და ხალხით გაქედულ დარბაზებში, ათასობით ადამიანის თვალწინ უაილდი თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. თავდაპირილსა და გულგრილ ბოსტონში სამოცმა სტუდენტმა მისთვის დემონსტრაციის მოწყობა განიზრახა. სცენაზე გამოსვლისთანავე ცენტრალურ გასასვლელში უკანა კარიდან წინა რიგებისკენ, ახალგაზრდობის დაწვენილებული მწკრივი გამოემართა. თითოეულს ისეთი ესთეტიკური კოსტიუმი ეცვა, როგორშიც უაილდის დანახვას მოელოდნენ. თითოეულს ბუტაფორული უვავილი ეჭირა: ვის მწეხუმზირის, ვის ჯეჟრი შროშანისა, და ისეთი პრანქია ღიმილით დასცქეროდნენ, თითქოს ამ უვავილით მოხიბლული მწერის მოწყვეტა მათ ძალას აღემატებოდა.

„სამოცი“ გამოსვლის მზადებაზე ადრევე გაფრთხილებული უაილდი ესტრადაზე უზადო ხალამოს კოსტიუმში გამოწყობილი გამოცხადდა და ისეთი ქედმაღლური ირონია შეაგება მათ, რომ მიწის გახეთქვა და შიგ მოყოლა ანატრებიცა, მან მშვენიერად შეძლო ბოსტონე-

ლი მხმენელის წინაშე რესპექტაბელური და მკაცრი მენტორის როლი გაეთამაშებინა, მენტორისა, რომელიც გულკეთილი და ცინიკით შესცქეროდა ცხვირმოუხოცელი უმადოელობის სულელურ სიანცეს.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ახალ ადგილზე ჩასვლისას ისევ არ აიშვებდა თავს და უველაფერს თავიდან არ გააკეთებდა, ოღონდაც ამერიკაში წამით არ შეწყვეტილიყო მის უცნაურ გამოსვლებსა და ახირებულობებზე დარბეული ხმები.

IV

თანამედროვეებისთვის იოლი საქმე როდის იყო შერიგებოდნენ ოსკარ უაილდის უცნაურობებს.

მართლაცდა, ხომ შეეძლო სინამდვილეში თავის ესთეტიზმზე სერიოზულად, დაკვირვებულნი კაცის ტონით ელაპარაკა, მეცნიერის სრული ავტორიტეტით, რადგან ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში ერთი, ყველაზე განათლებული, კოლოსალურად ნაკითხი ადამიანი იყო. ღრმად მკონდა შესწავლილი ყველა საკითხი, რომელთაც თავისი „ესთეტიზმის“ პერიოდში სიამოვნებით ახურდავებდა კალამბურებსა და ხუმრობებზე.

სწავლის წლები ბევრად უფრო გაუხანგრძლივდა, ვიდრე მისი თანატოლების უმრავლესობას. ის დაიბადა დუბლინში (1854 წლის 18 ოქტომბერს)<sup>1</sup>, ათი წლის მიიყვანეს დუბლინის საუკეთესო სკოლაში — „პორტორის“ სასწავლებელში, მალე არაბავშვური მგზნებარებით გაიტაცა ძველბერძენ კლასიკოსთა შემოქმედებამ, რადგან ადრეულ წლებში (შესაძლებელია დედის გავლენით) მთელი გულითა და სულით შეიყვარა „ღვთაებრივი ელინური სიტყვიერება“. ესქილე, ევრიპიდე, სოფოკლე ბავშვობიდანვე მისი განუყრელი თანამგზავრები გახდნენ. ყველაზე ძვირფასი მისთვის სახლიდან გამოყოფილი „ანტიკური მწერლების ანთოლოგია“ იყო. ამ წიგნთან მისი განშორება ან როგორ შეიძლებოდა, როცა ფენომენალური მეხსიერება მკონდა და მისი უამრავი გვერდი შეპირად იყოდა. სხვა წიგნებს უგულვისყუროდ კითხუ-

ლობდა, თანაც ისეთი სისწრაფით, რომ ირგვლივმყოფთა გაუნელებელ შურს იწვევდა. სკოლის ამხანაგების გასაოცრად მხოვე ართმევდა ნებისმიერ სქელტანიან წიგნს. რომლის წაკითხვასაც მრავალი დღე ჰქონებოდა. ერთი საათის განმავლობაში უწყვეტად უკვლავურცლავდა და მერე დაწვრილებილ უცხვირით უთუვიდან თავამდე, გვერდიდან გვერდამდე. ელვისებური კითხვის ეს უიშვიათესი ოვისება, რომელსაც ყველა საწაულად აღიქვამდა, უაილდმა სკოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

სკოლაში, ჯერ კიდევ ცამეტ წლამდე წაკითხა დიკენსიც, თუკერეიც, დიზრაელიც და ინგლისის უდიდესი პოეტებიც: ჩოხერი, ელი-საბედის ეპოქის წარმომადგენლები. კიტხი, რომელთა სიყვარული მთელი სკოცხლის მანძილზე გაჟვია, მაგრამ თავისი ელინელები-სათვის არასოდეს უღალატია. და რაკი ანტიკური ლიტერატურა ინგლისური განათლების სისტემაში ერთ უმნიშვნელოვანეს საგნად ითვლებოდა, გასაკვირი აღარ არის, რომ ოსკარ უაილდი ისე გადაიქცა სკოლის სიამაყედ, ისე დაამთავრა იგი ოქროს მედლით, დიდი ჯიფა არ დასდგომია. მაშინვე შევიდა (1871 წელს) ტრინიტის კოლეჯში, დუბლინში. იქაც „ედა-დისა და ძველი რომის ხელოვნების ღრმად შესწავლისათვის“ ოქროს მედალი და სხვა მრავალი ჭილდო მიიღო. ანტიკური სამყაროს ბრწყინვალე ცოდნამ არისტოკრატიული ოქსფორდის კარი გაუღო, სადაც აღბათ ვერასოდეს მოხვდებოდა, მისი განსაკუთრებული წარმატება რომ არა ანტიკური პოეზიის შესწავლაში. ოქსფორდის უნივერსიტეტშიც თავისი საყვარელი კლასიკის ფართო ცოდნით ისევ პირველი ადგილი მოიპოვა. 1877 წელს ანტიკური კულტურის პროფესორის მანაფის ხელმძღვანელობით რომსა და ათენში მოწყობილ მოგზაურობაში იღებს მონაწილეობას. ერთი წლის შემდეგ სტუდენტ-მედიკსეთა კონკურსზე „რავენასათვის“ ნიუდიგეტის პრემია ენიჭება.

მის ერთდროულად ძველი და ახალი ხელოვნების საკითხებში თითქოსდა დიდი ავტორიტეტით უნდა უზრუნველყო და მისი სახელი ინგლისელ სწავლულთა ახალგაზრდა თაობის ერთი ყველაზე საქატიო სახელი გამხდარიყო. მან კი, როგორც ვნახეთ, არჩია ოქსფორდიდან გამოსვლისთანავე პრესის და ცინიკის საგნად, ობი-ვატელების ობუნჯობის სამიზნედ ქცეულიყო.

1 რატომღაც ყველა რუსულ სტატიასა და შენიშვნაში ოსკარ უაილდის დაბადების არასწორი თარიღია აღნიშნული: 1856 წელი — იხ. „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ ტ. 43. გვ. 580; „ინგლისური ლიტერატურის ისტორია“ მ. 1958 გვ. 236. მიუხედავად იმისა, რომ ჰესკეტ პირსონმა და სხვებმა ბიოგრაფებმაც დიდი ხანია დაადგინეს კრეშმარიტი თარიღი: 1854 წელი.

1 როგორ ნიუდიგეტმა ოქსფორდის უნივერსიტეტს უანდერძა კაპიტალი პოეტ-სტუდენტების ყოველწლიურ კონკურსში გამარჯვებულთათვის ფულადი პრემიის გადასაცემად.

თუმცა მუდამ შეეძლო ენამახვილობაზე ენამახვილობითვე უპასუხა. ისე რომ, უველა მისი თანამედროვის დამოწმებით, იმათი ცკი, ვინც მისდამი კეთილად არ იყო განწყობილი, ის ერთი უველაზე სიტყვამოსწრებული კაცი უოფილა, როგორც კი ოდესმე შეხვედრიათ ხიცოცხლეში, საერთოდ იუმორს მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში უდიდესი ადგილი ეჭირა. სიცილითაა გამსჯვალული არა მხოლოდ მისი კომედიები და ფარსები, არამედ ხელოვნების ფილოსოფიისადმი მიძღვნილი ტრაქტატები („სიცილის დაცემა“, „კრიტიკოსი, როგორც მხატვარი“). უოველ საღამოს, როცა ლონდონის თეატრ „სენტ ჯეიმსში“ უაილდის უკანახკნელი კომედია „რა დიდი მნიშვნელობა აქვს სერიოზულობას“ გადიოდა, ხმაალალი ხარხარი აურუებდა დარბაზს, კომედიის უოველი ახალი სცენა, უოველი ახალი რეპლიკაც კი მაყურებელში თავშეუკავებელ ხარხარს იწვევდა.

მისი იუმორის ხერხები მრავალგვარია და არც ისე ადვილია მათი გაანალიზება. მაგრამ არც — მის შემოქმედებაში ლამის უველაზე ფართოდ გავრცელებული და უველაზე ტიპიური — ერთი კატეგორია ხუმრობების, მახვილსიტყვაობის და პარადოქსებისა, რომლის შინაგანი ზამბარა უველასათვის ხავსებით ნათელია. ეს ხუმრობანი და მოსწრებული გამოთქმები შაბლონურ ფორმათა, საერთოდ მიღებულ, შეჩვეულ აზრთა შებრუნებაზეა დაფუძნებული.

რუსულ ლიტერატურაში ასეთი შეტრიალება შედარებით იშვიათი მოვლენაა, ნეკრასოვთან მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევა დამახსოვდა: „სენკაზე — ქუდის“ ნაცვლად („სოვრემენიკის“ ხატირაში) დაწერა „ქუდზე — სენკა“. მისიილოგსკიმ „ნუ ჩააფურთხებ ჭაში“-ს ნაცვლად საინტერესო შეტრიალება შემოგვათავაზა, თუმცა ხაქვერა მისი მოფიქრებული იყოს. „ნუ დააღვე ჭიდან, ჩაფურთხება მოგიწევს“. მაგრამ რუსეთში არ არსებობდა მწერალი, ვისაც ასეთი შეტრიალება შემოქმედების სისტემადა და მუდმივ ამოცანად გადაეჭცია. მაშინ როცა უაილდის კითხვისას ვერ მოგიშორებია აზრი, რომ მან საგანგებო მიზნად დაისახა — შეძლებისდაგვარად ხშირად, თავდაყირა დაეყენებინა არა მხოლოდ გამოთქმები და ანდაზები, არამედ პოეტური ხაბეები, მოთბრობების თითქმის მთელი ფაბულები. თუ უურადღებით დააკვირდებით, აქ იყო მისი მახვილსიტყვაობის ერთი მთავარი წყარო.

გავიხსენოთ თუნდაც მისი ერთი უბრწყინვალესი მოთბრობა „კენტერვილელი მოჩვენება“.

ჩვეულებრივად ათასობით ბალადებსა და ლეგენდებში მოჩვენებები აშინებენ ადამიანებს. მსკარ უაილდის ამ მოთბრობაში კი საწინააღმდეგო ფაბულაა: ადამიანებმა შეაშინეს მოჩვენება. ძველ, გოთურ ციხე-კოშკში, სადაც სამას წელიწადს უცვლელად ჰატონობდა ერთი მიცვალებული ხული, შეწებვდნენ უანამედროვე იანკები მოხვდნენ — და საცოდავ აჩრდილს ძალიან ცუდი დღე დაადგა: ზედ დააყარეს ბალიშები, თავზე გადაავლეს ცივი წყალი, იატაკის ტილოსა და ქობისაგან გაკეთებული ხაბუნარო „მოჩვენებით“ გული გაუბეჭცეს.

ერთი სიტყვით, აღებულია უველაზე გაცვეთილი სიუჟეტი და მერე უკუღმა შებრუნებული, ხელთათმანივით გადმობრუნებული, ასე შეიქმნა მსკარ უაილდის ლეგენდა ლამაზ უმაწვილ ნარციხზე. კარგა ხანია უველა შეეჩვია იმ ამბავს, რომ თავის თავზე შეუყარებული ნარციხი აღტაცებული შებუურებს საკუთარ გამოსახულებას წყალში. ეგება სწორედ იმიტომ გვიამბო მსკარ უაილდმა, როგორ ესიუყარულემა წყალი თავის ანარკელს ნარციხის თვალეში.

მოთბრობაში „ლორდ არტურ სევილის დანაშაულშიც“ ასეთივე გადმობრუნებული სიუჟეტია. უმანკო მორცხვი ბიკი მკვლელობას მკვლელობაზე იზრახავს სწორედ იმიტომ, რომ ასეთი სუფთა და უმანკოა. „ლორდი არტური, — ნათქვამია მოთბრობაში — ძალიან კეთილშობილი იყო. გართობა-სიამოვნებას არასოდეს აუენებდა პრინციპებზე მაღლა, და ამიტომ არ უოყმანობდა თავისი მოვალეობის შესრულები-სას“. სწამლავდა საყვარელ დეიდას, აფეთქებ და ბიძას დენტოანი ტყვიით, ვილაცას წყალში აბრჩობდა.

და როცა ეს მოურჩულელებელი მკვლელი დანაშაულის ჩასადენად მიდის, თავის თვინიერსა და სპეტაკ საცოლეს უვაფილების ხაუცხოო კალათს უგზავნის, ოლონდაც! აკი მსკარ უაილდის მკვლელები მუდამ ასეთი ნაზები და დაბვეწილები არიან: ხომ გვიამბობს უაილდი, რომ მერე მკვლელი, უენრაიტი, მას შემდეგ, რაც ცოლისდა, სიდედრი და ბიძა მოწამლა, თავის უიშვიათეს სტატუებს შორის ისვენებს და აღტაცების ცრემლებს დვრის უორდხვორტის იდილიური პოეზიის კითხვისას („კალამი, ფანქარი და შხამი“). ხოლო მესამე მკვლელი, დორიანი, რომანში „დორიან გრის პორტრეტი“, თავის საუკეთესო მეგობარს უელს ჭრის და მერე უვაფილების ხატვით თუ თეოფილ გოტიეს პოეზიით ტაბება.

საერთოდ მთელი რომანი — იდეალური მაგალითია ასეთი გადობრუნებული ფაბულისა: რკმანი გვიამბობს, თუ კაცის პორტრეტი როგორ დაიფარა ნოქრებით, როგორ გამელოტდა.

დადაბუნდა მხოლოდ კაცი, ბუნების კანონთა წინააღმდეგ, მშვენიერი და ახალგაზრდა დარჩა.

ან გავიხსენოთ მისი ციხის ჩანაწერები („De Profundis“). სადაც უღმერთოთა რელიგიური ძმობაა აღწერილი: ურწმუნო მღვდელი მადლობას აღუვლენს ღმერთს იმისათვის, რომ ის არ არსებობს ბუნებაში — აბა რა არის ეს, თუ არა გადაბრუნებული ჩაჩვენები ბერების ორდენი, გადაბრუნებული „წმინდა“ ლიტურგია!

ასეთივეა ოსკარ უაილდის აფორიზმები, თითქმის ყველა ჩვეულებრივი აფორიზმი თავდაყირაა დაყენებული.

— სული დაბერებული იბადება, მაგრამ თანდათან ახალგაზრდავდება.

— არასაკირო ნივთები ჩვენს საუკუნეში ერთადერთი ხაჭირებია.

— უცოდლო კაცები ოჯახურ ცხოვრებას ეწევიან, ცოდვიანები კი მარტოხელა ცხოვრებას მისდევენ.

— არაფრის ქეთება — ძალიან მძიმე შრომაა.

— სიმართლეს თუ იტყვი, სულერთია, ადრე თუ გვიან გამოგიკერნ.

— არასოდეს გადახდო ხვალისათვის ის, რისი გაკეთებაც ზედ შეგიძლია.

საბარების იგავის საფუძველზე, სადაც ქრისტემ წყალი ღვინოდ აქცია, ოსკარ უაილდმა მისი თანამედროვე ინგლისელების შესახებ თქვა:

— ისინი ფლობენ ღვინის წყლად გადაქცევის სახეაულებრივ ბელოვნებას.

ასეთი „საერთო ადგილების საწინააღმდეგო“ (როგორც ბაზაროვი იტყობდა) გადაბრუნებული აფორიზმები ოსკარ უაილდს ბევრზე ბევრი აქვს, ის მათ ათეულობით ქმნიდა.

— ბუნებრიობა — ეს პოზაა.

— დრო — ფულის დაკარგვაა.

— შენი პერანგი სხეულიდან ყველაზე შორსაა.

როცა ოსკარ უაილდის შემოქმედებას პირველად გავეცანი, ასეთ გამოთქმათა გამოცობა, არსებითად, არც ისე ძნელ საქმედ მომეჩვენა, როგორც მის რომანში ამბობს ერთი გოგონა, საკირო იყო „თავიდან დაიწროს ყველა ანდაზა“, ყოველგვარი სახკოდო დედანი თავდაყირა იქნეს დაყენებული და ამ დროს ისეთი სახე მიიღო, თითქოს რაღაც დღემდე არარსებულ თავბედობას ჩადიოდე, თითქოს ახალი ხატულის ფიცარი აგქონდეს ახალ სინაზე.

— პარადოქსს თქვენ ყველაფერს მსხვერპლად სწირავთ, მარი.

— ქვეუჩიერება დიდი სიამოვნებით მიდის ასეთ სამსხვერპლოზე! — პახუბობს ჭარი უაილდი.

— თქვენ ქვეუანას ისე ეპყრობით, თითქოს

ის შუშის ბურთულა იყოს. — აი, რა გრანდიოზულ როლს ანიჭებდა უაილდი თავის პარადოქსებს. „მთელი ფილოსოფიური სისტემა ერთ ფრაზაში ჩავთიე, მთელი ცხოვრება ერთ ეპიგრამაში მოვათავსე“. — ტრაბახობდა შემდეგ იგი „De Profundis“-ში პარადოქსების გზა — ქეშმარიტების გზაა! „სინამდვილე რომ გამოხცადო, ძალიან გაკიშულ თოქზე უნდა იხილო იგი, როცა ქეშმარიტებანი აკრობატებად იქცევიან, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მათზე, პრინცი-პარადოქსი, ქეშმარიტება-აკრობატების, ქეშმარიტება-კლოუნების მბრძანებელი — ეს ტიტული მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო.

— მე მხოლოდ ის მაინტერესებს, რაც მე სრულიად არ მეხება.

— მე შემიძლია მხოლოდ დაუჩერებელი ვირწმუნო.

— როცა ადამიანები მეთანხმებიან, ვგრძნობ, რომ მართალი არა ვარ.

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ — ყველაგან ხაერთო ადგილების უკუღმა პირზე გადაბრუნების ერთი და იგივე დაერთგვაროვანი მეთოდი.

ასეთ მეთოდს ოსკარ უაილდი უოფითი საუბრების ფორმულებშიც კი იყენებდა, რამდენაქერ მოგვისმენია, მაგალითად, რომ ამა თუ იმ ქალმა მოხუცებულობაშიც შეინარჩუნა ადრეული სალამაზის კვალი.

აქედან დაიბადა ოსკარ უაილდის აღფრთოვანებული წამოძახილი ერთი მაღალი საზოგადოების მანდილოსანზე:

— ამ ქალმა სიბერეშიც შეინარჩუნა თავისი გასაოცარი სიმახინჯის კვალი.

და აი, როგორი სახით გამოიყენა მეორე სასაუბრო თარგი ზმის თაობაზე, რომ არსებობს სახეები, რომლებიც ერთი ნახვით სამუდამოდ შემორჩებიან ძეხსიერებას.

— ის, — თქვა ვიღაც სამხედროზე, — ერთი ტიპური ბრიტანელი იყო, ვისი სახის ერთხელ ნახვაც საკმარისია, რომ შემდეგ აღარასოდეს გავიხსენოთ!

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ შაბლონების ასეთი დაშლა-დარღვევაც თავისებური შაბლონია.

„არა, — ვფიქრობდი მე, — ის არ არის მეფე-პარადოქსი, ის პარადოქსების მონაც კი არაა. ის უბრალოდ სიტყვიერების საქმეთა ოსტატია, სალონურ ოხუნჯობათა გამწეობი, მაღალი საზოგადოების კაცი—ლამის სასტუმრო

1 ეს საბავილო ოხუნჯობები შემდეგ მან თავის პიესებსა და რომანში — „დოროიან გრეის პორტრეტი“ — შეიტანა.

ლანსა დაბადებული მან სრულად შეითვისა. განავითარა ეს სრულქმნადობამდე აიყვანა საღონიერი აზროვნების უველა მეთოდი. ეს გონების ბრწყინვალება. მაგრამ უნაყოფო თამაშია, სადაც მთავარი მანქანი შთაბეჭდილების მოხდენაა, სადაც გულწრფელი, ხანუკვარი აზრები სრულიად უადგილო იქნებოდა. თანაც თქვენთვის არ უნდა დაგვიტყვიანთ, რომ ძალიან უფექტურად გამოთქვით სათქმელი. პოდა, მაშინ პერცოგინია ბერვიკი, როგორც ანუ ხშირად ხვდებოდა უაილდის წიგნის ფურცლებზე. თავის მარჯოს ხელზე დაგარტყამდათ და ალერსიანად გეტყოდათ:

— როგორი ცინიკოსი ხარო! ზვალ სადილზე გვეწვიეთ!

ესაა მაღალი საზოგადოების სასტუმროთა სოფისტის უველაზე დიდი ჩილდო.

ზვალ ის იების დიდი თაიგულით გამოცხადდება პერცოგინიასთან იქ სადილის მესამე და მეხუთე თავებს შორის ძალიან დაკიმულ მავთულზე მისი აზრები — კლასიკები და გრძობა-ქინდობაზეები—როგვას დაიწყებენ... ის მოითხოვს კატინისცამას უმცროსებისადმი, დაამტკიცებს, რომ მუჯახუკი კარა — ნამდვილად კაცების სფეროა, რომ სულში ცხმვრობს ცხოველური და სხეულში სულიერი, რომ ფილანტროპიკი ადამიანისმოყვარულობის სოველბვარ გრძობას სავსებით მოა, ლეგულენი არიან, რომ უველაზე დიდი საშიშროება — სათნოების გზაზე სრულ-სოფილბაა და ა.ა. — იტყვის ერთ უნუგე-შო კვრივზე. — რა ხოცრად მტკიცეა მისი ერთგულება ოჯახური საფუძველებისადმი: როცა მესამე კმარი დაკარგა, თმა ერთიანად გაუოქროსფერდა!

უოველივე ამაში ვხედავდი ძალიან მოქნილ, მაგრამ პრიმიტიულ და, რაც მთავარია, მახვილხიტყვაობის მექანიკურ მეთოდებს. რამეთუ მიღმაც არც ხამართლიანი რისხვა იგრძნობოდა, არც ნიბრალული, არც მგზნებარე სიყვარული. ერთი, რაც იყო, ეს ქუთის საზეიმო სიკეთელება. და მე მზად ვიყავი, გულგრილად გავცლოდი ამ გულგრილად შეთბულ ფრაზებს.

VI

ჩემი გულის მთელი მშფოთვარებით ავყავი და ვეცდებოდი უველიდრის წინააღმდეგ.

ოსკარ უაილდი.

მაგრამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოსკარ უაილდის მთელი შემოქ-

მედება მართლაც მხოლოდ ქუთის სიკეთელებამდე დადის. მასში ძალიან ბევრი სხვა რამეც არის და მე მგონია, მკვლევარი ძალიან წინდაუხედავად მოიქცევა. თუ უაილდის ცოლად განუხედავად გამოუტანს განაწენს ოსკარ უაილდის უველა პარადოქსს და მისი მხარეების სიყვარულს და მისი უაილდის

ამის თაობაზე ა. მ. გორკიმ მიმოიხილა ჩემთან გამოგზავნილ წერილში: „თქვენ უთუოდ მართალი ხართ. — მწერდა იგი. — როცა ამბობთ, რომ უაილდის პარადოქსები „გადაბრუნებული საერთო ადგილებია“, მაგრამ არ გინდათ დაუშვათ აზრი, რომ ამ „საერთო ადგილების“ უკედლა პირზე გადაბრუნებისაკენ მიწრაფება მეტნაკლებად შეგნებული სურვილია ნიშნი მოუგოს მისტრას გრუნდის და შეარუიოს ინგლისური პურიტანიზმი? მე ვფიქრობ, რომ ორი ისეთი მოვლენა, როგორც უაილდი და შოუა XIX საუკუნის ინგლისისათვის, მეტიმეტად მოულოდნელი და ამავე დროს ბუნებრივი ამბავია. — ინგლისური პირმოთნობა უველაზე უკეთ ორგანიზებული პირმოთნობაა და მიმაჩნია, რომ მორალური პარადოქსები ძალიან კანონიერი იარაღია პურიტანიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.“

ალექსეი მაქსიმოვიჩის ამ წერილმა მაძულა უფრო დრმად ჩამეხედა ეპოქაში, რომელმაც ოსკარ უაილდი შვა და ნელ-ნელა გახაგები გახდა ის დადებითი პროგრესული როლი მისი პარადოქსებისა, რომელთა თაობაზეც წერილში იყო ლაპარაკი, და არა მხოლოდ პარადოქსებისა.

უპირველესად უოველისა, ხაკირო იყო მთელი სიციხადით დადგენა იმისა, თუ ვის უძღვნიდა საკუთარ შემოქმედებას, ვისი მისამართით წერდა მას? რა თქმა უნდა, არა იმ ლორდებსა და პერცოგებს, ვისი გამოხატვაც ასე უუვარდა თავის წიგნებში, რა ვუყოთ, რომ გამოერია მის ცხოვრებაში მოკლე პერიოდი, როცა მას სიმოვნებით იღებდა ბრიტანეთის მაღალი საზოგადოების კარჩაკეტილი წრე მაგრამ იგი მათთვის მაშინაც უცხო, რადიკალირი მოდური იონბაში თუ გავლით ჩამოსული „მევიოლინეთა მეფე“ იყო მხოლოდ.

რა მოსწრებული ენის პატრონიც არ უნდა უოფილიყო, რანაირი ბრწყინვალე და დიდი ტილანტის პატრონი, ამ წრეს მაინც არ შეეძლო არტისტების თანრიგისათვის არ მიეკუთვნე-

1 მისტრის გრუნდი — ინგლისელი ფარისევლის კრებითი საბჭო.  
2 ა. მ. გორკი — თხზულებანი, მ., 1955, ტ. 29, გვ. 399, კ. ი. ჩუკოვსკი—მოგონებებიდან, მ., 1959, გვ. 214—215.

ბინა იგი, ბოლო ძველი ტრადიციების მიხედვით არტისტები დაბალი მოდგმის ხალხად ითვლებოდა მართალია. მათ დიდი გულითადადობითა და გულმხურვალებით ღებულობდნენ, თანაბარვით ექცეოდნენ, მაგრამ საქმარისი იყო ერთი წაფორბილება — ოქახურ საქმეებში რაიმე უსიამოვნება ან პურიტანული საფუძვლების იოტისოდენა ღალატი — მათ ცხვირწინ მაშინვე გამოიკეტებოდა ამ ხტუმართმოყვარე სახლების კარი.

ბოლოს და ბოლოს სწორედ ასე მოუვიდა ოსკარ უაილდს. სწორედ ასე გათელეს იგი ფეხებით ზუსტად იმ ღორღებმა და შერცობებმა, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ეალერსებოდა მას.

მაგრამ ეგება მისი ქადაგება იმათ მიმართ კი არ იყო მიმართული, არამედ მაშინდელი ბრიტანული იმპერიის ქვეშაობის პატრონებისადმი, ბურჟუაზიის მოთავეებისადმი, ვინც იმ დროს ქვეუნიხ საფუძვლების ქვაკუთხედს წარმოადგენდა?

აოა რადგან ის შეურიგებელი მტერი იყო ადამიანთა ამ ფენისა და მთელი ხეულითა და გულით ეკავრებოდა მათი მძიმე და პირქუში წინაგვეულებები, რას წარმოადგენდა ეს წინაგვეულებები, მნელი არ არის ამის ვარაუდი თუნდაც გოლზუორთის „ფორსაიტების საგახ“ მეშვეობით. ამ მართალ რომანში—ვგულისხმობ მის პირველ ნაწილს — გამოხატულია ინგლისის ისტორიის სწორედ ის ათწლეული, როცა ოსკარ უაილდის ლიტერატურული კარიერა დაიწყო. იმ დროს ინგლისი უველა თავისი კოლონიით ფორსაიტების ხელისუფლების ქვეშ იყო ცივი, თავდაჭერილი, ღირსპატივსაცემი საქმოსნების ერთობ გავრცელებული ტომი, რომელმაც საოცრად მოიხრგო ადამიანთა სიხსლის წოვის ხელობა და მთელ ქვეყანას თავის კანონებს კარნახობდა. ბირჟის მეფეები, ბანკის მფლობელები, კომპანიების გამგებლები, ქვანახშირის მალარობისა თუ რკინიგზის მავნატები. — ქვეუნიხ უმსხვილესი ბურჟუაზია — თუმცა უმაღლეს ფეოდალურ საზოგადოებას არ შერწყმიან და შერევიან, სრულად გადმოიღეს მათი ცხოვრების მთელი რიტუალი და შუბლ-მაგარი მედიდურობა. პარლამენტი — ეს „მდიდრების კლუბი“ (ენგელის გამოთქმა), აგრეთვე ეკლესიები, გაზეთები, ჟურნალები, ურიცხვი ხელოვნება და კოლეჯები — უველაფერი ფორსაიტებმა მიიღაცეს და საკუთარ ნება-ხურვილს დაუმორჩილეს.

ფორსაიტებმა შექმნეს ყველა წინაპირობა იმისათვის, რათა რამდენიმე წლის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში წამოწყებულიყო სამხედრო ავანტიურა, რომელმაც ბრიტანეთის ისტორიაში

ახალი ერა დაიწყო, ერა მყვირალა შოვინიზმისა და სიხსლმოწყურებულ ვნებათა თარეშისა. მაგრამ ჯერჯერობით, იმ დრომდე, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, ფორსაიტები რბნობდნენ ჩუმად, ფარულად გამდიდრებულიყვნენ. აქამდე ჯერ არასდროს, ჯერ არავის ეჭვარსებინა ხალხების — როგორც საქუთარის სება ხალხების — გაქურდვა ასე რესპექტაბელურად, დინჯად, წესიერად, მართებულად, დარბაისლურად თვალისმომჭრელად ქათქათა თეთრი ხელთათმანებით, ასეთსავე რესპექტაბელურობას, დარბაისლობას, წესიერებას დესპოტურად მოიხსოვდნენ ფორსაიტები ირგვლივმყოფი ყველა ადამიანისაგან. მათი არქიმეშჩანური კოდექსი რკინის ბორკილებს ადებდა ყოველ თვითმყოფად პიროვნებას, ვინაც კი ინდივიდუალური ბედნიერება სწყუროდა — და ვაი იმ კაცს, ვინც ოსკარ უაილდის მხგავსად, გაბედავდა და ერთნაბიჯით მაინც გადასცილდებოდა ფორსაიტების შექმნილ წესდებას. ეს წესდება რეგლამენტს უდგენდა ადამიანთა ცხოვრების წესს — ეკლესიაში სიარულიდან მოყოლებული, თვით სერთუჯის ან ჰალსტუჩის ფერიც მკაცრად განისაზღვრებოდა.

მგონია, მთელ ქვეყანაზე ბურჟუაზია არსად არ იყო ისე „წინეობაჩლუნგი“, გულქვა, პროზაული, პირქუში, არსად არ იჩენდა ისეთ ბოროტ მოუთმენლობას ყოველივე „ექსტრავაგანტურის“ და ახლის მიმართ, როგორც ვიქტორიანული ეპოქის სწორედ იმ ათწლეულში, როცა ახალგაზრდა ოსკარ უაილდის სახელი პირველად გამოჩნდა გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე. იმ ეპოქის მრავალრიცხოვანი ფორსაიტისათვის ეს იყო სახელი ახირებული და იონბაწი კაცისა, ვინც გაბედა ესოდენ უჩვეულო ტანსაცმელში გამოცხადებოდა საზოგადოებას ტანსაცმელში, რომელიც ასე მკვეთრად განსხვავდებოდა მათი შექმნილი შაბლომიდან. მართლ ეხეც კმაროდა, რათა ფორსაიტებს შეზინდებოდათ იგი. გავიხსენოთ, რა აღშფოთებამ და გულიხწყრომამ მოიცვა იხინი გოლზუორთის რომანში, როცა ნიჭიერმა მხატვარმა — არქიტექტორმა ბოსინიმ გაცილებით ნაკლებ თავხედური საქციელი ჩაიდინა: გამოცხადდა მათთან არა ცილინდრით, არამედ ფეტრის რბილი შლაპით. ეს უქვე საქმარისი იყო, რათა მასში ერეტიკოსი კაცი დაენახათ.

— რა უცნაურობაა... როგორი ექსტრავაგანტურობაა! — აღშფოთებით ამბობდნენ იხინი, — მხოლოდ მეკობრეს შეეძლო ასეთი დაუდევრობის უფლება მიეცა თავისთვის.

უველა საკუთარ თავს ეკითხებოდა:

— წავიდოდი თუ არა სავიწილოდ ასეთი შლაპით?

და უოველი მათგანი პასუხობდა:

— არა!

და უკვლავ ერთად მიესია ბოხინის ხაცოლებს:  
— როგორ აძლევ ასეთი ხაქციელის ნებას, საყვარელო?

მათი კახტის რეგლამენტის თანახმად იქ ხაქირო იყო განსაზღვრული წომეების — არც მაღალი და არც დაბალი — გაპრიანებული ცილინდრი, ასეთი და ასეთი ფარფლით (და არა სხვაგვარით), უკვლავ ღილზე შეკრული, ნახშირით შავი ხაყინით სერთუკი, ველვეტის ულოსფერი ან თეთრი უილეტით, საერთოდ, რომანის მიხედვით, არც ერთი იმათგანის წარმოდგენაც კი არ შეიძლება „გაჩეჩილი თმით, პერპენდიკულარისაგან აღნაგ, თუნდაც დიუმიის ერთი მერვედით გადაბრილი პალსტუხით და საყულოთი, რომელიც თეთრად არ იქათქათებდა“.

თუკი ასეთ წვრილმანებშიც კი, როგორც გახლავთ ცილინდრის შეცვლა შლაპით, ამ ხალხს შეეძლო ლამის აჭანყება დაენახა, რა მძვინვარებით უნდა შეხვედროდნენ „ექსტრავაგანტურ“ ტანსაცმელს ოსკარ უაილდისას, რომელიც გამოჩნდა მათი კანონებისა თუ მოთხოვნებისათა უგულვებელყოფის, ასე ვთქვათ, თვალსაჩინო დადასტურებად. ტანსაცმლის სტანდარტულობა და წესიერება მათ თვალში მხოლოდ „კარგი ტონის“ გამოხატულება არ იყო, აქ ისინი ხედავდნენ თითქოსდა იმის თავდებობას, რომ ეს კაცი მათ წრეს ეკუთვნის, რომ ის მათი მორალური კოდექსის ერთგულია.

საკუთრების კულტი, კარიერიზმი, საქმოსნობა მათ ყოფაში მთლიანად და შესანიშნავად იყო შენიღბული დიდი ხნის წინათ უკვე ხრწნამოდებული აურიტანული ლოზუნგებით, მოჩვენებითი კაცთმოყვარეობით, დათაფლული პირფერობით, იმ ყოვლისმომცველი ინგლისური ფარისევლობით, რომელიც უძველესი დროიდან ხაიმედო ფარად ემსახურებოდა ფორსაიტებს (როგორც წინაპრებს, ისე შთამომავლებს) თავიანთ მრავალწლიან მტაცებლობაში.

ჩერ კიდევ დოსტოევსკი ამბობდა, — სამოციან წლებში საზღვარგარეთ ყოფნის შემდეგ, — რომ „მდიდარი ინგლისელები და საერთოდ იქაური ოქროს კერპები შეტახებულად რელიგიურები“ არიან, რომ მათი რელიგია მათ ინტერესებთანაა შეხამებული. „ინგლისელი მღვდლები და ეპისკოპოსები ამყენი და მდიდარნი არიან. — წერდა დოსტოევსკი, — ცხოვრობენ მდიდარ სამრევლოებში და სავსებით სინდისდამშვიდებულნი... ხუჭდებიან... მათ... სერიოზულად ხწამთ საკუთარი ზნეობა — დარღუნებული დირხებები და საკუთარი უფლებები... ხუჭდებიან და ცხოვრობდნენ მდიდრებისათვის. ეს არის მდიდართა რელიგია...“

განაღა ხაქიროა იმის თქმა, რომ „ზნეობა-ჩლუნგი“ მებირჟებისა და მანკიერების წრეში კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ქვაშუბლა პატრიციებში, სიტყვა მუსიკოსი, ქრტიანული მხატვარი საძულველ, ხოლო სიტყვა „საქმიანობა“ სალანძღავ სიტყვებად მიიჩნეოდა.

ფორსაიტების სწორედ ამ პირქუში დიქტატურის წინააღმდეგ აღსდგა ახალგაზრდა უაილდი. თავისი პარადოქსების, თავისი წიგნების უოველი სტრიქონის, უოველი ექსტრავაგანტური გამოხვლის მთელი ფიერვერკებით განაცხადა, რომ იგი მათ თვალთმაქც სამყაროს არ მიეკუთვნებოდა, რომ გაუნღლებელ მტრობას გრძნობდა უოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ასე თუ ისე ფორსაიტებთან იყო დაკავშირებული.

ფორსაიტებიც, ცხადია, გაათკეცებულნი სიძულვილით პასუხობდნენ, თქვენ მხოლოდ ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე ქვიშე ფორსაიტის უზალიხო, ტრაფარეტულად მდიდარულ სახტუმროში — მძიმე, სოსანისფერ ხავერდის ფარდებს შორის, მწვანე სავარძლებს შორის, დამძიმებულ საქმოსნებსა და ბოროტად დაღუშებულ, რესპექტაბელური პირთმოთნეობით თავით ფეხამდე გაღუნთილ მოხუც ქალებს შორის უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილი შემოდის უაილდი. წარმოიდგინეთ, რომ მათ საყოველთაო განგაშსა და აღშფოთებაში, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისე იწყებს იმ სტანდარტული პრინციპების უკუღმა გადაბრუნებას, რასაც მათი გაქვავებული წყობა ეყრდნობოდა, და სერიოზული ხაზით ცდილობს დაარწმუნოს ფორსაიტები, თითქოს ქვეყანაზე უკვლავ დიდი უბედურება — ეს შვიდი მომაკვდინებელი ზნეობრიობაა; თითქოს ორქვიდრას უვავილები შვიდ ცოდვასავით მშვენიერნი არიან; თითქოს შვიდ ცოდვას შვიდ საკურთხეველს აღუმართავს.

და მათ წინაშე ასეთ სენტენციებს ისვრის:

— ერთადერთი საშუალება, განერიდო ცდუნებას — ეს არის დაემორჩილო ცდუნებას.

— სინდისი და სილაჩრე ერთი და იგივეა, სინდისი — ეს ფირმის აბრაა.

— მანკიერება პროგრესის ელემენტია.

— კარგი მზარეულის ყოფა გაცილებით მნიშვნელოვანია ზნეობრიობაზე. რამეთუ ნაკლებად ნუგეშისმომგვრელია ის გარემოება, რომ კაცი, რომელიც უგემური საქმელით გაგიმასპინძლდათ, პირად ცხოვრებაში უმწიკვლოა.

1 ფ. დოსტოევსკი, თხზ., მ. 1956, ტ. 5, გვ. 98. „ზამთრის შენიშვნები ზაფხულის შთაბეჭდილებებზე“.

— შაკრი შორალი — ეს მხოლოდ ჩვენი დამოკიდებულებაა იმ ადამიანების მიმართ, ვინც არ მოგვწონს.

განა საჭიროა იმის თქმა, რომ ოსკარ უაილდს არც კი დაამთავრებინებდნენ თავის ომახიან ქადაგებას და, უბრალოდ, სამარცხვინოდ მოიპროდნენ ქუჩაში. როგორც მათი შორალური საფუძვლების თავგახულ ძირგამომთხრელს? ასეც მოხდა ფორსაიტები მას ხისინითა და უიფინით შეხვდნენ, თუმცა დასაწყისში, პირველ წლებში, „მანკიერებისადმი“ მისი პარადოქსული დიოირამები არსებითად სრულიად უმწიკვლონი იყვნენ — უწყინარი ეკვილიბრისტიკა სიტყვისა, ანცი გონების თამაში, მაგრამ მისი სახუმარო კალამბურები ოთხმოციანი წლების დასაწყისში ფორსაიტების უოვლად დაუფარავ ზიზღს იწვევდა. ოსკარ უაილდს სდევნიდა ბრიტანული მეშჩანობის ციხე-სიმაგრე — უურნალი „ქანი“ თავისი შარტებით. რომელთაც კეთილმოსურნე არ დაერქმეოდა. მოურიდებლად დასცინოდა მეშჩანური იუმორის გენიოსი სერ უილიამ ჯილბერტი ოპერეტაში „მოთმინება“. რაზეც წინა ფურცლებზე გვქონდა საუბარი. ისინი სდევნიდნენ, უპირველესად, უოვლისა, როგორც ფორსაიტების რესპექტაბელური და პირქუში ზნეობრივი ცხოვრების კანონების შეურაცხველად. ჯილბერტი ურიცხვი რაოდენობის კომიკური ოპერის ავტორი იყო. მათ ისეთი კოლოხალური წარმატება ჰქონდათ, უოველი მათგანი იმდენად „კეთილზნეობრივი“ იყოს, რომ მათ მიმართ, როგორც ცნობილია, დიდ სიყვარულს იჩენდა დედოფალი ვიქტორიაც კი და ვიწრო ოჯახურ წრეში მდებარე ოპერის კუპლებს. საერთოდ ვველა ქვეყნისა და უველა ხალხის ფორსაიტები მუდამ იდგნენ „ზნეობრივის“ სადარაჯოზე; გავიხსენოთ თუნდაც ნეკრასოვის ორსტროფიანი ლექსი რუს ფორსაიტებზე, რომელნიც პროსტიტუციის ცენტრალური სახლის გრანდიოზულ პროექტს იხილავდნენ.

აქ მოგვეთხოება  
მხოლოდ ზნეობა —  
გვანცნობს მებორვე.

სწორედ ამ ფარისევლური, ბირჟული „ზნეობრიობის“ წინააღმდეგ იყო მიმართული ოსკარ უაილდის „ამორალური“ პარადოქსების უდიდესი უმრავლესობა. თავიანთი პირქუში რელიგიისა და სულისშემხუთველი „მორალური წეს-ჩვეულებების“ ერთგული, მოურჩეულებელი ფილასტერების აწრიალება, შესფოთება და გაღიზიანება არც ისე უბრალო ამოცანა იყო წრეგადასული პარადოქსების ბრწყინვალე შემოქმედისათვის.

გორკი ცამდე მართალი იყო, როცა ზემოთ მოყვანილ წერილში ამტკიცებდა, რომ „მორალის „პარადოქსები“ — ერთობ კანონიერი იარაღია პურიტანიზმისა და ინგლისის მაღალი ფენების ბურჟუაზიის „ბრწყინვალედ ორგანიზებული“ პირთმოთნეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ამოცანა უნდა იყოს ნორმალური ენერჯიითა და უჩვეულო მონატონით გაასრულა.

ბერნარდ შოუს თავის მემუარულ შენიშვნებში ოსკარ უაილდზე წერდა, რომ მიუხედავად ურთიერთთანხმობისა, არა ერთხელ მოუყვანია აღფრთოვანებაში იმ მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც უაილდი უოველთვის ახერხებდა ერთადერთი ფრაზით, ერთადერთი აფორიზმით „მეშჩანების უგვანო მორალური ცრურწმენისათვის“ ზუსტი დარტყმა მიეუენებინა, როცა ინგლისელმა მწერლებმა, ერთობლივად ვეღამ, უარი განაცხადეს ხელი მოეწერათ ბერნარდ შოუს მიერ შედგენილ ჩიკაგოელი ანარქისტების შეწყალების პეტიციასზე, ერთადერთი, ვინც ამ წერილის ბოლოში თავისი სახელი დასვა, ოსკარ უაილდი იყო. „ამან გამოიწვია უაილდისადმი ჩემი მეგობრული გახსოვბილება, — იგონებს ბერნარდ შოუ, — და ეს გრძნობა მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შევინარჩუნე“.

გორკი ამბობს, რომ ოსკარ უაილდის სურვილი, „გაემწიარებინა მისტრის გრენდი“ ხავსებით, „შეგნებული იყო, ამას თვითონ უაილდიც არაერთხელ ამტკიცებდა, მას, როგორც თვითონ ამბობდა, „უოველთვის მოსწონდა გეცოფებინა რესპექტაბელური საშუალო კლასები ამ მიზანს შესანიშნავად მიაღწია 1891 წელს თავისი ცნობილი სტატიით „ადამიანის სული სოციალიზმის დროს“. რომელიც სოციალისტურ მიტინგზე წარმოთქმული ბერნარდ შოუს ერთი მგზნებარე სიტყვის ცოცხალი შთაბეჭდილებით დაიწერა.

თანამედროვე საბჭოთა კრიტიკოსები მიუთითებენ ამ სტატიის უამრავ ხისუსტეს. მაგრამ ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ მის მთავარ მიმართულებას. „შაკრად რომ ილაშქრებს. — წერს ერთი იმათგანი, — კერძო საკუთრების, როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთი ძირითადი ბოროტების წინააღმდეგ და სწამს შესაძლებლობა უფრო სამართლიანი სოციალური წყობისა. „როცა ადარ იქნებიან მკრალ ხოროვებში მაცხოვრებელი, აქოთებულ ძონძ-მანძებში გახვეული ადამიანები, დედის

1) იხ. The Life of Oscar Wilde by Hesketh Pearson, p 157 და Frank Harris-ის ბეობრე წიგნის დამატება „Oskar Wilde His life and confessions“ გვ. 16-17.



მუცელშივე დაავადებული. დაუძლურებული  
ბავშვები", როცა „საზოგადოების უკველი  
წევრი საერთო კეთილდღეობის და სიუხვის  
თანამონაწილე იქნება", ამით უაილდი აღიარებს,  
რომ ღარიბები არ უნდა შეუტოვდნენ თავისი  
არსებობის საშინელ პირობებს...2

...უაილდის ნაწარმოები. — წერს მეორე  
საბჭოთა კრიტიკოსი. — გამოწვეული იყო  
კაპიტალიზმის სიძულვილით. ის გახდენოილია  
ღრმა რწმენით, რომ კაპიტალიზმი არადაამიანური  
მანიჩი. სასტიკი წყობაა, რომ მის ნაცვლად  
უნდა აღმოცენდეს მეორე წყობა — სოციალისტური  
წყობა, კუმანური და მშვენიერი. ესოეთი უაილდი  
ხშირად წერდა, რომ სძულდა ტანჯვა და სიღარიბე,  
ვინაიდან ეს უგვანობაა? მაგრამ იქვე „ადამიანის სულში  
სოციალიზმის დროს“ აღშფოთებული და აღუღვებული  
წერს ინგლისელი ხალხის სიღატაკეზე...3

VII

ფორსაიტების ერთი უპირველესი მტერი იყო  
ელჩერნონ ხუინბერნი, ძლიერი და შთაგონებული  
პოეტი, დახვეწილი პოეტური ფორმის ოსტატი,  
რომელმაც ჯერ კიდევ 1888 წელს საოცრად მუსიკალური და  
ბრწყინვალე ლექსების ტომი გამოსცა. წიგნში ვიქტორიანული  
ეპოქის ჯიბრზე ქრისტიანობის ასკეტური შორალი  
დასწუველა და ისეთი აღტაცებით, წარმართის  
ისეთი გატაცებით განადიდა უოფის თავაწვავებო-  
ლი სიხარული, რომ უველა ფორსაიტული გაჭე-  
თი და უურნალი ერთბაშად დაესხა თავს. მისი  
წიგნები: „ლექსები და პალადები“ და „ცისკარის  
სიმღერები“ უმარტივო ვიქტორიანული პირობონების  
წინააღმდეგ აქანების ლამის დროშად გადაიქცა

რამდენიმე წლის შემდეგ (1878) ამავე დროში  
გამოვიდა მისი მეგობრის დანტე გაბრიელ როსეტის  
წიგნი „აუღბლები“, და ისეთივე გაბოროტებული  
კვილით შეეგება მას ფორსაიტული „საზოგადოება“,  
რომელმაც მასში ისევ ის „საფუძველთა შერყევა“  
დაინახა: უგულუბეუოფა სახელგანთმული  
ზნეობისა და ცოდვიანი გაღობა სხეულისადმი

2. ი. ვ. ვეუპოკოვა, ოსკარ უაილდი, სტატიის  
„ურონალში ინგლისური ლიტერატურის ისტორია“  
ტ. III ნ. 1958 გვ. 245-246

3. ს. ვ. ეპორნილოვა, წინასიტყვაობა  
რომანისა The Picture of Dorian Grey Moscow,  
1958, გვ. 7-8.

მერკანტილური ეპოქის კანონების ასეთივე. მაგ.  
რამ გაბედული და შეუპოვარი უარყოფა გაის-  
მოდა ფილოსოფოს ჯონ რასკინის ბოპოქარსა და  
მგზნებარე ლექსებში. სტატიებში, გამოსვლებში,  
იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში „მშტე-  
რებოდა და ეომებოდა ეპოქის“ „სიძულვილს“.  
დებოდა ერთ-ერთ უველაზე კეთილშობილი ინგ-  
ლისელი პოეტის, დაუცბრომელი უილიამ მო-  
რისის შემოქმედებასა ოთ ცხოვრებისეულ  
გმირობებში, ვინც სიცოცხლის უკანასკნელ  
დღემდე საბუღველი ფორსაიტების სისტემის  
უღრმეს კრილობებს ავენებდა.

და რადგან უველა ისინი ხელოვნების მან-  
ხური იყვნენ, მათ შემოქმედებაში ესოეტოკას  
უდიდესი ადგილი ეჭირა. ამიტომაც უველაზე  
მწვავედ სტანჯავდათ იმის შეგნება, რომ კა-  
პიტალიზმს იგი უსულო მანქანების მდგომარეობა-  
მდე დაშვავდა, სიღამაზისა და პოეზიის  
წყურვილს უხშობდა.

ამ წყურვილის ასადორძინებლად ზოგიერთი  
მათგანი მგზნებარედ მოუწოდებდა ანტიკლო-  
ბისაკენ, სხვები — გვიანდელი შუახაუკუნეების  
ხელოვნებისაკენ და ა. შ. — მაგრამ უოველ  
მათგანს, ვიმეორებ, ერთი მიზანი აახლოვებ-  
და — მონოტონური, უფერული, არადაამიანური  
სინამდვილის წინააღმდეგ ამბობების  
წყურვილი სინამდვილისა, რომელმაც სიღამა-  
ზეც და პოეზიაც თავისი უგვანო და ანგარე-  
ბიანი ღარბობით მოაშთო.4

ოთხმოციან წლებში ამ ფალანგას შეუერთდა  
ოსკარ უაილდიც. უველაზე ახალგაზრდა მათი  
მოსწავლე და მამდევარი გახდა იგი ხოტბას  
ასხამდა და აღიღებდა ამ პოეტებს თავის ლექ-  
სებსა ოთ საჯარო გამოსვლებში, მოჰყავდა ცი-  
ტატები მათი შემოქმედებიდან, ეს შემოქმედე-  
ბები იყო მისთვის თანამედროვე ინგლისური  
კულტურის ლამის ერთადერთი ფაქტი, რაც  
მასში არც ზიზღსა და არც აღშფოთებას არ  
ინვევდა ამ შემოქმედებებში ხედავდა ბრიტა-  
ნული კულტურის რენესანსს და ისეთ მხატვ-  
რებს, როგორც როსეტი, ბერნ ჯონსი, გოლმან

1. როსეტის სია მართლ სიტყვის, არამედ მსტ-  
ერობის ოსტატოც იყო, ხოლო პოეტი მარო-  
სი — დეკორატივი, ორნამენტალისტი და  
გოაელოთი განლუდათ

2. თავდაპირველად ეს ამბობება მხოლოდ  
ფორსაიტების ესოეტოკის წინააღმდეგ იყო მი-  
მართული, მაგრამ შემდგომში (როგორც, მა-  
გალითად, უილიამ მორისის შემოქმედებაში)  
ფორსაიტების თვით საფუძველებს დაეცბრა თავს.

მენტი იყვნენ (ვინც ეგრეთწოდებულ „წინარა-  
ფაელურ ძმობას“ მიეკუთვნებოდა), მიქელან-  
ჯელოს და რუბენსის გვერდით თამამად აყენებ-  
და „და თუ ამ რენესანსმა... — ამბობდა  
იგი. — ვერ შექმნა ის. რისი შექმნაც შეეძლო.  
თუ ვთქვათ სკულპტურასა და თეატრში ესო-  
დენ ღარიბი აღმოჩნდა. ამაში, რა თქმა უნდა.  
დაშნაშავია ინგლისური ვაჭრული სული. დი-  
დებულ დრამასა და დიდებულ სკულპტურას  
არ შეუძლია არსებობა, როცა არ არსებობს  
მშვენიერი, ამაღლებული, ეროვნული ცხოვ-  
რება. თანამედროვე ვაჭრული სულია „  
სავსებით ჩაკლა ეს ცხოვრება“.

ამგვარ აზრებს ოსკარ უაილდი, როგორც ამ  
ანტიფორსაიტული პლეადის მიმდევარი, და-  
ლიან ხშირად გამოთქვამდა. იმათი არ იყოს.  
უაილდისთვისაც ხელოვნება იყო უდიდესი  
სალოცავი. რომელშიც სრულად ვლინდება  
„მშვენიერი, ამაღლებული, ეროვნული ცხოვრე-  
ბა“. თვით ამ სიტყვას — ხელოვნება — ის,  
ისევე, როგორც დანარჩენები, თაყვანისცემით  
წარმოთქვამდა ხელოვან-შემოქმედთა წინაშე  
იმ დემონსტრაციულ თაყვანისცემაში, რომლი-  
თაც გამხვედრულია ყველა მისი წიგნი და  
გამოსვლა. იგრძნობა აშკარად თავხედური გა-  
მოწვევა მერკანტილური ეპოქისა, რომელსაც  
ესოდენ ქედმაღლურად სძულდა თვით წო-  
დება მხატვრისა, და ოსკარ უაილდს ესეც —  
ისევე და ისევე რახკინსა და უილიამ შორისთან  
ანათესავებს. მასაც მუდამ შეურყევლად სწამ-  
და: დაარქვა ადამიანს ხელოვანი, ეს ნიშნავს  
ყველაზე უდიდესი ხატბა მიაგო, რისი უნა-  
რისც — შესწევს კაცის ენას მაშინაც კი, როცა  
„De Profundis“-ში იესო ქრისტეს გან-  
დიდება მოისურვა, განაცხადა: „იესო ქრის-  
ტე უდიდესი მხატვარი იყო“! მხატვარი — ოს-  
კარ უაილდს თვით დემონსტრაციისაც ამაზე დიდი  
დიდების წარმოდგენა არ შეეძლო. და ღვთის-  
მოსავის როგორი მიაშიტობით მიაგებს იესოს  
ამ უმაღლეს პატივს: ადარებს სოფოკლესა და  
შეკლის.

მაგრამ ძალიან ცოტაა იმის თქმა, რომ ხე-  
ლოვნებისთვის მებრძოლი პლეადის ესთეტიკ-  
რი იდეების მქადაგებელი იყო. უნდა ისიც  
ვთქვათ, რომ სილამაზის კულტი სექტანტობამდე  
დაიყვანა, რომ თვითონ ამ კულტის ფანატიკოსი  
გახდა და ბოლოს და ბოლოს ხელოვნება მთე-  
ლი თავისი სამყაროს ერთადერთ მზედ გადა-  
აქცია. „ჩვენ ყველანი ტუულიად ვფლანგავთ  
ჩვენს დღეებს. — ქადაგებდა იგი. — ყოველი  
ჩვენთაგანის სიცოცხლის აზრი ძიებაშია. მაშ

იცოდეთ ყველამ: აზრი — ხელოვნება-  
შია“! „მხოლოდ ხელოვნებაა ისეთი იშპერია,  
რომელსაც ვერავითარი მტერ-მოძალადეები ვერ  
წაართმევენ ხალხს, ხელოვნების დამორჩილება  
მხოლოდ შეიძლება, როცა თვითონ დაემორჩი-  
ლები მას“?

ეროვნული

როგორც ყველაფერი უზრით შექუ-  
რობილი, ადამიანების ყოველი სატკივარის, სა-  
ზოგადოების ყოველი ბოროტების წამალს  
თავის რწმენაში ხედავდა.

მისი რომანის გმირი დორიან გრეი ხელოვ-  
ნების ნაწარმოებებით მკურნალობდა კიდევ.  
თითქოს იგი სამკურნალო შინაური წამალი  
ყოფილიყოს. „ყვავილების სიმშვენიერემ,  
კეთილშობილთ რომანში. — ტანჯვისაგან გან-  
კურნა იგი“.

გამოელაპარაკეთ ოსკარ უაილდს საშინელ  
მილიტარიზმზე, მაშინვე მოგცემთ რჩევას:

„დაიწყეთ ხელოვნების სამსახური და ომი  
თავისთავად შეწყდება“.

„რა თქმა უნდა. — განმარტავს იგი თავის  
„ჩანაფიქრებში“, — ადამიანები არ იტყვიან:  
საფრანგეთის წინააღმდეგ ომს არ ვაწარმოებთ,  
რაკი მათი პროზა სრულქმნილიაო. მაგრამ რად-  
გან ფრანგული პროზა სრულქმნილია, ისინი  
აღარ შეიძლებენ ქვეყანას“.

თავის სიტყვაში „ინგლისური კულტურის  
რენესანსი“ იგი შეეცადა ლოგიკურად დაეხა-  
ბლთებინა ეს აზრი.

„ხელოვნება, — ამბობს იგი, — ყველა ხალ-  
ხებისათვის ერთ საერთო სულიერ ატმოსფე-  
როს რომ ქმნიდა ქვეყნიერებას მშვიდობის  
ვერცხლის ფრთებით თუ არ გაანათებდა, იმას  
მაინც მოაღწევდა, დაეხლოვებინა ადამიანები,  
რათა ერთმანეთი აღარ ეჩებათ უბრალო პირ-  
ვეულობის გამო, როგორც ევროპაში ხდება.  
მაშინ ძმობა ქვეყანაში აღარ გამოცხადდებოდა  
კენის ძმისმკვლელი ხელებით, ხოლო თავი-  
სუფლება არ მიეყიდებოდა ანარქიას იუდას  
ამბორით“<sup>1</sup>

გამოელაპარაკეთ აღზრდაზე, ის მაშინვე  
იტყვის:

— თუ ბავშვები ხელოვნების ქმნილებათა  
შორის დაიზრდებიან, მაშინ... და ა. შ.

რაზეც არ უნდა წამოიწყოთ საუბარი, ის  
მუდამ თავისას იტყვის. მისი ციხის აღსარება  
„De Profundis“ ამ ერთადერთ თემამდეა დაუ-  
ვანილი, და აბა ხხვა რაზეა მისი რომანი „დო-

<sup>2</sup> ოსკარ უაილდის თხზულებათა სრული კრე-  
ბული, სპბ, 1912 წ. IV გვ. 137—138.

<sup>1</sup> ოსკარ უაილდის თხზულებათა სრული კრე-  
ბული, სპბ, 1912, ტ. IV გვ. 145.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 141.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 146.

რიან გრეის პორტრეტი" — თუ არ ხელოვნებაზე! მისი მთავარი მოქმედი გმირი — პორტრეტი უაილდმა ისიც კი მოახერხა დაეწერა მთელი მოთხრობა, რომლის პერსონაჟები — შექსპირის სონეტები არიან!

როგორც ვეღა ამოჩემებული აზრით შეპურობილი, ისიც მხოლოდ თავისას ამბობდა. ერთ ზღაპარში იხვიც კი მხატვრულ კრიტიკაზე უყინებს.

თავის ზღაპრებშიც, როცა ევოლიუსმუოფელის დაქილდოება უნდა (ანგარიშმიუცემლად) მათ სილამაზეს ანიჭებს. მისთვის ეს ერთადერთი ძვირფასი ჩილდოა. და არც იმაზე დიდი სასჭელი იცოდა. ეიფრე სიმახინჯე იყო. — თვალი გაადევნეთ მის ზღაპრებს: ვარსკვლავბიჭუნა ბორცია, ამიტომაცაა გომბეშოსავით უსახური, კარგი ბიჭი გახდა და მაშინვე ულა მაწესად გადაიქცა.

ისე რომ — ზერეღე შებედვით — ოსკარ უაილდის ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი ანტიფორსაიტული პლეადის სიტუვისა და ფუნჯის ოსტატებისაგან, რომელთაც ჭერ კიდევ სიუმაწვილესი მიეკედლა, მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მათი სანუკვარი აზრები თუ გრძნობები ჭურხაში გამოჟინა და პირველ ხანებში არც იმაზე ამბობდა უარს, მათი რწმენის სიმბოლო ბუფონადად ექცია.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბუფონადით ამოიწურება მისი კეშმარიტი სულიერი არსი. ჩვენ სულ ახლახან ვნახეთ, რომ, მიუხედავად დაცინვით შერკმეული მეტსახელისა „ესთეტი“, ის სინამდვილეშიც ესთეტი იყო. მიუხედავად „სილამაზის აპოსტოლის“ იაფფასიან როლში მყვირალა გამოსვლებისა, ის სინამდვილეშიც სილამაზის აპოსტოლი იყო და თანაც უანატორიად მისი ერთგული.

ჩემი სტატიის გამოქვეყნებიდან ორიოდ წლის შემდეგ ამავე აზრს წავაწყდი ოსკარ უაილდის ერთ-ერთი ინგლისელი ბიოგრაფის გვიანდელ ნაშრომში.

„ოგი სინამდვილეში იყო ის, რადაც თავს აჩვენებდა. ის ესთეტის პოზას ღებულობდა. სინამდვილეშიც ესთეტი იყო. ის ბრწყინვალე ტალანტის მქონე კაცის პოზას ღებულობდა. სინამდვილეში ბრწყინვალე ტალანტი ვაანდა. ის იმ ადამიანის პოზას ღებულობდა, ვისაც მაღალი კულტურა მქონდა. სინამდვილეშიც იმ ადამიანს წარმოადგენდა, ვისაც მაღალი კულტურა მქონდა“.

მაშ საიდან მქონდა პოზისადმი ამგვარი მისწრაფება?

ჰესკეტ პირსონი, ოსკარ უაილდის ეველაზე ბოლოდროინდელი ინგლისელი ბიოგრაფი ცდილობს მთელი მისი ახირებულობა „სიმწიფე-დაუსრულებლობით“, „ბავშვობით“ და, როგორც თვითონ გამოთქვამს, ბიჭური ფსიქოლოგიით ახსნას.

მაშინ როდესაც, უაილდის ჭკუა ყრმობის წლებიდანვე არაჩვეულებრივი ტემპით ვითარდებოდა და საბოლოოდ გაცილებით ადრე ჩამოკალიბდა, ვიდრე მისი თანატოლების უდიდესი უმრავლესობა, მისი პიროვნების ემოციური ბუნების განვითარება, პირიქით, შეუკვნდა. ისე რომ, სიკოცხლის ბოლომდე თავისი ქცევით, თავისი დამოკიდებულებით ადამიანების მიმართ, დარჩა ცამეტი წლის ბიჭად, მოზარდად, ცელქ მოსწავლედ, რომელმაც თავის ფსიქიკაში ამ ახაკის ეველა თავისებურება — ბავშვური პათვიმოყვარეობა, ტრახახი და იმის წყურვილი შეინარჩუნა მოზარდების ყურადღება მიეპურო რაიმე ექსტრავაგანტური საქციელით. ისეთით, რომელიც ხერთოდ დაწესებული პორადის კოდექს დაარღვევდა.

ამ კონცეფციის მიღება არაფრით არ შეიძლება, რადგან მისი წარმოდგენისას, ჰესკეტ პირსონი ოსკარ უაილდის ბიოგრაფიის სოციალურ მომენტებს ხავსებით უგულუბედუოებს და მისი ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის ახსნას მხოლოდ და მხოლოდ მისი ტემპერამენტით ცდილობს. მაგრამ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მწერლის თავის დაჭერა და საქციელი საზოგადოებაში განსაკუთრებით მისი ლიტერატურული კარიერის პირველ წლებში, მის კეშმარიტ შინაგან სამყაროსთან განსაცვიფრებელ წინააღმდეგობაში მოდიოდა.

მე ვფიქრობ ეს ურთიერთწინააღმდეგობა იმით აიხსნება, რომ უაილდი, მიუხედავად მორცენებითი არისტოკრატული ტონისა, არსებითად თავადაზნაურობაში გარეულ რაზნოჩინელად, მეშჩანად დარჩა და ინგლისური ესტორიის იმპერიალისტური პერიოდის ბურჟუაზიულ ურთიერთობათა გავლენაში მოექცა. ბოლო ბურჟუაზიული ურთიერთობა მთლიანად იყო დამოკიდებული ბირჟაზე, ბაზარზე, ქუჩის რეკლამაზე, საგაზეთო ბზაურზე — და რანაირ ხნობად ან დენდადაც არ უნდა წარმოედგინა თავი, იძულებული იყო დამორჩილებოდა იმ ძალათა დიქტატურას, რომლებიც სტიქიურად მბრძანებლობენ ბურჟუაზიულ სინამდვილეში.

VIII

მაშ როგორია ოსკარ უაილდის ესთეტიკა? უპირველესად თვალში ვახვდება მისი

1) Ariur Ransome, Oscar Wilde, a critical Study, London, 1912.

ლტოლვა ორნამენტულ-დეკორატიული სილა-  
მაზისადმი: ძვირფასი ქვების, ტანსაცმლის, აგ-  
რეთვე ოქროს, ვერცხლის და ფაიფურის ნაირ-  
ნაირი ნაკეთობისადმი.

„იქ იყო ოქალები და საფირონები. — ვკით-  
ხულობთ მის ერთ წიგნში, — ოქალები ბრო-  
ლის ფიალებში ეწყო. ხალხ საფირონები იას-  
პის თასებში, მსხვილი, მწვანე ზურმუხტები  
მწკრივებად იყო განლაგებული სპილოს ძვლის  
სიფრიფანა ლანგრებზე. კუთხეებში კი ფი-  
რუხები და ბივრილებით გატყნული პატარა  
ფუთები ეწყო. სპილოს ძვლის უანწები პირ-  
თამდე იყო ავსებული მეწამული ამეთვისტო-  
ებით. სპილენძის უანწები — ქალცედონებით...  
ოვალურ ბრტყელ დაფებზე ეყარა ღვინის ან  
მოლისფერი კარბუნკულები“.

ეს ოსკარ უაილდის ზღაპარია „მეთევზე და  
მისი სული“.

ვმლი მეორე წიგნს და ვკითხულობ:

„მე ონიქსი მაქვს მკვდარი ქალის გუგების  
მსგავსი ონიქსი. მე მაქვს მთვარის ქვები, რომ-  
ლებიც იცვლებიან, როცა იცვლება მთვარე და  
ფერმკრთალებიან მზის სხივთა წინაშე. მე  
მაქვს ბივრილები, ბადაბშები, სარდონიქსები,  
კრიზოლიტები, პიაციტები, ქალცედონები.  
უველაფერ ამას შენ მოგცემ და კიდევ სხვა  
განძსაც დავუმატებ“.

ეს ოსკარ უაილდის დრამა „სალომეა“.

ვმლი მესამე წიგნს და ვკითხულობ:

„ის ხშირად მთელ დღეებს ატარებდა ზარ-  
დაბშიდან ზარდაბშაში ქვების გადაურ-გადმოყ-  
რაში ზეთისხილისა თუ მომწვანო ფერის კრიზო-  
ბირვილები ლამფის შუქზე მოწითალონი ჩანდ-  
ნენ, სხვა ქვებს ვერცხლისფერი ხაზი ისე დაჰყ-  
ვებოდა, თითქოს შუაში სიმიტ გადაეჭრათ.  
ფსიქის ხის ფერი კრიზოლიტები, მოვარდის-  
ფერო-მოწითალო და ღვინისფერდაკრული  
უვითელი ტოპაზები, ცეცხლივით მეწამული,  
სისხლიანი ვენისები, ნარინჯოვანი და ლილოვა-  
ნი შპინელები. მას აჟადოებდა მზის ქვეშ წი-  
თელი ოქრო და მარგალიტის სითეთრე მთვარის  
ქვისა“ და ა. შ., და ა. შ., და ა. შ.

ეს ოსკარ უაილდის რომანი „დორიან გრეის  
პორტრეტია“.

იგივე მეორდება ზღაპრებში, ლექსებში სა-  
ხელგანთქმულ პოემაში „სფინქსი“, ტრაგედიაში  
„ქალი მორთული ძვირფასეულით“, „ბედნიერ  
პრინციში“ — ბივრილები, საფირონები, ბადაბ-  
შები, მარმარილოც, ნეფრიტიც, ოქროცურვი-  
ლიც. „უჭაწვილ მეფეში“ — მარგალიტი, აჟა-  
ტი, ამეთვისტო, ფირუზი, ინფანტასა და მეთევ-  
ზის სულზე დაწერილი მისი ზღაპრის თითოეუ-  
ლი ფურცელი, თითქოს იაგუნდის, აღმასების,  
ლალების მტევნებით მოქარგული ბიზანტი-

ური ხატის მოქედითობა იყოს, ახლა რამდე-  
ნი ოქრო, მარმარილო, სპილოს ძვალი თით-  
ქოს უკვე დროა დაამთავროს, ის კი აგრძელებს  
და აგრძელებს ჩამოთვლას, აუღარებს მოქმედე-  
ბას, ანელებს რემას — ოსკარსაც გაული იჭე-  
როს ამ განძის ჰვრეტიკულ-ფუნქციონირება და  
გამოსახვა, მხოლოდ ნაქოთფეხს დათო სახე-  
ლებისა, სათითაოდ დასახელებაც შემოქმედე-  
ბითი სიხარული იყო ოსკარ უაილდისათვის.

აი, კიდევ ერთი უმცარესი წვრილმანი: ისე-  
თივე გატაცებით, ლამის ტკბობით აღწერდა  
ადამიანების ტანსაცმელს ბანდახან კაცის სა-  
ხის დახატვა დაავიწყდებოდა, მაგრამ კოსტი-  
უმს უოველთვის, უალებლივ უოველთვის აღ-  
წერდა, ჯერ კოსტიუმი და მერე სახე.

„აჰ, თქვენ რომ ის გენახათ, — აღტაცებით  
ყვება დორიანი თავის შექვარებულზე, — უა-  
ვისფერ სახელოებიანი, ღია მწვანე ქურთუკი  
ეცვა, ერთი ციციკა მწვანე ქუდში ბრჭყია-  
ლა აბზინდით ჩაემაგრებინა შევარდენის ფრთა,  
კაპიტონიან მოსახსნამზე მუჭი წითელი ხარ-  
ჩული ჰქონდა გამოდებული“.

ახე დაწვრილებით აღწერა საუყარელი ქალის  
ტანსაცმელი და არც ერთი სიტყვა არ თქვა  
სახეზე — მხოლოდ ბოლოს, გაკვრიბ შენიშნა.  
სახე თეთრი ვარდივით ჰქონდაო. თვით უაილ-  
დიც ხშირად ემსგავსება საკუთარ გმირს, ჯერ  
კრიტიც არ დაეძრა თავისი ინფანტას გარეგ-  
ნობაზე და პირველივე სტრიქონებიდან დაწვ-  
რილებით, თითქოს მოდებინ უურნალოდ, მი-  
სი ტანსაცმლის აღწერა დაიწყო:

„კაბა ნაცრისფერი ატლასისა ეცვა, ქვედა-  
ტანი და განიერი სახელოები მძიმე, ვერცხ-  
ლისფერი ნაქარგით იყო მორთული, მჭიდროდ  
შემორტყმული კორსაეი მთლიანად წვრილი  
მარგალიტებით ჰქონდა დაფარული. როცა  
დადიოდა, გადაფურჩქნული ვარდისფერი  
ბაფთებით გაწყობილი პაწაწინა ფეხსაცმელები  
მოუჩანდა. დოლბანდის დიდი მარაოც ვარ-  
დისფერი იყო და ისიც მარგალიტებით მოტყ-  
ვილი“ (ინფანტას დაბადების დღე).

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ ოსკარ  
უაილდი ერთხანს „ქალთა სამყაროს“ („The  
Lody's World“) რედაქტორობდა და იქ თავს  
შესანიშნავად გრძნობდა: წერდა კორსეტებზე,  
პაწაწინა შლიაპებზე, კრა-ვერვის კურსებზე, ახ-  
ლა რამდენი ლექცია აქვს წაკითხული ტან-  
საცმელზე! კოსტიუმების როლზე შექსპირის  
პოეზიაში მთელი ტრაქტატი — „ნიღბების  
ქეშმარიტება“ — დაწერა, და იქ, წინააღმდეგ  
მთელი ქვეყნისა, დაამტკიცა, რომ არ არსებობს  
მეორე დრამატურგი, რომელსაც ასეთი მნიშე-  
ნელობა მიენიჭებინოს კოსტიუმებისათვის,  
როგორსაც სწორედ შექსპირი ანიჭებდა, რომ

საუფრობის აქრილობა, წინდების ფერი, ქალების ცხვირსახოცებისა თუ თავსაფრების მოხატულობა შექსპირს ძალიან ახლოს მიჰქონდა გულთან. რომ მხოლოდ ამის გამო აღმოჩნდა მცერი მისი ნაწარმოები ასე პოეტური და ასე ღრმა უაილდის კოსტიუმებზე საცოცხლის სხვადასხვა პერიოდში მთელი დისერტაციის დაწერა შეიძლება. „ოსკარ უაილდი თურქებმა შექმნეს. მისი პირველი დიდება ტანსაცმლითაა მოპოვებული“. — ამბობს მის დამი არაერთილად განწყობილი დაგლასი.

და რაც უკეთესად განსაცვიფრებელია კაცი, რომელიც გატაცებით აღწერდა უკველნიერ ხავერდებს, ნაქარგებს, ფარდებს, ვეფხვებს — დორიანის ქიშმირის ხალათსაც კი — უკეთესად, რაც ნემსითა და ხაჭირისითაა გაკეთებული, უკველივებს, რაც ადამიანის მიერ ადამიანის მისხართადაა შექმნილი, თითქმის ვერ ზედავს, არ სურს შეხედოს უკველგვარი სილამაზის წყაროს და სათავეს — ბუნებას, ეს ოთახის, ხალათის მწერალი უფრო ხშირად უგალობდა ბრილიანტებს, ვიდრე ვარსკვლავებს და ლურჯი აბრეშუმი ზეცაზე მშვენიერად მოჩნდა.

ბელოვსურ სილამაზეს ელაციცებოდა, ბუნებრივისგან კი პირს იბრუნებდა, ალბათ ბუნებასაც შეიყვარებდა, იფველიარებს რომ დაეხვეწათ და მოხელსაქმეებს ზედ საბუები ამოუქარგათ, როცა ბუნებაზე დაპარაკობს, თითქოს ოქროსქვეფლობის ოსტატთან ან ქალთა მოდურ სახელოსნოში შეეძინოს. „ნისლი — როგორც უვითელი შარფი“, „მარმაშის ღრუბლების მიღმა მთვარე იღიმება“, „ქაფი — როგორც მაქმანი, ხოლო მთვარე — უვითელი დოღბანდების ვუალში!“ ვარდისფერი ფურცლები, თითქოს აბრეშუმისა იყო“, „ქრტიინამ, როგორც ლურჯმა ქაფმა, მარმამის ფრთებით ჩაიჭროლა“.

ღემწაზე ასეთი გამოთქმა იხმარა: „როგორც იასპისაგან გამოთლილი ხელჯახი“, „ბოსტნეული — თითქოს ნეფრიტისაგან გამოკვეთილი“, „ზღვა — როგორც ფარი“, დედამიწა — როგორც სპილენძის გაქრიალებული დისკო“, „მთვარე ვიწრო ნამგლიდან ვერცხლის ფარად გადაიქცევა“, „ზე იზრდება ოქროსი, ნაყოფი ვერცხლისა აქვს“, „ზამთრის უინვაში დედამიწა, როგორც ვერცხლის უვაილი, მთვარე კი როგორც უვაილი ოქროსი“.

თითქოს იუველირის სახელოსნოშია დაბადებული ბუნება და ზღვის ხირინოზებიც იუველირის საჭრისითაა გამოკვეთილი, „მისი თმები — ამბობს უაილდი, — დაცვარულ ოქროს საწმისს წაგავდა და თითოეული ღერი თმა ბრლის თასში ჩაშვებულ ოქროს უწმინდეს, მაფს — ემსგავსებოდა, სხეული — თითქოს სპილოს ძვლისგან გამოეჭანდაყებინათ, ხოლო

კუდი მარგალიტისა და ვერცხლის ნარევის წარმოადგენდა მარგალიტებისა და ვერცხლისა იყო კუდი, თვალები კი — ლილიანური ამეთვისტოსი“.



აზც ერთი პეიზაჟი, სუფთა მარჯონ წამოქროლებაც არსად ვაჭანებდა მხოლოდ ოთახები, კედლები და სალიჩიები ბუნების უკველი შენაქმენიდან უაილდს მხოლოდ და მხოლოდ უვაილები უყვარს (მისი წიგნების ფურცლებზე ბევრი ქადვარები და ტიტები), მაგრამ ორანჯერის უვაილები, ბელოვსურად ნახათუები, თითქოსდა არანამდვილი უვაილები.

ღუთილად არ იყო, რომ ერთ პასკვილურ რომანში, სადაც უაილდია გამოუვანილი, წერია, როგორ უბრძანა მიხაეის უვაილის მწვანედ შეღებვა და სადილეში ტარების უფლება მხოლოდ ასეთნაირად გადადებოდა მიანიკაბა, ვის არ გააოცებს სპილოს აღწერა უაილდის ფურცლებზე. „მისი ხორთუმი ზაფრანითა და სინგურით იყო მოხატული, უჭრებზე აბრეშუმის ზონარებისგან დაწნული წითელი ბადე ეფარა“.

ასევე უყვარდა გადაღებილი და მოკჭროვილი ადამიანების აღწერა — რაც შეიძლებოდა შორს ბუნებისაგან, რაც შეიძლებოდა შორს ბუნებრივისაგან.

„მისი წვერი და თმა, — ამბობს ვილადაზე წიგნში „ბროწეულის ჩრდილქვეშ“, — ვარდის ფურცლებით იყო შეღებილი, ხოლო ლოყები ოქროს წმინდა ფზვნილით გაჟღერული, ხელისგულები და ტერფები უვითელი ზაფრანისგან გაუვითლებული, მზის ამოსვლისას ვერცხლის ტანსაცმელში გამოვიდა, ჩასვლისას კი ოქროს სამოსით დაბრუნდა, ჩემს დანანვაზე შეღებილი წარბი შეიწია“.

და ასეთი შეღებილი გმირი წვება ლომის შეღებილ ტუავზეც, რადგან განა შეიძლება უაილდმა დაუშვას, რომ ლომები ბუნებრივი შეფერილობისანი დარჩნენი „ხალომეაში“ რომელიღაც ქაღს ლურჯი თმები აქვს, ხოლო ზღაპარში „მეთევზე და მისი სული“ ქალწულის ფეხები ლავზონიაშია ამოვდებებული, ახლა როგორი თვალწარმტაცები არიან ოსკარ უაილდის ვილადა ველურები, რომელნიც მთელ სხეულს შავი და უვითელი ფერებით იღებავენ — ასეთი დეკორატული ფერებით!

შეღებულ უვაილები, შეღებულ მხეცები და ადამიანები, ღრუბლები მარმამიდან დაამწაღეთ, ვარდები — აბრეშუმიდან, ბეები — ოქროდან და ვერცხლიდან.

ზღვის ქაფი — მაქმანიდან, ფაენები — სპილოს ძვლიდან და ასეთ არაბუნებრივ ბუნებას რომ შეხედავს, ასეთ ბელოვსურ ბუნებას, ოს-

კარ უაილდი აღტაცებისგან აქვითინდება, ისევე, როგორც მის რომანში დორიანი ქვითინებს. აღტაცებისგან აუვირდება. ისევე, როგორც უმაწვილი მეფე (ამავე სახელწოდების ზღაპარში), როცა ზედავს გამჭვირვალე ტანსაცმელს ან ლამაზ შალუბს.

ეს მეფე ტუიდან მოიყვანეს, ბუნებას მოსწყვიტეს. მან დაივიწყა აისები და დაისები, დაივიწყა ფირუჭების, აბრეშუმის ნოხების და სპილოს ძვლის გულინათვის. ვენეციიდან ჩამოუტანეს სურათი და მის წინაშე, როგორც ხატთან მუხლებზე დაიჩოქა. ცხელი ტურებით, როგორც ხატებას, კოცნიდა და ეამბორებოდა ანტიკურ ქანდაკებას.

საგულინებოა, რომ ლექსების პირველ წიგნში უაილდი უმღეროდა არა გმირებს, არა შეუვარებულებს, როგორც ახალგაზრდა პოეტისთვისაა დამახასიათებელი — არამედ კომეტებს: სუინბერნს, კიტსს, რმსმტს, მორისს, მხატვარ ბერნ ჯონსს, მსახიობებს: ჰენრი ირვინგს, სარა ბერნარს, ელენ ტერის.

მას შოაგონებას ცხოვრება კი არა. წიგნები აწვდიდა და თუ ბუღგარეთში ქრისტიანების ხოცვაზე წერდა ლექსებს. მხოლოდ იმიტომ, რომ დიდმა მილტონმა პიემონტის სისხლიან რბევაზე დაწერა სონეტი. თავის ახალგაზრდობისას დაწერილ პოემაში „ეროტის ბაღში“, რომელ უვავილსაც არ შეხედავდა, მაშინვე რომელიმე წიგნისეული ლეგენდა ახსენებოდა, გუშინ თუ გუშინწინ რომ ამოეკითხა თავის საყვარელ ფოლიანტებში.

წიგნისეული ტანჯვანი მისთვის გაცილებით უფრო მტკივნეულია, ვიდრე ცხოვრებისეული, ნამდვილი როცა საპატარძლო გარდაეცვალა. დორიან გრემს წამოიძახა:

— ოჰ, როგორ ავქვითინდებოდი, მისი სიყვდილი წიგნში რომ ამომეკითხა!

ხელოვნებაში უველაზე მეტად ხელოვნურობას მოჰყავდა აღტაცებაში. მშვენიერი ნივთები, ადამიანის ხელის მშვენიერი ნაკეთობა მისი ტკბობის უმთავრესი წყარო იყო. და ხშირად, როცა თავისი ქანცგამომცლელი მახვილხიტველობიდან დასვენება უნდოდა, იმდენად არ მღეროდა, იმდენად არ ხატავდა, რამდენადაც „ქარგავდა“ — ქარგავდა მრავალი ფერის ფიგურებით. წიგნი „ბროწეულის ჩრდილქვეშ“, არსებითად მშვენიერი ნაქარგია. მერე რა შესანიშნავადაა შერჩეული ფერები:

— კვირდღის შემოსილი ქურუმები უხიტივოდ დააბიგებდნენ ხეთა სიმწვანეში. შპპი მარმარდღის ფილებზე იდგა მწვანეში, ვითარცა ვარდი, სასახლე, სადაც ცხოვრობდა ღმერთი. საბურავი მწვანე ფაიფურისა მკონდა — ზღვის წყალივით ღია ფერისა... ქურუმს

თავზე ვმრცხლის ნახევარმოვარებით შორთული შპპი ნაბდის შიტრა ეხურა“.

ეს — ნაქარგია, ეს — ხალიჩაა და ამ ხელსაქმობაშია უაილდის, როგორც მხატვრის უდიდესი ამბიცია. მან თავის ლექსებს „დეკორატიული პანო“ დაარქვა როცა კრიტიკოსებმა მისი რომანი დორიან გრემსის შესახებ უბასუხა:

„ეს ხომ წმინდა დეკორატიული რომანია!“ „დორიან გრემის პორტრეტი — ოქროს ფარჩაა!“ — აქებდა თავის ნაწარმოებს შემდგომში ერთი მისი გმირი ამბობს:

„მსურდა დამეწერა რომანი, რომელიც ისევე მომხიბვლელი იქნებოდა, როგორც სპარსული ხალიჩა, და, რა თქმა უნდა, ისევე დაშორებული სინამდვილისაგან“.

სპარსული ხალიჩა, ფარჩა — უაილდისათვის სილამაზის, მოჩვენებითი სილამაზის უმაღლესი გამოხატულებაა. „მხოლოდ ფერები, — აღტაცებით ამბობს უაილდი, — რომელთაც არ აფუჭებთ მათში ჩადებული რაიმე აზრი, არავითარ განსაზღვრულ ფორმასთან არ არიან დაკავშირებული, ათასობით ხნვადანხვავარი საშუალებებით მათ შეუძლიათ ძალიან ბევრი რამ უთბრან ადამიანის სულს ჩვენს გონებაში იბეჭდება დახვეწილი ნაწებისა და ლაქების მარმონია. ხატების გამეორებები გვამწვიდებს. ნახატის უცნაურობა აღაგზნებს ჩვენს წარმოდგენას“.

წიგნში „განჯარხვანი“ უაილდი აღტაცებას გამოთქვამს, რომ სპარსულ ხალიჩებში უვავილის გამოსახულებაც არ არის. როცა „დორიანში“ რომელიღაც წიგნის შექება უნდა, ამბობს: — ის მშვენიერია, როგორც გობელენი!

IX

ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსმა სიმბოლისტებმა, რომლებიც ოსკარ უაილდს ძალიან მაღალ შეაფხებას აძლევდნენ ნამდვილი ცხოვრების რეალურობისაგან მისი განდგომილების გამო, იგი თავისიანად გამოაცხადეს და გვერდით ამოუყენეს მეტროლინკს, კშებიშევსკის, გეისმანსს, გაბრიელ ანუნიციოს.

ეს უოველივე უდიდეს შეცდომას წარმოადგენდა, რადგან შეუძლებელია სიმბოლიზმის იმაზე მძვინვარე მტრის წარმოდგენა ვიდრე ოსკარ უაილდი იყო. მისტიკა და მეტაფიზიკა არასოდეს იწიდავდა მას. ხელოვნებაში არავითარ განუენებულობას არ ცნობდა. „ფორმა და ფერი გველაპარკებიან მხოლოდ ფორმასა და ფერზე — სხვა არაფერზე“, — არაერთხელ ამტკიცებდა იგი.

„იმ ქვეყნიერების განქვერცთა“ — მას უდი-  
დეს აბსურდად ექვენებოდა და არასოდეს დას-  
წერდა, რომ:

უსაზღვროებით მიზიდული  
ხული უჩინარი

გრძნობს სხვა სამყაროს! —

იმიტომ, რომ მას მხოლოდ ხილული, მხოლოდ  
„დასაზღვრული“ უყვარდა.

„ვინ იტყვის თანხმობას, — წერდა იგი, —  
ვარდის თუნდაც ერთი ფოთელი გადაცვალოს  
იმ უფორმო, იმ უსხუფლო არსებაზე, რომელსაც  
ასე მალეა აყენებს პლატონი? რა გვეხაქმება ფი-  
ლონის ზეშთაგონებასთან, ეკარტის უძირკობასა  
და თუნდაც სასწაულებრივ ზეცასთან, რომე-  
ლიც განიბვნა ხვედენბორტის დაბრმავებულ  
თვალთა წინაშე?“

მარადიულობა და უსაზღვროობა ოსკარ უაილ-  
დისათვის არ არსებობს. „ელინები, — ამტკი-  
ცებდა იგი „განზრახვებში“, — მხატვარ ხალხს  
სწორად იმიტომ წარმოადგენდნენ, რომ  
მათთვის მარადიულობა და უსაზღვროება უცხო  
მცნებები იყო. ჩვენ მივისწრაფით მხოლოდ  
კონკრეტულისაჲს, მხოლოდ ერთს, კონკ-  
რეტულს შეუძლია ჩვენი დაკმაყოფილება“

„დაე, სხვებს სწამდეთ უჩინარის, — წერს  
უაილდი „De Profundis-ში“ — მე მხო-  
ლოდ ის მჭერა, რისი დანახვა და აღქმაღ შე-  
იძლება. მე დუდამიწაზე მოვიპოვე ზეცის მთე-  
ლი მშვენიერება და კოკობეთის უველა საში-  
ნელება“ „სამყაროს ქვეშარტი საიდუმლო, —  
ამტკიცებს ლორდ გენრი, — ხილულშია და  
არა უხილველში“.

„რაში გამომადგება მე ჩემი ხული? — შადაა  
გაიმეოროს ერთი თავისი ზღაპრის გმირის სიტ-  
ყვები — მე ხომ არ შემიძლია მისი დანახვა,  
არ შემიძლია მივეახლო, ხელი შევახო, მე არ  
ვიცი, როგორი ფორმისაა იგი“

არ განიცდიდა არავითარ მიზიდულობას „არა-  
ამქვეყნიურისადმი“, ამ ქვეყნის საზღვრის  
მიღმა არსებულისადმი და კიდევ უფრო მტკი-  
ცედ უარყოფდა სინამდვილის რეალისტურ  
აღქმას. რეალიზმთან უნაყოფო ბრძოლაში მან  
ისტოი სექტანტური მოუთმენლობა და მგზნე-  
ბარება გამოამყვანა, როგორც თითქოსდა  
სრულიად უჩვეულო უნდა უკოფილიყო ხალხის  
ოქროპირის, ეპიკურელისა და დენდისათვის.

განსაკუთრებით იმ „ცოდვილთ“ ვერ იტან-  
და, ვინც ხელოვნებას ასე თუ ისე მორალს  
უმორჩილებდა.

„ესთეტიკა ეთიკაზე მალეა დგას!“ — ეკა-  
მათებოდა მათ უაილდი. „ეთიკური პრინციპე-  
ბისადმი მხატვრის სიყვარული და მიკერძოე-  
ბულობა — სტილის მიუტევებელი მანერულო-  
ბაა“. „პიროვნების განვითარებისათვის სადე-

ბავებსა და ფერებში გარკვევა-გაგება გაცილ-  
ბით მნიშვნელოვანია, ვიდრე ბორბებისა და  
სიკეთის მცნებებში“.

და ასე მუდამ, თავისი პარადოქსული უკი-  
დურესობამდე დაჰყავდა.

„უოველგვარი ხელოვნება უნდა იყოს — უოველ-  
გვარი ხელოვნება დანაშაულობაა“ „სხატვა  
არის იდეის გამოვლინება სილამაზეზე“

ტუფილად როდი იყო, რომ დორიანი შეყვა-  
რებულის მოკვლის შემდეგ ოპერაში მიდის  
და დიდი გატაცებით უსმენს პატრს, ხოლო  
მხატვარ ბაზილის მოკვლის შემდეგ დაბვენი-  
ლი ფრანგი პოეტის მდიდრულად გამოცემულ  
ლექსების წიგნს ფურცლავს და აღტაცებაში  
მოჰყავს სტრიქონებს ვენეციაზე. ამ „მოთეტრო-  
მოვარდისფერო ვენერაზე, რომელსაც მკერდი  
მოციმციმე მარგალიტს მიუგავს“

და როცა ოსკარ უაილდის მოთბრობაში  
ბორბტმოქმედს გოგონას მოწამვლაში აღადა-  
შაულებენ, ის სწორედ ესთეტიკით იმართლებს  
თავს:

— ის, რაც მე გავაკეთე, ნამდვილად სა-  
შინელებაა, მაგრამ მას ისეთი სქელი ფეხები  
ქონდა!

იმისათვის, რომ ეს შემწარავი სტრიქონები  
დაწერო, მტკიცედ უნდა იყო დარწმუნებუ-  
ლი, რომ ესთეტიკა სინამდვილეში მტრულადაა  
განწყობილი სიკეთისადმი.

ასეთივე სექტანტური სიცხადით უტევდა  
ოსკარ უაილდი მისთვის საძულველ საყოველთაოდ  
აღიარებულ მოთხოვნილებებს, რომ მხატვარი  
თავის შემოქმედებაში გულწრფელ, ცოცხალ,  
ცხოველ ემოციებს უნდა ასახავდეს.

ზომიერი გულწრფელობა საშიშია სილამა-  
ზისათვის, ხოლო გადაქარბებული — დამლუპვე-  
ლი.

„აკი უველა ლექსი — გულწრფელი გრძნო-  
ბითაა დაბადებული“

„სილამაზე, ნამდვილი სილამაზე თავდება  
იქ, სადაც ზეშთაგონება იწყება“.

მხანიობი სიბილა უენი, მის რომანში დი-  
დებულად თამაშობს ზეშთარბულს, მანამ თვი-  
თონ არ შეუუყვარდა. მაგრამ როცა მის  
ცხოვრებაში გამოჩნდა ნამდვილი რომეო, როცა  
თავი ნამდვილ ქულიეტად იგრძნო, დაიწყო  
ქულიეტას თამაში უნიკოდ, უღიმღამოდ, მაღალ-  
ჭარდოვნად. მისმა გრძნობის სიწრფელემ ხე-  
ლი შეუშალა თამაშს: გულწრფელობამ ავნო  
ხელოვნებას!

როცა უაილდი ამტკიცებდა ხელოვნების თა-  
ვისთავადობას, იგი თვით აზრსაც კი უარყოფ-  
და იმის თაობაზე, რომ ხელოვნება მხოლოდ ანა-  
რეკლია, მხოლოდ ხარკვა ცხოვრებისა. არა  
ეს ცხოვრება ბაძავს უველაფერში ხელოვნებას

როგორც საცოდავი მაიმუნი, მიხვან იღებს უველა მოძრაობასა თუ უესტს ხელოვნება — ერთადერთი რეალობაა, ხოლო ცხოვრებაში — აჩრდილები, ქიშკრები და ფანტომები არიან. „მე მიყვარს თეატრი, ის ცხოვრებაზე გაცილებით რეალურია“! — გამომწვევად იმეორებს უაილდი. „ოფელია უფრო რეალურია, ვიდრე მხახიობი, რომელიც თამაშობს მას“. — ამტკიცებდა იგი „დორიანში“. „ეს მოცეკვავე მარიონეტით როკავს, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმასაც ნატურალურად ვერა“. — ამბობს უაილდის ზღაპარში ერთი გოგონა. მარიონეტები ადამიანებზე ნატურალურები არიან! — და უაილდი უვება, რომ დიდ ინკვიზიტორს, რომელმაც ურიცხვი ცოცხალი ადამიანი კოცონზე დასწვა, მარიონეტების დანახვაზე გული აურვილდა და ჩაიჩურჩულა, რა ძალიან მწარეა დაინახო მავთულებით გადაბმული ხისა და ხანთლის უბრალო თოჯინები, იხილო მათი უბედურება და იგრძნო რა მძიმე გაჭირვება გადაუტანიათ.

„რეალური ადამიანები მხოლოდ ისინი არიან, რომლებიც არასოდეს არსებობდნენ“. და უაილდი ამტკიცებს, რომ ცხოვრება სადღაც უკან, ხელოვნების უკან მიჩანჩალებს, რომ მაგალითად ლონდონელი მანდილოსნები არა თუ ბაძვდნენ დანტე გაბრიელ როსეტისა და ბერნჯონის სურათების ქალებს თმის ვარცხნილობაში, არამედ სახესაც კი ისეთს იღებდნენ, როგორსაც ამ ნახატებზე ხედავდნენ. და ასე ხდება მუდამ. ჰამლეტი შექსპირმა გამოიგონა და მერე რამდენი ჰამლეტები და ჰამლეტიკოები გაჩნდნენ ცხოვრებაში! „მთელი ქვეყნიერება მიეცა შელანქოლიას იშის გამო, რომ ერთხელ დადარდიანება მოიწადინა მარიონეტმა“.

ნიპილისტი ტურგენევიცა გამოიგონა, ხოლო ცხოვრებამ მხოლოდ ამის შემდეგ წარმოქმნა ეს ტიპი. ბერძნებმა იცოდნენ რასაც აკეთებდნენ, როცა ახალდაქორწინებულთა საძინებელში ლამაზ ქანდაკებებს დგამდნენ, მათ იცოდნენ, რომ თუ გატაცების წუთებში ქალი ხელოვნების კმნილებას შეხედავდა, მასში ჩასა-

1 საინტერესოა, შეენიშნოთ, რომ ერთი რუსი ხალხოსანი მეღვინე (პ. იაკუბოვიჩი) ტურგენევისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში წერდა: „რუდინის, ინსარევის, ელენას, ბაზაროვის, ნეჟდანოვისა და მარკელოვის იერსახეები — არათუ ცოცხალი და ცხოვრებიდან ამოღებული ნატებია არამედ, რაც არ უნდა უცნაურად ვღერდეს ერთი შეხედვით — ეს ის ტიპებია, რომელთაც ბაძავდა ახალგაზრდობა და რომლებიც თვითონ კმნიდნენ ცხოვრებს“ (1883).

ხული ბავშვი ქანდაკებასავით ლამაზი დაიბადებოდა.

მაშ შევქმნათ ცხოვრებიდან ხელოვნება, გადავიკეთო საკუთარი ცხოვრების მომღერლებად მხატვრებად, არქიტექტორებად... გარდავქმნათ იგი სიმფონიად ან უკრულს ვარჩედ, და ვუცქიროთ, როგორც უძველეს ტრაგედიას, „დორიან გრეისთვის. — ამბობდა უაილდი, — თვით ცხოვრება იყო უპირველესი და უდიდესი ხელოვნება ხელოვნებათა შორის“, — და აი, დორიანი დღეს კათოლიკედ იქცევა, ხვალ დარვინისტად, ზეგ მისტიკოსად, მხატვრულად გარდაისახება და კმნის საკუთარ ცხოვრებას, როგორც ლეგენდას, რადგან სწამს, რომ ან „შექმნილ ლეგენდაში“ მეტი რეალობაა, მეტი სიმართლეა, ვიდრე ნამდვილ ცხოვრებაში.

ზუსტად ასევე, თავისი ცხოვრებიდან კმნის ლეგენდას ლედი ალროი — უაილდის მოთბრობაში „სფინქსი უგამოცანოდ“. ამ მოსაწყენმა, ჩვეულებრივმა ქალმა თავისი ცხოვრება ზღაპრად აქცია თვითონ გამოიგონა თავისთვის რაღაც არარსებული საიდუმლო — საკუთარი თავიდან თითქოსდა ხელოვნების კმნილება შექმნა და მომხიბვლელად მშვენიერი გახდა.

საყვარელმა გოგონა ხესილიმაც, კომედიაში „რა დიდი მნიშვნელობა აქვს იყო ხერიოზული“, იგივე გააკეთა: საკუთარ თავს თვითონ მისწერა სასიყვარული წერილი, თავი დაინიშნა უცნობ (თვით არარსებულ) შეყვარებულზე და მწირი უოფის ამ პოეტურად გარდაქმნაში გამოიხატა — მისი მთავარი, მისი ერთადერთი მომხიბვლელობა. „მაშ გახდით თქვენივე ცხოვრების პოეტები, ადამიანები! — გვარწმუნებს უაილდი. — გჭეროდეთ, რომ პოეზიის სიცრუე ცხოვრების სიმართლეზე უფრო დიდი სიმართლეა“.

და გვიამბობს არაკს „ერთგული მეგობარი“, ორი მეგობარი ცხოვრობდა, ერთი ნამდვილად ერთგული იყო. მეორე — მოჩვენებითად, მხოლოდ სიტყვით. ერთი მზად იყო მეორისთვის სიცოცხლე გაეწირა, მეორე კი მხოლოდ ლამაზი სიტყვებითაც იოლად გადიოდა, თავისი კაშმული ლაპარაკით ხატავდა მოჩვენებით გრძნობებს. და მერე რა! ადამიანის გულს — ამტკიცებს უაილდი, — საქმეზე მეტად სჭირდება სიტყვა, მეგობრობაზე მეტად მეგობრობის ილუზია. და თუ იმ ერთმა მეორეს საკუთარი სიცოცხლე შესწირა, მხოლოდ ტუუილმა, მაგრამ ტუბილმა სიტყვამ შეაწირინა.

რადგან, ოსკარ უაილდის აზრით, პოეზიის სიტყვები უფრო ფაქტია, ვიდრე ფაქტები: მხოლოდ სიტყვების გამო და მხოლოდ სიტყვებისათვის ადიოდნენ ადამიანები კოცონზე.



— სიტყვები, სიტყვები, უბრალო სიტყვები! და განა ცხოვრებაში არსებობს რაღაც უფრო რეალური, ვიდრე სიტყვები! — აღტაცებით წამოიძახებს უაილდი „დორიანში“, „ნიდაბი მუდამ შეტს გვეტყვის, ვიდრე თვით სახე.“ — იმეორებს იგი „განზრახვებში“.

ნურც ეტყვიოთ მას, რომ ჩვენს საქმეებს ან საქციელს რაიმე, თუნდაც იოტისოდენა ღირებულება გააჩნიათ. არა, ყოველ ჩვენს საქციელში ჩვენ მხოლოდ მონები ვართ და მხოლოდ ბელოვნებაში, მხოლოდ შემოქმედებაში ვართ თავისუფალი:

„როცა ადამიანი მოქმედებს, ის მარიონეტია; როცა აღწერს — პოეტი“.

„ყოველი მოქმედება შეზღუდული და ფარდობითია. უსაზღვრო და აბსოლუტური მხოლოდ ოცნებაა“.

„ისტორია შეუძლია გააკეთოს ყველამ, მას წერს მხოლოდ დიდი ადამიანი“.

როგორი უმნიშვნელონი იყვნენ ის გმირები, ჰომეროსი რომ უმღეროდა, მის წინაშე, პომპროსის წინაშე!

მას დავწყველოთ ყოველგვარი საქმე და საქმიანობა. გავხდეთ სიზმარმზილველები და მკვრეტელები. შევეცადოთ, კი არ ვაპატიოთ, არამედ ვიპატიოთ — ან უფრო ზუსტად ბარდავიმზნათ ბელოვნების ხან ერთ და ხან მეორე კმზილებად. „არაფრის კეთება ქვეყანაზე ყველაზე ძნელი საქმეა, ყველაზე ძნელი და ყველაზე ინტელექტუალური... რჩეულები იმიტომ არსებობენ, რომ სრულებით არაფერი აკეთონ“.

ერთი სიტყვით, რამდენი შქადაგებელიც არ უნდა შეგხვედროდა ბელოვნებისა ბელოვნებისათვის, ასეთი სავონაროელი, ასეთი ფანატისი ბელოვნება ყველა ნივთის საწოლად, ყოველგვარ ფასეულობათა ფასად რომ გადაექცია ქვეყნიერებას აქამდე არახოდეს ენახა. ბელოვნება იყო ერთადერთი წერტილი, რომლის გარშემო ტრიალსაც აიძულებდა ქვეყნიერებას, ბელოვნება იყო მისი სამყაროს მზე. ბელოვნებას ფანტასტიკურად აშორებდა, აცილებდა, მისთვის „უცხო ყველა მინარევს“: გრძნობას, გონებას, სიკეთეს — და ბოლოს და ბოლოს, როგორც უკვე დავინახეთ, ის მხოლოდ და მხოლოდ სპარსულ ბალიჩასთან უნდა დარჩენილიყო, ორნამენტის რაინდად, დონკიხოტად უნდა გადაქცეულიყო.

§

მაგრამ განა შეუძლია ქვეშაირი ბელოვანს თავისი უმდიდრესი ტალანტი შესწიროს ისეთ ღარიბ და უბედურ სიღამაშეს, რომელიც გან-

დგომილია ბუნების, გონების, სიმატილისა და ცხოვრებისაგან?

ოსკარ უაილდი ბოლომდე ერთგული რომ დარჩენილიყო თავისი დეკლარაციისა ბელოვნება ბელოვნებისთვის, რა უქნა უნდა ვერახოდეს გახდებოდა მსოფლიოში ხანელვანკმული მწერალი, რომლის ჩაუქრობელი დიდება ნახევარ საუკუნეზე მეტია გრგვინავს ყველა ქვეყანაში, ყველა კონტინენტზე, და მერე რა მტკიცე, რა უცილობელია ეს დიდება, რუმინეთში, უაილდს იცნობენ და უუვართ არანაკლებად, ვიდრე ინდოეთში, საფრანგეთში — არანაკლებად, ვიდრე მექსიკაში, მასზე და მის ცხოვრებაზე დაწერილი ახალი წიგნები დღემდე გამოდიან, და გამოდიან — განსაკუთრებით ამერიკასა და ინგლისში. მისი პიესები სცენიდან არ ჩამოდიან, მაშინ, როცა ისეთები, როგორც ჯონ რესკინი, უოლტერ პეიტერი, ჯონ ედინგტონ საიმონდსი და უაილდის სხვა შთამაგონებლები, მასწავლებლები და თანამოდმენი იყვნენ, კარგა ხანია ისტორიის კუთვნილებად გადაიქცნენ და დღეს მხოლოდ მკითხველთა ვიწრო წრეში შეიძლება მათზე მსჯელობა, უაილდის სახელი კი ერთი ყველაზე კოპულარული ლიტერატურული სახელია, რასაც მისი წიგნების უშველებელი ტირაჟები ადასტურებს, მაშასადამე, იყო მასში რაღაც ისეთი, რაც იზიდავდა და დღესაც იზიდავს ბალების მახეებს, და ვინ არ იცის, რომ ამ მახეებს ვერ მიიზიდავდა „ბელოვნება ბელოვნებისთვის“. ყველა დროის და ყველა ხალხების ლიტერატურის მატრიანეში ჯერ არ ეოფილა შემთხვევა სუფთა ესთეტიკაზე ქადაგებას მილიონ ადამიანთა გულებში ეპოვოს გამოძახილი, ის მხოლოდ მცირერიცხოვან წრეებს, მხოლოდ „რჩეულებს“ აქადოებდა. განა გასაკვირია, რომ ოსკარ უაილდის დეკლარაციური ესთეტიკური სისტემა მის მრავალენოვან მკითხველისთვის სამოუდამოდ უცხო დარჩა? მათ ის სრულებით, სრულებით არ აინტერესებო, ვერც კი ამჩნევდნ მას, მათთვის ძვირფასია მემორა უაილდი, უაილდი, რომელიც საკუთარივე ქადაგების წინააღმდეგ მიდის; რომელიც უარს აცხადებს ყველა იმ ნიჰილისტურ დეკლარაციურ იდეებზე, რითაც ასე ბშირად თავმომწონებდა.

ეს მემორა უაილდი, პირველს რომ არაფრით წააგავდა, ჩვენთვის ყველაზე უკეთ ზღაპრებში იხსნება, ერთ-ერთ მათგანში ვკიამბობს ახალგაზრდა მეფეზე, მასავით საოცარი გატაცებით, საოცარი ექსტაზით რომ უუვარდა სპარსული ბალიჩების, ძვირფასი თვლების, სპილოსძვლის ნაკეთობათა ქვრეტა, მგზნებარედ ოცნებობდა ფარჩაზე, რომლითაც უნდა

შემოსილიყო, იაგუნდებით მორთულ გვირგვინ-ზე. მარგალიტებით მოკედელ კვერთხზე, და უცებ, სიზმარში ნახა, რომ მარგალიტები და იაგუნდები უკიდურესი ტანჯვითაა მოპოვებული და „დარდის დაზგაზე ტანჯვის ხელებითაა“ მოქსოვილი იქროს ფარჩა. გამოღვიძებული განზე განუდგა ხელოვნების ყველა იმ უმშვენიერეს კმნილებათ და საგულისხმო ის არის, რომ უაილდმა კი არ დასაჯა ამ განდგომისთვის, პირიქით, დააჩილოვა ახალი — სხვა სილამაზით: მზის სხივებმა მოუქსოვეს ახალი შესაშოსელი. კიდევ უფრო დიდებული, ვიდრე ის იყო, მისი დღესასწაულისთვის რომ გაუმზადეს. გამხმარ კვერთხზე მარგალიტებზე თეთრი შროშანები გადაიფურჩქნა და ვერცხლივით აელვარდა... („ახალგაზრდა მეფე“).

და მეორე ასეთივე ზღაპარი — ცნობილი „ხედნიერი პრინცი“. ადამიანთა ტანჯვა-წვალების გასაქარვებლად ხედნიერი პრინციის ქანდაკებამ უარი განაცხადა სილამაზეზე, ოქროს, ბადაბზა და საფირონებზე და ახალი მშვენიერებით გაცისკროვნდა.

და განა საკუთარი თავის წინააღმდეგ არ მადის უაილდი თავის შესამე ზღაპარში, სადაც მოგვიტბრობს უმშვენიერესი სიმღერის შექმნაზე მეოცნებე ბუღბუღი—პოეტი მკერდით როგორ მიეახლა წვეტიან ეკალს, რათა მას გული ბოლომდე გაეჭვალა. ჰოდა, მხოლოდ გულის ხისხლით, მხოლოდ მსხვერპლით შეიქმნა ის უმშვენიერესი სიმღერა („ვარდი და ბუღბუღი“).

ყველა ამ სიმღერა-არაკებში ოსკარ უაილდი საკუთარი თავის წინააღმდეგია, ჩანუდება უაზრო, უგულო ხელოვნებაზე, საკუთარ იდეებს კვეამბობს, თავის გურმანულ ესთეტიკას პირწმინდად უარყოფს და მოითხოვს გაგულითად დებულ სიყვარულითა და გმირობით დაბადებულ ხელოვნებას.

იმავე მაქსიმალისტური უსაზღვროებით, როგორითაც ეს პარადოქსული მწერალი სილამაზის სიტკბოებას ადიდებდა, ახლა ადამიანური სევდა აძვავს ზეცამდე. იმ „წმინდა მხატვრობის“ წინააღმდეგ აწუობს აჩანუებას, ვინც ცხოვრებისეულ გაჭირვებას და უბედურებას ზურგი შეაქცია.

მართალია ყოველივე ამაზე ხანდაზან მეტი-მეტად ღამაზად ღაპარაკობს, მეტი-მეტად შელოდიურად, ფრაზეებს ისე ასხამს, როგორც მძივებს. მაგრამ რა უწყობს, ასეთია მისი ნიჭის თვისება: როგორც კი შეწყვეტს ღაზღანდარობას და პარადოქსების აელვარებას თავის წიგნებში, მაშინვე ვარდება ამაღლებულ, ბიბლიურ, პათეტიკურ სტილში, რომელსაც ვირტუოზულად ფლობს.

კემმარიტი დარდი ამ ქვეყნის მეუფეა და არ არსებობს ადამიანი, ვინც მის ბადეს გაეჭყევა, — რითმულად, დაბარკვლილ გვიმო-რებს იგი. — არიან ისეთები, ვინაც სამოსი არ გააჩნია და ისეთები, ვინაც პური არ ეშოვნება. პორფირში არყენი ქუჩისკუთხედიანი ერთნი, ნოლო სხვანი ძონძე ქუჩისკუთხედიანი კაობებში დაეხეტებიან და ერთმანეთის მიმართ საოცრად ხასტიკნი არიან. დიდ გზებზე ლატაკნი დალახლახებენ და ქისები ცარიელი აქვთ. ქალაქის ქუჩებში შიმშილი დასერიანობს, ქალაქის კარიბჭეში კიარი ჩამომქდარა“.

და თუმცა ამ მელოდიურ ფრაზეებში სრულიად არ ისმის მგზნებარე გრძობა ცოცხალი, თავგანწირული სიყვარულისა ადამიანის მიმართ, მაგრამ მათი აზრი მაინც ადასტურებს, რომ უაილდს ძალიან ხშირად უბდებოდა უარის თქმა თვითმიწნური ხელოვნების დეკლარაციაზე და ხელოვნებაში ჭუმანური საწყისების მიმდევრად გამოდიოდა. ეს ჭუმანური ხაწყისები გამოვლინდა თვით მის ცნობილ რომანში „დორიან გრეის პორტრეტი“, რომელიც, ავტორის წინახიტყვაობის მიხედვით, სურდა ყოველ-გვარი მორალისაგან განდგომილი ხელოვნების ამოთეოწად გადაექცია. მაგრამ მორალი — ამ ხიტყვის ყველაზე მაღალი მნიშვნელობით — მაინც ჯადვრა იქ. შესაძლებელია, ავტორის სურვილის წინააღმდეგაც, არა ის უმხგავსო მორალი, ფორსაიტების საძულველ მესაკუთრულ სამყაროში რომ სუფევდა, არამედ სიყვარულისა და თანაგრძობის მორალი, რომლისკენაც თავის ზღაპრებში მოგვიწოდებდა.

კრიტიკოსები არაერთხელ! ამტკიცებდნენ, რომ ამ რომანის გმირი, ლორდი ბენრი თვით უაილდის ორეულს წარმოადგენს. ეს ნაწილობრივ სწორია. მართალია, მთელი რომანის მანძილზე ლორდი ბენრი წარამარა უაილდის სანუკვარ აზრებს წარმოთქვამს, სწორედ მათ, რომლითაც ასე იწონებდა თავს საუბრებსა თუ წიგნებში, ისევე გვევლინება სიამოვნებათა და სიტკბოებათა სალონურ ამოსტოლად, როგორაც თავით უაილდი.

მაგრამ ოსკარ უაილდის შემოქმედება თვით მასზე ძლიერი აღმოჩნდა. მხატვრული სიმართლის გრძობამ, როგორც ეს მუდამ ემართებათ დიდ მწერლებს, იძულებული გახადა წინააღმდეგ თავისი მცდარი ჩანაფიქრისა, მკითხველის წინაშე გაეხსნა მომაკვდინებლობა და სიღამბლე იდეისა, რომლის განდიდებასაც ცდილობდა. ეჩვენებინა სულიერი გაკოტრება გმირისა, ვისიც მარავანდედით შემოსვა განიზრახა. მოხდა ისე, რომ ეს ბრწყინვალე დენდი განდიდების ნაცვლად უაილდმა გააშიშვლა. უნებისყოფო, უსახო დორიანი, უაილდის ეპიკურე აღთქ-

ათა ცხოვრებაში მორჩილი განმარტობიერებული, ბოლოს და ბოლოს გვევლინება საცოდავ გარყვნილ კაცად, დაცარიელებული ჭულის ჩლუნგ ეგოისტად, მკვლელად — ისე, რომ მოვლი რომანით ისევ და ისევ ხაკუთარ განზრახვათა წინააღმდეგ გვიჩვენებს, როგორ ხილტაკემდე მიჰყავს ადამიანის პიროვნება მის ეგოცენტრულ, ანტიხოსიალურ უინიანობისა და ახირებულობის საშესაბურს, რომელიც სრულიად არაფრად აგდებს მორალურ მოვალეობას და რომელიც, ზერელე შეხედვით, გამოიხატება ოსკარ უაილდის ესთეტიურ-მედონისტური ფილოსოფიის აზრით.

შეუძლებელი იყო ამ ფილოსოფიისათვის უფრო ძლიერი დარტყმის მიყენება, ვიდრე ის, რომელიც რომანში საკუთარი ხელით მიაყენა მწერალმა.

XI

ამრიგად, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მხარის მიზიდულობა, ორი სავსებით შეუთავსებელი რწმენა, თანაც ერთი სრულიად გამორიცხავს მეორეს. ერთი მხრივ — უკიდურესობამდე მიყვანილი აღქმა მკაცრი, რეალისტური ცხოვრებიდან მთლიანად განდგომილი ხელოვნებისა; მეორე მხრივ — აპოთეოზით თავდავიწყებული სიყვარულისა, როგორც ერთადერთი წყარო შემოქმედებისა.

ოთხმოციანის შუა წლებში და ოთხმოცდაათიანის დასაწყისში, თავისი ნიჭიერების სიმწიფის ხანაში ოსკარ უაილდი ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო უკიდურესობათა შორის წრიალებს და ისეც ხდებოდა, რომ ერთდროულად, რამდენიმე თვის მანძილზე, გამოდიოდა, როგორც წმინდა ესთეტიკის მიმდევარი (იხ. მისი კრებული „ზრახვანი“) და როგორც მაღალი ეთიკის ნორმებისადმი ხელოვნების დაქვემდებარებისათვის მებრძოლი (იხ. მისი ზღაპრების პირველი წიგნი). ეს გაორება ადვილად ახახხნელია მისი შერყევი საზოგადოებრივი მდგომარეობით: ოქსფორდის ფეოდალური ტრადიციებით განებივრებული მწერალი, იძულებული იყო ფორსაიტების წყობის კაპიტალისტურ პირობებში ემუშავა. ყოველივე ეს ჩვენ ძალიან გვიძნელებს მისი ურთიერთსაწინააღმდეგო შემოქმედების მთლიანად, ხრულად აღქმას.

ასეთივე წინააღმდეგობებით არის სავსე მისი ბიოგრაფია.

თუმცა ერთთავად იმას ამტკიცებდა, რომ სხვათა უბედურების თანაგრძნობის უნარი არ გააჩნდა, მაგრამ მრავალი შემთარული ლიტერატურის დამოწმებით სინამდვილეში ძალიან გულკეთილი და ხელგაშლილი ყოფილა.

ათობით მისი თანამედროვე ერთნაირად

ეგონებს, როგორც გულშემატკივარ ადამიანს, სავსეს ქმედითი თანაგრძნობით ადამიანების მიმართ, განსაკუთრებით ხელოვნებისა. არახოდეს არავისი შესურებია, არახოდეს უოფილა ანგარიშიანი და, საოცრად არაპრაქტიკული, უანგარო, წინააღმდეგობას წარმოადგენდა ფორსაიტების იმ მტაცებლური, საქმოსნური მოდგმისა, რომლის ხიბულვილი ასეთი ძალით შეეძლო.

რახაკვირველია, ძალიან დავამახინჩებდით ქეშმარიტებას, თუ იმის დამტკიცებას ვიფიქრებდით, რომ გულმონწყალება მისი სულიერი წყობის მთავარი თვისება იყო. მაგრამ მაინც მისი ბიოგრაფების მიერ (განსაკუთრებით მენსკეტ პირსონისა) ამჟამად უკვე თავმოყრილი მრავალი დოკუმენტი და ფაქტი გვარწმუნებს, რომ არაკეთილმოსურნე კრიტიკოსებს არავითარი საფუძველი არ გააჩნდათ იმ თავზეშეყვარებულ მანიაკად ჩაეთვალოთ, ვინც მხოლოდ საკუთარი მეს სიამოვნებას ცდილობდა.

ახალგაზრდა იურისტს ფული არ უოფნიდა დასაქორწინებლად. უაილდმა ის-ის იყო მონორარი აიღო. „რამდენი გჭირდებათ?“ — „ასორმოცდაათი ფუნტი“. — „აი, თქვენ ჩემი გაიქცით და ამ წუთში შეირთეთ ცოლი!“

ცნობილი მწერალი ქალი უიდა გაჭირვებაში აღმოჩნდა. დახმარებისთვის იმ მდიდრებს მიმართა, ვინც მისი ლიტერატურული წარმატების პერიოდში დიდი სიამოვნებით იღებდა მას სტუმრად. „მაგრამ მდიდრები ხომ ხწორედ იმიტომ არიან მდიდრები, რომ ფულებთან განშორება არ უყვართ“, — დამრიგებლური ტონით გამოუცხადა უაილდმა და გაჭირვებიდან დაიხსნა.

და ყოველივე ამას ღიმილით, ხუმრობით აკეთებდა, რათა მას, ვინაც ეხმარებოდა არ ეფიქრა, რომ ხიმძიმედ აწვებოდა კისერზე ახალგაზრდა მხატვარს ჩემს უგზავნიდა სურათისათვის, რომელიც ამ ფულად არ ღირდა და ხუმრობით წერდა:

„თან ვურთავ უაზროდ შელებილ ქალადს რის სანაცვლოდაც მიამიტი ბანკირები უგონობის წუთებში მოგცემენ წმინდაზე წმინდა ოქროს“.

საერთოდ ადამიანური სიკეთე მას უდიდეს პატივისცემაში ჰყავდა, სახელგანთქმულ მსახიობზე, რომელიც თავპარიან ხუბიექტს ცოლად მიჰყვებოდა, თანაგრძნობით თქვა:

— ის ფიქრობდა, რაჟი ხულელია, გულკეთილიც იქნებათ. სხვათა შორის, იმისათვის, რომ ადამიანი კეთილი იყოს, ინტელექტია საჭირო, ფანტაზიაა საჭირო.

„ხიხასტიკე — თქვა რომელიღაც წერილში, — უბრალოდ ხიხულელის შედეგია, წარმოადგენის აბსოლუტური უქონლობა“.

ერთი სიტყვით, როგორ უაილდის ბიოგრაფებს არ გაუჭირდებოდათ მის ხასიათში წიკებნათ ისეთი თავისებურებანი, რომელიც ძალიან ეწინააღმდეგება შექმნილ წარმოდგენას მასზე. როგორც უდიდეს ინჟინერულისტზე, რომელიც საკუთარ სურვილთა და აზრებულობათა გარდა სხვა კანონს არ სცნობდა, ის გაცილებით ადამიანურია, რბილია, უბრალოა. მაგრამ მის სიცოცხლეში იყო ისეთი პირობები, როცა სიტუაციებისადმი მისი ავადმყოფური სიყვარული ყველა სხვა გრძნობებზე მაღლა დგებოდა, სიკეთისაკენ ლტოლვას ახშობდა და მას ინსტიქტების უძლეურ და უნებისყოფო მსხვერპლად აქცევდა.

თითქოსდა, მას შემდეგ, რაც თავის რომანში ასეთი შემადრწუნებელი ძალით დაუმტკიცა თავსაც და სხვასაც, რომ ბიწიერების გზა უცილობლად მიდის სულიერი კრახისაკენ, თავისთვის სხვა გზა უნდა აერჩია, მაგრამ 1894—1895 წლებში, როცა ლონდონში განხორციელებულმა მისმა პიესებმა ასეთი დიდი წარმატება მოუტანეს, როგორცაა ადრე. ოცნებაც არ შეეძლო. თითქოს წარმატებამ გააგიჟაო. უოველგვარი კონტროლი დაკარგა თავზე. სიამოვნებათა ძებნაში, თავისი დორიანის მსგავსად — ამ მოკლე პერიოდში — თავშეუყავებლად მიეცა ბიწიერ მიზნრაფებებს, რამაც ბოლოს და ბოლოს, ორივე სქესის ფორსაიტების სასიზარულოდ, დამნაშავეთა სკამამდე მიაცილა.

მისი სასამართლო პროცესი მის არაადამიანურ დამპირებად გადაიქცა. რამდენიმე დღის განმავლობაში ხანთური პრესის წახსივნებითა და ხელშეწყობით მას ფეხებით თელავდნენ. როცა ამ სასამართლო შურისძიებაზე მაშინდელ გაზეთებში დაბეჭდილ სტატიებსა და ანგარიშებს კითხულობთ (აგრეთვე მისდამი მიძღვნილ უფრო გვიანდელ წიგნებს), აშკარად ხედავთ რა ცხოველური სიძულვილი დაგროვილა მისდამი ინგლისურ „რესპექტაბელურ“ საზოგადოებაში.

და როცა, როგორც იქნა, გამოუტანეს განაჩენი — ორწლიანი კატორღა ციხეში განმარტობით დატუსაღებით — როცა ბელებზე ბორკილდადებული, პატიმრის ტანსაცმელში გამოწყობილი, თავგადააპარხული „ტანჯვის კლოუნი“ გაავებულ ბრბოს შორის იდგა და ბრბო ხარხარებდა, დასცინოდა, ვიღაც პირდაპირ სახეში აფურთხებდა, როცა ცხოვრების გასათუთებული ნებიერიდან განდევნილად, ციხის მძიმე შრომით განაწამებად გადაიქცა, დედამისი გარდაიცვალა, მის მიერ დაწერილი წიგნები ცეცხლს მიეცა, მისი პიესები სცენიდან მოიხსნა, ხოლო მისი სახელი აკრძალულ სიტყვად გამოცხადდა, ა.ი. მაშინ ჩაწვდა ხოლომდე რო-

გორ წამბილწველი, გამაუწმიდებელი იყო მისი ქადაგება ადამიანების ტანჯვაზე და სევდიანად დაშორებულ ხელოცნებებში უკითხობაზე.



ეს ქადაგება მოლიანურული იქნა მისი გაწამებული ციხეში უნდა ვორტის სატუსაღოში ცალკე ხაჯანში აქოთებული სუნის გამო სუნთქვა უჭირდა. მთელი კვირების მანძილზე საკმელს ვერ ეკარებოდა, მისი მხოლოდ დანახვა, მხოლოდ სუნის გულს ურევდა. დამტკრეული ფრჩხილებიდან სისხლი სდიოდა, რადგან აიძულებდნენ დილიდან საღამომდე ჩლის დასამზადებლად ძველი ბაგირები ეძენდა. და, როცა ერთ კვირა დღეს განაცხადა, ლოგინიდან წამოდგომა არ შემიძლიაო, ციხის ეკიმმა თვალთმაქცი უწოდა. უბრძანა ამდგარიყო. ადგა. მაგრამ მაშინვე იატაკზე უგრძნობლად გაიშხლართა და ძალიან დაიზიანა უური, საიდანაც დიდხანს სდიოდა სისხლი, უჩირქდებოდა და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აწუნებდა. მალე გადაიყვანეს რედინგის ციხეში, რომლის სახელი დღეს მთელი კაცობრიობისთვისაა ცნობილი, რადგან უაილდმა თავისი პოემით უკვდავყო იგი. საპატიმროს უფროსი აიზიქსონი პირქუში ბორკტომქმედი და სადისტი იყო. უაილდს ვერ იტანდა იმ შურისმაძიებელი სიძულვილით, როგორითაც უვიცებს უველგან და მუდამ სძულთ განათლებული, ტალანტიანი და ბრწყინვალე ადამიანები. თითქოს საკუთარ თავს მიზნად დაუსაბა დიდი მწერალი სასაფლაოზე გაესტუმრებინა. სათუთა უაილდი ცოცხალი დარჩენილიყო 1898 წლის ივლისში მტარვალი აიზიქსონი რომ არ შეცვლილიყო ციხის უფრო პუმანური უფროსით, რომელმაც „ბედნიერი პრინცი“ ავტორს წერისა და კითხვის უფლება მისცა. ამან გადაარჩინა უაილდი ფიზიკური და მორალური სიკვდილისაგან. მალე ძალიან სერიოზულად შეუდგა მუშაობას და დაიწყო თავისი საპატიმროს აღხარების წერა. ნაწარმოებს მაღალი საზოგადოების წარმომადგენელ ერთ თავის მეგობართან გაგზავნილი ეპისტოლეს სახე მისცა. თითქოს ამ მეგობარს ადამიანულად თავზე დატეხილ უბედურებაში. აღსარებამ შემდგომში ლათინური სახელწოდება მიიღო „De Profundis“ („უფსკრულიდან“) და მასში ხელახლა, ამჯერად უკვე საბოლოოდ განუდგა თავის მედონიზმს. ისევ დაწვევლა ადამიანთა ცხოვრებისადმი გაუცხოებული თავისი დეკანდენტური ხელოცნება.

„ადრე მთელი ჩემი ცხოვრება სიამოვნებას ეძღვნებოდა. — წერდა იგი, გავურბოდი ტანჯვას და ზრუნვას. ისინი ვერ თავსდებოდნენ



ცხოვრებაზე ჩემს წარმოდგენაში. მათ არ  
პქონდათ ადგილი ჩემს ფილოსოფიაში“.

ახლა დარდის პაროქსიზმისას, მოძალებიას  
განადიდებს ტანჯვას. როგორც ადამიანური  
ცხოვრების უკვლავ უძვირფასეს რეალობას.

სადაც ტანჯვა, აქა წმინდა მიწა ბედნიე-  
რებას, წარმატებას, კეთილდღეობას შეუძლი-  
ათ გარეგნულად უბეზნი და თავისი არსით  
ფულგარული იყვნენ. ხოლო ტანჯვა უკვლავ  
ნაწია, იმათ შორის, რაც სამ არსებობს  
დედამიწაზე“

ის უმაღლესი ქება-დიდება ახლა ტანჯვას  
რომ აღუვლენდა — იგივე იყო, რითაც ასე  
ცოტა ხნის წინათ ხიამოვნებას უმღეროდა.

„ტანჯვა ერთადერთი გზაა ხელოვნებაში  
უდიდესი აღმოჩენებისაკენ“. აქ „De Profundis“  
ში ისევე, ოღონდ ადრინდელზე უფრო ხმაძალ-  
და, გაიხმა მემორი უაილდის ხმა — იმ უაილ-  
დისა, რომელიც ზეპირებსა, „დორიან გრეისა“  
და პიესებში ასეთი მგზნებარებით აღუდგა  
უაილდ-ეპიკურებს, განცხრომის აპოსტოლს.  
ეს მემორი უაილდი, როგორც ვნახეთ, ციხეში  
არ აღმოცენებულა, არამედ კარგა ხნით ადრე,  
მისი მოსწრებული გამოთქმით, ჭერ კიდევ მა-  
შინ, როცა „ნეტარების უღელში“ ება.

1897 წლის 19 მაისს მოიხადა სასჯელი და  
სხვისი სახელით წავიდა საფრანგეთის ქალაქ  
დიეპში, რადგან კარგად ესმოდა, რომ ფორსაი-  
ტების ინგლისში მას აღარ პქონდა ადგილი.  
დიეპში შემთხვევით გაიგო, მისი ყოფილი სა-  
ტუსხალოს უფროსებს სამსახურიდან მოეხსნათ  
ციხის უარაული, რადგან მას ციხეში გამომწყვ-  
დებული მშვიერი ბავშვი შებრალებოდა, ორიოდ  
აღერხიანი სიტყვა ეთქვა (უდიდესი ბოროტ-  
მოქმედება ჩაედინა!) და ორცხოზობილა ჩადო  
ხელში, ამ უარაულს უაილდი იცნობდა და  
უყვარდა. მის დასაცავად უგრძელესი სტატია  
დაწერა და რედაქციაში გაგზავნილი წერილის  
სახით გაზეთში მოათავსა. მასში საშინელ აღ-  
შფოთებას გამოთქვამდა ადამიანის პიროვნე-  
ბის დამცირებასა და შეურაცხყოფაზე, რაც  
ინგლისის ციხეებში დიდი ხანია სისტემად იყო  
ქცეული. მთელი წერილი მეტროპოლი პუბლი-  
ცისტის ბრწყინვალე ნიმუშია. განსაკუთ-  
რებით ამაღლებულია უაილდის ნაამბობი პატარა  
ბავშვებზე, ვინც არაადამიანურმა კანონებმა  
ციხეში ჩაუარა. წერილი გამსკვალულია ღრმა  
პატივისცემით პატიმრის ტანსაცმელში გამოწყ-  
ობილ უბრალო ადამიანების მიმართ, რომ-  
ელთაც უაილდი სატუსხალოში დაუახლოვდა.  
იხსენიებს რა მწვავე სიძულვილით ციხის ექი-  
მებს და მღვდლებს, პატიმართა სახელის გან-  
დიდებისთვის ვერ პოულობს საკმაო აღმაფრ-  
თოვანებელ სიტყვებს.

„ერთადერთი გამაქეთილშობილებელი, კემ-  
მარითად ადამიანური გავლენა ციხეში — ეს პატარა  
მართა გავლენაა. — წერს იგი, მათ სრცოცხ-  
ლისადმი სწრაფვა და სიყვარული, პატიმარობა,  
რომელსაც ცხოვრების საშინელ პირობებ-  
შიც ინარჩუნებენ. მათი უსწრაფესი კრო-  
მანეთის მიმართ... შეხვედრისას...  
ტუბილი სალაში — ეს უკვლავური პირდაპირ  
განსაცვიფრებელია. მე ბევრი რამ ვისწავლე  
მათგან“

მოგვიანებით, როცა პარლამენტში ციხეთა  
რეფორმის საკითხი უნდა განხილულიყო,  
მწერალი იმავე გაზეთებში ინგლისური ციხეე-  
ბის უაზრო, არაფრით გამართლებული სისას-  
ტიკის ახალი მხილებით გამოვიდა

ამ ორ საგაზეთო პუბლიცისტურ წერილში  
„მეორე უაილდი“. რომელზედაც ახლა  
ვლაპარაკობთ, გაცილებით სრულად გაიხსნა,  
ვიდრე მის დახვეწილ აღსარებაში — „De Profun-  
dis“ შეუძლებელია მისი სტილის ხილამაზის  
უარყოფა, მაგრამ რამდენიმე ფრაგმენტის გამოკ-  
ლებით, მაინც მეტიმეტად გაცვეთილი და ღვარ-  
კნილია. როცა კითხულობ, მაგალითად, რით-  
მულად ასე სრულყოფილ ადგილს: „ბუნება,  
ვისი კურთხეული წვიმაც მართაღსა და უმარ-  
თებულოს ერთნაირად ეცემა, ჩემთვისაც იპო-  
ვის ხეობას, სადაც შევძლებდი დავმალულიყავ  
უკაცურ მინდვრებში, რომელთა სიჩუმეში ვე-  
რავინ დამიშლიდა ქვითინს. ის ღამეებს ვარსკ-  
ვლავებით აავსებს... დიდი წყლებით განბანს,  
მწარე ბალახებით განმკურნავს“ — როცა  
კითხულობ ამ მოწესრიგებულ, განზრახ ლა-  
მაზად აწყობილ ფრაზებს, მათი ხმოვანებით  
ტკბები — მეტი არაფერი, თუმცა თავისი ინს-  
ტრუმენიალობით, ბგერათა შეხამებით, მცოდნე-  
თა აზრით უაილდის ეს ნაწარმოები ინგლისური  
პოეტური პროზის შედევრს წარმოადგენს.  
მაგრამ სწორედ მისი განზრახ ხილამაზის გა-  
მო მკითხველის გულს არ ხვდება, ვერ აღელ-  
ვებს, ვერ აფორიაქებს, როგორც სადა, საგა-  
ზეთო წერილები.<sup>1</sup>

სამაგიეროდ გამოგნებელი შთაბეჭდილება  
მოახდინა ინგლისურ საზოგადოებაზე უაილდის  
სიკვდილისწინა ნაწარმოებმა „რუდინგის ცი-  
ხის ბალადა“. რადგან მის დაბეჭვდაზე არც ერ-  
თი ჟურნალი არ დათანხმდა, პატარა შესამება-  
რისხოვან გამომცემლობაში ცალკე წიგნად გა-  
მოშვება მოუხდა. 1898 წლის თებერვალში ავ-  
ტორის სახელი ჭერ ისევ აკრძალულად ითვ-  
ლებოდა. ამიტომ უდაზე მისი გვარის

<sup>1</sup> «Oscar Wilde» by Leonard Cressuell In-  
gleby, London 1912, p 371-386.

ნაცვლად ეწერა ნომერი: 6 83. — ის რიცხვი, რითაც ციხეში ირიცხებოდა.

პირველ გვერდზე მიძღვნა იყო დაბეჭდილი: „**А. К. У.-ს ხსოვნას**“ ანუ ჩარლზ ტომას უილდ-რიჯს, იმავე ციხის პატიმარს.

მწერალმა უილდრიჯი საპატიმროს ეზოში ხეირობისას დაინახა და სხვა ტუხალებსგან გაიგო, რომ ეს ლამაზი, მშვენიერი აღნაგობის კაცი, ასე მსუბუქად, თითქოს უდარდელად რომ დააბიჯებდა, ამ დღეებში საბრჩობელაზე უნდა ჩამოკიდებულიყო. რადგან ეკვიანობის ძლიერი შეტევების თვისი მოღალატე შეეგარებულა მოეკლა.

ხწორედ მასზეა უაილდის „ბალადა“ დაწერი-ლი.

ციხის ქვრთვებში გამოჩნდა პირველად ეზო გადაიარა მსუბუქი ნაბიჯით.

ჩვენს შორის ვიღოდა, ქვებზე აბიჯებდა, გამოირჩეოდა თავისი სიღინჯით.

მაგრამ არასოდეს შენახა თვალები ასე საშინელი ძრწოლვით შეშლილები მისებრ ხალვლიანად, მისებრი სიხარბით.

არა, არ ეტყვიანოთ ჩვენ ზეცას შორეთულს, ციხის კედლებს ზეგით ცისფერ ნაგლეჯივით ასე საცოდავად, უღმრთოდ გამომწყვდეთულს, ცაჲ, სად დაეურავდა ნაფური ვერცხლისფრად ღრუბელთა გორები ქცეული ქარავნად.

1898 წლის 27 ივლისს ზუსტად დილის 8 საათზე ჩარლზ ტომას უილდრიჯი საბრჩობელის უფლებმა დააბრჩო შერიფის, ექიმის და მღვდლის თანდახწრებით. თავზარდაცემული მთელი ცი-ხისთვის მისი სიკვდილი ხაერთო ტკივილად გადაიქცა ეს ტკივილი უაილდმაც გაიწიარა. „ბალადა“ რისხვის, თანაგრძნობისა და ძრწოლ-ვის გამგმირავი კივილია.

„ბალადაში“ პატიმართა ბრბოსგან არასოდეს აცალკევებს თავს, ხაკუთარ პიროვნებას ამ ბრბოს არ უპირისპირებს, დასაწყისის ერთ-ერთ სტროფში თვითონვე ამბობს, რომ სხვი-სი ტკივილის მნახველს თავისი სავსებით გადა-ჟვიწვდა. ხწორედ იმითაა მისი „ბალადა“ ასე ძლიერი, რომ მასში პირველ ადგილზე არხად არ არის წამოწეული მისი ინდივიდუალური „მე“, რომელიც აქამდე მთელ სამყაროს უჩრ-დილავდა პირველიდან უკანასკნელ სტრიქონა-მდე „ბალადა“ საერთო უბედურებით გაერთი-ანებული. უხახვლო „ჩვენის“ პირითაა დაწერილი. განა შეიძლება იმის განქვერტა, რომ „ხუინჯისის“ — დეკორატიული ფანტაზიის“ და

სხვა ხელოვნურ ექსტრავაგანტურ ნაწარმოებ-თა დამწერი სიცოცხლის დახატულს ასეთი კლასიკური, ხალა, დაუნდურდი და, რაც მოაყარია, ხალხური ლექსის საიდუმლოს მფლ-ბელი გახდებოდა? ვენაიდან ნაქვედის“ ფორმა ინგლისური, ტრადიციული ლექსის კეშმარი-ტად ხალხური ფორმა გახლავთ. ამ ფორმის უმადლეს განსახიერებად მუდამ სამართლიანად ითვლებოდა კოლრიჯის გენიალური ბალადა „ბებერი მეზღვაური“. ამიტომ იმ აღტაცებულ გამოძახილთა უდიდესმა უმრავლესობამ, რომ-ლითაც ბრიტანული პრესა უაილდის ბალადას შეხვდა, იგი ფორმის დიდებული სილამაზით კოლრიჯის ქმნილებას გაუთანაბრა. მისმა შე-მაძრწუნებელმა, გამოგონებელმა შინარსმა რე-ცენზენტები და კრიტიკოსები აიძულა სო-ფოკლენ და დანტე გაეხსენებინათ.

ბალადა ფორსაიტების საფუძველთა სა-ფუძველს ურტყამდა. მაგრამ ამ წუობის გა-მობრძმედილმა დამცველებმა მისი საშინელი დედააზრისთვის თვალის დახუჭვა არჩიეს და მხოლოდ მომზიბველელი ფორმის ქება-დიდებით შემოიფარგლნენ. ვიღაც-ვიღაცებმა ციხეთა ყოფის გაუმჯობესებაზე წამოიწყეს ლაპარაკი, თითქოს არ ესმოდათ, რომ ამ ლექსებში უაილ-დი ციხეზე ისე წერდა, როგორც მისთვის სა-ძულველ თანამედროვე სინამდვილის ათას გა-მოვლინებათა შორის ერთ-ერთზე.

„ბალადის“ ფორმა ყველგან არ არის სრულ-ყოფილი. შუაში შესამჩნევად სუსტდება. ლექსი ნაკლებადაა გამოკვეთილი, ადგილები გაკვიანურებულია და ა. შ. მაგრამ მის საუკე-თესო სტროფებში უაილდის ხელოვნებამ აქამ-დე არნახულ მწვერვალებს მიაღწია.

მწერლის მეგობრები დარწმუნებულები იყუ-ნენ, მისი ბალადა ახალი ლიტერატურული ტრიუმფების დასაწყისად გადაიქცეოდა. მაგ-რამ იგი მისი უკანასკნელი პოეტური აღმაფრენა აღმოჩნდა. „ბალადის“ უკანასკნელი სტრიქო-ნები ზღვისპირა, ფრანგულ ქალაქ ბერნევილში (1897 წლის ივლის-აგვისტოში) იყო დაწე-რილი, მაშინ გარეგნულად ხალისიანად გამო-იყურებოდა. სიამოვნებით ხუმრობდა და იცი-ნოდა, მასთან ხშირად მოდიოდნენ მეგობრე-ბი. ძველებურად აღტაცებაში მოჰყავდა თავისი მახვილხიტველობით, ხაუბრებით, მაგრამ სულის ხილრმეში არ ტოვებდა იმის შეგნება, რომ ის შემოქმედებითი ენერგია, რომელსაც ლამის სტუდენტური სკამიდან დაატარებდა, ახლა სავ-სებით დაილია. „პატიმრობის პირველმა წელმა საბოლოოდ გამოფიტა ჩემი ძალები“, — აღიარ-ა რომელიღაც მეგობართან. მაგრამ, რა თქმა უნდა, შემოქმედებითი ძალების გამოფიტვის სხვა მიზეზიც არსებობდა: ის სულეერი იწოლა-

1 ის ზემოთ დასახელებული ინგლისური მწერი 35 285-286

ცია, რომელიც ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მისმა განდევნილობამ მოუტანა. მთელი მისი ლიტერატურული წარსული ხაზგადასმული აღმოჩნდა და ხაზგადასმული — როგორც ის ფიქრობდა — საუკუნოდ. მისი წიგნები ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს, გაწყდა მრავალწლიანი ურთიერთობა მკითხველთან, ურომლისოდაც, ისევე, როგორც უველა სხვა მწერალი, ვინც თავის ქვეყანასა და ეპოქასთან უამრავი ძაფებითაა დაკავშირებული, თავს უმაერო ხივრცეში გრძნობდა.

მისდა საუბედუროდ დაიჭრა რომ, ამ იზოლაციას ბოლო არასოდეს მოეღებოდა. ის არ იცოდა, რომ დიდი მწერლის მკითხველთა მასებიდან მოწყვეტა დიდი ხნით არავითარ ფორსაიტებს, რაც არ უნდა ძლიერები უოფილიყვენენ, არ ძალუძდათ, მაშინ აწრადაც არ მოხდებოდა, რომ ერთი-ორი წელი გამაგრებულიყო და მისი იძულებითი მარტოობა, მივიწყება, სილარიბე წარსულს ჩაბარდებოდა და მისი კავშირი ახალ მკითხველთან, მრავალმილიონიანთან, მასიურთან, დემოკრატიულთან, რომელსაც არაფერი ესაქმებოდა მისი ბიოგრაფიის ლაქებთან, მის მყვირალა ესთეტობასთან, ჰედონიზმთან, პოზიორობასთან ათასჯერ უფრო გაიზრდებოდა. ვერ განქვრიტა ვერ იწინახწარმეტყველა ეს მომავალი დიდება და დაკარგა ის უდიდესი ძალა. მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ამხნევებდა და აღფროთოვანებდა: საკუთარი თავის შეურყეველი რწმენა, ჰოდა, თანდათან უოფილადამიანად გადაიქცა, პასიურად, უმაქნისად, რომელსაც ერთადერთი სიკვდილილა დარჩენოდა. სასიკვდილოდ 1900 წლის მაისში პარიზში

ჩამოვიდა. დღესა და ღამეებს კაფეებში ატარებდა. ძალიან ბევრს სვამდა და არ თაკილობდა თავისი განსოცარი სიტუაციებით გაერთო უცხო და უცნობი შენახნებები — ვიდაც მოქეიფე სტუდენტები, მასწავლებლები, მასწავლებლები და მკურნებები, მწიფეები, პოლფორახა და კიდევ ორი თუ სამი კაცის გარდა არავის ხვდებოდა. მისთვის ყველა კარი დაკეტილი იყო. ფული შემთხვევით უვარდებოდა ხელში. თანაც მისი მოფრთხილება არ იცოდა. ხშირად საშინელ გაკირვებას განიცდიდა, მაგრამ უკვე აღარ ებრძოდა მას. ხაერთოდ აღარაფრისთვის იბრძოდა — სიკვდილისწინა მორჩილება ბედისა. მთელი კვირების მანძილზე საშინელი თავის ტკივილები აწამებდა. მაგრამ უოფელდღიურ დვინის ბოთლზე უარის თქმა აღარ შეეძლო. უენსვორტის ციხეში წაქცევისახ დაზიანებული უურის ოპერაცია 10 ოქტომბერს გაიკეთა. 29 ოქტომბერს ღოგიანიდან წამოდგა და კაფეში წავიდა. 30-ში ფაეტონით ბუღვარები შემოიარა — ეს მისი უკანასკნელი გახეირნება იყო. უკან დაბრუნებული ჩაწვა და აღარც ამდგარა: ძალიან დახუსტდა, ხშირად ბოდავდა, ხანდახან ისტერიულად ქვითინებდა. დაეწყო აგონია, რომლის მოწმე მისი მეგობარი რობერტ როსი იყო.

1900 წლის 8 დეკემბერს პარიზის უსახურ სასაფლაოზე მწირი დაკრძალვა შედგა. კუბოს ორი თუ სამი კაცი მიყვებოდა. 1909 წლის 20 ივლისს რობერტ როსის თაოსნობით პოეტის გვამი ხაზეიმოდ გადმოასვენეს პერ-ლაშეზის სასაფლაოზე და ვებერთელა, დიდებული ძეგლი დაუდგეს.





მითის ასპექტები

მირჩა ელიაძე ცნობილი თანამედროვე რუმინელი მიოლოგი და რელიგიების ისტორიკოსია. იგი საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა საფრანგეთში. შემდეგ კი ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი იყო. მას გამოქვეყნებული აქვს „რელიგიების ისტორია“, „მარადიული მობრუნების მითი“, „იოგა, უკვდავება და თავისუფლება“, „შამანიზმი და ექსტაზის არქაული ტექნიკა“, „მითის ასპექტები“ და სხვა (ეს ნაშრომები ფრანგულად აქვს დაწერილი).

„მითის ასპექტებში“ იგი მოგვითხრობს დიდი მითების ისტორიას პირველყოფილი ხალხების დროიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე გზა და გზა ეხება წარსულის დიდ ცივილიზაციებს.

მ. ელიაძე თვლის, რომ XX საუკუნეში დასავლეთ ევროპის მეცნიერებმა XIX საუკუნის საგან განსხვავებით მითის კვლევა სხვა პერსპექტივაში წარმართეს: „ისინი ტერმინ „მითს“ წინამორბედ მკვლევარების მსგავსად „არაიეს“, „ნოვონილი ამბის“ „ფიქციის“ ჩვეული მნიშვნელობით როდი ხმარობენ, მათ ეს სიტყვა აღიქვამს, როგორც აღიქვამდა მას არქაული საზოგადოება, ვისთვისაც მითი ნიშნავდა „ხამდვილ ამბავს“, ამასთან იმდენად ღირებულს, რამდენადაც საკრალურს, საინიშუმოს და ნიშანდობლივს“.

„მითის ასპექტებში“ კვლევა უწინარესად ეხება იმ საზოგადოებებს, ვისთვისაც მითი არის — ამ ბოლო დრომდე მოქმედი იყო, მოქმედი იმ გაგებით, რა გაგებითაც იგი ადამიანური ქცევის მოდელს აწვდის ამ საზოგადოებებს და ამით მათ ირსებობას, აზრსა და ღირებულებას ანიჭებს... „ჩვენთვის პირველ რიგში, — ამბობს იგი, — საინტერესოა ამ უცნაურ ქმედებათა არსში ჩაწვდომა, ექსტაზების მიზეზების მიკვლევა და გამართლება. მხოლოდ ამ გზით შევიძინებთ მათ, როგორც ადამიანურ ფაქტებს, კულტურის ფაქტებს, აულის ქმნადობას და არამც და არამც ინსტიტუტების პათოლოგიურ ამოფრქვევას, ცხოველურ ან ბავშვურ გამოვლინებებს, სხვა ელტერნატივა არ არსებობს: ან უნდა უარყყოთ, მინიმუმამდე დაევიყანოთ და დაევიწყოთ ეს ექსტაზები, ჩავთვალოთ ისინი ველურობის ცალკეულ გამოვლინებად, რომლებიც მაშინათვე გაქრება, როცა კი ტომები ცივილიზაციას ეზიარებიან; ანდა თავს ძალა დავატანოთ და მივაკვლიოთ იმ მითაურ ფესვებს, რომლებიც ახსნიან, გაამართლებენ ამგვარ ექსტაზებს და მათ რელიგიურ ღირსებებს მიაწილებენ. ჩვენი აზრით, საკითხისადმი მხოლოდ ამგვარი მიდგომაა გამართლებული“.

ამ ნაშრომის IV თავი ეხება მითებს სამყაროს აღსასრულისა წარსულსა და მომავალში, ვფიქრობთ მკითხველისათვის საინტერესო მიქნება მისი გაეცნობა, მით უნეტეს, რომ ავტორი ამ საკითხის განხილვისას მოკლედ ეხება თანამედროვე ზელოვნების ვანვიტარების პრობლემას. ეს თავი იბეჭდება მცირე შემოკლებით.

თ ა ვ ი I V

სამყაროს აღსასრული — წარსულში და მომავალში

ზოგადად შეიძლება გვეთქვა, რომ პირველყოფილი ხალხისათვის სამყარო უკვე აღესრულა, თუმცა კი ის უნდა განმეორდეს ცოტა თუ ბევრად შო-

რულ მომავალში. კოსმიური კატაკლიზმების მითები მართლაც ძალიან გავრცელებულია, ისინი მოგვითხრობენ როგორ დაინგრა მსოფლიო, როგორ მოიხსოვ კაცობრიობა, ერთი წყვილია



და რამდენიმე კოცხლად გადარჩენილის გარდა, უველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და საყოველთაოდ ცნობილია წარღვნის მითები. (თუმცა ძალზე იშვიათად გვხვდებიან აღრიკაში). წარღვნის მითების პარალელურად სხვა მითები კაცობრიობის წგრევას გამოხატავენ კოსმიური მასშტაბის კატაკლიზმებით: მიწისძვრებით, ჩაბრუნებით, მთების ჩამოშლით, ეპიდემიებით და სხვა. ცხადია, სამყაროს ეს აღსასრული რადიკალური არ უყოფილა: იგი უფრო ერთი კაცობრიობის აღსასრული იყო, რასაც მოჰყვა ახალი კაცობრიობის გაჩენა. მაგრამ დედამიწის მთლიანი ჩაძირვა წყლებში, ან მისი შთანთქმა ცეცხლში, რასაც უამირი მიწის ამოტივტივება მოჰყვა, სიმბოლურად გამოხატავს ქაოსამდე დაუვანილ უკან სვლას და კოსმოგონიას.

მითების დიდ ნაწილში წარღვნა უკავშირდება რიტუალურ შეცდომას, რამაც უზენაესი არსების რისხვა გამოიწვია; ზოგჯერ იგი შედეგია იმისა, რომ ღვთაებრივმა არსებამ უბრალოდ ისურვა ბოლო მოეღო კაცობრიობისათვის. მაგრამ თუ განვიხილავთ მითებს, რომლებიც მომავალ წარღვნას აცხადებენ, დავინახავთ, რომ წარღვნის ერთერთი მთავარი მიზეზი ადამიანების ცოდვებში და აგრეთვე სამყაროს დაძაბუნებაში მდგომარეობს. წარღვნამ გზა გაუხსნა ერთდროულად სამყაროს ხელმეორედ შექმნას და კაცობრიობის ხელახლა წარმოშობას. სხვათადაც რომ ვთქვათ, სამყაროს აღსასრული წარსულში და აღსასრული, რომელიც მოხდება მომავალში, მაკროკოსმიური დონის და განსაკუთრებული დრამატული სიმძაფრის საახალწლო დღესასწაულის მითიურ-რიტუალური ხისტემის გიგანტურ გამოხატულებას წარმოადგენს. მაგრამ ამჟერად ეს არ არის სამყაროს ე. წ. „ბუნებრივი დასასრული“ — რადგან ის წელიწადის დასასრულს ემთხვევა და, მაშასადამე, კოსმიური ციკლის შემადგენელი ნაწილია — არამედ რეალური კატასტროფა, რომელსაც ღვთიური არსებები იწვევენ. წარღვნისა და სამყაროს ყოველწლიური განახლების სიმეტრია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაშია შეგრძნობილი (მესოპოტამია, იუდეიშმი, მანდანი). მაგრამ ხაერთოდ წარღვნის მითები ახალი წლის მითიურ-რიტუალური სცენარებისაგან დამოუკიდებელი არიან. ეს მარტივად აიხსნება, რადგან ხელახალი წარმოშობის პერიოდული დღესასწაულები სიმბოლურად ანამდვილებენ კოსმოგონიას, ღმერთების შემოქმედებით ნაწარმოებს და არა ძველი სამყაროს განადგურებას: ეს ბოლო „ბუნებრივად“ ქრებოდა იმ უბრალო ფაქტის გამო, რომ იმ მანძილზე, რომელიც მას ჰყოფდა „საწყისებისაგან“, უკიდურეს საზღვარს მიაღწია.

თუ მითებს, რომლებიც სამყაროს წარსულ აღსასრულზე მოგვითბრობენ, შევადარებთ იმ მითებს, რომლებიც მომავალ აღსასრულს ეხები-

ან, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი უცნაურად მცირერიცხოვანნი არიან პირველყოფილ ხალხთან. როგორც ფ. რ. ლემანი <sup>წინააღმდეგ</sup> ეხ იშვიათობა, შესაძლოა იმ ფაქტის შედეგია, რომ ეთნოლოგებმა თავის კითხვარებში ეს შეკითხვა არ შეიტანეს. ზოგჯერ ძნელად შეიძლება ეხა თუ ის მითი წარსულ კატასტროფებს თუ მომავალს ე. მანი იმოწმებს ანდამანებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ სამყაროს აღსასრულის შემდეგ გამოჩნდება ახალი კაცობრიობა, რომელიც სამოთხისმაგვარი პარობებით გაიხარებს: აღარ იქნება არც სხეულებანი, არც სიბერე, არც სიკვდილი. მკვდრები აღდგებიან კატასტროფის შემდეგ, მაგრამ თუ რადიკალურ ბრაუნს დავიმოწმებთ, მანმა სხვადასხვა ინფორმატორებისაგან შეკრებილი რამდენიმე ვერსია გააერთიანა. ხინამდვილეში, აზუსტებს რადიკალურ ბრაუნს, ეს არის მითი, რომელიც სამყაროს აღსასრულს და მის ხელმეორედ შექმნას ასაბავს, მაგრამ მითი ეხება წარსულს და არა მომავალს. ლემანის შენიშვნის მიხედვით კი ანდამანურ ენას არა აქვს მომავალი დრო და ადვილი როდია დაადგინო, მოვლენა წარსულს ეხება თუ მომავალს.

აღსასრულის პრიმიტიულ მითებს შორის უველაზე იშვიათია ის მითები, რომლებიც ზუსტად არ მიაწინებენ სამყაროს შესაძლებელ აღდგენას. ასე მაგალითად, ახალი გვინის კაისტომის რწმენით, ქვეყნის გამჩენი, მალანფუნგი, მას შემდეგ, რაც კოსმოსი და ადამიანი შექმნა, სამყაროს კიდევ, პორიზონტზე გაიხიზნა და იქვე ჩაიძინა. ძილში, მის ყოველ შემოტრიალებზე, მიწა ირყევა, მაგრამ ერთ დღესაც ის წამოდგება თავის საწოლიდან, დაანგრევს ცას, რომელიც მიწას დაენარცხება და მთელ საცოცხლეს ბოლოს მოუღებს. კაროლინის ერთ-ერთ კუნძულზე, ნამოლუტში, ჩაწერილია ანდრეზი, რომ შემქმნელი ერთ დღეს გაანადგურებს კაცობრიობას მისი ცოდვების გამო. მაგრამ ღმერთები არსებობას განაგრძობენ. ეს კი ახალი შექმნის შესაძლებლობას შეიცავს. კაროლინის მეორე კუნძულზე, ორეპიკში, კატასტროფის მოხდენა ეკისრება ქვეყნის გამჩენის ვაჟს როცა ის შეამჩნევს, რომ კუნძულის მეთაური თავის ქვეშევრდომებზე აღარ ზრუნავს, ციკლონის მეშვეობით კუნძულს წყლით დაფარავს. ეს ქერ კიდევ უეჭველ საბოლოო აღსასრულს არ მოასწავებს. „ცოდვების“ გამო დასჯის იდეა, როგორც წესი, ახალი კაცობრიობის მომავალ შექმნას შეიცავს.

უფრო კირს მალაქას ნახევარკუნძულის ნეგრიტოსების რწმენათა ინტერპრეტაცია. მათ იციან, რომ ერთ დღეს კარგი ბოლოს მოუღებს სამყაროს იმიტომ, რომ ადამიანები ყურად არ იღებენ მის რჩევა-დარიგებებს. ქარიშხლის დროს ნეგრიტოსები კატასტროფის თავიდან აცილებას მოხანანებელი ზვარაყის შეწირვით ცდილობენ.

კატახტროფა საუოველთაო იქნება, განურჩევლად ცოდვილთა და უცოდველთათვის; და იგი წინ აღარ წარუძღვება ახალ შესაქმეს. ამიტომ უწოდებდნენ ნეგრიტოსები კარის „ცუდს“, პლესაკები კი მასში მოწინააღმდეგეს ხედავენ, რომელმაც მათ „სამოთხე მოპარა“.

განსაკუთრებით უცნაურია მარტო გროსოს გარანების მაგალითი: სჯერათ რა, რომ დედამიწა ცეცხლით და წყლით დაინგრევა, მათ გასწიეს „უცოდველი ქვეყნის“ — ერთგვარი მიწიერი სამოთხის საძებნელად, რომელიც ოკეანის მიღმა მდებარეობდა. ეს გრძელი, შამანებით შთაგონებული და მათივე ხელმძღვანელობით აღსრულებული მოგზაურობები, მე-19 საუკუნეში დაიწყო და 1912 წლამდე გაგრძელდა. ზოგიერთი ტომი ფიქრობდა, რომ კატახტროფას მომპყვებოდა სამყაროს განახლება და მკვდრების დაბრუნება. სხვა ტომებს სურდათ და ელოდნენ სამყაროს საბოლოო დასასრულს. 1912 წელს ნიშუენდაუუ წერდა: „არა მხოლოდ გარანები, არამედ მთელი ბუნება დაბერდა და ცხოვრებით გადაიღალა. მკურნალ კაცებს ნანდერუფუფუ ეხიზმრებოდათ და არაერთხელ ჩაესმოდათ დედამიწის ვედრება: „მე ძალიან ბევრი გვამი შევსანსლე, გავძები და გადავიღალე. მამაო, გაათავე ეს ყოველივე.“ „წყალიც თავის მხრივ ეხვეწება ქვეყნის გამჩენს მიანიჭოს მას დასვენება და გაათავისუფლოს იგი ყოველნაირი ხაზრუნავის, ასევე ხეებისა (...) და მთელი ბუნებისაგან“.

ძნელია მოიძებნოს კოსმიური დაღლის, აბსოლუტური დასვენების და სიკვდილის სურვილის უფრო ამალეღვებელი სურათი. აქ ხაქმე ეხება გარდაუვალ გულისაყრუებას, რომელიც ხანგრძლივ და ამო მესიანურ ეგზალტაციას მოსდევს. ერთი საუკუნის მანძილზე გარანები სიმღერითა და ცეკვით ეძებდნენ მიწიერ სამოთხეს, მათ ხაზე უცვალეს სამყაროს აღსასრულის მითს და მილენარისტული მითოლოგიის კეთვნილებად აქციეს.

აღსასრულის ამერიკული მითების უმრავლესობა ციკლურ თეორიას (როგორც აცტეკებთან) შეიცავს. ან გამოხატავს რწმენას, რომ კატახტროფას ახალი შესაქმე მოპყვება და ბოლოს, რომ (ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთ რაიონებში) უნივერსალური ხელახლა შექმნა კატაკლიზმების გარეშე მოხდება. ხელახლა შექმნის ამ პროცესში მხოლოდ ცოდვილები დაიღუპებიან. აცტეკური ტრადიციების მიხედვით სამყარო უკვე სამჯერ თუ ოთხჯერ დაინგრა, მეოთხე (თუ მეხუთე) ნგრევას მომავალში ელოდებიან. თითოეულ ამ სამყაროს თავთავისი „მზე“ განაგებს, რომლის დაცემა ან გაქრობა აღსასრულს მოასწავებს.

აქ შეუძლებელია ჩამოეთვალათ ორივე ამე-

რიკის ყველა სხვა მნიშვნელოვანი მითი. რომლებიც სამყაროს აღსასრულს ეხება. მითების ერთი ნაწილი მოგვითხრობს რწმენაზე, რომელიც ახალ სამყაროს დაახებლებს. მოკტაუები ფიქრობენ, რომ სამყარო ცეცხლით განადგურდება, მაგრამ სულელები აქედან რწმენას, ძვლები კი კვლავ ხორციით შეიმტნუნებს. ცეცხლით აღმდგარნი ისევ თავიანთ ძველ ტერიტორიებზე იცხოვრებენ. მსგავს მითებს ესკიმოსებთანაც ვხვდებით. ადამიანები აღდგებიან თავიანთი ძვლებიდან (მონადირეთა კულტურებისათვის სპეციფიური რწმენა). რწმენა იმისა, რომ კატახტროფა სამყაროს „სიბერისა“ და დაბრუნების გარდაუვალი შედეგია, საკმაოდ გავრცელებულია. შეროკების მიხედვით, „როცა სამყარო დაბერდება და გაცვთება, ადამიანები დაიხრცებიან, თოკები დაწყდება და მიწა ოკეანეში ჩავარდება“ (მიწა წარმოდგენილია, როგორც ცის თაღზე ოთხი თოკით ჩამოკიდებული დიდი კუნძული). მედუს მითში დედამიწის შემქმნელი ქალ-ვაჟს არწმუნებს, რომ სამყარო მან შექმნა და „როცა ეს სამყარო ძალიან გაცვთება, მე მას მთლიანად შევქმნი ხელმეორედ; და როცა მე მას ხელმეორედ შევქმნი, თქვენ ახლად დაიბადებით“. კატოს ერთ-ერთი კოსმოგონიური მითი იწუება ძველი, როგორც ჩანს, ჩამოსავარდნად განწირული ცის შემცველი ახალი ცის შექმნით. წყნარი ოკეანის სანაპიროს კოსმოგონიურ მითებთან დაკავშირებით ალექსანდერი აღნიშნავს: „ბევრი მონათხრობი შექმნაზე ხინამდვილეში თითქოს იმ ტრადიციებს უბრუნდება, დიდი კატახტროფის შემდეგ დედამიწის ხელახლა შექმნას რომ ეხება; ზოგიერთი მითი კი როგორც შექმნას, ასევე ხელმეორედ შექმნას ასახავს“.

ერთი სიტყვით, სამყაროს აღსასრულის მითები, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ნათლად ასახვენ სამყაროს ხელახლა შექმნას, კოსმოსის თანდათანობითი „გადაგვარების“ იმავე არქაულ, თანაც ძალიან გავრცელებულ იდეას, გამოხატავენ, რომელიც სამყაროს ნგრევასა და მისი ხელახალი შექმნის გარდაუვალობას მოითხოვს. აღსასრულის კატახტროფის ამ მითებიდან, კატახტროფისა, რომელიც სამყაროს იმანენტურ ხელმეორედ შექმნას მოასწავებს, გამოვიდა და განვითარდა პრიმიტიული ხაზოგადობების თანამედროვე წინასწარმეტყველური მილენარისტული მოძრაობები. ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით ამ პრიმიტიულ მილენარისტებს... მაგრამ ჯერ მოკლედ უნდა გავიხსენოთ რა ადგილი ეჭირა სამყაროს დასასრულის მითებს უფრო რთულ რელიგიებში.

სამყაროს აღსასრული აღმოსავლურ რელიგიებში

ადვილი შესაძლებელია. სამყაროს ნგრევის მოძღვრება უკვე ცნობილი უოფილიუოს ვედების დრო. უნივერსალური აფეთქება, რომელსაც ახალი შექმნა მოჰყვა, გერმანელი მითოლოგიის ნაწილია. ეს ფაქტები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ინდო-ევროპელები სამყაროს აღსასრულის მითს იცნობდნენ. არც თუ დიდი ხნის წინათ სტივ ვიკანდერმა მიუთითა ესხატოლოგიური ბრძოლის ამსახველი გერმანული მითის არსებობაზე, რომელიც მთლიანად ემსგავსება ინდურ და ირანულ პარალელურ ამბებს; მაგრამ ბრძანებებიდან დაწებულნი და შეტადრე პურანებიდან მოყოლებული, ინდოელებმა დაბეჭითებით განავითარეს ოთხი იოგას მოძღვრება, სამყაროს ოთხი ასაკი: ამ თეორიაში უმთავრესია სამყაროს ციკლური შექმნა და ნგრევა, და „საწყისების სრულყოფილების“ რწმენა, რადგან ბუდისტები და ჯაინები იმავე შეხედულებებს იზიარებენ; შეიძლება დავასკვნათ, რომ სამყაროს მარადიული შექმნა და ნგრევა პანინდურ იდეას წარმოადგენს.

ვინაიდან ამ პრობლემაზე „მარადიული მობრუნების“ მითში უკვე ვისაუბრეთ, აქ აღარ გავიმეორებთ. გავიხსენოთ მხოლოდ, რომ „სრული ციკლი მთავრდება პრაღაიათი რომელიც უფრო რადიკალურად „დიდი განადგურებით“ („მოსპობით“) შეორდება შეათასედე ციკლის დასასრულს“. მაჰაბჰარატასა და პურანას მიხედვით, მორიზონტს ცეცხლი წაეკიდება, ცის კამარაზე შვიდი თუ ორმეტი მზე გამოჩნდება, წლებს დააშრობს, დედამიწას გადახვავს, სამყარტაკას ცეცხლი (კოსმიური ხანძრის ცეცხლი) მთელ სამყაროს განადგურებს, შემდეგ 12 წლის განმავლობაში წარღვნის მსგავსი წვიმა იწვიმებს, დედამიწა წყლით დაიფარება და კაცობრიობა დაინგრევა. ოკეანეში კოსმიურ გველზე ხეშაზე მჭდარ ვიშნუს იოგური ძილი დაუფლებია. შემდეგ კი ქველათერი ხელახლა დაიწყება — და ასე უსასრულოდ.

რაც შეეხება „საწყისების სრულყოფილების“ მითს, იგი ადვილად საცნობია კრატა იოგას — პირველი ასაკისათვის ნიშანდობლივი სიწმინდით, გონიერებით, ნეტარებით და ადამიანური სიცოცხლის ხანგრძლივობით. მომდევნო იოგების დროს კი შეიმჩნევა ადამიანის, როგორც გონიერებისა და ზნეობის, ასევე მისი სხეულის ზომებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის თან-

დათანობითი დაქვეითება. ჯაინიზმი საწყისების სრულყოფილებას და მის შემდგომ დაქვეითებას ექსტრავაგანტული სიტუაციებით გამოხატავს. მემაკანდრას მიხედვით პირველად ადამიანს ექვსი მილის სიმაღლე ჰქონდა და მისი სიცოცხლე ასი ათასი purvas (ერთი purvas 60 წუთის წელს უდრიდა) გრძელდებოდა. შემდეგ კი ციკლის დასასრულს მისმა სიმაღლემ ძლივს მიაღწია 7 წურთას, ხოლო სიცოცხლე 100 წელს არ აღემატება. ბუდისტები დაბეჭითებით უხვამენ ხაზს ადამიანური არსებობის ხანგრძლივობის ხალყარ შემცირებას: ციკლის დასაწყისში 8000000 წელი და მეტიც („უთვალავი“ ზოგიერთი ტრადიციის მიხედვით), ხოლოში კი ათი წელი.

სამყაროს ასაკზე ინდური მოძღვრება, ე. ი. მარადიული ქმნადობა, დაცემა, განადგურება და სამყაროს ხელახლა შექმნა ერთგვარად გვაგონებს სამყაროს უოველწლიური განახლების პრიმიტიულ კონცეფციას, ოღონდ მნიშვნელოვანი განსხვავებით. ინდურ თეორიაში, ადამიანი სამყაროს პერიოდულ ხელახლა შექმნაში არავითარ როლს არ ასრულებს. არსებითად ადამიანს არ ხურს ეს მარადიული ხელახლა შექმნა; ის კოსმიური ციკლიდან თავის დაღწევას ცდილობს. ღმერთებიც კი ნამდვილ შემქმნელებად არ გამოიყურებიან, იხინი უფრო იარაღები არიან, რომელთა მეშვეობით კოსმიური პროცესი ხორციელდება. თუ შეიძლება ასე ითქვას, ინდოეთისათვის სამყაროს რადიკალური აღსასრული არ არსებობს. არის მხოლოდ მეტად თუნაკლებად გრძელი ინტერვალები ერთი სამყაროს გაქრობასა და მეორის გამოჩენას შორის. „დასასრულს“ აზრი აქვს მხოლოდ ადამიანური უოფის მიმართ; ადამიანს შეუძლია შეაჩეროს ტრანსმიგრაციის პროცესი, რომელშიც იგი ბრძად არის ჩათრეული.

საწყისების სრულყოფილების მითი აშკარად დასტურდება მესოპოტამიაში, ებრაელებთან და ბერძნებში. ბაბილონური ტრადიციების მიხედვით რვა და ათმა წარღვნამდელმა მეფემ იმეფა 10, 800 და 74, 400 წლებს შორის; სამაგიეროდ წარღვნის შემდგომ დროინდელი პირველი დინასტიების მეფობა 1200 წელს არ აღემატებოდა. ამასთან ბაბილონელებმა იცოდნენ აგრეთვე დასაბამიერი სამოთხის მითი და შემოინახეს კაცობრიობის შევიდოდე მოდგმის განადგურებისა და ხელახლა შექმნის ხსოვნა; მსგავს იდეებს ებრაელებიც იზიარებდნენ: თავდაპირველი სამოთხის დაკარგვა, სიცოცხლის ხანგრძლივობის თანდათანობითი კლება, წარღვნა, რომე-

1. ჯაინიზმი — ინდური რელიგია VI საუკუნის დაარსებული ბუდას თანამედროვეს ვარდამანის მიერ. ასკეტური რელიგია ქადაგებს ყველა ცოცხალი არსების პატივისცემას და ზნეობის აბსოლუტურ სიწმინდეს.

ლიც მთელ კაცობრიობას სპობს. ზოგიერთი რჩეულის გამოკლებით. ეგვიპტეში არ დასტურდება „საწყისთა სრულყოფილების“ მითი. მაგრამ გვხვდება მენესამდე არსებული მეფეების სიცოცხლის ხაარაკო ხანგრძლივობის ლეგენდარული ტრადიცია.

საბერძნეთში. ჩვენ აღვადგენთ ორ განსხვავებულ. მაგრამ ურთიერთშერწყმულ მითიურ ტრადიციას: 1. სამყაროს ასაკის თეორიას, რომელიც საწყისთა სრულყოფილების მითსაც შეიცავს და, 2. ციკლურ მოძღვრებას. პირველად პესიოდუ აღწერს კაცობრიობის პროგრესულ გადაგვარებას ხუთი ასაკის განმავლობაში. პირველი. ოქროს ხანა, ქრონოსის მეფობის დროს ერთგვარი სამოთხე იყო: ადამიანები დიდხანს ცოცხლობდნენ. არახდროს ბერდებოდნენ და მათი არსებობა ღმერთების არსებობას ჰგავდა. ციკლური თეორია კი პერაკლიტესთან გამოჩნდა, რომელიც დიდ გავლენას იქონიებს მარადიული მობრუნების სტოიელების მოძღვრებაზე. ხოლო ორი მითიური თემის — სამყაროს ასაკისა და ნგრევა-შექმნის უწყვეტი ციკლის გაერთიანებას ჭერ კიდევ ემპედოკლესთან ვადგენთ. ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ იმ სხვადასხვა ფორმებზე, ამ თეორიებში საბერძნეთში რომ მიიღეს. მეტადრე აღმოსავლურ გავლენათა წყალობით. ხაკმარისია გავიხსენოთ, რომ სტოელებმა პერაკლიტესაგან გადმოიღეს ხანძრით სამყაროს აღსასრულის იდეა და რომ პლატონი როგორც ალტერნატივას უკვე იცნობდა წარღვნიტ მოვლენილ აღსასრულს. ეს ორი კატაკლიზმი ერთგვარი რიტმულობით წარმართავდნენ დიდ წულღწადს. არისტოტელეს ერთი დაკარგული ტექსტის მიხედვით ორი კატასტროფა მოხდა ორ ნაბუნიაობის დროს. გადაბუგვა ზაფხულის ნაბუნიაობაში, წარღვნა კი ზამთრის ნაბუნიაობაში.

იუდეო-ქრისტიანული აპოკალიფსები

სამყაროს აღსასრულის ზოგიერთ აპოკალიფსურ სურათს იუდეო-ქრისტიანულ ესხატოლოგიურ ხილვებში ვხვდებით. მაგრამ იუდეო-ქრისტიანობა უმნიშვნელოვანეს სიახლეს აღწერს. სამყაროს აღსასრული იქნება ერთადერთი ისევე, როგორც ერთადერთი იყო კოსმოგონია. კოსმოსი, რომელიც კატასტროფის შემდეგ კვლავ გამოჩნდება, იგივე კოსმოსი იქნება. რომელიც ღმერთმა საწყის დროში შექმნა. მაგრამ განწმენდილი, აღდგენილი თავისი პირვანდელი აღორძინებული დიდებით. ეს მიწიერი სამოთხე აღარ დაინგრევა. არც დასასრული ექნება. დრო აღარ არის მარადიული დაბრუნების წრიული დრო. არამედ სწორხაზოვანი და შეუქცევადია. უფრო მეტიც: ესხატოლოგია საღვთო ისტორიის ტრიუმფსაც წარმოადგენს. რადგან სამყაროს აღსასრული წარმოაჩენს ადა-

მიანური აქტების რელიგიურ ღირებულებას და ადამიანები თავიანთი აქტების მხედველი განიკითხებიან. ეს აღარ არის კოსმიური ხელახლა წარმოშობა, რომელიც კოლექტივის ხელახლა წარმოშობასაც (ან ადამიანური მოდგმის ტოტალურობას) შეიცავს. ეს არის განკონკრეტული, განცხრილვა. მხოლოდ რჩეულნი — ქრისტიანები მარადიულ ნეტარებაში. რჩეულთ და კეთილთ საღვთო ისტორიის ერთგულთა გადაარჩენს: ძალაუფლებებთან და ამქვეყნიურ ცდუნებებთან მარადიულ ბრძოლაში ისინი ზეციური სამეფოს ერთგულნი დარჩნენ.

აი, კიდევ ერთი განსხვავება: იუდეო-ქრისტიანებისათვის სამყაროს აღსასრული მესიანური მისტერიის ნაწილს წარმოადგენს. ებრაელებთან მესიის გამოსვლა სამყაროს აღსასრულისა და სამოთხის აღდგენის მაუწყებელია. ქრისტიანებისათვის სამყაროს აღსასრული წინ უსწრებს ქრისტეს მეორედ მოსვლას და განკითხვის დღეს. მაგრამ როგორც ერთისთვის, ასევე მეორისთვის სამყაროს აღსასრულით გამოვლენილი საღვთო ისტორიის ტრიუმფი, ერთგვარად შეიცავს სამოთხის აღდგენასაც. წინასწარმეტყველები აცხადებენ, რომ კოსმოსი განახლდება: გაჩნდება ახალი ცა და ახალი მიწა. უველაფერი უხვად იქნება, როგორც ედემის ბაღში. გარეული ცხოველები მშვიდობიანად იცხოვრებენ ერთიმეორის გვერდით: „და ურმამან მცირემან მოიყვანეს იგინი“. (ესაია XI, 8). სწეულებანი და ფიზიკური ნაკლი სამუდამოდ გაქრება. კოქლი — შველივით იხტუნავებს, ურუს სმენა დაუბრუნდება, და აღარ იქნება აღარც ცრემლი და აღარც ტირილი (ესაია, XXX, 18, XXXV, 8), ახალი ისრაელი სინას მთაზე აშენდება, რადგან სამოთხე მთაზე იმყოფებოდა (ესაია, XXXV, 10, XI, VIII, 2). კოსმოსის ტოტალური განახლება და სამოთხის აღდგენა ესხატონის ძირითადი ნიშნებია, იოანეს აპოკალიფსში ნათქვამია: (XXI, 1—5): „და ვინილუ ცაი ახალი და ქვეუანაი ახალი — რამეთუ პირველი იგი ცაი და პირველი ქვეუანაი წარბდეს (...) და მესმა ხმაი დიდი ზეციით რომელი იტყოდა... და ახოცოს უოველივე ცრემლი თვალთაგან მათთა, და სიკუდილი არღარა იყოს, არცა გლოვა, არცა ღაღადებანი, არცა ტივილი რამეთუ პირველნი იგი წარბდეს. თქუა მჯდომარემან მან ხაყდარსა ზედა: ამა ესერა უოველხავე ახალბუყოფ“.

მაგრამ ეს ახალი შესაქმე ძველის ნანგრევებზე აღმოცენდება. საბოლოო კატასტროფის სინდრომი სამყაროს ნგრევის ინდურ აღწერებს მოგვაგონებს. დადგება გვალვა, შიმშილი და დღეები დამოკლდება. აღსასრულის უშუალო წინა ეპოქა ხელთ ეპურობა ანტიქრისტეს, მაგრამ ქრისტე მოვა და სამყაროს ცეცხლით განწმენდს. როგორც სირიელი ეფრემი ამბობს: „ზღვა დაიღმეუვლებს და შემდეგ დაშრება; ცა

და მიწა ჩაიშლება... 10 დღის განმავლობაში უფალი მიწას ცეცხლში გახვევს, რათა განწმინდოს იგი მანკიერებისა და ცოდვის კუჭუჩისაგან. დამანგრეველი ცეცხლი მხოლოდ ერთხელ მოიხსენიება ახალ აღთქმაში პეტრეს მეორე ეპისტოლეში (111, მ—14). მაგრამ იგი სიბილური წინახწარმეტყველების სტოიციზმისა და შემდგომი ქრისტიანული ლიტერატურის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს: ის ეტყობა ირანული წარმოსობისა უნდა იყოს.

ანტიქრისტეს ბატონობა ერთგვარად ქაოსი-ხაყენ დაბრუნებას ნიშნავს: ერთის მხრივ ანტიქრისტე წარმოდგენილია დრაკონის ან დემონის ფორმით, რაც ღმერთისა და დრაკონის ორთაბრძოლის ძველ მითს მოგვაგონებს. ბრძოლა დასაწყისში, სამყაროს შესაქმემდე მოხდა: იგი კვლავ მოხდება აღსასრულის ეამს. მეორეს მხრივ, როცა ანტიქრისტეს ცრუ მესიად მიიჩნევენ, მისი ბატონობა მთლიანად თავდაპირა დააყენებს სოციალურ, მორალურ და რელიგიურ ღირებულებებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს იქნება ქაოსიხაყენ დაბრუნება. საუკუნეების განმავლობაში ანტიქრისტე გაიგივებული იყო სხვადასხვა ისტორიულ პიროვნებებთან, ნერონიდან დაწყებული პაპით გათავებული (ლუთერის მიერ). საჭიროა ხაზი გაესვას ერთ ფაქტს: ზოგიერთი, განსაკუთრებით ტრაგიკული ისტორიული ეპოქებ. ჩნეული იყო ანტიქრისტეს ბატონობის ეპოქებად, მაგრამ ყოველთვის რჩებოდა იმედი იმისა, რომ მისი ბატონობა ამავე დროს ქრისტეს აუცილებელ მოსვლასაც მოახწავებდა. კოსმიური კატასტროფები, უბედურებები, ისტორიული ტერორი, ბოროტების მოჩვენებითი ტრიუმფი ქმნიდნენ აპოკალიფსურ სინდრომს, რომელიც წინ უსწრებდა ქრისტეს მეორედ მოსვლას და მილენიუმს.

**ქრისტიანული მილენარიზმები.**

ქრისტიანობაში, როცა რომის იმპერიის ოფიციალური რელიგია გახდა, მილენარიზმი დაგმო, როგორც მწვალებლური. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის ცნობილი მამები წარსულში მას ქადაგებდნენ, მაგრამ ეკლესიამ ისტორია აღიარა და ესხატონი აღარ იყო გარდუვალი მოვლენა, როგორც დევნილების დროს იყო. სამყარო, ეს სამყარო, უველა თავისი ცოდვებით, უსამართლობებით და უღმობლობით გრძელდებოდა. მხოლოდ ღმერთმა უწყობდა სამყაროს აღ-

1. მილენარიზმი — ქრისტიანობის დასაწყისში ზოგიერთ ქრისტიანულ საზოგადოებაში გავრცელებული მოძღვრება, რომლის მიხედვით ქრისტე თავისა წმინდანებით უნდა დაბრუნდეს მიწაზე და 1000 წელი იმეფოს რასაც შემდეგ განკითხვის დღე მოჰყვება.

სასრულის ეამი და ერთი რამ უცეკელი ჩანდა: ეს აღსასრული სახვალიო არ იყო. ეკლესიის ტრიუმფთან ერთად, ციური სამეფო უკვე შედამიწაზე იმყოფებოდა და გარკვეული პერიოდული სამყარო უკვე დანგრეული იყო. ეკლესიის ოფიციალურ ანტიმილენარული მოძღვრების პროგრესის მოძღვრების პირველ ეტაპებზე, ეკლესიამ სამყარო ისეთი მიიღო, როგორც სინამდვილეში იყო და შეეცადა ადამიანური არსებობა ნაკლებად უბედური გაეხადა, ვიდრე დიდი ისტორიული კრიზისების დროს იყო. ეკლესიამ წინახწარმეტყველების, მხილველების და უველა ჭურის აპოკალიტიკების საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა.

რამდენიმე საუკუნის მოგვიანებით, როცა ისლამი ბმელთაშუა ზღვაში შეიჭრა, მეტადრე კი XI საუკუნის შემდეგ, მილენარისტული და ესხატოლოგიური მოძრაობები კვლავ თავს იჩენენ და ეკლესიის ან მისი იერარქიის წინააღმდეგ გამოდიან. ეს მოძრაობები გარკვეული ურთიერთმსგავსი ნიშნებით ხასიათდება. მათი სულის ჩამდგმელნი ელოდებიან და აცხადებენ სამოთხის აღდგენას დედამიწაზე საშინელი კატაკლიზმებისა და ქირ-ვარამის პერიოდის შემდეგ. სამყაროს გარდუვალ აღსასრულს ლუთერიც ელოდა. საუკუნეების განმავლობაში ერთი და იმავე რელიგიურ იდეას რამდენჯერმე ვხვდებით: ეს სამყარო, ისტორიის სამყარო, უსამართლოა, საზიზლარი, დემონიური. საბედნიეროდ ის უკვე ლპება; კატასტროფები დაიწყო, ძველი სამყარო ყოველმხრივ ირღვევა. ახლო მომავალში ის გაქრება, წყვდიადის ძალები საბოლოოდ დამარცხდებიან და „კეთილები“ გაიმარჯვებენ, სამოთხე აღდგება. უველა ეს მილენარისტული და ესხატოლოგიური მოძრაობა ოპტიმიზმის მაჩვენებელია. ისინი იბრძვიან ისტორიის ტერორის წინააღმდეგ ისეთი ძალით, რომელსაც მხოლოდ უკიდურესი სასოწარკვეთილება იწვევს. მაგრამ საუკუნეების განმავლობაში დიდი ქრისტიანული აღსარებები ესხატოლოგიურ სიმძაფრეს არ იცნობენ. სამყაროს აღსასრულის და განკითხვის დღის გარდუვალობის მოლოდინი არცერთ დიდ ქრისტიანულ ეკლესიას არ ახასიათებს. მილენარიზმი სულს ღაფავს მხოლოდ რამდენიმე თანამედროვე ქრისტიანულ სექტაში.

**მილენარიზმი „პირველყოფილ ხალხებში“**

სამყაროს აღსასრულის მითმა განსაკუთრებული აღმავლობა ჩვენს დროში უველაზე მეტად დახვედური სამყაროს გარეთ ვპოვა. ამ მილენარისტურ უამრავ მოძრაობაში უველაზე ცნობილია მელანეზიური „cargo cults“, რომელთაც ვხვდებით აგრეთვე ოკეანის სხვა რაიონებსა და ევროპის ყოფილ კოლონიებში, აფრიკაში, როგორც ჩანს, ამ მოძრაობათა უმრავლესო-

ბა ქრისტიანობასთან მცირე თუ დიდი ხნის კონტაქტების შემდეგ აღმოცენდა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქმის ყოველთვის თეთრებისა და ქრისტიანების წინააღმდეგნი არიან, აბორიგენთა ამ მილენარიზმების უმრავლესობა ქრისტიანულ ესხატოლოგიურ ელემენტებს შეიცავს. ზოგიერთ შემთხვევაში აბორიგენები მისიონერების წინააღმდეგ ილაშქრებენ სწორედ იმიტომ, რომ ისინი ნამდვილ ქრისტიანებით არ იქცევიან. მათ არ ხერხათ ქრისტეს გარდაუვალი მეორედ მოსვლა და მიცვალებულების მკვდრეთით აღდგომა. მელანეზიაში cargo cults-მა მიიერთა ახალი წლის მოთები და რიტუალები. როგორც უკვე დავინახეთ, ახალი წლის დღესასწაულები სამყაროს სიმბოლურ ხელმეორედ შექმნას შეიცავენ. cargo cults-ის მიმდევრებიც ფიქრობენ, რომ კოსმოსი დაინგრევა და ხელმეორედ შეიქმნება, და რომ ტომი ერთგვარ სამოთხეს დაიბრუნებს; მკვდრები აღდგებიან და აღარც სიკვდილი იქნება და აღარც სნეულება. მაგრამ ინდო-ირანული და იუდეო-ქრისტიანული ესხატოლოგიების მსგავსად იმ ახლის შექმნას, სინამდვილეში სამოთხის დაბრუნებას, წინ უსწრებს კოსმიური კატასტროფების ხერხი. მიწა შეირყვეა, ცეცხლის წვიმები მოვა, მთები ჩამოიშლება და ხეობებს აავსებს, თეთრები და აბორიგენები, ვინც კულტს ნაწიარები არ არიან, დაიღუპებიან და სხვა.

პრიმიტივთა მილენარიზმის მორფოლოგია ძალზე მდიდარი და რთულია. ამ საკითხისათვის მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტის ხაზგასმა: 1. მილენარისტული მოძრაობები შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც სამყაროს პერიოდული განახლების მითიურ-რიტუალური სცენარის განვითარება. 2. ექვს გარეშეა ქრისტიანული ესხატოლოგიის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენა. 3. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის ღირებულებები იზიდავთ და ხურვილი აქვთ თეთრების, როგორც რელიგიის და აღზრდა-განათლების, ასევე მათი ხიბდიდრის და მათი იარაღების დაუფლებისა, მოდერნისტული მოძრაობები ანტი-დასავლურია. 4. ამგვარ მოძრაობებს უკველთვის იწვევენ წინასწარმეტყველური ძლიერი რელიგიური პიროვნებები, პოლიტიკოსები კი ორგანიზაციას უკეთებენ, ავითარებენ და მათ პოლიტიკურ მიზნებისათვის იუენებენ. 5. ყველა ამ მოძრაობისათვის მილენიუმი გარდაუვალია. მაგრამ ის არ დამყარდება კოსმიური კატაკლიზმების ან ისტორიული კატასტროფების გარეშე.

ზედმეტად მიგვაჩნია, დაბეჭიოებით გავუხვავთ ხაზი ამ მოძრაობათა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ხასიათს. ეს ამჟამად მაგრამ მათი ხიბლიერე გავრცობა, მათი შემოქმედითობა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით არ ამოაწურება. ეს არის რელიგიური

მოძრაობები. კულტის მიმდევრები ელოდებიან და აცხადებენ სამყაროს აღსასრულს, არა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად, არამედ უფრო იმიტომ, რომ სამყაროს ხელმეორედ შექმნის და ადამიანური ნეტარების აღდგენას უწყობს. მათ შიათ და სწუურიად უკვდავებას, თავისუფლებას და სამოთხისებურ განცხრომას. სამყაროს აღსასრული მათ ნეტარი, სრულყოფილი და მარადიული ადამიანური არსებობის შესაძლებლობას შეუქმნის.

აქვე დავძენთ, რომ იქაც კი, სადაც კატასტროფიული აღსასრულის ხაკიოზი არ დგახ, ბელახლა წარმოშობის, სამყაროს ხელმეორედ შექმნის იდეა მოძრაობის ძირითად ელემენტს წარმოადგენს. წინასწარმეტყველი თუ კულტის შემქმნელი გარდაუვალ „დასაბამიერისაკენ მობრუნებას“ და მის შედეგად თავდაპირველი „სამოთხისმაგვარი“ მდგომარეობის აღდგენას აცხადებს. ცხადია, ბევრ შემთხვევაში ეს „პირველდაწყებითი“ სამოთხისმაგვარი მდგომარეობა, თეთრების მოსვლამდე არსებულ კულტურულ და ეკონომიკურ გაიდგალებულ ხურათს წარმოადგენს. ეს არ არის ერთადერთი მაგალითი „დასაბამიერის მდგომარეობის“ „ძველი ისტორიის“ მითიზაციისა. რომელშიც ოქროს ხანას გულისხმობს. მაგრამ ჩვენი კვლევისათვის საინტერესოა არა „ისტორიული რეალობა“, რომელსაც ზოგჯერ აცალკეებენ და გამოკყოფენ ამ გადაჭარბებული გამომსახველობისაგან, არამედ ის ფაქტი, რომ სამყაროს აღსასრული ამ შემთხვევაში, კოლონიზაციის ფაქტი, და ახალი სამყაროს მოლოდინი, შეიცავენ სათავეებთან დაბრუნებას. მესიანური პერსონაჟი გაიგივებულია კულტურულ გმირთან ან მითიურ წინაპართან, რომლის დაბრუნებასაც ელოდნენ. მათი მოსვლა პირველხაწყისის მითიური დროის განამდვილებას, ე. ი. სამყაროს ხელმეორედ შექმნას უდრის. კოლონიალური ხალხების მილენარისტული მოძრაობებით გამოცხადებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა და კულტურული თავისუფლება გააზრებულია, როგორც პირველხაწყისის ნეტარი მდგომარეობის აღდგენა. მოკლედ, ხილული აპოკალიპტური ნგრევის გარეშეც, ეს სამყარო, ძველი სამყარო სიმბოლურად გაუქმებულია და მის ადგილას დამყარებულია დასაბამურის სამოთხისებური სამყარო.

„სამყაროს აღსასრული“  
თანამედროვე ხელოვნებაში

დასავლეთის ხაზოგადოებები ოპტიმიზმით სრულიად არ მგვანან. პირველყოფილი ხალხების მილენარიზმს, პირიქით, დღეს არსებობს შიში, უფრო და უფრო მუქარის ქვეშ მყოფი

შიში სამყაროს კატასტროფიული აღსასრულისა, რასაც თერმო-ატომური იარაღი გამოიწვევს. დასავლელების ცნობიერებაში ეს აღსასრული რადიკალური და საბოლოო იქნება; მას ახალი სამყაროს შესაქმნე არ მოჰყვება. აქ, ახლა, თანამედროვე სამყაროს ატომური შიშის მრავალმხრივი გამოხატულებების სისტემატურ ანალიზს არ შევუდგებით. მაგრამ დასავლეთის კულტურის სხვა ფენომენები კი ჩვენი კვლევა-ძიებისათვის საუკრადლებო გვეჩვენება. მე, პირველ ყოვლისა მხედველობაში მაქვს დასავლური ხელოვნების ისტორია. ამ საუკუნის დასაწყისიდან სახვითმა ხელოვნებამ, ისევე როგორც ლიტერატურამ და მუსიკამ ისეთი რადიკალური ცვლილებები განიცადეს, რომ შესაძლებელი გახდა ლაპარაკი „მხატვრული მეტყველების ნგრევაზე“. მხატვრობაში დაწყებული „მეტყველების ეს ნგრევა“, პოეზიაზე, რომანზე და, ბოლო დროს იონესკოსთან თეატრზეც გავრცელდა. ზოგიერთ შემთხვევაში საქმე ეხება დაკანონებულ მხატვრულ სამყაროს ნამდვილ მოხიბვას. ზოგიერთ თანამედროვე ნაწარმოებს (ტილოს) რომ ვუყურებთ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელოვანმა განიზრახა მხატვრობის მთელი ისტორია *tabu la rasa*-მდე დაეყვანა. ეს უფრო მეტია, ვიდრე ნგრევა, ეს არის უკან დახევა ქაოსისაკენ, დასაბამიერის ერთგვარი *massa confusa*. თუმცა ამ ნაწარმოებთა შემყურე, ხვდები, რომ ხელოვანი რაღაცის ძიებაშია, რომლისთვისაც ჭერ ვერ მიუგნია. მას სურს პირისაგან მიწისა აღგავოს წინა პლასტიური რევოლუციებით დაგროვილი ნანგრევები და ნამსხვრევები. იგი უნდა დახულიყო საგნის ჩანასახოვან მოდალობამდე, რათა ნულიდან დაეწყოს ხელოვნების ისტორია. ბევრ თანამედროვე ხელოვანთან იგრძნობა, რომ „პლასტიური მეტყველების ნგრევა“ უფრო რთული პროცესის მხოლოდ პირველი საფეხურია და რომ მას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ახალი სამყაროს ხელმეორე შექმნა.

□

თანამედროვე ხელოვნებაში პირველი რევოლუციონერების და შეამბობთა ნიჭილიზმი და პესიმიზმი უკვე უავლგახუფურ კულტურებს წარმოადგენენ. ჩვენს დროში, კატასტროფის დასასრულვანს არა სჭერა თავისი ხელოვნების გადაგვარებისა და გარდუვალი გაქრობისა. ამ თვალსაზრისით მათი პოზიცია „პრიმიტიული“ ხალხების პოზიციას წააგავს: მათ ხელი შეუწყვეს სამყაროს ნგრევას, ე. ი. თავიანთ საკუთარი მხატვრული სამყაროს ნგრევას სხვა სამყაროს შესაქმნელად. ეს კულტურული ფენომენი კი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ხელოვანი წარმოადგენს ამა თუ იმ ცივილიზაციისა და საზოგადოების ნამდვილ შემოქმედებით ძალას. თავისი შემოქმედებით ხელოვანი სოციალური თუ კულტურული ცხოვრების სფეროში მომხდარ მოვლენებს ერთი თუ ორი თაობით უსწრებს წინ.

აღსანიშნავია, რომ მხატვრულ მეტყველებათა ნგრევა ფსიქონალიზის აღმავლობას დაემთხვა. სიღრმის ფსიქოლოგიამ გააძლიერა ინტერესი სათავეების მიმართ, ინტერესი, რომელიც ძალზე ძლიერია არქაული საზოგადოებების ადამიანში. უაღრესად საინტერესოა იმ პროცესის შესწავლა, თუ როგორ შეიძინა ქვეყნიერების აღსასრულის შთაბეჭდილება თანამედროვე სამყაროში. მაშინ ცხადი გახდებოდა, რომ ხელოვანი, სრულებითაც არ არის ნევროზით შეპყრობილი, როგორც ჩვენ ხანდახან გვარწმუნებენ, არამედ ფსიქიურად ბევრ თანამედროვე ადამიანზე უფრო ჯანმრთელია. იგი მიხვდა, რომ ნამდვილი ხელახალი დაწყება მხოლოდ დასასრულის შემდეგ შეიძლება. თანამედროვეთა შორის პირველმა, ხელოვანმა წამოიწყო რეალურად თავისი სამყაროს ნგრევა, რათა ხელმეორედ შეექმნა მხატვრული სამყარო, რომელშიც ადამიანს შეეძლება ერთდროულად არსებობა, ოცნება და ჰვრეტით ტკბობა.



შენიშვნები სათაურის კოეტიკისათვის

მატერული ნაწარმოების სათაურს ხშირად წვრილ-მანად მიიჩნევენ და ტექსტის ანალიზისას სრულად უუურადღებოდ ტოვებენ ხოლმე. ეს, რაკმა უნდა, არაა სწორი, ვინაიდან სათაური ნაწარმოების ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც ტექსტის უველა სხვა კომპონენტი და ნაწარმოების გაგებისთვის ხშირად მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს.

გერმანელი მკვლევარის მანფრედ ნაუმანის აზრით, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მხოლოდ იმით ვერ მოხერხდა „წითელისა და შავის“ სწორი გაგება, რომ მკვლევარებმა უუურადღებოდ დატოვეს რომანის სათაური, ამ მკვლევარებს არც ნიკი და განათლება აკლდათ და არც მონდომება დაუშურიათ, მაგრამ რაკი კვლევა იმთავითვე მცდარი გზით წარმართეს, რომანის ქეშმარიტი არსი ამოუცნობი დარჩათ, საქმე ისაა, რომ სტენდალის შემოქმედების სპეციალისტები ხანგრძლივი დროის განმავლობაში მხოლოდ იმით იყვნენ დაკავებულნი, რომ გაერკვიათ, თუ არაი ბეილის ცხოვრების რა მოვლენები დაედო საფუძვლად „წითელსა და შავს“ და რამდენად გამოხატავს იგი თვით ავტორის ფიქრებს, მისწრაფებებსა და მის სულიერ სამუაროს. უნდა ითქვას, რომ მათ ამ მიმართულებით შთამბიჭდავ შედეგებს მიაღწიეს. მათ საფუძვლიანად გამოიკვლიეს მწერლის ბიოგრაფია და დაადგინეს, მაგალითად, რომ მათილდე დელა მარლის პროტოტიპი სულ ცოტა ხამი ქალი შეიძლება ყოფილიყო — ჭულია რინიერი, რომელზეც მწერალი კინალამ დაქორწინდა 1880 წელს, მდაბიო წარმოშობის კაცთან ერთად ინგლისში გაქცეული არისტოკრატი ქალი მარი-მინრიეტა დე ნევილი და სტენდალის საუვარელი აღბერტა დე რიუბამპრე. ასევე გაშიფრეს მკვლევარებმა მრავალი სხვა ავტობიოგრაფიული იეროგლიფი და მინიშნება, რომელთაც ქარბად შეიცავს რომანი.

თავისთავად ნაწარმოების ბიოგრაფიული ელემენტების კვლევაში არაფერია დასაძრახი, ვინაიდან იმ მიმართებათა გათვალისწინებამ, რომელიც არსებობს ავტორის ცხოვრებასა და მისი

რომანის ტექსტს შორის, შეიძლება გააბდიდროს ამ ტექსტის გაგება ამრიგად, ადრინდელ სტენდალთმცოდნეობას ის კი არ უნდა ვუსაუვედუროთ, რომ მან გამოიკვლია აღნიშნული მიმართებანი, არამედ ის, რომ მან უუურადღებოდ დატოვა ნაწარმოების სათაურიდან მომდინარე სიგნალები და „წითელისა და შავის“ მთელი შინაარსი ავტორის სულის გამოხატვამდე დაიუვანა. ამით მან დაამკვიდრა რომანის ფსიქოლოგიურ-ბიოგრაფიული წაკითხვის ტრადიცია და მნიშვნელოვნად დაავიწროვა მისი შინაარსი.

როგორც ცნობილია, სტენდალი მხოლოდ დასაწყისში უწოდებდა რომანს „ეულიონს“ და ხულ მალე შეუცვალა მას სათაური, დაარქვა „წითელი და შავი“ და თანაც ქვესათაურიც დაურთო — „1880 წლის ქრონიკა“ ბიოგრაფიული მიდგომა ვერ ახსნის, თუ რამ აიძულა მწერალი შეეცვალა თავისი ნაწარმოების სათაური, მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ახალი სათაურით სტენდალი მოუწოდებდა მკითხველს, მისი რომანი აღექვა როგორც ისტორიული ეპოქის დოკუმენტი და არა ფსიქოლოგიური ეტიუდი.

სტენდალის შემოქმედების მკვლევართა უმრავლესობა დღეს უკვე აღარ იზიარებს რომანისადმი ბიოგრაფიულ მიდგომას, თანამედროვე კრიტიკოსები ერთმმად აღიარებენ სათაურის უშუალო მიმართებას რომანის ტექსტისადმი და „წითელსა“ და „შავს“ ნაწარმოების იდეური კონფლიქტის გამომხატველ სიმბოლოებად მიიჩნევენ. მათი აზრით, ეს ფერები მიუთითებენ იმ საზოგადოებრივ ედოლოგიებსა და დაჭკუფებებზე, რომელთა კიდულიც განსაზღვრავდა რესტავრაციის ეპოქის საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სურათს. შესაბამისად, ნაწარმოებიც განიზილება არა როგორც ფსიქოლოგიური შტუდია, არამედ როგორც რომანი იმდროინდელ საზოგადოებაზე.

სტენდალის თანამედროვეთა წაყრუებამ სათაურიდან მომდინარე ინფორმაციის მიმართ თუმცა არასწორი გზით წარმართა რომანის რეცეფცია, მაგრამ მაინცდამაინც არ უნდა გავაკვიროვს, ვინაიდან XIX საუკუნის მკითხველის ცნობიერება არ იყო მშაად ამ ინფორ-



მაციის აღსაქმელად. სათაური მაშინ ნაწარმოების მეორეხარისხოვან კომპონენტად იყო მიჩნეული და მას ჩვეულებრივ ნაკლებად აქცევდნენ უურადღებებს. ასეთი აგდებული დამოკიდებულება სათაურისადმი მეცხრამეტე საუკუნემ წინა საუკუნეებიდან იმეკვიდრება, როცა მისი ფუნქცია ჯერ კიდევ არ იყო ნათლად გამოკვეთილი. ლესინგი, მაგალითად, სტენდალამდე ნახევარი საუკუნით ადრე, ასე წერდა „მამბურგის დრამატურგიაში“: „სათაური ქეშმარიტი წვრილმანია.. სულაც არ არის საჭირო, რომ მან გინდა მინახოს და გინდა ამოწუროს შინაარსი“. იგივე აზრი მეორდება ნაშრომის ოცდამეერთე თავში: „სათაური კულინარული რეცეპტი როდია. რაც უფრო ნაკლებად გაამუღავნებს იგი შინაარსს, მით უკეთესი.“ ამგვარი სახის მსჯელობები ხვდაც ბევრი დაიძებნება „მამბურგის დრამატურგიაში“.

მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა არც მომდევნო ათწლეულებში. გოეთეც კი ეკერმანთან საუბარში დასათაურების პრაქტიკას ახალ დროს უკავშირებდა და იმით ხსნიდა, რომ ლიტერატურის გავრცელებასა და მხატვრულ ნაწარმოებთა რაოდენობრივ ზრდასთან ერთად საჭირო შეიქმნა მათი ერთმანეთისგან გამორჩევა. რაც განსხვავებული სათაურების მეშვეობით გახდა შესაძლებელი. 1827 წლის 25 იანვრის ჩანაწერში იკერმანი გადმოგვცემს გოეთესთან საუბარს, სადაც მას ეკვი გამოუთქვამს სათაურის მონაწილეობაზე ნაწარმოების შექმნაში. ეკერმანის აზრით, ყოველი მხატვრული თხზულება სათაურის გარეშე იწერება და ამიტომ სათაურს არაფერი ზელი აქვს მასთან. ამაზე გოეთეს მიუგია: „მას მართლაც არაფერი ზელი აქვს ნაწარმოებთან. უწინ თხზულებებს საერთოდ არ ჰქონდათ სათაური. ეს ჩვევა თანამედროვეთა მოტანილია, ვინაც ძველ პოეტთა ქმნილებებსაც მხოლოდ ახლა, მრავალი ხნის მერე მოუნახეს სათაური. თუმცა დასათაურების წესი ისევ აუცილებლობამ წარმოშვა, ლიტერატურის გავრცელებასთან ერთად საჭირო შეიქმნა ნაწარმოებთათვის სახელის შერქმევა და მათი ერთმანეთისგან გამორჩევა.“

გარკვეული თვალსაზრისით, გოეთე, რა თქმა უნდა, მართალია, მხატვრული ტექსტი მართლაც ბევრად წინ უსწრებს სათაურს, რამეთუ დასათაურების პრაქტიკა მნიშვნელოვნად ბეჭდვითი კულტურის გავრცელებას უკავშირდება. ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში საერთოდ არ დასათაურებდნენ ნაწარმოებს. მომდევნო პერიოდში ამ ოდესღაც უსათაურო ტექსტებს ან პაპის ენციკლიკების მსგავსად პირველი სიტყვების მიხედვით შეარქვებ სახელი (მაგ. „აბრო-ანს“). ანაც ერთ-ერთი გამორჩეული სახელი გამოიკანებს სათაურში (მაგ. ვოლფრამ ფონ ეშენბახის

„პარციფალი“ და „ტიტურელი“) და ისინი დღესაც ამ სათაურებითაა ჩვენთვის ცნობილი.

პირველ გერმანულ სათაურად ლესინგის ფონ ცერკლაერის „სამხრეთელი ხტუშარია“ (1721/18) მიჩნეული. XII-XIII საუკუნეებიდან ზრდიდა, მა სხვა სათაურმაც მოაღწია „საქმე-საქმე“. რამ ისინი შეტწილად ან „საქმე-საქმე“ თხზულებებში მოიხსენიებიან (მაგ. მაინრიხ ფონ ტიურლინის „კრონეს თავგადასავალი“, რომელსაც ახსენებს რუდოლფ ფონ ემსი). ანაც მხოლოდ ცალკეულ ჩილნაწერებში დახტურდებიან მინაწერის სახით (მაგ. „ამ წიგნს ჰქვია კრიმ-მილდი...“ „ამბრაზის ხაგშირო საქმეთა წიგნში“).

მიუხედავად ამისა, დასათაურების ტექნიკამ გოეთემდე საკმაოდ დიდი გზა განვლო და ვინმეს რომ თავში მოსვლოდა, შეედგინა ლიტერატურულ სათაურთა ისტორიული ნუსხა, ამ ნუსხაში უთუოდ აირეკლებოდა როგორც ლიტერატურული ეპოქები, ასევე მკითხველი საზოგადოების გემოვნება, ნაწარმოების ამა თუ იმ ტიპისთვის დამახასიათებელი თემატიკა, ლექსიკა, სტილი და ავტორის მსოფლმხიპართება.

რეფორმაციის ხანისთვის დამახასიათებელი იყო დიდაქტიური ტიპის, დამრიგებლური ტენდენციის შემცველი ვრცელი სათაური. მაგალითისთვის შეიძლება მოვიხმოთ ზალბური წიგნი ჯაუსტზე, რომელსაც ასეთი სათაური ჰქონდა წამძღვარებული: „დოქტორ იოჰან ჟაუსტის, სახელმწიფო მისნისა და ქადოქარის ამბავი, თუ როგორ შეეკრა იგი ეშმაკს, რა საკვირველებანი გადახდა თავს და რა სასწაულთა მხილველი გახდა, ვიდრე საკადრისი არ მიეზლო, დიდწილად ამოკრეფილი მისივე ნაწერებიდან და დახტამბული უველა უტიფარი, კადნიერი და უღვთო ადამიანის კკუს სასწაულებლად, გამაფრთხილებელ მაგალითად და შიშის მოსაგვრელად. იაკობ მოციქულის ეპისტოლე IV: მმორჩილებდეთ ღმერთს და წინაღუდექით ეშმაკს და ისიც განგეშიქნებათ თქვენ. Cum Gratia et Privilegio“.

იმდროინდელი სათაურები ჩვეულებრივ ნაწარმოების მოკლე შინაარსს შეიცავდნენ, რომელიც იმგვარად იყო მოწოდებული, რომ მკითხველში წიგნის შეძენისა და წაკითხვის სურვილი აღეძრა. სათაური ამავე დროს ნაწარმოების რეკლამაც იყო. ბაზარში გამოტანილ წიგნს ბიურგერთა, ზელოსანთა და გლეხების უურადღება უნდა მიეჭკია, უნდა აეძულებინა ისინი, ფული გაეღოთ მისთვის.

შესანიშნავი ნიმუში ასეთი რეკლამა-სათაური სა გახლდათ იორგ ვიკრამის „სამგზავრო წიგნაკი“ (1555), რომლის სრული სათაური ასე ღღერდა: „სამგზავრო წიგნაკი, აბალი და არნახული კრებულთ, სადაც მრავალი ჩინიბული შვანკი და ამბავთა თავმოყრილი, ზღვითა თუ ხმელეთით

მგზავრობისას საკითხავად, სადალაქოსა და აბანოში მოწყენილობის უამს მოხაუკლად, ნადვლიანთა და მწუხარეთა კარგ გუნებაზე მოხაუკლად, ურმათა და მზცოვანთათვის წასაკითხად და მოსახსენად, ვაქრებისთვის ბაზრობაზე მოსახმარად, დროის სატარებლად და თავშესაქცევად შეკრებილი, განახლებული და გამრავლებული იორგ ვიკრამის მიერ..“

ამგვარი ვრცელი, მკითხველზე ორიენტირებული სათაურები გავრცელებული იყო ბაროკოს ეპოქაშიც და უფრო გვიანაც. ოღონდაც ეპოქის გემოვნებას თავისი კორექტივები შეჰქონდა სათაურში გამოტანილი მწკარების შინაარსსა და ხტილისტიკაში. პიკარესკული და მწუქმსურ-გალანტური რომანების სათაურებში, მაგალითად, რეფორმაციის ხანისთვის დამახასიათებელმა დამრიგებლურმა ტენდენციამ უკანა პლანზე გადაინაცვლა და ადგილი დაუთმო სათავგადასავლო და ბუკალიურ ელემენტებით შეზავებულ სახიყვარულო თემატიკას, რომელიც ჩვეულებრივ, ნატიფი ორნამენტული ენით იყო მიწოდებული (ქ. ფ. ჰუნოლდის ერთი რომანის საკმაოდ გრძელი სათაური ასეთი წინადადებით იწყებოდა: „შეყვარებული და გალანტური ხამყარო, წარმოდგინილი მრავალი უტუუარო და მომხიბლავი სატრფიალო ამბის სახით...“). სათაურისთვის განმსაზღვრელი იყო ის, თუ საზოგადოების რა წრეებს მიმართავდა ავტორი, ვინ ეგულვოდა თავის მომავალ მკითხველებად. XVII საუკუნის რომანისტები ისევე იყვნენ დაინტერესებულები წიგნის გასაღებაში, როგორც მათი წინაპრები—ხალხური წიგნებისა და შვანკთა კრებულების ავტორები. ამიტომ არც ისინი ამბობდნენ უარს რეკლამაზე და ამ რეკლამას ჩვეულებრივ ნაწარმოების სათაურშივე აქსოვდნენ.

ამ მხრივ ხანიშუშოა „საფრანგეთიდან გამოხული ვაუკაცი გმირის ამადისის მშვინიერი პისტორიის“ გერმანული თარგმანის სათაური, რომლის თანახმადაც რომანის ადრეული გამოცემები „ისე რიგად იკითხებოდა, რომ ყველა ეგზემპლარი სულ მოკლე ხანში დაიტაცეს და შეისყიდეს, რამაც დიდი მოთხოვნილება წარმოშვა მასზედ.“

თუ რომელიმე წიგნს დიდი გახავალი ჰქონდა წიგნის ბაზარზე, ხხვა ავტორები ურცხვად იყენებდნენ მას საკუთარი თხზულების დახათაურებისას. ასე გაჩნდა „სათაური — პარაზიტები“—მრავალრიცხოვანი რომინზონიადები, „ათას ერთი ლამის“, „ფაუსტის“, „მიუნშაუზენის თავგადასავლის“ და ხხვა პოპულარული წიგნების სათაურების ვარიაციები. მხოლოდ რომინზონის სახელი XVIII საუკუნის ოციანი წლების ათეული რომანის სათაურში გვხვდება. ვინაიდან ამ სათაურების სრულად ციტირება მეტად დიდ ადგილს დაიკავებდა, ჩამოვთვლი მათ შემოკლებული ფორმით: „გერმანული რომინზონი“

(1720), „პოლანდიელი რომინზონი“ (1721), „საქსონელი რომინზონი“ (1722), „გერმანული რომინზონი ანუ ბერნჰარდ გორცი“ (1722), „ფრანგი რომინზონი“ (1723), „შვედი რომინზონი“ (1724), „ამერიკელი რომინზონი“ (1724), „გერმანული პოეტის ნაწარმოებები“ (1724) და „ქვეყნის მცველები რომინზონი“ (1724) და სხვა. ამგვარი სათაურები პოპულარული გმირის სახელს დაისესხებდა და მას საკუთარი თხზულების სათაურში ჩააქსოვდა, გარანტირებული ჰქონდა წიგნის გასაღება. სათაური უზრუნველყოფდა როგორც ნაწარმოების საბაზრო ღირებულებას, ასევე მის გასაგაღს.

ბაროკოს ეპოქაშივე იჩინა თავი ორმაგმა სათაურმა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი ნაწილი ჩვეულებრივ უფრო მოკლე იყო და ასახელებდა გმირს ან ნაწარმოების თემას, მეორე ნაწილი კი, როგორც წესი, პირველის გაშლილ განმარტებასა და კომენტარს წარმოადგენდა. ასეთი სათაურები გვხვდება როგორც დრამატურგიაში (ა. გრაფიუსის „საქართველოს დედოფალი ქეთევანი ანუ გაუტებელი სიმტკიცე“ და „კარდინო და ცელინდე ანუ უბედური შეყვარებულები“), ასევე თბრობით ხელოვნებაში (ა. ფონ ციგლერის „აზიური ბანინა ანუ სისხლისგან დაცლილი და მაინც შეუდრეკელი პეგუ, რომლის დიადი ხამეფო მწეც უკანასკნელი საუკუნის მიწურულს ქსემინდოში სავალალოდ ჩაესვენა და ბალაციონში ყველას გასახარად ისევ ამობრწყინდა“). ორმაგი სათაურები საკმაოდ გავრცელებული იყო უფრო გვიანდელ ხანაშიც და ჩვენს დროსაც შემორჩა.

დასათაურების ისტორიაში კვშმარტივი გადატრიალება იყო მოკლე სათაური, რომელმაც დაახლოებით XVIII საუკუნის შუაგულიდან ფეხი მოიკიდა ინგლისში და შემდეგ მთელ ევროპაში გავრცელდა. ეს გახლდათ ს. რიჩარდსონის, ჰ. ფილდინგის, ლ. სტერნისა და მათი პლეადის მწერალთა თხზულებების სათაურები: „კლარისა ანუ კეთილშობილი ქალწულის ამბავი“, „ქოზეტ ენდრიუსის თავგადასავალი“, „ტრისტამ შენდის, ჭენტლმენის, ცხოვრება და შეხედულებანი“, ინგლისელ ავტორთა მიზაძვით მსგავსი სათაურები სულ მალე გაჩნდა გერმანიაშიც. სტერნის რომანი ჭერაც არ იყო გერმანულად თარგმნილი, რომ მისი სათაურით იხარგებლა ფ. ნიკოლაიმ და 1773 წელს გამოხცა რომანი „ბატონ მაგისტრის ზებალდუს ნოთანკერის ცხოვრება და შეხედულებანი“. ამ რომანს მოჰყვა მსგავსი მოკლე სათაურის მქონე თ. გ. ფონ შიპელის, ზ. ფონ ლაროშის, ჰ. იუნგ-შტილინგისა და ხხვათა თხზულებანი. სულ მალე კი გერმანელებმა სათაურის სიმოკლის თვალსაზრისით თვით ინგლისელებსაც გადააქარბეს და წიგნის თავფურცელზე მხოლოდ ნაწარმოების გმირის სახელი დატოვეს. ასეთი უკიდურესად მოკლე სათა-

ურის ერთ-ერთ პირველ ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ ი. გ. მიულერის „ზიგფრიდ ფონ ლინდენბერგი“ და კ. ფ. შორიციის „ანტონ რაიზერი“. განსაკუთრებით გავრცელდა სახელი-სათაურები რომანტიზმის ეპოქაში. ფ. შლეგელის „ლუცინდელი“ დაწუებული აქ ერთმანეთს მოაქვს დ. ფაიტის „ფლორენცინი“, ნოვალისის „მაინრიხ ფონ რატერდინგენი“. ე. მიორიკეს „მხატვარი ნოლტენი“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, სამსაუკუნოვანი დასათაურების პრაქტიკის ერთობ ზერელე განხილვაც კი იმას შეტყველებს, რომ გოეთემდე რამდენიმე ტიპის სათაური არსებობდა და უოველი მათგანი გარკვეულად აირეკლავდა ლიტერატურულ ეპოქას, ნაწარმოების მიზანდასახულობასა და ლიტერატურის მკითხველი საზოგადოებისადმი მიმართებას.

კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა სათაურები გოეთეს მომდევნო XIX-XI საუკუნეებში. ამიტომაც მათი კლასიფიკაციისას მკვლევარი თითქმის გადაულახავ დაბრკოლებებს აწყდება. შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენელია ისეთი ტიპოლოგია, რომელიც სათაურთა მთელ მრავალსახეობას გაითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდები გამოვყო განსაკუთრებით გავრცელებული სათაურების რამდენიმე ძირითადი ჯგუფი.

ჩვენთვის უკვე ცნობილი სახელი-სათაურებისა და მსგავსი მთავარი მოქმედი პირის აღმნიშვნელი სათაურების პარალელურად უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში მომრავლდა ისეთი სათაურები, რომლებშიც წარმოდგენილია რაღაცა ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი. ასეთებია მ. ლაუბეს „აბალგაზრდა ევროპა“, მ. ბროხის „მთვარეულები“ და „უდანაშაულონი“, მ. ფონ დოდერერის „დემონები“, მ. კესტენის „გერნიკას შვილები“, შტ. შაიმის „თანამედროვე ჯვაროსნები“.

საკმაოდ დიდია ისეთი ნაწარმოებების რიცხვი, რომელთა სათაურშიც მოქმედების ადგილია გამოტანილი. ეს შეიძლება იყოს გეოგრაფიული სახელი ან შემოსახლვრული სივრცის აღმნიშვნელი რაიმე სხვა ცნება. ასეთ სათაურთა რიგს განეკუთვნებიან ფ. კაფკას „ამერიკა“, კ. შტერნ-შაიმის „ევროპა“, მ. შანის „პატარა ქალაქი“, ბ. კელერმანის „ქალაქი ანატოლი“, ა. დიობლინის „ბერლინი, ალექსანდრპოლი“, ვ. კიოპენის „სათბური“, ზ. ლენცის „სამხარეო მუზეუმი“ და მრავალი სხვა.

სივრცის მსგავსად, ნაწარმოების სათაურში შეიძლება გამოტანილი აღმოჩნდეს დროის აღმნიშვნელი ცნება, რომელიც ან კალენდარულ დროზე მიგვანიშნებს, ან დღე-ღამის რომელიმე მონაკვეთზე, ანაც გვიჩვენებს ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდზე. ასეთი სათაურის მაგალითებია ბ. კელერმანის „მ ნოემბერი“, მ. კიპმარტის „მარ-

ტი“, ვ. შრაიერის „შავი სექტემბერი“, ბ. ე. ნოსაკის „სულ გვიან, ნოემბერში“, ე. მ. რემარკის „ლიხაბონის ღამე“, რ. ზაგელშტანგეს „მსოფლიო კაცის გაზაფხული“, მ. ვალდერის „პირველი ტაიმი“, ვ. კოეპენის „სიურმი“ და სხვ.

თანამედროვე მწერლებს უკუაქვიათ მწერად გამოაქვთ ნაწარმოების უწყვეტად მოქმედების განმასახიერებელი რაიმე მოვლენა ან სგანი, რომელთაც ერთგვარი სიმბოლური დატვირთვა აქვთ. პირველის მაგალითებია — ე. კანტის „დაბრმავება“, შტ. ანდრესის „წარღვა“, თ. ბერნშარდის „გაოგნება“, ვ. დ. შნურეს, „უბედური შემთხვევა“, ბ. შტრაუსის „აურზაური“; მეორესი — ე. თ. ა. მოფმანის „ოქროს კოთანა“, გ. გრასის „თუნუქის დოლი“, მ. ლებერტის „მგლის ტყავი“, ფ. შაბეკის „მამარქმის შავი პალტო“, ო. ფლაკს „ქვიშის საათი“.

ცალკე ჯგუფს შეადგენენ სათაური-მოპოპიები, სადაც ერთმანეთს ლ. ტოლსტოის „ომისა და მშვიდობის“ დარად, ნაწარმოების ორი ძირითადი მოტივი უპირისპირდება. გერმანულენოვან ლიტერატურაში ამ ტიპის სათაურებს მიეკუთვნებიან ი. ფონ აიხენდორფის „წინათგრძნობა და თანადროულობა“, ა. პ. გიუტერსლოს „მზე და მთვარე“, მ. ბენეს „ნარცისი და გოლდმუნდი“, ა. ლერნეტ-პოლენიას „ღმერთები და ადამიანები“, გ. გრასის „კატა და თაგვი“, მ. მ. რაუბფუსის „თეთრი და შავი კრავები“.

კვლავაც დიდი გავრცელება აქვს ჭერ კიდევ ბაროკოს დროდან ცნობილ ორმაგ სათაურებს. ასეთ სათაურებს მიმართავენ ი. ვასერმანი „კახპარ ჰაუზერი ანუ გულის სიზანტესა“ და „ფაბერი ანუ დაკარგულ წლებში“. მ. ფონ დოდერერი „შტრუდელპოფის კიბე ანუ მეცლერი და წლების სიღრმე-სა“ და „მეროვინგები ანუ ტოტალურ ოჯახში“, ლ. ფონტვანგერი „გოია ანუ შემეცნების ავბედით გზასა“ და „სიბრძნე სისულელისა ანუ ეან-ეკ რუსოს სიკვდილსა და ფერიცვალებაში“, ა. დიობლინი „მამლეთი ანუ გრძელი ღამის დასასრულში“, ა. ანდერში „წანზიბარა ანუ უკანასკნელ მიზეზში“, პ. შერტლინგი „ნიშბი ანუ უძრაობაში“ და სხვანი.

ზოგი სათაური რაიმე დასრულებულ აზრსა და სენტენციას შეიცავს. ასეთ სათაურებში ჩვეულებრივ ნათლადაა ხოლმე გამოკვეთილი ნაწარმოების პათოსი და მიხი იდეური მიზანდასახულობა. ვ. ალექსისის „სიმშვიდე მოკალაქის პირველი მოვალეობა“, ე. მ. რემარკის „გიუვარდეს მოყვასი შენი“, ა. ზეგერსის „მკვდრები აბალგაზრდები რჩებიან“, ე. ებნერის „ღმერთები არ ღაპარაკობენ“, მ. კრუშელის „უოველი გამომშვიდობება პატარა სიკვდილია“ და მ. ვ. შულცის „ჩვენ ქარში მტვერი არა ვართ“ ამ ტიპის სათაურების საუკეთესო მაგალითებია.

სათაურების მეტად საინტერესო ჯგუფს შეად-

განეც ციტატა-სათაურები და ძველი, კარგად ცნობილი სათაურების თავისებური ვარიანტები და პარაფრაზები. ციტატა-სათაურები განსაკუთრებით გავრცელებულია ინგლისურენოვან ლიტერატურაში. უ. ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“, ე. ჰემინგუეის „ვის უხმობს ზარი“, ჯ. სტეინბეკის „წამთარი ჩვენი მღვდლები“, ო. მაქსლის „ბედნიერი ახალი სამყარო“ და ჯ. დ. სელინგერის „თამაში ჭვავის უნაში“, სადაც შექსპირის, ჯონ დონისა და რობერტ ბერნის სიტყვებია თავფურცელზე გამოტანილი, ამ ტიპის სათაურის საყოველთაოდ ცნობილი მაგალითებია. გერმანულენოვანი ლიტერატურიდან სათაურების ამ ჯგუფს მიეკუთვნება კ. ბიოლის „...და არ უთქვამს არც ერთი სიტყვა“, აღნიშნული ფრაზა თავისი რომანის სათაურისთვის მწერალმა, როგორც ვიცით, ერთი პოპულარული სიმღერიდან დაისესხა.

გარკვეული აზრით ციტატა-სათაურების ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ის სათაურებიც, რომლებიც ზოგჯერ ზუსტად, ზოგჯერ კი შეცვლილი სახით იმეორებენ მანამდე ცნობილ სათაურებს. როდესაც ამგვარ სათაურებს ირჩევენ, მწერლები ჩვეულებრივ ანალოგიური სათაურით აღნიშნული ძველი და ცნობილი ნაწარმოების პრობლემატიკის აქტუალიზაციას ისახავენ ხოლმე მიზნად. ამიტომაც წარმოუდგენელია, რომ მკითხველმა თ. მანის „დოქტორ ფაუსტუსის“, ვ. იენსის „ბატონ მაისტერის“ და უ. პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ.-ს ახალი ვნებანის“ კითხვისას ძალაუვნებურად არ გაიხსენოს გოეთეს „ფაუსტი“, „ვილჰელმ მაისტერი“ და „ვერთერი“ და პარალელი არ გაავლოს ამ ნაწარმოებებთან, იგივე გვემართება დასავლეთბერლინელი მწერლის გ. ბ. ფუქსის ნაწარმოებების კითხვისას, რომლის რომანიც „უქნარას ცხოვრებიდან“ სიტყვასიტყვით იმეორებს ი. ფონ აიხენდორფის ცნობილი ნოველის სათაურს, ხოლო მოთბობა „რკინიგზის დარაჯი სანდომირი“ აშკარად მიგვახსენებს გ. მაუპტმანის ნოველა „რკინიგზის დარაჯ თილზე“.

რა თქმა უნდა, შეიძლება კიდევ სხვა ჯგუფების გამოყოფაც, მაგრამ რამდენი ჯგუფიც არ უნდა გამოვყოთ, ისინი მაინც ვერ მოიცავენ არსებული სათაურების მთელ მრავალფეროვნებას. და, კაცმა რომ თქვას, ეს არცაა საჭირო, წინააღმდეგ დიდს არაფერს შეგვძენს სათაურის კონტეინტის კვლევის თვალსაზრისით. მთავარია ის, რომ განსაკუთრებით გავრცელებული სათაურების იმ ათობდე ჯგუფშიც, რომელიც ზემოთ გამოვყავით, ნათლად დაგვანახა, რომ სათაურსა და ამ სათაურით აღნიშნულ ტექსტს შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირია.

ეს კავშირი დღევანდელი აღმოჩენა არაა, იგი, მართალია, თავის დროზე ვერ შენიშნა გოეთემ (თუმცა მისი საკუთარი თხზულებების სათაურ-

ები შედმიწევნით ზუსტად შეესადაგებოდნენ ტექსტს). მაგრამ, სამაგიეროდ, ნათლად ქონდა გააზრებული უკვე არაფერ შემენბაურს, ვინაც გოეთეს სიკვდილიდან რკინიგზის თავზე ახეწერდა „პარერგა და პარალიპოშენაში“: „წიგნის სათაური იმეორებს შემსრუბება, რასაც წერილის მისამართი — მისი ამოცანაა, წიგნი საზოგადოების იმ ნაწილამდე მიიტანოს, რომლისთვისაც შეიძლება საინტერესო იყოს მისი შინაარსი. ამიტომ სათაური ზუსტად უნდა აღნიშნავდეს საგანს, იგი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე, შეკუმშული, ლაკონური, მეტყველი და, თუ შესაძლებელია, მონოგრაფიული უნდა ასახავდეს შინაარს.“

მსგავს თვალსაზრისს გამოქვამდა ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში რუსი მეცნიერი და ბიბლიოგრაფი ს. კრეიფანოვსკიც თავის პატარა გამოკვლევაში „სათაურის კოეტიკა“ იგი შენიშნავდა: „როგორც ბუტკო იშლება ზრდის პროცესში ყვავილად, ემატება რა ნელ-ნელა ფურცელი ფურცელს, ასევე სათაურიც გადაიზრდება ხოლმე თანდათანობით წიგნში: კაცმა რომ თქვას, წიგნი სხვა არაფერია, თუ არა ბოლომდე გაშლილი სათაური, სათაური კი — ორი-სამი სიტყვის მრცულობამდე დაუვანილი წიგნია, ან ასეც შეიძლება ვთქვათ: სათაური — წიგნია in restricto; წიგნი კი — სათაურია in exstenso“.

როგორც ვხედავთ, სათაურისა და ტექსტის კავშირი დღესდღეობით არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ჭერჭერობით არაა საბოლოოდ დადგენილი, თუ რა ხასიათისაა ეს კავშირი და რა ფუნქცია ეკისრება სათაურს მხატვრულ სისტემაში.

სავარაუდოა, რომ მისი ერთ-ერთი დანიშნულება სათანადო სამკითხველო განწყობის შექმნა და მკითხველისთვის ერთგვარი ინფორმაციის მიწოდებაა მომავალი მოვლენების თაობაზე. მართლაც, თუ დავუკვირდით, დავინახავთ, რომ ნაწარმოების თავფურცელზე დახტამბული გმირის „შიშველი“ სახელიც კი შეიცავს ერთგვარ ინფორმაციას და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მკითხველის მიერ ტექსტის აღქმას. მკითხველმა იმთავითვე იცის, რომ ეპიკური მოვლენები მომავალში სწორედ ამ გმირს დაუკავშირდება და მაშინაც, თუ ავტორი დააყოვნებს მის მოქმედებაში შემოყვანას, იგი არ გაამაზვილებს სხვა პერსონაჟებზე ყურადღებას, არამედ შეინახავს სათაურში ნახსენები გმირის გამოჩენას დაელოდება.

გერმანელ მკვლევარს ებერმარდ ლემერტს მოაქვს ადალბერტ შტიფტერის ნოველის „ბრიგიტას“ მაგალითი, სადაც სათაურში მოხსენებული გმირი ქალი მხოლოდ თბრობის შეუავლში ერთვება მოქმედებაში, ხოლო მკითხველი, სწორედ იმიტომ, რომ ახსოვს ნაწარმოების სათაური,

არ ჩქარობს დაუკავშიროს ნაწარმოებს, იდეა რომელიმე იმ პერსონაჟს, რომელიც მანამდე გამოჩნდა თბრობაში. მხოლოდ მეორე თავის დახანრულს. როცა ლაპარაკი მაიორის ბრიგადა მაროშელისთან სტუმრობაზე ჩამოვარდება. ცხადი ხდება ნისთვის, რომ ის უშუალოდ მიუახლოვდა ნაწარმოების იდეალს ცენტრს, რომელთანაც დაკავშირებულია ნოველის იდეური დატვირთვა. ამრიგად, შტიფტერის მოთხოვნის შეტად ლაკონური სათაურიც კი ხაქმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გარკვეულად წარმართა მკითხველის მიერ ტექსტის აღქმა.

დამატებით ინფორმაციას შეიცავენ სათაურში გამოტანილი ე. წ. „მოლაპარაკე“ ხაზები — ვილჰელმ მაისტერი, მწვანე მაინრიხი და სხვ. ხოლო პროგრამული ხასიათის სათაურები, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო ლაპარაკი (მაგ. „გიჟვარდის მოუვახი შენი“), იმთავითვე მკვეთრად შემოსაზღვრავენ ნაწარმოების აღქმის კუთხეს და ავტორისთვის ხასურველი მიმართულებით წარმართავენ კითხვის პროცესს.

მაგრამ რაოდენ მეტყველიც არ უნდა იყოს სათაური და რაოდენ მკაფიოდაც არ უნდა გამოხატავდეს იგი ნაწარმოების ძირითად იდეას, მთელი სისხვებით მიხი კავშირი ტექსტთან მაინც მხოლოდ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ხდება საჩინო. რაგინდ გონებამაზვილი არ უნდა იყოს მკითხვილი, იგი მანამდე ვერ გახსნის ნ. ლესკოვის „კურდღლის რემიზის“ სრულ მნიშვნელობას, ვიდრე ბოლომდე არ ჩაიკითხავს ნაწარმოებს. ასევე ვერ მიხვდება იგი, თუ რა სროლაზეა ლაპარაკი ე. წ. მაიერის ნოველაში „გახროლა ტაძრის კათედრიდან“, ვიდრე თირთმეტი თავიდან ცხრას არ წაიკითხავს. ვინაიდან მხოლოდ ამ მეცხრე თავში გაისმის სათაურში ნახსენები სროლა.

ამიტომაც საფიქრებელია, რომ მკითხველისთვის საკურო ინფორმაციის მიწოდება სათაურის არც ერთადერთი და არც მთავარი ფუნქციაა. როგორც ჩანს, სათაური მაინც უფრო მეტად ნაწარმოების შიგნით იუფრება, ვიდრე მის გარეთ და ამიტომ მას უფრო მეტად ტექსტის შინაგანი არსის გამოხატვა ევალება. ვიდრე მისი შესაბამის ადრესატამდე მიტანა და ამ ადრესატისათვის (მკითხველისთვის) თბრობაში გზის გაკვლევა. სწორედ ამას გულისხმობდა ართურ შოპენჰაუერიც. როცა ამბობდა, რომ სათაური „მონოგრამასავით უნდა ასახავდინო შინაარსს.“

ამის შემდეგ შეიძლება გვეფიქრა, რომ სათაურს მბატრული ტექსტი აყალიბებს, მაგრამ, როგორც ირკვევა, სათაურსა და ტექსტს შორის უპირატესად დიალექტიკური დამოკიდებულებაა — ისევე, როგორც ტექსტი ახდინს ზეგავლენას სათაურზე, სათაურიც ზემოქმედებს ტექსტზე. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს ს. კრეტიანოვს.

კი, ვინაც სამი სახის სათაურებს გამოყოფდა — ისეთებს, რომლებიც წინ უხწრებენ ნაწარმოებს, რომლებიც ხელნაწერზე მუშაობის პროცესში შეიქმნა და რომლებიც ავტორმა ნაწარმოების დახრულების შემდეგ მოუძებნა მის სათაურების პირველი ჩგუფი ზეგავლენის ნაყოფს ტექსტზე, მესამე ჩგუფის სათაურებზე კი ტექსტი ახდენს ზეგავლენას. უველაზე გავრცელებული, კრეტიანოვსკის აზრით, მეორე ჩგუფია. აქ დამოკიდებულება სათაურსა და მბატრულ ტექსტს შორის დიალექტიკურია — ერთი მხრივ, ტექსტი განაპირობებს სათაურს, მეორე მხრივ კი, სათაური განსაზღვრავს ტექსტის ზრდასა და ხასიათს.

ს. კრეტიანოვსკი წერდა: „ლოკუმენტების უმრავლესობა მეტყველებს ისეთ სათაურებზე, რომელთა ხაბოლოო გაფორმება მხოლოდ ტექსტზე მუშაობის პროცესში მოხდა: ასეთი ინსკრიპტორული, ტექსტის წიაღში აღმოცენებული სიტუათა ჩგუფი, რაკი წარმოიშვა, თავადაც იწუებს ტექსტზე ზემოქმედებას და ნაწარმოების ქსოვილის გარდაქმნას: ხელნაწერის სათაურამდელი ზრდა უკველთვის მკვეთრად განსხვავდება ხელნაწერის ზრდისგან, რომელმაც უკვე იპოვა თავისი სათაური: ტექსტის ზვეული აწკარები ისე აუუვებიაან ხოლმე სათაურის სწორ სტრიქონს, როგორც სურო ლატანს.“

სათაურსა და მბატრულ ტექსტს შორის სრულიად სხვადასხვაგვარი მიმართება შეიძლება არსებობდეს. ამიტომაც კიროს სათაურების ტიპოლოგიაზე ლაპარაკი, მშირ შემთხვევაში სათაური სრულიად ცალსაბად მიანიშნებს ხოლმე ნაწარმოების მიზანდასახულობაზე და მაშინ მათი კავშირის დადგენა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს მკითხველისთვის. პროგრამული ხასიათის მქონე სათაურები, სათაური-ოპოზიციები და ორმაგი სათაურები ჩვეულებრივ იმთავითვე ნათლად გამოკვეთენ ხოლმე ნაწარმოების თემას, იდეას ან ძირითად მოტივს. საკმაოდ აშკარაა კავშირი სათაურსა და ტექსტს შორის აღზრდის რომანშიც, როცა სათაურში მთავარი ვმირის სახელია ხოლმე გამოტანილი. მაგრამ ბევრ შემთხვევაში სათაურისა და ტექსტის დამაკავშირებელი რაფები დამალულია ხოლმე და მათი მიკვლევა მხოლოდ ნაწარმოების საგულდაგულურ შესწავლის შემდეგ ხდება შესაძლებელი. იგივე აღზრდის რომანისთვის დამახასიათებელია სათაურში ვმირის სახელის გამოტანა („ანტონ რაიჯერი“, „გათონის ისტორია“, „ვილჰელმ მაისტერი“, „ტიტანი“, „ფრანც შტერნბაღდის მოგზაურობა“, „მწვანე მაინრიხი“ და სხვ.), მაგრამ ამ ტიპის ზოგ რომანში ეს ტრადიცია დარღვეულია და ვმირის აღმნიშვნელი სათაური სრულიად მოულოდნელი და, ერთი შეხედვით, რომანის ამ სახეობისთვის შეუფარებელი სათაურითა შეცვლილი („დედაბრის უკავილობა“, „მოტაცი-

ბული მთვარე". „ქადოსნური მთა". „თამაში  
რიოში მარგალიტებით"). ასეთ შემთხვევაში  
მხოლოდ ნაწარმოების შესწავლას შეუძლია გა-  
გვარკვიოს ცვლილებების მიზეზში და დაგვანა-  
ხოს ამ თითქმის შეუსაბამო ხათაურის სრული  
შესაბამისობა ტექსტთან.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ხათა-  
ურსა და მხატვრულ ტექსტს შორის არსებული  
ურთიერთმიმართების ხასიათი, განვიხილოთ იგი  
ერთი ისეთი რომანის მაგალითზე, რომლის ხა-  
თაურის კავშირიც ნაწარმოების პრობლემატიკას-  
თან არაა თვალშისაცემი და, ერთი შეხედვით,  
შეუფერებელიცაა ამ ტიპის რომანისთვის.

თომას მანის „ქადოსნური მთა“ გარკვეული  
თვალსაზრისით აღზრდის რომანთა რიგს განე-  
კუთვნება. ეს გარემოება თავის დროზე არაერთ-  
გზის აღუნიშნავს თავად ავტორსაც. ვინაც თავის  
თხულებას „აღზრდის რომანსა“ და „ვილჰელმ  
მაისტერიადას“ უწოდებდა და „კლასიკური გერ-  
მანული აღზრდის რომანის ტრადიციას“ უკავ-  
შირებდა. ამიტომაც მოხალადნელი იყო, რომ  
რომანის ხათაურში გმირის სახელი უოფილიყო  
გამოტანილი. მაგრამ თომას მანმა ამჯობინა, მის-  
თვის „ქადოსნური მთა“ დაერქვა, რაც აშკარად  
ენიანადმდეგებოდა გერმანულ ლიტერატურაში  
დამკვიდრებულ ტრადიციას. ამისათვის მას საკ-  
მარ მიზეზი გააჩნდა. ახლებურ ხათაურს, მწერ-  
ლის აზრით, უნდა გამოეხატა ის ცვლილება.  
რომელიც დროთა განმავლობაში განიცადა გერ-  
მანულმა აღზრდის რომანმა და რომელმაც თავი  
იჩინა როგორც მისი რომანის სიუჟეტურ აღნა-  
გობაში, ასევე ნაწარმოების იდეურ ქსოვილში.

როგორც ვიცით, კლასიკური აღზრდის რომა-  
ნის ერთ-ერთი გამორჩეული თვისება ის იყო,  
რომ ამ რომანის გმირი ბევრს მოძრაობდა სიერ-  
ციში და ბშირად მოგზაურობდა. ამ მოგზაურო-  
ბისას იგი ხვდებოდა სხვადასხვა ცხოვრებისეულ  
სიტუაციაში, ურთიერთობდა განსხვავებული სო-  
ციალური წარმოსახვისა და განსხვავებული ხა-  
სიათის ადამიანებთან, გადალახავდა დაბრკო-  
ლებებს, იძენდა გამოცდილებას და თანდათან  
ეუფლებოდა ცხოვრების ხელკვნიებას. გარესა-  
შეაროსთან ამ გამუდმებული ურთიერთობის  
პროცესში მიმდინარეობდა მისი შინაგანი ზრდა  
და ჩამოყალიბება. რისი ჩვენებაც საკუთრივ  
აღზრდის რომანის უპირველეს ამოცანას შეად-  
გენდა.

გავიხსენოთ თუნდაც ვილჰელმის „აგათონის ის-  
ტორია“. რომლის გმირიც, ბერძენი კაბუკი აგა-  
თონი, მოივლის სმირნასა და სირაკუზს და მხო-  
ლოდ სიცოცხლის დასასრულს დაბრუნდება ისევ  
სამშობლოში. ათენიდან გაძევებული იგი ხელთ  
ჩაუვარდება მეკობრეებს, რომლებიც მას სმირ-  
ნის მონების ბაზარზე სოფისტ მიპიას მიჰყიდიან.  
მიპიასის სახლიდან გამოქცეული აგათონი თავს  
ტირან დიონისეს კარზე ამოკეოფს და მისი უახ-

ლოები მრჩვეული ხდება. შეთქმულებაში მონა-  
წილეობისთვის დიონისე მას საკურობილეში ჩა-  
აგდება, ხაიდანაც ტარენტის მთავრული არხი-  
ტახი გამოიხსნის. აგათონი ჩაღას ტარენტში,  
მოგზაურობს, შინაგანად მოშწივებული ისევ ტა-  
რენტში ბრუნდება და ქადაგებს მისი სრული  
და. სწორედ აქ მიადგენს სრული  
ყოფას, რომელსაც მთელი სიცოცხლე ესწრაფ-  
ვოდა.

მსგავსი ვითარებაა სხვა აღზრდის რომანებ-  
შიც — „სიმპლიციუსის სიმპლიციუსისში“, „ან-  
ტონ რაიზერში“, „ვილჰელმ მაისტერში“, „ფრანც  
შტერნბალდის მოგზაურობასა“ და „მწვანე მაინ-  
რიხში“. ამ რომანების გმირებიც, აგათონის  
მსგავსად, ბევრს მოძრაობდნენ. უველა მათგანის  
შინაგანი ჩამოყალიბება ცხოვრებასა და სინამ-  
დვილესთან შეჭახების პროცესში ხდებოდა. გა-  
რესამყარო უშუალოდ მონაწილეობდა მათ სუ-  
ლიერ ზრდასა და სრულქმნაში. ამიტომაც მათ  
უნდა ბშირად შეეცვალოთ ადგილი, რათა შე-  
ხებოდნენ ცხოვრების რაც შეიძლება მეტ სფე-  
როს. გაემდიდრებინათ თავიანთი ხულიერი გა-  
მოცდილება და ამ გზით შინაგანი სრულყოფი-  
ბთვის მიეღწიათ. გმირისა და გარესამყაროს ამ  
გამუდმებულ დაპირისპირებაში განმზაღვრელი  
იყო გმირი და მისი ხულიერი ზრდა. რეალობას-  
თან კონტაქტი მხოლოდ საშუალება და ამ  
ზრდის ხელისშემწეობი პირობა იყო. ამიტომაც  
აღზრდის რომანების ავტორებს ხათაურში, რო-  
გორც წესი, გმირის სახელი გამოჰქონდათ და  
არა მისი მოქმედების გარემო.

ხულ სხვა ვითარებაა „ქადოსნურ მთაში“.   
კლასიკური აღზრდის რომანის გმირისგან განს-  
ხვავებით, თომას მანის რომანის პროტაგონისტა  
მანს კასტორპი ნაწარმოების დასაწყისშივე სრუ-  
ლი უძრაობისა და სტატიკის ატმოსფეროში  
ხვდება. იგი თავიდანვე იმ აინენდორფისეული  
კაბუკის მდგომარეობაში აღმოჩნდება. რომე-  
ლიც, შვილმანის ტუბილხმოვანებით მონუსხუ-  
ლი, თავს მოჯადოებულ მთაზე ამოკეოფს, ხაი-  
დანაც უკან არავინ დაბრუნებულა. და, მართა-  
ლია, კასტორპი რომანის ფინალში თავს დაად-  
წევს ქადოსნურ მთას, მაგრამ იქ გატარებული  
„შვიდი ზღაპრული წელიც“ საკმარისი აღმოჩნ-  
დება იმისათვის, რომ ავტორს მისი თავდასავ-  
ლისთვის „ქადოსნური“, „მაგიური“, „შერმეტუ-  
ლი“ და „აუქიმიური“ ისტორია ეწოდებინა და  
ეს მახასიათებლები რომანის ხათაურშიც გამოე-  
ტანა.

კაცმა შეიძლება იკითხოს, თუ რა კავშირია ამ  
მახასიათებლებსა და აღზრდის რომანის პრობ-  
ლემატიკას შორის და რამდენად მიესადაგება  
„ქადოსნური მთის“ ხათაური, კერძოდ კი მისი  
პირველი კომპონენტი, ნაწარმოების მიზანდასა-  
ხულობას. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მხო-  
ლოდ მანინ შეუძლებს, თუ ბოლომდე გავიზ-

რებთ იმ შინაარსს, რომელსაც მწერალი დებდა „ქადოსნურისა“ და „მაგიურის“ ცნებაში. საქმე ისაა, რომ თომას მანთან „ქადოსნური“ და „მაგიური“ „პერმეტულისა“ და „ალქიმიურის“ სინონიმური ცნებებია და იმ შუასაუკუნეებრივ მოძღვრებაზე მიგვანიშნებენ, რომელიც ალქიმიურ ცდებში გარკვეული ხულიერი პროცესების პროექციას ქვრეტდა. ადამიანის სწრაფვა ხულიერი სრულყოფისადმი იქ არაორგანულ მატერიაზე იყო გადატანილი და მარტივი ქიმიური ელემენტებისგან ხელიწერილი ოქროს მოპოვების ხაზს იძენდა.

ეს ანალოგია ფსიქიკურსა და ქიმიურ პროცესებს შორის თავს იჩენს თვით რომანშიც. ხადაც ავტორი ერთ-ერთი გმირის პირით ალქიმიის ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „ალქიმია — ესაა განწმენდა, ნივთიერების გაკეთილშობილება, მისი გარდასახვა, ტრანსსუბსტანციაცია, ოღონდაც ურველთვის რაღაცა უფრო მაღალში, მაშახადამე — ამაღლება; lapis philosophorum, გოგირდისა და სინდიუსის ქალურ-კაცური პროდუქტი, res bina, ორბჭესოვანი prima materia სხვა არაფერი იყო, თუ არა პრინციპი ამაღლებისა. უფრო მაღალ ხარისხში აუვანისა გარეშე ფაქტორების ზეგავლენით. მაგიური კედაგოგია, თუ გხედავთ.“

ის მარტივი ნივთიერება, რომლის ამაღლება და გაკეთილშობილებადაც აღწერილი რომანში, მანს კასტორპია, იგი ნაწარმოების დახაწყისშივი აღმოჩნდება ალქიმიური ტიგელის მსგავს ბერგმოფის პერმეტულ სამყაროში და განიცდის მანისეული „მაგიური კედაგოგის“ ზეგავლენას. რის შედეგადაც რომანის დახაბრულს გარდასახული და ხულიერად განახლებული სახით მრეველინება მკიონხველს

ავტორმა მთელ დასავლურ კულტურასა და ცივილიზაციას, უველა იმ ხულიერ ძალასა და იმპულსს, რომელთა ზეგავლენითაც ხდებოდა კლასიკური აღზრდის რომანის გმირის შინაგანი ფორმირება. ბერგმოფის შემოსაზღვრულ სივრცეში მოწყარა თავი, ვინაიდან, მისი რწმენით, თანამედროვე დასავლეთი სასიკვდილოდ იყო განწირული. ხოლო ბერგმოფის სანატორიუმში სწორედ ავადმყოფობისა და სიკვდილის საუფლეს იყო ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ სიკვდილიც თავისთავად, ისევე როგორც განსხვავებული ხულიერი იმპულსები მანის რომანში, პედაგოგიური პრინციპია, რამეთუ სიცოცხლის სამხატვროში ღვაბს სწორედ ავადმყოფობასა და სიკვდილთან შეგვედრა. მრავალრიცხოვანი ხაუბრები პერსონაჟებთან, რომლებიც აქ ევროპული კულტურის განხრეკებულ ხულიერ რეგიონებს, პრინციპებსა და სამყაროებს განასახიერებენ, განაპირობებენ კასტორპის პირველების ალქიმიურ აქტივიზაციასა და „მაგიურ ამაღ-

ლებას“, რაც მწერალს რომანის ცენტრალურ თემად მიიჩნდა.

პრინსტონის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის წაკითხულ ლექციაში თომას მანს ასე განმარტავდა „ქადოსნური მთის“ თემას: „თომანის ძირითადი თემა — ამაღლებული სრულყოფისა და „ალქიმიურსაც“ უწოდებენ ხრლმე, აბა, გაიხსენეთ: უმაწვილი მანს კასტორპია ერთობ უფერული გმირი, მამბურგის შეძლებული ოჯახის ნებიერი შთამომავალი და საშუალო ნიჭის მქონე ინჟინერია. მაგრამ ქადოსნური მთის პერმეტულ სამყაროში ურედ გამოკეთილი ეს მეტად მარტივი ნივთიერება განიცდის ამაღლებას და ნაწარმოების დახაბრულისთვის ისეთი მორალური, ხულიერი და გრძნობადი თავგადასავლებისთვისაა მზად, რაც სიზმრადაც არ დაეხიზმრებოდა იმ სხვა სამყაროში, რომელსაც ქადოსნური მთის მკვიდრნი უცვლელი ირონიით დაბლობს უწოდებდნენ“

უოველივე ზემოთქმულის მერე, ვფიქრობ, ცხადი უნდა გახდეს, რომ „ქადოსნური“ თომას მანთან „მაგიურის“ სინონიმური ცნებაა, ხოლო „მაგიური“, თუ კ. გ. იუნგს დავუჭერებთ, „მხოლოდ სხვა სიტყვაა ფსიქიკურის აღსანიშნავად“. მაშახადამე, როცა „ქადოსნური მთის“ ავტორი მისი გმირის ქადოსნურსა და მაგიურ გარდასახვაზე ლაპარაკობს, იგი პირველ რიგში მის ხულიერ ამაღლებას გულისხმობს, ხოლო როცა მთას უწოდებს ქადოსნურს, იგი ამით ამ გმირის ხულიერი და ფსიქიკური მეტამორფოზის ადგილს მიგვანიშნებს. ამიტომაც სწორად მოიქცნენ მანის რომანის ინგლისელი მთარგმნელები, როცა მისი სათაური „გრძნეულ“ ანუ „მაგიურ“ მთად (Magic Mountain) თარგმნეს და არა „ქადოსნურ“ (Bewitching) მთად. ამით მათ ზუსტად მიაგნენ ნაწარმოების უმნიშვნელოვანეს ძარღვს და იგი იმთავითვე საჩინო გახადეს ინგლისურენოვანი მკითხველისთვის.

ამრიგად, ნაწარმოების სათაურში გამოტანილი სიტყვა „ქადოსნური“ გმირის იმ ხულიერ ფერისცვალებაზე მიგვანიშნებს რომლის აღწერაც ნებისმიერი აღზრდის რომანის უპირველესი მიზანია.

მსგავსი სიმბოლური მნიშვნელობის მქონია „ქადოსნური მთის“ სათაურის მერვე კომპონენტიც. სიუჟეტურ პლანში „მთა“ ნაწარმოების ძირითადი ოპოზიციის ერთ-ერთ პოლუსზე, კერძოდ, „დაბლობისადმი“ დაპირისპირებულ მაღალმთიან კურორტზე მიგვანიშნებს. ხოლო რამდენადაც „დაბლობი“ რომანში გარეგანი ცხოვრების სარბილდადა მიჩნეული „მთა“ აქ, შევაბამისად, ხულისა და შინაგანი ცხოვრების ადგილსამყარეულია.

გარდა ამისა, რომანის სათაურში გამოტანილი „მთის“ ხატში თავს იჩენს მოავადმყოფობის სიმბოლოც, რომელსაც მან ოდითგანვე უკავშირ-

რებადა ევროპული ტრადიცია. „მთა“, როგორც ვიცით, უძველესი დროიდან უპირისპირდებოდა „ბარს“, ანუ პროფანულ არსებობას, და სულიერ ცხოვრებას განასახიერებდა. ითვლებოდა, რომ რაც უფრო მაღლა ადიოდა ადამიანი მთაში, მით უფრო შორდებოდა იგი ამქვეყნიურ ვნებათა ღელვას და ღვთაებრივს ეზიარებოდა. ამიტომაც მიაშურებდნენ განდევნილი მიუვალ მღვიმეებსა და გამოქვაბულებს. „მთა“ სულიერი ამაღლების სიმბოლო იყო და ფსიქოლოგიურ კლანში ფსიქიკის უველა შინაარსთა ერთობლიობას განასახიერებდა. სწორედ ამიტომ თანამედროვე „სიღრმის ფსიქოლოგიაში“ იგი თვითობას შეესაბამება, ხოლო თვითობა, როგორც ვიცით, კაცადქმნისა და ინდივიდუალობის საბოლოო და იდეალური მიზანია. მაღლა მთაში ასვენია გრალიც, ზნეობრივი სრულყოფისა და სულიერი ამაღლების სიმბოლო. უველა ის, ვინც კი მიზნად დაისახავს მის მოპოვებას და დაადგება საკუთარი თავის სრულქმნის გზას, მზად უნდა იყოს მთაზე ასასვლელად.

ერთ-ერთი ასეთი მაძიებელი გმირი, ვინაც მშუოი-ყარე და თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრების დასასრულს დაეუფლა გრალს, განლდათ პარციფალი და სწორედ მის კვალს ადგას მანს კასტორპიც. პარციფალის მსგავსად, თომას მანის გმირიც თხრობის დასაწყისში მიაშობი და გამოუცდელი უმაწვილია და მოქმედების მსვლელობაში განიცდის სხვადასხვა, ძალებიანა და სულიერი იმპულსების ზეგავლენას, რაც მის შინაგან ზრდასა და დავაუკაცებას განაპირობებს. მისი გზაც სრულყოფისაკენ, პარციფალის ცხოვრებისა არ იყოს, ხიფათითა და საშიშროებითაა სავსე, მაგრამ საბოლოოდ დაბრკოლებათა დაძლევათა და სულიერი ამაღლებით სრულდება. ამ სულიერი ამაღლების სიმბოლოდ თომას მანის რომანში „მთა“ გვევლინება. რომელიც ფუნქციურად შეესაბამება იმ „წმინდა მთას“, სადაც გრალის კოშკია განლაგებული.

თომას მანს ცხადად მქონდა გააზრებული ეს მსგავსება „ჯადოსნური მთისა“ და „პარციფალის“ პრობლემატიკებს შორის. თავის გამოსვლაში პრინსტონის უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე იგი საგანგებოდ შეჩერდა აღნიშნულ ანალოგიაზე:

„გრალის მაძიებელ გმირებს, განსაკუთრებით კი პარციფალს, გზის დასაწყისში „სულელს“, „დიდ სულელსა“ და „უწყინარ სულელს“ უწოდებენ. ეს აღნიშვნები შეესაბამებიან იმ „უბრალოებს“, უეშმაკობასა და გულუბრველობას, რომელსაც ჩემი რომანის გმირს მიაწერენ ხოლმე — ისე მოხდა, თითქოს შემკვიდრობითობის გაუცნობიერებელმა შეგრძნებამ მაძიებელა ხაზი გამესვა მისი ამ თვისებისათვის... გრალის მაძიებელმა გმირმა, ვიდრე წმინდა მთას მიაღწევდეს, არაერთი გულშემწარავი და საიდუმლო გამოცუ-

და უნდა გამოიაროს... როგორც ჩანს, ეს საკვირველი გამოცდები თავდაპირველად ინიციაციის რიტუალსა და ეზოთერულ იდეოლოგიასთან მიაბლოებს პირობას წარმოადგენდნენ, რამეთუ ცოდნის და შემეცნების იდეა უოველთვის „საიტიპის“ ზეგავლილსა და წუვდიადთანაა დაკავშირებული. ჯადოსნური მთაში“ ხშირადაა ლაპარაკი ალქიმიურ-ჭერმეტულ პედაგოგიკასა და „ტრანსსუბსტანციაციაზე“. ამ შემთხვევაშიც, გრალის მაძიებელ უწყინარი სულელის მსგავსად, მე ისევ და ისევ ინტუიტურად მივდევდი იდეოლოგიურ ტრადიციას, ვინაიდან ეს სწორედ ის სიტყვებია, რომელთაც გრალის მისტერიებთან დაკავშირებით ხმარობენ ხოლმე.“

როგორც ვხედავთ, თომას მანის რომანის სათაურის ორივე კომპონენტი დააბლოგებით ერთსადაიმავე გარემოებაზე მიგვანიშნებს. „ჯადოსნური მთა“ ადამიანის სულიერი ზრდის, განახლებისა და ფერისცვალების სიმბოლოა. რა თქმა უნდა, როგორც უოველი სიმბოლო, ის კიდევ მრავალ სხვა მნიშვნელობასაც მოიცავს. მაგრამ ზემოთ, იმისათვის, რათა დავრწმუნებულყოფით, რომ „ჯადოსნური მთის“ სათაური არანაკლებ მკიდროდ აქვს მორგებული რომანის ტექსტს და არანაკლები სიცხადით ასახავს მის შინაარსს, ვიდრე კლასიკური აღზრდის რომანის სახელისათაურები, სრულიად შეგნებულად, ყურადღება გამახვილებული იყო მის მბოლოდ ერთ, აღზრდისა და განვითარების რომანის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ ასპექტზე.

ამრიგად, დღეს დაბეჭობით შეიძლება ითქვას, რომ სათაური ნაწარმოების განუყოფელი ნაწილია და მრავალი ძაფითაა დაკავშირებული მის მიერ აღნიშნული ტექსტის იდეურბა და მოტივურ ქსოვილოთან. იგი ჩერ კიდევ კითხვის დაწყებამდე თვალნათლივ წარმოაჩენს ნაწარმოების მიზანდასახულობას და იმთავითვე ავტორისთვის სასურველი მიმართულებით წარმართავს კითხვის პროცესს. რა თქმა უნდა, განსხვავებულია, როგორც ზემოთ დავინახით, სათაურების აღნაგობა, მათი სტილისტური შეფერილობა, განსხვავებულია უოველ ცალკეულ შემთხვევაში მათი კავშირი ტექსტთან და ამიტომ ამ კავშირის თავისებურების დადგენა სპეციალური კვლევის საგნად უნდა იქცეს ნოლმე. მაგრამ მიუხედავად ამ სხვაობისა, შეიძლება გამოიყოს ის საერთო ნიშნები და მოთხოვნებიც, რომელთაც ნებისმიერი კარგად შეჩერული სათაური უნდა აკმაყოფილებდეს.

ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს:

1. სათაური არ უნდა იყოს დამოუკიდებელი და თავისთავადი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეული, რომელიც გარედან აქვს მიკრული მხატვრულ ტექსტს არამედ ნაწარმოების ორგანულ და განუყოფელ ნაწილს უნდა შეადგენდეს;



2. სათაური უნდა იმთავითვე წარმოაჩინდეს ნაწარმოების არსს, ხოლო მისი კავშირი მხატვრული ტექსტის პრობლემატიკასთან კითხვის პროცესში ხელ უფრო ნათელი უნდა ხდებოდეს მკითხველისთვის:

მ. სათაური უნდა სთავაზობდეს მკითხველს ტექსტის აღქმის კუთხეს და პირველ ხანებში მაინც უნდა წარმართავდეს კითხვის პროცესს იგი უნდა შეიცავდეს გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც ავტორისთვის სასურველი მიმართულებით აამოქმედებს მკითხველის წარმოსახვას:

1. ამავე დროს, სათაური არ უნდა იქცეს ამოცანის ამოხსნად, არ უნდა სთავაზობდეს მკითხველს საკითხის გადაწყვეტას, ანუ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. მას არ უნდა გადმოჰქონდეს ტექსტის დასაწყისში ის, რაც ლოგიკურად თბრობის დასასრულისთვისაა გახეუთვნილი:

მ. სათაური უნდა იყოს ტიპური და შთამბეჭდავი, ადვილად დასამახსოვრებელი, იგი უნდა

იწვევდეს მკითხველის ინტერესს და გარკვეულ საკვებს უნდა სთავაზობდეს მის ფანტაზიას.

უველა ამ მოთხოვნას საკვებით აკმაყოფილებდა სტენდალის „წითელი და შავი“ და მაინც, რომანის რეცეპცია, როგორც აღვნიშნულთავედ. პირველად მცდარი გზით წარმართავდა იმ მოთხოვნებს, რომელთაც სათაურებს და, შესაბამისად, მათ გამომგონებელ ავტორებს ვუშუენებთ, ერთი მოთხოვნაც უნდა დავუმატოთ — მკითხველისადმი:

მკითხველმა არ უნდა მიიჩნიოს სათაური წვრილმანად, არამედ მხატვრული ნაწარმოების ერთერთ მნიშვნელოვან კომპონენტად უნდა ცნოს. ვიდრე კითხვას დაიწყებდეს, იგი უნდა ჩაუკვირდეს სათაურს და შეეცადოს ამოიკითხოს მასში ჩადებული აზრი, ხოლო თვით კითხვის პროცესში მას მუდამ უნდა ახსოვდეს ნაწარმოების სათაური და ტექსტის აღქმის სისწორეს ამ სათაურით უნდა ამოწმებდეს.



---

**«САУНДЖЕ»**  
**ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ**  
На грузинском языке

1988 № 6

**СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ**  
**ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ**  
**ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ**



ეიმილ სოლომონი, ნიღბები

6114/4



კარლ შინდტ რეტილი. მსკ